Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ᲧᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

4

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1946

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1949

ვ. ი. ლენინი

ტომი

4

1898 — აპრილი 1901

წინასიტყვაობა

თხზულებათა მეოთხე ტომში შეტანილი ნაშრომები დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1898 წლის თებერვლიდან 1901 წლის თებერვლამდე. ეს ნაშრომები მიძღვნილია მუშათა მოძრაობაში რევოლუციური მარქსიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისადმი და ნაროდნიკების, «ლეგალური მარქსისტებისა» და «ეკონომისტების» ანტირევოლუციურ შეხედულებათა ძხილებისადმი.

სტატიები «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)», «კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის» და «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)» მიმართულია «ლეგალური მარქსისტების» წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი დაემორჩილებინათ და შეეგუებინათ.

ტომში შევიდა ლენინის პირველი ნაშრომები «ეკონომიზმის» წინააღმდეგ: «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი», სტატიები «რაბოჩაია გაზეტას» № 3-სთვის, «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», ««Profession de foi»-ს გამო», რომლებშიც ლენინმა გამო-

ააშკარავა «ეკონომისტების» ოპორტუნიზმი და ცხადჰყო, რომ «ეკონომიზმი» საერთაშორისო ოპორტუნიზმის სახესხვაობაა («ბერნშტეინელობა რუსულ ნიადაგზე»). «ეკონომისტების» ანტიმარქსისტულ პოზიციებს ლენინმა დაუპირისპირა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების გეგმა.

ტომში შეტანილი მთელი რიგი სტატიები ნიმუშია მამხილებელი პუბლიცისტიკისა, რომელსაც ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მეფის მოხელეების თვითნებობის წინააღმდეგ და ხალხის ფართო მასების შეგნების გაღვიძებისათვის ბრძოლაში. ასეთი სტატიებია: «სცემე, მაგრამ არა სასიკვდილოდ», «რა საჭიროა დროთა უკუღმართობის დაჩქარება?» და «ობიექტური სტატისტიკა», რომლებიც გაერთიანებული არიან სათაურით — «შემთხვევითი შენიშვნები», «183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად», წინასიტყვაობა ბროშურისა ხარკოვის 1900 წლის ცნობილ მაისობაზე — «მაისის დღეები ხარკოვში», სტატია «სამრეწველო სასამართლოების შესახებ», დაწერილი საფაბრიკო ინსპექციისთვის პოლიციის ფუნქციების მინიჭებასთან დაკავშირებით.

ტომში შედის საერთორუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთის «ისკრის» ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნაწარმოებები: ««ისკრის» და «ზარიას» რედაქციის განცხადების პროექტი», «როგორ კინაღამ ჩაჰქრა «ისკრა»?» და ««ისკრის» რედაქციის განცხადება».

ამ დოკუმენტებში, ისევე როგორც სტატიებში «ჩვენი პროგრამა», «ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი», «ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები» და «მუშათა პარტია და გლეხობა», გარკვეულია ის ამოცანები, რომლებიც რუსეთის მარქსისტული ორგანიზაციებისა და მუშათა მოძრაობის წინაშე იდგა იმ მომენტში, როდესაც ლენინი პირისპირ შეუდგა ოპორტუნიზმის, კუსტარულობის, იდეური დაბნეულობისა და მერყეობის წინააღმდეგ რევოლუციური მარქსიზმის ერთიანი დროშით მებრძოლი პარტიის შექმნას.

ამ ტომში, პირველად ვ. ი. ლენინის თხზულებებში, იბეჭდება ლენინის მიერ დაწერილი «შეთანხმების პროექტი» პლეხანოვის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან გაზეთ «ისკრისა» და ჟურნალ «ზარიას» გამოცემის შესახებ. «პროექტის» საფუძველზე დაიწყო «ისკრის» გამოცემა.

З. О. Ѯобобо

1897

ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის

(პროფ. კარიშევის ახალი სტატისტიკური გმირობანი) [1]

რუსი მკითხველი საზოგადოება საკმაოდ ცხოველ ინტერესს იჩენს ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკისა და მისი უმთავრესი დასკვნების საკითხისადმი. ეს ინტერესი სავსებით გასაგებია, რადგან ეს საკითხი დაკავშირებულია უფრო ფართო საკითხთან «რუსეთის კაპიტალიზმის ბედის» შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის დამუშავება სრულიად არ შეესაბამება მისი მონაცემებისადმი საერთო ინტერესს. ჭეშმარიტად სავალალოა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ჩვენში ეკონომიური სტატისტიკის ეს დარგი, და, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო სავალალოა ის ფაქტი, რომ ადამიანები, რომელნიც მის შესახებ სწერენ, ხშირად იჩენენ იმის საოცარ გაუგებლობას, თუ რა ხასიათისაა ის ციფრები, რომლებსაც ისინი ამუშავებენ, რამდენად სარწმუნო და გამოსადეგია ეს ციფრები ამა თუ იმ დასკვნების გამოსატანად. სწორედ ასეთი აზრის გამოთქმა გვიხდება ბ-ნ კარიშევის იმ უახლეს ნაშრომზე, რომელიც ჯერ დაიბეჭდა «Известия Московского Сельскохозяйственного Института»-ში (წელი IV, წიგ. 1), შემდეგ კი ცალკე ბროშურადაც გამოვიდა მყვირალა სათაურით: «Материалы по русскому народному хозяйству. I. Наша фабрично-заводская промышленность в половине 90-х годов» (მოსკოვი, 1898). ამ ნაშრომში ბ-ნი კარიშევი ცდილობს დასკვნები გააკეთოს ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტის უახლესი

გამოცემიდან ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის * შესახებ. ჩვენ განზრახული გვაქვს დაწვრილებით გავარჩიოთ როგორც ბ-ნ კარიშევის დასკვნები, ისე განსაკუთრებით მისი ხერხები. ჩვენ გვგონია, რომ ასეთ გარჩევას მნიშვნელობა ექნება არა მარტო იმის გასარკვევად, თუ როგორ ამუშავებს მასალას ეს დასახელებული ბ-ნი პროფესორი (ამის შესახებ საკმარისი იქნებოდა გვეთქვა რეცენზიის რამდენიმე სტრიქონში), არამედ იმის გასარკვევადაც, თუ რამდენად სარწმუნოა ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემები, როგორი დასკვნებისთვის გამოდგებიან ისინი და როგორისთვის არ გამოდგებიან, როგორია ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის უმთავრესი საჭიროებანი და იმ პირთა ამოცანები, რომელნიც ამ სტატისტიკას სწავლობენ.

წყარო, რომლითაც ბ-ნი კარიშევი სარგებლობდა, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, შეიცავს იმპერიის ფაბრიკებისა და ქარხნების ნუსხას 1894/95 წლისთვის. ყველა ფაბრიკისა და ქარხნის (ე. ი. შ ე დ ა რ ე ბ ი თ უფრო დიდ სამრეწველო საწარმოთა, — იმის სხვადასხვანაირი გაგებით, თუ რომელი საწარმოები ჩაითვალოს დიდ საწარმოებად) სრული სიის გამოცემა ჩვენს ლიტერატურაში ახალ ამბავს როდი წარმოადგენს. ბ-ნი ორლოვი და ბუდაგოვი უკვე 1881 წლიდან ადგენდნენ ცნობარს — «Указатель фабрик и заводов», რომლის უკანასკნელი (მე-3) გამოცემა 1894 წელს გამოვიდა. გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1869 წელს, «Ежегодник м-ва финансов»-ის 1-ლ ნაკვეთში დაიბეჭდა ფაბრიკების სია მრეწველობისადმი მიძღვნილი სტატისტიკური უწყებების შენიშვნებში. ყველა ამ გამოცემის მასალას შეადგენდნენ ის უწყებები, რომელთა ყოველწლიურად წარდგენა სამინისტროში კანონით ევალებათ მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს. ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენ-

* «Министерство финансов. Д-т торговли и мануфактур. Фабрично-заводская промышленность России. П е р е ч е н ь ф а б р и к и з а в о д о в». СПБ. 1897, გვ. 63 + VI + 1047.

ტის ახალი გამოცემა წინანდელი (ამდაგვარი) გამოცემებისაგან განირჩევა ცნობათა რამდენადმე მეტი რიცხვით, მაგრამ ამავე დროს მას აქვს უდიდესი ნაკლოვანებანიც, რაც წინანდელ გამოცემებს არ ჰქონიათ და რაც უაღრესად აძნელებს მის, როგორც საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მასალის, გამოყენებას. «ნუსხის» შესავალში აღნიშნულია ამ სტატისტიკის სწორედ არადამაკმაყოფილებელი წინანდელი მდგომარეობა, და, ამგვარად, ნათლად გარკვეულია გამოცემის მიზანი — იყოს არა მარტო საცნობარო წიგნი, არამედ სწორედ მასალა სტატისტიკისთვის. მაგრამ, როგორც სტატისტიკური გამოცემა, «ნუსხა» გაოცებთ რაიმე ნაკრები, შეჯამებული ციფრების აბსოლუტური უქონლობით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი გამოცემა, რომელიც ერთგვარად პირველია, ამავე დროს უკანასკნელიც იქნება როგორც შეჯამებული ციფრების არქონე სტატისტიკური გამოცემა. ხოლო საცნობარო წიგნისთვის ზედმეტი ბარგია უამრავი რაოდენობის ნედლი მასალა ციფრების გროვის სახით. «ნუსხის» შესავალი მკვეთრად აკრიტიკებს წინანდელ უწყებებს, რომლებსაც მეფაბრიკეები სამინისტროს უდგენდნენ, და ამბობს, რომ ისინი «შეიცავდნენ ერთსა და იმავე, წლითიწლობით განმეორებულ, არეულ-დარეულ ცნობებს, რომელნიც არ იძლეოდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ზუსტად გაგვერკვია თვით რაოდენობაც კი გამომუშავებული საქონლისა. ამავე დროს კი რაც შეიძლება სრული და უტყუარი ცნობები წარმოებათა შესახებ აუცილებლად საჭიროა» (გვ. 1). რა თქმა უნდა, ჩვენ კრინტსაც არ დავძრავთ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სავსებით მოძველებული, როგორც შედგენის, ისე ხარისხის მხრივ, წმინდაწყლის რეფორმამდელი სისტემის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, გაუმჯობესება მის მდგომარეობას დღემდეც თითქმის არ ეტყობა. სულ ახლახან გამოცემული ვეებერთელა «ნუსხა» ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ, რომ ამ ძველ, ყველას მიერ უვარგისად მიჩნეულ, სისტემაში რაიმე სერიოზული ცვლილებებია მომხდარი. უწყებები «საშუალებას არ გვაძლევდა ზუსტად გამოგვერ-

კვია გამომუშავებული საქონლის რაოდენობაც კი»... დიახ, ხოლო ამ უახლეს «ნუსხაში» კი სრულიადაც არავითარი ცნობები არაა საქონლის რაოდენობაზე, თუმცა, მაგალითად, ბ-ნ ორლოვის «მაჩვენებელი» ამ ცნობებს იძლეოდა ფრიად მრავალი ფაბრიკის შესახებ, ხოლო ზოგიერთი წარმოებისთვის თითქმის ყველა ფაბრიკის შესახებაც, ასე რომ შეჯამებითს ცხრილშიც კი არის ცნობები პროდუქტის რაოდენობაზე (ტყავის, არყისსახდელი, აგურის, ბურღულის, საფქვავის, სანთლის, ქონსადნობი, სელსაძენძი, ლუდსახდელი წარმოებანი). «მაჩვენებლის» მასალა კი სწორედ ამ ძველი უწყებებისგან შესდგებოდა. «ნუსხაში» არავითარი ცნობები არ მოიპოვება შემსრულებელ მექანიზმებზე, თუმცა «მაჩვენებელი» იძლეოდა ამგვარ ცნობებს ზოგიერთი წარმოებისთვის. «შესავალში» ასეა აწერილი ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში მომხდარი ცვლილება: მეფაბრიკეები წინათ ცნობებს გვაწვდიდნენ პოლიციის საშუალებით «მოკლე და არასაკმაოდ გარკვეული პროგრამის მიხედვით», და ამ ცნობებს არავინ არ ამოწმებდა. «ვღებულობდით მასალას, რომელზედაც არავითარი ცოტად თუ ბევრად ზუსტი დასკვნების დაფუძნება არ შეიძლებოდა» (გვ. 1). ახლა შედგენილია ახალი, ბევრად უფრო დაწვრილებითი პროგრამა, ხოლო ფაბრიკებისა და ქარხნების შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება და შემოწმება დავალებული აქვთ საფაბრიკო ინსპექტორებს. პირველი შეხედვით თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლა უფლება გვაქვს მოველოდეთ მართლა ხეირიან მონაცემებს, ვინაიდან მართებული პროგრამა და მონაცემების შემოწმების უზრუნველყოფა — ეს წარმატებითი სტატისტიკის ორი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ნამდვილად კი ორივე ეს პირობა აქამდე ისეთსავე პირველყოფილ-ქაოსურ მდგომარეობაშია, როგორშიც წინათ იყო. დაწვრილებითი პროგრამა და მისი განმარტებები «ნუსხის» «შესავალში» არაა დაბეჭდილი, თუმცა სტატისტიკური მეთოდოლოგია მოითხოვს იმ პროგრამის გამოქვეყნებას, რომლის მიხედვითაც ცნობებია შეგროვილი. «ნუსხის» მასალის შემდგომი განხილვიდან ჩვენ დავი-

ნახავთ, რომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ძირითადი საპროგრამო საკითხები სრულიად გაურკვეველი რჩება. რაც შეეხება მონაცემების შემოწმებას, აი აზრი იმ პირისა, რომელიც პრაქტიკულად იყენებდა ამ შემოწმებას, სახელდობრ ხერსონის გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორის ბ-ნ მიკულინისა. მან გამოსცა წიგნი, რომელიც შეიცავს ხერსონის გუბერნიაში ახალი სისტემით შეგროვილი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას.

«სამრეწველო საწარმოთა პატრონების მიერ მოწოდებული და წარმოდგენილ უწყებებში მოთავსებული ყველა ციფრობრივი მონაცემის ფაქტიურად შემოწმება შეუძლებელი იყო, ამიტომ უწყებები უკან ეგზავნებოდათ შესასწორებლად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პასუხებში სხვა მსგავს საწარმოთა მონაცემებთან თუ საწარმოთა დათვალიერების დროს ძიღებულ ცნობებთან შედარებით აშკარა შეუსაბამობა აღმოჩნდებოდა. ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ობ ა ი მ ც ი ფ რ ო ბ რ ი ვ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი ს თ ვ ი ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ა თ ვ ი თ ე უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ს ი ე ბ შ ი, ე კ ი ს რ ე ბ ა თ ა მ ც ნ ო ბ ე ბ ი ს მ ო მ წ ო დ ებ ე ლ პ ი რ თ» (**«Фабрично-заводская и ремесленная промышленность Херсонской губ.»**. ოდესა, 1897. წინასიტყვაობა. ხაზგასმა ჩვენია). ამრიგად, პასუხისმგებლობა მონაცემების სისწორისთვის ძველებურად კვლავ თვით მეფაბრიკეებს ეკისრებათ. საფაბრიკო ინსპექციის წარმომადგენლებმა არამც თუ ყველა მონაცემის შემოწმება ვერ შესძლეს, არამედ (როგორც ქვემოთ დავინახავთ) მათი ერთგვარობა და შესადარისობაც კი ვერ უზრუნველჰყვეს.

«ნუსხისა» და მისი მასალის ყველა ნაკლს დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ ჩამოვთვლით. მისი ძირითადი ნაკლი კი, როგორც უკვე ვთქვით, — შეჯამებათა სრული უქონლობაა (კერძო პირთ, რომელნიც «მაჩვენებელს» ადგენდნენ, მოჰყავდათ შეჯამებანი და ყოველ ახალ გამოცემაში აფართოებდნენ მათ). ბ-ნ კარიშევს, რომელიც კიდევ ორ თანამშრომელს იშველიებდა, კეთილი აზრი მოსვლია და განუზრახავს ამ ხარვეზის

თუნდ ნაწილობრივ მაინც შევსება და «ნუსხის» მიხედვით ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შეჯამებათა გამოანგარიშება. ეს წამოწყება ძალიან სასარგებლოა, და მისი განხორციელებისთვის ყველა მადლობელი იქნებოდა, რომ... რომ ბ-ნ კარიშევს, ჯერ-ერთი, მის მიერ მიღებულ შეჯამებათაგან ზოგიერთი მაინც სრულად მოეყვანა, და, მეორე, მასალისადმი მოპყრობაში არ გამოეჩინა კრიტიკის უქონლობა, რაც მოურიდებლობას ესაზღვრება. ბ-ნი კარიშევი უყურადღებოდ მოექცა მასალას და სტატისტიკურად იგი ოდნავ «რიგიანადაც» * არ დაამუშავა, აჩქარდა «დასკვნების» გამოტანაში და, თანაც, ბუნებრივია, მთელი რიგი უაღრესად კურიოზული "შეცდომები დაუ'შვა.

დავიწყოთ სამრეწველო სტატისტიკის პირველი, ძირითადი საკითხით: რომელი საწარმოები უნდა მივაკუთვნოთ «ფაბრიკებსა და ქარხნებს»? ბ-ნი კარიშევი არც კი აყენებს ამ საკითხს; იგი, ალბათ, ფიქრობს, რომ «ფაბრიკა და ქარხანა» — ეს სავსებით გარკვეული რამაა. გამბედაობით, რომელიც უკეთესი გამოყენების ღირსია, ის ამტკიცებს «ნუსხის» შესახებ: ეს გამოცემა, წინანდელებისგან განსხვავებით, აღნუსხავს არა მარტო დ ი დ, არამედ ყ ვ ე ლ ა ფაბრიკასო. ეს მტკიცება, ავტორის მიერ ორჯერ განმეორებული (გვ. 23 და 34), ა"შ კ ა რ ა დ ა რ ა ს წ ო რ ი ა. სინამდვილეში, სწორედ პირიქით, «ნუსხა» აღნიშნავს, საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის დარგში წინათ არსებულ გამოცემებთან შედარებით, მხოლოდ უ ფ რ ო დ ი დ საწარმოებს. ჩვენ ახლავე განვმარტავთ, თუ როგორ მოხდა, რომ ბ-ნმა კარიშევმა ასეთი «წვრილმანი» «ვერ შენიშნა», მაგრამ ჯერ მოვიყვანოთ ერთი ისტორიული ცნობა. 80-იანი წლების ნახევრამდე ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში არ ყოფილა ა რ ა ვ ი თ ა რ ი განსაზღვრა და წესები, რომლებიც ფარგლავდნენ

* წინააღმდეგ «რუსსკიე ვედომოსტის» (1898 წ., № 144) რეცენზენტის აზრისა, რომელსაც, ჩანს, ისეთივე ნაკლები უნარი შესწევდა კრიტიკულად მოპყრობოდა ბ-ნ კარიშევის დასკვნებს, როგორც ბ-ნ კარიშევს — «ნუსხის» ციფრებს.

ფაბრიკის ცნებას უფრო მსხვილი სამრეწველო საწარმოებით. «ფაბრიკათა და ქარხანათა» სტატისტიკაში ათავსებდნენ ყველა და ყოველგვარ სამრეწველო (და ხელოსნურ) საწარმოებს, რასაც, რასაკვირველია, უდიდესი ქაოსი შეჰქონდა მონაცემებში, ვინაიდან ყველა ასეთი საწარმოს სრული რეგისტრაცია აბსოლუტურად წარმოუდგენელია არსებულ ძალთა და საშუალებათა პირობებში (ე. ი. მართებული სამრეწველო აღწერის უქონლად), და ზოგიერთ გუბერნიასა თუ წარმოებაში ითვლიდნენ ასობითა და ათასობით ყველაზე წვრილ საწარმოებს, ზოგიერთებში კი — მხოლოდ უფრო დიდ «ფაბრიკებს». ამიტომ ბუნებრივია, რომ იმ პირებმა, რომელნიც პირველად შეეცადნენ მეცნიერულად დაემუშავებინათ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემები (60-იან წლებში), მთელი ყურადღება ამ საკითხს მიაქციეს და მთელი ძალღონე იმისაკენ მიმართეს, რომ ის წარმოებანი, რომელთა შესახებ ცოტად თუ ბევრად სარწმუნო ცნობები მოიპოვებოდა, გამოეყოთ იმ წარმოებებისგან, რომელთა შესახებ არსებული ცნობები აბსოლუტურად არასარწმუნოა, რომ გამოეყოთ იმდენად დიდი საწარმოები, რომ მათ შესახებ შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი ცნობების მიღება, იმ საწარმოთაგან, რომელნიც იმდენად წვრილნი არიან, რომ მათ შესახებ დამაკმაყოფილებელი ცნობების მიღება შეუძლებელია. ბუშენმა *, ბოკმა ** და ტიმირიაზევმა *** მეტად ძვირფასი მითითებანი მოგვცეს ყველა ამ საკითხზე; ეს მითითებანი რომ ზედმიწევნით დაეცვათ და განევითარებინათ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის შემდგენლებს, ახლა ჩვენ, ალბათ, ბევრად რიგიანი ცნობები გვექნებოდა. ნამდვილად კი ყველა ეს

---

* «Ежегодник министерства финансов». ნაკვ. 1. სპბ. 1869.

** «Статистический временник Российской империи». სერია II. ნაკვ. 6. სპბ. 1872. მასალები ევროპის რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის სტატისტიკისთვის, დამუშავებული ი. ბ ო კ ი ს რედაქციით.

*** «Статистический атлас главнейших отраслей фабрично-заводской промышленности Европейской России с поименным списком фабрик и заводов». 3 ნაკვეთი. სპბ. 1869, 1870 და 1873.

მითითება, როგორც წესად არის შემოღებული, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, და საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაც წინანდელ ქაოსურ მდგომარეობაში დარჩა. 1889 წლიდან ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტმა დაიწყო გამოცემა «Своды данных о фабрично-заводской промышленности в России» (1885 და შემდგომი წლების). ამ გამოცემაში მცირე ნაბიჯი იქნა წინ გადადგმული: გამორიცხული რჩებოდა წვრილი საწარმოები, ე. ი. ისეთნი, რომელთა წარმოების ჯამი 1 000 მანეთისაზე ნაკლებია. თავისთავად ცხადია, რომ ეს ნორმა ძალიან დაბალი და ძალიან დაახლოებითი იყო: ამ თანხისაზე მეტი წარმოების მქონე ყველა სამრეწველო საწარმოს სრულ რეგისტრაციაზე ფიქრიც კი სასაცილო იქნებოდა იმ პირობებში, როცა ცნობებს პოლიციის საშუალებით აგროვებდნენ. წინანდებურად ზოგიერთ გუბერნიას და ზოგიერთ წარმოებას შეჰქონდა 2 — 5 ათასი მანეთის წარმოების მქონე მრავალი წვრილი საწარმო, ზოგიერთ გუბერნიასა და ზოგიერთ წარმოებას კი — არ შეჰქონდა. ამის მაგალითებს ქვემოთ ვნახავთ. ბოლოს, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის უახლესმა სისტემამ შემოიღო სულ სხვა ნიშანდობლიობა «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნების განსაზღვრისათვის. რეგისტრაციაში შესატანად მიჩნეულ იქნა «ყველა სამრეწველო საწარმო» (საფაბრიკო ინსპექციის «გამგებლობაში მყოფთაგან»), რომელსაც ჰყავს არანაკლებ 15 მუშისა, და აგრეთვე ისინიც, რომელთაც მუშები 15-ზე ნაკლები ჰყავთ, მაგრამ აქვთ ორთქლის ქვაბი, ორთქლის მანქანა ან სხვა მექანიკური ძრავები და მანქანები ან საქარხნო და საფაბრიკო მოწყობილობანი*. ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ განსაზღვრაზე (მისი განსაკუთრებით ბუნდო-

* 1895 წლის 7 ივნისის ცირკულარი, დაბეჭდილი კობელიაცკის წიგნში («Справочная книга для чинов фабричной инспекции и т. д.». გამოც. მე-4. სპბ. 1897. გვ. 35. ხაზგასმა ჩვენია). «ნუსხის» «შესავალში» ეს ცირკულარი გადაბეჭდილი არაა და ბ-ნ კარიშევსაც, «ნუსხის» მასალის დამუშავების დროს, თავი არ შეუწუხებია გაეგო, თუ რას გულისხმობს «ნუსხა» «ფაბრიკებად და ქარხნებად»!!

ვანი პუნქტები ხაზგასმულია ჩვენს მიერ), მაგრამ ჯერ აღ-ვნიშნავთ, რომ «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნება, რომლის დადგენაც აქ ხდება, სრულიად ახალი რამაა ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში: აქამდე არასოდეს არ ცდილან «ფაბრიკის» ცნება შემოეფარგლათ ისეთი საწარმოებით, რო-მელთაც მუშების გარკვეული რიცხვი ჰყავთ ან ორთქლის ძრავი აქვთ და სხვ. საერთოდ რომ ითქვას, «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნების მკვეთრი განსაზღვრა უსათუოდ საჭიროა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მოყვანილ განსაზღვრას ის ნაკლი აქვს, რომ იგი მეტისმეტად არაზუსტი, გაურკვეველი და ბუნ-დოვანია. მასში აღნიშნულია შემდეგი ნიშნეულობანი იმ სა-წარმოებისა, რომლებიც «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკა-ში უნდა იქნან აღნუსხულნი: 1) საწარმოს ყოფნა საფაბრიკო ინსპექციის გამგებლობაში. როგორც ჩანს, ამის მიხედვით გა-ძოირიცხებიან სახაზინო საწარმოები და სხვ., სამთამადნო ქარხნები და სხვ. მაგრამ «ნუსხაში» შეტანილია მრავალი სა-ხაზინო და სახელმწიფო ფაბრიკა (იხ. ანბანური სია, გვ. 1—2), და ჩვენ არ ვიცით, ხდებოდა თუ არა მათი რეგისტრაცია ყვე-ლა გუბერნიაში, ექვემდებარებოდნენ თუ არა მონაცემები ამ ფაბრიკების შესახებ საფაბრიკო ინსპექციის მხრივ შემოწმე-ბას და სხვ. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ვიდრე ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა არ განთავისუფლდება იმ სხვადასხვა «უწყების» აბლაბუდისაგან, რომელთაც სხვადასხვა სამრეწველო საწარმო ეკუთვნის,—მანამდე ის ა რ შ ე ი ძ-ლ ე ბ ა ი ყ ო ს დამაკმაყოფილებელი: უწყებათა მიჯნები ხშირად ერთმანეთში ირევიან, ცვლილებას განიცდიან; სხვა-დასხვა უწყების მიერ თვით ერთნაირი პროგრამების გამოყენე-ბაც კი არასოდეს ერთნაირი არ იქნება. საქმის რაციონალურად დაყენება აუცილებლად მოითხოვს ყველა სამრეწველო საწარ-მოს ცნობების თავმოყრას ერთ წმინდა სტატისტიკურ დაწე-სებულებაში, რომელიც გულდასმით უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს მონაცემების შეგროვების და დამუშავების წესების ერთნაირობას. სანამ ეს ასე არაა, საჭიროა უაღრესი სიფრთხი-ლით მოვეპყრათ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონა-

ცემებს, რომლებიც (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გუბერნიაში) ხან შეიცავენ, ხან გამორიცხავენ «სხვა უწყების» საწარმოებს. მაგალითად, სამთამადნო ქარხნები უკვე დიდი ხანია აღარ შეაქვთ ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორლოვის «მაჩვენებლის» უკანასკნელ გამოცემაში ცოტა როდია შეტანილი სამთამადნო ქარხნები (რელსების თითქმის მთელი წარმოება, იეევსკის და ვოტკინსკის ქარხნები ვიატკის გუბერნიაში და სხვ.), რომლებსაც არ აღნიშნავს «ნუსხა», თუმცა ზოგიერთ სხვა გუბერნიაში აღრიცხავს ისეთ სამთამადნო ქარხნებს, რომლებიც წინათ «საფაბრიკო-საქარხნო» სტატისტიკაში აღნიშნული არ იყვნენ (მაგ., სიმენსის სპილენძსადნობი ქარხანა ელისავეტპოლის გუბერნიაში, გვ. 330). «ნუსხის» «შესავლის» VIII განყოფილებაში აღნიშნულია რკინის, თუჯსადნობი, თუჯ- და სპილენძსასხმელი და სხვ. წარმოება (გვ. III), მაგრამ სრულიად არაა აღნიშნული, თუ როგორ გამოყოფდნენ სამთამადნო ქარხნებს ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტისადმი «დაქვემდებარებული» ქარხნებისაგან. 2) რეგისტრაცია ეხება მხოლოდ სამრეწველო საწარმოებს. ეს ნიშანდობლიობა სრულიადაც არაა ისე ცხადი, როგორც პირველი შეხედვით ჩანს: ხელოსნურ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გამოყოფა მოითხოვს დაწვრილებითსა და გარკვეულ წესებს, რომლებიც თვითეულ წარმოებასთან შეფარდებით უნდა იყოს შედგენილი. ამ წესების უქონლობით გამოწვეული არევ-დარევის მაგალითებს ჩვენ უხვად ვნახავთ ქვემოთ. 3) საწარმოში მუშათა რიცხვი 15-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. გაურკვეველია, მხოლოდ საწარმოს მუშები ითვლებიან თუ გარეშე მუშებიც; განმარტებული არაა, როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან (არც ესაა ადვილი საკითხი), დამხმარე მუშებიც ჩავთვალოთ თუ არა და სხვ. ბ-ნ მიკულინს თავის ზემოხსენებულ წიგნში მოჰყავს ამ გაურკვევლობიდან გამომდინარე არევ-დარევის მაგალითები. «ნუსხაში» მოყვანილია ძრავალი ისეთი საწარმო, რომელსაც მუშები ჰყავს მხოლოდ გარეთ, საწარმოს გარეთ. თავისთავად იგულისხმება,

რომ ყველა ამგვარი საწარმოს (ე. ი. სამუშაოს დამრიგებელი ყველა მაღაზიის, ეგრეთწოდებულ შინასამრეწველო სარეწებში სამუშაოს ყველა მიმცემის) აღნუსხვის ცდა ცნობების შეკრების თანამედროვე სისტემის პირობებში მხოლოდ ღიმილს იწვევს, ხოლო ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ზოგიერთი გუბერნიისა და ზოგიერთი წარმოების მიხედვით მნიშვნელობას მოკლებულია და მხოლოდ არევ-დარევას იწვევს. 4) «ფაბრიკებსა და ქარხნებს» მიეკუთვნება ყველა საწარმო, რომელსაც ორთქლის ქვაბი ან ორთქლის მანქანა აქვს. ეს ნიშნეულობა ყველაზე ზუსტია და ყველაზე მოხერხებულად ამორჩეული, რადგან ორთქლის გამოყენება მართლაც დამახასიათებელია მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის განვითარებისთვის. 5) «ფაბრიკებსა და ქარხნებს» მიეკუთვნება ის საწარმოები, რომელთაც აქვთ «სხვა» (არაორთქლის) «მექანიკური ძრავები». ეს ნიშნეულობა მეტად არაზუსტი და უზომოდ ფართოა: ამ ნიშნეულობის საფუძველზე ფაბრიკების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ წყლის, ცხენის, ქარის ძრავებისა და თვით წონა-ძრავას მქონე საწარმოებიც კი. რადგან ყველა ამგვარ საწარმოს სრულ რეგისტრაციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს აბნეულობა, რის მაგალითებსაც ჩვენ ახლავე დავინახავთ. 6) «ფაბრიკებსა და ქარხნებს» მიკუთვნებული არიან ისეთი საწარმოები, რომელთაც «საქარხნო და საფაბრიკო მოწყობილობანი» აქვთ. ეს უკანასკნელი, აბსოლუტურად გაურკვეველი და ბუნდოვანი ნიშნეულობა სპობს ყველა წინა ნიშნეულობის მნიშვნელობას და გარდუვალად ხდის მონაცემების ქაოსურობასა და შეუსადარობას. სხვადასხვა გუბერნიაში ამ განსაზღვრას აუცილებლად სხვადასხვანაირად გაიგებენ, და მერე რა განსაზღვრაა ეს? ფაბრიკა ან ქარხანა ეწოდება ისეთ საწარმოს, რომელსაც საფაბრიკო ან საქარხნო მოწყობილობანი აქვს... ასეთია ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის უახლესი სისტემის უკანასკნელი სიტყვა. საკვირველი როდია, რომ ეს სტატისტიკა ასე არადამაკმაყოფილებელია. მოვიყვანოთ მაგალითები «ნუსხის» ყველა განყოფილებიდან, რათა ცხადვყოთ, თუ;

ცალკეულ გუბერნიებსა და ცალკეულ წარმოებებში როგორ აღრიცხავენ უაღრესად წვრილ საწარმოებს, რომელთაც არევ-დარევა შეაქვთ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში, ვინაიდან ყველა ასეთი საწარმოს ჩამოთვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. აი განყოფილება I: «ბამბის დამუშავება». 10—11 გვერდზე ვხვდებით ხუთ «ფაბრიკას», რომელიც იმყოფება ვლადიმირის გუბერნიის სოფლებში და სასყიდელს ილებს სხვისი ნართისა და ხამის (sic! *) შეღებვაში. წარმოების ჯამის ნაცვლად აღნიშნულია შეღებვის ფასი 10 მანეთიდან (?) 600 მანეთამდე და მუშების რიცხვი 0-დან (არ ვიცით: ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოიპოვება ცნობები მუშების რიცხვის შესახებ თუ იმას, რომ არ არიან დაქირავებული მუშები) 3-მდე. ძრავები არავითარი არა აქვთ. ესაა გლეხთა სამღებროები, ე. ი. სრულიად პრიმიტიული ხელოსნური საწარმოები, შემთხვევით აღრიცხულნი ერთს გუბერნიაში და, რასაკვირველია, გამოტოვებულნი სხვა გუბერნიებში. II განყოფილებაში (მატყლის დამუშავება) იმავე ვლადიმირის გუბერნიაში გვხვდება ხელის «ფაბრიკები», რომლებიც სხვის მატყლს ჰენტავენ 12—48 მანეთად წელიწადში და რომელთაც ჰყავთ 0—1 მუშა. აი აბრეშუმის ფაბრიკა (განყ. III, № 2517) სოფლად, 3 მუშით, 660 მან. წარმოების ჯამით, ხელისა. აი კიდევ სოფლის სამღებროები იმავე ვლადიმირის გუბერნიაში, 0—3 მუშით, ხელისა, ხამის დამუშავებაში ღებულობენ 150—550 მან. (განყ. IV, სელის დამუშავება, გვ. 141). აი ჭილოფის «ფაბრიკა» (განყ. V) 6 მუშით, 921 მან. წარმოების ჯამით, ხელისა (№ 3936), პერმის გუბერნიაში. სხვა გუბერნიებშიც (მაგ., კოსტრომისა) ასეთივე საწარმოები, რასაკვირველია, ცოტა როდია, მაგრამ მათ ფაბრიკებად არ სთვლიდნენ. სტამბა (განყ. VI) 1 მუშით, 300 მან. წარმოებით (№ 4167): სხვა გუბერნიებში სათვალავში აგდებდნენ მხოლოდ დიდ სტამბებს, ზოგიერთებში კი სტამბებს სრულიად არ აღრიცხავდნენ. ხე-ტყის «ქარხანა» 3 მუშით, ტკეჩების გამზადების-

* — ასე! რედ.

თვის ახდევინებენ 100 მან. (განყოფ. VII, № 6274). აი ლითონების დამამუშავებელი ქარხანა (განყ. VIII) 3 მუშით, ხელისა, 575 მან. წარმოებით (№ 8962). IX განყოფილებაში (მინერალური პროდუქტების დამუშავება) ძალიან ბევრი მეტად წვრილი საწარმოა, განსაკუთრებით აგურის ქარხნები, მაგალითად, 1 მუშით, 48 — 50 მან. წარმოებით და სხვ. X განყოფილებაში (ცხოველთა პროდუქტების დამუშავება) — ქონის სანთლის, ტყაპუჭის, ტყავის და სხვ. წვრილი საწარმოები, ხელისა, 0 — 1 — 2 მუშით, რამდენიმე ასეული მანეთის წარმოებით (გვ. 489, 507 და სხვ.). მაგრამ წმინდა ხელოსნური ტიპის წვრილი საწარმოები ყველაზე მეტია XI განყოფილებაში (საკვებ ნივთიერებათა დამუშავება), ზეთსახდელ და განსაკუთრებით საფქვავ წარმოებაში. სწორედ ამ უკანასკნელ წარმოებაშია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი «ქარხნების» მკვეთრი გამიჯვნა წვრილი საწარმოებისაგან, მაგრამ აქამდე ეს არ მომხდარა, და ყველა ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკურ გამოცემაში სრული ქაოსია გამეფებული. საფაბრიკო-საქარხნო ტიპის საფქვავი მრეწველობის სტატისტიკის მოწესრიგება სცადა საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტების მდივანთა პირველმა ყრილობამ (1870 წლის მაისში) *, მაგრამ ეს ამაო დარჩა, და მას შემდეგ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის შემდგენელნი თითქოს სრულიად არ ფიქრობენ იმ მონაცემების სრულ უვარგისობაზე, რომლებსაც ისინი ბეჭდავენ. «ფაბრიკებისა და ქარხნების» რიცხვში «ნუსხას» შეუტანია, მაგალითად, ქარის წისქვილები 1 მუშით, სამუშაო ქირით 0-დან 52 მანეთამდე და სხვ. (გვ. 587, 589 და მრავ. სხვ.), წყლის ერთბორბლიანი წისქვილები, 1 მუშით, სამუშაო ქირით 34 — 80 მან. და სხვ. (გვ. 589 და მრავ. სხვ.) და ა. შ. რასაკვირველია, ასეთი «სტატისტიკა» პირდაპირ სასაცილოა, ვინაიდან ასეთი წისქვილების სიით შეიძლებოდა კიდევ ერთი და რამდენიმე ტომიც კი გაგვევსო და სრული

* ყრილობამ შეადგინა მრეწველობის შესახებ ცნობების შეკრების წესების პროექტი; ამ პროექტის მიხედვით ფაბრიკებს რიცხვში არ შედიოდა ის წისქვილები, რომელთაც 10-ზე ნაკლები თვალი ჰქონდათ, მაგრამ ეს არ ეხებოდა სუფთად მფქველ წისქვილებს. «Стат. врем.». სერია II, ნაკვ. 6, შესავალი, გვ. XIII.

ნუსხა მაინც არ გვქონოდა. ქიმიურ წარმოებათა განყოფილებაშიც კი (XII) მოხვედრილა წვრილი საწარმოები, მაგალითად, სოფლის ფისსახდელნი 1—3 მუშით, 15—300 მან. წარმოებით (გვ. 995 და სხვ.). ასეთი ხერხების გამოყენებით შეიძლება მივიდეთ ისეთ «სტატისტიკამდეც», რომელიც 1860-იან წლებში მოგვცა ცნობილმა «Военно-статистический сборник»-მა, რომლის მიხედვით ევროპის რუსეთში ითვლებოდა ფისისა და კუპრის 3 086 «ქარხანა», მათ რიცხვში 1 450 არხანგელსკის გუბერნიაში (4 202 მუშით და 156 274 მან. წარმოებით, ე. ი. საშუალოდ ქარხანაზე მოდიოდა 3-ზე ნაკლები მუშა და 100 მანეთზე ცოტა მეტი). თითქოს განგებ, «ნუსხის» ამ განყოფილებაში სწორედ არხანგელსკის გუბერნია სრულიად არაა მოხსენებული: ალბათ, გლეხები იქ ახლა ფისს აღარა ხდიან და კუპრს აღარ ამზადებენ! უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენს მიერ მოხსენებულ მაგალითში აღრიცხულია ისეთი საწარმოები, რომლებიც არ უდგებიან 1895 წლის 7 ივნისის ცირკულარის განმარტებებს. ამიტომ მათი რეგისტრაცია ს ა ვ ს ე ბ ი თ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ა: ზოგიერთ გუბერნიაში (შეიძლება მაზრაშიც კი) მათ სათვალავში აგდებდნენ, უმეტესობაში გამოტოვებდნენ ხოლმე. წინანდელ (1885 წლიდან) სტატისტიკაში ასეთ საწარმოებს სათვალავში არ აგდებდნენ, როგორც ისეთებს, რომელთაც 1 000 მანეთისაზე ნაკლები წარმოება აქვთ.

ბ-ნი კარიშევი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ამ ძირითად საკითხში სრულიად ვერ გაერკვა, მაგრამ იგი მაინც არ მოერიდა მის მიერ ნაანგარიშევი ციფრებიდან «დასკვნები» გაეკეთებინა. პირველი ამ დასკვნებიდან ისაა, რომ ფაბრიკების რიცხვი რუსეთში მცირდება (გვ. 4 და სხვ.). ამ დასკვნის მისაღებად ბ-ნი კარიშევი სულ უბრალოდ მოიქცა: აიღო 1885 წლის ფაბრიკათა რიცხვი ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით (17 014) და მას გამოაკლო ევროპის რუსეთის ფაბრიკათა რიცხვი, «ნუსხაში» აღნიშნული (14 578). აღმოჩნდა შემცირება 14,3%-ით — ბ-ნი პროფესორი პროცენტის რაოდენობასაც კი ანგარიშობს, არ

ერიდება რა იმას, რომ 1885 წლის მონაცემებში შეტანილი არაა სააქციზო ქარხნები; ის კმაყოფილდება შენიშვნით, რომ სააქციზო საწარმოების მიმატება ფაბრიკების რიცხვის «შემცირებას» გააძლიერებდა. და ავტორიც იწყებს იმის განხილვას, თუ რუსეთის რომელ ნაწილში «უფრო სწრაფად» ხდება ეს «პროცესი საწარმოთა რიცხვის შემცირებისა» (გვ. 5). ნამდვილად კი შემცირების არავითარი პროცესი არ ხდება, ფაბრიკათა რიცხვი რუსეთში კი არ მცირდება, არამედ იზრდება, ხოლო ბ-ნ კარიშევის მიერ შეთხზული დასკვნა იქიდან წარმოსდგა, რომ სწავლული პროფესორი ერთმანეთს ადარებს სრულიად შეუდარებელ მონაცემებს *. და ეს შეუსადარობა წარმოსდგება სრულიად არა იმისგან, რომ 1885 წლისათვის არ მოიპოვება ცნობები სააქციზო ქარხნების შესახებ. ბ-ნ კარიშევს შეეძლო ისეთი ციფრებიც აეღო, რომლებიც შეიცავენ სააქციზო ქარხნებს (ორლოვის უკვე მოხსენებული «მაჩვენებლიდან», რომელიც შედგენილია ვაჭრ. და მანუფ. დეპარტამენტის იმავე უწყებების მიხედვით), მას შეეძლო ამნაირად ევროპის რუსეთში «ფაბრიკათა» რიცხვი გაერკვია 1879 წლისათვის **27 986**, 1884 წლისათვის **27 235**, 1890 წლისათვის **21 124**, და «შემცირებაც» 1894/95 წლისათვის (14 578) გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ყველა ეს ციფრი შესადარებლად ვერ გამოდგება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ცნება «ფაბრიკა» საფაბრიკო სტატისტიკის ძველსა და ახლანდელ გამოცემებში ერთნაირი როდია, მეორეც, იმიტომ, რომ «ფაბრიკათა» რიცხვში შემთხვევით და უწესრიგოდ ხვდებიან (ზოგიერთ გუბერნიაში, ზოგიერთი წლის ცნობებში) უაღრესად წვრილი საწარმოები, რომელთა სრულ რეგისტრაციაზე ჩვენი სტატისტიკის

* 1889 წელს ბ-ნი კარიშევი იღებდა («იურიდიჩესკი ვესტნიკ» № 9) 1885 წლის მონაცემებს ბბ. გუბერნატორების უქვეშევრდომილესი ანგარიშებიდან; ამ მონაცემებში შეტანილი იყო ათასობით ფრიად პატარა წისქვილები, ხეთსახდელები, აგურის, სამეთუნეო, ტყავის, ტყაპუჭისა და შინამრეწველობის სხვა საწარმოები; და ასე განსაზღვრავდა ბ-ნი კარიშევი «ფაბრიკათა» რიცხვს ევროპის რუსეთში 62 801 რაოდენობით! გვაკვირვებს, რატომ მოხდა, რომ მან ფაბრიკების ახლანდელი რიცხვის «შემცირების» პროცენტიც არ გამოიანგარიშა ამ რიცხვთან შედარებით.

არსებულ საშუალებათა პირობებში ფიქრიც კი სასაცილო იქ-ნებოდა. მაგალითად, ბ-ნი კარიშევი რომ გარჯილიყო და გაერკვია როგორ განსაზღვრავს «ნუსხა» «ფაბრიკას», დაი-ნახავდა, რომ ამ გამოცემის ფაბრიკათა რიცხვის შესა-დარებლად სხვა გამოცემების ფაბრიკათა რიცხვთან საჭ ი რ ო ა აღ ე ბ ულ იქ ნ ას მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მ ხ ო-ლ ო დ ი ს ე თ ი ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი, რ ო მ ე ლ თ ა ც 15 და მ ე ტ ი მ უ შ ა ჰ ყ ა ვ თ, რადგან მ ხ ო ლ ო დ ა მ გ ვ ა რ საწარმოებს აღრიცხავდა «ნუსხა» სრულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ყველა გუბერნიასა და ყველა წარმოებაში. ვინაიდან ამგვარი საწარმოები ეკუთვნიან შედარებით დიდ საწარმოთა რიცხვს, მათი რეგისტრაცია წინანდელ გამოცემებ-შიც ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელია. რაკი ამნაირად უზრუნველვყოფთ შესადარებელი მონაცემების ერთნაირობას, გამოვიანგარიშოთ ევროპის რუსეთის ფაბრიკათა რიცხვი 16 *-ს და მეტი მუშით 1879 წლის «მაჩვენებლის» მიხედვით და 1894/95 წლის «ნუსხის» მიხედვით. მივიღებთ შემდეგ საყურადღებო ციფრებს:

წ ყ ა რ ო ე ბ ი	წლები	ს უ ლ	ევროპის რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი: 16 და მეტი მუშით	16-ზე ნაკლები მუშით
«მაჩვენებელი», 1-ლი გამოცემა	1879	27 986**	4 551	23 435
» მე-3 »	1890	21 124	6 013	15 111
«ნუსხა»	1894/95	14 578	6 659	7 919
			უსტამბოდ კი 6 372	

ამნაირად, იმ რიცხვთა შედარება, რომელნიც შეიძლება და-ახლოებით ერთგვაროვან, ურთიერთშესადარ და სრულ-რიცხვებად მივიჩნიოთ, გვიჩვენებს, რომ რ უ ს ე თ შ ი ფ ა ბ-რ ი კ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი ი ზ რ დ ე ბ ა და მასთან საკმაოდ

* ჩვენ ვიღებთ 16 და არა 15 მუშას ნაწილობრივ იმიტომ, რომ იმ ფაბრიკების შეჯამება, რომელთაც 16 და მეტი მუშა ჰყავთ, უკვე გაკეთებულია 1890 წლის «მაჩვენებელში» (გამოც. მე-3, გვ. X), ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ფინანსთა სამინისტროს განმარტე-ბებში ზოგჯერ ამ ნორმას იღებენ [იხ. კობელიაცი, l. c. (loco citato—ციტირებულ ადგილას. რ ე დ.), გვ. 14].

** ზოგიერთი ცნობა, რომელიც ხელთ არ გვქონდა, შევსებულია დაახლოებით: იხ. «მაჩვენებელი», გვ. 695.

სწრაფადაც: 15 — 16 წლის განმავლობაში (1879 — 1894/95) 4,5 ათასიდან 6,4 ათასამდე გაიზარდა, ე. ი. 40%-ით (1879 და 1890 წლებში სტამბები ფაბრიკების რიცხვში არ ითვლებოდნენ). ხოლო რაც შეეხება ისეთ საწარმოთა რიცხვს, რომლებსაც 16-ზე ნაკლები მუშა ჰყავთ, მათი ერთმანეთთან შედარება აღნიშნულ წლებში უ ა ზ რ ო ბ ა იქნებოდა, იმიტომ რომ ყველა ამ გამოცემაში მიღებულია «ფაბრიკის» სხვადასხვანაირი განსაზღვრა, წვრილ საწარმოთა გამორიცხვის სხვადასხვა სისტემა. 1879 წელს ა რ ც ე რ თ ი წვრილი საწარმო არ გამორიცხულა; ა მ ი ს გ ა მ ო სოფლის მეურნეობასთან და გლეხთა სარეწებთან დაკავშირებულ წარმოებებში (საფქვავი, ზეთსახდელი, აგურის, ტყავის, სამეთუნეო და სხვ.) ითვლებოდა მრავალი ფრიად წვრილი საწარმო, რომლებიც მერმინდელ გამოცემებში აღარ შეუტანიათ. 1890 წელს უკვე აღარ შეჰქონდათ ზოგიერთი წვრილი საწარმო (1 000 მანეთზე ნაკლები წარმოების ჯამით); ამის გამო წვრილი «ფაბრიკებიც» ნაკლებია. ბოლოს, 1894/95 წელს აღარ შეჰქონდათ მრავალი ისეთი საწარმო, სადაც 15-ზე ნაკლები მუშა ითვლებოდა, რის გამო წვრილი «ფაბრიკების» რიცხვი უცებ თითქმის ერთი-ორად შემცირდა 1890 წელთან შედარებით. 1879 და 1890 წლების ფაბრიკათა რიცხვი შეიძლება ურთიერთშესადარი გავხადოთ სხვა წესითაც, თუ გამოვყოფთ ისეთ საწარმოებს, რომელთაც აქვთ წარმოება არანაკლებ 2 ათასი მანეთისა. საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ჯამი «მაჩვენებლისა» ეხება ყველა საწარმოს, რომელთა რეგისტრაცია წარმოებს, მაშინ როდესაც «მაჩვენებელს» ფაბრიკათა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ს ი ა ში შეჰქონდა მხოლოდ ის საწარმონი, რომელთაც აქვთ წარმოება არანაკლებ 2 ათასი მანეთისა. ამგვარ საწარმოთა რიცხვი შეიძლება მივიჩნიოთ დაახლოებით შესადარად (თუმცა ჩვენი სტატისტიკის ახლანდელი მდგომარეობის პირობებში ასეთ საწარმოთა სრული სიის შედგენა ყოვლად შეუძლებელია), ოღონდ საფქვავის წარმოების გამოკლებით. ამ წარმოებაში რეგისტრაციას სხვა-

დასხვა გუბერნიასა და სხვადასხვა წლებში სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვს «მაჩვენებელშიც» და ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტის «კრებულშიც». ერთ გუბერნიაში «ფაბრიკებს» აკუთვნებენ მხოლოდ ორთქლის წისქვილებს, მეორეში მათ უმატებენ წყლის უდიდეს წისქვილებს, ძესამეში სათვალავში შეაქვთ ასეული ქარის წისქვილები, მეოთხეში — თვით ცხენისა და წონა-ძრავას წისქვილებიც და სხვ. წარმოების ჯამის შეზღუდვა სრულიადაც ვერ სპობს ქაოსს ქარხნის ტიპის წისქვილების სტატისტიკაში, იმიტომ რომ წარმოების ჯამის ნაცვლად აქ იღებენ ფქვილის რაოდენობას, რომელიც ძალიან წვრილ წისქვილებშიც 2 ათას ფუთზე მეტს შეადგენს წლიურად. ამიტომ იმ წისქვილთა რიცხვი, რომლებიც საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში ხვდებიან, რეგისტრაციის წესთა არაერთგვარობის გამო არაჩვეულებრივ ნახტომებს აკეთებს წლების მიხედვით. მაგალითად, «კრებული» 1889, 1890 და 1891 წლებში ევროპის რუსეთში ითვლიდა 5 073, 5 605 და 5 201 წისქვილს. ვორონეჟის გუბერნიაში წისქვილთა რიცხვი 87-დან 1889 წელს ერთბაშად ავიდა 285-მდე 1890 წელს და 483-მდე 1892 წელს იმის გამო, რომ მათ შემთხვევით ქარის წისქვილებიც მიათვალეს. დონის ოლქში წისქვილთა რიცხვი 59-დან 1887 წელს ავიდა 545-მდე 1888 წელს და 976-მდე 1890 წელს, ხოლო შემდეგ 685-მდე დაეცა 1892 წელს (ვინაიდან ქარის წისქვილებს ხან ითვლიდნენ, ხან არა) და სხვ. და სხვ. ცხადია, ასეთი მონაცემებით სარგებლობა შეუწყნარებელია. ამიტომ ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ორთქლის წისქვილებს, ვუერთებთ მათ დანარჩენ წარმოებათა ისეთ საწარმოებს, რომელთა წარმოების ჯამი 2 ათას მანეთისაზე ნაკლები არაა და ვღებულობთ ფაბრიკათა რიცხვს ევროპის რუსეთში 1879 წლისთვის დაახლოებით 11½ ათასს, ხოლო 1890 წლისთვის — დაახლოებით 15½ ათასს *. მაშა-

* «ნუსხის» ონაცემების მიხედვით შესაფერისი ციფრის მიღება შეუძლებელია, ჯერერთი, იმიტომ, რომ იქ უკუგდებულია მრავალი საწარმო 2 ათასი მანეთისა და მეტის წარმოებით, რადგან მათში 15-ზე ნაკლები მუშაა. მეორე, იმიტომ, რომ «ნუსხა» წარმოების ჯამს ანგარიშობდა უაქციზოდ (წინარდელი სტატისტიკისაგან განსხვავებით). მესამე, იმიტომ, რომ «ნუსხა» ზოგჯერ ანგარიშობდა არა წარმოების ჯამს, არამედ ნედლი მასალის დამუშავების ქირას.

სადამე, აქაც კვლავ ვხედავთ ფ ა ბ რ ი კ ა თ ა რ ი ც-ხ ვ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ს და არა ბ-ნ კარიშევის მიერ შეთხზულ შემცირებას. ბ-ნ კარიშევის თეორია რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში «საწარმოთა რიცხვის შემცირების პროცესის» შესახებ წმინდა წყლის ზღაპარია, დამყარებული მეტი რომ არა ვთქვათ, იმ მასალის არასაკმაო ცოდნაზე, რომლის დამუშავებაც მას უკისრნია. ბ-ნი კარიშევი რუსეთის ფაბრიკათა რიცხვზე ლაპარაკობდა ჯერ კიდევ 1889 წელს («იურ. ვესტ.», № 9); ის ერთმანეთს ადარებდა სრულიად უვარგის ციფრებს, აღებულს ბბ. გუბერნატორთა უქვეშევრდომილესი ანგარიშებიდან და დაბეჭდილს «Сборник сведений по России за 1884 — 1885 гг.»-ში (სპბ. 1887. ცხრ. XXXIX), და «Военно-статистический сборник»-ის (ნაკვ. IV, სპბ. 1871) კურიოზულ ციფრებს, ხოლო «В.-стат. сборник»-ი «ფაბრიკების» რიცხვს აკუთვნებდა ათასობით ფრიად წვრილ ხელოსნურ და შინამრეწველობის საწარმოებს, ათასობით თამბაქოს პლანტაციებს (sic! იხ. «В.-стат. сборник»-ის 345 და 414 გვ. ბესარაბიის გუბერნიის თამბაქოს «ფაბრიკების» შესახებ), ათასობით სასოფლო-სამეურნეო წისქვილებს, ზეთსახდელებს და სხვ. და სხვ. საკვირველი როდია, რომ «В.-стат. сборник»-მა ამრიგად 1866 წელს ევროპის რუსეთში იანგარიშა 70 ათასზე მეტი «ფაბრიკა». საკვირველი ისაა. რომ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც იმდენად უყურადღებოდ და უკრიტიკოდ ეპყრობა ყოველგვარ ნაბეჭდ ციფრს, რომ საფუძვლად უდებს მას თავის გამოანგარიშებას *.

აქ პატარა გადახვევაა საჭირო. ბ-ნ კარიშევს ფაბრიკათა რიცხვის შემცირების თავის თეორიიდან გამოჰყავს დასკვნა

* ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ უკვე ცხადჰყო, საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვის საკითხზე, «В.-стат. сборник»-ის მონაცემების სრული უვარგისობა (იხ. მისი წიგნი «Фабрика и т. д.». სპბ. 1898, გვ. 336 და შემდ., აგრეთვე «Мир Божий» [2], 1898, № 4); ბ-ნნი ნ. —ონიც [3] და კარიშევიც მის პირდაპირ გამოწვევას დუმილით უპასუხებენ. მათ მართლაც დუმილის მეტი არაფერი დარჩენიათ.

მრეწველობის კონცენტრაციის პროცესის არსებობის შესახებ. თავისთავად ცხადია, მისი თეორიის უარყოფით ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ ამ დასკვნას, საქმე მხოლოდ ისაა, რომ მას ბ-ნი კარიშევი არასწორად ამტკიცებს. ამ პროცესის არსებობის დასამტკიცებლად საჭიროა გამოიყოს უდიდესი საწარმოები. ავიღოთ, მაგალითად, საწარმოები, რომელთაც 100 და მეტი მუშა ჰყავთ. თუ ერთმანეთს შევადარებთ ასეთ საწარმოთა რიცხვს, ამ საწარმოთა მუშების რიცხვსა და წარმოების ჯამს და მონაცემებს ყველა საწარმოს შესახებ, მივიღებთ ასეთს პატარა ცხრილს:

იხ. შენიშვნა *	1879 წელი			1890 წელი			1894/95 წელი		
	რიცხვი		წარმოების ჯამი ათას მან.	რიცხვი		წარმოების ჯამი ათას მან.	რიცხვი		წარმოების ჯამი ათას მან.
	ფაბრიკებისა	მუშები		ფაბრიკებისა	მუშებისა		ფაბრიკებისა	მუშებისა	
ყველა «ფაბრიკა და ქარხანა» . . .	27 986	763 152	1 148 134	21 124	875 764	1 500 871	14 578	885 555	1 345 346
საწარმონი, რომელთაც 100 და მეტი მუშა ჰყავთ . . .	1 238	509 653	629 926	1 431	623 146	858 588	1 468	655 670	955 233
% ჯამისადმი .	—	66,8%	54,8%	—	71,1%	57,2%	—	74 %	70,8%

ამ პატარა ცხრილიდან ჩანს, რომ ძალიან დიდ საწარმოთა რიცხვი იზრდება, იზრდება აგრეთვე მათი მუშათა რიცხვიც და წარმოების ჯამიც, რაც ოფიციალურად რეგისტრირებუ-

* წყაროები იგივეა. 1879 წლის ზოგიერთი მონაცემი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შევსებულია დაახლოებით. «მაჩვენებლისა» და «ნუსხის» საერთო მონაცემები ურთიერთ შესადარი არაა, მაგრამ ჩვენ აქ ვადარებთ მხოლოდ პროცენტებს მუშათა საერთო რიცხვისა და წარმოების საერთო ჯამისადმი, ამ მონაცემთა შეჯამებანი კი ბევრად უფრო სარწმუნოა (როგორც ქვევით ვილაპარაკებთ), ვიდრე მონაცემები ფაბრიკათა საერთო რიცხვის შესახებ. დიდ საწარმოთა გამოანგარიშება ამოღებულია თხზულებიდან «კაპიტალიზმი რუსეთში», რომელსაც ამ სტრიქონების დამწერი დასაბეჭდად ამზადებს [4].

ლი «ფაბრიკებისა და ქარხნების» მუშათა მთელი რიცხვისა და წარმოების მთელი ჯამის სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს შეადგენს. შეიძლება ვინმემ გვითხრას, თუ მრეწველობის კონცენტრაცია ხდება, მაშასადამე, დიდი საწარმოები აძევებენ წვრილებს და უკანასკნელთა რიცხვი მცირდება, და, მაშასადამე, მცირდება ყველა საწარმოს რიცხვიცო. მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს უკანასკნელი დასკვნა ეხება უკვე არა მარტო «ფაბრიკებსა და ქარხნებს», არამედ ყველა სამრეწველო საწარმოს, რომელთა შესახებ ჩვენ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ, რადგან არ მოგვეპოვება სამრეწველო საწარმოთა ოდნავ მაინც სარწმუნო და სრული სტატისტიკა. მეორე, წმინდა თეორიული თვალსაზრისითაც, a priori *, არ შეიძლება ითქვას, რომ განვითარების გზაზე მდგარ კაპიტალისტურ საზოგადოებაში უსათუოდ და მუდამ უნდა მომხდარიყო სამრეწველო საწარმოთა რიცხვის შემცირება, ვინაიდან მრეწველობის კონცენტრაციის პროცესთან ერთად მიმდინარეობს მიწათმოქმედებისგან მოსახლეობის ჩამოშორების პროცესი, ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებში ნახევრადნატურალური გლეხური მეურნეობის რღვევის გამო წვრილ სამრეწველო საწარმოთა ზრდის პროცესი და სხვ. **.

დავუბრუნდეთ ბ-ნ კარიშევს. ყველაზე ნაკლებ სარწმუნო მონაცემებს (სახელდობრ მონაცემებს «ფაბრიკებისა და ქარხნების» რიცხვის შესახებ) ის თითქმის ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს. ის ჯგუფებად ჰყოფს გუბერნიებს «ფაბრიკათა» რიცხვის მიხედვით, ადგენს კარტოგრამას ამ ჯგუფების აღნიშვნით, ადგენს იმ გუბერნიების ცალკე ცხრილს, სადაც წარმოებათა თვითეულ დარგში «ფაბრიკათა» ყველაზე მეტი რიცხვია (გვ. 16 — 17); ანგარიშობს გუბერნიის მიხედვით ფაბ-

* — წინასწარ. რედ.

** მაგალითად, 1894/95 წლის «შინამრეწველობის აღწერამ» პერმის გუბერნიაში ცხადჰყო, რომ რეფორმისშემდგომ ხანაში სოფლად ყოველ ათწლედში სულ უფრო და უფრო მეტი წვრილი სამრეწველო საწარმოები არსდება. იხ. «Обзор Пермского края. Очерк состояния кустарной промышленности в Пермской губ.». პერმი, 1896.

რიკათა რიცხვის პროცენტებს ფაბრიკათა საერთო რიცხვის მიმართ (გვ. 12 — 15). ბ-ნ კარიშევს ამასთანავე დაავიწყდა ერთი წვრილმანი: მას დაავიწყდა დაესვა კითხვა: ა რ ი ს თ უ ა რ ა უ რ თ ი ე რ თ შ ე ს ა დ ა რ ი ფ ა ბ რ ი კ ა თ ა რ ი ც ხ ვ ე ბ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ უ ბ ე რ ნ ი ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ? ეს კითხვა უარყოფითად უნდა გადაწყდეს, და, მაშასადამე, ბ-ნ კარიშევის გამოანგარიშებათა, შეფარდებათა და მსჯელობათა მეტი ნაწილი უნდა მიეკუთვნოს გულუბრყვილო სტატისტიკურ ვარჯიშობათა სფეროს. ბ-ნი პროფესორი რომ გასცნობოდა «ფაბრიკისა და ქარხნის» განსაზღვრას 1895 წლის 7 ივნისის ცირკულარის მიხედვით, ადვილად მიხვდებოდა, რომ ესოდენ ბუნდოვანი განსაზღვრა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ერთნაირად გამოყენებულ იქნას სხვადასხვა გუბერნიაში; ასეთსავე დასკვნამდე მივიდოდა ის, თვით «ნუსხას» რომ მეტი ყურადღებით გასცნობოდა. მოვიყვანოთ მაგალითები. საწარმოთა რიცხვის მიხედვით XI განყოფილებაში (საკვებ პროდუქტთა დამუშავება; ამ ჯგუფში ფაბრიკათა რიცხვი ყველაზე მეტია) ბ-ნი კარიშევი გამოჰყოფს ვორონეჟის, ვიატკის, ვლადიმირის გუბერნიებს (გვ. 12). მაგრამ ამ გუბერნიებში «ფაბრიკებისა და ქარხნების» სიუხვე უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ სწორედ ამ გუბერნიებში ს რ უ ლ ი ა დ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ აღრიცხულ იქნენ ისეთი წვრილი საწარმოები, რომლებიც სათვალავში არ მიუღიათ სხვა გუბერნიებში. მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიაში მრავალი «ქარხანა» სწორედ იმიტომ აღმოჩნდა, რომ აქ ჩათვლილია პატარ-პატარა წისქვილები (124 წისქვილიდან ორთქლისაა მხოლოდ 27; მრავალია 1 — 2 — 3 ბორბლიანი წყლის წისქვილი. ასეთ წისქვილებს სხვა გუბერნიებში არ ანგარიშობდნენ, და არც შეიძლებოდა მათი მთლად აღრიცხვა), წვრილი ზეთსახდელნი (უმთავრესად ცხენის ძრავით), რომელთაც სხვა გუბერნიებში არ ანგარიშობდნენ. ვიატკის გუბერნიაში 116 წისქვილიდან ორთქლისაა მხოლოდ 3, ვლადიმირის გუბერნიაში სათვალავში შეუტანიათ ქარის ათი წისქვილი და 168 ზეთსახდელი, რომელთა უმეტესობას ქარის ან ცხენის ძრავი

აქვს ან ხელით ამუშავებენ. თუ სხვა გუბერნიებში საწარმოები უფრო ცოტაა, ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ იქ არ ყოფილა ქარის წისქვილები, პატარა-პატარა წყლის წისქვილები და სხვ. მხოლოდ ისინი იქ არ ჩაუთვლიათ. მთელ რიგ გუბერნიებში ჩათვლილია თითქმის მხოლოდ ორთქლის წისქვილები (ბესარაბიის, ეკატერინოსლავის, თავრიდის, ხერსონის და სხვ. გუბ.), საფქვავის წარმოება კი ევრპის რუსეთში XI განყოფილების მიხედვით იძლევა 2 308 «ფაბრიკას» 6 233-დან. უაზრობა იყო ლაპარაკი ფაბრიკათა განაწილებაზე გუბერნიების მიხედვით, ვიდრე გამორკვეული არ იყო მონაცემების ა რ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ბ ა. ავიღოთ IX განყოფილება, მინერალთა დამუშავება. აი, მაგალითად, ვლადიმირის გუბერნიაში აგურის 96 ქარხანაა, ხოლო დონის ოლქში — 31, ე. ი. სამჯერ და უფრო მეტად ნაკლები. (1890 წლის) «მაჩვენებლის» მიხედვით კი პირიქით იყო: ვლადიმირის გუბერნიაში — 16, ხოლო დონის ოლქში — 61 ქარხანა. როგორც აღმოჩნდა, ვლადიმირის გუბერნიაში, «ნუსხის» მიხედვით, 96 ქარხნიდან მხოლოდ 5-ს ჰყავს 16 და მეტი მუშა, დონის ოლქში კი 26-ს (31-დან). ცხადია, ეს გარემოება აიხსნება უბრალოდ იმით, რომ დონის ოლქში აგურის წვრილ საწარმოებს ისე ხელგაშლით როდი აკუთვნებდნენ «ქარხნებს», როგორც ვლადიმირის გუბერნიაში, ესაა და ეს (ვლადიმირის გუბერნიაში აგურის წვრილი ქარხნები სულ ხელისაა). ბ-ნი კარიშევი ვერაფერ ამას ვერ ხედავს (გვ. 14). X განყოფილების შესახებ (ცხოველთა პროდუქტების დამუშავება) ბ-ნი კარიშევი ამბობს, რომ ამ საწარმოთა რიცხვი თითქმის ყველა გუბერნიაში მცირეა, მაგრამ «მკვეთრ გამონაკლისს წარმოადგენს ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია მისი 252 ფაბრიკით» (გვ. 14). უწინარეს ყოვლისა ეს იმიტომ ხდება, რომ ამ გუბერნიაში ჩათვლილია ძალიან ბევრი ხელით შომუშავე (ზოგჯერ ცხენის ან ქარის ძრავიანი) წვრილი საწარმო, რომელნიც სხვა გუბერნიაში არ ჩაუთვლიათ. მაგალითად, მოგილიოვის გუბერნიაში «ნუსხა» მხოლოდ 2 ფაბრიკას ითვლის ამ განყოფილებაში; თვითეულ ფაბრიკაში 15-ზე მეტი მუშაა. ცხო-

ველთა პროდუქტების დამმუშავებელი წვრილი ქარხნებიც შეიძლებოდა ათობით დაგვეთვალა მოგილიოვის გუბერნიაშიც, როგორც ეს ჩათვლილია 1890 წლის «მაჩვენებელში», სადაც აღნიშნულია ცხოველთა პროდუქტების დამმუშავებელი 99 ქარხანა. საკითხავია, ამის შემდეგ რაღა აზრი აქვს ბ-ნ კარიშევის გამოანგარიშებას იმ «ფაბრიკების» პროცენტული განაწილების შესახებ, რომლებიც ასე სხვადასხვანაირად ესმით?

რათა უფრო თვალსაჩინოდ ცხადვყოთ სხვადასხვა გუბერნიაში «ფაბრიკის» ტერმინის გაგება, ავიღოთ ორი მეზობელი გუბერნია: ვლადიმირისა და კოსტრომისა. პირველში, «ნუსხის» მიხედვით, 993 «ფაბრიკაა», მეორეში — 165. პირველის ყველა წარმოებაში (განყოფილებებში) არის ფრიად წვრილი საწარმოები, რომლებიც თავიანთი სიმრავლით სჯაბნიან დიდ საწარმოებს (მხოლოდ 324 საწარმოს ჰყავს 16 და მეტი მუშა თვითეულს). მეორეში — წვრილი საწარმოები ძალიან ცოტაა (165 ფაბრიკიდან 112-ს ჰყავს 16 და მეტი მუშა თვითეულს), თუმცა ყველას ესმის, რომ იქაც მრავლად შეიძლება აღირიცხოს ქარის წისქვილები, ზეთსახდელები, სახამებლის, აგურის, ფისსახდელი წვრილი ქარხნები და სხვ. და სხვ. *

ბ-ნ კარიშევის დაუდევრობა მის მიერ გამოყენებული ციფრების უტყუარობის შესახებ საოცრებამდე მიდის, როდესაც ის ერთმანეთს ადარებს გუბერნიების მიხედვით გამოანგარიშებულ რიცხვებს «ფაბრიკებისას» 1894/95 წლისათვის («ნუსხის» თანახმად) და 1885 წლისათვის («კრებულის» თანახმად).

---

* აი კიდევ იმის ერთი მაგალითი, თუ როგორ თვითნებურად განსაზღვრავენ «ფაბრიკების» რიცხვს ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის «უახლეს» სისტემაში. 1894/95 წლისთვის «ნუსხა» ხერსონის გუბერნიაში სთვლის 471 ფაბრიკას (ბ-ნი კარიშევი, მოხს. თხზ., გვ. 5), ხოლო ბ-ნი მიკულინი 1896 წლისთვის უცბად სთვლის უკვე 1 249 «საფაბრიკო-საქარხნო საწარმოს» (მოხს. თხზ., გვ. XIII), მათ რიცხვში 773-ს მექანიკური ძრავით და 109-ს მექანიკური ძრავის არმქონეს, თვითეულში 15-ზე მეტი მუშით. როდესაც «ფაბრიკის» ცნება ბუნდოვანია, ასეთი ნახტომები მუდამ აუცილებელი იქნება.

მეტად სერიოზული სახით აქ ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ ვიატკის გუბერნიაში ფაბრიკების რიცხვი გაიზარდა, პერმისაში — «მნიშვნელოვნად შემცირდა», ვლადიმირისაში — საგრძნობლად გაიზარდაო და სხვ. (გვ. 6 — 7). «ეს იმის მაჩვენებელიაო, — ღრმააზროვნად დაასკვნის ჩვენი ავტორი, — რომ ფაბრიკების რიცხვის შემცირების აღნიშნული პროცესი უფრო ნაკლებად შეეხება ისეთ ადგილებს, სადაც ინდუსტრია უფრო განვითარებული, უფრო ხანდაზმულია, ვიდრე იმ ადგილებს, სადაც ის უფრო ახალგაზრდააო» (გვ. 7). ასეთი დასკვნა ძალიან «მეცნიერულად» მოისმის; სამწუხაროა მხოლოდ, რომ იგი სრულიად სულელურია. ბ-ნ კარიშევის მიერ გამოყენებული ციფრები სრულიად შემთხვევითია. მაგალითად, პერმის გუბერნიაში 1885 — 1890 წლებში «ფაბრიკების» რიცხვი «კრებულის» მიხედვით იყო: 1 001, 895, 951, 846, 917 და 1 002, შემდეგ კი 1891 წლისთვის ეს რიცხვი უცბად 585-მდე ეცემა. ამ ნახტომების ერთ-ერთი მიზეზია — «ფაბრიკებად» ჩარიცხვა ხან 469 წისქვილისა (1890 წ.), ხან 229 (1891). თუ «ნუსხა» ამ გუბერნიაში მხოლოდ 362 ფაბრიკას ითვლის, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ «ფაბრიკათა» რიცხვში მას შეაქვს უკვე მხოლოდ 66 წისქვილი. თუ ვლადიმირის გუბერნიაში «ფაბრიკების» რიცხვი გაიზარდა, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ გუბერნიაში «ნუსხის» მიერ რეგისტრირებულია წვრილი საწარმოები. ვიატკის გუბერნიაში 1887-დან 1892 წლამდე «კრებული» ითვლიდა 1 — 2 — 2 — 30 — 28 — 25 წისქვილს, «ნუსხამ» კი 116 დაითვალა. ერთი სიტყვით, ბ-ნ კარიშევის მიერ წამოყენებული შედარება კიდევ და კიდევ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას სრულიად არ შესწევს უნარი გაერკვეს სხვადასხვა წყაროს ციფრებში.

სხვადასხვა განყოფილების (წარმოებათა ჯგუფების) მიხედვით ფაბრიკათა რიცხვის მოყვანისას და ფაბრიკების საერთო რაოდენობის მიმართ ამ რიცხვთა პროცენტების გამოანგარიშებისას ბ-ნი კარიშევი კვლავ ვერ ამჩნევს, რომ სხვადასხვა განყოფილებაში ხვდებოდა წვრილ საწარმოთა არაერთნაირი რაოდენობა (მაგალითად, საფეიქრო და მეტალურგიულ მრეწ-

ველობაში ისინი ყველაზე ნაკლებია, დაახლოებით $^1/_3$ ევროპის რუსეთის ფაბრიკების საერთო რიცხვისა, ხოლო ცხოველთა და საკვები პროდუქტების დამმუშავებელ მრეწველობაში მათი რაოდენობა საერთო რიცხვის დაახლოებით $^2/_3$ შეადგენს). გასაგებია, რომ ამგვარად მას გამოუდის არაერთგვაროვან სიდიდეთა შედარება, და პროცენტული გამოანგარიშებანი (გვ. 8) მოკლებულია ყოველგვარ აზრს. ერთი სიტყვით, «ფაბრიკების» რიცხვის და მათი განაწილების მთელ საკითხში ბ-ნმა კარიშევმა სრული გაუგებლობა გამოიჩინა მის მიერ გამოყენებული მონაცემების ხასიათისა და იმისა, თუ რამდენად სარწმუნოა ეს მონაცემები.

ფაბრიკების რიცხვიდან მუშათა რიცხვზე გადასვლისას უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში მუშათა საერთო რიცხვები ბევრად უფრო სარწმუნოა, ვიდრე ფაბრიკათა რიცხვები. არევ-დარევა, რა თქმა უნდა, აქაც არც თუ ისე მცირეა; ბლომადაა აგრეთვე ხარვეზები და ნამდვილი რიცხვის შემცირებანი. მაგრამ აქ არაა მონაცემების ასეთი სხვადასხვაგვარობა, ხოლო უდიდესი მერყეობანი წვრილ საწარმოთა რიცხვში, რომელნიც ხან შეაქვთ ფაბრიკათა რაოდენობაში, ხან გამორიცხავენ იქიდან, ძალიან მცირე გავლენას ახდენს მუშათა ჯამზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველაზე წვრილ საწარმოთა ძალიან მნიშვნელოვანი პროცენტიც კი მუშათა საერთო რიცხვის ძალიან მცირე პროცენტს იძლევა. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ 1894/95 წლისათვის 1 468 ფაბრიკაში (მთელი რიცხვის 10%) თავმოყრილია მუშების 74%. წვრილი ფაბრიკების (რომელთაც 16-ზე ნაკლები მუშა ჰყავთ თვითეულს) რიცხვი შეადგენს 7 919-ს 14 578-დან, ე. ი. ნახევარზე მეტს, მუშები კი მათში იქნება დაახლოებით (თვითეულ საწარმოზე საშუალოდ 8 მუშაც რომ ვიანგარიშოთ) რაღაც 7%. სწორედ აქედან წარმოსდგება ისეთი მოვლენა, რომ 1890 წლის («მაჩვენებლის» მიხედვით) და 1894/95 წლის ფაბრიკების რიცხვის უდიდესი განსხვავების დროს — მუშათა რიცხვის განსხვავება უმნიშვნელოა: 1890 წელს ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში იყო 875 764 მუშა,

ხოლო 1894/95 წელს — 885 555 (ჩვენ ვანგარიშობთ მხოლოდ საწარმოთა მუშებს). თუ პირველ რიცხვს გამოვაკლებთ რელსების (24 445) და მარილსახდელ (3 704) წარმოებათა მუშებს, რომელნიც «ნუსხას» არ ჩაუთვლია, ხოლო მეორე რიცხვს გამოვაკლებთ სტამბების მუშებს (16 521), რომელნიც «მაჩვენებელს» არ ჩაუთვლია, მივიღებთ 1890 წლისთვის — 847 615 მუშას, ხოლო 1894/95 წლისთვის — 869 034, ე. ი. 2,5%-ით მეტს. რასაკვირველია, ეს პროცენტი ვერ გამოხატავს ნამდვილ მატებას, რადგან 1894/95 წელს ბევრი წვრილი საწარმო არ ჩაუთვლიათ, მაგრამ საერთოდ ამ ციფრების ერთმანეთთან სიახლოვე ცხადჰყოფს მუშათა მთელი რიცხვის შესახებ საერთო მონაცემების შედარებითს გამოსადეგობას და მათს შედარებითს უტყუარობას. ბ-ნი კარიშევი, რომლისგანაც ჩვენ ავიღეთ მუშების საერთო ციფრი, ზუსტად ვერ არკვევს, სახელდობრ რომელი წარმოებები იყო ჩათვლილი 1894/95 წელს წინანდელ გამოცემებთან შედარებით, და ვერც იმას აღნიშნავს, რომ «ნუსხაში» გამოტოვებულია მრავალი ისეთი საწარმო, რომელიც წინათ ფაბრიკათა რიცხვში ითვლებოდა. წინანდელთან შესადარებლად იგი იღებს «Военно-статистический сборник»-ის იმავე შეუსაბამო მონაცემებს და იმეორებს იმავე სისულელეს, თითქოს მუშათა რიცხვი მოსახლეობასთან შედარებით შემცირებულიყოს. ეს აზრი უკვე დაარღვია ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ (იხ. ზემოთ). რადგან მონაცემები მუშათა რიცხვის შესახებ უფრო უტყუარია, ეს მონაცემები უფრო ზედმიწევნით დამუშავების ღირსი იყო, ვიდრე მონაცემები ფაბრიკების რიცხვის შესახებ, მაგრამ ბ-ნ კარიშევს პირიქით დაემართა. იგი მუშათა რიცხვის მიხედვით ფაბრიკათა დაჯგუფებასაც კი არ იძლევა, რაც განსაკუთრებით აუცილებელი იყო იმის გამო, რომ «ნუსხამ» მუშათა რიცხვი ფაბრიკის არსებით ნიშნეულობად მიიჩნია. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მუშების კონცენტრაცია ძალიან დიდია.

იმის მაგივრად, რომ ფაბრიკები დაეჯგუფებინა მუშათა რიცხვის მიხედვით, ბ-ნმა კარიშევმა ხელი მოჰკიდა უფრო

მარტივ გაანგარიშებას: 1 ფაბრიკაზე მუშათა საშუალო რიცხვის გარკვევას. რადგან მონაცემები ფაბრიკების რიცხვის შესახებ, როგორც დავინახეთ, განსაკუთრებით არასარწმუნო, შემთხვევითი და არაერთგვაროვანია, მთელი ეს გაანგარიშება შეცდომებითაა სავსე. ბ-ნი კარიშევი ერთმანეთს ადარებს ერთ ფაბრიკაზე მუშათა საშუალო რიცხვს 1886 და 1894/95 წლებისას და დაასკვნის: «ფაბრიკის საშუალო ტიპი დიდდებაო» (გვ. 23 და 32 — 33) და ის კი არ იცის, რომ სწორედ 1894/95 წელს სათვალავში იღებდნენ მხოლოდ უფრო დიდ საწარმოებს, ასე რომ შედარება უმართებულოა. სრულიად კურიოზულია 1 ფაბრიკაზე მუშათა საშუალო რიცხვის დაპირისპირება სხვადასხვა გუბერნიაში (გვ. 26); ბ-ნი კარიშევი, მაგალითად, იმ დასკვნამდე მიდის, რომ კოსტრომის გუბერნიაში «ყველა სხვა გუბერნიასთან შედარებით მრეწველობის ყველაზე მსხვილი საშუალო ტიპი აღმოჩნდაო» — აქ 1 ფაბრიკაზე მოდის 242 მუშა წინააღმდეგ, მაგალითად, ვლადიმირის გუბერნიისა, სადაც 1 ფაბრიკაზე 125 მუშა მოდისო. სწავლულ პროფესორს აზრადაც კი არ მოსდის, რომ ეს უბრალოდ დამოკიდებულია რეგისტრაციის სხვადასხვაგვარ წესებზე, როგორც ეს უკვე ზემოთ იყო განმარტებული. ბ-ნ კარიშევს მხედველობიდან გამოეპარა სხვადასხვა გუბერნიაში დიდ და წვრილ საწარმოთა რიცხვს შორის არსებული განსხვავება და ამ საკითხის სიძნელეთა გვერდის ასახვევად მან მეტად უბრალო ხერხი მოიგონა. სახელდობრ, იგი მუშათა საშუალო რიცხვს, რომელიც 1 ფაბრიკაზე მოდის მთელ ევროპის რუსეთში (და შემდგომ პოლონეთშიც და კავკასიაშიც), ამრავლებს თვითეული გუბერნიის ფაბრიკების რიცხვზე და მიღებული ჯგუფები ცალკე კარტოგრამაში შეაქვს (№ 3). მართლაც, ეს ხომ ასე იოლი საქმეა! რაღა საჭიროა ფაბრიკების დაჯგუფება მუშათა რიცხვის მიხედვით, რაღა საჭიროა სხვადასხვა გუბერნიის მსხვილ და წვრილ საწარმოთა შეფარდებითი რაოდენობის განხილვა, როდესაც ასეთი მარტივი წესით შეგვიძლია სხვადასხვა გუბერნიის ფაბრიკების «საშუალო» ოდენობანი ერთ საერთო ნორმას ხელოვნუ-

რ ა დ შ ე ვ უ თ ა ნ ა ბ რ ო თ? რაღა საჭიროა იმის განხილვა, ვლადიმირის თუ კოსტრომის გუბერნიის ფაბრიკების რიცხვში ბევრი თუ ცოტა მოხვდა წვრილი და უწვრილესი საწარმოები, როდესაც შეგვიძლია «უბრალოდ» ავიღოთ მუშათა საშუალო რიცხვი 1 ფაბრიკაზე მ თ ე ლ ს ევროპის რუსეთში და გავამრავლოთ იგი თ ვ ი თ ე უ ლ ი გუბერნიის ფაბრიკათა რიცხვზე? მერე რა დიდი უბედურებაა, თუ ასეთი წესით დიდ ფაბრიკებს გაუთანაბრდება ასეული შემთხვევით აღრიცხული ქარის წისქვილები და ზეთსახდელები? — მკითხველი ხომ ვერ შეამჩნევს ამას და, ვინ იცის, იქნებ დაიჯეროს კიდევაც ბ-ნ პროფესორის მიერ შეთხზული «სტატისტიკა»!

გარდა საწარმოს მუშებისა, «ნუსხაში» არის კიდევ ცალკე სვეტი იმ მუშებისათვის, რომლებიც «საწარმოს გარეთ, შინ» მუშაობენ. ამ სვეტში ხვდებოდნენ არამც თუ ფაბრიკების შეკვეთით შინ მომუშავენი (კარიშევი, გვ. 20), არამედ დამხმარე მუშებიც და სხვ. «ნუსხის» ამ მუშათა რიცხვი (66 460 იმპერიაში) არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც «იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად წინ წასულა ჩვენში ფაბრიკის ეგრეთწოდებული საგარეო განყოფილების განვითარება» (კარიშევი, გვ. 20), ვინაიდან საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის თანამედროვე სისტემის პირობებში ასეთი მუშების რამდენადმე მაინც სრულს რეგისტრაციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ბ-ნი კარიშევი ძალიან ზერელედ ლაპარაკობს: «მთელი რუსეთისთვის, სადაც მილიონობით შინამრეწველნი და ხელოსნები არიან — $66^1/_2$ ათასი ბევრი როდიაო» (ibid.) *. ვიდრე ამას დასწერდით, დავიწყებული უნდა გქონოდათ, რომ ამ «მილიონობით შინამრეწველთაგან», როგორც ამას ყველა წყარო ადასტურებს, თუ უმეტესობა არა, ძალიან დიდი ნაწილი მაინც შემსყიდველთათვის მუშაობს, ე. ი. ასეთსავე «გარეშე მუშებს» წარმოადგენენ. საკმარისია ჩაიხედოთ «ნუსხის» იმ ფურცლებში, რომელნიც გარკვეულ «შინამრეწველურ» სარეწთა რაიონებს შეეხება,

* — Ibidem — იქვე. რ ე დ.

რათა დარწმუნდეთ, რომ «გარეშე მუშების» რეგისტრაცია სრულიად შემთხვევითი და ნაწილობრივია. მაგალითად, II განყოფილებაში (მატყლის დამუშავება) «ნუსხა» ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის ქალაქ არზამასსა და ქალაქის მახლობელ ვიეზდნაია სლობოდაში ითვლის მხოლოდ 28 გარეშე მუშას (გვ. 89), მაშინ როდესაც წიგნიდან «Труды комиссии по исследованию кустарной промышленности в России» (ნაკვ. V და VI) ვიცით, რომ აქ მრავალი ასეული (ათასამდე) «შინამრეწველი» მეპატრონეთათვის მუშაობს. სემიონოვის მაზრაში «ნუსხა» სრულიად არ გვიჩვენებს გარეშე მუშებს, მაშინ როდესაც საერობო სტატისტიკიდან ვიცით, რომ აქ 3 ათასზე მეტი «შინამრეწველი» მუშაობს მეპატრონეთათვის სამთელავო და შიდალანჩის სარეწში. ტულის გუბერნიის საგარმონო სარეწში «ნუსხა» ითვლის მხოლოდ ერთ «ფაბრიკას» 17 გარეშე მუშით (გვ. 395), მაშინ როდესაც იგივე «Труды комиссии и т. д.» ჯერ კიდევ 1882 წელს ითვლიდნენ 2—3 ათას შინამრეწველს, რომელნიც გარმონის მეფაბრიკეთათვის მუშაობდნენ (ნაკვ. IX). ამიტომ ცხადია, რომ ციფრის — $66^1/_2$ ათასი გარეშე მუშის — ოდნავ მაინც სარწმუნოდ მიჩნევა და გუბერნიებისა და წარმოებათა მიხედვით მის განაწილებაზე მსჯელობა, როგორც ამას ბ-ნი კარიშევი სჩადის და კარტოგრამასაც კი ადგენს, — პირდაპირ სასაცილოა. ამ ციფრების ნამდვილი მნიშვნელობა სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ გავარკვიოთ კაპიტალისტური შინმუშაობის ოდენობა (ასეთი გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ სრული სამრეწველო აღწერის დროს, როცა აღრიცხული იქნება ყველა მაღაზია და სხვა საწარმოები ან ცალკეული პირნი, რომელნიც სამუშაოს ურიგებენ შინ), არამედ იმაში, რომ საწარმოთა მუშები, ე. ი. ფაბრიკის მუშები ამ სიტყვის ზუსტი აზრით, გამოვყოთ გარეშე მუშებისაგან. აქამდე ამ სახის მუშებს ძალიან ხშირად ერთმანეთში ურევდნენ: 1890 წლის «მაჩვენებელშიც» კი მრავალჯერ გვხვდება ასეთი აღრევის მაგალითები. ახლა «ნუსხაში» ახდენენ პირველ ცდას, რათა ამ აღრევას ბოლო მოეღოს.

«ნუსხის» ციფრები, რომლებიც ფაბრიკების წლიურ მწარმოებლობას შეეხება, ბ-ნ კარიშევს ყველაზე დამაკმაყოფილებლად დაუმუშავებია, უმთავრესად იმიტომ, რომ აქ ავტორმა ბოლოს, როგორც იქნა, ფაბრიკების დაჯგუფება მოიყვანა წარმოების ოდენობის მიხედვით. ნაცვლად ჩვეულებრივი «საშუალო» რიცხვების მიხედვით დაჯგუფებისა. თუმცა ისიც მართალია, რომ (1 ფაბრიკაზე წარმოების ოდენობის) ამ «საშუალო» რიცხვებისაგან ავტორი მაინც ვერ განთავისუფლებულა და კიდევაც ერთმანეთს ადარებს 1894/95 წლისა და 1885 წლის საშუალო რიცხვებს; ეს ხერხი, როგორც ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, სრულიად უმართებულოა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაბრიკების წლიური მწარმოებლობის საერთო ციფრები გაცილებით უფრო უტყუარია, ვიდრე ფაბრიკების რიცხვის საერთო ციფრები წვრილ საწარმოთა უკვე აღნიშნული მცირე როლის გამო. მაგალითად, «ნუსხის» მიხედვით ევროპის რუსეთში ისეთი ფაბრიკები, რომელთაც აქვთ 1 მილიონ მანეთზე მეტი წარმოება, სულ არის 245, ე. ი. 1.9%, მაგრამ ეს ფაბრიკები თავს უყრიან ევროპის რუსეთის ყველა ფაბრიკის მთელი წლიური წარმოების 45.6%-ს (კარიშევი, გვ. 38), მაშინ როდესაც ისეთი ფაბრიკები, რომელთა წარმოების ჯამი 5 ათას მანეთზე ნაკლებია, შეადგენენ მთელი მათი რიცხვის 30,8%-ს, მაგრამ ისინი იძლევიან მთელი მწარმოებლობის მხოლოდ 0,6%-ს, ე. ი. სულ უმნიშვნელო წილს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი კარიშევი ამ გაანგარიშებათა დროს მხედველობიდან უშვებს განსხვავებას წარმოების ჯამსა (=პროდუქტის ღირებულებასა) და ნედლი მასალის დამუშავების ფასს შორის. ეს ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში პირველად ტარდება «ნუსხაში» *. გასაგებია, რომ

* ბოლოდ, საბუღუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ «ნუსხაში» ეს განსხვავება გატარებულია მტკიცედ და თანამიმდევრულად, ე. ი. რომ პროდუქტის ღირებულება ნაჩვენებია მ ხ ო ლ ო დ იმ ფაბრიკებისა, რომელნიც მართლა ჰყიდიან თავიანთ პროდუქტს, ხოლო ნედლეულის დამუშავების ფასი—მხოლოდ იმ ფაბრიკებისა, რომელნიც სხვის მასალას ამუშავებენ. შესაძლებელია, მაგალითად, რომ საფქვავ წარმოებაში (აქ ყველაზე ხშირად გვხვდება აღნიშნული განსხვავება) მეპატრონეები სრულიად შემთხვევით აჩვენებდნენ ხან ერთს და ხან მეორე ციფრს. ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ამ ორი ოდენობის შედარება სრულიად შეუძლებელია, და საჭირო იყო მათი გაყოფა. ბ-ნი კარიშევი ამას არ სჩადის, და შეიძლება ვიფიქროთ, რომ წვრილ საწარმოთა წლიური მწარმოებლობის ასეთი დაბალი პროცენტი ნაწილობრივ იმიტომაც გამოდიოდა, რომ აქ შეტანილია ისეთი საწარმოები, რომელნიც გვიჩვენებენ არა მათ მიერ დამუშავებული პროდუქტის ღირებულებას, არამედ მხოლოდ მისი დამუშავების ფასს. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ იმ შეცდომის მაგალითს, რომელიც ბ-ნმა კარიშევმა დაუშვა ამ გარემოების უგულებელყოფის გამო. ეს განსხვავება დამუშავების ფასსა და პროდუქტის ღირებულებას შორის, რაც აღნიშნულია «ნუსხაში», აგრეთვე ის, რომ ავტორს აქციზის თანხა არ შეაქვს წარმოების ფასში, მის ციფრებს შეუსადარებს ხდის წინანდელ გამოცემათა ციფრებთან. «ნუსხის» მიხედვით ევროპის რუსეთის ყველა ფაბრიკის წარმოება შეადგენს 1 345 მილიონ მანეთს, ხოლო «მაჩვენებლის» მიხედვით 1890 წლისთვის — 1 501 მილიონს, მაგრამ მეორე ციფრს თუ გამოვაკლებდით აქციზის თანხას (მარტო არყისსახდელ წარმოებაში დაახლოებით 250 მილიონ მანეთს), პირველი ციფრი ბევრად უფრო დიდი აღმოჩნდებოდა.

«მაჩვენებელში» (მე-2 და მე-3 გამოც.) მოყვანილი იყო ფაბრიკებისა და ქარხნების განაწილება ჯგუფებად წლიური წარმოების ოდენობის მიხედვით (საერთო წარმოებაში თვითეული ჯგუფის წილის აღუნიშვნელად), მაგრამ ამ განაწილების შედარება «ნუსხის» მონაცემებთან შეუძლებელია იმის გამო, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი რეგისტრაციისა და წლიური წარმოების ოდენობის გარკვევის ხერხები სხვადასხვანაირია.

ჩვენ კიდევ გვრჩება გასარჩევი ბ-ნ კარიშევის ერთი მცდარი მსჯელობა. როდესაც ბ-ნ კარიშევს მოჰყავს გუბერნიების მიხედვით მონაცემები ფაბრიკებისა და ქარხნების წლიური წარმოების ჯამის შესახებ, იგი აქაც თავს ვერ იკავებს და ადარებს მათ 1885 — 1891 წლების, ე. ი. «კრებულის» მონაცემებს. ამ უკანასკნელ მონაცემებში შეტანილი არაა ცნობე-

ბი სააქციზო წარმოებათა შესახებ, და ამიტომ ბ-ნი კარიშევი მხოლოდ იმის გამოძებნას ცდილობს, ხომ არ არის ისეთი გუბერნიები, სადაც 1894/95 წელს გამომუშავების ჯამი ნ ა კ ლ ე ბ ი ა, ვიდრე წინა წლებშიო. ასეთი გუბერნია ყოფილა 8 (გვ. 39 — 40), და ბ-ნი კარიშევი ამის გამო ლაპარაკობს «ყველაზე ნაკლებად ინდუსტრიულ» გუბერნიებში «მრეწველობის უკუსვლითი მოძრაობის» შესახებ, იმის შესახებ, რომ ეს გარემოება «შეიძლება ჩაითვალოს დიდ საწარმოებთან კონკურენციის დროს წვრილ საწარმოთა გაჭირვებული მდგომარეობის მაჩვენებლად» და სხვ. მთელი ეს მსჯელობა, შეიძლება, ძალიან ღრმააზროვანი ყოფილიყო, ის რომ... ის რომ მთლიანად და სავსებით უმართებულო არ იყოს. ბ-ნი კარიშევი ვერც აქ ამჩნევს, რომ ერთმანეთს ადარებს სრულიად შეუსადარ და არაერთგვაროვან მონაცემებს. ცხადვყოთ ეს შეუსადარობა ბ-ნ კარიშევის მიერ დასახელებული თვითეული გუბერნიის მონაცემების მიხედვით *. პერმის გუბერნიაში გამომუშავების ჯამი 1890 წელს შეადგენს 20,3 მლნ. მანეთს («მაჩვენ.»), ხოლო 1894/95 წელს — 13,1 მლნ., მათ რიცხვში საფქვავის წარმოება 1890 წელს — 12,7 მლნ. (469 წისქვილზე!), ხოლო 1894/95 წელს — 4,9 მლნ. (66 წისქვილზე). მაშასადამე, მოჩვენებითი «შემცირება» დამოკიდებულია სხვადასხვა რაოდენობის წისქვილთა მხოლოდ შემთხვევითი რეგისტრაციისაგან. ორთქლის წისქვილთა რიცხვი კი, მაგალითად, გაიზარდა 4-დან 1890 — 1891 წლებში 6-მდე 1894/95 წელს. ასევე აიხსნება გამომუშავების «შემცირება» სიმბირსკის გუბერნიაშიც (1890 : 230 წისქვილი — 4.8 მლნ. მან.;

* ჩვენ აქ ვიღებთ არა «კრებულის», არამედ 1890 წლის «მაჩვენებლის» მონაცემებს სააქციზო წარმოებათა გამოკლებით. ამ წარმოებათა გარდა «მაჩვენებლის» მონაცემები თითქმის არ განსხვავდება «კრებულის» მონაცემებისაგან, ვინაიდან ეს მონაცემები ემყარება ვაჭრ. და მანუფაქტ. დეპარტ. იმავე უწყისებს. ხოლო ბ-ნ კარიშევის შეცდომის აღმოსაჩენად ჩვენთვის საჭიროა დაწვრილებითი მონაცემები არა მარტო ცალკეულ წარმოებათა, არამედ ცალკეულ ფაბრიკათა შესახებაც.

1894/95 : 27 წისქვილი და 1,7 მლნ. მანეთი. ორთქლის წისქვილები — 10 და 13). ვიატკის გუბერნიაში გამომუშავების ჯამი 1890 წელს იყო—8,4 მლნ., 1894/95—6,7 მლნ., 1,7 მლნ. მანეთით ნაკლები. მაგრამ 1890 წელს აქ ჩათვლილია ორი სამთამადნო ქარხანა, ვოტკინსკისა და იეევსკისა, რომელთა წარმოება (ორივესი ერთად) უდრის სწორედ 1,7 მლნ. მან.; 1894/95 წელს ეს ქარხნები არ ჩაუთვლიათ, როგორც სამთამადნო დეპარტამენტისადმი «დაქვემდებარებულნი». ასტრახანის გუბერნია — 1890 წელს — 2,5 მლნ. მან., 1894/95 წელს — 2,1 მლნ. მანეთი. მაგრამ 1890 წელს ჩათვლილი იყო მარილსახდელი წარმოება (346 ათასი მან.), ხოლო 1894/95 წელს იგი აღარ ჩაუთვლიათ, როგორც «სამთამადნოთა» რიცხვისადმი მისაკუთვნებელი. ფსკოვის გუბერნია — 1890 : 2,7 მლნ. მან., ხოლო 1894/95 წელს — 2,3 მლნ. მან.; მაგრამ 1890 წელს ჩათვლილი იყო 45 სელსაძენძი საწარმო 1,2 მლნ. მანეთის წარმოების ჯამით, ხოლო 1894/95 წელს ჩათვლილია მხოლოდ 4 ს ე ლ ს ა რ თ ა ვ ი საწარმო 248 ათასი მანეთის წარმოებით. თავისთავად ცხადია, ფსკოვის გუბერნიაში სელსაძენძი საწარმოები კი არ გამქრალან, არამედ სიაში არ შეუტანიათ (შეიძლება, იმიტომ, რომ მათი უმეტესობა ხელისაა, 15-ზე ნაკლები მუშით). ბესარაბიის გუბერნიაში ფქვილსაფქვავი წისქვილების წარმოებას სხვადასხვანაირად აღრიცხავდნენ, თუმცა მათი რიცხვი როგორც 1890, ისე 1894/95 წელს ერთნაირად იყო ჩათვლილი (97); 1890 წელს ჩათვლილია ფქვილად — 4,3 მლნ. ფუთი = 4,3 მლნ. მან., ხოლო 1894/95 წელს წისქვილთა უმეტესობამ აჩვენა მ ხ ო ლ ო დ დ ა ფ ქ ვ ი ს ფ ა ს ი, ასე რომ მათი გამომუშავების საერთო ჯამი (1,8 მლნ. მან.) არ შეიძლება შედარებულ იქნას 1890 წლის ციფრთან. აი ამ განსხვავების დამასურათებელი ორიოდე მაგალითი. ლევენზონის 2 წისქვილი 1890 წელს წარმოებას ანგარიშობდა 335 ათასი მან. რაოდენობით («მაჩვენ.», გვ. 424), 1894/95 წელს კი მხოლოდ დ ა ფ ქ ვ ი ს ფ ა ს ს 69 ათასი მან. რაოდენობით («ნუსხა», № 14231 — 2). პირიქით, შვარცბერგის წისქვილი 1890 წელს ანგარიშობდა

პროდუქტის ღირებულებას — 125 ათას მანეთად («მაჩვენ.», გვ. 425) და 1894/95 წელს — 175 ათას მანეთად («ნუსხა», № 14214); საფქვავი მრეწველობის 1894/95 წლის წარმოების მთელი ჯამიდან 1,4 მლნ. მან. მოდის პროდუქტის ღირებულებაზე, ხოლო 0,4 მლნ. მან. — დაფქვის ფასზე. იგივეა ვიტებსკის გუბერნიაშიც: 1890 წელს — 241 წისქვილი 3,6 მლნ. მან. წარმოების ჯამით, ხოლო 1894/95 წელს — 82 წისქვილი 120 ათასი მან. ჯამით, მასთან წისქვილთა უმეტესობას ნაჩვენები აქვს მხოლოდ დაფქვის ფასი (ორთქლის წისქვილთა რიცხვი იყო 37 1890 წელს, 51 — 1891 წელს და 64 — 1894/95 წელს), ასე რომ ამ 120 ათასი მანეთიდან ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს შეადგენს არა პროდუქტის ღირებულება, არამედ დაფქვის ფასი. ბოლოს, უკანასკნელ, არხანგელსკის გუბერნიაში, ბ-ნ კარიშევის მიერ აღმოჩენილი «უკუსვლითი მოძრაობა მრეწველობაში» უბრალოდ აიხსნება მისი გამოანგარიშების უცნაური შეცდომით: სინამდვილეში არხანგელსკის ფაბრიკების წარმოების ჯამი, «ნუსხის» მიხედვით, უდრის არა 1,3 მლნ. მანეთს, როგორც ამას ორჯერ აჩვენებს კარიშევი (გვ. 40 და 39; წინააღმდეგ 3,2 მლნ. მანეთისა 1885 — 1891 წლებში), არამედ 6,9 მ ლ ნ. მ ა ნ ე თ ს; აქედან $6^1/_2$ მლნ. მან. მოდის 18 ხე-ტყის ქარხანაზე («ნუსხა», გვ. 247).

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბ-ნი კარიშევი გასაოცარი უყურადღებობით და უკრიტიკოდ ძოებყრა დასამუშავებელ მასალას და ამის გამო მან მთელი რიგი ძეტად უხეში შეცდომები დაუშვა. რაც შეეხება «ნუსხის» ციფრების იმ გამოანგარიშებას, რომელიც ბ-ნმა კარიშევმა მოახდინა თავის თანამშრომლებთან ერთად, უნდა ითქვას, რომ მათი სტატისტიკური ღირებულება ბევრს კარგავს იმის გამო, რომ ბ-ნმა კარიშევმა არ დაბეჭდა სრული ჯამები, ე. ი. ფაბრიკების, მუშების რიცხვი, წარმოების ჯამი ყველა გუბერნიისა და წარმოებათა განყოფილებების მიხედვით (თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი გამოანგარიშებანი მას მოუხდენია და მათი სრული დაბეჭდვა, ერთი მხრივ, მოგვცემდა შემოწმების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ,

დიდ სარგებლობას მოუტანდა ყველა იმათ, ვინც «ნუსხით» სარგებლობს). ამრიგად, მასალის წმინდა-სტატისტიკური დამუშავება ფრიად ნაწყვეტ-ნაწყვეტი, არასრული, არასისტემატური აღმოჩნდა, ხოლო ის დასკვნები, რომელნიც ბ-ნ კარიშევს ნაჩქარევად გამოჰყავს, უმეტეს წილად იმის მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ არ უნდა ვეპყრობოდეთ ციფრებს.

გადავდივართ რა ზემოთ დასმულ საკითხზე ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ, თუ «უსათუოდ საჭიროა» «სრული და უტყუარი სტატისტიკური მონაცემები წარმოებათა შესახებ» (ასეა ნათქვამი «ნუსხის» «შესავალში», და ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ), მაშინ მათ მისაღებად აუცილებლად უნდა გვქონდეს სწორად დაყენებული სამრეწველო აღწერა, რომელიც აღრიცხავს ყველა და ყოველგვარ სამრეწველო საწარმოს, წამოწყებას და სამუშაოებს და რომელიც განმეორებული იქნება დროის განსაზღვრულ პერიოდებში. თუ 1897 წლის 28 იანვრის პირველი სახალხო აღწერის მონაცემები[5] მოსახლეობის მოსაქმეობის შესახებ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება და საფუძვლიანად იქნება დამუშავებული, ისინი ძლიერ გაგვიადვილებენ სამრეწველო აღწერის ჩატარებას. ხოლო ვიდრე ასეთი აღწერა არა გვაქვს, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ დიდ სამრეწველო საწარმოს რეგისტრაციაზე. ამგვარ დიდ საწარმოთა (გაბატონებული ტერმინოლოგიით — «ფაბრიკებისა და ქარხნების») შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრებისა და დამუშავების თანამედროვე სისტემა უაღრესად არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნას მიჩნეული. მის პირველ ნაკლს წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის დაქსაქსვა სხვადასხვა «უწყებას» შორის და უქონლობა სპეციალური, წმინდა-სტატისტიკური დაწესებულებისა, რომელიც ცენტრალიზებული წესით მოაწყობს ყველა ფაბრიკისა და ქარხნის შესახებ მთელი ცნობების შეკრებას, შემოწმებასა და დამუშავებას. როდესაც რუსეთის თანამედროვე საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემებს ამუშავებ, ისეთ ტერი-

ტორიაზე იმყოფები, რომელიც ყოველი მიმართულებით დასერილია სხვადასხვა «უწყების» (რომელთაც რეგისტრაციისა და სხვათა განსაკუთრებული ხერხები და წესები აქვთ) საზღვრებით. ისეც კი ხდება, რომ ეს საზღვარი გადის გარკვეულ ფაბრიკაზე ან ქარხანაზე, ასე რომ ქარხნის ერთი განყოფილება (მაგალითად, თუჯსასხმელი) ექვემდებარება სამთამადნო დეპარტამენტს, ხოლო მეორე (მაგალითად, რკინის ნაკეთობათა დამზადება) — ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტს. გასაგებია, როგორ აძნელებს ეს მონაცემების გამოყენებას და რა შეცდომებში შეიძლება ჩავარდნენ (და კიდევაც ვარდებიან) ის მკვლევარები, რომელნიც ამ რთულ საკითხს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. კერძოდ, ცნობების შემოწმების შესახებ უნდა ითქვას, რომ საფაბრიკო ინსპექცია, რასაკვირველია, ვერასდროს ვერ შესძლებს შეამოწმოს ყველა მეფაბრიკის ყველა ცნობის შესაბამისობა სინამდვილესთან. თანამედროვე ტიპის სისტემის დროს (ესე-იგი, როდესაც ცნობებს კრებენ არა აგენტების განსაკუთრებული შტაბის მიერ მოხდენილი აღწერის, არამედ მეფაბრიკეებისთვის კითხვათა ფურცლების დაგზავნის საშუალებით), უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ დაწესებულებას უ შ უ ა ლ ო ურთიერთობა ჰქონდეს ფაბრიკებისა და ქარხნების ყველა მფლობელთან, — რომ იგი სისტემატურად უწევდეს კონტროლს ცნობათა ე რ თ გ ვ ა რ ო ბ ა ს და ზრუნავდეს მათს სისრულეზე, კითხვათა ფურცლების დაგზავნაზე მრეწველობის ყ ვ ე ლ ა, ოდნავ მაინც მნიშვნელოვან, ცენტრში, — რომ მან არ დაუშვას არაერთგვაროვანი მონაცემების შემთხვევითი შეტანა, არ დაუშვას პროგრამის სხვადასხვაგვარი გამოყენება და განმარტება. თანამედროვე სისტემის მეორე ძირითადი ნაკლია ცნობათა შეკრების პროგრამის სრული დაუმუშავებლობა. თუ ასეთს პროგრამას კანცელარიებში გამოიმუშავებენ ისე, რომ იგი ასცდება სპეციალისტების კრიტიკას (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) და არ იქნება ყოველმხრივ განხილული პრესის მიერ, მაშინ ცნობები ვერასოდეს ვ ე რ ი ქ ნ ე ბ ა რამდენადმე სრული და

ერთგვაროვანი. ჩვენ დავინახეთ, მაგალითად, თუ როგორ არადამაკმაყოფილებლად სწყდება ახლა პროგრამის თვით ძირითადი საკითხი: რა არის «ფაბრიკა და ქარხანა»? როდესაც არ არსებობს სამრეწველო აღწერები, როდესაც ისეთი სისტემაა, რომ ცნობებს თვით მრეწველებისგან კრებენ (პოლიციის, საფაბრიკო ინსპექციის და სხვ. საშუალებით), «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნება უსათუოდ განსაზღვრულ უნდა იქნას უცილობელი სიზუსტით და შემოიფარგლოს მარტოოდენ იმდენად დიდი საწარმოებით, რომელთა შესახებ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ისინი აღრიცხული იქნებიან ყველანი და ყველგან, გამოუტოვებლად. ძირითადი ელემენტები «საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა» განსაზღვრისა, რომელიც მიღებულია ამჟამად, როგორც ჩანს, საკმაოდ მოხერხებულადაა არჩეული: 1) მუშების რიცხვი საწარმოში არანაკლებ 15-ისა (მასთან დამუშავებულ უნდა იქნას საკითხი დამხმარე მუშების გამიჯვნისა ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან ამ სიტყვის საკუთარი აზრით, წლის განმავლობაში მუშების საშუალო რიცხვის განსაზღვრისა და სხვ.) და 2) ორთქლის ძრავის არსებობა (თუნდაც მუშების ნაკლები რიცხვის არსებობისას). სამწუხაროდ, ამ ნიშნეულობათათვის მიუმატებიათ სხვა, სრულიად გაურკვეველი ნიშნეულობანი, მაშინ როდესაც ამ განსაზღვრის გაფართოების დროს საჭიროა უდიდესი სიფრთხილე. თუ, მაგალითად, არ შეიძლება გამოტოვებულ იქნას წყლის ძრავიანი უდიდესი საწარმოებიც, საჭიროა სრული სიზუსტით აღინიშნოს, ამ სახის სახელდობრ რომელი საწარმოები უნდა აღირიცხოს (არანაკლებ ამა და ამ ძალის ძრავის, ანდა მუშების არანაკლებ ამდენი და ამდენი რიცხვის არსებობისას და სხვ.). თუ ზოგიერთ წარმოებაში აუცილებელია უფრო წვრილი საწარმოების ჩათვლაც, საჭიროა სრული სიზუსტით ჩამოვთვალოთ ეს წარმოებები და აღვნიშნოთ სხვა უფრო ნათელი ნიშნეულობანი ცნებისა: «საფაბრიკო-საქარხნო საწარმო». განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ წარმოებებს, სადაც «საფაბრიკო-საქარხნო» საწარმოები უერთდებიან «შინამრეწველურ» ან «სასოფლო-სამეურნეო»

საწარმოებს (თექის, აგურის, ტყავის, საფქვავი, ზეთსახდელი და მრ. სხვ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ «ფაბრიკისა და ქარხნის» ცნების ახლა აღნიშნული ორი ნიშნეულობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაფართოვდეს, იმიტომ რომ ცნობების შეკრების თანამედროვე სისტემის დროს ასეთი შედარებით დიდი საწარმოებიც კი საჭვოა აღრიცხულ იქნან სრულიად გამოუტოვებლად. ხოლო ამ სისტემის გარდაქმნა შეიძლება გამოიხატოს ან ნაწილობრივ და არაარსებითს ცვლილებებში, ან მრეწველობის სრულ აღწერათა შემოღებაში. რაც შეეხება ცნობების სიფართის საკითხს, ე. ი. მრეწველებისთვის მიცემულ კითხვათა რაოდენობას, აქაც გვიხდება გავატაროთ ძირითადი განსხვავება სამრეწველო აღწერასა და თანამედროვე ტიპის სტატისტიკას შორის. მხოლოდ პირველ შემთხვევაშია შესაძლებელი და აუცილებელი ვესწრაფოდეთ ცნობების სისრულის მიღწევას (კითხვები საწარმოს ისტორიის, ახლომახლო საწარმოებთან და ახლომახლო მოსახლეობასთან მისი ურთიერთობის, საქმის სავაჭრო მხარის, ნედლი და დამხმარე მასალის, პროდუქტის რაოდენობისა და სახის, ხელფასის, სამუშაო დღის, ცვლების, ღამის და ზედმეტ საათებში მუშაობისა და სხვ. და სხვ. შესახებ). მეორე შემთხვევაში კი ძალიან სიფრთხილე გვმართებს: უმჯობესია მივიღოთ ცოტა და შედარებით უტყუარი, სრული და ერთგვაროვანი ცნობები, ვიდრე მრავალი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საეჭვო და შეუსადარი ცნობები. უსათუოდ საჭიროა მხოლოდ დავუმატოთ კითხვები შემსრულებელი მექანიზმებისა და ნაკეთობათა რაოდენობის შესახებ.

როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა უაღრესად არადამაკმაყოფილებელიაო, ჩვენ ამით სრულიად არ გვინდა იმის თქმა, რომ მისი მონაცემები ყურადღებისა და დამუშავების ღირსი არ იყოს. სრულიად პირიქით. ჩვენ დაწვრილებით იმიტომ განვიხილეთ თანამედროვე სისტემის ნაკლოვანებანი, რომ ხაზი გაგვესვა მონაცემების განსაკუთრებულად გულდასმითი დამუშავების აუცილებლობისთვის. ამ დამუშავების მთავარი და ძირითადი მიზანი უნდა იყოს ხორბლისაგან ღვარძლის გამორჩევა, გამორ-

ჩევა შედარებით გამოსადეგი მასალისა გამოუსადეგარისაგან. როგორც დავინახეთ, ბ-ნ კარიშევის (და სხვა მრავალთა) უმთავრესი შეცდომა სწორედ ისაა, რომ მას ასეთი გამორჩევა არ მოუხდენია. «ფაბრიკებისა და ქარხნების» ციფრები ყველაზე ნაკლებად სარწმუნოა და მათი გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ წინასწარ გულმოდგინედ არ იქნა ისინი დამუშავებული (უფრო დიდი საწარმოების გამოყოფა და სხვ.). მუშების რიცხვი და წარმოების ჯამები ბევრად უფრო სარწმუნოა ზოგად საერთო ჯამებში (მასთან მაინც აუცილებელია ზუსტად გავარჩიოთ, თუ რომელი წარმოებანი და როგორ იყვნენ ჩათვლილნი, როგორ ირკვეოდა წარმოების ჯამი და სხვ.). ხოლო თუ უფრო დაწვრილებით შედეგებს ავიღებთ, შესაძლებელია მონაცემები შეუსადარი აღმოჩნდეს და მათი გამოყენება შეცდომებს გამოიწვევს. მხოლოდ ყველა ამ გარემოების უგულებელყოფით თუ აიხსნება სწორედ ზღაპრების წარმოშობა რუსეთის ფაბრიკების რიცხვის შემცირებისა და საფაბრიკო-საქარხნო მუშების რიცხვის (მოსახლეობასთან შედარებით) შემცირების შესახებ, — ზღაპრებისა, რომლებსაც ასეთი გულმოდგინებით ავრცელებდნენ ნაროდნიკები.

რაც შეეხება თვით მასალის დამუშავებას, მას უსათუოდ საფუძვლად უნდა დაედოს ცნობები თვითეული ცალკე ფაბრიკის შესახებ, ე. ი. საბარათო ცნობები. ეს ბარათები უწინარეს ყოვლისა დაჯგუფებულ უნდა იქნას ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. გუბერნია — მეტისმეტად დიდი ერთეულია. მრეწველობის განლაგების საკითხის დიდი მნიშვნელობა ბოითხოვს დაჯგუფებას ისეთი ცალკეული ქალაქების, გარეუბნების, სოფლებისა და სოფელთა ჯგუფების მიხედვით, რომელნიც სამრეწველო ცენტრებს ან რაიონებს შეადგენენ. შემდეგ აუცილებელია დაჯგუფება წარმოებათა მიხედვით. ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის უახლესმა სისტემამ მოახდინა არასასურველი ცვლილება, როდესაც რადიკალურად უარჰყო წარმოებათა ის ძველი ქვედაყოფა, რომელიც უკვე 60-იანი წლებიდან (და უფრო

ადრეც) ბატონობდა. «ნუსხაში» წარმოებები ახლებურადაა დაჯგუფებული 12 განყოფილებად: ამასთან თუ ავიღებთ მხოლოდ ძონაცემებს განყოფილებათა მიხედვით, მივიღებთ უზომოდ ფართო ჩარჩოებს, რომლებიც უაღრესად სხვადასხვანაირი ხასიათის წარმოებებს მოიცავენ და რომლებშიც ისინი ერთად არიან არეული (მაუდისა და თექის, ხე-ტყის საბერხის და ავეჯეულობის, საწერი ქაღალდისა და სასტამბო, თუჯასასხმელი და საოქრომჭედლო, აგურისა და ფაიფურის. ტყავისა და სანთლის, ზეთსახდელი და რაფინად-მაქრის, ლუდსახდელი და თამბაქოს და სხვ. წარმოებანი). ხოლო თუ ყველა ამ განყოფილებას დაწვრილებით დავანაწილებთ წარმოებებად, მივიღებთ (იხ. მიკულინის ციტირებ. თხზულებაში) მეტად დანაწევრებულ ჯგუფებს, რიცხვით ს ა მ ა ს ზ ე მ ე ტ ს! ძველი სისტემა, რომელშიც 10 განყოფილება და 100-მდე წარმოება იყო (1890 წლის «მაჩვენებლის» მიხედვით — 91), ჩვენ ბევრად უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია. შემდეგ, აუცილებელია ფაბრიკების დაჯგუფება მ უ შ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს, ძ რ ა ვ ე ბ ი ს ს ა ხ ე ო ბ ი ს ა და წ ა რ მ ო ე ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ასეთი დაჯგუფება განსაკუთრებით აუცილებელია წმინდა თეორიული თვალსაზრისითაც, მრეწველობის მდგომარეობისა და განვითარების შესწავლისთვის, აგრეთვე არსებული მასალიდან შედარებით გამოსადეგი და უვარგისი მონაცემების გამოყოფისთვის. ასეთი დაჯგუფების (რაც აუცილებლად საჭიროა ტერიტორიულ ჯგუფებსა და წარმოებათა ჯგუფებს შიგნით) უქონლობა — ყველაზე არსებითი ნაკლია საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ჩვენი ახლანდელი გამოცემებისა, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოვარკვიოთ მხოლოდ «საშუალო რიცხვები», ხოლო ეს რიცხვები ძალიან ხშირად სრულიად ფიქტიურია და უხეშ შეცდომებს იწვევენ. ბოლოს, დაჯგუფება ყველა ამ ნიშნეულობის მიხედვით თვითეულ ჯგუფში (და ქვეჯგუფებში) საწარმოთა რიცხვის გამორკვევით კი არ უნდა იფარგლებოდეს, არამედ მას აუცილებლად თან უნდა სდევდეს გამოანგარიშება თვითეული ჯგუფისთვის მუშების რიცხვისაც და

წარმოების ჯამისაც, როგორც ორთქლის, ისე ხელის საწარმოებში და სხვ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარდა ჯგუფობრივი ცხრილებისა აუცილებელია კიდევ კომბინაციური ცხრილებიც.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი დამუშავება უზომო რაოდენობის შრომას მოითხოვს. საერობო-სტატისტიკური ბიუროები, თავიანთი მცირე ბიუჯეტითა და მუშაკთა შემადგენლობით, ბევრად უფრო რთულ სამუშაოებს ასრულებენ თვითეულ მაზრაში; ისინი ამუშავებენ 20, 30 და 40 ათას ცალკეულ ბარათს (ხოლო მთელს რუსეთში შედარებით დიდ «საფაბრიკო-საქარხნო» საწარმოთა რიცხვი, ალბათ, 15 — 16 ათასზე მეტი არ აღმოჩნდება); ამასთანავე ცნობათა მოცულობა თვითეულ ბარათში გაცილებით უფრო ფართოა: საერობო-სტატისტიკურ კრებულებში ვერტიკალური სვეტები რამდენიმე ასეულია, მაშინ როდესაც «ნუსხაში», მაგალითად, ასეთი სვეტები ოცზე ნაკლებია. და მიუხედავად ამისა, საუკეთესო საერობო-სტატისტიკური კრებულები იძლევიან არამც თუ ჯგუფობრივ ცხრილებს სხვადასხვა ნიშნეულობის მიხედვით, არამედ კომბინაციურსაც, ე. ი. ისეთებს, რომელნიც სხვადასხვა ნიშნეულობის შეხამებას გვიჩვენებენ.

მონაცემების ასეთი დამუშავება მოგვცემდა, ჯერ-ერთი, აუცილებელ მასალას ეკონომიური მეცნიერებისთვის. მეორე მხრით კი იგი საბოლოოდ გადასწყვეტდა შედარებით ვარგისი და უვარგისი მონაცემების გამოყოფის საკითხს. ასეთი დამუშავების დროს ერთბაშად გამოაშკარავდებოდა მონაცემების შემთხვევითი ხასიათი ზოგიერთი წარმოების, გუბერნიის, პროგრამის ზოგიერთი პუნქტის მიხედვით და სხვა. შესაძლებლობას მივიღებდით გამოგვეყო შედარებით სრული, უტყუარი და ერთგვაროვანი მასალა. მივიღებდით ძვირფას მითითებებს იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლება უზრუნველვყოთ მასალის ეს თვისებანი მომავლისათვის.

დაწერილია 1898 წლის აგვისტოში.

დაიბეჭდა 1898 წელს კრებულში: ვლადიმირ ილინი — «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები»

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

რეცენზია

ა. ბოგდანოვი. **Краткий курс экономической науки.** Москва. 1897. Изд. кн. склада А. Муриновой. Стр. 290. Ц. 2 р.

ბ-ნ ბოგდანოვის წიგნი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში; ეს სხვა სახელმძღვანელოებს შორის არამც თუ «ზედმეტი არ არის» (როგორც «იმედოვნებს» ავტორი წინასიტყვაობაში), არამედ უეჭველად საუკეთესოა მათ შორის. ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს ამ შენიშვნაში მკითხველთა ყურადღება მივაქციოთ ამ თხზულების თვალსაჩინო ღირსებებზე და აღვნიშნოთ ზოგიერთი უმნიშვნელო პუნქტი, რომელშიც, ჩვენის აზრით, შემდგომ გამოცემებში შეიძლება გაუმჯობესებათა შეტანა; საფიქრებელია, რომ რაკი მკითხველი საზოგადოება ცხოველ ინტერესს იჩენს ეკონომიური საკითხებისადმი, ამ სასარგებლო წიგნის შემდგომი გამოცემების ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდება.

ბ-ნ ბოგდანოვის «კურსის» უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს მიმართულების სრული სიმტკიცე წიგნის პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე, წიგნისა, რომელშიც განხილულია ფრიად მრავალი და ფრიად ფართო საკითხები. ავტორი თავიდანვე ნათლად და ზუსტად განსაზღვრავს პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც «მეცნიერებას, რომელიც სწავლობს წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივ ურთიერთობას მის განვითარებაში» (3), და არსად არ იხევს ასეთი შეხედულებიდან, რომელიც ხშირად ფრიად უხეიროდ ესმით პოლიტიკური ეკონომიის სწავლულ პროფესორებს; ეს უკანასკნელნი ერთმანეთში ურევენ «წარმოების საზოგადოებრივ ურთი-

ერთობას» და წარმოებას საზოგადოდ და თავიანთ სქელტანიან წიგნებს ავსებენ უშინაარსო ბანალობათა და მაგალითების გროვით, რაც სრულიად არ შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებას. ავტორისთვის უცხოა ის სქოლასტიკა, რომელიც სახელმძღვანელოთა შემდგენლებს ხშირად აიძულებს ივარჯიშონ «დეფინიციებითა» და თვითეული დეფინიციის ცალკეულ ნიშნეულობათა განხილვით; ამასთანავე ბ-ნ ბოგდანოვის გადმოცემის გარკვეულობა არამც თუ ჰკარგავს რამეს ამით, არამედ პირდაპირ იძენს, და მკითხველი, მაგალითად, მიიღებს ნათელ წარმოდგენას ისეთ კატეგორიაზე, როგორიცაა კ ა პ ი ტ ა ლ ი როგორც მისი საზოგადოებრივი, ისე მისი ისტორიული მნიშვნელობით. ბ-ნ ბოგდანოვის «კურსში» პოლიტიკური ეკონომიის გადმოცემის წესს საფუძვლად უდევს შეხედულება პოლიტიკურ ეკონომიაზე, როგორც მეცნიერებაზე საზოგადოებრივი წარმოების წყობათა შესახებ, რომლებიც ისტორიულად ვითარდებიან. გადმოგვცემს რა თავდაპირველად მოკლედ მეცნიერების «ზოგად ცნებებს» (გვ. 1 — 19), ხოლო ბოლოში «ეკონომიურ შეხედულებათა» ძოკლე «ისტორიას» (გვ. 235 — 290), ავტორი ამ მეცნიერების შინაარსს გადმოგვცემს განყოფილებაში «გ. ეკონომიური განვითარების პროცესი», გადმოგვცემს არა დოგმატურად (როგორც ეს მიღებულია სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში), არამედ ეკონომიური განვითარების თანამიმდევარი პერიოდების დახასიათების სახით, სახელდობრ იგი ახასიათებს: პირველყოფილი გვაროვნული კომუნიზმის პერიოდს, მონობის პერიოდს, ფეოდალიზმისა და ამქრობის და, ბოლოს, კაპიტალიზმის პერიოდს. სწორედ ასეა საჭირო პოლიტიკური ეკონომიის გადმოცემა. შეიძლება ვინმემ სთქვას, ამგვარი გადმოცემისას ავტორს აუცილებლად უხდება ერთი და იმავე თეორიული განყოფილების (მაგ., ფულის შესახებ) დაქუცმაცება სხვადასხვა პერიოდს შორის და განმეორებაო. მაგრამ ამ წმინდა ფორმალურ ნაკლს სავსებით ანაზღაურებს ისტორიული გადმოცემის ძირითადი ღირსებები. მერე და განა ეს ნაკლია? განმეორებანი ფრიად მცირეა და სასარგებლოცაა

დამწყებისთვის, იმიტომ რომ ის უფრო მტკიცედ ითვისებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დებულებებს. მაგალითად, ფულის სხვადასხვა ფუნქციის ეკონომიური განვითარების სხვადასხვა პერიოდისადმი მიკუთვნება — თვალნათლივ უჩვენებს მოსწავლეს, რომ ამ ფუნქციების თეორიული ანალიზი დამყარებულია არა აბსტრაქტულ სპეკულაციაზე, არამედ იმის ზედმიწევნითს შესწავლაზე, რაც კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში ნამდვილად ხდებოდა. წარმოდგენა საზოგადოებრივი მეურნეობის ცალკეულ, ისტორიულად გარკვეულ, წყობებზე უფრო მთლიანი გამოდის. ხოლო პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მთელი ამოცანა ხომ სწორედ ისაა, რომ ამ მეცნიერების შემსწავლელს მიაწოდოს ძირითადი ცნობები საზოგადოებრივი მეურნეობის სხვადასხვა სისტემისა და თვითეული სისტემის მთავარ ნიშნეულობათა შესახებ; მთელი ამოცანა ისაა, რომ ადამიანს, რომელიც შეითვისებს დაწყებითს სახელმძღვანელოს, ხელთ ჰქონდეს საიმედო გზის მაჩვენებელი ძაფი ამ საგნის შემდგომი შესწავლისთვის, რომ მას ინტერესი აღეძრას ასეთი შესწავლისადმი და გაიგოს, რომ ეკონომიური მეცნიერების საკითხებთან ფრიად უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოთა შორის ასში ოთხმოცდაცხრამეტს სწორედ ეს აკლია. მათი ნაკლია არა კიდევ იმდენად ის, რომ ისინი ჩვეულებრივ სჯერდებიან საზოგადოებრივი მეურნეობის ერთს სისტემას (სახელდობრ კაპიტალიზმს), რამდენადაც ის, რომ მათ არ შესწევთ უნარი მიაპყრონ მკითხველის ყურადღება ამ სისტემის ძირითად თვისებებზე; არ შესწევთ უნარი ნათლად განსაზღვრონ ამ სისტემის ისტორიული მნიშვნელობა, ცხადჰყონ, ერთი მხრივ, მისი წარმოშობის პროცესი (და პირობები), მეორე მხრივ, მისი შემდგომი განვითარების ტენდენციები; არ შესწევთ უნარი წარმოიდგინონ თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების ცალკეული მხარეები და ცალკეული მოვლენები, როგორც საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრული სისტემის შემადგე-

ნელი ნაწილები, როგორც ამ სისტემის ძირითად თვისებათა გამოვლინებანი; არ შესწევთ უნარი გაუწიონ მკითხველს საიმედო ხელმძღვანელობა, იმიტომ რომ ჩვეულებრივ ვერ იცავენ მტკიცე თანამიმდევრობით ერთ მიმართულებას; და, ბოლოს, არ შესწევთ უნარი დააინტერესონ მოსწავლე, რადგან მეტად ვიწროდ და ერთმანეთთან დაუკავშირებლად ესმით ეკონომიური საკითხების მნიშვნელობა, ალაგებენ რა «პოეტური უწესრიგობით» ეკონომიურ, პოლიტიკურ, მორალურ და სხვ. «ფაქტორებს». მხოლოდ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას შეაქვს სინათლე ამ ქაოსში, მხოლოდ ის გვაძლევს შესაძლებლობას ვიქონიოთ ფართო, მთლიანი და გონიერი შეხედულება საზოგადოებრივი მეურნეობის განსაკუთრებულ წყობაზე, როგორც ადამიანის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული წყობის საძირკველზე.

ბ-ნ ბოგდანოვის «კურსის» უდიდესი ღირსება სწორედ ისაა, რომ ავტორი თანამიმდევრობით მისდევს ისტორიულ მატერიალიზმს. ახასიათებს რა ეკონომიური განვითარების გარკვეულ პერიოდს, ის იძლევა ჩვეულებრივ «გადმოცემაში» პოლიტიკური წესწყობილების, საოჯახო ურთიერთობათა, საზოგადოებრივი აზროვნების ძირითად მიმდინარეობათა ნარკვევს არსებული ეკონომიური წყობილების ძირითად თვისებებთან დაკავშირებით. გამოარკვია რა, თუ როგორ წარმოშობდა არსებული ეკონომიური წყობილება საზოგადოების განსაზღვრულ დანაწილებას კლასებად, ავტორი ცხადჰყოფს, თუ როგორ იჩენდნენ თავს ეს კლასები არსებული ისტორიული პერიოდის პოლიტიკურ, ოჯახურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში, როგორ გამოხატავდნენ ამ კლასთა ინტერესებს განსაზღვრული ეკონომიური სკოლები, მაგალითად, როგორ გამოხატა თავისუფალი კონკურენციის სკოლამ კაპიტალიზმის აღმავალი განვითარების ინტერესები, ხოლო იმავე კლასის ინტერესები მერმინდელ პერიოდში როგორ გამოხატა ვულგარული ეკონომისტების (284) სკოლამ, აპოლოგიის სკოლამ. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ავტორი ისტორიული სკოლის (284) და კათედერ-რეფორმერე-

ბის («რეალისტური» ანუ «ისტორიულ-ეთიკური») სკოლის კავშირს გარკვეული კლასების მდგომარეობასთან. ეს უკანასკნელი სკოლა უნდა ვაღიაროთ «კომპრომისის სკოლად» (287) მისი უშინაარსო და ყალბი წარმოდგენით იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა «კლასგარეშე» წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ (288) და სხვ. ავტორი კაპიტალიზმის განვითარებასთან აკავშირებს სისმონდისა და პრუდონის მოძღვრებებსაც და სამართლიანად სთვლის მათ წვრილბურჟუაზიულ ეკონომისტებად, — გვიჩვენებს რა მათი იდეების ფესვებს კაპიტალისტური საზოგადოების იმ განსაკუთრებული კლასის ინტერესებში, რომელსაც «საშუალო, გარდამავალი ადგილი» უჭირავს (279), და პირდაპირ აღიარებს ასეთი იდეების რეაქციულ მნიშვნელობას (280 — 281). იმის გამო, რომ ავტორი მტკიცედ ადგია თავის შეხედულებებს და მას უნარი შესწევს განიხილოს სამეურნეო ცხოვრების ცალკეული მხარეები არსებული ეკონომიური წყობილების ძირითად თვისებებთან დაკავშირებით, ის მართებულად აფასებს ისეთი მოვლენების მნიშვნელობას, როგორიცაა მუშების მონაწილეობა საწარმოს მოგებაში («ხელფასის ერთ-ერთი ფორმა», რომელიც «ძალიან იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს ხელსაყრელი მეწარმესთვის» (გვ. 132 — 133)), ან საწარმოო ასოციაციები, რომლებიც, «ეწყობიან რა კაპიტალისტურ ურთიერთობათა პირობებში», «არსებითად მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიას ამრავლებენ» (187).

ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნ ბოგდანოვის «კურსის» სწორედ ეს თვისებები ცოტა საყვედურს როდი გამოიწვევენ. თავისთავად ცხადია, უკმაყოფილონი დარჩებიან «ეთიკურ-სოციოლოგიური» სკოლის წარმომადგენლები და მომხრეები რუსეთში. უკმაყოფილონი იქნებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ «ისტორიის ეკონომიური გაგების საკითხი წმინდა აკადემიური საკითხია» *, და კიდევ მრავალნი სხვანი... მაგრამ გარდა ამ, ასე

* ასე ფიქრობს «რუსსკაია მისლის» (1897 წლის ნოემბერი, ბიბლ. განყოფ., გვ. 517) საჟურნალო მიმომხილველი. ასეთი კომიკებიც ხომ არსებობენ!

ვთქვათ პარტიული, უკმაყოფილებისა, ალბათ, იმაზეც მიგვითითებენ, რომ საკითხების ფართო დაყენებამ გამოიწვია «მოკლე კურსის» გადმოცემის მეტისმეტი კონსპექტურობა: «მოკლე კურსის» სულ რაღაც 290 გვერდზე ლაპარაკია ეკონომიური განვითარების ყველა პერიოდზეც, დაწყებული გვიანროვნული თემითა და ველურებით და გათავებული კაპიტალისტური კარტელებითა და ტრესტებით, ანტიკური ქვეყნისა და შუა საუკუნეების პოლიტიკურ და ოჯახურ ცხოვრებაზეც, ეკონომიურ შეხედულებათა ისტორიაზეც. ბ-ნ ა. ბოგდანოვის გადმოცემა მართლაც უაღრესად შემჭიდროებულია, როგორც თვითონვე აღნიშნავს წინასიტყვაობაში, უწოდებს რა თავის წიგნს პირდაპირ «კონსპექტს». ეჭვს გარეშეა, ავტორის ზოგიერთი კონსპექტური შენიშვნა, რაც უფრო ხშირად ისტორიული ხასიათის ფაქტებს, ხოლო ხანდახან თეორიული ეკონომიის უფრო დეტალურ საკითხებსაც შეეხება, გაუგებარი იქნება დამწყები მკითხველისთვის, რომელსაც პოლიტიკური ეკონომიის გაცნობა სურს. მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ ამაში ბრალი ავტორს ვერ დაედება. იმასაც კი ვიტყვით, და პარადოქსალობის ბრალდებისა არ შეგვეშინდება, რომ ამგვარი შენიშვნები, ჩვენის ფიქრით, ამ წიგნის უფრო ღირსებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ნაკლად. მართლაც, ავტორი რომ შესდგომოდა თვითეული ასეთი შენიშვნის დაწვრილებით გადმოცემას, განმარტებას და დასაბუთებას, მისი ნაშრომი ისე უზარმაზრად გაიზრდებოდა, რომ სრულიად შეუფერებელი იქნებოდა მოკლე სახელმძღვანელოს ამოცანებისთვის. წარმოუდგენელიცაა გადმოსცე რაიმე კურსში, რაგინდ სქელტანიანი იყოს ის, თანამედროვე მეცნიერების ყველა მონაცემი ეკონომიური განვითარების ყველა პერიოდისა და ეკონომიურ შეხედულებათა ისტორიის შესახებ არისტოტელედან მოყოლებული ვაგნერამდე. მას რომ ყველა ასეთი შენიშვნა ამოეგდო, მისი წიგნი უეჭველად წააგებდა პოლიტიკური ეკონომიის ფარგლებისა და მნიშვნელობის შეიწროებით. ამ სახით კი ეს კონსპექტური შენიშვნები, ჩვენის ფიქრით, დიდს სარგებლობას მოუტანს როგორც მასწავლებ-

ლებს, ისე მოსწავლეთ, ვინც ამ კონსპექტით ისარგებლებს. პირველთა შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. მეორენი კი ამ შენიშვნებიდან დაინახავენ, რომ პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა არ შეიძლება იოლად, mir nichts dir nichts *, ყოველგვარი წინასწარი ცოდნის უქონლად, ისე, რომ არ იცნობდე ისტორიის, სტატისტიკისა და სხვ. ფრიად ბევრსა და ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. მოსწავლენი დაინახავენ, რომ საზოგადოებრივ მეურნეობას, მის განვითარებას და მის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ვერ გაეცნობი ერთი ან თუნდ რამდენიმე ისეთი სახელმძღვანელოს თუ კურსის საშუალებით, რომელნიც განირჩევიან ხშირად საკვირველი «გადმოცემის სიმსუბუქით», მაგრამ სამაგიეროდ საკვირველი უშინაარსობითაც, წყლის ნაყვით; რომ ეკონომიურ საკითხებთან განუყრელად დაკავშირებულია ისტორიისა და თანამედროვე სინამდვილის უაღრესად საჭირბოროტო საკითხები და რომ ამ უკანასკნელ საკითხებს ფესვები წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობებში აქვთ გადგმული. ასეთია სწორედ ყოველგვარი სახელმძღვანელოს უმთავრესი ამოცანა: მოგვაწოდოს გადმოსაცემ საგანზე ძირითადი ცნებები და მიგვითითოს, თუ რა მიმართულებით უნდა ხდებოდეს ამ საგნის უფრო დაწვრილებით შესწავლა და რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი შესწავლა.

მივმართოთ ახლა ჩვენი შენიშვნების მეორე ნაწილს, ბ-ნ ბოგდანოვის წიგნის იმ ადგილების აღნიშვნას, რომლებსაც, ჩვენის აზრით, შესწორება ან შევსება ესაჭიროება. იმედი გვაქვს, პატივცემული ავტორი არ გვისაყვედურებს ამ შენიშვნების წვრილმანობასა და მჩხრეკელობასაც კი: კონსპექტში ცალკეულ ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებსაც კი

* როგორც მოსწრებულად შენიშნა კაუტსკიმ თავისი ცნობილი წიგნის «Marx's Oekonomische Lehren»-ის წინასიტყვაობაში («კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრება». რ ე დ.).

შეუდარებლად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დაწვრილებითსა და ვრცელს გადმოცემაში.

ბ-ნი ბოგდანოვი საერთოდ იცავს იმ ეკონომიური სკოლის ტერმინოლოგიას, რომელსაც იგი მისდევს. მაგრამ, როცა ღირებულების ფორმაზე ლაპარაკობს, იგი ამ ტერმინს სცვლის გამოთქმით: «გაცვლა-გამოცვლის ფორმულა» (გვ. 39 და შემ.). ეს გამოთქმა ჩვენ უხეიროდ მიგვაჩნია; ტერმინი «ღირებულების ფორმა» მართლაც უხერხულია მოკლე სახელმძღვანელოში და მის მაგივრად, მგონი, უკეთესი იქნება ვთქვათ: გაცვლა-გამოცვლის ფორმა ან გაცვლა-გამოცვლის განვითარების საფეხური, თორემ ისეთ გამოთქმასაც კი ვღებულობთ, როგორიცაა «გაცვლა-გამოცვლის მე-2 ფორმულის ბატონობა» (43) (?). კაპიტალზე ლაპარაკის დროს ავტორს ტყუილად დავიწყებია მიეთითებინა კაპიტალის იმ ზოგად ფორმულაზე, რომელიც მოსწავლეს დახმარებას გაუწევდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ერთგვარობის შეთვისებაში. — კაპიტალიზმის დახასიათებისას ავტორს გამოუტოვებია საკითხი სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდისა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ხარჯზე და მოსახლეობის კონცენტრაციისა დიდ ქალაქებში; ეს ხარვეზი მით უფრო საგრძნობია, რომ, როცა ავტორი შუა საუკუნეებზე ლაპარაკობს, ის დაწვრილებით ჩერდება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაზე (63 — 66), ხოლო თანამედროვე ქალაქზე მხოლოდ ორიოდე სიტყვას ამბობს: იგი სოფელს იმორჩილებსო (174).—როდესაც ავტორი მრეწველობის ისტორიაზე ლაპარაკობს, იგი გადაჭრით აყენებს «კაპიტალისტური წარმოების საშინაო სისტემას» * «ხელოსნობიდან მანუფაქტურისაკენ მიმავალ შუა გზაზე» (გვ. 156, თ ე ზ ი ს ი მე-6). ამ საკითხის შესახებ საქმის ასეთი გამარტივება ჩვენ ცოტა უხერხულად მიგვაჩნია. «კა-

---

* გვ. 93, 95, 147, 156. ჩვენ გვგონია, ავტორი ამ ტერმინით მოხერხებულად სცვლიდა გამოთქმას: «მსხვილი წარმოების საშინაო სისტემა», რომელიც ჩვენს ლიტერატურაში კორსაკმა შემოიტანა.

პიტალის» ავტორი კაპიტალისტურ შინ მუშაობას აგვიწერს მანქანური ინდუსტრიის განყოფილებაში; ამ მუშაობას იგი სთვლის შრომის ძველ ფორმებზე მანქანური ინდუსტრიის გარდამქმნელი ზემოქმედების შედეგად. მართლაც, შინ მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც ბატონობს, მაგალითად, ევროპაშიც და რუსეთშიც საკონფექციო ინდუსტრიაში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავაყენოთ «ხელოსნობიდან მანუფაქტურისაკენ მიმავალ შუა გზაზე». შინ მუშაობის ეს ფორმები კაპიტალიზმის ისტორიულ განვითარებაში მანუფაქტურის შ ე მ დ გ ო მ საფეხურზე დგანან და, ჩვენის აზრით, ამაზე ორიოდე სიტყვის თქმა იყო საჭირო.— თავში კაპიტალიზმის მანქანური პერიოდის * შესახებ დიდს ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ არაა პარაგრაფი სარეზერვო არმიასა და კაპიტალისტურ ჭარბმოსახლეობაზე, მის წარმოშობაზე მანქანური ინდუსტრიის მიერ, მის მნიშვნელობაზე მრეწველობის ციკლურ მოძრაობაში, მის მთავარ ფორმებზე. ავტორის სწორედ ის გაკვრითი მითითებანი ამ მოვლენებზე, რაც მოცემულია 205-ე და 270-ე გვერდზე, უცილობლად არასაკმარისია. — ავტორის მტკიცება, რომ «უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში» «მოგება რენტაზე ბევრად უფრო სწრაფად იზრდებაო» (179), ძალიან გაბედული მტკიცებაა. არამც თუ რიკარდო (რომლის წინააღმდეგაც აკეთებს ამ შენიშვნას ბ-ნი ბოგდანოვი). არამედ მარქსიც აღნიშნავს რენტის საერთო ტენდენციას განსაკუთრებით სწრაფი ზრდისაკენ ყველა და ყოველგვარ პირობებში (რენტის ზრდა შესაძლებელია პურის ფასის დაკლების დროსაც კი). პურის ფასის (და განსაზღვრულ პირობებში რენტისაც) ის დაკლება, რაც ამ უკანასკნელ დროს გამოწვეულია ამერიკის, ავსტრალიისა. და სხვ. ყამირი მინდვრების კონკურენციით, მწვავედ დადგა მხოლოდ 70-იანი წლებიდან და ენგელსის შენიშვნა რენტის განყოფილებაში («Das Kapital», III. 2, 259 —

* კაპიტალიზმის მკაფიო დაყოფა მანუფაქტურულ და მანქანურ პერიოდად ბ-ნ ბოგდანოვის «კურსის» ფრიად დიდ ღირსებას შეადგენს.

260 *), მიძღვნილი თანამედროვე სამიწათმოქმედო კრიზისისადმი, ბევრად უფრო ფრთხილადაა ფორმულირებული. ენგელსი აქ აღნიშნავს რენტის ზრდის «კანონს» ცივილიზებულ ქვეყნებში, კანონს, რომელიც ხსნის «მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის გასაოცარ გამძლეობას», და მხოლოდ შემდგომ აღნიშნავს იმას, რომ ეს გამძლეობა «თანდათანობით იშრიტებაო» (allmählig sich erschöpft). — მიწათმოქმედებისადმი მიძღვნილი პარაგრაფებიც მეტისმეტად მოკლეა. პარაგრაფში (კაპიტალისტური) რენტის შესახებ მხოლოდ სულ გაკვრითაა აღნიშნული, რომ მისი პირობაა კაპიტალისტური მიწათმოქმედებაო («კაპიტალიზმის პერიოდში მიწა კერძო საკუთრებად რჩება და კაპიტალის როლში გამოდისო», 127, — და მეტი არაფერი!). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ამაზე რამდენიმე სიტყვის თქმა უფრო ვრცლად, უფრო დაწვრილებით ლაპარაკი სოფლის ბურჟუაზიის წარმოშობაზე, სამიწათმოქმედო მუშების მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის განსხვავებაზე ფაბრიკის მუშების მდგომარეობისაგან (მოთხოვნილებათა და ცხოვრების უფრო დაბალი დონე; მიწაზე მიჯაჭვის ნაშთები ან სხვადასხვა Gesindeordnungen ** და სხვ.). სამწუხაროა აგრეთვე, რომ ავტორი არ შეხებია კაპიტალისტური რენტის გენეზისის საკითხს. იმ შენიშვნების შემდეგ, რაც ავტორმა გააკეთა კოლონებსა[7] და დამოკიდებულ გლეხებზე, აგრეთვე ჩვენებური გლეხების იჯარაზე, — საჭირო იყო მოკლედ დახასიათება იმისა, თუ როგორი იყო რენტის განვითარების საერთო მსვლელობა შრომამიგებითი რენტიდან (Arbeitsrente) ნატურალური რენტისაკენ (Produktenrente), შემდეგ ფულადი რენტისაკენ (Geldrente), და უკვე აქედან კაპიტალისტური რენტისაკენ (შეად. «Das Kapital», III, 2, Kap.

---

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 259 — 260[6]. რ ე დ.

** — კანონდებულებანი, რომელნიც აწესრიგებდნენ მიწათმფლობელებისა და ყმა-გლეხების ურთიერთობას. რ ე დ.

47 *). — როცა ავტორი ლაპარაკობს კაპიტალიზმის მიერ დამხმარე სარეწების განდევნაზე და ამის გამო გლეხური მეურნეობის გამძლეობის დაკარგვაზე, იგი ასეთს აზრს გამოსთქვამს: «გლეხური მეურნეობა საერთოდ უფრო ღარიბდება, — მის მიერ წარმოებულ ღირებულებათა საერთო ჯამი მცირდებაო» (148). ეს მეტად არაზუსტადაა ნათქვამი. კაპიტალიზმის მიერ გლეხობის გაჩანაგების პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ ის იდევნება სოფლის ბურჟუაზიის მიერ, რომელიც იმავე გლეხობიდან წარმოსდგება. ბ-ნი ბოგდანოვი არა გვგონია შესძლებდა, მაგ., აეწერა გლეხური მეურნეობის დაცემა გერმანიაში, თუ იგი არ შეეხებოდა Vollbauer-ებს **. ხსენებულ ადგილას ავტორი ლაპარაკობს გლეხებზე საერთოდ, მაგრამ ამის შემდგომ მას მოჰყავს მაგალითი რუსეთის ცხოვრებიდან, — ხოლო რუს გლეხზე «საერთოდ» ლაპარაკი მეტად სარისკოა, თუ მეტი არა. ავტორი იმავე გვერდზე ამბობს: «გლეხი ან მხოლოდ მიწათმოქმედებას მისდევს, ან მანუფაქტურაში მიდისო», ესე-იგი, — დავუმატებთ ჩვენის მხრით, — ან სოფლის ბურჟუად იქცევა, ან პროლეტარად (მიწის პატარა ნაკვეთით). ამ ორმხრივი პროცესის მოხსენიება საჭირო იყო. — ბოლოს, წიგნის საერთო ნაკლად უნდა აღვნიშნოთ მაგალითების უქონლობა რუსეთის ცხოვრებიდან. ფრიად მრავალ საკითხზე (თუნდაც, მაგალითად, შუა საუკუნეებში წარმოების ორგანიზაციაზე, მანქანური წარმოებისა და რელსიანი გზების განვითარებაზე, ქალაქის მოსახლეობის ზრდაზე, კრიზისებსა და სინდიკატებზე, ფაბრიკისაგან მანუფაქტურის განსხვავებაზე და სხვ.) ასეთი მაგალითების მოყვანას ჩვენი ეკონომიური ლიტერატურიდან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, თორემ საგნის შეთვისება დამწყებისათვის ძლიერ ძნელდება მისთვის ნაცნობი მაგალითების უქონლო-

---

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, თავი 47 ³. რ ე დ.

** — ისეთ გლეხებს, რომელთაც აქვთ მიწის სრული (გაუყოფელი) ნაკვეთები. რ ე დ.

ბის გამო. ჩვენ გვგონია, რომ აღნიშნული ხარვეზების შევსება ძალიან მცირეოდნად გაზრდიდა წიგნს და არ გააძნელებდა მის ფართო გავრცელებას, რაც ყოველი მხრივ ფრიად სასურველია.

დაწერილია 1898 წლის თებერვალში.

დაიბეჭდა 1898 წლის აპრილს ჟურნალ «მირ ბოჟის» № 4-ში

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის

(ბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბაზრების საკითხს, როგორც ვიცით, უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ ეკონომისტ-ნაროდნიკების მოძღვრებაში, რომელთაც ბ-ნნი ვ. ვ.[1] და ნ. — ონი მეთაურობდნენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იმ ეკონომისტებმა, რომლებიც უარყოფით უყურებდნენ ნაროდნიკების თეორიებს, საჭიროდ სცნეს ყურადღება მიექციათ ამ საკითხისთვის და გამოერკვიათ უწინარეს ყოვლისა «ბაზრების თეორიის» ძირითადი, აბსტრაქტულ-თეორიული პუნქტები. ამის გამორკვევა სცადა 1894 წელს ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ თავის წიგნში: «სამრეწველო კრიზისები თანამედროვე ინგლისში», მეორე ნაწილის I თავი: «ბაზრების თეორია», ხოლო შემდეგ წარსულ წელს ამავე საკითხს ბ-ნმა ბულგაკოვმა უძღვნა თავისი წიგნი: «ბაზრები კაპიტალისტური წარმოების დროს» (მოსკოვი, 1897 წ.). ორივე ავტორის ძირითადი შეხედულებანი ერთნაირი აღმოჩნდა; ორივესათვის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს «მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიმოქცევისა და რეპროდუქციის» იმ შესანიშნავი ანალიზის გადმოცემაში, რომელიც მოგვცა მარქსმა «კაპიტალის» მეორე ტომის III განყოფილებაში. ორივე ავტორი შეთანხმდა იმაში, რომ ბატონ ვ. ვ.-ის და ნ. — ონის თეორიები ბაზრის (განსაკუთრებით საშინაო ბაზრის) შესახებ

კაპიტალისტურ საზოგადოებაში უსათუოდ მცდარია და ემყარება ან იმას, რომ ბბ. ვ. ვ. და ნ.—ონი უგულებელჰყოფენ მარქსის ანალიზს, ანდა იმას, რომ მათ ვერ გაუგიათ მარქსის ანალიზი. ორივე ავტორმა აღიარა, რომ განვითარების გზაზე მდგარი კაპიტალისტური წარმოება თვითონ ჰქმნის თავისთვის ბაზარს უმთავრესად წარმოების საშუალებათა და არა მოხმარების საგნების ხარჯზე; — რომ საერთოდ პროდუქტის და კერძოდ ზეღირებულების [10] რეალიზაცია საესებით შეიძლება აიხსნას საგარეო ბაზრის დაუხმარებლად;—რომ კაპიტალისტური ქვეყნისთვის საგარეო ბაზრის აუცილებლობა გამომდინარეობს არა რეალიზაციის პირობებიდან (როგორც ბატონ ვ. ვ.-ს და ნ.—ონს ეგონათ), არამედ ისტორიული პირობებიდან და სხვ. ასეთი სრული თანხმობისას ბბ. ბულგაკოვსა და ტუგან-ბარანოვსკის შორის სადავო თითქოს არაფერია, და მათ შეუძლიათ ერთად წარმართონ თავიანთი ძალები ნაროდნიკული ეკონომიის უფრო დაწვრილებითი და შემდგომი კრიტიკისაკენ. ნამდვილად კი ხსენებულ მწერალთა შორის ატყდა პოლემიკა (ბულგაკოვი, ხსენ. თხზ., გვ. 246—257 და passim *; ტუგან-ბარანოვსკი ჟურნალში «მირ ბოჟი» 1898 წ., № 6: „კაპიტალიზმი და ბაზარი“, ს. ბულგაკოვის წიგნის გამო). ჩვენის აზრით, ბ-ნმა ბულგაკოვმაც და ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმაც თავიანთ პოლემიკაში ცოტა არ იყოს შესტოპეს და თავიანთ შენიშვნებს მეტად პირადი ხასიათი მისცეს. ვცადოთ გავარკვიოთ, არის თუ არა მათ შორის ნამდვილი უთანხმოება და თუ არის, ვინაა მათგან უფრო მართალი.

უწინარეს ყოვლისა ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ბრალს სდებს ბ-ნ ბულგაკოვს იმაში, რომ ის «ნაკლებად ორიგინალურია» და ძლიერ უყვარს jurare in verba magistri ** («მ. ბ.», 123). «კაპიტალისტური ქვეყნისთვის საგარეო ბაზრის როლის საკითხის ჩემს მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტა, რომელსაც მთლიანად აღიარებს ბ-ნი ბულგაკოვი, მარქსიდან როდი მაქვს

* — სხვები. რ ე დ.

** — მასწავლებლის სიტყვებით ფიცი. რ ე დ.

აღებულიო», — აცხადებს ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი. ჩვენ გვგონია, რომ ეს განცხადება სწორი არ არის, ვინაიდან საკითხის გადაჭრა ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის სწორედ მარქსიდან აქვს აღებული; ეჭვს გარეშეა, ბ-ნ ბულგაკოვსაც აქედანვე აქვს იგი აღებული, ასე რომ აქ დავა შეიძლება სწარმოებდეს არა «ორიგინალობაზე», არამედ მარქსის ამა თუ იმ დებულების გაგებაზე, მარქსის მოძღვრების ასე თუ ისე გადმოცემის საჭიროებაზე. ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამბობს, რომ მარქსი «II ტომში სრულიად არ ეხება საგარეო ბაზრის საკითხს» (l. c. *). ეს სწორი არ არის. მეორე ტომის სწორედ იმ განყოფილებაში (III-ში), სადაც მოცემულია პროდუქტის რეალიზაციის ანალიზი, მარქსი სრულიად გარკვეულად განმარტავს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხთან საგარეო ვაჭრობას და, მაშასადამე, საგარეო ბაზარსაც. აი რას ამბობს ის ამის შესახებ:

«კაპიტალისტური წარმოება საზოგადოდ არ არსებობს საგარეო ვაჭრობის გარეშე. მაგრამ თუ ჩვენ ვიგულისხმებთ ნორმალურ წლიურ რეპროდუქციას მოცემული მასშტაბით, ამით უკვე ნაგულისხმევია, რომ საგარეო ვაჭრობა შინაური საგნების (Artikel — საქონელი) მხოლოდ ადგილს აჭერინებს სხვა სახმარი ან ნატურალური ფორმის საგნებს, და ამასთან არ ახდენს გავლენას არც ღირებულების იმ შეფარდებაზე, რომლის მიხედვით ერთმანეთზე იცვლება ორი კატეგორია: წარმოების საშუალებები და მოხმარების საშუალებები. არც მუდმივი კაპიტალის, ცვალებადი კაპიტალის და ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე, რომლებადაც დაიშლება თვითეული ამ კატეგორიის პროდუქტის ღირებულება. მაშასადამე, ყოველწლიურად რეპროდუქციაქმნილი პროდუქტის ღირებულების ანალიზში საგარეო ვაჭრობის შემოტანას, რაც არავითარ ახალ მომენტს არ იძლევა არც თვით ამოცანისათვის, არც მისი ახსნისთვის, მხოლოდ არევ-დარევა შეუძლია შექმნას. მაშასადამე, საჭიროა

* — loco citato — ციტირებულ ადგილას. რედ.

სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვოთ ‘იგი...» («Das Kapital», II [1], 469 *. კურსივი ჩვენია). «საკითხის გადაჭრა», მოცემული ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის მიერ: — «...ყოველ ქვეყანაში, რომელსაც საქონელი უცხოეთიდან შემოაქვს, შეიძლება იყოს კაპიტალის სიჭარბე; ასეთი ქვეყნისთვის საგარეო ბაზარი უსათუოდ საჭიროა» («სამრეწველო კრიზისები», გვ. 429. ციტ. «მ. ბ.», l. c., 121) — არის მარქსის დებულების უბრალო გადასხვაფერება. მარქსი ამბობს, რომ რეალიზაციის ანალიზის დროს შეუძლებელია ანგარიშში მივიღოთ საგარეო ვაჭრობა, ვინაიდან ის მხოლოდ ახდენს ერთი საქონლის შენაცვლებას მეორით. ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი, არჩევს რა რეალიზაციის იმავე საკითხს («სამრეწველო კრიზისები», მეორე ნაწილის I თავი), ამბობს, რომ იმ ქვეყანას, რომელსაც საქონელი შემოაქვს, კიდევაც უნდა გაჰქონდეს საქონელი, ე. ი. საგარეო ბაზარი უნდა ჰქონდესო. ახლა ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ითქვას, რომ «საკითხის გადაჭრა» ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის «სრულებითაც არა აქვს აღებული მარქსისაგან»? შემდეგ ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამბობს, რომ ««კაპიტალის» II და III ტომი წარმოადგენს მხოლოდ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შავად ნაწერ მონასახს» და რომ «ამ მიზეზის გამო III ტომში ჩვენ ვერ ვპოულობთ დასკვნებს იმ შესანიშნავი ანალიზიდან, რომელიც წარმოდგენილია II ტომში» (ხსენ. სტატია, 123). ეს მტკიცებაც არაა სწორი. საზოგადოებრივი რეპროდუქციის ცალკეული ანალიზების გარდა («Das Kapital», III, 1, 289) [12]: განმარტებას იმის შესახებ, თუ რა აზრით და რამდენად არის მუდმივი კაპიტალის რეალიზაცია «დამოუკიდებელი» ინდივიდუალური მოხმარებისაგან, «ჩვენ ვპოულობთ III ტომის» სპეციალურ თავში (49-ე. «წარმოების პროცესის ანალიზისათვის»), რომელიც ეხება დასკვნებს II ტომში წარმოდგენილი შესანიშნავი ანალიზიდან, — თავში, სადაც ამ ანალიზის შედეგები გამოყენებულია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი შემოსავლის სახეების შესახებ.

* «კაპიტალი», ტ. II [1], გამოც. 1-ლი, გვ. 469 [11]. რ ე დ.

ბოლოს, სწორედ ასევე არასწორად უნდა მივიჩნიოთ ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის მტკიცება, თითქოს «მარქსი «კაპიტალის» III ტომში ამ საკითხის შესახებ სულ სხვა აზრებს გამოსთქვამდეს», თითქოს III ტომში ჩვენ «ვხვდებოდეთ ისეთ მტკიცებებსაც, რომელთაც ეს ანალიზი გადაჭრით უარჰყოფს» (ხსენ. სტ., 123). თავისი სტატიის 122-ე გვერდზე ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის მოჰყავს მარქსიდან ორი ასეთი ადგილი, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება მის ძირითად დოქტრინას. განვიხილოთ ისინი უფრო ახლოს. III ტომში მარქსი ამბობს: «უშუალო ექსპლოატაციის პირობები და მისი (ამ ექსპლოატაციის) რეალიზაციის პირობები ერთი და იგივე არაა. ისინი არ ემთხვევიან ერთი მეორეს არა თუ დროისა და ადგილის მიხედვით, არამედ არსებითადაც. ერთნი შეზღუდულნი არიან მხოლოდ საზოგადოების საწარმოო ძალით, მეორენი წარმოების სხვადასხვა დარგთა პროპორციულობით და საზოგადოების სამომხმარებლო ძალით... რაც უფრო ვითარდება (საზოგადოების) საწარმოო ძალა, მით უფრო ვარდება იგი წინააღმდეგობაში იმ ვიწრო საფუძველთან, რომელზედაც დამყარებულია მოხმარების ურთიერთობანი» (III, 1, 226. რუსული თარგმ. გვ. 189) [13]. ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამ სიტყვებს ასე განმარტავს: «ნაციონალური წარმოების განაწილების მარტოოდენ პროპორციულობა კიდევ არ იძლევა პროდუქტების გასაღების შესაძლებლობის გარანტიას. პროდუქტებმა შეიძლება ბაზარი ვერ ჰპოვონ, თუმცა წარმოების განაწილება პროპორციული იქნება, — ასეთია, როგორც ჩანს, მარქსიდან მოყვანილი სიტყვების აზრი». არა, ამ სიტყვების აზრი ასეთი არ არის. არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვებში მოცემულია რაღაც შ ე ს წ ო რ ე ბ ა რეალიზაციის იმ თეორიისა, რომელიც II ტომშია გადმოცემული. აქ მარქსი მხოლოდ ადასტურებს კაპიტალიზმის იმ წინააღმდეგობას, რომელზედაც მითითებული იყო «კაპიტალის» სხვა ადგილებშიც, სახელდობრ, ეს არის წინააღმდეგობა წარმოების უ ს ა ზ ღ ვ რ ო გაფართოებისაკენ მისწრაფებასა და შ ე ზ ღ უ დ უ ლ ი მოხმარების აუცილებ-

ლობას შორის (ხალხის მასების პროლეტარული მდგომარეობის გამო). ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი, რა თქმა უნდა, არ დაიწყებს დავას იმის შესახებ, რომ ეს წინააღმდეგობა მოსდგამს კაპიტალიზმს; ხოლო რაკი მარქსი იმავე ნაწყვეტში ამაზე მიუთითებს, — ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვეძიოთ მის სიტყვებში რაღაც კიდევ სხვა აზრი. «საზოგადოების სამომხმარებლო ძალა» და «წარმოების სხვადასხვა დარგის პროპორციულობა», — ეს სრულიად არ არის რაღაც ცალკე, დამოუკიდებელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი პირობები. პირიქით, მოხმარების გარკვეული მდგომარეობა პროპორციულობის ერთ-ერთი ელემენტია. მართლაც, რეალიზაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმისთვის საშინაო ბაზრის შექმნა სწარმოებს არა იმდენად მოხმარების საგნების ხარჯზე, რამდენადაც წარმოების საშუალებათა ხარჯზე. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი პროდუქციის პირველი ქვედაყოფა (წარმოების საშუალებათა დამზადება) შეიძლება და უნდა ვითარდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მეორე (მოხმარების საგნების დამზადება). მაგრამ აქედან, რასაკვირველია, სრულებით არ გამომდინარეობს ის, რომ წარმოების საშუალებათა დამზადებას შეეძლოს განვითარება მოხმარების საგნების დამზადებისაგან სრულიად დამოუკიდებლად და მასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. მარქსი ამის გამო ამბობს: «ჩვენ დავინახეთ (წიგნი II, განყოფილება III), რომ ადგილი აქვს განუწყვეტელ მიმოქცევას მუდმივ კაპიტალსა და მუდმივ კაპიტალს შორის, რაც, ერთი მხრით, დამოუკიდებელია ინდივიდუალური მოხმარებისაგან იმ აზრით, რომ იგი მასში არასოდეს არ შედის, მაგრამ რაც, მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს (definitiv) შეზღუდულია ამ ინდივიდუალური მოხმარებით, ვინაიდან მუდმივი კაპიტალის წარმოება არასოდეს არ ხდება თვით მისი გულისთვის, არამედ მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეტი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტები ინდივიდუალურ მოხმარებაში შედიან» (III, 1,

289. რუს. თარგ. 242)[14]. ამგვარად, საბოლოო ანგარიშში, საწარმოო მოხმარება (წარმოების საშუალებათა მოხმარება) მუდამ დაკავშირებულია პირად მოხმარებასთან, მუდამ დამოკიდებულია მისგან. ამავე დროს კაპიტალიზმს მოსდგამს მისწრაფება, ერთი მხრით, საწარმოო მოხმარების უსაზღვრო გაფართოებისაკენ, დაგროვებისა და წარმოების უსაზღვრო გაფართოებისაკენ, ხოლო, მეორე მხრით, — ხალხის მასების გაპროლეტარება, რაც საკმაოდ ვიწრო საზღვრებს უდებს პირადი მოხმარების გაფართოებას. ცხადია, ჩვენ აქ ვხედავთ წინააღმდეგობას კაპიტალისტურ წარმოებაში, და ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მარქსი მხოლოდ ამ წინააღმდეგობას აღნიშნავს *. რეალიზაციის ანალიზი II ტომში სრულიადაც არ უარჰყოფს ამ წინააღმდეგობას (მიუხედავად ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის აზრისა), პირიქით, გვიჩვენებს კავშირს საწარმოო და პირად მოხმარებას შორის. თავისთავად იგულისხმება, უხეში შეცდომა იქნებოდა კაპიტალიზმის ამ წინააღმდეგობიდან (ან სხვა მის წინააღმდეგობებიდანაც) გამოგვეყვანა ის

* სრულიად ასეთივე აზრი აქვს მეორე ნაწყვეტსაც, რომელიც მოჰყავს ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის [III, 1, 231, შეად. S. (Seite — გვერდი. რ ე დ.) 232 პარაგრაფის ბოლომდე][15], აგრეთვე შემდეგ ადგილსაც კრიზისების შესახებ: «ყველა ნამდვილი კრიზისის საბოლოო მიზეზად მუდამ რჩება მასების სიღარიბე და მოხმარების შეზღუდულობა, რაც წინააღმდეგობას უწევს კაპიტალისტური წარმოების მისწრაფებას, რომელიც მდგომარეობს საწარმოო ძალების ისეთი ინტენსივობით განვითარებაში, რომ თითქოს მათ საზღვარს წარმოადგენდეს საზოგადოების მარტოოდენ აბსოლუტური უნარი მოხმარებისა» («Das Kapital», III, 2, 21. რუსული თარგმ., გვ. 395)[16]. ასეთივე აზრი აქვს მარქსის შემდეგ შენიშვნას: «წინააღმდეგობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში: მუშები, როგორც საქონლის მყიდველნი, მნიშვნელოვანნი არიან ბაზრისთვის. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოება ისწრაფვის იქითკენ, რომ ფასის მინიმუმით შეზღუდოს ეს მუშები, როგორც მათი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველნი» («Das Kapital», II, 303)[17]. იმ არასწორ განმარტებაზე, რომელსაც აძლევს ამ ადგილს ბ-ნი ნ. —ონი, ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი 1897 წლის მაისის «ნოვოე სლოვოში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 193 — 194. რ ე დ.). არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა ყველა ამ ადგილსა და II ტომის III განყოფილებაში მოცემულ რეალიზაციის ანალიზს შორის.

დასკვნა, თითქოს კაპიტალიზმი შეუძლებელია ან არაპროგრესულია სხვა წინანდელ სამეურნეო რეჟიმებთან შედარებით (როგორც ამას ჩვენი ნაროდნიკები სჩადიან). კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია მთელ რიგ წინააღმდეგობათა გარეშე, და ამ წინააღმდეგობებზე მითითება მხოლოდ არკვევს ჩვენთვის კაპიტალიზმის ისტორიულად-წარმავალ ხასიათს, არკვევს უმაღლეს ფორმაში მისი გადასვლის მისწრაფების პირობებსა და მიზეზებს.

ყოველივე ზემონათქვამი რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ასეთ დასკვნას: საგარეო ბაზრის როლის საკითხის ისე გადაჭრა, როგორც ეს ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის აქვს გადმოცემული, აღებულია სწორედ მარქსიდან; არავითარი წინააღმდეგობა «კაპიტალის» II და III ტომს შორის რეალიზაციის საკითხში (აგრეთვე ბაზრების თეორიის საკითხში) არ არსებობს.

გავყვეთ ქვევით. ბ-ნი ბულგაკოვი ბრალსა სდებს ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის იმაში, რომ ის არასწორად აფასებს მარქსის წინადროინდელი ეკონომისტების მოძღვრებებს ბაზრების შესახებ. ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ბრალსა სდებს ბ-ნ ბულგაკოვს იმაში, რომ ის მარქსის შეხედულებებს აშორებს იმ მეცნიერულ ნიადაგს, რომელზედაც ისინი აღმოცენდნენ, რომ ის საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს «მარქსის შეხედულებებს არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ მის წინამორბედთა შეხედულებებთან». ეს უკანასკნელი საყვედური სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან ბ-ნ ბულგაკოვს არამც თუ არ გამოუთქვამს ასეთი აბსურდული აზრი, არამედ, პირიქით, მოჰყავდა მარქსამდე არსებული სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებები. ჩვენის აზრით, როგორც ბ-ნმა ბულგაკოვმა, ისე ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ ტყუილად მიაქციეს ასე მცირე ყურადღება ად. სმიტს საკითხის ისტორიის გადმოცემისას; სავალდებულო კი იყო ად. სმიტზე განსაკუთრებით დეტალურად შეჩერება «ბაზრების თეორიის» სპეციალურად გადმოცემის დროს. «სავალდებულო» — იმიტომ, რომ სწორედ ად. სმიტი იყო მამამთავარი იმ შემცდარი დოქტრინისა, რომელიც აღიარებს, რომ საზოგადოებრივი პროდუქტი იშლება

ცვალებად კაპიტალად და ზედირებულებად (ად. სმიტის ტერმინოლოგიით: ხელფასად, მოგებად და რენტად). მარქსამდე ამ დოქტრინას მაგრად ჰქონდა ფესვები გადგმული და ის შეუძლებლად ხდიდა რეალიზაციის საკითხის არამც თუ გადაჭრას, არამედ მის სწორად დაყენებასაც კი. ბ-ნი ბულგაკოვი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ, «ვინაიდან შემცდარი იყო როგორც გამოსავალი თვალსაზრისი, ისე თვით პრობლემის ფორმულირება, ამ დავას» (რომელიც დაიწყო ბაზრების თეორიის გამო ეკონომიურ ლიტერატურაში) «შეეძლო გამოეწვია მხოლოდ ცარიელი და სქოლასტიკური კამათიო» (ხსენ. თხზ., გვ. 21, შენიშვნა). ავტორმა კი ადამ სმიტს უძღვნა მხოლოდ ერთი გვერდი და გამოტოვა ად. სმიტის თეორიის ვრცელი და ბრწყინვალე გარჩევა, რომელიც მარქსმა შოგვცა «კაპიტალის» მეორე ტომის მე-19 თავში (§ II, გვ. 358 — 388) [18]; ამის ნაცვლად ის შეჩერდა მეორეხარისხოვანი და არადამოუკიდებელი თეორეტიკოსების მოძღვრებაზე, როგორიც არის ჯ.-ს. მილი და ფონ-კირხმანი. რაც შეეხება ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის. მან სრულიად გვერდი აუარა ა. სმიტს და ამიტომაც შემდგომი დროის ეკონომისტების შეხედულებათა გადმოცემის დროს სრულიად გამოტოვა მათი ძირითადი შეცდომა (სმიტის ზემოხსენებული შეცდომის განმეორება). თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში გადმოცემა ვერ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. დავსჯერდეთ ორიოდე მაგალითს. გადმოგვცა რა თავისი სქემა № 1, რომელიც განმარტავს მარტივ რეპროდუქციას, ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამბობს: «მაგრამ მარტივი რეპროდუქციის ჩვენს მიერ ნავარაუდევი შემთხვევა ხომ არავითარ ეჭვებს არ იწვევს; კაპიტალისტები, ჩვენი ვარაუდით, შთელ თავიანთ მოგებას მოიხმარებენ ხოლმე, — გასაგებია, რომ საქონლის მიწოდება ვერ გადააჭარბებს მოთხოვნას» («სამრეწველო კრიზისები», გვ. 409). ეს არ არის სწორი. ეს სრულიადაც არ არის «გასაგები» ძველი ეკონომისტებისთვის, ვინაიდან მათ არ იცოდნენ საზოგადოებრივი კაპიტალის მარტივი რეპროდუქციის ახსნაც კი, და არც შეიძლება მისი ახსნა,

თუ ვერ გაიგე, რომ საზოგადოებრივი პროდუქტი ღირებულების მიხედვით იშლება მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ა დ + ცვალებადი კაპიტალი + ზედირებულება, ხოლო მატერიალური ფორმის მიხედვით ორ დიდ ქვედანაყოფად: წარმოების საშუალებები და მოხმარების საგნები. ამიტომ ამ შემთხვევამაც გამოიწვია ად. სმიტში «ეჭვები», რომლებშიც ის, როგორც მარქსმა დაგვანახვა, კიდევაც დაიბნა. ხოლო თუ მერმინდელი ეკონომისტები იმეორებდნენ სმიტის შ ე ც დ ო მ ა ს და არ იზიარებდნენ სმიტის ე ჭ ვ ე ბ ს, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მათ ამ საკითხში თეორიულად უკან დაიხიეს. სწორედ ასევე არ არის სწორი, როცა ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამბობს: «სეი-რიკარდოს მოძღვრება თეორიულად სავსებით სწორია; მისი მოწინააღმდეგენი რომ ვარჯიშიყვნენ და გამოეანგარიშებინათ ციფრებით, თუ როგორ ხდება კაპიტალისტურ მეურნეობაში საქონლის განაწილება, ისინი ადვილად გაიგებდნენ, რომ ამ მოძღვრების უარყოფა ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს» (l. c., 427). არა, სეი-რიკარდოს მოძღვრება თეორიულად სრულიად არ არის სწორი: რიკარდომ გაიმეორა სმიტის შეცდომა (იხ. მისი «თხზულებანი», თარგმანი ზიბერისა, სპბ. 1882, გვ. 221), სეიმ კი იგი დააგვირგვინა, როცა ამტკიცებდა, რომ განსხვავება საზოგადოების მთლიან და წმინდა პროდუქტს შორის სავსებით სუბიექტურიაო. და რამდენიც უნდა «გამოეანგარიშებინათ ციფრებით» სეი-რიკარდოს და მათს მოწინააღმდეგეებს, — ისინი ვერასდროს ვერაფერს გამოიანგარიშებდნენ, ვინაიდან აქ საქმე ციფრებში სრულიადაც არ არის, როგორც ეს სავსებით სამართლიანად შენიშნა უკვე ბულგაკოვმაც ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის წიგნის სხვა ადგილის გამო (ბულგაკოვი, l. c., გვ. 21, შენიშვნა).

ჩვენ ახლა მივადექით ბბ. ბულგაკოვსა და ტუგან-ბარანოვსკის შორის ატეხილი დავის მეორე საგანს, სახელდობრ, ციფრული სქემებისა და მათი მნიშვნელობის საკითხს. ბ-ნი ბულგაკოვი ამტკიცებს, რომ ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის სქემები, «ნიმუშისგან» (ე. ი. მარქსის სქემისგან) «გადახვევის გამო, მნიშვნელოვნად კარგავენ თავიანთ დამაჯერებელ ძალას და

ვერ განმარტავენ საზოგადოებრივი რეპროდუქციის პროცესს» (l. c., 248), ხოლო ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი ამბობს, რომ «ბ-ნ ბულგაკოვს ნათლად არ ესმის თვით ასეთი სქემების დანიშნულებაო» («ძირ ბოჟი» № 6, 1898 წ., გვ. 125). ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში სიმართლე სავსებით ბ-ნ ბულგაკოვის მხარეზეა. «სქემების მნიშვნელობა ნათლად არ ესმის» უფრო ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის, რომელიც ფიქრობს, რომ სქემები «დასკვნას ამტკიცებენ» (ibid. *). თავისთავად სქემებს არაფრის დამტკიცება არ შეუძლიათ; მათ შეუძლიათ მხოლოდ დ ა ა ს უ რ ა თ ო ნ პროცესი, თ უ მ ი ს ი ც ა ლ კ ე უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი თ ე ო რ ი უ ლ ა დ გ ა მ ო რ კ ვ ე უ ლ ი ა. ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ შეადგინა თავისი საკუთარი სქემები, რომლებიც განსხვავდებიან მარქსის სქემებისაგან (და გაცილებით უფრო ნაკლებ ნათელია, ვინემ მარქსის სქემები), მასთან გამოტოვა პროცესის იმ ელემენტების თეორიული გაშუქება, რომლებიც უნდა დაასურათონ სქემებმა. მარქსის თეორიის ძირითადი დებულება, მარქსისა, რომელმაც ცხადჰყო, რომ საზოგადოებრივი პროდუქტები იყოფა არა მარტო ცვალებად კაპიტალად + ზეღირებულება (როგორც ფიქრობდნენ ად. სმიტი, რიკარდო, პრუდონი, როდბერტუსი და სხვ.), არამედ მუდმივ კაპიტალად + ხსენებული ნაწილები, — ეს დებულება ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ სრულიად ვერ განმარტა, თუმცა იგი თავის სქემებში მიიღო. ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის წიგნის მკითხველს ა რ ძ ა ლ უ ძ ს გ ა ი გ ო ს ახალი თეორიის ეს ძირითადი დებულება. ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის სრულიად არ დაუსაბუთებია, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვედანაყოფი (I: წარმოების საშუალებები და II: მოხმარების საგნები), მაშინ როდესაც, როგორც სწორად შენიშნავს ბ-ნი ბულგაკოვი, «მხოლოდ მარტოოდენ ამ დაყოფაში გაცილებით მეტი თეორიული აზრია, ვიდრე ყველა წინანდელ კამათში ბაზრების

* — Ibidem — იქვე. რ ე დ.

თეორიის შესახებ» (l. c., გვ., 27). აი რატომაა, რომ მარქსის თეორიას ბ-ნი ბულგაკოვი გაცილებით უფრო ნათლად და სწორად გადმოგვცემს, ვიდრე ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკი.

დასასრულ, ვჩერდებით რა ცოტა უფრო დაწვრილებით ბ-ნ ბულგაკოვის წიგნზე, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. მისი წიგნის დაახლოებით ერთი მესამედი განიხილავს «კაპიტალის ბრუნვათა განსხვავებისა» და «ხელფასის ფონდის» საკითხებს. პარაგრაფები ამ სათაურებით, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო სუსტია. ამ პარაგრაფებიდან პირველ პარაგრაფში ავტორი ცდილობს (იხ. გვ. 63, შენ.) შეავსოს მარქსის ანალიზი და ღრმად შედის მეტად რთულ გამოანგარიშებებსა და სქემებში იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ სწარმოებს რეალიზაციის პროცესი კაპიტალის ბრუნვის განსხვავებათა დროს. ჩვენ გვგონია, რომ საბოლოო დასკვნა, რომელიც ბ-ნმა ბულგაკოვმა მიიღო (რომ კაპიტალის ბრუნვათა განსხვავებისას რეალიზაციის ასახსნელად აუცილებლად უნდა დავუშვათ მარაგთა არსებობა ორივე ქვედანაყოფის კაპიტალისტების ხელში, შეად. გვ. 85), თავისთავად გამომდინარეობს კაპიტალის წარმოებისა და მიმოქცევის საერთო კანონებიდან, რომ ამიტომ სრულებით არ იყო საჭირო გვევარაუდნა კაპიტალის ბრუნვათა მიმართების სხვადასხვა შემთხვევა II და I ქვედანაყოფში და მთელი რიგი გრაფიკები აგვეგო. იგივე უნდა ითქვას მეორე დასახელებულ პარაგრაფზეც. ბ-ნი ბულგაკოვი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ შემცდარია მტკიცება ბ-ნ გერცენშტეინისა, რომელიც მარქსის მოძღვრებაში ამ საკითხზე წინააღმდეგობას პოულობდაო. ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ «თუ ყველა კაპიტალის ბრუნვას შევუფარდებთ წელიწადს, ამა თუ იმ წლის დასაწყისში კაპიტალისტები მესაკუთრენი არიან როგორც წარსული წლის წარმოების მთელი პროდუქტის, ისე ფულის იმ თანხისაც, რომელიც ამ ღირებულებას უდრის» (გვ. 142 — 143). მაგრამ ბ-ნი ბულგაკოვი სრულიად ამაოდ ღებულობდა (გვ. 92 და სხვ.) წინანდელი ეკონომისტების მიერ ამ საკითხის წმინდა სქოლასტიკურ დაყენებას (ხელფასს ღებულობენ მიმდინარე წარ-

მოებიდან თუ წინა სამუშაო პერიოდის წარმოებიდან?) და ზედმეტ სიძნელეებს იქმნიდა, როცა «თავიდან იცილებდა» მარქსის ჩვენებას, მარქსის, რომელიც «თითქოს ეწინააღმდეგება თავის ძირითად თვალსაზრისს», როცა «მსჯელობს ისე, თითქოს» «ხელფასს ღებულობენ არა კაპიტალიდან, არამედ მიმდინარე წარმოებიდან» (გვ. 135). ამ სახით მარქსი სრულებითაც არ აყენებს საკითხს. ბ-ნ ბულგაკოვის მიერ მარქსის ჩვენების «აცილების» აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ის ცდილობს მარქსის თეორიას მიუყენოს საკითხის მისთვის სრულიად უცხო დაყენება. რაკი გამორკვეულია, თუ როგორ მიმდინარეობს მთელი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი საზოგადოების სხვადასხვა კლასის მიერ პროდუქტის მოხმარებასთან დაკავშირებით, როგორ შეაქვთ კაპიტალისტებს ფული, რომელიც საჭიროა პროდუქტის მიმოქცევისათვის, — რაკი ყოველივე ეს გამორკვეულია, ყოველგვარ სერიოზულ მნიშვნელობას ჰკარგავს საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან ღებულობენ ხელფასს — მიმდინარე თუ წინანდელი წარმოებიდან. ამიტომაც ამბობს «კაპიტალის» უკანასკნელი ტომების გამომცემელი ენგელსი მეორე ტომის წინასიტყვაობაში, რომ მსჯელობანი, მაგ., როდბერტუსისა იმის შესახებ, «კაპიტალიდან მომდინარეობს ხელფასი თუ შემოსავლიდან, — მიეკუთვნება სქოლასტიკას და საბოლოოდ ქარწყლდება «კაპიტალის» ამ მეორე წიგნის მე-3 განყოფილებით» («Das Kapital», II, Vorwort, S. XXI *).

დაწერილია 1898 წლის დამლევს.

დაიბეჭდა ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» [20] № 1-ში. 1899 წლის იანვარს.
ხელმოწერა: ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

---

* — «კაპიტალი», ტ. II, წინასიტყვაობა, გვ. XXI [19]. რ ე დ.

რეცენზია

პარვუსი. Мировой рынок и сельско-хозяйственный кризис. Экономические очерки. Перевод с немецкого Л. Я. СПБ. 1898. Изд. О. Н. Поповой (Образовательная библиотека, серия 2-я, № 2). Стр. 142. Цена 40 коп.

წიგნი ნიჭიერი გერმანელი პუბლიცისტისა, რომელიც წერს პარვუსის ფსევდონიმით, შესდგება მთელი რიგი ნარკვევებისაგან, სადაც დახასიათებულია თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ზოგიერთი მოვლენა, მასთან ყველაზე დიდი ყურადღება დათმობილი აქვს გერმანიას. პარვუსი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მსოფლიო ბაზრის განვითარებას და უწინარეს ყოვლისა ასწერს, თუ რა სტადიებს გადის ეს განვითარება უკანასკნელ ხანებში ინგლისის სამრეწველო ჰეგემონიის დაცემის დაკვალად. უაღრესად საინტერესოა ავტორის შენიშვნები იმ როლის შესახებ, რომელსაც ძველი სამრეწველო ქვეყნები ასრულებენ, წარმოადგენენ რა ბაზარს უფრო ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნებისთვის: მაგალითად, ინგლისი სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ნთქამს გერმანულ ფაბრიკატებს, ამჟამად გერმანიის საერთო ექსპორტის $^1/_6$-დან $^1/_4$-მდე. ემყარება რა საგაჭრო და სამრეწველო სტატისტიკის ცნობებს, პარვუსი გვიხატავს შრომის ორიგინალურ განაწილებას სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რომელთაგან ერთნი უმთავრესად აწარმოებენ საგნებს კოლონიებში გასასაღებლად, მეორენი — ევროპაში გასასაღებლად. თავში «ქალაქები და რკინიგზები» ავტორი ახდენს მეტისმეტად საინტერესო ცდას — დაახასიათოს უმთავრესი «ფორმები კაპიტალისტური ქალაქებისა» და მათი მნიშვნელობა კაპიტალისტური მეურნეობის საერთო წყობილებაში. წიგნის დანარჩენი, უდი-

დესი ნაწილი (გვ. 33 — 142) არკვევს თანამედროვე კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში არსებულ წინააღმდეგობათა და აგრარული კრიზისის საკითხებს. პარვუსი ჯერ არკვევს სამრეწველო განვითარების გავლენას პურის ფასებზე, მიწის რენტაზე და სხვ. შემდეგ იგი გადმოსცემს მიწის რენტის თეორიას, რომელიც მარქსს განვითარებული აქვს «კაპიტალის» III ტომში, და ამ თეორიის თვალსაზრისით განმარტავს კაპიტალისტური აგრარული კრიზისების ძირითად მიზეზს. პარვუსი ამ საკითხის წმინდა თეორიულ განხილვას ავსებს მონაცემებით გერმანიის შესახებ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ «აგრარული კრიზისის უკანასკნელი და ძირითადი მიზეზი — ესაა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური განვითარებით გადიდებული მიწის რენტები და ამ რენტების შესაბამისი მიწის ფასები». «თავიდან მოიშორეთ ეს ფასები, — ამბობს პარვუსი, — და ევროპის სოფლის მეურნეობა კვლავ შესძლებს კონკურენცია გაუწიოს რუსეთისა და ამერიკის სოფლის მეურნეობას». «მისი (კერძო საკუთრების) ერთადერთი საშუალება აგრარული კრიზისის წინააღმდეგ, თუ მსოფლიო ბაზრის შემთხვევითს ხელსაყრელ კომბინაციაზე არ ვილაპარაკებთ, ესაა: მთელი კაპიტალისტური მიწის საკუთრების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა» (141). ამგვარად, დასკვნა, რომელიც პარვუსმა გამოიყვანა, საერთოდ და მთლიანად ემთხვევა ენგელსის აზრს: «კაპიტალის» III ტომში ენგელსმა მიგვითითა იმაზე, რომ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისი შეუძლებლად ხდის მიწის იმ ძველ რენტებს, ევროპელი მიწათმფლობელნი რომ ღებულობდნენ.[21] ჩვენ ძალიან ვურჩევთ ყველა მკითხველს, რომელთაც ხსენებული საკითხები აინტერესებთ, გაეცნონ პარვუსის წიგნს. ეს შესანიშნავი ნაშრომი მიმართულია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კრიზისის შესახებ იმ გაცვეთილ ნაროდნიკულ მსჯელობათა წინააღმდეგ, რომელნიც მუდამ გვხვდება ნაროდნიკულ პრესაში და რომელთაც ფრიად არსებითი ნაკლი აქვთ: კრიზისის ფაქტს განიხილავენ მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო განვითარებასთან დაუკავშირებლად, განიხილავენ

არა გარკვეული საზოგადოებრივი კლასების თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ გამოიყვანონ მეშჩანური მორალი წვრილი გლეხური მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

პარვუსის წიგნის თარგმანი საერთოდ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ, თუმცა ზოგიერთ ადგილას უხეირო და მძიმე გამოთქმები გვხვდება.

დაწერილია 1899 წლის თებერვალში.

დაიბეჭდა 1899 წლის მარტში
ჟურნალ «ნაჩალოს» [22] № 3-ში.
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

რეცენზია

რ. გვოზდევი. Кулачество-ростовщичество, его общественно-экономическое значение. СПБ. 1899. Изд. Н. Гарина.

ბ-ნ გვოზდევის წიგნი აჯამებს იმ მონაცემებს, რომლებიც შეკრებილია ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში კულაკობა-მევახშეობის საინტერესო საკითხის შესახებ. ავტორი გადმოგვცემს მთელ რიგ ცნობებს რეფორმამდელ ხანაში საქონლის მიმოქცევისა და წარმოების განვითარების შესახებ, რამაც გამოიწვია სავაჭრო და სავახშო კაპიტალის გაჩენა. შემდეგ მოცემულია იმ მასალის მიმოხილვა, რომელიც ეხება მევახშეობას პურის წარმოებაში, კულაკობას გადასახლება-დასახლებასთან დაკავშირებით, შინამრეწველურ საარეწებთან, გარესაშოვრებთან, აგრეთვე გადასახადთან და კრედიტთან დაკავშირებით. ბ-ნი გვოზდევი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ნაროდნიკული ეკონომიის წარმომადგენლებს შემცდარი შეხედულება ჰქონდათ კულაკობაზე, სთვლიდნენ რა მას რაღაც «ხორცმეტად» «სახალხო წარმოების» ორგანიზმზე და არა კაპიტალიზმის ერთ-ერთ ფორმად, რომელსაც მჭიდრო და განუყრელი კავშირი აქვს რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის მთელ წყობილებასთან. ნაროდნიკები უგულებელჰყოფდნენ კულაკობის კავშირს გლეხობის რღვევასთან, სოფლის მევახშე-«წურბელების» და სხვ. სიახლოვეს «წელმაგარ გლეხებთან», რუსეთის სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ამ წარმომადგენლებთან. შუასაუკუნეობრივ დაწესებულებათა ნაშთები, რომელნიც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს სოფელს (გლეხთა თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა, გლეხთა მიჯაჭვა ნადელზე, ურთიერთთავდე-

ბობა, გადასახადთა წოდებრივი უთანაბრობა), უდიდეს დაბრკოლებას უქმნიან წვრილი კაპიტალების დაბანდებას წარმოებაში, მათს მოხმარებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. ამის ბუნებრივი შედეგია *კაპიტალის დაბალი და უცუდესი ფორმების*, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის უდიდესი გავრცელება. მცირერიცხოვანი შეძლებული გლეხები, იმყოფებიან რა იმ «მცირეშეძლების» გლეხთა მასებს შორის, რომელნიც ნახევრადმშიერნი ჯახირობენ თავიანთ მცირე ნადელებზე, აუცილებლად იქცევიან უცუდესი სახის ექსპლოატატორებად: ისინი იმონებენ ღარიბებს ფულის სესხად მიცემით, ზამთარში დაქირავებით და სხვ. და სხვ. დრომოჭმული დაწესებულებები აბრკოლებენ კაპიტალიზმის ზრდას როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში და ამით ზღუდავენ მუშახელის მოთხოვნილებას და ამავე დროს სრულიად ვერ იფარავენ გლეხებს მეტად მოურიდებელი და უსაზღვრო ექსპლოატაციისაგან და შიმშილით სიკვდილისაგანაც კი. ბ-ნ გვოზდევის წიგნში მოყვანილი სანიმუშო გამოანგარიშება იმ თანხებისა, რომელთაც ხელმოკლე გლეხობა უხდის კულაკებსა და მევახშეებს, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა უმწეოა ჩვეულებრივი დაპირისპირება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისა და რუსეთის იმ გლეხობისა, რომელსაც მიწა აქვს მიცემული. სინამდვილეში ამ გლეხობის მასა ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ვიდრე სოფლის პროლეტარიატი იმყოფება დასავლეთ ევროპაში; სინამდვილეში ჩვენი ხელმოკლე გლეხები ეკუთვნიან პაუპერებს, და სულ უფრო და უფრო ხშირია ისეთი წლები, როდესაც საჭირო ხდება საგანგებო ზომების მიღება მილიონობით დამშეული გლეხებისთვის დახმარების აღმოსაჩენად. ფისკალური დაწესებულებები რომ ხელოვნურად არ უკავშირებდნენ ერთმანეთს შეძლებულ და ღარიბ გლეხობას, აუცილებელი გახდებოდა ამ უკანასკნელის ოფიციალურად მიკუთვნება სწორედ პაუპერებისადმი, და ეს უფრო ზუსტად და უფრო მართებულად განსაზღვრავდა თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულებას მოსახლეობის ამ ფენებისადმი.

ბ-ნ გვოზდევის წიგნი იმითაა სასარგებლო, რომ თავს უყრის ცნობებს «არაპროლეტარიატული გაღატაკების» * პროცესის შესახებ და სამართლიანად ახასიათებს ამ პროცესს, როგორც გლეხობის რღვევის უმდაბლესსა და უცუდეს ფორმას. ბ-ნი გვოზდევი, ჩანს, კარგად იცნობს რუსულ ეკონომიურ ლიტერატურას, მაგრამ მისი წიგნი უფრო მოიგებდა, ავტორს რომ უფრო ნაკლები ადგილი დაეთმო ციტატებისათვის სხვადასხვა საჟურნალო სტატიებიდან და მეტი ყურადღება მიექცია მასალის დამოუკიდებლად დამუშავებისათვის. არსებული მასალის ნაროდნიკული დამუშავება ჩვეულებრივ ჩრდილში სტოვებს ხსენებული საკითხის თეორიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მხარეებს. შემდეგ, ბ-ნ გვოზდევის საკუთარი მსჯელობანი ხშირად მეტისმეტი უსაფუძვლობითა და ზოგადობით განირჩევა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ თავზე, რომელიც შინამრეწველურ სარეწებს ეხება. წიგნის სტილი ზოგიერთ ადგილას ხელოვნური და ბუნდოვანია.

დაწერილია 1899 წლის თებერვალში.

დაიბეჭდა 1899 წლის მარტში
ჟურნალ «ნაჩალოს» № 3-ში.
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

---

* П а р в у с. Мировой рынок и сельско-хозяйственный кризис. СПБ. 1898, გვ. 8, შენიშვნა.

რეცენზია

Торгово-промышленная Россия. Справочная книга для купцов и фабрикантов. Составлена под редакциею А. А. Блау, начальника статистического отделения департамента торговли и мануфактур. СПБ. 1899. Ц. 10 р.

ამ უზარმაზარი ტომის გამომცემლებს მიზნად ჰქონიათ «შეევსოთ ჩვენი ეკონომიური ლიტერატურის ხარვეზი» (გვ. I), სახელდობრ ერთსა და იმავე დროს მოეცათ მთელი რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მისამართებიც და ცნობებიც «მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობის შესახებ». საცნობარო და მეცნიერულ-სტატისტიკური მასალის ასეთი შეერთების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, საკმაო სისრულით რომ იყოს მოყვანილი როგორც ერთი, ისე მეორე მასალა. დასახელებულ გამოცემაში კი, სამწუხაროდ, სამისამართო მასალა სრულიად ჩრდილავს სტატისტიკურს, რომელიც მოცემულია არასრულადაც და მეტად არასაკმაოდ დამუშავებული სახითაც. უწინარეს ყოვლისა აღნიშნული გამოცემა იმით განსხვავდება ამგვარივე ტიპის წინა გამოცემათაგან, რომ არ იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს სიაში შეტანილ თ ვ ი თ ე უ ლ საწარმოსა და სარეწზე. ამ ხარვეზის გამო ყოველგვარი მეცნიერული მნიშვნელობა ეკარგება საწარმოთა და სარეწთა იმ ნუსხას, რომელსაც 2 703 ფრიად მიჯრილი დიდი ნაბეჭდი სვეტი უჭირავს. ხოლო ჩვენი სავაჭრო და სამრეწველო სტატისტიკის ქაოსური მდგომარეობის გამო უაღრესად დიდმნიშვნელოვანია მონაცემები სწორედ თვითეული ცალკე საწარმოსი და სარეწის შესახებ, ვინაიდან ამ მონაცემებს ჩვენი ოფიციალური სტატისტიკური დაწესებულებები რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებლად

არასდროს არ ამუშავებენ; ისინი სჯერდებიან ჯამების გამოქვეყნებას, სადაც ერთმანეთშია არეული შედარებით სარწმუნო და აბსოლუტურად არასარწმუნო მასალა. ჩვენ ახლავე ცხადვყოფთ, რომ ეს უკანასკნელი შენიშვნა შეეხება იმ გამოცემასაც, რომელსაც ახლა ვიხილავთ, მაგრამ ჯერ აღვნიშნოთ შემდგენელთა შემდეგი ორიგინალური ხერხი. ბეჭდავენ რა თვითეული წარმოების საწარმოთა და სარეწთა მისამართებს, მათ მოჰყავთ მხოლოდ მთელი რუსეთის საწარმოთა რიცხვი და მათი ბრუნვის ჯამი; ისინი ანგარიშობენ თვითეული წარმოების ერთი საწარმოს საშუალო ბრუნვას და განსაკუთრებული ნიშნით ჰყოფენ იმ საწარმოებს, რომელთაც ამ საშუალო ბრუნვაზე მეტი და ნაკლები ბრუნვა აქვთ. ბევრად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა (თუ რომ შეუძლებელი იყო ცნობების დაბეჭდვა თვითეულ საწარმოზე ცალ-ცალკე) ვაჭრობისა და მრეწველობის ყველა დარგისთვის საწარმოთა და სარეწთა რამდენიმე ერთნაირი თანრიგის დაწესება (ბრუნვათა ოდენობის, მუშების რიცხვის, ძრავების სახეობის და სხვ. მიხედვით) და ყველა საწარმოს ამ თანრიგთა მიხედვით განაწილება. ყოველ შემთხვევაში, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად სრული და შესადარია მასალა სხვადასხვა გუბერნიისა და წარმოების სხვადასხვა დარგის მიხედვით. რაც შეეხება, მაგალითად, ფაბრიკებისა და ქარხნების სტატისტიკას, საკმარისია წაიკითხოთ ამ ცნების ფენომენალურად ბუნდოვანი განსაზღვრა ხსენებული გამოცემის 1-ლ გვერდზე (შენიშვნა) და გადაფურცლოთ ზოგიერთი წარმოების მეფაბრიკეთა სიები, რათა დარწმუნდეთ, რომ წიგნში მოყვანილი სტატისტიკური მასალა ერთგვაროვანი არ არის. ამიტომ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის შეჯამებითს ცნობებს, რომლებიც მოყვანილია «Торгово-промышленная Россия»-ს I ნაწილის I განყოფილებაში («Историко-статистический обзор промышленности и торговли России»), ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. იქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ 1896 (ნაწილობრივ 1895) წელს მთელს რუსეთის იმპერიაში ითვლებოდა 38 401 ფაბრიკა 2 745 მლნ. მან. წარმოების ჯამით

და 1 742 181 მუშით, თუ ჩავთვლით არასააქციზო წარმოებებსაც, სააქციზოებსაც და სამთამადნოებსაც. ეს ციფრი, ჩვენის ფიქრით, არ შეიძლება, თუ არსებითად არ შევამოწმებთ, შევადაროთ წინანდელი წლების ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ციფრებს. 1896 წელს აღრიცხავდნენ მთელ რიგ ისეთ წარმოებებს, რომელთაც წინათ (1894/95 წლამდე) «საფაბრიკო-საქარხნო» წარმოებებს არ აკუთვნებდნენ: ფურნეები, თონეები, სასაკლაოები, სტამბები და ლითოგრაფიები და სხვ. და სხვ. იმპერიის ყველა სამთამადნო და მეტალურგიული ქარხნის წარმოების ჯამი გამოანგარიშებულია 614 მლნ. მანეთის რაოდენობით, იმ ორიგინალური ხერხების საშუალებით, რომელთა შესახებ ჩვენ მხოლოდ იმას გვამცნობენ, რომ თუჯის ღირებულება, როგორც ჩანს, განმეორებულია რკინისა და ფოლადის ღირებულებაშიო. პირიქით, მუშების რიცხვი მთელ სამთამადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში, ცხადია, შემცირებულია: 1895/96 წლისთვის მათი რიცხვი ნაჩვენებია 505 ათასი. ეს — ან შეცდომაა, ან გამოტოვებულია მრავალი სამთამადნო წარმოება. წიგნში აქა-იქ გაბნეული ციფრებიდან ჩანს, რომ ამ განყოფილების მხოლოდ რამდენიმე წარმოებაში მუშების რიცხვი აღწევს 474 ათასს, იმ მუშების ჩაუთვლელად, რომლებიც მუშაობენ ქვანახშირის (დაახლ. 53 ათასი), მარილის ამოღებაზე (დაახლ. 20 ათასი), ქვის სამტეხველოებში (დაახლ. 10 ათასი) და რამდენიმე სხვა სამთამადნო წარმოებაში (დაახლ. 20 ათასამდე). 1890 წელს იმპერიის მთელ სამთამადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში ითვლებოდა 505 ათასზე მეტი მუშა, ხოლო იმ დროიდან სწორედ ეს დარგები განსაკუთრებით განვითარდა. მაგალითად, ამ განყოფილების ხუთ წარმოებაში, რომელთა შესახებ წიგნის ტექსტი იძლევა ისტორიულ-სტატისტიკურ მონაცემებს (თუჯსასხმელი, მავთულის, მანქანათმშენებელი, ოქროსი და სპილენძის ნაკეთობათა წარმოება), 1890 წელს ითვლებოდა 908 ქარხანა 77 მლნ. მანეთის წარმოებითა და 69 ათასი მუშით, ხოლო 1896 წელს — 1 444 ქარხანა 221½ მლნ. მანეთის წარმოებითა და 147 ათასი მუშით. თუ თავს მოვუყრით წიგნში გაბნეულ ისტორიულ-

სტატისტიკურ მონაცემებს, რომელნიც, სამწუხაროდ, ეხებიან არა ყველა წარმოებას, არამედ მხოლოდ ზოგიერთებს (ბამბის დამუშავება, ქიმიური წარმოებები და 45-ზე მეტი სხვა წარმოება), მთელი იმპერიის შესახებ მივიღებთ ასეთ ცნობებს. 1890 წელს იყო 19 639 ფაბრიკა და ქარხანა 929 მლნ. მან. წარმოების ჯამით, 721 ათასი მუშით, ხოლო 1896 წელს — 19 162 ფაბრიკა და ქარხანა 1 708 მლნ. მან. წარმოების ჯამით, 985 ათასი მუშით; თუ მივუმატებთ ორ სააქციზო წარმოებას, ჭარხლის შაქრისა და არყისსახდელს (1890/91 წ.: 116 ათასი მუშა; 1895/96 წ.: 123 ათასი), მივიღებთ მუშების რიცხვს 837 ათასს და 1 108 ათასს, რაც ექვსი წლის პერიოდში იძლევა გადიდებას თითქმის ერთი მესამედით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაბრიკების რიცხვის შემცირება დამოკიდებულია წისქვილთა სხვადასხვანაირ რეგისტრაციაზე: 1890 წელს ფაბრიკების რიცხვში მოხვდა 7 003 წისქვილი (156 მლნ. მან., 29 638 მუშა), ხოლო 1896 წელს კი მხოლოდ 4 379 წისქვილი (272 მლნ. მან., 37 954 მუშა).

ასეთია ის მონაცემები, რომელნიც შეიძლება მივიღოთ ხსენებული გამოცემიდან და რომელნიც საშუალებას გვაძლევენ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ რუსეთის სამრეწველო აღმავლობაზე 90-იან წლებში. უფრო ვრცლად შევჩერდებით ამ საკითხზე მაშინ, როდესაც გამოქვეყნდება 1896 წლის სრული სტატისტიკური მონაცემები.

დაწერილია 1899 წლის თებერვალში.
დაიბეჭდა 1899 წლის მარტში
ჟურნალ «ნაჩალოს» № 3-ში.
ხელმოწერა: ვლ. ილინი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის

«ნაუჩნოე ობოზრენიეს» მიმდინარე წლის (1899) იანვრის წიგნში მოთავსებულია ჩემი «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)»; მას მოჰყვა პ. ბ. სტრუვეს სტატია: «ბაზრების საკითხისათვის კაპიტალისტური წარმოების დროს (ბულგაკოვის წიგნისა და ილინის სტატიის გამო)». სტრუვე «უარჰყოფს ტუგან-ბარანოვსკის, ბულგაკოვისა და ილინის თეორიის მნიშვნელოვან ნაწილს» (მისი სტატიის 63-ე გვ.) და გადმოგვცემს თავის შეხედულებას მარქსის რეალიზაციის თეორიაზე.

ჩემის აზრით, სტრუვეს პოლემიკა დასახელებული მწერლების წინააღმდეგ გამოწვეულია არა იმდენად არსებითი უთანხმოებით, რამდენადაც სტრუვეს შემცდარი წარმოდგენით იმ თეორიის შინაარსზე, რომელსაც ის იცავს. ჯერ-ერთი, სტრუვე ერთმანეთში ურევს იმ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ბაზრების თეორიას, რომლებიც გვასწავლიდნენ, რომ პროდუქტები იცვლება პროდუქტებზე და რომ ამიტომ უნდა არსებობდეს შესაბამისობა წარმოებასა და მოხმარებას შორისო, და მარქსის რეალიზაციის თეორიას; მარქსმა კი თავისი ანალიზით ცხადჰყო, თუ რ ო გ ო რ ხდება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევა, ე. ი. პროდუქტის რეალიზაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში*. არც მარქსს და არც იმ მწერლებს, რომლებიც მარქსის მოძღვრე-

* იხ. ჩემი ეტიუდები, გვ. 17 და სხვ. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 171 და სხვ. რ ე დ.).

ბას გადმოგვცემდნენ და რომლებსაც სტრუვე ეკამათება, არამც თუ არ გამოჰყავდათ ამ ანალიზიდან ჰარმონია წარმოებასა და მოხმარებას შორის, არამედ, პირიქით, ისინი ენერგიულად ; ხაზს უსვამდნენ კაპიტალიზმის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, რომლებმაც არ შეიძლება თავი არ იჩინონ კაპიტალისტური რეალიზაციის დროს *. მეორე, სტრუვე ერთმანეთში ურევს რეალიზაციის აბსტრაქტულ თეორიას (მისი ოპონენტებიც მხოლოდ და მხოლოდ ამაზე მსჯელობდნენ) და ამა თუ იმ ქვეყანაში და ამა თუ იმ ეპოქაში კაპიტალისტური პროდუქტის რეალიზაციის კონკრეტულ ისტორიულ პირობებს. ეს იგივეა, რომ ვინმეს ერთმანეთში აერია მიწის რენტის აბსტრაქტული თეორია და ამა თუ იმ ქვეყანაში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარების კონკრეტული პირობები. სტრუვეს ამ ორი ძირითადი შეცდომიდან წარმოიშვა მთელი რიგი გაუგებრობანი, რომელთა გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ მისი სტატიის ცალკეული დებულებები.

1. სტრუვე არ ეთანხმება ჩემს აზრს იმის შესახებ, რომ რეალიზაციის თეორიის გადმოცემისას საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ ადამ სმიტზე. თუ ადამამდე მივა საქმე, — წერს იგი, — მაშინ უმჯობესია შევჩერდეთ არა სმიტზე, არამედ ფიზიოკრატებზეო. არა, ეს ასე არ გახლავთ. სწორედ ად. სმიტი არ დაკმაყოფილდა იმ (ფიზიოკრატებისთვისაც ცნობილი) ჭეშმარიტების აღიარებით, რომ პროდუქტები პროდუქტებზე იცვლება, არამედ დასვა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და პროდუქტის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ანაზღაურება (რეალიზაცია) მათი ღირებულების მიხედვით **.

* Ibid. (ibidem — იქვე. რ ე დ.), გვ. 20, 27, 24 და სხვ. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 176, 186 — 187, 183 — 184 და სხვ. რ ე დ.).

** სხვათა შორის. «ნაუჩნოე ობოზრენიეში» მოთავსებულ ჩემს სტატიაში ტერმინი «ღირებულება» ყველგან შეცვლილია ტერმინით «ფასეულობა». ეს გაკეთებულია არა ჩემს მიერ, არამედ რედაქციის მიერ. მე განსაკუთრებით არსებით მნიშვნელობას არ ვაძლევ ამა თუ იმ ტერმინის ხმარების საკითხს, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე ყოველთვის ვხმარობდი და ვხმარობ ტერმინს: «ღირებულება».

სწორედ ამიტომ იყო, რომ მარქსმა, რომელიც სავსებით აღიარებდა, რომ ფიზიოკრატების მოძღვრებაში, მაგ., კენეს «Tableau économique»-ში *, იყო «თავისი დროისთვის გენიალური» ** დებულებებიო; რომ რეპროდუქციის პროცესის ანალიზში ად. სმიტმა ფიზიოკრატებთან შედარებით ზოგ რამეში ნაბიჯიც კი გადადგა უკანო («Das Kapital», I [2], 612, Anm. 32 ***), მიუხედავად ამისა, რეალიზაციის საკითხის ისტორიის მიმოხილვაში ფიზიოკრატებს უძღვნა რაღაც გვერდნახევარი («Das Kapital», II [1], S. 350—351), [25] მაშინ როდესაც ად. სმიტს მოანდომა ოცდაათ გვერდზე მეტი (ib., 351—383) [26], სადაც დაწვრილებით გაარჩია ად. სმიტის ძირითადი შეცდომა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო მთელი შემდგომი ხანის პოლიტიკურმა ეკონომიამ. ამგვარად, ად. სმიტზე შეჩერება სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ გამოვარკვიოთ რეალიზაციის თეორია ბურჟუაზიული ეკონომისტებისა, რომლებიც გამოუკლებლივ სმიტის შეცდომას იმეორებდნენ.

2. ბ-ნი ბულგაკოვი თავის წიგნში სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები ერთმანეთში ურევდნენ საქონლის მარტივ მიმოქცევას და საქონლის კაპიტალისტურ მიმოქცევას. მარქსმა კი გამოარკვია განსხვავება მათ შორისო. სტრუვე ფიქრობს, რომ ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცება გაუგებრობაზეა დამყარებული. ჩემის აზრით, პირიქით, გაუგებრობას აქ ადგილი აქვს არა ბ-ნ ბულგაკოვის, არამედ სტრუვეს მხრივ. მართლაცდა, როგორ არღვევს სტრუვე ბ-ნ ბულგაკოვის დებულებას? მეტად უცნაურად: სტრუვე არღვევს ბ-ნ ბულგაკოვის დებულებას იმით, რომ იმეორებს იმავე ბულგაკოვის დებულებას. სტრუვე ამბობს: შეუძლებელია მარქსი აღიარებულ იქნას რეალიზაციის იმ თეორიის მომ-

* — «ეკონომიური ცხრილი». რ ე დ.

** Fr. Engels: «Herrn E. Dühring's Umwälzung der Wissenschaft», Dritte Aufl. [ფრ. ენგელსი: «გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი ბ-ნ ე. დიურინგის მიერ» («ანტი-დიურინგი»). გამოცემა მესამე. რ ე დ.], გვ. 270 [28] მარქსის მიერ დაწერილი თავიდან.

*** — «კაპიტალი», ტ. I, გამოც. მე-2, გვ. 612, შენიშვნა 32. [24] რ ე დ.

ხრედ, რომლის თანახმად პროდუქტის რეალიზაცია შეიძლება ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით, იმიტომ რომ მარქსი «მკვეთრად განასხვავებდა საქონლის მარტივ მიმოქცევასა და კაპიტალისტურ მიმოქცევას» (!! გვ. 48). ეს ხომ სწორედ ისაა, რასაც ბ-ნი ბულგაკოვიც ამტკიცებდა! სწორედ ამიტომაც მარქსის თეორია არ დაიყვანება იმ ჭეშმარიტების განმეორებამდე, რომ პროდუქტები პროდუქტებზე იცვლება. სწორედ ამიტომაც ბ-ნმა ბულგაკოვმა სრულიად სამართლიანად მიიჩნია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტების დავა ჭარბწარმოების შესაძლებლობის შესახებ «ცარიელ სქოლასტიკურ პაექრობად»: ორივე მოკამათე მხარე ერთმანეთში ურევდა სასაქონლო და კაპიტალისტურ მიმოქცევას, ორივენი ად. სმიტის შეცდომას იმეორებდნენ.

3. სტრუვე ტყუილ-უბრალოდ უწოდებს რეალიზაციის თეორიას პროპორციული განაწილების თეორიას. ეს ზუსტი არ არის, და აუცილებლად გაუგებრობას იწვევს. რეალიზაციის თეორია — აბსტრაქტული * თეორიაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევა. ამ აბსტრაქტული თეორიის აუცილებელი წანამძღვარებია, ჯერ-ერთი, საგარეო ვაჭრობის, საგარეო ბაზრების აბსტრაგირება. მაგრამ საგარეო ვაჭრობის აბსტრაგირებით რეალიზაციის თეორია სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ ოდესმე არსებობდა ან შეიძლებოდა არსებულიყო კაპიტალისტური საზოგადოება საგარეო ვაჭრობის უქონლად **. მეორე, რეალიზაციის აბსტრაქტული თეორია გულისხმობს და კიდევაც უნდა გულისხმობდეს პროდუქტის პროპორციულ განაწილებას კაპიტალისტური წარმოების სხვა-

* იხ. ჩემი სტატია «ნ. ობ.»-ში, გვ. 37 (იხ. ეს ტომი, გვ. 55. რ ე დ.).

** Ibid., გვ. 38 (იხ. ეს ტომი, გვ. 57. რ ე დ.). შეად. «ეტიუდები», გვ. 25 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2. გვ. 185. რ ე დ.): «ხომ არ უარვყოფთ ჩვენ საგარეო ბაზრის აუცილებლობას კაპიტალიზმისათვის? რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ საგარეო ბაზრის საკითხს აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო რეალიზაციის საკითხთან».

დასხვა დარგს შორის. მაგრამ, გულისხმობს რა ამას, რეალიზაციის თეორია სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტები ყოველთვის ნაწილდება ან შეიძლება განაწილდეს პროპორციულად *. ბ-ნი ბულგაკოვი სრულიად სამართლიანად ადარებს ერთმანეთს რეალიზაციის თეორიას და ღირებულების თეორიას. ღირებულების თეორია გულისხმობს და უნდა გულისხმობდეს მოთხოვნისა და მიწოდების თანასწორობას, მაგრამ ის სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველთვის იყო და შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი თანასწორობა. როგორც ყოველი სხვა კანონი კაპიტალიზმისა, რეალიზაციის კანონიც «ხორციელდება მხოლოდ განუხორციელებლობის გზით» (ბულგაკოვი, მოყვანილია სტრუვეს სტატიაში, გვ. 56). მოგების საშუალო და თანაბარი ნორმის თეორია გულისხმობს, არსებითად, წარმოების იმავე პროპორციულ განაწილებას მის სხვადასხვა დარგს შორის. მაგრამ ასეთ საფუძველზე სტრუვე ხომ ვერ უწოდებს ამ თეორიას პროპორციული განაწილების თეორიას!

4. სტრუვე სადავოდ ხდის ჩემს აზრს, რომ მარქსი სამართლიანად სდებდა ბრალს რიკარდოს ად. სმიტის შეცდომის გან-

* «არა მარტო იმ პროდუქტების რეალიზაცია, რომელნიც ზეღირებულებას ანაზღაურებენ, არამედ იმ პროდუქტებისაც, რომელნიც ანაზღაურებენ ცვალებად... და მუდმივ კაპიტალს... ყველასი ერთნაირად ხდება მხოლოდ «დაბრკოლებებით» და მუდმივი მერყეობით, რაც კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდება»... [«ეტიუდები», გვ. 27 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 188. რ ე დ.)]. შეიძლება სტრუვემ სთქვას, ამ ადგილს სხვა ადგილები ეწინააღმდეგებაო, მაგ., 31 გვერდზე (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 195. რ ე დ.):... «შ ე უ ძ ლ ი ა თ კი კაპიტალისტებს ზეღირებულების რეალიზაცია?.. ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. რამდენადაც ჩვენ ვაყენებთ რეალიზაციის აბსტრაქტულ თეორიას (ნაროდნიკებმა კი წამოაყენეს სწორედ ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის აბსტრაქტული თეორია), იმდენად გარდუვალია დასკვნა რეალიზაციის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ აბსტრაქტული თეორიის გადმოცემისას უნდა მივუთითოთ იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც დამახასიათებელია რეალიზაციის ნამდვილი პროცესისათვის. სწორედ ეს მითითება არის ჩემს სტატიაში.

ძეორებაში. «მარქსი მართალი არ იყო», — წერს სტრუვე. მაგრამ, მარქსს პირდაპირ მოჰყავს ერთი ადგილი რიკარდოს თხზულებიდან (II [1], 383).[27] სტრუვე უგულებელჰყოფს ამ ადგილს. შემდეგ გვერდზე კი მარქსს მოჰყავს რამსეის (Ramsay) აზრი, რომელმაც აგრეთვე შეამჩნია რიკარდოს სწორედ ეს შეცდომა. მე მივუთითე აგრეთვე რიკარდოს თხზულების მეორე ადგილი, სადაც იგი პირდაპირ ამბობს: «თვითეული ქვეყნის ნიადაგისა და შრომის მთელი პროდუქტი იყოფა სამ ნაწილად: ხელფასი, მოგება და რენტა» (აქ შეცდომით გამოტოვებულია მუდმივი კაპიტალი. იხ. «რიკარდოს თხზულებანი», თარგ. ზიბერისა, გვ. 221). სტრუვე დუმილით უვლის გვერდს ამ ადგილსაც. მას მოჰყავს მხოლოდ რიკარდოს ერთი შენიშვნა, სადაც ლაპარაკია სეის მსჯელობის შეუსაბამობაზე მთლიანი და წმინდა შემოსავლის განსხვავების შესახებ. «კაპიტალის» III ტომის 49-ე თავში, სადაც გადმოცემულია დასკვნები რეალიზაციის თეორიიდან, მარქსს მოჰყავს რიკარდოს სწორედ ეს შენიშვნა და მის შესახებ შემდეგს ამბობს: «თუმცა, როგორც შემდეგ დავინახავთ», — როგორც ჩანს, იგულისხმება «კაპიტალის» IV ტომი[28], რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოცემული, — «რიკარდოს არსად არ დაურღვევია სმიტის შემცდარი ანალიზი საქონლის ფასისა, სახელდობრ ამ ფასის დაშლა შემოსავალთა (Revenuen) ღირებულებების ჯამად. რიკარდო არ ფიქრობს, რომ ეს ანალიზი შემცდარია და თავის ანალიზების დროს მას სწორად სცნობს იმდენად, რამდენადაც ის «აბსტრაგირებას» ახდენს საქონელთა ღირებულების მუდმივი ნაწილისაგან. დროგამოშვებით ის უბრუნდება იმავე წარმოდგენის წესს» (ე. ი. სმიტის წარმოდგენის წესს. «Das Kapital», III, 2, 377. რუსული თარგმ., 696).[29] მკითხველისათვის მიგვინდვია განსაჯოს, ვინ არის მართალი: მარქსი, რომელიც ამბობს, რომ რიკარდო სმიტის შეცდომას იმეორებსო *, თუ სტრუვე, რომელიც ამბობს, რომ რიკარდოს

* მარქსის შეფასების სამართლიანობა განსაკუთრებული სიცხადით ჩანს აგრეთვე იქიდან, რომ რიკარდო იზიარებდა სმიტის შემცდარ შეხედულებას ერთეული კაპიტალის დაგროვებაზე. რიკარდო სწორედ იმას ფიქრობდა,

«მშვენივრად (?) ესმოდა, რომ მთელი საზოგადოებრივი პროდუქტი არ ამოიწურება ხელფასით, მოგებითა და რენტით», და რომ რიკარდო «შეუგნებლად (!) სტოვებდა უყურადღებოდ საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილებს, რომლებიც წარმოების ხარჯებს შეადგენენ». განა შეიძლება მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ გესმოდეს და იმავე დროს შ ე უ გ ნ ე ბ ლ ა დ უყურადღებოდ სტოვებდე?

5. სტრუვეს არამც თუ არ დაურღვევია მარქსის მტკიცება, რომ რიკარდომ გადმოიღო სმიტის შეცდომაო, არამედ თვითონაც გაიმეორა თავის სტატიაში იგივე შეცდომა. «უცნაურია... ფიქრი, — სწერს სტრუვე, — რომ საზოგადოებრივი პროდუქტის ამა თუ იმ დაყოფას კატეგორიებად შეიძლება ჰქონოდა არსებითი მნიშვნელობა რეალიზაციის საერთო გაგებისთვის, მით უმეტეს, რომ ნამდვილად სარეალიზაციო პროდუქტის ყველა ნაწილი რეალიზაციის პროცესში ღებულობს (მთლიანი) შემოსავლის ფორმას, და კლასიკოსებიც შემოსავლად სთვლიდნენ მას» (გვ. 48). საქმეც ისაა, რომ სარეალიზაციო პროდუქტის ყველა ნაწილი არ ღებულობს (მთლიანი) შემოსავლის ფორმას; სმიტის სწორედ ეს შეცდომა განმარტა მარქსმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ სარეალიზაციო პროდუქტის ნაწილი არასდროს არ ღებულობს და არც შეუძლია მიიღოს შემოსავლის ფორმა. ეს არის საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს. რომელიც ხმარდება წარმოების საშუალებათა დამზადებას (მუდმივი კაპიტალი I ქვედანაყოფში, მარქსის ტერმინოლოგიით). მაგალ., სათესლე მარცვალი სოფლის მეურნეობაში არასდროს არ ღებულობს შემოსავლის ფორმას; ქვანახშირი, რომელიც ისევ ქვანახშირის ამოღებას ხმარდება, არასდროს არ ღებულობს შემოსავლის ფორმას და სხვ. და სხვ. მთელი

რომ ზეღირებულების დაგროვილი ნაწილი მთლიანად იხარჯება ხელფასზე, მაშინ როდესაც იგი იხარჯება: 1) მუდმივ კაპიტალზე და 2) ხელფასზე. იხ. «Das Kapital», I ², 611 — 613, თავი 22-ე, § 2. [80] — შეად. «ეტიუდები», გვ. 29, შენიშვნა (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 192. რ ე დ.).

საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და მიმოქცევის პროცესი შეუძლებელია გავიგოთ, თუ არ გამოვყავით საერთო პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც მხოლოდ კაპიტალად ყოფნის უნარი შესწევს და არასდროს არ შეუძლია მიიღოს შემოსავლის ფორმა *. განვითარების გზაზე მყოფ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი პროდუქტის ეს ნაწილი აუცილებლად უნდა იზრდებოდეს ამ პროდუქტის ყველა დანარჩენ ნაწილზე უფრო სწრაფად. მხოლოდ ამ კანონით შეიძლება აიხსნას კაპიტალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა წინააღმდეგობა: ნაციონალური სიმდიდრის ზრდა მიმდინარეობს უდიდესი სისწრაფით, მაშინ როდესაც ხალხის მოხმარების ზრდა მიმდინარეობს (თუ კი მიმდინარეობს) ძალიან ნელა.

6. სტრუვეს «სრულიად ვერ გაუგია», რატომ არის «აუცილებელი რეალიზაციის თეორიისთვის» მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მარქსისებური განსხვავება და რატომაა, რომ მე «განსაკუთრებით ვიცავ» მას.

სტრუვეს მიერ ამის გაუგებლობა, ერთი მხრით, უბრალო გაუგებრობის შედეგია. ჯერ-ერთი, სტრუვე თვითონ აღიარებს ამ განსხვავების ერთ ღირსებას, სახელდობრ იმას, რომ მასში თავსდება მთელი პროდუქტი და არა მარტო შემოსავალი. მისი მეორე ღირსება ისაა, რომ იგი ლოგიკურად აკავშირებს რეალიზაციის პროცესის ანალიზს ერთეული კაპიტალის წარმოების პროცესის ანალიზთან. როგორია რეალიზაციის თეორიის ამოცანა? — ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს, რ ო გ ო რ ხდება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევა. განა პირველი შეხედვითვე ცხადი არაა, რომ აქ ცვალებადი კაპიტალის როლი კარდინალურად უნდა განსხვავდებოდეს მუდმივი კაპიტალის როლისაგან? ის პროდუქტები, რომლებიც ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებენ, ბოლოს და ბოლოს უნდა გაიცვალოს

* შეად. «Das Kapital», III, 2, 375—376 (რუსული თარგ., 696)[31]. მთლიანი პროდუქტისა და მთლიანი შემოსავლის განსხვავების შესახებ.

მუშების მოხმარების საგნებზე და ფარავდეს მუშების ჩვეულებრივ მოხმარებას. ის პროდუქტები, რომლებიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებენ, ბოლოს და ბოლოს უნდა გაიცვალოს წარმოების საშუალებებზე და გამოყენებულ იქნას როგორც კაპიტალი ახალი წარმოებისთვის. ამიტომ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალების გარჩევა უსათუოდ საჭიროა რეალიზაციის თეორიისთვის. მეორე, სტრუვეს გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ მას აქაც რეალიზაციის თეორია სრულიად თვითნებურად და უმართებულოდ ესმის როგორც თეორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ პროდუქტები პროპორციულად ნაწილდება (იხ. განსაკუთრებით გვ. 50 — 51). ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით და კიდევ ვიმეორებთ, რომ ასეთი წარმოდგენა რეალიზაციის თეორიის შინაარსზე არ არის სწორი.

მეორე მხრით, სტრუვეს გაუგებლობა გამოწვეულია იმით, რომ მას აუცილებლად მიაჩნია მარქსის თეორიაში ერთმანეთისაგან განასხვავოს «სოციოლოგიური» და «ეკონომიური» კატეგორიები და ის რამდენიმე ზოგად შენიშვნას იძლევა ამ თეორიის წინააღმდეგ. ამაზე მე უნდა ვთქვა, რომ, ჯერ-ერთი, რეალიზაციის თეორიის საკითხს ყოველივე ეს სრულიად არ ეხება; მეორე, სტრუვეს მიერ გატარებული განსხვავება მე მიმაჩნია ბუნდოვანად და მასში ვერავითარ რეალურ სარგებლობას ვერ ვხედავ. მესამე, არამც თუ სადავოდ, არამედ პირდაპირ არასწორადაც მიმაჩნია სტრუვეს მტკიცებანი: «უდავოა, თვით მარქსისთვის ნათელი არ იყო» მისი თეორიის «სოციოლოგიური საფუძვლების დამოკიდებულება» ბაზრის მოვლენათა ანალიზისადმი, რომ «ღირებულების მოძღვრება, როგორც ის გადმოცემულია «კაპიტალის» I და III ტომებში, უდავოდ, წინააღმდეგობას შეიცავსო» *. სტრუვეს ყველა ეს

* სტრუვეს ამ უკანასკნელ განცხადებას მე დავუპირისპირებ ღირებულების თეორიის უახლეს გადმოცემას კ. კაუტსკის მიერ, რომელიც ამბობს და გვიჩვენებს, რომ მოგების საშუალო ნორმის კანონი «ღირებულების კანონს კი არა სპობს, არამედ მხოლოდ ასხვაფერებს მას» («Die Agrarfrage», S. 67 — 68) («აგრარული საკითხი», გვ. 67 — 68. რ ე დ.). უადგილო არ

განცხადება სავსებით უსაფუძვლოა. ესაა არა არგუმენტები, არამედ დეკრეტები. ესაა — მარქსის თეორიის იმ კრიტიკის წინასწარგანჭვრეტილი შედეგები, რომლის დაწყება განზრახული აქვთ ნეოკანტელებს *. ვიცოცხლოთ და ვნახავთ,

---

იქნება აღვნიშნოთ აქ კაუტსკის შემდეგი საინტერესო განცხადება მისი შესანიშნავი წიგნის წინასიტყვაობაში: «თუ მე შევძელი განმევითარებინა წარმოდგენილ თხზულებაში ახალი და ნაყოფიერი აზრები, ამისთვის მე უწინარეს ყოვლისა მადლიერი ვარ ჩემი ორივე დიდი მასწავლებლისა; ამას მე მით უფრო სიამოვნებით ვუსვამ ხაზს, რომ ერთი ხანია ჩვენს წრეებშიც კი გაისმის ხმები — მარქსის და ენგელსის თვალსაზრისი მოძველდაო... ჩემის აზრით, ეს სკეპტიციზმი დამოკიდებულია უფრო სკეპტიკოსთა პირად თავისებურებებზე, ვიდრე იმ მოძღვრების თვისებებზე, რომელსაც ედავებიან. ასეთ დასკვნას მე ვაკეთებ არა მარტო იმ შედეგების საფუძველზე, რომელსაც იძლევა სკეპტიკოსების მოსაზრებათა განხილვა, არამედ აგრეთვე ჩემი პირადი გამოცდილების საფუძველზეც. ჩემი... მოღვაწეობის დასაწყისში მე სრულიადაც არ ვიყავი სიმპატიურად განწყობილი მარქსიზმისადმი. მე მას ისევე კრიტიკულად და ისეთივე უნდობლობით ვეკიდებოდი, როგორც ყოველი იმ პირთაგანი, რომლებიც ახლა ქედმაღლურად ზევიდან დაჰყურებენ ჩემს დოგმატურ ფანატიზმს. მხოლოდ ერთგვარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ გავხდი მე მარქსისტი. მაგრამ როგორც მაშინ, ისე შემდეგშიც, — ყოველთვის, როცა ეჭვები შემიპყრობდა ხოლმე რაიმე პრინციპულ საკითხზე, — ბოლოს და ბოლოს ყოველთვის იმ რწმენამდე მივდიოდი, რომ შემცდარი ვიყავი მე და არა ჩემი მასწავლებლები. საგნის უფრო ღრმა შესწავლა მაიძულებდა მეცნო მათი თვალსაზრისი სწორად. ამგვარად, საგნის ყოველი ახალი შესწავლა, ჩემ შეხედულებათა გადასინჯვის ყოველი ცდა აძლიერებდა ჩემს რწმენას, განამტკიცებდა ჩემში იმ მოძღვრების აღიარებას, რომლის გავრცელება და გამოყენება მთელი ჩემი ცხოვრების ამოცანა გახდა».

* აქვე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა ამ (მომავალ) «კრიტიკაზე», რომლითაც ასე გატაცებულია სტრუვე. კრიტიკის წინააღმდეგ საერთოდ, რა თქმა უნდა, არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ გაილაშქრებს. მაგრამ, როგორც ჩანს, სტრუვე იმეორებს თავის საყვარელ აზრს «კრიტიკული ფილოსოფიით» მარქსიზმის განაყოფიერების შესახებ. მე, რასაკვირველია, არც სურვილი და არც შესაძლებლობა მაქვს შევჩერდე აქ მარქსიზმის ფილოსოფიური შინაარსის საკითხზე და ამიტომ დავკმაყოფილდები მხოლოდ შემდეგი შენიშვნით. მარქსის იმ მოწაფეებს, რომლებიც მოგვიწოდებენ: «უკან, კანტისკენაო», აქამდე სრულიად არაფერი მოუციათ ისეთი, რაც ამტკიცებდეს ასეთი შემობრუნების აუცილებლობას და ნათელ-

თუ რას მოგვცემს ეს კრიტიკა. ჯერჯერობით კი აღვნიშნავთ, რომ რეალიზაციის თეორიის საკითხში ამ კრიტიკას არაფერი არ მოუცია.

7. «კაპიტალის» II ტომის III განყოფილებაში მოცემული მარქსის სქემების მნიშვნელობის საკითხზე სტრუვე ამტკიცებს, რომ რეალიზაციის აბსტრაქტული თეორია შეიძლება კარგად იქნას გადმოცემული საზოგადოებრივი პროდუქტის დაყოფის სულ სხვადასხვა ხერხის საშუალებითო. ეს საოცარი მტკიცება მთლიანად აიხსნება სტრუვეს იმ ძირითადი გაუგებრობით, თითქოს რეალიზაციის თეორია «მთლიანად ამოიწურება» (??!) იმ გაცვეთილი აზრით, რომ პროდუქტები პროდუქტებზე იცვლებაო. მხოლოდ ამ გაუგებრობის წყალობით შეეძლო სტრუვეს დაეწერა ასეთი ფრაზა: «როგორია ამ» (სარეალიზაციო) «საქონელთა მასების როლი წარმოებაში, განაწილებაში და სხვ., წარმოადგენენ თუ არა ისინი კაპიტალს (sic!! *) და როგორს, მუდმივს თუ ცვალებადს, ამ თეორიის არსისთვის ეს სულ ერთია» (51). მარქსის რეალიზაციის თეორიისთვის, რომელიც წარმოადგენს მთელი საზოგადოებრივი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს რეპროდუქციისა და მიმოქცევის ანალიზს, სულ ერთია, არის თუ არა საქონელი კაპიტალი!! ეს იგივეა,

---

ჰყოფდეს, რომ ნეოკანტელობის მიერ განაყოფიერებით მარქსის თეორია მოიგებს.[32] მათ არ შეუსრულებიათ ის მოვალეობაც კი, რომელიც უწინარეს ყოვლისა მათ ეკისრებოდათ: დაწვრილებით განეხილათ და გაებათილებინათ ნეოკანტელობის ის უარყოფითი შეფასება, რომელიც ენგელსმა მოგვცა. პირიქით, იმ მოწაფეებმა, რომლებიც წავიდნენ უკან არა კანტისაკენ, არამედ, ერთი მხრით, მარქსამდელი ფილოსოფიური მატერიალიზმისაკენ და, მეორე მხრით, დიალექტიკური იდეალიზმისაკენ, მოგვცეს დიალექტიკური მატერიალიზმის შესანიშნავად მწყობრი და ძვირფასი გადმოცემა, ცხადჰყვეს, რომ ის არის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების მთელი უახლესი განვითარების კანონიერი და აუცილებელი პროდუქტი. საკმარისია დავიმოწმო ბ-ნ ბელტოვის ცნობილი შრომა რუსულ ლიტერატურაში და «Beiträge zur Geschichte des Materialismus» (Stuttgart, 1896)[33] [«მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევები». (შტუტგარტი, 1896). რ ე დ.] გერმანულ ლიტერატურაში.

* — ასე!! რ ე დ.

ვინმემ რომ სთქვას, მიწის რენტის თეორიის არსისთვის სულ ერთია, სოფლის მოსახლეობა იყოფა მიწათმფლობელებად, კაპიტალისტებად და მუშებად თუ არაო, ვინაიდან ამ თეორიის შინაარსს შეადგენს მიწის სხვადასხვა ნაკვეთის სხვადასხვა ნაყოფიერებაზე მითითებაო.

მხოლოდ იმავე გაუგებრობის წყალობით შეეძლო სტრუვეს ეთქვა, რომ «საზოგადოებრივი მოხმარების ელემენტთა ნატურალური ურთიერთობა — ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა თ ა საზოგადოებრივი გაცვლა-გამოცვლა — შეიძლება ყველაზე უკეთ იქნას ნაჩვენები» პროდუქტის არა მარქსისებური დაყოფით, არამედ შემდეგი დაყოფით: წარმოების საშუალებები + მოხმარების საგნები + ზედმეტი ფასეულობა (ღირებულება, გვ. 50). — რაში მდგომარეობს ნივთიერებათა საზოგადოებრივი გაცვლა-გამოცვლა? უწინარეს ყოვლისა მოხმარების საგნებზე წარმოების საშუალებათა გაცვლაში. როგორ შეიძლება ამ გაცვლა-გამოცვლის ჩვენება, თუ ზედმეტ ღირებულებას ცალკე გამოვყოფთ წარმოების საშუალებებისგ ა ნ და მოხმარების საგნებისგ ა ნ? ზედმეტი ღირებულება ხომ სახიერდება ან წარმოების საშუალებებში, ან მოხმარების საგნებში! განა ცხადი არ არის, რომ ასეთი დაყოფა, — ლოგიკურად უმწეო (ვინაიდან იგი ერთმანეთში ურევს პროდუქტების დაყოფას ნატურალური ფორმის მიხედვით და დაყოფას ღირებულების ელემენტების მიხედვით). — ა ბ ნ ე ლ ე ბ ს ნივთიერებათა საზოგადოებრივი გაცვლა-გამოცვლის პროცესს? *

8. სტრუვე ამბობს, რომ მე მივაწერე მარქსს სეი-რიკარდოს აპოლოგეტურ-ბურჟუაზიული თეორია (52), — წარმოებასა და მოხმარებას შორის ჰარმონიის თეორია (51), — თეორია, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაშია მარქსის მოძღვრებასთან

* მოვაგონებთ მკითხველს, რომ მარქსი მთელ საზოგადოებრივ პროდუქტს ჰყოფს ორ ქვედანაყოფად პროდუქტის ნატურალური ფორმის მიხედვით: I) წარმოების საშუალებებად; II) მოხმარების საგნებად. შემდეგ თვითეულ ამ ქვედანაყოფში პროდუქტი იყოფა სამ ნაწილად ღირებულების ელემენტების მიხედვით: 1) მუდმივ კაპიტალად; 2) ცვალებად კაპიტალად; 3) ზეღირებულებად.

კაპიტალიზმის ევოლუციისა და საბოლოო გაქრობის შესახებ (51 — 52); რომ ამიტომ ჩემი «სრულიად სამართლიანი მსჯელობა» იმაზე, რომ მარქსი II და III ტომებში ხაზს უსვამდა კაპიტალიზმის დამახასიათებელ წინააღმდეგობას წარმოების უსაზღვრო განვითარებასა და ხალხის მასების შეზღუდულ მოხმარებას შორის, «სრულიად უკუაგდებს რეალიზაციის იმ თეორიას... რომლის დამცველიც სხვა შემთხვევებში» მე ვარ.

სტრუვეს ეს მსჯელობაც სწორედ ასევე არ არის სწორი და სწორედ ასევე ემყარება ზემოაღნიშნულ გაუგებრობას, რომელშიც ის ჩავარდა.

საიდან აიღო სტრუვემ, რომ მე რეალიზაციის თეორია მესმის არა როგორც მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და მიმოქცევის პროცესის ანალიზი, არამედ როგორც თეორია, რომელიც ამბობს მხოლოდ, რომ პროდუქტები პროდუქტებზე იცვლება, თეორია, რომელიც გვასწავლის, რომ წარმოებასა და მოხმარებას შორის ჰარმონია არსებობსო? სტრუვე ჩემი სტატიების განხილვით ვერ დაგვანახვებდა, რომ მე რეალიზაციის თეორია მეორე გაგებით მესმოდა, ვინაიდან მე პირდაპირ და გარკვევით ვამბობდი, რომ რეალიზაციის თეორია სწორედ პირველი გაგებით მესმის-მეთქი. სტატიაში: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის», იმ პარაგრაფში, რომელიც ეხება სმიტისა და სისმონდის შეცდომის გარკვევას, ნათქვამია: «საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ხდება რეალიზაცია, ესეიგი საზოგადოებრივი პროდუქტის ყველა ნაწილის ანაზღაურება. ამიტომ საზოგადოებრივ კაპიტალსა და შემოსავალზე — ანუ, რაც იგივეა, კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციაზე — მსჯელობის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს დაყოფა... წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისა» («ეტიუდები», 17) *. «რეალიზაციის საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანალიზი გავუკეთოთ საზოგადოებრივი

* იხ. თხზულებანი. გამოც. მე-4. ტომი 2, გვ. 173. რედ.

პროდუქტის ყველა ნაწილის ანაზღაურებას ღირებულებისა და მატერიალური ფორმის მიხედვით» (ib. 26) *. იმავეს ხომ არ იმეორებს სტრუვე, როცა ამბობს — თითქოს ჩემს წინააღმდეგ, — რომ ჩვენთვის საინტერესო თეორია «გვიჩვენებს რეალიზაციის მექანიზმს... რამდენადაც ასეთი რეალიზაცია ხორციელდება» («ნ. ობ.», 62)? ხომ არ ვეწინააღმდეგები მე რეალიზაციის ი მ თეორიას, რომელსაც ვიცავ, როდესაც ვამბობ, რომ რეალიზაცია ხდება «მხოლოდ დაბრკოლებათა პირობებში, მუდმივი მერყეობის პირობებში, რაც კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდება, გააფთრებული კონკურენციის პირობებში და სხვ.» («ეტიუდები». 27)? ** — როდესაც ვამბობ, რომ ნაროდნიკული თეორია «არამც თუ ააშკარავებს რეალიზაციის გაუგებლობას, არამედ ამასთანავე შეიცავს კიდევ ამ რეალიზაციის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა მეტად ზერელე გაგებასაც» (26—27)? *** — როდესაც ვამბობ, რომ პროდუქტის რეალიზაცია, რომელიც ხდება არა იმდენად მოხმარების საგნების ხარჯზე, რამდენადაც წარმოების საშუალებების ხარჯზე, «რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაა, მაგრამ სწორედ ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც ნამდვილად არსებობს და თვით კაპიტალიზმის დედაარსიდან გამომდინარეობს» (24) **** და რაც «სავსებით შეეფერება კაპიტალიზმის ისტორიულ მისიას და მის სპეციფიკურ სოციალურ სტრუქტურას: პირველი» (ე. ი. მისია) «მდგომარეობს სწორედ საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში (წარმოება წარმოებისათვის); მეორე» (ე. ი. კაპიტალიზმის სოციალური სტრუქტურა) «შეუძლებლად ხდის მოსახლეობის მასის მიერ მათს გამოყენებას» (20)? *****

9. კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებისა და მოხმარების შეფარდების საკითხზე ჩვენსა და სტრუვეს შორის,

---

* იხ. თხზულებანი. გამოც. მე-4, ტომი 2. გვ. 186. რ ე დ.

** იქვე, გვ. 187. რ ე დ.

*** იქვე, გვ. 186. რ ე დ.

**** იქვე, გვ. 183. რ ე დ.

***** იქვე. გვ. 176. რ ე დ.

როგორც ჩანს, უთანხმოება არ არსებობს. მაგრამ თუ სტრუვე ამბობს, რომ მარქსის დებულებას (რომლის მიხედვით მოხმარება არ წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების მიზანს) «აშკარად ემჩნევა საერთოდ მარქსის მთელი სისტემის პოლემიკური ხასიათიო. იგი ტენდენციურიაო...» (53), მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ასეთი გამოთქმები უადგილო და უსამართლოა. მოხმარება რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანი არ არის — ეს ფაქტია. წინააღმდეგობა ამ ფაქტსა და იმ ფაქტს შორის, რომ საბოლოო ანგარიშში წარმოება დაკავშირებულია მოხმარებასთან, დამოკიდებულია მოხმარებაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც, — ესაა არა დოქტრინის, არამედ ნამდვილი ცხოვრების წინააღმდეგობა. მარქსის რეალიზაციის თეორია, სხვათა შორის, სწორედ იმიტომ წარმოადგენს უდიდეს მეცნიერულ ღირებულებას, რომ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ეს წინააღმდეგობა, რომ იგი პირველ რიგში აყენებს ამ წინააღმდეგობას. «პოლემიკურ ხასიათს» ატარებს «მარქსის სისტემა» არა იმიტომ, რომ იგი «ტენდენციურია» *, არამედ იმიტომ, რომ იგი იძლევა თეორიაში ყველა იმ წინააღმდეგობის ზუსტ გამოხატულებას, რომელთაც ადგილი აქვთ ცხოვრებაში. ამიტომაც, სხვათა შორის, წარმატება არ ჰქონია და არც ექნება «მარქსის სისტემის» შეთვისების ყველა ცდას, მისი «პოლემიკური ხასიათის» შეუთვისებლად: სისტემის «პოლემიკური ხასიათი» — ეს არის მხოლოდ თვით კაპიტალიზმის «პოლემიკური ხასიათის» ზუსტი გამოხატულება.

10. «როგორია რეალიზაციის თეორიის რეალური მნიშვნელობა?» — სვამს კითხვას სტრუვე და მოჰყავს აზრი ბ-ნ ბულგაკოვისა, რომელიც ამბობს, რომ კაპიტალისტური წარმოების გაფართოების შესაძლებლობა სინამდვილეში უკვე ხორციელდება, თუმცა მას თან სდევს მთელი რიგი კრიზისებიო. «კაპი-

* მსგავს გამოთქმათა ხმარების წინააღმდეგ გასაფრთხილებლად გამოდგებოდა კლასიკური მაგალითი ზოგიერთი ვაუბატონისა, à la (მსგავსად. რ ე დ.) ა. სკვორცოვისა, რომელიც ტენდენციურობას ხედავს მარქსის თეორიაში მოგების საშუალო ნორმის შესახებ.

ტალისტური წარმოება მთელს მსოფლიოში იზრდებაო», — აღნიშნავს ბ-ნი ბულგაკოვი. «ეს არგუმენტი, — უპასუხებს სტრუვე, — სრულიად უმწეოა. საქმე ისაა, რომ რეალური «გაფართოება კაპიტალისტური წარმოებისა» ხდება სრულიადაც არა იმ იდეალურ ან იზოლირებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, რომელსაც ბულგაკოვი გულისხმობს და რომელიც, მისი ვარაუდით, თვითკმარობს, არამედ მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე, სადაც ერთიმეორეს ეჯახებიან ეკონომიური განვითარების სულ სხვადასხვაგვარი საფეხურები და სამეურნეო ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ფორმა» (57).

ამგვარად, სტრუვეს პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეში რეალიზაცია სწარმოებს არა იზოლირებულ, თვითკმარ, კაპიტალისტურ სახელმწიფოში, არამედ «მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე», ე. ი. სხვა ქვეყნებში პროდუქტების გასაღების საშუალებით. ადვილი დასანახია, რომ ეს პასუხი შეცდომაზეა დამყარებული. განა ოდნავ მაინც შეიცვლება რეალიზაციის საკითხი, თუ ჩვენ შინაური ბაზრით («თვითკმარი» კაპიტალიზმი) არ დავკმაყოფილდებით, არამედ მივმართავთ საგარეო ბაზარს? თუ ჩვენ ერთი ქვეყნის ნაცვლად რამდენიმე ქვეყანას ავიღებთ? თუ ჩვენ არ ვიფიქრებთ, რომ კაპიტალისტები ზღვაში ჰყრიან თავიანთ საქონელს ანდა მას მუქთად აძლევენ უცხოელებს, — თუ ჩვენ არ ავიღებთ ერთეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებს ან პერიოდებს, ცხადია, ჩვენ უნდა მივიღოთ გატანისა და შემოტანის ერთგვარი თანაბრობა. თუ ამა თუ იმ ქვეყანას გააქვს გარკვეული პროდუქტები და ასაღებს მათ «მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე», სამაგიეროდ მას სხვა პროდუქტები შემოაქვს. რეალიზაციის თეორიის თვალსაზრისით უნდა მივიღოთ, რომ «საგარეო ვაჭრობა მხოლოდ შეცვლის შინაურ საგნებს (Artikel — საქონელი) სხვა სახმარი ან ნატურალური ფორმის საგნებით» («Das Kapital», II, 469.[34] ციტატი მოყვანილია ჩემს მიერ «ნ. ობ.»-ში, გვ. 38 *). რეალიზაციის პროცესის დედაარსი

* იხ. ეს ტომი, გვ. 57. რ ე დ.

სრულიად არ იცვლება იმით, ერთ ქვეყანას ავიღებთ თუ ქვეყნების მთელ კომპლექსს. მაშასადამე, სტრუვე თავის პასუხში ბ-ნ ბულგაკოვისადმი იმეორებს ნაროდნიკების ძველ შეცდომას, რომლებიც რეალიზაციის საკითხს უკავშირებდნენ საგარეო ბაზრის საკითხს *.

ნამდვილად კი ამ საკითხებს შორის საერთო არაფერია. რეალიზაციის საკითხი — აბსტრაქტული საკითხია, რომელიც მიეკუთვნება საერთოდ კაპიტალიზმის თეორიას. ერთ ქვეყანას ავიღებთ ჩვენ თუ მთელს მსოფლიოს, მარქსის მიერ გახსნილი რეალიზაციის ძირითადი კანონები იგივე რჩება.

საგარეო ვაჭრობის ანუ საგარეო ბაზრის საკითხი — ესაა ისტორიული საკითხი, ამა თუ იმ ქვეყანაში, ამა თუ იმ ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების კონკრეტული პირობების საკითხი **.

11. ცოტა კიდევ შევჩერდეთ იმ საკითხზე, რომელიც სტრუვეს «დიდი ხანია აინტერესებს»: როგორია რეალიზაციის თეორიის რეალურ-მეცნიერული ღირებულება?

სრულიად ისეთივე, როგორიცაა მარქსის აბსტრაქტული თეორიის ყველა დანარჩენი დებულების ღირებულება. თუ სტრუვეს საგონებელში აგდებს ის გარემოება, რომ «სრულყოფილი რეალიზაცია კაპიტალისტური წარმოების იდეალია და არა მისი სინამდვილე», ჩვენ მოვაგონებთ მას, რომ კაპიტალიზმის ყველა სხვა კანონიც, აღმოჩენილი მარქსის მიერ, სწორედ ასევე გამოხატავს მხოლოდ კაპიტალიზმის იდეალს და არა მის სინამდვილეს. «ჩვენი მიზანია,—სწერდა მარქსი,— გამოვხატოთ კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგანი ორგანიზაცია მხოლოდ მისი, ასე ვთქვათ, იდეალური შუათანა ტიპით» («in ihrem idealen Durchschnitt». «Das Kapital», III, 2, 367; რუსული თარგმ., გვ. 688).[35] კაპიტალის თეორია გულისხმობს, რომ მუშა ღებულობს თავისი სამუშაო ძალის სრულ ღირებულებას. ესაა — კაპიტალიზმის იდეალი და არა

* ნაროდნიკების ეს შეცდომა მე განხილული მაქვს «ეტიუდებში», გვ. 25 — 29 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 184 — 191. რ ე დ.).

** Ibid. შეად. «ნ. ობ.», № 1, გვ. 37 (იხ. ეს ტომი, გვ. 56. რ ე დ.).

მისი სინამდვილე. რენტის თეორია გულისხმობს, რომ მთელი მიწათმოქმედი მოსახლეობა სავსებით გაითიშა მიწათმფლობელებად, კაპიტალისტებად და დაქირავებულ მუშებად. ესაა — კაპიტალიზმის იდეალი და არა მისი სინამდვილე. რეალიზაციის თეორია გულისხმობს წარმოების პროპორციულ განაწილებას. ესაა — კაპიტალიზმის იდეალი და არა მისი სინამდვილე.

მარქსის თეორიის მეცნიერული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მან განმარტა მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და მიმოქცევის პროცესი. შემდეგ, მარქსის თეორიამ ცხადჰყო, თუ როგორ ხორციელდება კაპიტალიზმის დამახასიათებელი ის წინააღმდეგობა, რომ წარმოების უდიდეს ზრდას სრულიადაც არ ახლავს თან ხალხის მოხმარების შესაბამისი ზრდა. ამიტომ მარქსის თეორია არამც თუ არ აღადგენს ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ თეორიას (როგორც ეს სტრუვეს მოეჩვენა), არამედ, პირიქით, უ ძ ლ ი ე რ ე ს ი ა რ ა ღ ს ი ძ ლ ე ვ ა ა პ ო ლ ო გ ე ტ ი კ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამ თეორიიდან ~~გამომდინარეობს ის,~~ რომ მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის თ ვ ი თ იდეალურად მწყობრი და პროპორციული რეპროდუქციისა და მიმოქცევის დროსაც კი აუცილებელია წინააღმდეგობა წარმოების ზრდასა და მოხმარების შეზღუდულ ფარგლებს შორის. სინამდვილეში კი გ ა რ დ ა ა მ ი ს ა რეალიზაციის პროცესი მიმდინარეობს არა იდეალურად მწყობრი პროპორციულობით, არამედ მხოლოდ «დაბრკოლებათა», «მერყეობათა», «კრიზისების» და სხვ. პირობებში.

შემდეგ, მარქსის რეალიზაციის თეორია უძლიერეს იარაღს იძლევა არა მარტო აპოლოგეტიკის წინააღმდეგ, არამედ კაპიტალიზმის მეშჩანური რეაქციული კრიტიკის წინააღმდეგაც. კაპიტალიზმის სწორედ ასეთი კრიტიკის განმტკიცებას ცდილობდნენ ჩვენი ნაროდნიკები რეალიზაციის თავიანთი შემცდარი თეორიით. რეალიზაციის ისე გაგება კი, როგორც ეს მარქსს ესმოდა, აუცილებლად იწვევს კაპიტალიზმის ისტორიული პროგრესულობის აღიარებას (წარმოების საშუალებების

და, მაშასადამე, საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას) და ამით არამც თუ არ ჩქმალავს, არამედ, პირიქით, არკვევს კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალ ხასიათს.

12. «იდეალური ანუ იზოლირებული თვითკმარი კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ» სტრუვე ამბობს, რომ მასში გაფართოებული რეპროდუქცია შეუძლებელია, «რადგან აუცილებლად საჭირო დამატებითს მუშებს ვერსად იშოვიო».

მე ვერას გზით ვერ დავეთანხმები სტრუვეს ამ მტკიცებას. სტრუვეს არ დაუმტკიცებია, და არც შეიძლება ამის დამტკიცება, რომ შეუძლებელია დამატებითი მუშების მიღება სარეზერვო არმიიდან. იმის წინააღმდეგ, რომ დამატებითი მუშების მიღება შეიძლება მოსახლეობის ბუნებრივი ნამატიდან, სტრუვე სრულიად დაუსაბუთებლად აცხადებს, რომ «ბუნებრივ ნამატზე დამყარებული გაფართოებული რეპროდუქცია არითმეტიკულად შეიძლება იგივე არ იყოს, რაც მარტივი რეპროდუქციაა, მაგრამ პრაქტიკულ-კაპიტალისტურად, ე. ი. ეკონომიურად, სავსებით ემთხვევა მას». გრძნობს რა, რომ თეორიულად არ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ დამატებითი მუშების შოვნა შეუძლებელია, სტრუვე გვერდს უვლის საკითხს და იმოწმებს ისტორიულ და პრაქტიკულ პირობებს. «არა მგონია, რომ მარქსს შეეძლო გადაეწყვიტა ისტორიული (?!) საკითხი ამ, სრულიად აბსტრაქტული, კონსტრუქციის საფუძველზე»... «თვითკმარი კაპიტალიზმი — ისტორიულად (!) წარმოუდგენელი ზღვარია»... «შრომის ინტენსიფიკაცია, რომელიც შეიძლება მუშას თავს მოახვიო, არამც თუ რეალურად, არამედ ლოგიკურადაც ჩაყენებულია ფრიად ვიწრო ფარგლებში»... «შრომის ნაყოფიერების შეუჩერებელმა გადიდებამ არ შეიძლება არ შეანელოს თვით იძულება შრომისადმი»...

ყველა ამ მითითებათა ულოგიკობა ადამიანს პირდაპირ თვალში ეცემა! სტრუვეს არც ერთ ოპონენტს არსად და არასდროს არ უთქვამს ისეთი აბსურდი, თითქოს ისტორიული საკითხის გადაჭრა შეიძლებოდეს აბსტრაქტული კონსტრუქციების საშუალებით. მაგრამ ამჟამად სტრუვემ თვითონ დააყენა

სრულიად არა ისტორიული, არამედ სრულიად აბსტრაქტული, წმინდა თეორიული საკითხი «იდეალური კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ» (57). განა ცხადი არ არის, რომ ის საკითხს პირდაპირ გვერდს უხვევს? მე, რა თქმა უნდა, არც კი ვფიქრობ უარვყო ის გარემოება, რომ არსებობს მრავალი ისტორიული და პრაქტიკული პირობა (კაპიტალიზმის იმანენტურ წინააღმდეგობებს რომ თავი დავანებოთ), რომელნიც იწვევენ და გამოიწვევენ კაპიტალიზმის დაღუპვას გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე თანამედროვე კაპიტალიზმის გადაქცევას იდეალურ კაპიტალიზმად. მაგრამ წმინდა თეორიულ საკითხზე «იდეალური კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ» მე ვადგივარ იმ ჩემ ძველ შეხედულებას, რომ არ არსებობს არავითარი თეორიული საფუძველი უარვყოთ გაფართოებული რეპროდუქციის შესაძლებლობა ასეთს საზოგადოებაში.

13. «ბბ. ვ. ვ.-მა და ნ. — ონმა აღნიშნეს წინააღმდეგობანი და დაბრკოლებანი რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებაში, მათ კი მიუთითებენ მარქსის სქემებზე და ეუბნებიან: კაპიტალები ყოველთვის კაპიტალებზე იცვლებიანო...» (სტრუვეს ციტირ. სტატია, 62).

ეს უაღრესად გესლიანად არის ნათქვამი. სამწუხაროა მხოლოდ, რომ საქმის ვითარება გადმოცემულია სრულიად არასწორად. ყველა, ვინც წაიკითხავს ბ-ნ ვ. ვ.-ის «თ ე ო რ ი უ ლ ი ეკონომიის ნარკვევებს» და ბ-ნ ნ. — ონის «ნარკვევების» მეორე განყოფილების XV პარაგრაფს, დაინახავს, რომ ორივე ამ მწერალმა დააყენა სწორედ რეალიზაციის აბსტრაქტულ-თეორიული საკითხი, საერთოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის საკითხი. ეს ფაქტია. ფაქტია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მათ წინააღმდეგ სხვა მწერლებმა «საჭიროდ დაინახეს უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა გამოერკვიათ ბაზრების თეორიის ძირითადი, ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ-თ ე ო რ ი უ ლ ი პუნქტები» (როგორც ეს აღნიშნულია «ნ. ობ.»-ში მოთავსებული ჩემი სტატიის პირველსავე სტრიქო-

ნებში). ტუგან-ბარანოვსკი რეალიზაციის თეორიაზე სწერდა კრიზისების შესახებ დაწერილი თავისი წიგნის იმ თავში, რომლის ქვესათაურია: «ბაზრების თეორია». ბულგაკოვი თავის წიგნს უკეთებს ქვესათაურს: «თეორიული ეტიუდი». ერთი ვიკითხოთ, ვინ ურევს ერთმანეთში აბსტრაქტულ-თეორიულ და კონკრეტულ-ისტორიულ საკითხებს, სტრუვეს ოპონენტები თუ თვითონ სტრუვე?

თავისი სტატიის იმავე გვერდზე სტრუვეს მოჰყავს ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ საგარეო ბაზრის აუცილებლობა გამომდინარეობს არა რეალიზაციის პირობებიდან, არამედ ისტორიული პირობებიდან. «მაგრამ, — გვიპასუხებს სტრუვე (ეს «მაგრამ» მეტად დამახასიათებელია!), — ტუგან-ბარანოვსკი, ბულგაკოვი და ილინი არკვევდნენ რეალიზაციის მხოლოდ აბსტრაქტულ პირობებს, ისტორიულ პირობებს კი არ არკვევდნენო» (გვ. 62). — ყველა ხსენებული მწერალი სწორედ იმიტომაც არ არკვევდა ისტორიულ პირობებს, რომ ისინი კისრულობდნენ ელაპარაკნათ აბსტრაქტულ-თეორიულ და არა კონკრეტულ-ისტორიულ საკითხებზე. ჩემს წიგნში: «რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების საკითხისათვის» («რუსეთის მსხვილი მრეწველობის საშინაო ბაზრისა და ამ მრეწველობის შექმნის პროცესის შესახებ»), რომლის ბეჭდვა ამჟამად (III, 99) * დამთავრებულია, მე ვაყენებ საკითხს არა ბაზრების თეორიის შესახებ, არამედ რუსეთის კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შესახებ. ამიტომ თეორიის აბსტრაქტული ჭეშმარიტებანი იქ ასრულებენ მხოლოდ სახელმძღვანელო დებულებათა, მხოლოდ იარაღის როლს კონკრეტული ცნობების ანალიზისთვის.

14. სტრუვე «სავსებით მხარს უჭერს» თავის «თვალსაზრისს» «მესამე პირთა» თეორიაზე, რომელიც მან წამოაყენა «კრიტიკულ შენიშვნებში». მეც, ჩემის მხრით, სავსებით მხარს ვუჭერ ჩემს ნათქვამს ამის გამო მაშინ, როცა «კრიტიკული შენიშვნები» გამოვიდა.[39]

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3. რ ე დ.

«კრიტიკული შენიშვნების» 251-ე გვერდზე სტრუვე ამბობს, რომ ბ-ნ ვ. ვ.-ის არგუმენტაცია «ემყარება ბაზრების მთელ თავისებურ თეორიას ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში». «ეს თეორია, — შენიშნავს სტრუვე, — სწორია, რამდენადაც იგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია ზედმეტი ფასეულობის (ღირებულების) რეალიზაცია კაპიტალისტების ან მუშების მოხმარებაში, იგი მესამე პირთა მოხმარებას გულისხმობსო». სტრუვე ამ მესამე პირებად «რუსეთში გულისხმობს რუსეთის მიწათმოქმედ გლეხობას» («ნ. ობ.»-ში მოთავსებული სტატიის 61 გვ.).

ამრიგად, ბ-ნი ვ. ვ. აყენებს ბაზრების მთელ თავისებურ თეორიას ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მას კი რუსეთის მიწათმოქმედ გლეხობაზე მიუთითებენ! განა ეს არ არის ერთმანეთში არევა რეალიზაციის აბსტრაქტულ-თეორიული საკითხისა და რუსეთში კაპიტალიზმის კონკრეტულ-ისტორიული საკითხისა? შემდეგ, თუ კი სტრუვე ბ-ნ ვ. ვ.-ის თეორიას ნაწილობრივ მაინც სწორად აღიარებს, — მაშასადამე, ის გვერდს უვლის ბ-ნ ვ. ვ.-ის ძირითად თეორიულ შეცდომებს რეალიზაციის საკითხში, გვერდს უვლის იმ შემცდარ შეხედულებას, თითქოს კაპიტალისტური რეალიზაციის «სიძნელეები» შემოისაზღვრება ზედმეტი ღირებულებით ან სპეციალურად უკავშირდება პროდუქტების ღირებულების ამ ნაწილს; — გვერდს უვლის იმ შემცდარ შეხედულებას, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს საგარეო ბაზრის საკითხს და რეალიზაციის საკითხს.

სტრუვეს მითითება იმაზე, რომ რუსეთის მიწათმოქმედი გლეხობა თავისი დაშლით ბაზარს უქმნის ჩვენს კაპიტალიზმს, — სავსებით სამართლიანია (ზემოაღნიშნულ წიგნში ამ დებულებას მე ვრცლად ვასაბუთებ საერობო სტატისტიკის მონაცემების განხილვით). მაგრამ ამ დებულების თეორიული დასაბუთება სრულიადაც არ ეკუთვნის კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის თეორიას, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების შექმნის თეორიას. არ შეიძლება არ შევნიშნოთ აგრეთვე, რომ გლეხების მონათვლა «მესამე

პირებად» მეტად უხეიროა და ამას შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. თუ გლეხები «მესამე პირნი» არიან კაპიტალისტური მრეწველობისთვის, მაშინ მრეწველები, წვრილნი და არაწვრილნი, მეფაბრიკეები და მუშები, — «მესამე პირნი» ყოფილან კაპიტალისტური მიწათმოქმედებისთვის. მეორე მხრით, მიწათმოქმედი-გლეხები («მესამე პირნი») კაპიტალიზმს ბაზარს უქმნიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი იშლებიან კაპიტალისტური საზოგადოების კლასებად (სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად), ე. ი. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი «მ ე ს ა მ ე» პირნი კი აღარ არიან, არამედ მ ო ქ მ ე დ ი პირნი ხდებიან კაპიტალიზმის სისტემაში.

15. სტრუვე ამბობს: «ბულგაკოვი მოსწრებულად შენიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე პრინციპული განსხვავება დავაწესოთ კაპიტალისტური წარმოების საშინაო და საგარეო ბაზარს შორისო». მე სავსებით ვუერთდები ამ შენიშვნას: მართლაც, საბაჟო ან პოლიტიკური საზღვარი ძალიან ხშირად სრულიად უვარგისია «საშინაო» და «საგარეო» ბაზრის დასაყოფად. მაგრამ, ახლა აღნიშნულ მიზეზთა გამო, მე ვერ დავეთანხმები სტრუვეს იმაში, რომ «აქედან გამომდინარეობს ... თეორია, რომელიც ამტკიცებს მესამე პირთა აუცილებლობას». აქედან უშუალოდ გამომდინარეობს მხოლოდ მოთხოვნა: კაპიტალიზმის საკითხის გარჩევის დროს არ შევჩერდეთ საშინაო და საგარეო ბაზრების ტრადიციულ დაყოფაზე. ასეთი დაყოფა უსუსურია წმინდა თეორიული მხრით და განსაკუთრებით ნაკლებ გამოსადეგია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა რუსეთი. მისი შეცვლა შეიძლებოდა სხვაგვარი დაყოფით, თუ ერთმანეთისაგან განვასხვავებდით, მაგალითად, შემდეგ მხარეებს კაპიტალიზმის განვითარების პროცესში: 1) კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება ამა თუ იმ სავსებით დასახლებული და დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში; 2) კაპიტალიზმის გავრცელება სხვა ტერიტორიებზე (რომელნიც ნაწილობრივ სრულიად დაუკავებელია და იქ სახლდებიან ძველი ქვეყნიდან გამოსულნი, ნაწილობრივ

დაკავებულია ისეთი ტომების მიერ, რომლებიც განზე დგანან მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო კაპიტალიზმისაგან). პროცესის პირველი მხარისათვის შეიძლება გვეწოდებინა კაპიტალიზმის განვითარება სიღრმეზე, მეორისათვის — კაპიტალიზმის განვითარება სიგანეზე *. ასეთი დაყოფით მოცული იქნებოდა კაპიტალიზმის ისტორიული განვითარების მთელი პროცესი: ერთი მხრით, მისი განვითარება ძველ ქვეყნებში, რომლებიც საუკუნეობით იმუშავებდნენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფორმებს მსხვილ მანქანურ ინდუსტრიამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით; მეორე მხრით, განვითარებული კაპიტალიზმის მძლავრი მისწრაფება — გავრცელდეს სხვა ტერიტორიებზე, დაასახლოს და გადახნას მსოფლიოს ახალი ქვეყნები, შექმნას კოლონიები, ჩააბას ველური ტომები მსოფლიო კაპიტალიზმის ორომტრიალში. რუსეთში კაპიტალიზმის ამ უკანასკნელმა მისწრაფებამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი და ახლაც თავს იჩენს ჩვენს განაპირა მხარეებში, რომელთა კოლონიზაციამ ესოდენ დიდი ბიძგი მიიღო რუსეთის ისტორიის რეფორმის შემდგომს, კაპიტალისტურ, პერიოდში. ევროპის რუსეთის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, კავკასია, შუა აზია, ციმბირი რუსეთის კაპიტალიზმის ერთგვარ კოლონიებს წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ მის უდიდეს განვითარებას არა მარტო სიღრმეზე, არამედ სიგანეზეც.

ბოლოს, წამოყენებული დაყოფა მით არის მოხერხებული, რომ ის მკაფიოდ განსაზღვრავს საკითხთა მხოლოდ იმ სფეროს, რომელსაც მოიცავს რეალიზაციის თეორია. ცხადია, ეს თეორია ეხება პროცესის მხოლოდ პირველ მხარეს, კაპიტალიზმის მხოლოდ სიღრმეზე განვითარებას. რეალიზაციის თეორია (ე. ი. თეორია, რომელიც არკვევს მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და მიმოქცევის პროცესს)

* თავისთავად იგულისხმება, რომ სინამდვილეში პროცესის ეს ორივე მხარე მჭიდროდაა შეერთებული, და მათი გაყოფა არის მხოლოდ აბსტრაქცია, მხოლოდ ხერხი რთული პროცესის გამოკვლევისათვის. ზემოხსენებული წიგნი მე მივუძღვენი მხოლოდდამხოლოდ პროცესის პირველ მხარეს; შეად. იქვე, თავი VIII, § V.

თავისი კონსტრუქციებისთვის აუცილებლად უნდა იღებდეს ყარჩაკეტილ კაპიტალისტურ საზოგადოებას, ე. ი. აბსტრაქციულად უნდა გადაჰქონდეს სხვა ქვეყნებზე კაპიტალიზმის გავრცელების პროცესი, ერთი ქვეყნის მეორე ქვეყანასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესი, იმიტომ რომ ეს პროცესი არაფერს არ იძლევა რეალიზაციის საკითხის გადასაჭრელად, მას მხოლოდ გადააქვს საკითხი ერთი ქვეყნიდან რამდენიმე ქვეყანაზე. ცხადია აგრეთვე, რომ რეალიზაციის აბსტრაქტული თეორია წანამძღვრად უნდა იღებდეს იდეალურად განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ლაპარაკობს რა მარქსიზმის ლიტერატურაზე, სტრუვე საერთო ხასიათის შენიშვნას აკეთებს: «ორთოდოქსული ჰანგები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბატონობას, მაგრამ მათ აღარ ძალუძთ ჩააჩნონ ახალი კრიტიკული ნაკადი, იმიტომ რომ მეცნიერულ საკითხებში ჭეშმარიტი ძალა ყოველთვის არის კრიტიკის და არა რწმენის მხარეზე». როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ «ახალი კრიტიკული ნაკადი» არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ძველი შეცდომები არ განმეორდება. არა, უმჯობესია დავრჩეთ ისევ «ორთოდოქსიის ნიშნით»! ნუ დავიჯერებთ, თითქოს ორთოდოქსია იღებს რაიმეს მზა რწმენად, რომ ორთოდოქსია გამორიცხავს კრიტიკულ გარდაქმნას და შემდგომს განვითარებას, რომ იგი საშუალებას იძლევა განყენებული სქემებით დავჩრდილოთ ისტორიული საკითხები. თუ კი არიან ისეთი ორთოდოქსი მოწაფეები, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ მართლაც მძიმე ცოდვებში, ეს ბრალი ედებათ სავსებით ასეთ მოწაფეებს და არა ორთოდოქსიას, რომელსაც დიამეტრულად საწინააღმდეგო თვისებები ახასიათებს.

დაწერილია 1899 წლის მარტში.

დაიბეჭდა 1899 წლის აგვისტოში ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 8-ში.

ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

რეცენზია

Karl Kautsky. Die Agrarfrage. Eine Uebersicht über die Tendenzen der modernen Landwirtschaft und die Agrarpolitik u. s. w. Stuttgart, Dietz, 1899 *.

კაუტსკის წიგნი უახლესი ეკონომიური ლიტერატურის ყველაზე შესანიშნავი მოვლენაა «კაპიტალის» მე-3-ე ტომის შემდეგ. მარქსიზმს აქამდე აკლდა ისეთი ნაშრომი, სადაც სისტემატურად იქნებოდა განხილული კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში. ახლა კაუტსკიმ ეს ხარვეზი შეავსო თავისი სქელტანიანი (450 გვ.) წიგნის პირველი განყოფილებით, რომლის სათაურია: «სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტურ საზოგადოებაში» (გვ. 1—300). წინასიტყვაობაში კაუტსკი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის საკითხზე «უზარმაზარი» სტატისტიკური და აღწერითი ეკონომიური მასალა დაგროვდარ; საარსებო მოთხოვნილება იმაში მდგომარეობს, რომ აღმოვაჩინოთ ეკონომიური ევოლუციის «ძირითადი ტენდენციები» სახალხო მეურნეობის ამ სფეროში, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის სხვადასხვაგვარი მოვლენა წარმოვიდგინოთ როგორც «ერთი საერთო (მთლიანი) პროცესის (eines Gesammtprozesses) ნაწილობრივი გამოვლინებანი». მართლაც, სოფლის მეურნეობის ფორმები და სოფლის მოსახლეობის ურთიერთობანი თანამედროვე საზოგადოებაში ისეთი გიგანტური ნაირსახეობითაა აღნიშნული, რომ იმაზე ადვი-

* — კარლ კაუტსკი. «აგრარული საკითხი. თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტენდენციათა მიმოხილვა და აგრარული პოლიტიკა და სხვ.» შტუტგარტი, გამოც. დიტცისა, 1899. რედ.

ლი არაფერია, ამოკრიფოთ რომელ გამოკვლევიდანაც გნებავთ მთელი გროვა მითითებებისა და ფაქტებისა, რომლებიც «ადასტურებენ» ამა თუ იმ მწერლის შეხედულებებს. სწორედ ასეთი ხერხითაა აგებული მთელი რიგი მსჯელობანი ჩვენს ნაროდნიკულ პრესაში, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს წვრილი გლეხური მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობა ანდა მისი უპირატესობაც კი მსხვილი წარმოების წინაშე მიწათმოქმედებაში. ყველა ამ მსჯელობის განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ამოგლეჯენ ხოლმე ცალკეულ მოვლენებს, იმოწმებენ ცალკეულ შემთხვევებს და იმასაც კი არ ცდილობენ, რომ დაუკავშირონ ისინი საერთოდ კაპიტალისტური ქვეყნების მთელი აგრარული წყობილების საერთო სურათსა და კაპიტალისტური მიწათმოქმედების მთელი უახლესი ევოლუციის ძირითად ტენდენციებს. კაუტსკი ასეთს ჩვეულებრივ შეცდომას როდი უშვებს. 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ის კაპიტალიზმის საკითხზე მიწათმოქმედებაში და მას არაჩვეულებრივად უხვი მასალა მოეპოვება; კერძოდ, კაუტსკი თავის გამოკვლევას ამყარებს ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთისა (1892) და გერმანიის (1895) უკანასკნელ სასოფლო-სამეურნეო აღწერათა მონაცემებზე და ანკეტებზე. მაგრამ ის არც ერთხელ არ იბნევა ფაქტების გროვაში, არც ერთხელ არ უშვებს მხედველობიდან სულ მცირეოდენი მოვლენის კავშირს კაპიტალისტური მიწათმოქმედების საერთო წყობილებასთან და კაპიტალიზმის საერთო ევოლუციასთან.

კაუტსკი აყენებს თავის წინაშე არა რაიმე კერძო საკითხს, მაგალითად, მიწათმოქმედებაში მსხვილი და წვრილი წარმოების ურთიერთობის შესახებ, არამედ ზოგად საკითხს — ეუფლება თუ არა კაპიტალი სოფლის მეურნეობას, გარდაქმნის თუ არა კაპიტალი მასში წარმოების ფორმებსა და საკუთრების ფორმებს და სახელდობრ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. სავსებით აღიარებს რა სოფლის მეურნეობის წინაკაპიტალისტური და არაკაპიტალისტური ფორმების დიდ როლს თანამედროვე საზოგადოებაში და წმინდა კაპიტალის-

ტური ფორმებისადმი ამ ფორმების დამოკიდებულების გარკვევის აუცილებლობას, კაუტსკი იწყებს თავის გამოკვლევას ფეოდალური ეპოქის პატრიარქული გლეხური მეურნეობისა და მიწათმოქმედების არაჩვეულებრივად მკაფიო და ზუსტი დახასიათებით. არკვევს რა აიხაირად მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების გამოსავალ პუნქტებს, ის გადადის «თანამედროვე მიწათმოქმედების» დახასიათებაზე. ჯერ დახასიათებულია ამ უკანასკნელის ტექნიკური მხარე (ნაყოფცვლადი სისტემა, შრომის დანაწილება, მანქანები, სასუქები, ბაქტერიოლოგია), და მკითხველის წინაშე გადაიშლება იმ გიგანტური გადატრიალების ბრწყინვალე სურათი, რომელიც კაპიტალიზმმა მოახდინა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, გადააქცია რა სოფლის მეურნეობა დახავსებული ხელოსნობიდან მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ. შემდეგ გამოკვლეულია «თანამედროვე სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათი», — მოკლედ და პოპულარულად, მაგრამ უაღრესი სიზუსტით და ფრიად ნიჭიერადაა გადმოცემული მარქსის თეორია მოგებისა და რენტის შესახებ. კაუტსკი ცხადჰყოფს, რომ ფერმერობის სისტემა და ჰიპოტეკების სისტემა მხოლოდ ორი სხვადასხვა ფორმაა ერთი და იმავე, მარქსის მიერ აღნიშნული, პროცესისა: მიწათმფლობელთაგან სასოფლო-სამეურნეო მეწარმეთა გამოყოფის პროცესისა. შემდეგ განხილულია მსხვილი და წვრილი წარმოების ურთიერთობა, მასთან ცხადი ხდება, რომ პირველის ტექნიკური უპირატესობა მეორის მიმართ ეჭვს გარეშეა. კაუტსკი დაწვრილებით ამტკიცებს ამ დებულებას და ვრცლად ჩერდება იმ გარემოების გარკვევაზე, რომ მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების გამძლეობა დამოკიდებულია სრულიადაც არა მის ტექნიკურ რაციონალობაზე. არამედ იმაზე, რომ წვრილი გლეხები უფრო მეტად აკლავენ თავს მუშაობას, ვიდრე დაქირავებული მუშები, თანაც თავიანთ მოთხოვნილებათა დონეს ამ მუშების მოთხოვნილებებისა და ცხოვრების დონეზე უფრო დაბლა სწევენ. კაუტსკის მიერ ამის დასადასტურებლად მოყვანილი მონაცემები მეტისმეტად საინტერესო და რელიეფურია. სოფლის მეურნეო-

ბაში ამხანაგობათა საკითხის განხილვას კაუტსკი იმ დასკვნამ-დე მიჰყავს, რომ ეს ამხანაგობები უეჭველი პროგრესის გამომხატველია, თუმცა ისინი წარმოადგენენ გადასვლას არა თემურ წარმოებაზე, არამედ კაპიტალიზმზე; ამხანაგობები კი არ ამცირებენ, არამედ აძლიერებენ მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების უპირატესობას წვრილი წარმოების მიმართ. უაზრობაა იმის მოლოდინი, რომ თანამედროვე საზოგადოებაში გლეხს შეეძლოს თემურ წარმოებაზე გადასვლა. ჩვეულებრივ იმოწმებენ სტატისტიკის მონაცემებს, რაც ვერ ადასტურებს მსხვილი მიწათმოქმედების მიერ წვრილის განდევნას, მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ იმას მეტყველებენ, რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მრეწველობაში. ამ უკანასკნელშიც განვითარების ძირითადი ტენდენცია ხშირად გადახლართულია ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა კაპიტალისტური მუშაობის გავრცელება შინ და სხვ. მიწათმოქმედებაში კი წვრილი წარმოების განდევნას, უწინარეს ყოვლისა, ხელს უშლის მიწის ფართობის შეზღუდულობა; წვრილი ნაკვეთების შესყიდვა მსხვილის შესაქმნელად — მეტისმეტად ძნელი საქმეა; მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის შემთხვევაში ხანდახან შესაძლებელი ხდება მეურნეობის ფართობის შემცირების შეთავსება მისაღები პროდუქტების რაოდენობის გადიდებასთან (ამიტომ იმ სტატისტიკას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ მონაცემებს მეურნეობათა ფართობის შესახებ, ნაკლები დამამტკიცებელი მნიშვნელობა აქვს). წარმოების კონცენტრაცია ხდება ერთი მფლობელის მიერ მრავალი მამულის შესყიდვის საშუალებით; ამნაირად შექმნილი ლატიფუნდიები წარმოადგენენ მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმის ბაზისს. ბოლოს, მსხვილი მიწათმფლობელობისთვის არც იქნებოდა ხელსაყრელი წვრილის სავსებით განდევნა: უკანასკნელი მას მუშახელს აწვდის! ამიტომ ხშირად მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს ისეთი კანონები გაჰყავთ, რომელნიც ხელოვნურად ამაგრებენ წვრილ გლეხობას. წვრილი მიწათმოქმედება მტკიცე მდგომარეობას მა-

შინ იძენს, როდესაც იგი აღარ წარმოადგენს მეტოქეს მსხვილი მიწათმოქმედებისთვის, როდესაც მისთვის მუშახელის მიმწოდებელი ხდება. მსხვილ და წვრილ მიწათმფლობელთა ურთიერთობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ურთიერთობას კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის. «გლეხობის გაპროლეტარების» პროცესს კაუტსკი უძღვნის ცალკე თავს, მონაცემებით უხვს — განსაკუთრებით გლეხთა «დამხმარე სამუშაოთა» საკითხზე, ე. ი. დაქირავებით მუშაობის სხვადასხვა ფორმის შესახებ.

მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი ნიშნების გამორკვევის შემდეგ კაუტსკი გადადის საზოგადოებრივი მეურნეობის ამ სისტემის ისტორიულად-წარმავალი ხასიათის დამტკიცებაზე. რაც უფრო მეტად ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო მეტ სიძნელეებს აწყდება სავაჭრო (სასაქონლო) მიწათმოქმედების გაძღოლა. მიწის საკუთრების მონოპოლია (მიწის რენტა), მემკვიდრეობის უფლება, მაიორატები [37] ხელს უშლიან მიწათმოქმედების რაციონალიზაციას. ქალაქები სულ უფრო და უფრო მეტ ექსპლოატაციას უწევენ სოფლებს იმით, რომ სოფლის მეურნეებს ართმევენ საუკეთესო მუშახელს, სწუწნიან იმ სიმდიდრის სულ უფრო და უფრო მეტ წილს, რომელსაც სოფლის მოსახლეობა ჰქმნის; ამის გამო სოფლის მოსახლეობას შესაძლებლობა ერთმევა ნიადაგს დაუბრუნოს ის, რაც მისგან მიაქვთ. კაუტსკი განსაკუთრებით ვრცლად ეხება სოფლების გაუკაცურებას და სავსებით აღიარებს, რომ მუშების ნაკლებობით ყველაზე ნაკლებად ზარალდებიან საშუალო გლეხური მეურნეობანი, მაგრამ იქვე დასძენს, რომ «კეთილი მოქალაქენი» (ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე ვთქვათ: რუსი ნაროდნიკებიც) ტყუილად ზეიმობენ ამ ფაქტის გამო, ტყუილად ჰგონიათ მათ, რომ ესაა გლეხობის აღორძინების დასაწყისი, რომელიც აბათილებს მიწათმოქმედებისადმი მარქსის თეორიის მიყენების შესაძლებლობას. თუ გლეხობა სხვა მიწათმოქმედ კლასებზე ნაკლებად ზარალდება დაქირავებული მუშების სიმცირით, სამაგიეროდ ის გაცილებით უფრო ძლიერ ზარალდება მევახშეობით, გა-

ბოსალებთა სიმძიმით, თავისი მეურნეობის არარაციონალობით, ნიადაგის გამოფიტვით, გადაჭარბებული მუშაობითა და არასაკმარისი მოხმარებით. ოპტიმისტურად განწყობილ წვრილბურჟუაზიულ ეკონომისტთა შეხედულების თვალსაჩინო უარყოფას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არა მარტო სოფლის მუშები, არამედ გლეხთა ბავშვებიც... ქალაქებში გარბიან! მაგრამ ევროპის მიწათმოქმედების პირობებში განსაკუთრებით დიდი ცვლილებები შეიტანა იმ იაფი პურის კონკურენციამ, რომელიც ამერიკიდან, არგენტინიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. კაუტსკი დაწვრილებით განიხილავს ამ ფაქტის მნიშვნელობას, ფაქტისა, რომელიც წარმოშვა ბაზრების მძებნელი ინდუსტრიის განვითარებამ. იგი ასწერს ამ კონკურენციის გავლენით ხორბლეულის მოყვანის დაცემას ევროპაში, რენტის შემცირებას, და განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება «მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაციაზე», რაც თავს იჩენს, ერთი მხრით, წვრილ გლეხთა დაქირავებული სამრეწველო მუშაობის სახით, მეორე მხრით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა (არყის გამოხდა, შაქრის დამზადება და სხვ.) განვითარებით და იმითაც კი, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგს დამმუშავებელი მრეწველობა აძევებს. ოპტიმისტ ეკონომისტებს, — ამბობს კაუტსკი, — ტყუილად ჰგონიათ, რომ ევროპის მიწათმოქმედების ამგვარ ცვლილებებს შეეძლოს მისი ხსნა კრიზისისაგან: კრიზისი სულ უფრო და უფრო ფართოვდება და შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ მთელი კაპიტალიზმის საერთო კრიზისით. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობის დაღუპვაზე, მაგრამ მისი კონსერვატული ხასიათი სამუდამოდ გაჰქრა; იგი ჩავარდა გამუდმებული გარდაქმნის მდგომარეობაში, მდგომარეობაში, რომელიც ახასიათებს საერთოდ წარმოების კაპიტალისტურ წესს. «მიწის მნიშვნელოვანი სივრცე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, რომლის კაპიტალისტური ხასიათი სულ უფრო და უფრო ვითარდება; იჯარისა და იპოტეკების ზრდა, მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია — ასეთია ის

ელემენტები, რომლებიც ნიადაგს ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოებისთვის»... აბსურდი იქნებოდა იმის ფიქრი, — ამბობს დასასრულ კაუტსკი, — რომ საზოგადოებაში ერთი მისი ნაწილი ვითარდება ერთი მიმართულებით, მეორე კი — მოპირდაპირე მიმართულებით. სინამდვილეში კი «საზოგადოებრივი განვითარება სოფლის მეურნეობაში იმავე მიმართულებით მიმდინარეობს, როგორც ინდუსტრიაში».

კაუტსკი თავისი თეორიული ანალიზის შედეგებს უფარდებს აგრარული პოლიტიკის საკითხებს და, ბუნებრივია, ილაშქრებს გლეხური მეურნეობის დახმარებისა და «ხსნის» ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ. ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, — ამბობს კაუტსკი, — რომ სოფლის თემს შეეძლოს მსხვილ სათემო მიწათმოქმედებაზე გადასვლა (გვ. 338, პარაგრაფი: «Der Dorfkommunismus» *; შეად. გვ. 339). «გლეხობის დაცვა (Der Bauernschutz) გლეხის პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს დაცვას კი არ ნიშნავს (ასეთი დაცვის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არავინ არაფერს ამბობს), არამედ გლეხის ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს დაცვას. ამავე დროს კი სწორედ გლეხის საკუთრებაა მისი გაღატაკებისა და დაბეჩავების უმთავრესი მიზეზი. დაქირავებული მუშები მიწათმოქმედებაში უკვე ახლაც ხშირად უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე წვრილი გლეხები. გლეხობის დაცვა — ესაა არა გლეხობის დაცვა სიღატაკისაგან, არამედ იმ ხუნდების დაცვა, რომლებიც გლეხს მიჯაჭვულს ხდიან მის სიღატაკესთან» (გვ. 320). კაპიტალიზმის მიერ მთელი სოფლის მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნის პროცესი ეს-ეს არის იწყება, მაგრამ ეს პროცესი სწრაფად მიდის წინ, იწვევს რა გლეხის გადაქცევას დაქირავებულ მუშად და სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებულ ლტოლვას. ამ პროცესის შეფერხების ცდა რეაქციული და საზიანო იქნებოდა: თანამედროვე საზოგადოებაში ამ პროცესის შედეგები თუმცა ძალიან მძიმეა, მაგრამ პროცესის შე-

* — «სოფლის კომუნიზმი». რ ე დ.

ფერხების შედეგები კიდევ უფრო უარესია და მშრომელ მოსახლეობას კიდევ უფრო უმწეო და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებენ. თანამედროვე საზოგადოებაში პროგრესული მოღვაწეობა შეიძლება მიისწრაფოდეს მხოლოდ იმისკენ, რომ შეასუსტოს კაპიტალისტური პროგრესის საზიანო მოქმედება მოსახლეობაზე, რომ გააძლიეროს ამ უკანასკნელის შეგნებულობა და კოლექტიური თავდაცვის უნარი. ამიტომ კაუტსკი დაჟინებით მოითხოვს მიმოსვლისა და სხვათა თავისუფლების უზრუნველყოფას, სოფლის მეურნეობაში ფეოდალიზმის ყოველგვარი ნაშთების (მაგ., Gesindeordnungen *, რომელნიც სოფლის მუშებს პირად დამოკიდებულ, ნახევრადყმურ მდგომარეობაში აყენებენ) გაუქმებას, 14 წლამდე ბავშვთა მუშაობის აკრძალვას, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, სასტიკ სანიტარულ პოლიციას, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშათა ბინებს, და სხვ. და სხვ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაუტსკის წიგნის რუსული თარგმანიც მალე გამოვა.

დაწერილია 1899 წლის მარტში.

დაიბეჭდა 1899 წლის აპრილში ჟურნალ «ნაჩალო»-ს № 4-ში. ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

---

* — კანონდებულებანი, რომელნიც აწესებდნენ მიწათმფლობელთა და ყმა-გლეხთა ურთიერთდამოკიდებულებებს. რ ე დ.

რეცენზია

ჰობსონი. Эволюция современного капитализма. Пер. с английского. СПБ. 1898. Изд. О. Н. Поповой. Цена 1 р. 50 к.

ჰობსონის წიგნი წარმოადგენს, სწორედ რომ ვთქვათ, არა თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუციის შესწავლას, არამედ უახლესი სამრეწველო განვითარების ნარკვევებს, დამყარებულს უმთავრესად ინგლისურ მონაცემებზე. ამიტომ წიგნის სათაური რამდენადმე ფართოა: ავტორი სრულებით არ ეხება მიწათმოქმედებას, თან სამრეწველო ეკონომიასაც არცთუ მთელი მისი მოცულობით განიხილავს. თავისი მიმართულებით ჰობსონი, ცნობილ მწერლებთან — ცოლ-ქმარ ვებებთან ერთად, ეკუთვნის ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მოწინავე მიმდინარეობის წარმომადგენელთა რიცხვს. «თანამედროვე კაპიტალიზმს» ჰობსონი უდგება კრიტიკულად და სავსებით აუცილებლად მიაჩნია მისი შეცვლა საზოგადოებრივი მეურნეობის უმაღლესი ფორმით და ამ შეცვლის საკითხს ტიპიური ინგლისური რეფორმატორული პრაქტიკულობით უდგება. რეფორმის აუცილებლობის რწმენამდე იგი მიდის უფრო ემპირიული გზით, ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის, ინგლისის მუშათა მოძრაობის, ინგლისის მუნიციპალიტეტებისა და სხვ. საქმიანობის უახლესი ისტორიის ზეგავლენით. მწყობრი და მთლიანი თეორიული შეხედულე-

ბანი, რომელნიც მისი რეფორმატორული პროგრამის ბაზისად გამოდგებოდნენ და რეფორმის კერძო საკითხებს გააშუქებდნენ, ჰობსონს არ მოეპოვება. ამიტომ ჰობსონი ყველაზე უფრო ძლიერია იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება უახლესი სტატისტიკური და ეკონომიური მონაცემების დაჯგუფებასა და აღწერას. პირიქით, როცა საქმე ეხება პოლიტიკური ეკონომიის ზოგად-თეორიულ საკითხებს, ჰობსონი დიდ სისუსტეს იჩენს. რუსი მკითხველისთვის უცნაურიცაა, როცა ხედავს, რომ ასეთი ფართო ცოდნისა და სრული თანაგრძნობის ღირსი პრაქტიკულ მისწრაფებათა მქონე მწერალი უმწეოდ ჯახირობს საკითხზე, თუ რა არის «კაპიტალი», რა როლს ასრულებს «დანაზოგი» და სხვ. ჰობსონის ეს სუსტი მხარე სავსებით აიხსნება იმით, რომ მისთვის ჯ.-სტ. მილი უფრო დიდი ავტორიტეტია პოლიტიკურ ეკონომიაში, ვიდრე მარქსი, რომლის ნაწერებიდან ჰობსონს თუმცა ერთხელ თუ ორჯერ კიდევაც მოჰყავს ციტატები, მაგრამ, როგორც ჩანს, სრულიად არა გაეგება რა მისი ან არ იცნობს მას. არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმ უამრავი უნაყოფო შრომის გამო, რასაც ჰობსონი ხარჯავს იმაზე, რომ გაერკვეს ბურჟუაზიული და პროფესორული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგობებში. საუკეთესო შემთხვევაში ჰობსონი უახლოვდება საკითხთა იმ გადაწყვეტას, რაც უკვე დიდი ხანია მოცემულია მარქსის მიერ; უარეს შემთხვევაში მას გადმოაქვს ის შემცდარი შეხედულებები, რომელნიც მკვეთრად ეწინააღმდეგებიან «თანამედროვე კაპიტალიზმისადმი» მის დამოკიდებულებას. წიგნის ყველაზე უხეირო თავია — მეშვიდე: «მანქანები და სამრეწველო შეფერხება». ჰობსონი აქ ცდილობს გაერკვეს კრიზისების, კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი კაპიტალისა და შემოსავლის, კაპიტალისტური დაგროვების თეორიულ საკითხებში. მართებული აზრები კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებისა და მოხმარების შეუსაბამობაზე, კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიულ ხასიათზე ინთქმება «დანაზოგის» შესახებ სქოლასტიკურ მსჯელობათა გროვაში (ჰობსონი ერთმანეთში ურევს დაგროვებასა და «დანაზოგს»),

ყოველნაირ რობინზონადაში («ვთქვათ, ადამიანმა, რომელიც პრიმიტიული იარაღებით მუშაობს, გამოიგონა ახალი ინსტრუმენტი... ზოგავს თავის საჭმელს» და სხვ.) და სხვა. ჰობსონს ძალიან უყვარს დიაგრამები — და უმრავლეს შემთხვევაში ძალიან მოხერხებულადაც იყენებს მათ თავისი გადმოცემის თვალსაჩინოდ დასურათებისათვის. მაგრამ ის წარმოდგენა «წარმოების მექანიზმზე», რომელიც ჰობსონმა გამოხატა 207-ე გვერდზე (თავი VII) მოცემული სურათით, მხოლოდ ღიმილს მოჰგვრის ისეთ მკითხველს, რომელიც რამდენადმე მაინც იცნობს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი «წარმოების» ნამდვილ «მექანიზმს». ჰობსონი აქ ერთმანეთში ურევს წარმოებას და წარმოების საზოგადოებრივ წყობილებას, და უაღრესად ბუნდოვან წარმოდგენას იჩენს იმაზე, თუ რა არის კაპიტალი, რანაირია მისი შემადგენელი ნაწილები, როგორია ის კლასები, რომლებადაც აუცილებლად იყოფა კაპიტალისტური საზოგადოება. VIII თავში ჰობსონი იძლევა საინტერესო მონაცემებს მოსახლეობის შემადგენლობაზე მოსაქმეობის მიხედვით და ამ შემადგენლობის ცვლილებებზე დროის მიხედვით, მაგრამ «მანქანებისა და შრომის მოთხოვნილების» შესახებ მის თეორიულ მსჯელობათა დიდი ხარვეზი ისაა, რომ იგი უგულებელ-ჰყოფს «კაპიტალისტური ჭარბმოსახლეობის» ანუ სარეზერვო არმიის თეორიას. ჰობსონის წიგნის უფრო კარგი თავები ისინია, სადაც ის განიხილავს ქალთა მდგომარეობას თანამედროვე ინდუსტრიაში და თანამედროვე ქალაქებს. ჰობსონს მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები ქალთა შრომის ზრდის შესახებ, ის ასწერს ამ შრომის მეტად ცუდ მხარეებს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ პირობების გაუმჯობესების იმედი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შინ მუშაობა შესცვალოს საფაბრიკო მუშაობამ, რომელიც «უფრო მჭიდრო სოციალურ ურთიერთობას» და «ორგანიზებას» იწვევსო. სწორედ ასევე ქალაქთა მნიშვნელობის საკითხშიც ჰობსონი უახლოვდება მარქსის ზოგად შეხედულებებს, აღიარებს რა, რომ ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება ეწინააღმდეგება კოლექტივისტუ-

რი საზოგადოების წყობილებას. ჰობსონის დასკვნები უფრო მოიგებდნენ და მათ მეტი დამაჯერებლობა ექნებოდათ, იგი რომ ამ საკითხშიც არ უგულებელჰყოფდეს მარქსის მოძღვრებას. მაშინ ჰობსონი, ალბათ, უფრო ნათლად გაუსვამდა ხაზს დიდი ქალაქების ისტორიულად პროგრესულ როლს და მეურნეობის კოლექტივისტური ორგანიზაციის დროს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის შეერთების აუცილებლობას. ჰობსონის წიგნის უკანასკნელი თავი—«ცივილიზაცია და სამრეწველო განვითარება» თითქმის ყველაზე უკეთესია; ავტორი აქ მთელი რიგი მოსწრებული საბუთებით ამტკიცებს თანამედროვე სამრეწველო წყობილების რეფორმის აუცილებლობას «საზოგადოებრივი კონტროლისა» და «ინდუსტრიის სოციალიზაციის» გაძლიერების მიმართულებით. ამ «რეფორმების» განხორციელების საშუალებებზე ჰობსონის რაოდენადმე ოპტიმისტურ შეხედულებათა შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ინგლისის ისტორიისა და ინგლისური ცხოვრების თავისებურებანი: დემოკრატიის დიდი განვითარება, მილიტარიზმის არარსებობა, ორგანიზებული ტრედ-უნიონების უზარმაზარი ძალა, ინგლისს გარეთ ინგლისის კაპიტალის მზარდი დაბანდება, რაც ასუსტებს ანტაგონიზმს ინგლისელ მეწარმეთა და მუშებს შორის, და სხვ.

თავის ცნობილ წიგნში XIX საუკუნის სოციალური მოძრაობის შესახებ პროფ. ვ. ზომბარტი აღნიშნავს, სხვათა შორის, «ტენდენციას ერთიანობისადმი» (VI თავის სათაური), ე. ი. სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ფორმისა და იერის სოციალური მოძრაობის ტენდენციას ერთგვარობისადმი, ხოლო ამასთან ერთად მარქსიზმის იდეათა გავრცელების ტენდენციასაც. ინგლისის მიმართ ზომბარტი ამ ტენდენციას იმაში ხედავს, რომ ინგლისის ტრედ-უნიონები სულ უფრო და უფრო შორდებიან «წმინდა მანჩესტერულ თვალსაზრისს». ჰობსონის წიგნის გამო ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოწინავე ინგლისელი მწერლები, ცხოვრების მოთხოვნათა ზეგავლენით, ცხოვრების, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად ამართლებს მარქსის «პროგნოზს», თანდათან გრძნობენ ტრა-

დიციული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უმწეობას, თავისუფლდებიან მის ცრურწმენათაგან და თავისდა უნებურად უახლოვდებიან მარქსიზმს.

ჰობსონის წიგნის თარგმანს მრავალი არსებითი ნაკლი აქვს.

დაწერილია 1899 წლის აპრილში.

დაიბეჭდა 1899 წლის მაისში
ჟურნალ «ნაჩალო»-ს № 5-ში.
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში

(კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)

დაწერილია 1899 წლის აპრილ-მაისში.

დაიბეჭდა 1900 წლის იანვარ-თებერვალში ჟურნალ «ეიზნ»-ში [38].

ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

გარეკანი ჟურნალ «ცხოვრებისა»,
რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია
«კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში». — 1900 წ.
დაპატარავებულია

სტატია პირველი

«ნაჩალოს» 1 — 2 ნომერში (განყ. II, გვ. 1 — 21) მოთავსებულია ბ-ნ ს. ბულგაკოვის სტატია «მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის საკითხისათვის», რომელშიც გაკრიტიკებულია კაუტსკის თხზულება აგრარულ საკითხზე. ბ-ნი ბულგაკოვი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ «კაუტსკის წიგნი მთელს მსოფლმხედველობას წარმოადგენს», რომ მას აქვს დიდი მნიშვნელობა — თეორიულიცა და პრაქტიკულიც. ეს არის თითქმის პირველი სისტემატური და მეცნიერული გამოკვლევა იმ საკითხისა, რომელიც იწვევდა და დღესაც იწვევს მხურვალე დავას ყველა ქვეყანაში თვით იმ მწერლებს შორისაც კი, რომლებიც ზოგად შეხედულებებში სოლიდარობას იჩენენ და თავიანთ თავს მარქსისტებად სთვლიან. ბ-ნი ბულგაკოვი «კმაყოფილდება ნეგატივური კრიტიკით», «კაუტსკის წიგნის» (რომელსაც ის «მოკლედ» — როგორც დავინახავთ, მეტად «მოკლედ» და ძალიან არასწორად გადმოსცემს «ნაჩალო»-ს მკითხველთათვის) «ცალკეულ დებულებათა» კრიტიკით. «შემდეგში» ბ-ნი ბულგაკოვი იმედოვნებს «მოგვცეს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის საკითხის სისტემატური გადმოცემა» და ამნაირად დაუპირისპიროს კაუტსკის «აგრეთვე მთელი მსოფლმხედველობა».

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ კაუტსკის წიგნი რუსეთშიც გამოიწვევს დიდ დავას მარქსისტებს შორის, რომ რუსეთშიც ზოგი მათგანი კაუტსკის წინააღმდეგი იქნება, ზოგიც მისი მომხრე. ყოველ შემთხვევაში, ამ სტრიქონების დამწერი სავსებით და გადაჭრით წინააღმდეგია ბ-ნ ბულგაკოვის

აზრისა, იმ შეფასებისა, რომელსაც ის აძლევს კაუტსკის წიგნს. ეს შეფასება, — მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ბულგაკოვი «Die Agrarfrage»-ს * აღიარებს «შესანიშნავ ნაწარმოებად», — გვაოცებს თავისი უკმეხობითა და პოლემიკის ისეთი კილოთი, რომელიც უჩვეულოა მიმართულებით ახლობელ მწერლებს შორის. აი ბ-ნ ბულგაკოვის გამოთქმათა ნიმუშები: «მეტისმეტად ზერელე»... «ერთნაირად ცოტაა როგორც ნამდვილი აგრონომია, ისე ნამდვილი ეკონომია»... «სერიოზულ მეცნიერულ პრობლემებს კაუტსკი გვერდს უხვევს ფრაზით» (ხაზგასმა ბ-ნ ბულგაკოვისაა!!) და სხვ., და სხვ. მაშ კარგად დავაკვირდეთ მკაცრი კრიტიკოსის გამოთქმებს და იმავე დროს მკითხველს გავაცნოთ კაუტსკის წიგნიც.

I

ვიდრე ბ-ნი ბულგაკოვი კაუტსკის მისწვდებოდა, მან გზადაგზა არც მარქსი დაინდო. თავისთავად ცხადია, ბ-ნი ბულგაკოვი ხაზს უსვამს დიდი ეკონომისტის უდიდეს დამსახურებას, მაგრამ შენიშნავს, რომ «ნაწილობრივ» მარქსსაც აქვს «შემცდარი შეხედულებანი... უკვე საკმაოდ გაბათილებული ისტორიის მიერო». «ასეთ შეხედულებათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ის, რომლის მიხედვით მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალი მუდმივთან შედარებით ისევე კლებულობს, როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში, ასე რომ სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შემადგენლობა სულ მაღლა იწევს». ვინ ცდება აქ, მარქსი თუ ბ-ნი ბულგაკოვი? ბ-ნ ბულგაკოვს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ მიწათმოქმედებაში ტექნიკის პროგრესი და მეურნეობის ინტენსიობის გადიდება ხშირად იწვევს იმ შრომის რაოდენობის გადიდებას, რაც აუცილებელია გარკვეული ფართობის დასამუშავებლად. ეს უდავოა, მაგრამ აქედან ჯერ კიდევ შორსაა უარყოფა თეორიისა მუდმივი კაპიტალის მიმართ ცვალებადი კაპიტალის შემცირების შესახებ, მუდმივ კაპიტალთან პროპორ-

* — «აგრარული საკითხი». რედ.

ციაში. მარქსის თეორია მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თანაფარდობას $\frac{v}{c}$ (v = ცვალებადი კაპიტალი, c = მუდმივი კაპიტალი) აქვს საერთოდ შემცირების ტენდენცია, თუნდაც v იზრდებოდეს ფართობის ერთეულზე, — განა ეს აბათილებს მარქსის თეორიას, თუ ამავე დროს c კიდევ უფრო სწრაფად იზრდება? კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობის მიმართ, თუ ამ მეურნეობას საერთოდ და მთლიანად ავიღებთ, ჩვენ ვხედავთ v-ს შემცირებას და c-ს გადიდებას. სოფლის მოსახლეობა და სოფლის მუშათა რიცხვი კლებულობს გერმანიაშიც, საფრანგეთშიც და ინგლისშიც, მაშინ როდესაც იზრდება იმ მანქანების რიცხვი, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში იყენებენ. გერმანიაში, მაგალითად, სოფლის მოსახლეობა 1882-დან 1895 წლამდე შემცირდა 19,2 მილიონიდან 18,5 მილიონამდე (სოფლის დაქირავებულ მუშათა რიცხვი 5,9 მილიონიდან 5,6 მილიონამდე), მაშინ როდესაც 458 369-დან 913 391-მდე * იმატა იმ მანქანების რიცხვმა, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში იყენებენ; ორთქლის მანქანების რიცხვი, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში იყენებენ, გაიზარდა 2 731-დან (1879) 12 856-მდე (1897); ამასთან ორთქლის ცხენის ძალთა რიცხვი კიდევ უფრო მეტად გადიდდა. რქიანი პირუტყვის რაოდენობა გადიდდა 15,8 მილიონიდან 17,5 მილიონამდე, ღორებისა კი 9,2 მილიონიდან 12,2 მილიონამდე (1883 და 1892 წლები). საფრანგეთში სოფლის მოსახლეობა შემცირდა 6,9 მლნ. სულიდან («დამოუკიდებელნი») 1882 წელს 6,6 მილიონამდე 1892 წელს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვი ასე იზრდებოდა: 1862 წელს—132 784; 1882 წელს — 278 896; 1892 წელს — 355 795; რქიანი პირუტყვის რიცხვი: 12,0 — 13,0 — 13,7 მლნ., ცხენებისა — 2,91 — 2,84 — 2,79 მლნ. (1882 — 1892 წლებში ცხენების რიცხვის შემცირება უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფლის მოსახლეობის შემცირება). ამრიგად, საერთოდ და მთლიანად თანა-

* სხვადასხვა მანქანები ნაანგარიშევია ერთად. ყველა ციფრი, თუ განსაკუთრებული მითითებანი არ არის, აღებულია კაუტსკის წიგნიდან.

მედროვე კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ ისტორიამ კი არ გააბათილა, არამედ დაადასტურა მარქსის კანონის მიყენება მიწათმოქმედებისადმი. ბ-ნ ბულგაკოვის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან მეტად ნაჩქარევად აიყვანა ცალკეული აგრონომიული ფაქტები ზოგადი ეკონომიური კანონების ხარისხში ისე, რომ მათს მნიშვნელობას არ დაუკვირდა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვა «ზოგადს», იმიტომ რომ არც მარქსი და არც მისი მოწაფეები ამ კანონს არასდროს არ უყურებდნენ სხვანაირად, თუ არა როგორც კაპიტალიზმის ზოგადი ტენდენციების კანონს, სრულიადაც არ უყურებდნენ როგორც ყველა ცალკეული შემთხვევის კანონს. მრეწველობის მიმართაც კი თვითონ მარქსმა მიგვითითა, რომ ტექნიკურ გარდაქმნათა პერიოდებს (როცა თანაფარდობა $\frac{v}{c}$ კლებულობს) სცვლიან პროგრესის პერიოდები არსებულ ტექნიკურ საფუძველზე (როცა თანაფარდობა $\frac{v}{c}$ უცვლელია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება კიდეც გადიდდეს). კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ისტორიაში ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევები, როდესაც მრეწველობის მთელი დარგების მიმართ ეს კანონი ირღვევა. მაგ., როდესაც დიდი კაპიტალისტური სახელოსნოები (რომლებსაც არა ზუსტად ფაბრიკებს უწოდებენ) იშლება, რათა ადგილი დაუთმონ კაპიტალისტურ მუშაობას შინ. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მასში განუზომლად უფრო რთულია და შეუდარებლად უფრო სხვადასხვაგვარ ფორმებს იღებს.

გადავიდეთ კაუტსკის წიგნზე. ფეოდალური ხანის სოფლის მეურნეობის ნარკვევი, რომლითაც კაუტსკი იწყებს, ვითომც «ძალიან ზერელედ შედგენილი და ზედმეტია». ძნელია ასეთი განაჩენის მოტივების გაგება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ბ-ნი ბულგაკოვი მოახერხებს თავისი გეგმის განხორციელებას და მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის საკითხის სისტემატურ გადმოცემას, მას აუცილებლად დასჭირდება სოფლის მეურნეობის წინაკაპიტალისტუ-

რ ი ეკონომიის ძირითადი ნიშნების მოხაზვა. სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ეკონომიის ხასიათიც და ის გარდამავალი ფორმებიც, რომლებიც მას ფეოდალურ ეკონომიასთან აკავშირებენ. თვითონ ბ-ნი ბულგაკოვიც აღიარებს უდიდეს მნიშვნელობას «იმ ფორმისას, რომელიც მიწათმოქმედებას ჰქონდა თავისი კაპიტალისტური გაქანების დ ა ს ა წ ყ ი ს შ ი» (ხაზგასმა ბ-ნ ბულგაკოვისაა). კაუტსკიც სწორედ ევროპის მიწათმოქმედების «კაპიტალისტური გაქანების დასაწყისიდან» იწყებს. ჩვენის აზრით, ფეოდალური მიწათმოქმედების ნარკვევი კაუტსკის მიერ შედგენილია ჩინებულად: საერთოდ ამ მწერლისათვის ჩვეული შესანიშნავი სიცხადით და უნარით — გამოარჩიოს მთავარი და არსებითი ისე, რომ არ დაიბნეს მეორეხარისხოვან დეტალებში. კაუტსკი უპირველეს ყოვლისა შესავალში იძლევა საკითხის ზედმიწევნით ზუსტსა და სწორ დაყენებას. ის სრულიად გადაჭრით აცხადებს: «ყოველივე ეჭვს გარეშეა, — ჩვენ მზადა ვართ მივიღოთ ეს a priori (von vornherein) * დამტკიცებულად,—რომ სოფლის მეურნეობა არ ვითარდება იმავე შაბლონით, როგორც ინდუსტრია: ის განსაკუთრებულ კანონებს ექვემდებარება» (S. ** 5 — 6). ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ «გამოვიკვლიოთ, იპყრობს თუ არა კაპიტალი სოფლის მეურნეობას და სახელდობრ როგორ იპყრობს, როგორ გარდაქმნის მას, სახელდობრ როგორ ხდის ის უმწეოდ წარმოების ძველ ფორმებს და საკუთრების ფორმებს და ჰქმნის ახალი ფორმების აუცილებლობას» (S. 6). საკითხის ასეთს და მხოლოდ ასეთს დაყენებას შეუძლია საშუალება მოგვცეს დამაკმაყოფილებლად გავარკვიოთ «სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტურ საზოგადოებაში» (კაუტსკის წიგნის პირველი, თეორიული, განყოფილების სათაური).

«კაპიტალისტური გაქანების» დასაწყისში მიწათმოქმედება გ ლ ე ხ ი ს ხელში იყო; საერთო წესის თანახმად ის ემორჩილებოდა საზოგადოებრივი მეურნეობის ფეოდალურ რეჟიმს.

* — წინასწარ, თავიდანვე. რ ე დ.

** — Seiten — გვერდები. რ ე დ.

და კაუტსკიც უპირველეს ყოვლისა ახასიათებს გლეხური მეურნეობის წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს, შინამრეწველობასთან მიწათმოქმედების შეერთებას, შემდეგ წვრილბურჟუაზიული და კონსერვატიული მწერლების (à la * სისმონდი) ამ პარადიზის ** დაშლის ელემენტებს, მევახშეობის მნიშვნელობას, თანდათან «შეჭრას სოფლად თვით გლეხური მეურნეობის წიაღში კლასობრივი ანტაგონიზმისას, რომელიც არღვევს ძველებურ ჰარმონიას და ინტერესთა ერთობას» (S. 13). ეს პროცესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაიწყო და საბოლოოდ დღესაც არ დამთავრებულა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ განცხადებას, იმიტომ რომ ის ერთბაშად ააშკარავებს ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცების მთელ უმართებულობას, თითქოს კაუტსკის არც კი დაესვას საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის მატარებელი. კაუტსკიმ სრულიად გარკვეულად დასვა და განმარტა ეს საკითხი, და ყველა, ვინც გულდასმით წაიკითხა მისი წიგნი, შეითვისებს იმ ჭეშმარიტებას (რომელსაც ნაროდნიკები, აგრონომები და ბევრნი სხვანი ხშირად ივიწყებენ), რომ თანამედროვე მიწათმოქმედებაში ტექნიკური პროგრესის მატარებელია ს ო ფ ლ ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა, როგორც წვრილი, ისე მსხვილი, ამასთან მსხვილი ბურჟუაზია (როგორც კაუტსკიმ ცხადჰყო) ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე წვრილი ბურჟუაზია.

II

შემდეგ (III თავში) კაუტსკი ასურათებს ფეოდალური მიწათმოქმედების ძირითად ნიშნებს, — სამმინდვრიანი სისტემის, მიწათმოქმედების ამ უაღრესად კონსერვატიული სისტემის, ბატონობას; გლეხობის ჩაგვრასა და ექსპროპრიაციას მსხვილი მემამულე თავადაზნაურობის მხრივ; ამ უკანასკნელის მიერ ფეოდალურ-კაპიტალისტური მეურნეობის ორგა-

* მსგავსად. რ ე დ.
** — სამოთხის. რ ე დ.

ნიზაციას; XVII და XVIII საუკუნეების განმავლობაში გლეხის გადაქცევას მშიერ მათხოვრად (Hungerleider); განვითარებას ბურჟუაზიული გლეხობისას (Grossbauern, რომელნიც თავს ვერ ართმევდნენ საქმეს მოჯამაგირეთა და დღიური მუშების დაუქირავებლად), რომლისთვის გამოსადეგი არ იყო სასოფლო ურთიერთობათა და მიწის საკუთრების ძველი ფორმები; ამ ფორმების დამხობას, «კაპიტალისტური, ინტენსიური სოფლის მეურნეობისთვის» (S. 26) გზის გაკაფვას ინდუსტრიისა და ქალაქების წიაღში განვითარებული ბურჟუაზიის კლასის ძალებით, — ასურათებს რა ყოველივე ამას, კაუტსკი გადადის «თანამედროვე (moderne) სოფლის მეურნეობის» დახასიათებაზე (თავი IV).

ეს თავი იძლევა იმ გიგანტური რევოლუციის შესანიშნავ ზუსტ, სხარტ და მკაფიო ნარკვევს, რომელიც მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმმა მოახდინა იმით, რომ გაჭირვებით დაჩაგრულ და სიბნელით დაბეჩავებულ გლეხთა დახავსებული ხელობა შესცვალა აგრონომიის მეცნიერული გამოყენებით, დაარღვია სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივი უძრაობა და ბიძგი მისცა (და ახლაც აძლევს) საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას. სამმინდვრიანი სისტემა შეიცვალა ნაყოფცვლადი სისტემით, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა და ნიადაგის დამუშავება, გადიდდა მოსავალი, ძლიერ განვითარდა მიწათმოქმედების სპეციალიზაცია, შრომის დანაწილება ცალკე მეურნეობათა შორის. წინაკაპიტალისტური ერთფეროვნება შეიცვალა სულ უფრო და უფრო გაძლიერებული მრავალფეროვნებით, რასაც თან ახლავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესი. დაიწყო და სწრაფად იზრდება მანქანებისა და ორთქლის გამოყენება სოფლის მეურნეობაში; იწყება ელექტრობის გამოყენება, რომელსაც, — როგორც სპეციალისტები ამბობენ, — წარმოების ამ დარგში კიდევ უფრო დიდი როლის შესრულება მოელის, ვიდრე ორთქლს. განვითარდა მისადგომი გზების, მელიორაციის გამოყენება, ნიადაგის ხელოვნური სასუქით განოყიერება მცენარეთა ფიზიოლოგიის მონაცემებთან შეფარ-

დებით; დაიწყო სოფლის მეურნეობაში ბაქტერიოლოგიის გამოყენება. ბ-ნ ბულგაკოვის აზრი, თითქოს კაუტსკი «ამ ცნობებთან * ერთად არ იძლეოდეს ეკონომიურ ანალიზს», — სრულიად უსაფუძვლოა. კაუტსკი სწორად მიგვითითებს ამ გადატრიალების კავშირზე ბაზრის ზრდასთან (კერძოდ ქალაქთა ზრდასთან), სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებასთან კონკურენციისადმი, რომელმაც გამოიწვია მიწათმოქმედების გარდაქმნა და მისი სპეციალიზაცია. «ეს გადატრიალება, რომელიც ქალაქის კაპიტალიდან გამომდინარეობს, აძლიერებს სოფლის მეურნის დამოკიდებულებას ბაზარზე და, გარდა ამისა, მუდამ ცვლის მისთვის არსებითი მნიშვნელობის საბაზრო პირობებს. წარმოების ის დარგი, რომელიც შემოსავლიანი იყო მანამდე, სანამ უახლოეს ბაზარს მსოფლიო ბაზართან ჰქონდა კავშირი მხოლოდ გზატკეცილის საშუალებით, უშემოსავლო ხდება და აუცილებლად უნდა შეიცვალოს წარმოების სხვა დარგით, როდესაც ეს ადგილი რკინიგზით ისერება. თუ, მაგალითად, რკინიგზა გვაწვდის უფრო იაფ ხორბალს, ხორბლის წარმოება არახელსაყრელი ხდება, მაგრამ იმავე დროს იქმნება რძის გასაღების შესაძლებლობა. საქონლის მიმოქცევის ზრდა შესაძლებლობას იძლევა გადმოტანილ იქნას ქვეყანაში ახალი, გაუმჯობესებული ხარისხის მცენარეები» და სხვ. (S. 37 — 38). «ფეოდალურ ხანაში, — ამბობს კაუტსკი, — წვრილის გარდა სხვა მიწათმოქმედება არ ყოფილა, ვინაიდან მემამულე თავის მინ-

* «ყველა ეს ცნობა, — ფიქრობს ბ-ნი ბულგაკოვი, — შეიძლება ვიპოვოთ სოფლის მეურნეობის ეკონომიის ყოველ (sic!) (ასე! რედ.) სახელმძღვანელოში». ჩვენ არ ვიზიარებთ ბ-ნ ბულგაკოვის ასეთ ოპტიმისტურ შეხედულებას «სახელმძღვანელოებზე». ავიღოთ «ყოველი სახელმძღვანელოს» რიცხვიდან რუსული წიგნები ბბ. სკვორცოვის («ორთქლის ტრანსპორტი») და ნ. კაბლუკოვისა («ლექციები», სანახევროდ გადაბეჭდილი «ახალ» წიგნში «რუსეთის გლეხური მეურნეობის განვითარების პირობების შესახებ»). არც ერთი და არც მეორე ავტორი არ აძლევს მკითხველს იმ გადატრიალების სურათს, რომელიც კაპიტალიზმმა მიწათმოქმედებაში მოახდინა, იმიტომ რომ არც ერთი მათგანი მიზნადაც კი არ ისახავს მოგვცეს ფეოდალურიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლის საერთო სურათი.

დვრებს იმავე გლეხის ინვენტარით ამუშავებდა. კაპიტალიზმმა პირველმა შექმნა მიწათმოქმედებაში მსხვილი, ტექნიკურად წვრილზე უფრო რაციონალური წარმოების შესაძლებლობა». როდესაც სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ლაპარაკობს, კაუტსკი (რომელიც, სხვათა შორის, სწორად აღნიშნავს ამ მხრივ მიწათმოქმედების თავისებურებებს) არკვევს მათი გამოყენების კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ხასიათს, მათს გავლენას მუშებზე, მანქანების, როგორც პროგრესის ფაქტორის, მნიშვნელობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შეზღუდვის პროექტების «რეაქციულ უტოპიურობას». «სასოფლო-სამეურნეო მანქანები გააგრძელებენ თავიანთ გარდამქმნელ მოქმედებას: ისინი გარეკავენ სოფლის მუშებს ქალაქებში და ამგვარად გახდებიან, ერთი მხრით, სოფლად ხელფასის აწევის, ხოლო, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენების შემდგომი განვითარების მძლავრი იარაღი» (S. 41). უნდა დავუმატოთ, რომ საგანგებო თავებში კაუტსკი დაწვრილებით არკვევს თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ხასიათსაც, მსხვილი წარმოების დამოკიდებულებასაც წვრილისადმი და გლეხობის პროლეტარიზაციასაც. ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცება, თითქოს კაუტსკი «არ აყენებს კითხვას, თუ რატომ იყო აუცილებელი ყველა ეს სასწაულმოქმედი ცვლილება», როგორც ვხედავთ, სრულიად არ არის მართალი.

V თავში («თანამედროვე სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ხასიათი») კაუტსკი გადმოგვცემს მარქსის ღირებულების, მოგებისა და რენტის თეორიას. «უფულოდ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეუძლებელია, — ამბობს კაუტსკი, — ან, რაც იგივეა, ის შეუძლებელია უ კ ა პ ი ტ ა ლ ო დ. მართლაცდა, წარმოების თანამედროვე წესის დროს ყოველ ფულად თანხას, რომელიც პირადი მოხმარების მიზნებს არ ემსახურება, შეუძლია გადაიქცეს კაპიტალად, ე. ი. ღირებულებად, რომელიც ჰქმნის ზედმეტ ღირებულებას, და საერთო წესის თანახმად ის მართლაც კაპიტალად იქცევა. მა-

შასადამე, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოებას» (S. 56). სხვათა შორის, ეს ადგილი ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს დავაფასოთ ბ-ნ ბულგაკოვის შემდეგი განცხადება: «მე ამ ტერმინს (კაპიტალისტური მიწათმოქმედება) ვხმარობ ჩვეულებრივი აზრით (იმავე აზრით ხმარობს მას კაუტსკიც), ე. ი. მიწათმოქმედებაში მსხვილი მეურნეობის აზრით. ნამდვილად კი (sic!) მ თ ე ლ ი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის დროს საერთოდ არ არსებობს ა რ ა კაპიტალისტური მიწათმოქმედება, რომელიც მ თ ლ ი ა ნ ა დ განისაზღვრება წარმოების ორგანიზაციის საერთო პირობებით, და მხოლოდ მის ფარგლებში უნდა გავარჩიოთ მსხვილი, სამეწარმეო და წვრილი მიწათმოქმედება. სიცხადისთვის აქაც საჭიროა ახალი ტერმინი». გამოდის, თითქოს ბ-ნმა ბულგაკოვმა გ ა უ ს წ ო რ ა კაუტსკის... «ნამდვილად კი», როგორც მკითხველი ხედავს, კაუტსკი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ხ მ ა რ ო ბ ს ტერმინს «კაპიტალისტური მიწათმოქმედება» იმ «ჩვეულებრივი», არაზუსტი აზრით, როგორც მას ბ-ნი ბულგაკოვი ხმარობს. კაუტსკის მშვენივრად ესმის და ამას ძალიან ზუსტად და გარკვევით ამბობს, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის დროს ყოველგვარი სამიწათმოქმედო წარმოება «საერთო წესით» კაპიტალისტურია. ამ აზრის საფუძვლად მოყვანილია ის უბრალო ფაქტი, რომ თანამედროვე მიწათმოქმედებისთვის საჭიროა ფული, ხოლო ფული, რომელიც არ იხარჯება პირად მოხმარებაზე, თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალი ხდება. ჩვენ გვგონია, რომ ეს ბ-ნ ბულგაკოვის «შესწორებაზე» ცოტათი უფრო ნათელია, და კაუტსკიმ საკმაოდ ცხადჰყო, რომ «უახალტერმინოდაც» შეიძლება იოლად წასვლა.

თავისი წიგნის V თავში კაუტსკი, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ საიჯარო სისტემაც, რომელიც ასე სრულად განვითარდა ინგლისში, და იპოტეკური სისტემაც, რომელიც საოცარი სისწრაფით ვითარდება კონტინენტურ ევროპაში, არსებითად გამოხატავს ერთსა და იმავე პროცესს, სახელდობრ: მ ი წ ი ს ა გ ა ნ ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ი ს გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ ი ს

პ რ ო ც ე ს ს *. ფერმერობის კაპიტალისტურ სისტემაში ეს განცალკევება დღესავით ნათელია. იპოტეკურ სისტემაში ის «ნაკლებად ნათელია, და საქმე არც ისე მარტივია, მაგრამ არსებითად იგივეა» (S. 86). ცხადია, მართლაც, რომ მიწის დაგირავება — ეს არის მიწის რენტის დაგირავება ან გაყიდვა. მაშასადამე, იპოტეკური სისტემის დროსაც, ისევე როგორც საიჯარო სისტემის დროს, რენტის მიმღებნი (=მიწათმფლობელნი) გამოიყოფიან სამეწარმეო მოგების მიმღებთაგან (=სოფლის მეურნეთაგან, სოფლის მეწარმეთაგან). ბ-ნ ბულგაკოვისთვის «საერთოდ არ არის ნათელი კაუტსკის ამ მტკიცების მნიშვნელობა». «საეჭვოა დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ იპოტეკა გამოხატავდეს სოფლის მეურნისაგან მიწის განცალკევებას». «ჯერ-ერთი, შეუძლებელია იმის დამტკიცება, თითქოს დავალიანება ნთქამდეს მ თ ე ლ ს რენტას, ეს შესაძლებელია მხოლოდ როგორც გამონაკლისი»... ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: არავითარი საჭიროება არ მოითხოვს იმის მტკიცებას, თითქოს იპოტეკური ვალების სარგებელი ნთქამდეს მ თ ე ლ ს რენტას, სწორედ ისევე, როგორც საჭიროება არ მოითხოვს იმის მტკიცებას, თითქოს ნ ა მ დ ვ ი ლ ი საიჯარო ქირა იგივეა, რაც რენტა. საკმარისია იმის დამტკიცება, რომ იპოტეკური დავალიანება იზრდება გიგანტური სისწრაფით, რომ მიწათმფლობელნი ცდილობენ დააგირავონ მთელი თავიანთი მიწა, ისწრაფვიან გაყიდონ მთელი რენტა. შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ ამ ტენდენციის არსებობაში — თეორიულად ეკონომიურ ანალიზს შეუძლია საერთოდ საქმე იქონიოს მხოლოდ ტენდენციებთან. მაშასადამე, ეჭვს გარეშეა სოფლის მეურნისაგან მიწის განცალკევების პროცესიც. რენტის მიმღებისა და სამეწარმეო მოგების მიმღების ერთ პიროვნებაში შეერთება «ისტორიული თვალსაზრისით — გამონაკლისია» (ist historisch eine Ausnahme, S. 91)... «მეორე,

* «კაპიტალის» მესამე ტომში მარქსმა მიგვითითა ამ პროცესზე (მას არ გაურჩევია ამ პროცესის სხვადასხვა ფ ო რ მ ა სხვადასხვა ქვეყანაში) და აღნიშნა, რომ «მიწის, როგორც წარმოების პირობის, განცალკევება მიწათმფლობელობისა და მიწათმფლობელისაგან» «წარმოების კაპიტალისტური წესის ერთ-ერთი უდიდესი შედეგია» (III, 2, S. 156—157, რუსული თარგ., 509—510).[39]

ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ დავალიანების მიზეზებსა და წყაროებს, რათა მისი მნიშვნელობა გავიგოთ». ეს, ალბათ, ან ბეჭდვითი შეცდომაა, ან ავტორს წამოცდა. ბ-ნ ბულგაკოვს არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ეკონომისტს (რომელიც ამასთანავე მსჯელობს «სოფლის მეურნეობის განვითარებაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში» ს ა ე რ თ ო დ) უნდა გამოერკვია ან უნდა შეეძლოს მაინც გამორკვევა დავალიანების მიზეზებისა «ყ ო ვ ე ლ ც ა ლ კ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი». თუ ბ-ნ ბულგაკოვს სურდა ეთქვა, რომ აუცილებელია დავალიანების მიზეზების ანალიზი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მას. კაუტსკი სავსებით მართალია, რომ აგრარულ საკითხზე დიდძალი მონოგრაფია დაგროვდა, რომ თანამედროვე თეორიის საჭირბოროტო ამოცანაა — არა ახალი მონოგრაფიების მიმატება, არამედ «მთლიანად სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის ძირითადი ტენდენციების გამოკვლევა» (Vorrede, S. VI *). ამ ძირითადი ტენდენციების რიცხვს, უეჭველია, ეკუთვნის სოფლის მეურნისაგან მიწის განცალკევებაც იპოტეკური დავალიანების ზრდის სახით. კაუტსკიმ ზუსტად და ნათლად გაარკვია იპოტეკების ნამდვილი მნიშვნელობა, მათი პროგრესული ისტორიული ხასიათი (სოფლის მეურნისაგან მიწის განცალკევება — სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების ერთ-ერთი პირობაა, S. 88), მათი აუცილებელი როლი მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ევოლუციაში **. კაუტსკის მთელი მსჯელობა ამ საკითხზე მეტად

* — წინასიტყვაობა, გვ. VI. რ ე დ.

** იპოტეკური დავალიანების გადიდება ყოველთვის სრულიადაც არაა სოფლის მეურნეობის გაჭირვებული მდგომარეობის მაჩვენებელი... სოფლის მეურნეობის პროგრესი და აყვავება (ისევე როგორც მისი დაქვეითება) თანაბრად «უნდა გამოიხატოს იპოტეკური ვალების ზრდაში — ჯერ-ერთი, იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის პროგრესულ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება კაპიტალზე; მეორე, იმის გამო, რომ იზრდება მიწის რენტა და ეს იძლევა შესაძლებლობას გავაფართოოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი» (S. 87).

ძვირფასია თეორიულად და მძლავრ იარაღს იძლევა ესოდენ გავრცელებული (განსაკუთრებით «სოფლის მეურნეობის ეკონომიის ყოველ სახელმძღვანელოში») ბურჟუაზიული ლაყბობის წინააღმდეგ დავალიანების «უბედურებისა» და «დახმარების ზომების» შესახებ... «მესამე, — დაასკვნის ბ-ნი ბულგაკოვი,—საიჯაროდ გასაცემი მიწა, თავის მხრივ, შეიძლება დაგირავებულ იქნას და ამ აზრით შეიძლება მოექცეს ისეთი მიწის მდგომარეობაში, რომელიც იჯარით არ იცემა». უცნაური საბუთია! დაე ბ-ნმა ბულგაკოვმა გვიჩვენოს თუნდაც ერთი ეკონომიური მოვლენა, თუნდაც ერთი ეკონომიური კატეგორია, რომელნიც სხვა მოვლენებთან და კატეგორიებთან არ იყოს გადახლართული. იჯარისა და იპოტეკის შეთავსების შემთხვევები ვერ აბათილებენ და ვერც კი ასუსტებენ თეორიის იმ დებულებას, რომ სოფლის მეურნისაგან მიწის განცალკევების პროცესი გამოიხატება ორ ფორმაში: საიჯარო სისტემასა და იპოტეკურ დავალიანებაში.

«კიდევ უფრო მოულოდნელად» და «სრულიად არასწორად» აცხადებს აგრეთვე ბ-ნი ბულგაკოვი კაუტსკის დებულებას იმის შესახებ, რომ «იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საიჯარო სისტემა, სჭარბობს აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელობაც» (S. 88). კაუტსკი აქ ლაპარაკობს მიწათმფლობელობის კონცენტრაციაზე (საიჯარო სისტემის დროს) და იპოტეკების კონცენტრაციაზე (მიწათმფლობელთა საკუთარი მეურნეობის სისტემის დროს), როგორც ისეთ პირობაზე, რომელიც აადვილებს მიწის კერძო საკუთრების მოსპობას. მიწათმფლობელობის კონცენტრაციის საკითხზე,—განაგრძობს კაუტსკი, — არ არის ისეთი სტატისტიკა, «რომელიც საშუალებას მოგვცემდა გამოგვერკვია რამდენიმე მამულის ერთ ხელში თავმოყრა», მაგრამ «საერთოდ შეიძლება მივიღოთ», რომ იჯარის რიცხვის და იჯარით აღებული მიწის ფართობის გადიდება სწარმოებს მიწათმფლობელობის კონცენტრაციასთან ერთად. «იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საიჯარო სისტემა, სჭარბობს აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელობაც». ცხადია, კაუტსკის მთელი ეს მსჯელობა ეხება მხოლოდ იმ

ქვეყნებს, სადაც განვითარებულია საიჯარო სისტემა, ბ-ნი ბულგაკოვი კი იმოწმებს აღმოსავლეთ პრუსიას, სადაც ის «იმედოვნებს გვაჩვენოს» იჯარის ზრდა მსხვილი მიწათმფლობელობის დაქუცმაცებასთან ერთად, და ამ ცალკე მაგალითით მას სურს გააბათილოს კაუტსკი! ოღონდ ბ-ნ ბულგაკოვს რატომღაც ავიწყდება ამცნოს მკითხველს, რომ კაუტსკი თვითონვე აღნიშნავს მსხვილი მამულების დაქუცმაცებას და გლეხთა იჯარის ზრდას ოსტ-ელბიაში და ამასთანავე არკვევს, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ამ პროცესთა ნამდვილ მნიშვნელობას.

იპოტეკური დავალიანების ქვეყნებში მიწათმფლობელობის კონცენტრაციას კაუტსკი ამტკიცებს იპოტეკურ დაწესებულებათა კონცენტრაციით. ბ-ნ ბულგაკოვს ეს დამამტკიცებლად არ მიაჩნია. მისი აზრით, — «ადვილად შესაძლებელია, რომ ხდება კაპიტალის დეკონცენტრაცია (აქციების საშუალებით) საკრედიტო დაწესებულებათა კონცენტრაციასთან ერთად». ამ საკითხზე ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავუწყებთ დავას ბ-ნ ბულგაკოვს.

III

ფეოდალური და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ძირითადი ნიშნების განხილვის შემდეგ კაუტსკი გადადის სოფლის მეურნეობის «მსხვილი და წვრილი წარმოების» საკითხზე (თავი VI). კაუტსკის წიგნში ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო თავი. კაუტსკი აქ ჯერ განიხილავს «მსხვილი წარმოების ტექნიკურ უპირატესობას». კაუტსკი საკითხს წყვეტს მსხვილი წარმოების სასარგებლოდ, მაგრამ იძლევა არა აბსტრაქტულ ფორმულას, რომელიც უგულებელჰყოფს სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობათა გიგანტურ მრავალფეროვნებას (როგორც ამას სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს ბ-ნი ბულგაკოვი), არამედ, პირიქით, ნათლად და ზუსტად აღნიშნავს, რომ აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ეს მრავალფეროვნება, რათა თეორიის კანონი პრაქტიკაში გამოვიყენოთო. მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების მიმართ მსხვილი წარმოე-

ბის უპირატესობა გარდუვალია — «თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა» მხოლოდ «ს ხ ვ ა თ ა ნ ა ს წ ო რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი» (S. 100. ხაზგასმა ჩემია). ეს პირველი. მრეწველობაშიც ხომ მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი არც ისე აბსოლუტური და მარტივია, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ; აქაც მხოლოდ «ს ხ ვ ა პ ი რ ო ბ ე ბ ი ს» თანასწორობა (რომელსაც სინამდვილეში ყოველთვის როდი აქვს ადგილი) უზრუნველჰყოფს კანონის სრულს გამოყენებას. მიწათმოქმედებაში კი, რომელიც განირჩევა ურთიერთობათა გაცილებით მეტი სირთულით და მრავალფეროვნებით, მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონის სრული გამოყენება მოითხოვს ბევრად უფრო მტკიცე პირობებს. მაგალითად, კაუტსკი მეტად მოსწრებულად შენიშნავს, რომ მიჯნაზე გლეხისა და მემამულის პატარა მამულს შუა ხდება «რაოდენობის თვისებაში გადასვლა»: მსხვილი გლეხური მეურნეობა შეიძლება «თუ ტექნიკურად არა, ეკონომიურად მაინც მაღლა» იდგეს წვრილი მემამულის მეურნეობაზე. მეცნიერულად განათლებული მმართველის შენახვა (მსხვილი წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა) წვრილი მამულისთვის მეტად მძიმეა, ხოლო თვით პატრონის მიერ საქმის გაძღოლა ხშირად მხოლოდ «იუნკრულია» და არა მეცნიერული. მეორე, მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების უპირატესობას ადგილი აქვს მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებამდე. შემდეგში კაუტსკი ვრცლად არკვევს ამ ფარგლებს. თავისთავად ცხადია აგრეთვე, რომ ეს ფარგლები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის და სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ პირობებში ერთნაირი არ არის. მესამე, კაუტსკი სრულებით არ უგულებელჰყოფს იმ გარემოებას, რომ «ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ» არის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებიც, სადაც, სპეციალისტების აზრით, წვრილ წარმოებას კონკურენციის უნარი გააჩნია, მაგ., მებოსტნეობა, მევენახეობა, სავაჭრო მცენარეთა კულტურა და სხვ. (S. 115). მაგრამ ასეთ კულტურებს სავსებით დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის მთავარი (entscheidenden) დარგების მიმართ: ხორბ-

ლეულის წარმოებისა და მესაქონლეობის მიმართ. გარდა ამისა, «ბოსტნეული კულტურისა და ყურძნის კულტურის დარგშიც უკვე არსებობს საკმაო წარმატების მქონე მსხვილი წარმოებები» (S. 115). ამიტომ «თუ სოფლის მეურნეობაზე ვილაპარაკებთ საერთოდ და მთლიანად (in Allgemeinen), ის დარგები, სადაც წვრილ წარმოებას უპირატესობა აქვს მსხვილის წინაშე, ანგარიშში ჩასაგდები არ არის, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსხვილ წარმოებას გადამწყვეტი უპირატესობა აქვს წვრილი წარმოების მიმართ» (S. 116).

მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების ტექნიკური უპირატესობის დამტკიცების შემდეგ (უფრო ვრცლად კაუტსკის არგუმენტებს ჩვენ შემდეგში შევეხებით, როცა გავარჩევთ ბ-ნ ბულგაკოვის პასუხს) კაუტსკი სვამს კითხვას: «რა შეუძლია დაუპირისპიროს წვრილმა წარმოებამ მსხვილის უპირატესობებს?» და უპასუხებს: «მეტი მუყაითობა და მეტი ზრუნვა მუშაკისა, რომელიც, დაქირავებული მუშისაგან განსხვავებით, თავისთვის მუშაობს, შემდეგ კი წვრილი დამოუკიდებელი მიწათმოქმედის მოთხოვნილებათა დაბალი დონე, რომელიც სოფლის მუშის მოთხოვნილებათა დონეზე უფრო დაბალიც კია» (S. 106). კაუტსკის მოჰყავს მთელი რიგი რელიეფური მონაცემები გლეხების მდგომარეობის შესახებ საფრანგეთსა, ინგლისსა და გერმანიაში და უდავოდ ხდის «წვრილ წარმოებაში გადაჭარბებული შრომისა და არასაკმაო მოხმარების» ფაქტს. ბოლოს, კაუტსკი აღნიშნავს, რომ მსხვილი წარმოების უპირატესობა გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ სოფლის მეურნენი მიისწრაფიან შექმნან ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ე ბ ი: «საამხანაგო წარმოება მსხვილი წარმოებაა». ცნობილია, თუ როგორ გატაცებული არიან წვრილ მიწათმოქმედთა ამხანაგობებით მეშჩანობის იდეოლოგები საერთოდ და რუსეთის ნაროდნიკები კერძოდ (დავასახელოთ თუნდაც ბ-ნ კაბლუკოვის ზემომოყვანილი წიგნი). ამიტომ მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ამხანაგობათა როლის ჩინებულ ანალიზს, რომელიც კაუტსკიმ მოგვცა. სოფლის წვრილ მეურნეთა ამხანაგობები, რა თქმა უნდა, წარმოადგენენ ეკონომიური

პროგრესის რგოლს, მაგრამ ისინი გამოხატავენ კაპიტალიზმზე (Fortschritt zum Kapitalismus) და სრულიადაც არა კოლექტივიზმზე გადასვლას, როგორც ხშირად ფიქრობენ და ამტკიცებენ (S. 118). ამხანაგობები კი არ ასუსტებენ, არამედ აძლიერებენ სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოების უპირატესობას (Vorsprung) წვრილის მიმართ, იმიტომ რომ მსხვილ მეურნეებს მეტი შესაძლებლობა აქვთ მოაწყონ ამხანაგობები და მეტადაც სარგებლობენ ამ შესაძლებლობით. რომ თემური, კოლექტივისტური მსხვილი წარმოება მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაზე მაღლა დგას, ამას კაუტსკი—თავისთავად ცხადია—გადაჭრით აღიარებს. ის ეხება მიწათმოქმედების კოლექტიურად გაძღოლის ცდებს, რომლებსაც ახდენდნენ ინგლისში ოუენის მიმდევრები*; ეხება აგრეთვე მსგავს თემებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყველა ეს ექსპერიმენტი,—ამბობს კაუტსკი,—უდავოდ ამტკიცებს, რომ მუშაკთა მიერ მსხვილი თანამედროვე მიწათმოქმედების კოლექტიური გაძღოლა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ეს შესაძლებლობა რომ სინამდვილედ იქცეს, ამისთვის აუცილებელია «მთელი რიგი ცნობილი ეკონომიური, პოლიტიკური და ინტელექტუალური პირობები». წვრილ მწარმოებელს (ხელოსანსაც და გლეხსაც) კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლაში ხელს უშლის სოლიდარობის და დისციპლინის უაღრესად სუსტი განვითარება, მათი განცალკევებულობა, «მესაკუთრეთა ფანატიზმი», რაც შემჩნეულია არა მარტო ევროპის გლეხებში, არამედ, — დავუმატებთ ჩვენის მხრივ, — რუსეთის «თემურ» გლეხებშიც (მოიგონეთ ა. ნ. ენგელგარდტი და გლ. უსპენსკი). «უაზრობაა იმის მოლოდინი, — კატეგორიულად აცხადებს კაუტსკი,—რომ გლეხი თანამედროვე საზოგადოებაში თემურ წარმოებაზე გადავიდეს» (S. 129).

* 124 — 126 გვერდზე კაუტსკი აგვიწერს სამიწათმოქმედო კომუნას რელეჰაინში (Ralahine), რომლის შესახებ, სხვათა შორის, რუს მკითხველებს მოუთხრობს ბ-ნი დიონეოც მიმდინარე წლის «რუსსკოე ბოგატსტვო»-ს № 2-ში.

ასეთია კაუტსკის წიგნის VI თავის უაღრესად მდიდარი შინაარსი. ბ-ნი ბულგაკოვი განსაკუთრებით უკმაყოფილოა ამ თავით. კაუტსკის «ძირითადი ცოდვა» იმაში მდგომარეობს — გვეუბნებიან ჩვენ, — რომ ის ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ცნებას, «ტექნიკური უპირატესობანი არეულია ეკონომიურთანო». კაუტსკი «გამოდის არასწორი ვარაუდიდან, თითქოს წარმოების წესი, უფრო სრულყოფილი ტექნიკურად, უფრო სრულყოფილია, ე. ი. უფრო სიცოცხლისუნარიანია ეკ ო ნ ო მ ი უ რ ა დ ა ც». ბ-ნ ბულგაკოვის ეს გაბედული მსჯელობა სრულიად უსაფუძვლოა — როგორც, ჩვენ იმედი გვაქვს, მკითხველი უკვე დარწმუნდა კაუტსკის ჩვენს მიერ გადმოცემულ მსჯელობათა მსვლელობიდან. ტექნიკისა და ეკონომიკის ერთმანეთში სრულიად აურეველად * კაუტსკი

---

* ერთადერთი, რასაც შეიძლებოდა ბ-ნი ბულგაკოვი დაყრდნობოდა — ესაა ის ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა, რომელიც კაუტსკიმ მისცა VI თავის პირველ პარაგრაფს: «ა) მსხვილი წარმოების ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი უპირატესობა», მაშინ როდესაც ამ პარაგრაფში ლაპარაკია მსხვილი წარმოების როგორც ტექნიკურ, ისე ეკონომიურ უპირატესობებზე. მაგრამ ეს განა იმას ამტკიცებს, რომ კაუტსკი ერთმანეთში უ რ ე ვ ს ტექნიკასა და ეკონომიკას? კაცმა რომ სთქვას, ისიც საკითხია, არის თუ არა უსწორობა კაუტსკის მიერ დარქმეულ სახელწოდებაში. საქმე ისაა, რომ კაუტსკის მიზანი იყო დაეპირისპირებინა VI თავის პირველი და მეორე პარაგრაფის შინაარსი: პირველში (ა) ლაპარაკია მსხვილი წარმოების ტექნიკურ უპირატესობაზე კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში, და აქ მანქანებისა და სხვათა გარდა დასახელებულია, მაგალითად, კრედიტი. ბ-ნი ბულგაკოვი ირონიით ამბობს: «თავისებური ტექნიკური უპირატესობაა». მაგრამ ნათქვამია: rira bien qui rira le dernier! (კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო! რ ე დ.). ჩაიხედეთ კაუტსკის წიგნში და თქვენ დაინახავთ, რომ მას მხედველობაში აქვს უმთავრესად ის პროგრესი საკრედიტო საქმის ტ ე ქ ნ ი კ ა შ ი (შემდეგ კი ვაჭრობის ტექნიკაშიც), რომელიც ხელმისაწვდომია მ ხ ო ლ ო დ მსხვილი მეურნეობის პატრონისთვის. მეორე პარაგრაფში კი (ბ), პირიქით, ლაპარაკია მუშის შრომის რაოდენობისა და მოხმარების ნორმის შედარებაზე მსხვილ და წვრილ წარმოებაში, მაშასადამე, აქ განხილულია წ მ ი ნ დ ა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი წვრილ და მსხვილ წარმოებას შორის. კრედიტისა და ვაჭრობის ე კ ო ნ ო მ ი კ ა — ორივესთვის ერთნაირია, მაგრამ ტ ე ქ ნ ი კ ა — სხვადასხვაა.

სავსებით სწორად იქცევა, როდესაც იკვლევს მიწათმოქმედებაში მსხვილი და წვრილი წარმოების თანაფარდობის საკითხს სხვა თანასწორ პირობებში კაპიტალისტური მეურნეობის ვითარების დროს. VI თავის პირველი პარაგრაფის პირველსავე ფრაზაში კაუტსკი ზუსტად აღნიშნავს ამ კავშირს კაპიტალიზმის განვითარების სიმაღლესა და იმას შორის, თუ რამდენად საყოველთაოდ გამოსაყენებელია მსხვილი მიწათმოქმედების კანონი: «რაც უფრო კაპიტალისტური ხდება სოფლის მეურნეობა, მით უფრო დიდი მასშტაბით ანვითარებს ის თვისობრივ განსხვავებას წვრილი და მსხვილი წარმოების ტექნიკას შორის» (S. 92). წინაკაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში ასეთი თვისობრივი განსხვავება არ იყო. რაღა უნდა ვთქვათ ბ-ნ ბულგაკოვის მკაცრ დარიგებაზე კაუტსკის მიმართ: «ნამდვილად კი საკითხი ასე უნდა დაისვას: მსხვილი და წვრილი წარმოების კონკურენციაში, ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიური პირობების დროს, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ წარმოების ამ ფორმათაგან თვითეულის ამა თუ იმ თავისებურებებს?» ეს «შესწორება» სავსებით იმავე თვისებისაა, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ აბათილებს ბ-ნი ბულგაკოვი კაუტსკის არგუმენტებს მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოების ტექნიკური უპირატესობის სასარგებლოდ. კაუტსკი ამბობს: «ინდუსტრიისაგან სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოება ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით (Wirtschaftsbetrieb, სამეურნეო საწარმო) აქ ჩვეულებრივ დაკავშირებულია საშინაო მეურნეობასთან (Haushalt), რაც ინდუსტრიაში არ არის». ხოლო უფრო დიდ საშინაო მეურნეობას რომ უპირატესობა აქვს წვრილთან შედარებით შრომისა და მასალის მომჭირნეობაში, ამას არც კი სჭირდება დამტკიცება... პირველი ყიდულობს (ეს დაიხსომეთ! ვ. ი.) «ნავთს, ვარდკაჭაჭას,

მარგარინს — ბითუმად, მეორე კი — წვრილწვრილად, და სხვ.» (S. 93). ბ-ნი ბულგაკოვი «უსწორებს»: «კაუტსკის უნდოდა ეთქვა არა ის, რომ ეს ტექნიკურად უფრო ხელსაყრელია, არამედ ის, რომ ეს ნაკლებად ღირს»!.. განა ცხადი არ არის, რომ ამ შემთხვევაშიც (ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაშიც) ბ-ნ ბულგაკოვის ცდა — «გაუსწოროს» კაუტსკის, მეტი რომ არა ვთქვათ, უხეიროა? «ეს არგუმენტი, — განაგრძობს ულმობელი კრიტიკოსი, — თავისთავადაც ძლიერ საეჭვოა, იმიტომ რომ პროდუქტის ღირებულებაში, განსაზღვრულ პირობებში, განცალკევებული ქოხების ღირებულება შეიძლება სრულებით არ შევიდეს, ხოლო საერთო ქოხის ღირებულება კი შევა, და ისიც პროცენტით. ესეც დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიურ პირობებზე, რომელთა გამოკვლევა იყო საჭირო და არა მსხვილი წარმოების წვრილის მიმართ ვითომ ტექნიკურ უპირატესობათა გამოკვლევა»... ჯერ-ერთი, ბ-ნ ბულგაკოვს ავიწყდება ერთი წვრილმანი, სახელდობრ ის, რომ კაუტსკი, იკვლევს რა ჯერ მსხვილი და წვრილი წარმოების შედარებითს მნიშვნელობას სხვა თანასწორ პირობებში, შემდგომ გადმოცემაში დაწვრილებით არჩევს ამ პირობებსაც. ბ-ნ ბულგაკოვს სურს, მაშასადამე, ერთიმეორეში აურიოს სხვადასხვა საკითხი. მეორე, როგორ შეიძლება გლეხთა ქოხების ღირებულება არ შედიოდეს პროდუქტის ღირებულებაში? ეს შეიძლება მხოლოდ იმის გამო, რომ გლეხი «არ ანგარიშობს» თავისი ხე-ტყის ან თავისი შრომის ღირებულებას, რომელიც მან ქოხის აშენებასა და შეკეთებას მოანდომა. რამდენადაც გლეხი კიდევ ნატურალურ მეურნეობას ეწევა, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია «არ იანგარიშოს» თავისი შრომა,—და ბ-ნი ბულგაკოვიც ტყუილად ივიწყებს უთხრას მკითხველს, რომ კაუტსკი სრული სიცხადით და სიზუსტით მიუთითებს ამაზე თავისი წიგნის 165 — 167-ე გვერდზე (თავი VIII, «გლეხის პროლეტარიზაცია»). მაგრამ ახლა ხომ ლაპარაკია არა ნატურალური და არა უბრალო სასაქონლო მეურნეობის, არამედ კაპიტალიზმის «სოციალურ-ეკონომიურ პირობებზე». კა-

პიტალისტურ საზოგადოებრივ ვითარებაში კი რომ «არ იანგარიშო» შენი შრომა—ეს იმას ნიშნავს, რომ შენი შრომა მუქთად მისცე (ვაჭარს ან სხვა კაპიტალისტს), ეს იმას ნიშნავს, რომ იმუშაო და არ აიღო სამუშაო ძალის სრული ხელფასი, იმას ნიშნავს, რომ ნორმაზე ქვევით დასწიო მოთხოვნილებათა დონე. წვრილი წარმოების ეს განსხვავება, როგორც დავინახეთ, კაუტსკიმ სავსებით აღიარა და სწორად შეაფასა. თავის პასუხში კაუტსკისადმი ბ-ნი ბულგაკოვი იმეორებს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტების ჩვეულებრივ ხერხს და ჩვეულებრივ შეცდომას. ამ ეკონომისტებმა გამოგვაყრეს წვრილი გლეხის «სიცოცხლისუნარიანობის» ქებადიდებით: მას შეუძლია არ იანგარიშოს თავისი შრომა, არ გამოედევნოს მოგებასა და რენტასო და სხვ. ამ კეთილ ხალხს ავიწყდებოდა მხოლოდ, რომ ასეთი მსჯელობა ერთმანეთში ურევს ნატურალური მეურნეობის, მარტივი სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის «სოციალურ-ეკონომიურ პირობებს». კაუტსკი ჩინებულად განმარტავს ყველა ამ შეცდომას და მკვეთრად განასხვავებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა ამა თუ იმ წყობილებას. «თუ წვრილი გლეხის სასოფლო-სამეურნეო წარმოება, — ამბობს ის, — არ არის ჩაბმული სასაქონლო წარმოების სფეროში, თუ ის შეადგენს მხოლოდ საშინაო მეურნეობის ნაწილს, მაშინ ისიც რჩება წარმოების თანამედროვე წესის მაცენტრალიზებელი ტენდენციების სფეროს გარეშე. რაგინდ არარაციონალური იყოს მისი პარცელური მეურნეობა, ძალთა რა განიავებასაც უნდა იწვევდეს ის, გლეხი მაინც მაგრად ებღაუჭება თავის მეურნეობას. — სწორედ ისე, როგორც მისი ცოლი ებღაუჭება თავის ღარიბ საშინაო მეურნეობას, რომელიც სწორედ ასევე სამუშაო ძალის უდიდესი ხარჯვის დროს სრულიად უმნიშვნელო შედეგებს იძლევა, მაგრამ რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სფეროს, სადაც ის არ ემორჩილება სხვის ნებას და თავისუფალია ექსპლოატაციისაგან» (S. 165). საქმის ვითარება იცვლება, როცა ნატურალურ მეურნეობას სასაქონლო მეურნეობა აძევებს. გლეხი იძულებულია გაყი-

დოს პროდუქტები, იყიდოს იარაღები, იყიდოს მიწა. ვიდრე გლეხი უბრალო საქონელმწარმოებლად რჩება, მას შეუძლია დაკმაყოფილდეს დაქირავებული მუშის საარსებო დონით; მას არ ესაჭიროება მოგება და რენტა, მას შეუძლია მიწისათვის გაიღოს იმაზე მეტი საფასური, რასაც მეწარმე-კაპიტალისტი მისცემდა (S. 166). მაგრამ მარტივ სასაქონლო წარმოებას აძევებს კაპიტალისტური წარმოება. თუ, მაგალითად, გლეხმა თავისი მიწა დააგირავა, მან უკვე უნდა მოიპოვოს რენტაც, რომელიც გაყიდულია კრედიტორზე. განვითარების ამ საფეხურზე გლეხი მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ჩაითვალოს უბრალო საქონელმწარმოებლად. De facto * მას ჩვეულებრივ უკვე საქმე აქვს კაპიტალისტთან — კრედიტორთან, ვაჭართან და მრეწველ მეწარმესთან, ვისთანაც ის იძულებულია «ეძიოს დამხმარე სამუშაო», ე. ი. მიჰყიდოს მას თავისი სამუშაო ძალა. ამ საფეხურზე, — კაუტსკი კი, ვიმეორებთ, ერთმანეთს უპირისპირებს მსხვილ და წვრილ მიწათმოქმედებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, — გლეხმა რომ «არ იანგარიშოს თავისი შრომა», ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ მან იმუშაოს ჭაპანწყვეტით და უსაზღვროდ შეზღუდოს თავისი მოთხოვნილებები.

ასევე უსაფუძვლოა ბ-ნ ბულგაკოვის სხვა მოსაზრებანიც. წვრილ წარმოებაში მანქანების გამოყენება შეიძლება უფრო ვიწრო ფარგლებში; წვრილ მეურნეს უფრო უძნელდება კრედიტის შოვნა და უფრო ძვირადაც უჯდება იგი, — ამბობს კაუტსკი. ბ-ნი ბულგაკოვი ფიქრობს, რომ ეს არგუმენტები უმართებულოა, და იმოწმებს... გლეხთა ამხანაგობებს! ამასთანავე იგი სრული დუმილით გვერდს უვლის კაუტსკის საბუთებს, რომელმაც მოგვცა ამ ამხანაგობათა და მათი მნიშვნელობის ზემომოყვანილი შეფასება. მანქანების საკითხზე ბ-ნი ბულგაკოვი კვლავ საყვედურს უცხადებს კაუტსკის, რომ მან არ დააყენა «უფრო ზოგადი ეკონომიური საკითხი: როგორია

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რედ.

საერთოდ მანქანების ეკონომიური როლი სოფლის მეურნეობაში» (ბ-ნ ბულგაკოვს დაავიწყდა უკვე კაუტსკის წიგნის IV თავი!) «და არის თუ არა მანქანა სოფლის მეურნეობაში ისევე აუცილებელი იარაღი, როგორც დამმუშავებელ მრეწველობაში?» კაუტსკიმ ნათლად გვიჩვენა თანამედროვე სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი (S. 39, 40 და შემდ.), აღნიშნა მიწათმოქმედების თავისებურებანი, რომლებიც «ტექნიკურ და ეკონომიურ სიძნელეებს» უქმნიან მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენებას (S. 38 და შემდ.), მოიყვანა მონაცემები მანქანების გამოყენების ზრდის (40), მათი ტექნიკური მნიშვნელობის შესახებ (42 და შემდეგი), ორთქლისა და ელექტრობის როლის შესახებ. კაუტსკიმ აღნიშნა, თუ რა ზომის მეურნეობებია საჭირო აგრონომიის მონაცემების მიხედვით, რათა სავსებით გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მანქანები (94), აღნიშნა, რომ გერმანიის 1895 წლის აღწერის მონაცემებით იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც მანქანებს ხმარობენ, სწორად და სწრაფად იზრდება წვრილი მეურნეობებიდან მსხვილისაკენ (2% დაახლოებით 2-ჰექტარიან მეურნეობებში; 13,8% — 2—25-ჰექტარიან მეურნეობებში; 45,8%—5—20-ჰექტ. მეურნეობებში; 78,8%—20 — 100-ჰექტარიან მეურნეობებში; 94,2% — 100 და მეტ ჰექტარიან მეურნეობებში). ამ მონაცემებზე უფრო სასურველი იქნებოდა ბ-ნ ბულგაკოვისთვის «ზოგადი» მსჯელობანი მანქანების «დაუმარცხებლობისა» თუ დამარცხების შესახებ!..

«მითითება იმაზე, რომ წვრილი წარმოების დროს თითო ჰექტარზე მოდის მუშა-პირუტყვის მეტი რაოდენობა... არ არის დამაჯერებელი... ვინაიდან ამასთანავე არ არის გამორკვეული... თუ რამდენად ინტენსიურია მეურნეობა პირუტყვის გამოყენების მხრითო», — ამბობს ბ-ნი ბულგაკოვი. ვშლით კაუტსკის წიგნის იმ გვერდს, სადაც მოყვანილია ეს მითითება, და ვკითხულობთ: «... ძროხების დიდი რაოდენობა წვრილ მეურნეობაში» (1 000 ჰექტარზე ანგარიშით) «არა მცირედად არის აგრეთვე დამოკიდებული იმაზე, რომ გლეხი მეტ ყურადღებას აქცევს მესაქონლეობას და ნაკლებს — ხორბლეუ-

ლის მოყვანას, ვიდრე მსხვილი მეურნე; მაგრამ განსხვავება ცხენების ყოლის მხრივ შეუძლებელია ამით აიხსნას» (გვ. 96, სადაც მოყვანილია 1860 წლის მონაცემები საქსონიის შესახებ, 1883 წლისა — მთელი გერმანიის შესახებ და 1880 წლისა — ინგლისის შესახებ). გავიხსენოთ, რომ რუსეთშიც საერობო სტატისტიკამ აღმოაჩინა იგივე კანონი, რომელიც გამოხატავს მსხვილი მიწათმოქმედების უპირატესობას წვრილის მიმართ: ფართობის ერთეულზე მსხვილ გლეხურ მეურნეობებს ნაკლები პირუტყვი და ინვენტარი სჭირდებათ *.

ბ-ნ ბულგაკოვის მიერ სრულად არ არის გადმოცემული კაუტსკის არგუმენტები მსხვილი წარმოების უპირატესობაზე წვრილის მიმართ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში. მსხვილი მიწათმოქმედების უპირატესობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის ნაკლებად კარგავს კულტურულ ფართობს, მომჭირნეობას ეწევა ცოცხალ და მკვდარ ინვენტარზე, უფრო სრულად იყენებს ინვენტარს, უფრო ფართო შესაძლებლობა აქვს მანქანების გამოყენებისა, მისთვის უფრო ადვილია კრედიტის შოვნა, არამედ იმაშიც, რომ მსხვილ მეურნეობას აქვს კომერციული უპირატესობაც. მეურნეობის გასაძღოლად იგი იყენებს მეცნიერულად განათლებულ ხელმძღვანელებს (Kautsky, S. 104 **). მსხვილი მიწათმოქმედება უფრო დიდი მოცულობით იყენებს მუშათა კოოპერაციას და შრომის დანაწილებას. კაუტსკი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს სოფლის მეურნის მეცნიერულ აგრონომიულ განათლებას. «სავსებით მეცნიერულად განათლებული სოფლის მეურნე შეუძლია იყოლიოს მხოლოდ ისეთ წარმოებას, რომელიც საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის შრომას სავსებით მოუნდეს ამ პირის სამუშაო ძალა» (S. 98: «მეურნეობის ეს ოდენობა იცვლება წარმოების სახეობასთან ერთად» 3 ჰექტარიდან ვენა-

* იხ. ვ. ე. პოსტნიკოვი, «Южно-русское крестьянское хозяйство». შეად. ვ. ილინი, «კაპიტალიზმის განვითარება», თავი II, § 1 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3. რედ.).

** — კაუტსკი, გვ. 104. რედ.

ხის კულტურის დროს 500 ჰექტარამდე ექსტენსიური მეურნეობის დროს). ამასთანავე კაუტსკი აღნიშნავს იმ საინტერესო და მეტად დამახასიათებელ ფაქტს, რომ დაბალი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლების გავრცელებას სარგებლობა მოაქვს არა გლეხისთვის, არამედ მსხვილი მეურნისთვის, რომელსაც ეს სკოლები მოსამსახურეებს აწვდიან (იგივე ხდება რუსეთშიც). «ის უმაღლესი განათლება, რომელიც აუცილებელია საკუთრებით რაციონალური წარმოებისთვის, ძნელი შესათავსებელია გლეხების არსებობის თანამედროვე პირობებთან. ეს ნიშნავს, რასაკვირველია, არა უმაღლესი განათლების, არამედ გლეხთა ცხოვრების პირობების დაგმობას. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გლეხური წარმოება არსებობს მსხვილ წარმოებასთან ერთად არა უფრო მაღალი ნაყოფიერების წყალობით, არამედ უფრო დაბალ მოთხოვნილებათა წყალობით» (99). მსხვილმა წარმოებამ უნდა არჩინოს არა მარტო გლეხთა მუშახელი, არამედ ქალაქის მუშახელიც, რომელიც მოთხოვნილებათა დონით გაცილებით უფრო მაღლა დგას.

იმ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელნიც კაუტსკის მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ «წვრილ წარმოებაში ადგილი აქვს გადაჭარბებულ შრომას და არასაკმარისს მოხმარებას», ბ-ნი ბულგაკოვი «რამდენიმე (!) შემთხვევითს (??) ციტატას» უწოდებს. ბ-ნი ბულგაკოვი «კისრულობს» ასეთივე რაოდენობის «საწინააღმდეგო ხასიათის ციტატების» მოყვანას. მას მხოლოდ ავიწყდება სთქვას, კისრულობს თუ არა ის აგრეთვე წამოაყენოს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ო ს ა ზ რ ე ბ ა, რომელსაც ის დაამტკიცებს «საწინააღმდეგო ხასიათის ციტატებით». საქმის მთელი დედაარსიც ხომ ამაშია! ხომ არ კისრულობს ბ-ნი ბულგაკოვი დაამტკიცოს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მსხვილი წარმოება გლეხური წარმოებისაგან განირჩევა მუშაკის გადაჭარბებული მუშაობით და შემცირებული მოხმარებით? ბ-ნი ბულგაკოვი საკმაოდ ფრთხილია, რომ ასეთი კომიკური მო-

საზრება წამოაყენოს. გლეხთა გადაჭარბებული მუშაობის და მოთხოვნილების შემცირების ფაქტს ის შესაძლებლად სთვლის გვერდი აუაროს შენიშვნით: «ზოგიერთ ადგილას გლეხები შეძლებულად ცხოვრობენ, ზოგან კი ღარიბადო!!». აბა რას იტყოდით თქვენ იმ ეკონომისტზე, რომელიც იმის ნაცვლად, რომ განეზოგადებინა მონაცემები მსხვილი და წვრილი წარმოების მდგომარეობის შესახებ, დაიწყებდა იმის გამოკვლევას, თუ რა განსხვავებაა ამა თუ იმ «ადგილის» მოსახლეობის «შეძლებულობას» შორისო? რას იტყოდით თქვენ იმ ეკონომისტზე, რომელიც ფაბრიკის მუშებთან შედარებით შინამრეწველთა გადაჭარბებული მუშაობისა და მოხმარების შემცირების ფაქტს გვერდს აუვლიდა შენიშვნით, რომ «ზოგიერთ ალაგას შინამრეწველნი შეძლებულად ცხოვრობენ, ზოგან კი ღარიბადო»? უადგილო არ იქნება ორიოდე სიტყვა შინამრეწველებზე. «როგორც ჩანს, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი, — კაუტსკის აზრად ჰქონდა პარალელი Hausindustrie-სა *, სადაც გადაჭარბებით მუშაობას ტექნიკური საზღვარი არა აქვს» (როგორც მიწათმოქმედებაში), «მაგრამ ეს პარალელი აქ არ გამოდგება». როგორც ჩანს, — ვუპასუხებთ ჩვენ ამაზე, — ბ-ნმა ბულგაკოვმა საოცარი უყურადღებობა გამოიჩინა იმ წიგნისადმი, რომელსაც ის აკრიტიკებს, იმიტომ რომ პარალელი Hausindustrie-სთან კაუტსკის «აზრად კი არ ჰქონდა», არამედ პირდაპირ და ზუსტად არის მის მიერ ნაჩვენები იმ პარაგრაფის პირველსავე გვერდზე, რომელიც მიძღვნილია გადაჭარბებული მუშაობის საკითხისადმი (თავი VI, b. S. 106 **): «ბავშვების საოჯახო მუშაობა წვრილ გლეხურ მეურნეობაში, ისე როგორც შინამრეწველობაში (Hausindustrie), კიდევ უფრო დამღუპველია, ვიდრე დაქირავებით მუშაობა უცხო პირებთან». თუმცა ბ-ნი ბულგაკოვი გადაჭრით ბრძანებს, ეს პარალელი აქ არ გამოდგებაო, მიუხედავად ამისა მისი აზრი სრუ-

* — შინამრეწველობის. რედ.

** — თავი VI, ბ, გვ. 106. რედ.

ლიად შემცდარია. მრეწველობაში გადაჭარბებით მუშაობას ტექნიკური საზღვარი არა აქვს, ხოლო გლეხისთვის იგი «შეზღუდულია მიწათმოქმედების ტექნიკური პირობებით», — მსჯელობს ბ-ნი ბულგაკოვი. ერთი ვიკითხოთ, ვინ ურევს მართლა ერთმანეთში ტექნიკასა და ეკონომიკას: კაუტსკი თუ ბ-ნი ბულგაკოვი? რა შუაშია აქ მიწათმოქმედების ან შინამრეწველობის ტექნიკა, როცა ფაქტები იმას მეტყველებენ, რომ წვრილი მწარმოებელი მიწათმოქმედებაშიც და მრეწველობაშიც სამუშაოდ ერეკება უფრო მცირე ასაკის ბავშვებს, მუშაობს დღეში უფრო მეტ საათებს, ცხოვრობს მეტი «ძომჭირნეობით», იმდენად ჰკვეცავს თავის მოთხოვნილებებს, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში ნამდვილ «ბარბაროსად» მოსჩანს (მარქსის გამოთქმაა)? ნუთუ შეიძლება მსგავს მოვლენათა ეკონომიური ერთგვარობის უარყოფა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში იმ მოსაზრებით, რომ მიწათმოქმედებას აქვს მრავალი თავისებურება (რომელთაც კაუტსკი სრულიად არ ივიწყებს). «წვრილ გლეხს არ შეუძლია, კიდევაც რომ მოიცურვოს, იმაზე მეტი იმუშაოს, რასაც მისი მინდორი მოითხოვს», — ამბობს ბ-ნი ბულგაკოვი. მაგრამ წვრილ გლეხს შეუძლია იმუშაოს და კიდევაც მუშაობს დღეში 14 საათს და არა 12 საათს; შეუძლია იმუშაოს და კიდევაც მუშაობს იმ ზენორმალური დაძაბულობით, რომელიც ქანცავს მის ნერვებსა და კუნთებს ნორმალურზე გაცილებით უფრო სწრაფად. მერე-და, ეს რა უმართებულო და გადამლაშებული აბსტრაქციაა — გლეხის მთელი მუშაობა ერთი მინდვრით შეზღუდო! კაუტსკის ნაწერებში ამის მსგავსს ვერაფერს იპოვით. კაუტსკიმ მშვენივრად იცის, რომ გლეხი აგრეთვე შინაც მუშაობს, მუშაობს ქოხის, გომურის, იარაღებისა და სხვ. აშენებასა და შეკეთებაზე; ის «არ ანგარიშობს» მთელ ამ დამატებითს შრომას, რომლისთვისაც დაქირავებული მუშა მსხვილ მეურნეობაში ჩვეულებრივ ქირას მოითხოვს. განა აქედან ცხადი არ არის ყველა უწინაზრახვო ადამიანისთვის, რომ წვრილი მიწათმოქმედი გლეხისთვის გადაჭარბებული მუშაობა ჩაყენებულია გაცილებით უფრო ფართო

ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი, ვიდრე წვრილი მრეწველისთვის, თუ ის მ ხ ო ლ ო დ მრეწველია? წვრილი მიწათმოქმედის გადაჭარბებული მუშაობა, როგორც საყოველთაო ფაქტი, თვალსაჩინოდ მტკიცდება იმით, რომ ყველა ბურჟუაზიული მწერლები ერთხმად ღაღადებენ გლეხის «მუყაითობასა» და «მომჭირნეობაზე» და იმავე დროს ბრალსა სდებენ მუშებს «სიზარმაცესა» და «ბედოვლათობაში».

წვრილი გლეხები, — ამბობს ვესტფალიის სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრების მკვლევარი, რომლის ნაწერებიდან კაუტსკის ციტატები მოჰყავს, — უზომოდ ტვირთავენ თავიანთ ბავშვებს მუშაობით, ასე რომ მათი ფიზიკური განვითარება ფერხდება; ასეთი ცუდი მხარეები არა აქვს დაქირავებით მუშაობასო. საპარლამენტო კომისიას, რომელიც იკვლევდა ინგლისის აგრარულ ყოფაცხოვრებას (1897), ერთმა წვრილმა ლინკოლნელმა გლეხმა განუცხადა: «მე აღვზარდე მთელი ოჯახი და ის სანახევროდ სიკვდილამდე მივიყვანე მუშაობითო». მეორე ამბობს: «მე და ჩემი ბავშვები თვრამეტ-თვრამეტ საათს ვმუშაობთ, საშუალოდ 10 — 12 საათსო». მესამე ამბობს: «ჩვენი მუშაობა უფრო ძნელია, ვიდრე დღიური მუშებისა, ჩვენ მონებივით ვმუშაობთო». ბ-ნი რიდი (Read) იმავე კომისიის წინაშე ასე ახასიათებს წვრილი გლეხების მდგომარეობას იმ ადგილებში, სადაც სჭარბობს მიწათმოქმედება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით: «ერთადერთი საშუალება თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად — ესაა იმუშაოს ორი დღიური მუშის ოდენი, ხოლო ხარჯოს იმდენი, რამდენსაც ხარჯავს ერთი დღიური მუშა. მისი ბავშვები მუშაობით უფრო დატანჯული და უარესად აღზრდილი არიან, ვიდრე დღიური მუშების ბავშვები» («Royal Commission on Agriculture final report», p. 34, 357 *. მოყვანილი აქვს კაუტსკის, S. 109). იქნებ ბ-ნი ბულგაკოვი კისრულობს იმის მტკიცებას, რომ არანაკლებ ხშირად დღიური მუშები ორი

* — «სოფლის მეურნეობის სამეფოს კომისიის დასკვნითი ანგარიში», გვ. 34, 357. რ ე დ.

გლეხის ოდენს მუშაობენ. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია კაუტსკის მიერ მოყვანილი შემდეგი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ «შეუძლია გლეხის ოსტატობას შიმშილის ატანაში (Hungerkunst) მოგვცეს წვრილი წარმოების ეკონომიური უპირატესობა»: ბადენის ორი გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობის შედარება გვიჩვენებს, რომ ერთში, მ ს ხ ვ ი ლ შ ი, დეფიციტი არის 933 მარკა, ხოლო მეორეში, ო რ ჯ ე რ უ ფ რ ო წ ვ რ ი ლ შ ი, სიჭარბე 191 მარკა. მაგრამ პირველ მეურნეობას, რომელშიც მუშაობდნენ მხოლოდ დაქირავებული მუშები, უნდა ერჩინა ისინი როგორც საჭიროა და დაეხარჯა დღეში თითქმის თითო მარკა (45 კაპიკამდე) სულზე, მაშინ როდესაც წვრილ მეურნეობაში მუშაობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრები (ცოლი და ექვსი მოზრდილი ბავშვი), რომელთა შენახვა ო რ ჯ ე რ უ ფ რ ო ღ ა რ ი ბ უ ლ ი იყო: დღეში სულზე 48 პფენიგი იხარჯებოდა. წვრილი გლეხის ოჯახს რომ ისეთივე კარგი კვება ჰქონოდა, როგორც მსხვილი მეურნის დაქირავებულ მუშებს, მაშინ წვრილს ექნებოდა 1 250 მარკა დეფიციტი! «მისი სიჭარბე აიხსნებოდა არა იმით, რომ ბეღლები სავსე იყო, არამედ იმით, რომ კუჭი ჰქონდა ცარიელი». რამდენი მსგავსი მაგალითი შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, რომ მიწათმოქმედებაში მსხვილ და წვრილ მეურნეობათა «შემოსავლიანობის» შედარებასთან ერთად სწარმოებდეს გლეხებისა და დაქირავებული მუშების მოხმარებისა და მუშაობის აღრიცხვა *. აი წვრილი მეურნეობის (4,6 ჰექტარი) მსხვილთან შედარებით (26,5 ჰექტარი) უფრო მაღალი შემოსავლიანობის მეორე გამოანგარიშება. მოყვანილი ერთ-ერთ სპეციალურ ჟურნალში. მაგრამ როგორ იღებენ უმაღლეს შემოსავალს?—კითხულობს კაუტსკი. თურმე, წვრილ მიწათმოქმედს ეხმარებიან ბავშვები, ეხმარებიან იმ ასაკიდან, როგორც კი სიარულს იწყებენ, ხოლო მსხვილმა კი ბავშვებზე ხარჯები უნდა გასწიოს (სკოლა, გიმნაზია). წვრილ

* შეად. ვ. ი ლ ი ნ ი, «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 112, 175, 201 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 181 — 182, 275 — 276, 311 — 312. რ ე დ.).

მეურნეობაში მოხუცნიც კი, რომელთაც 70 წლისთვის გადაუცილებიათ, «ჯერ კიდევ სრული სამუშაო ძალის მაგივრობას ეწევიან». «ჩვეულებრივი დღიური მუშა, განსაკუთრებით მსხვილ წარმოებაში, მუშაობს და თან ფიქრობს: ნეტავი როდის მეღირსება საღამოს დასვენებაო; წვრილი გლეხი კი, ყოველ შემთხვევაში ყველა სასწრაფო სამუშაოს დროს ფიქრობს: ეხ, ნეტავი ეს დღე თუნდაც ორი საათით უფრო ხანგრძლივი იყოსო». წვრილი მწარმოებელნი, — გვასწავლის აგრონომიულ ჟურნალში მოთავსებული სტატიის იგივე ავტორი, — უკეთ იყენებენ დროს სასწრაფო მუშაობისას: «ადრე დგებიან, გვიან წვებიან, უფრო სწრაფად მუშაობენ, მაშინ როდესაც მსხვილი მეურნის მუშებს არ სურთ ადრე ადგნენ, გვიან დაწვნენ, უფრო დაძაბულად იმუშაონ, ვიდრე სხვა დღეებში». გლეხი ახერხებს მიიღოს წმინდა შემოსავალი თავისი «უბრალო» ცხოვრების წყალობით: ცხოვრობს ქოხში, რომელიც აგებულია უმთავრესად ოჯახის შრომით; ცოლს, რომელიც უკვე 17 წელიწადია გათხოვილია, სულ ერთი წყვილი ფეხსაცმელი გაუცვეთია, ის უფრო ფეხშიშველი ან ხის ქოშებში დადის, ოჯახს ის თვითონვე უკერავს. ასეთი გლეხის საჭმელია: კარტოფილი, რძე, იშვიათად — ქაშაყი. ქმარი მხოლოდ კვირაობით ეწევა ერთ ჩიბუხ თამბაქოს. «ეს ხალხი არ გრძნობდა, რომ განსაკუთრებით უბრალოდ ცხოვრობდა და თავისი მდგომარეობის გამო უკმაყოფილებას არ გამოსთქვამდა... ასეთი უბრალო ცხოვრების პირობებში მათ თავიანთი მეურნეობიდან თითქმის ყოველწლიურად ცოტაოდენი ნაჭარბი რჩებოდათ».

IV

კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში მსხვილი და წვრილი წარმოების ურთიერთობათა ანალიზის დამთავრების შემდეგ კაუტსკი გადადის «კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ფარგლების» სპეციალურ გამორკვევაზე (თავი VII). მსხვილი მიწათმოქმედების უპირატესობის თეორიის წინააღმდეგ, —

ამბობს კაუტსკი, — უმთავრესად ილაშქრებენ «კაცობრიობის მეგობრები» (კინაღამ წამოგვცდა — ხალხის მეგობრები...) ბურჟუაზიის რიგებიდან. წმინდა ტიპის ფრიტრედერები, აგრარიები. უკანასკნელ ხანებში მრავალი ეკონომისტი გამოდის წვრილი მიწათმოქმედების სასარგებლოდ. ჩვეულებრივ იმოწმებენ სტატისტიკას, რომელიც გვიჩვენებს, რომ არ ხდება წვრილ მეურნეობათა განდევნა მსხვილ მეურნეობათა მიერ. კაუტსკისაც მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები: გერმანიაში 1882-დან 1895 წლამდე ყველაზე უფრო გადიდდა საშუალო მეურნეობათა ფართობი; საფრანგეთში 1882-დან 1892 წლამდე გადიდდა ყველაზე წვრილ და ყველაზე მსხვილ მეურნეობათა ფართობი; საშუალო მეურნეობათა ფართობი შემცირდა. ინგლისში 1885-დან 1895 წლამდე შემცირდა ყველაზე წვრილ და ყველაზე მსხვილ მეურნეობათა ფართობი; ყველაზე უფრო გადიდდა იმ მეურნეობათა ფართობი, რომლებიც შეიცავდა 40 — 120 ha-ს * (100 — 300 აკრს), ე. ი. ისეთ მეურნეობათა, რომელთაც წვრილს ვერ მივაკუთვნებთ. ამერიკაში ფერმის საშუალო სიდიდე კლებულობს: 1850 წელს — 203 აკრი; 1860 — 199; 1870 — 153; 1880 — 134; 1890 — 137. კაუტსკი უფრო დაწვრილებით განიხილავს ამერიკის სტატისტიკის მონაცემებს, და კაუტსკის ანალიზს, წინააღმდეგ ბ-ნ ბულგაკოვის აზრისა, დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ფერმების საშუალო სიდიდის შემცირების მთავარი მიზეზია სამხრეთის მსხვილი პლანტაციების დაქუცმაცება ზანგების განთავისუფლების შემდეგ; სამხრეთ შტატებში ფერმების საშუალო სიდიდე შემცირდა ორჯერ და უფრო მეტად. «საქმის ვერც ერთი მცოდნე ადამიანი ვერ დაინახავს ამ ციფრებში წვრილი წარმოების გამარჯვებას თანამედროვე» (=კაპიტალისტურ) «მსხვილ წარმოებაზე». საერთოდ ამერიკის სტატისტიკის მონაცემების განხილვა ცალკეული რაიონების მიხედვით მრავალ სხვადასხვანაირ ურთიერთობას გვიჩვენებს. ჩრდილო-ცენტრალურ ზოლში, — მთავარ «ხორ-

* — ჰა (ჰექტარი). რედ.

ბლის შტატებში», ფერმის საშუალო სიდიდე გაიზარდა 122-დან 133 აკრამდე. «წვრილი წარმოება მხოლოდ იქ სჭარბობს, სადაც სოფლის მეურნეობა დაცემულია ანდა სადაც წინაკაპიტალისტური მსხვილი წარმოება მეტოქეობას იწყებს გლეხური წარმოების წინააღმდეგ» (135). კაუტსკის ეს დასკვნა ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის მიგვითითებს იმ პირობებზე, ურომლისოდაც სტატისტიკა შეიძლება იქნას მხოლოდ ბოროტად გამოყენებული: აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კაპიტალისტური მსხვილი წარმოება და წინაკაპიტალისტური წარმოება. აუცილებელია დაწვრილებითი გამოკვლევა იმ ცალკე რაიონების მიხედვით, რომელთაც ახასიათებს არსებითი თავისებურებანი მიწათმოქმედების ფორმებსა და მისი განვითარების ისტორიულ პირობებში. ამბობენ: «ციფრები ამტკიცებენო»! მაგრამ ხომ უნდა გავარჩიოთ, თუ სახელდობრ რას ამტკიცებენ ციფრები. ისინი ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რასაც ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ. ციფრები პირდაპირ ლაპარაკობენ არა წარმოების მოცულობაზე, არამედ მეურნეობათა ფართობზე. მაგრამ შეიძლება, და ნამდვილადაც ასე არის, რომ «პატარა მამული ინტენსიური მეურნეობის დროს შეიძლება უფრო მსხვილ წარმოებას წარმოადგენდეს, ვიდრე დიდი მამული ექსტენსიური მეურნეობის დროს». «სტატისტიკა, რომელიც ცნობებს გვაწვდის მხოლოდ მეურნეობის ფართობის შესახებ, სრულებით არაფერს ამბობს საკითხზე იმის შესახებ, ეყრდნობა თუ არა მეურნეობის ფართობის შემცირება მეურნეობის მოცულობათა ნამდვილ შემცირებას თუ მეურნეობის ინტენსიფიკაციას» (146). ტყისა და საძოვრის მეურნეობა, კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობის ეს პირველი ფორმები, შესაძლებლად ხდიან მამულის ყველაზე დიდი ფართობის გამოყენებას. მემინდვრეობას უკვე ნაკლები ფართობი ესაჭიროება. ამ მხრივ მემინდვრეობის სხვადასხვა სისტემა სხვადასხვანაირია: მეურნეობის მტაცებლურ, ექსტენსიურ სისტემას (რომელიც ამერიკაში აქამდე სჭარბობდა) სჭირდება უზარმაზარი ფერმები (10 000 ჰექტარამდე, როგორიცაა

დალრიმპლის, გლენისა და სხვ. bonanza farms *. ამ ზომამდე აღწევს ჩვენს ველებშიც გლეხთა და მით უმეტეს ვაჭრების ნათესები). მიწის განოყიერებაზე გადასვლა და სხვ. აუცილებლად იწვევს მეურნეობათა ფართობის შემცირებას, რომლებიც, მაგალითად, ევროპაში უფრო წვრილია, ვიდრე ამერიკაში. მეურნეობის მემინდვრეობის სისტემიდან გადასვლა ბესაქონლეობის სისტემაზე მოითხოვს ისევ მეურნეობის ფართობის შემცირებას: ინგლისში 1880 წელს მესაქონლეობის მეურნეობათა საშუალო სიდიდე იყო 52,3 აკრი, ხოლო მემინდვრეობის, მარცვლეულის მეურნეობებისა 74,2 აკრი. ამიტომ მიწათმოქმედებიდან მესაქონლეობაზე გადასვლის პროცესმა, რომელიც ინგლისში სწარმოებს, უ ნ დ ა წარმოშვას მეურნეობის ფართობის შემცირების ტენდენცია. «მაგრამ მეტად ზერელე მსჯელობა იქნებოდა, რომ აქედან გამოგვეყვანა დასკვნა წარმოების დაცემის შესახებ» (149). ოსტ-ელბიაში (რომლის გამოკვლევით ბ-ნი ბულგაკოვი იმედოვნებს შემდეგში გააბათილოს კაუტსკი) სწარმოებს სწორედ ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლა: მსხვილი მიწათმოქმედნი, — ამბობს ზერინგი, რომლიდანაც კაუტსკის მოჰყავს ციტატი, — აძლიერებენ თავიანთი ნიადაგის ნაყოფიერებას, ისინი ყიდიან ან იჯარით აძლევენ გლეხებს თავიანთი მამულების შორეულ ნაწილებს, იმიტომ რომ ინტენსიური მეურნეობის დროს ამ შორეული ნაწილების გამოყენება ძნელია. «ამრიგად, მსხვილი მამულები ოსტ-ელბიაში მცირდება, მათ გვერდით იქმნება წვრილი გლეხური მეურნეობანი, და ეს არა იმიტომ, რომ წვრილი წარმოება მსხვილზე უფრო მაღლა დგას, არამედ იმიტომ, რომ მამულების წინანდელი მოცულობა ეგუებოდა ექსტენსიური მეურნეობის საჭიროებებს» (150). ყველა ასეთ შემთხვევაში მეურნეობის ფართობის შემცირება იწვევს ჩვეულებრივ პროდუქტის რაოდენობის გადიდებას (მიწის ერთეულიდან), ხში-

* — ჩრდილო-ამერიკის მსხვილი (უმთავრესად ხორბლის) კაპიტალისტური მეურნეობანი, სადაც მეურნეობის ექსტენსიური სისტემა შეხამებული იყო უახლესი მანქანური ტექნიკის გამოყენებასთან. რ ე დ.

რად მუშაობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის გადიდებას, ე. ი. წარმოების მოცულობის ფაქტიურ გადიდებას.

აქედან აშკარაა, თუ რა მცირედ სარწმუნოა სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის უსაფუძვლო მონაცემები მეურნეობათა ფართობების შესახებ და რა სიფრთხილით უნდა ვისარგებლოთ ამ მონაცემებით. სამრეწველო სტატისტიკის სახით ხომ ჩვენ საქმე გვაქვს წარმოების მოცულობის პირდაპირ მაჩვენებლებთან (საქონლის რაოდენობა, წარმოების ჯამი, მუშების რიცხვი), ამასთანავე ადვილად შეგვიძლია გამოვყოთ ცალკეული წარმოებები. სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა ძლიერ იშვიათად აკმაყოფილებს დამამტკიცებლობის ამ აუცილებელ პირობებს.

შემდეგ მიწის საკუთრების მონოპოლია საზღვარს უდებს სამიწათმოქმედო კაპიტალიზმს: მრეწველობაში კაპიტალი იზრდება დაგროვების საშუალებით, ზეღირებულების კაპიტალად გადაქცევით; ცენტრალიზაცია, ე. ი. რამდენიმე წვრილი კაპიტალის შეერთება ერთ მსხვილ კაპიტალად, ნაკლებ როლს თამაშობს. სულ სხვაა მიწათმოქმედებაში. მთელი მიწა (ცივილიზებულ ქვეყნებში) დაკავებულია, ხოლო მეურნეობის ფართობის გაფართოება შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ნაკვეთის ცენტრალიზაციით, თანაც ისე, რომ ისინი საერთო ფართობს შეადგენდენ. ცხადია. ახლო-მახლო მდებარე ნაკვეთების შესყიდვით მამულის გაფართოება ძნელი საქმეა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ წვრილი ნაკვეთები ნაწილობრივ უჭირავთ სოფლის მუშებს (რომლებიც საჭირო არიან მსხვილი მეურნისთვის), ნაწილობრივ წვრილ გლეხებს, რომლებიც იჩენენ გაძლების დიდ ხელოვნებას მოთხოვნილებათა უზომო და წარმოუდგენელი შემცირებით. აღნიშვნა ამ უბრალო და დღესავით ნათელი ფაქტისა, რომელიც გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის საზღვრებს, ბ-ნ ბულგაკოვს რატომღაც «ფრაზად» (?? !!) მოეჩვენა და ამ საბაბით ის სრულიად უსაფუძვლო სიხარულს მიეცა: «მაშასადამე (!), მსხვილი წარმოების უპირატესობა პირველივე დაბრკოლების წინაშე იმსხვრევაო (!)».

ბ-ნმა ბულგაკოვმა ჯერ სწორად ვერ გაიგო მსხვილი წარმოების უპირატესობის კანონი, მიაწერა რა მას უზომო აბსტრაქტულობა, რაც კაუტსკის ფიქრადაც არ მოსვლია, ახლა კი ამ საკუთარ გაუგებლობას საბუთად იყენებს კაუტსკის წინააღმდეგ! მეტად უცნაურია ბ-ნ ბულგაკოვის აზრი, თითქოს მას შეუძლია გააბათილოს კაუტსკის დებულება ირლანდიის დამოწმებით (სადაც არის მსხვილი მიწათმფლობელობა, მაგრამ არ არის მსხვილი წარმოება). იქიდან, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა მსხვილი წარმოების ერთ-ერთი პირობაა, სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ის იყოს საკმაო პირობა. კაუტსკის, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ირლანდიის ან სხვა ქვეყნის თავისებურებათა ისტორიული და სხვა მიზეზები განეხილა თხზულებაში, რომლის თემაა — კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში საერთოდ. აბა ვინ მოიფიქრებდა მოეთხოვა მარქსისთვის, რომ მას, მრეწველობაში კაპიტალიზმის საერთო კანონების ანალიზის დროს, განემარტა, თუ რატომ ხდება, რომ საფრანგეთში წვრილი მრეწველობა უფრო დიდხანს ძლებს, ხოლო იტალიაში მრეწველობა სუსტად ვითარდება და სხვ.? ასევე უსაფუძვლოა ბ-ნ ბულგაკოვის მითითება იმაზე, რომ კონცენტრაცია «შეიძლებოდა» მომხდარიყო თანდათან: მამულის გაფართოება მეზობლების მიწების შესყიდვით სრულიადაც არ არის ისე ადვილი, როგორც ფაბრიკისთვის ახალი შენობების მიშენება დამატებითი დაზგებისთვის და სხვ.

როცა ბ-ნმა ბულგაკოვმა დაიმოწმა თანდათანობითი კონცენტრაციის ან ოჯარის ეს წმინდა ფიქტიური შესაძლებლობა მსხვილ მეურნეობათა შესაქმნელად, მან ნაკლები ყურადღება მიაქცია მიწათმოქმედების ნამდვილ თავისებურებას კონცენტრაციის პროცესში, — თავისებურებას, რომელიც კაუტსკიმ აღნიშნა. ესაა ლატიფუნდიები, რამდენიმე მამულის ერთ ხელში თავმოყრა. სტატისტიკა ჩვეულებრივ ანგარიშობს მხოლოდ ცალკეულ მამულებს და არავითარ ცნობებს არ იძლევა სხვადასხვა მამულის მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში კონცენტრაციის პროცესზე. გერმანიისა და ავსტრიის შესახებ კაუტ-

სკის მოჰყავს ფრიად მკაფიო მაგალითები ასეთი კონცენტრაციისა, რომელიც გვაძლევს მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების განსაკუთრებულ, უმაღლეს ფორმას, როცა რამდენიმე მსხვილი მამული ერთიანდება ერთ სამეურნეო მთლიანობად, რომელსაც ერთი ცენტრალური ორგანო განაგებს. ასეთი გიგანტური სასოფლო-სამეურნეო საწარმო საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ სოფლის მეურნეობის სრულიად სხვადასხვა დარგი და მაქსიმალურად ვისარგებლოთ მსხვილი წარმოების უპირატესობებით.

მკითხველი ხედავს, თუ რამდენად დაშორებულია კაუტსკი «მარქსის თეორიის» აბსტრაქტული და შაბლონური გაგებისაგან, თეორიისა, რომლის ერთგულიც ის რჩება. კაუტსკიმ გაგვაფრთხილა ავრიდებოდით ამ შაბლონურ გაგებას და იმ თავში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, საგანგებო პარაგრაფიც კი ჩაუმატა მრეწველობაში წვრილი წარმოების დაღუპვის შესახებ. ის ძალიან სწორად შენიშნავს, რომ მრეწველობაშიც მსხვილი წარმოების გამარჯვება არც ისე მარტივია, და არ სწარმოებს ისეთ ერთგვაროვან ფორმებში, როგორც ამაზე ფიქრს შეეჩვიენ ისინი, ვინც ლაპარაკობს, რომ მიწათმოქმედებაში მარქსის თეორიის გამოყენება შეუძლებელიაო. საკმარისია მივუთითოთ კაპიტალისტურ საშინაო მუშაობაზე, საკმარისია მოვიგონოთ უკვე მარქსის მიერ მოყვანილი შენიშვნა გარდამავალი და შერეული ფორმების უაღრეს სიჭრელეზე, ფორმებისა, რომელნიც ჩრდილავენ საფაბრიკო სისტემის გამარჯვებას. რამდენად უფრო რთულია საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში! სიმდიდრისა და ფუფუნების ზრდა იწვევს, მაგალითად, იმას, რომ მილიონერები ყიდულობენ უზარმაზარ მამულებს და ტყედ აქცევენ მათ თავის გასართობად. ავსტრიაში, ზალცბურგში, რქიანი პირუტყვის რიცხვი 1869 წლიდან კლებულობს. ამის მიზეზია ის, რომ ნადირობის მოყვარულმა მდიდრებმა შეიყიდეს ალპები. კაუტსკი ფრიად მოსწრებულად შენიშნავს: თუ სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემებს ავიღებთ ხელაღებით და უკრიტიკოდ, მაშინ სულ ადვილად შეგვიძლია აღმოვაჩინოთ წარმოე-

ბის კაპიტალისტური წესის ტენდენცია — გადააქციოს თანამედროვე ერები მონადირე ტომებად!

ბოლოს, იმ პირობათა შორის, რომელნიც საზღვარს უდებენ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას, კაუტსკი აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მუშების ნაკლებობა — იმის გამო, რომ სოფლები მიატოვა მოსახლეობამ — მსხვილ მეურნეებს აიძულებს დაურიგონ მიწა მუშებს, შექმნან წვრილი გლეხობა, რომელიც მუშახელს აწვდის მემამულეებს. სრულიად არაფრის მქონე სოფლის მუშა იშვიათია, ვინაიდან მიწათმოქმედებაში სოფლის მეურნეობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, დაკავშირებულია საშინაო მეურნეობასთან. სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების მთელი კატეგორიები ფლობენ მიწას ან სარგებლობენ მით. როცა წვრილი წარმოება მეტად ძლიერ იდევნება, — მ ს ხ ვ ი ლ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი ც დ ი ლ ო ბ ე ნ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ო ნ ა ნ ა ა ღ ო რ ძ ი ნ ო ნ ი გ ი მიწის გაყიდვის ან იჯარით გაცემის საშუალებით: «ყველა ევროპულ ქვეყანაში,—ამბობს ზერინგი, რომლიდანაც კაუტსკის მოჰყავს ციტატი, — უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მოძრაობა... სოფლის მუშები გახადონ ბინადრებად და დაურიგონ მათ მიწა». ამრიგად, წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში შეუძლებელია ვივარაუდოთ მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების სრული განდევნა, ვინაიდან თვითონ კაპიტალისტები და აგრარიები ცდილობენ ააღორძინონ იგი, როცა გლეხობის გაჩანაგებამ მეტისმეტად ფართო ხასიათი მიიღო. მარქსმა ჯერ კიდევ 1850 წელს აღნიშნა «Neue Rheinische Zeitung»-ში * მიწის კონცენტრაციისა და დაქუცმაცების ეს წრებრუნვა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.[41]

ბ-ნი ბულგაკოვი ფიქრობს, რომ კაუტსკის ამ მსჯელობაში არის «ცოტაოდენი სიმართლე, ხოლო უფრო მეტი კი შეცდომა». ისე როგორც ბ-ნ ბულგაკოვის ყველა განაჩენი, ესეც მეტად სუსტად და მეტად ბუნდოვანად არის დასაბუთებული.

* — «ახალი რეინის გაზეთი». რ ე დ.

ბ-ნი ბულგაკოვი ფიქრობს, რომ კაუტსკიმ «შეადგინა პროლეტარული წვრილი წარმოების თეორია», რომ ეს თეორია სწორია მხოლოდ ძლიერ განსაზღვრული რაიონისთვის. ჩვენ სხვა აზრისა ვართ. წვრილ მიწათმოქმედთა სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშაობა (ან, რაც იგივეა, ნადელიანი მოჯამაგირისა და დღიური მუშის ტიპი) — ეს ისეთი მ ო ვ ლ ე ნ ა ა, რ ო მ ე ლ ი ც ა მ ა თ უ ი მ ს ა ხ ი თ ყ ვ ე ლ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ს ჩ ვ ე ვ ი ა. ვერც ერთი მწერალი, რომელსაც სურს დაგვისურათოს კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში, ვერ შესძლებს მიჩქმალოს ეს მოვლენა, თუ ჭეშმარიტებას არ უღალატა*. კერძოდ გერმანიაში პროლეტარული წვრილი წარმოება რომ საყოველთაო ფაქტია, — ეს საფუძვლიანად დაამტკიცა კაუტსკიმ თავისი წიგნის VIII თავში: «გლეხის პროლეტარიზაცია». ბ-ნ ბულგაკოვის მითითება იმაზე, რომ «მუშების ნაკლებობაზე» ლაპარაკობდნენ სხვა მწერლებიც, მათ შორის ბ-ნი კაბლუკოვიცო, ა ფ უ ჩ ე ჩ ე ბ ს უ მ თ ა ვ რ ე ს მ ო მ ე ნ ტ ს: უდიდეს პრინციპულ განსხვავებას ბ-ნ კაბლუკოვის თეორიასა და კაუტსკის თეორიას შორის. ბ-ნ კაბლუკოვს, მისთვის ჩვეული Kleinbürger-ული** თვალსაზრისის გამო, მუშების ნაკლებობიდან ის «დასკვნა გამოჰყავს», რომ მსხვილი წარმოება ვერ იხეირებს და წვრილი წარმოება სიცოცხლისუნარიანიაო. კაუტსკი ზუსტად ახასიათებს ფაქტებს და აღნიშნავს მათს ნამდვილ მნიშვნელობას თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებაში: მიწათმფლობელთა კლასობრივი ინტერესები აიძულებს მათ ეცადონ მიწები დაურიგონ მუშებსო. ნადელიან სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშებს მათი კლასობრივი მდგომარეობა აყენებს წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა, მაგრამ უკანასკნელთან უფრო ახლოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

---

* შეად. «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», თავი II, § XII, გვ. 120 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 193. რ ე დ.). 'ფიქრობენ, რომ საფრანგეთში სოფლის მუშების დაახლოებით 75%-ს აქვს საკუთარი მიწა. იქვეა სხვა მაგალითებიც.

** — წვრილბურჟუაზიული. რ ე დ.

რთული პროცესის ერთი მხარე ბ-ნ კაბლუკოვს აჰყავს მსხვილი წარმოების უუნარობის თეორიამდე, კაუტსკი კი ანალიზს უკეთებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა იმ განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებსაც ჰქმნის მსხვილი წარმოების ინტერესები მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და განსაზღვრულ ისტორიულ ვითარებაში.

V

გადავდივართ კაუტსკის წიგნის შემდეგ თავზე, რომლის სათაური ჩვენ ახლა მოვიყვანეთ. კაუტსკი აქ იკვლევს, ჯერ-ერთი, «მიწის დაქუცმაცების ტენდენციას», მეორე, «გლეხების დამხმარე სარეწთა ფორმებს». ამრიგად, აქ დასურათებულია სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის ის მეტად მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომლებიც სჩვევია კაპიტალისტური ქვეყნების დიდ უმრავლესობას. მიწის დაქუცმაცება. — ამბობს კაუტსკი, — იწვევს გაძლიერებულ მოთხოვნას წვრილ ნაკვეთებზე წვრილი გლეხების მხრივ, რომლებიც მიწას უფრო ძვირად იძენენ, ვიდრე მსხვილი მეურნეები. ეს უკანასკნელი ფაქტი ზოგიერთ მწერალს მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილი მიწათმოქმედება მსხვილზე მაღლა დგასო. ამაზე კაუტსკი ფრიად მოსწრებულად უპასუხებს მიწის ფასისა და ბინების ფასის ერთმანეთთან შედარებით: ცნობილია, რომ პატარა და იაფი ბინები უ ფ რ ო ძ ვ ი რ ი ჯდება, მოცულობის (ერთი კუბ. საჟენი და სხვ.) ერთეულზე თუ ვიანგარიშებთ, ვიდრე დიდი და ძვირი ბინები. მიწის წვრილი ნაკვეთების მაღალი ფასი აიხსნება არა წვრილი მიწათმოქმედების უპირატესობით, არამედ გლეხის განსაკუთრებით დაბეჩავებული მდგომარეობით. თუ რამდენად მრავალრიცხოვანი პაწია მეურნეობა წარმოშვა კაპიტალიზმმა, ეს ჩანს შემდეგი ციფრებიდან: გერმანიაში (1895) $5^1/_2$ მილიონ სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან $4^1/_4$ მლნ., ე. ი. $^3/_4$-ზე მეტს უჭირავს 5 ჰექტარზე ნაკლები ფართობი (58%-ს 2 ჰექტარზე ნაკლები). ბელგიაში 78%-ს ($709^1/_2$ ათასს 909-დან) 2 ჰექტარზე ნაკ-

ლები. ინგლისში (1895) 520 ათასიდან 118 ათასს აქვს 2 ჰექტარზე ნაკლები. საფრანგეთში (1892) 2,2 მილიონს (5,7 მილიონიდან) აქვს 1 ჰექტარზე ნაკლები; 4 მილიონს — 5 ჰექტარზე ნაკლები. ბ-ნი ბულგაკოვი ფიქრობს დაარღვიოს კაუტსკის მტკიცება ამ პაწია მეურნეობათა უაღრესი არარაციონალობის შესახებ (ნაკლებობა პირუტყვის, ინვენტარის, ფულის, მუშახელის, რომელიც გარესაშოვარს ეძებს) იმაზე მითითებით, რომ მიწას «ძლიერ ხშირად» (??) ამუშავებენ ბარით «წარმოუდგენელი ინტენსიობით», თუმცა... «სამუშაო ძალის უაღრესად არარაციონალური ხარჯვის პირობებში». თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რომ წვრილი გლეხის მიერ მიწის საუცხოოდ დამუშავების ცალკეული მაგალითები ისევე ვერ დაარღვევს ამ ტიპის მეურნეობათა კაუტსკის მიერ მოცემულ საერთო დახასიათებას, როგორც წვრილი მეურნეობის მეტი შემოსავლიანობის ზემომოყვანილი მაგალითი ვერ არღვევს დებულებას მსხვილი წარმოების უპირატესობის შესახებ. კაუტსკი რომ სავსებით მართალია, როცა ამ მეურნეობებს ს ა ე რ თ ო დ დ ა მ თ ლ ი ა ნ ა დ* პროლეტარულ მეურნეობებს აკუთვნებს, ეს აშკარად ჩანს გერმანიის 1895 წლის აღწერით გამომჟღავნებული ფაქტიდან იმის შესახებ, რომ უამრავ წვრილ მეურნეობას ვერ გააქვს თავი უგარესაშოვროდ. 4,7 მილ. მეურნის საერთო რიცხვიდან, რომლებიც დამოუკიდებლად ცხოვრობენ სოფლის მეურნეობით, 2,7 მილიონს ანუ 56%-ს აქვს კიდევ გარესაშოვარი. 3,2 მილ. მეურნეობიდან, რომელთაც 2 ჰექ-

* ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს «საერთოდ და მთლიანად», ვინაიდან, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ამ მეურნეობებსაც, რომლებსაც მიწის სრულიად უმნიშვნელო ფართობი უჭირავთ, შეუძლიათ მოგვცენ ბევრი პროდუქტი და შემოსავალი (ვენახი, ბოსტანი და სხვ.). მაგრამ რას იტყოდით თქვენ იმ ეკონომისტზე, რომელიც: რუსეთში უცხენო გლეხთა ზრდის ფაქტზე მითითებას უარყოფდა, ვთქვათ, მოსკოვის გარეუბნების იმ მებოსტნეებზე მითითებით, რომელთაც ზოგჯერ უცხენოდაც შეუძლიათ რაციონალური და მომგებიანი მიწათმოქმედება ჰქონდეთ?

ტარზე ნაკლები მიწა აქვთ, მხოლოდ 0,4 მილიონს ანუ 13%-ს არა აქვს გარესაშოვარი! მთელს გერმანიაში 5½ მილიონ სოფლის მეურნეობიდან 1½ მ ი ლ ი ო ნ ი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაქირავებულ მუშებს (+704 ათასი ხელოსანი). და ამის შემდეგ ბ-ნი ბულგაკოვი ბედავს იმის მტკიცებას, რომ პროლეტარული წვრილი მიწათმფლობელობის თეორია «აგებულია» კაუტსკის მიერ! *. გლეხობის

* მე-15 გვერდის შენიშვნაში ბ-ნი ბულგაკოვი ამბობს, რომ კაუტსკი იმეორებს პურის ფასებზე დაწერილი წიგნის ავტორთა შეცდომას[42] იმ მოსაზრებით, რომ სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ არის დაინტერესებული პურზე ბაჟების დადებითო. ჩვენ ვერც ამ აზრს დავეთანხმებით. პურის ფასებზე დაწერილი წიგნის ავტორებმა დაუშვეს მრავალი შეცდომა (რომლებიც არაერთხელ მაქვს ნაჩვენები ზემოთ ნახსენებ წიგნში), მაგრამ იმ ფაქტის აღიარებაში, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არ არის დაინტერესებული პურზე მაღალი ფასების არსებობით, არავითარი შეცდომა არ არის. შეცდომაა მხოლოდ მასის ამ ინტერესებიდან უ შ უ ა ლ ო დასკვნის გამოტანა და მისი მიყენება მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესისადმი. ბბ. ტუგან-ბარანოვსკიმ და სტრუვემ სამართლიანად აღნიშნეს, რომ პურის ფასების შეფასების ს ა ზ ო მ ი უნდა იყოს ის, ხელს უწყობენ თუ არა ეს ფასები შრომამიგების ასე თუ ისე სწრაფად განდევნას კაპიტალიზმის მიერ, სწევენ თუ არა ისინი წინ საზოგადოებრივ განვითარებას. ეს არის ფაქტის საკითხი, და მე ამ საკითხს ვწყვეტ ხხვანაირად, ვიდრე სტრუვე. მე ვფიქრობ, რომ სოფლის მეურნეობაში დაბალი ფასების გამო კაპიტალიზმის განვითარების შენელების ფაქტი სრულებით არ არის დამტკიცებული. პირიქით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა და ის ბიძგი, რომელსაც მიწათმოქმედების სპეციალიზაციას აძლევს პურის ფასების დაწევა, გვიჩვენებს, რომ დაბალი ფასები წ ი ნ ს წ ე ვ ე ნ კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთის სოფლის მეურნეობაში (შად. «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 147, შენ. 2, III თავში, § V) (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 233—234. რ ე დ.). პურის ფასების დაწევა ღრმა გარდამქმნელ გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ ურთიერთობაზე სოფლის მეურნეობაში.

ბ-ნი ბულგაკოვი ამბობს: «კულტურის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა პურზე ფასების აწევაო» (ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ბ-ნი ბ. ს. «ნაჩალო»-ს იმავე წიგნის 299 გვერდზე «შინაურ მიმოხილვაში»). ეს

პროლეტარიზაციის ფორმები (გლეხთა დამხმარე სარეწთა ფორმები) გამოკვლეულია კაუტსკის მიერ ფრიად საფუძვლიანად (S. 174 — 193). სამწუხაროდ, ადგილი საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ფორმების დახასიათებაზე (სასოფლო-სამეურნეო მუშაობა დაქირავებით, შინამრეწველობა — Hausindustrie — «კაპიტალისტური ექსპლოატაციის უსაზიზღრესი სისტემა»; მუშაობა ფაბრიკებსა და მაღაროებში და სხვ.). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კაუტსკი გარესაშოვართა სწორედ ისეთსავე შეფასებას იძლევა, როგორსაც იძლევიან რუსი მეცნიერებიც. საშოვარზე გასული მუშები უფრო განუვითარებელნი არიან და მათ უფრო დაბალი მოთხოვნილებები აქვთ, ვიდრე ქალაქის მუშებს, და ხშირად მავნე გავლენას ახდენენ ამ უკანასკნელთა ცხოვრების პირობებზე. «მაგრამ იმ ადგილებისთვის, საიდანაც ისინი გამოდიან და სადაც ბრუნდებიან, ისინი პროგრესის პიონერები არიან... ისინი ითვისებენ ახალ მოთხოვნილებებს, ახალ იდეებს» (S. 192), მიყრუებული ადგილების გლეხობაში ისინი აღვიძებენ შეგნებას და ადამიანური ღირსების გრძნობას, აღვიძებენ რწმენას საკუთარი ძალისადმი.

დასასრულ გავარჩიოთ ბ-ნ ბულგაკოვის უკანასკნელი, განსაკუთრებით მკაცრი თავდასხმა კაუტსკიზე. კაუტსკი ამბობს, რომ გერმანიაში 1882-დან 1895 წლამდე რიცხვობრივად ყველაზე მძლავრად გაიზარდა ყველაზე წვრილი (ფართობის მიხედვით) და ყველაზე მსხვილი მეურნეობანი (ასე რომ მიწის პარცელაცია სწარმოებს საშუალო მეურნეობათა ხარჯზე).

არ არის ზუსტი. «კაპიტალის» III ტომის[48] VI განყოფილებაში მარქსმა ცხადჰყო, რომ მიწაში დაბანდებული დამატებითი კაპიტალის ნაყოფიერება შეიძლება შემცირდეს, მაგრამ შეიძლება მან კიდევაც აიწიოს; როცა პურის ფასი ეცემა, რენტა შეიძლება დაეცეს, მაგრამ შეიძლება კიდევაც გაიზარდოს. მაშასადამე, ინტენსიფიკაცია, — სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში, — შეიძლება გამოიწვიოს სრულიად სხვადასხვა პირობებმა, პურის ფასების დონის დამოუკიდებლად.

და მართლაც, იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც უჭირავთ ფართობი 1 ha-მდე, გადიდდა 8,8%-ით; იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც აქვთ 5-დან 20 ha-მდე — 7,8%-ით, ხოლო მეურნეობათა რიცხვი 1 000 ha-ზე მეტი ფართობით — 11%-ით (შუათანა თანრიგები თითქმის არ შეცვლილა, ხოლო სოფლის მეურნეობათა რიცხვი საერთოდ გადიდდა 5,3%-ით). ბ-ნი ბულგაკოვი დიდად აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ პროცენტული შეფარდებანი აღებულია უმსხვილეს მეურნეობათა შესახებ, რომელთა რიცხვი უმნიშვნელოა (515 და 572 აღნიშნულ წლებში). ბ-ნ ბულგაკოვის აღშფოთება სრულიად უსაფუძვლოა. მას ავიწყდება, რომ ეს რიცხვობრივად უმნიშვნელო საწარმოები — ყველაზე მსხვილი საწარმოებია, რომ მათ თითქმის იმდენივე მიწა უჭირავთ, რამდენიც 2,3 — 2,5 მილიონ პაწია დაქუცმაცებულ მეურნეობას (1 ha-მდე). თუ მე ვიტყვი, რომ უდიდესი ფაბრიკების რიცხვი, რომელთაც ჰყავთ 1 000 და მეტი მუშა, სახელმწიფოში გაიზარდა, ვთქვათ, 51-დან 57-მდე, ე. ი. 11%-ით, მაშინ როდესაც მთელი ფაბრიკების რიცხვი გაიზარდა 5,3%-ით, — განა ეს იმის მაჩვენებელი არ იქნება, რომ მსხვილი წარმოება იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ფაბრიკების რიცხვი შეიძლება უმნიშვნელოც იყოს მთელი ფაბრიკების რიცხვთან შედარებით? ის ფაქტი, რომ ფართობის წილის მიხედვით ყველაზე მეტად გაიზარდა გლეხთა მეურნეობანი, 5-დან 20 ha-მდე (იხ. ბ-ნი ბულგაკოვი, გვ. 18), კაუტსკიმ მშვენივრად იცის და მას იგი შემდეგ თავში განიხილავს.

შემდეგ კაუტსკი იღებს სხვადასხვა თანრიგის მეურნეობათა ფართობის რაოდენობაში მომხდარ ცვლილებებს 1882 და 1895 წლებში. როგორც ირკვევა, ყველაზე მეტად გაზრდილა (+563 477 ha) გლეხთა მეურნეობანი 5-დან 20 ha-მდე, შემდეგ უმსხვილესი მეურნეობანი, 1 000 ha-ზე ზევით (+94 014),—მაშინ როდესაც იმ მეურნეობათა ფართობი, რომელთაც უჭირავთ 20 — 1 000 ha, შემცირებულია 86 809 ha-ით. იმ მეურნეობებმა, რომელთაც ეჭირათ 1 ha-მდე,

თავიანთი ფართობი გაადიდეს 32 683 ha-ით, ხოლო მეურნეობებმა 1—5 ha-მდე — 45 604 ha-ით.

და კაუტსკი დაასკვნის: იმ მეურნეობათა ფართობის შემცირება, რომელთაც უჭირავთ 20-დან 1 000 ჰექტარამდე (რასაც დიდად აწონასწორებს 1 000 და მეტ ჰექტარიან მეურნეობათა ფართობის გადიდება), დამოკიდებულია არა მსხვილი წარმოების დაქვეითებაზე, არამედ მის ინტენსიფიკაციაზე. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეს ინტენსიფიკაცია წინ მიდის გერმანიაში და ხშირად მეურნეობის ფართობის შემცირებას მოითხოვს. მსხვილი წარმოების ინტენსიფიკაცია რომ ხდება, ეს იქიდან ჩანს, რომ იზრდება ორთქლის მანქანების გამოყენება და ამასთანავე მეტისმეტად იზრდება სასოფლო-სამეურნეო მოსამსახურეთა რიცხვი, რომელთაც გერმანიაში მხოლოდ მსხვილი წარმოება იყენებს. მამულების მმართველთა (ინსპექტორთა), ზედამხედველთა, ბუხჰალტერთა და სხვ. რიცხვი გაიზარდა 1882-დან 1895 წლამდე 47 465-დან 76 978-მდე, 62%-ით; ამ მოსამსახურეებში ქალთა პროცენტი გაიზარდა 12%-დან 23,4%-მდე.

«ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად უფრო ინტენსიური და უფრო კაპიტალისტური გახდა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება 80-იანი წლების დასაწყისიდან. ხოლო იმის ახსნას, თუ ამასთან ერთად რატომ გაადიდეს თავიანთი ფართობი სწორედ საშუალო გლეხურმა მეურნეობებმა, ჩვენ დავინახავთ შემდეგ თავში» (S. 174).

ბ-ნი ბულგაკოვი ასეთ დასურათებაში ხედავს «აშკარა წინააღმდეგობას სინამდვილესთან», მაგრამ მისი მოსაზრებანი ამ შემთხვევაშიც სრულებით ვერ ამართლებს ასეთს მტკიცე და გაბედულ განაჩენს და ოდნავადაც ვერ არყევს კაუტსკის დასკვნებს. «უწინარეს ყოვლისა, მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რომ ის კიდეც მოხდეს, ვერ ხსნის კიდევ ნახნავის შედარებითსა და აბსოლუტურ შემცირებას, 20-დან 1 000-მდე ფართობიან მეურნეობათა ჯგუფის მთელი ხვედრითი წონის შემცირებას. ნახნავის სივრცე შეიძლებოდა გაზრდილიყო მეურნეობათა რიცხვის ზრდასთან ერთად; უკანასკ-

ნელი უნდა გაზრდილიყო მხოლოდ (sic!) რაოდენადმე უფრო სწრაფად, ასე რომ თვითეული ამა თუ იმ მეურნეობის ფართობის სიდიდე უფრო ნაკლები გახდებოდა» *.

ჩვენ განზრახ ამოვწერეთ მთლიანად ეს მსჯელობა, საიდანაც ბ-ნ ბულგაკოვს გამოჰყავს ის დასკვნა, თითქოს «საწარმოს სიდიდის შემცირება ინტენსივობის ზრდის გავლენით წმინდა წყლის ფანტაზია იყოს» (sic!), იმიტომ რომ ეს მსჯელობა ნათლად გვიჩვენებს «სტატისტიკის მონაცემების» ბოროტად გამოყენების სწორედ იმ შეცდომას, რომლის შესახებ ასე დაბეჯითებით გვაფრთხილებდა კაუტსკი. მეურნეობათა ფ ა რ თ ო ბ ი ს სტატისტიკას ბ-ნი ბულგაკოვი უყენებს საჭიროებლობამდე სასტიკ მოთხოვნებს და ამ სტატისტიკას ისეთ მნიშვნელობას აძლევს, როგორიც მას არასოდეს არ ექნება. მართლაცდა, რატომ უნდა გადიდებულიყო ნახნავის ფართობი «რაოდენადმე»? მეურნეობის ინტენსიფიკაციას (რომელიც ხანდახან, როგორც დავინახეთ, იწვევს ცენტრიდან დაშორებული მამულების ნაჭრების გლეხებისთვის მიყიდვას ან მათთვის იჯარით მიცემას) რატომ არ «უნდა» გადაეწია მეურნეობათა განსაზღვრული რაოდენობა უმაღლესი თანრიგიდან დაბალ თანრიგში? რატომ არ «უნდა» შეემცირებინა მას იმ მეურნეობათა ნახნავის ფართობი, რომელთაც 20 — 1 000 ჰექტარი უჭირავთ? ** სამრეწველო სტატისტიკაში უდიდესი ფაბრიკების წ ა რ მ ო ე ბ ი ს ჯ ა მ ი ს შემცირება მსხვილი წარმოების დაქვეითების მაჩვენებელი იქნებოდა. დიდი მამულების ფ ა რ თ ო ბ ი ს 1,2%-ით შემცირება კი სრულიად არაფერს ამბობს და ვ ე რ ც ი ტ ყ ვ ი ს იმ წარმოების სიდიდეზე, რომელიც ხშირად იზრდება მეურნეობის ფართობის შემცირე-

* ბ-ნ ბულგაკოვს მოჰყავს კიდევ უფრო დაწვრილებითი მონაცემები, მაგრამ ისინი სრულებით ვერაფერს მატებენ კაუტსკის მონაცემებს; ეს მონაცემებიც გვიჩვენებენ მეურნეობათა რიცხვის იმავე ზრდას მსხვილ მფლობელთა ერთ ჯგუფში და მიწის ფართობის შემცირებას.

** ამ თანრიგში შემცირება არის 16 986 101-დან 16 802 115 ჰექტარამდე, ე. ი. მთელი... 1,2%-ით! როგორ დამაჯერებლად მეტყველებს ეს მსხვილი წარმოების იმ «სულის ღაფვაზე», რომელსაც ბ-ნი ბულგაკოვი ამჩნევს?

ბასთან ერთად. ჩვენ ვიცით, რომ ევროპაში საერთოდ ხდება მარცვლეულთა მეურნეობის ის განდევნა მესაქონლეობის მეურნეობებით, რაც განსაკუთრებული სიძლიერით სწარმოებს ინგლისში. ჩვენ ვიცით, რომ ეს გადასვლა ხანდახან მოითხოვს მეურნეობათა ფართობის შემცირებას, მაგრამ განა უცნაური არ იქნებოდა მეურნეობათა ფართობის შემცირებიდან ის დასკვნა გამოგვეყვანა, რომ მსხვილი წარმოება ეცემა? ამიტომ, სხვათა შორის, ის «მჭერმეტყველი ცხრილი», რომელიც ბ-ნ ბულგაკოვს მოჰყავს მე-20 გვერდზე და რომელიც გვიჩვენებს მსხვილ და წვრილ მეურნეობათა რიცხვის შემცირებას და იმ საშუალო მეურნეობათა (5 — 20 ჰექტ.) რიცხვის გადიდებას, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი მინდვრის სამუშაოთათვის, — სრულიადაც კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მეურნეობის სისტემაში მომხდარ ცვლილებებზეც.

გერმანიაში მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება რომ უფრო ინტენსიური და უფრო კაპიტალისტური გახდა, ეს ჩანს, ჯერ-ერთი, იქიდან, რომ სასოფლო-სამეურნეო ორთქლის მანქანები 1879-დან 1897 წლამდე გაიზარდა ხუთჯერ. თავის პასუხში ბ-ნი ბულგაკოვი ტყუილად ცდილობს დაიმოწმოს ის გარემოება, რომ საერთოდ ყველა (და არა ორთქლის) მანქანების აბსოლუტური რიცხვი წვრილ მეურნეობებში (20 ჰექტარამდე) გაცილებით მეტია, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში და რომ ამერიკაში მანქანებს იყენებენ ექსტენსიური მეურნეობის დროს. ახლა ლაპარაკია არა ამერიკაზე, არამედ გერმანიაზე, სადაც bonanza farms არ არსებობს. აი მონაცემები გერმანიის იმ მეურნეობათა პროცენტის შესახებ (1895), რომლებიც იყენებენ ორთქლის გუთნებსა და ორთქლის სალეწ მანქანებს:

	იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც იყენებენ ორთქლის	
მეურნეობანი	გუთნებს	სალეწ მანქანებს
2 ჰექტარამდე	0,00	1,08
2 —5 „	0,00	5,20
5 – 20 „	0,01	10,95
20—100 „	0,10	16,60
100 და მეტი ჰექტ.	5,29	16,29

და თუ ახლა გერმანიის სოფლის მეურნეობაში ორთქლის მანქანების მთელი რაოდენობა 5-ჯერ გადიდდა — განა ეს არ ამტკიცებს მსხვილი წარმოების ინტენსივობის ზრდას? არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ, როგორც ამას სჩადის ისევ ბ-ნი ბულგაკოვი მე-21 გვერდზე, რომ საწარმოს სიდიდის ზრდა სოფლის მეურნეობაში ყოველთვის არ ეფარდება მეურნეობის ფართობის ზრდას.

მეორე, ის ფაქტი, რომ მსხვილი წარმოება უფრო კაპიტალისტური გახდა, იქიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა. ბულგაკოვი კაუტსკის ამ მოსაზრებას ტყუილად უწოდებს «კურიოზს»: «ოფიცერთა რიცხვის ზრდა ჯარის შემცირების დროს» — სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშათა რიცხვის შემცირების დროს. ჩვენ აქაც ვიტყვით: rira bien qui rira le dernier! *. კაუტსკი არა თუ არ ივიწყებს სასოფლო-სამეურნეო მუშების რაოდენობის შემცირების ფაქტს, არამედ დაწვრილებით ეხება მას მთელი რიგი ქვეყნების მიმართ; მხოლოდ ეს ფაქტი აქ სრულიად არაფერ შუაშია, იმიტომ რომ მთელი სოფლის მოსახლეობაც ხომ კლებულობს, ხოლო პროლეტარულ წვრილ მიწათმოქმედთა რიცხვი მატულობს. ვთქვათ, მსხვილი მემამულე გადავიდა მარცვლეულის წარმოებიდან ჭარხლის წარმოებაზე და მის გადამუშავებაზე შაქრის მისაღებად (გერმანიაში 1871/72 წელს გადამუშავებულ იქნა 2,2 მილიონი ტონა ჭარხალი, 1881/82 წელს — 6,3 მილიონი, 1891/92 წელს — 9,5 მილიონი, 1896/97 წელს — 13,7 მილიონი). მამულის შორეული ნაწილები მას შეეძლო კიდევაც მიეყიდნა ან ოჯარით მიეცა წვრილი გლეხებისთვის, განსაკუთრებით თუ გლეხთა ცო-

* მართლაც, კურიოზულია ბ-ნ ბულგაკოვის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა, შეიძლება, მოწმობდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ზრდას, მ ხ ო ლ ო დ ა რ ა (!) მსხვილი წარმოების ინტენსივობის ზრდას. ჩვენ კი აქამდე ვფიქრობდით, რომ ინტენსივობის ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა ზრდა (რომელიც დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ა წ ე რ ი ლ ი და შ ე ფ ა ს ე ბ უ ლ ი ა ქ ვ ს კ ა უ ტ ს კ ი ს X თ ა ვ შ ი).

ლები და ბავშვები მას სჭირდება დღიურ მომუშავეებად ჭარხლის პლანტაციებზე. დავუშვათ, რომ მას ხმარებაში შეწოაქვს ორთქლის გუთანი, რომელიც განდევნის წინანდელ მეგუთნეებს (საქსონიის ჭარხლის მეურნეობებში — «ინტენსიური კულტურის ამ სანიმუშო მეურნეობებში» * — ორთქლის გუთნები ახლა საყოველთაო ხმარებაშია). დაქირავებულ მუშათა რიცხვი შემცირდება. უმაღლეს მოსამსახურეთა რიცხვი (ბუხჰალტრები, მმართველები, ტექნიკოსები და სხვ.) აუცილებლად გაიზრდება. ნუთუ ბ-ნი ბულგაკოვი უარჰყოფს იმას, რომ ჩვენ აქ ვხედავთ ინტენსივობისა და კაპიტალიზმის ზრდას მსხვილ წარმოებაში? ნუთუ ის დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ გერმანიაში ამის მსგავსი რამ არაფერი ხდება?

რათა დავასრულოთ კაუტსკის წიგნის VIII თავის გადმოცემა გლეხების პროლეტარიზაციის შესახებ, აუცილებელია მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი: «რაც ჩვენ აქ გვაინტერესებს, — ამბობს კაუტსკი ჩვენს მიერ ზემომოყვანილი ციტატის შემდეგ, რომელიც მოყვანილი აქვს ბ-ნ ბულგაკოვსაც, — ეს ის ფაქტია, რომ გერმანიაში, ისე როგორც სხვა ადგილებშიც, სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაცია წინ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო მამულების პარცელირების ტენდენცია უკვე აღარ არსებობს გერმანიაში. 1882-დან 1895 წლამდე სოფლის ყველა მეურნეობის რიცხვი გაიზარდა 281 000-ით. აქედან დიდი უმრავლესობა მოდის პროლეტარული მეურნეობების გადიდებაზე 1 ჰექტარამდე. ეს მეურნეობები გადიდდა 206 000-ით.

«როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის მოძრაობა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის მოძრაობისაგან სრულიად განსაკუთრებული, ფრიად განსხვავებული რამაა. წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეურნეობათა ცენტრალიზაციის ტენდენცია სოფლის მეურნეობაში არ იწვევს წვრილი წარმოების სრულ განადგურებას. როცა ეს ტენდენცია ძლიერ

---

* Kärger, მოჰყავს კაუტსკის, S. 45 (კერგერი, მოჰყავს კაუტსკის, ვვ. 45. რ ე დ.).

ზორს მიდის, ის იწვევს საწინააღმდეგო ტენდენციას, ასე რომ ცენტრალიზაციის ტენდენცია და პარცელაციის ტენდენცია ერთმანეთს სცვლიან. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე ტენდენცია შეიძლება აგრეთვე ერთდაიმავე დროს მოქმედებდეს. სოფლის მეურნეობათა რიცხვი იზრდება, მათი პატრონები გამოდიან სასაქონლო ბაზარზე, როგორც პროლეტარები, სამუშაო ძალის გამყიდველნი... სოფლის ამ წვრილ მეურნეთ, როგორც საქონლის — სამუშაო ძალის გამყიდველთ, ყველა არსებითი ინტერესი საერთო აქვთ სამრეწველო პროლეტარიატის ინტერესებთან, ხოლო მათი მიწათმფლობელობა არა ჰქმნის მათში ანტაგონიზმს სამრეწველო პროლეტარიატთან. თავისი მიწა ასე თუ ისე ათავისუფლებს პარცელურ გლეხს სურსათ-სანოვაგით მოვაჭრისაგან, მაგრამ იგი ვერ ათავისუფლებს მას კაპიტალისტ-მეწარმის ექსპლოატაციისაგან, სულ ერთია — მრეწველი იქნება იგი თუ სასოფლო-სამეურნეო მეწარმე» (S. 174).

შემდგომ სტატიაში ჩვენ გადმოვცემთ კაუტსკის წიგნის დანარჩენ ნაწილს და მივცემთ მას საერთო შეფასებას; გზა და გზა ჩვენ განვიხილავთ იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებსაც ბ-ნი ბულგაკოვი გამოსთქვამს თავის შემდგომ სტატიაში.

სტატია მეოთხე

I

თავისი წიგნის მეცხრე თავში («სავაჭრო მიწათმოქმედების მზარდი სიძნელენი») კაუტსკი გადადის იმ წინააღმდეგობათა ანალიზზე, რომელნიც კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას მოსდგამს. იმ მოსაზრებებიდან, რომლებიც ბ-ნ ბულგაკოვს ამ თავის წინააღმდეგ მოჰყავს და რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, ჩანს, რომ კრიტიკოსს სავსებით სწორად ვერ გაუგია ამ «სიძნელეთა» საერთო მნიშვნელობა. არის ხოლმე ისეთი «სიძნელენი», რომლებიც შეადგენენ «დაბრკოლებას» რაციონალური სოფლის მეურნეობის სრული განვითარებისთვის და იმავე დროს ბიძგს აძლევენ კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარებას. მაგ., ამ «სიძნელეთა» შორის კაუტსკი აღნიშნავს სოფლის გაუკაცრიელებას. უდავოა, რომ სოფლიდან საუკეთესო და ყველაზე ინტელიგენტურ მუშაკთა გასახლება არის «დაბრკოლება» რაციონალური მიწათმოქმედების სრული განვითარებისთვის, მაგრამ უდავოა ისიც, რომ სოფლის მეურნენი ამ დაბრკოლებას ებრძვიან ტექნიკის განვითარებით, მაგალითად, მანქანების შემოღებით.

კაუტსკი იკვლევს შემდეგ «დაბრკოლებებს»: a) მიწის რენტას, b) მემკვიდრეობის უფლებას, c) მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვას — მაიორატები (ფიდეიკომისები, Anerbenrecht) [44], d) ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციას, e) სოფლის გაუკაცრიელებას.

მიწის რენტა არის ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რჩება მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის საშუალო მოგების გამოკლების შემდეგ. მიწის საკუთრების მონოპოლია შესაძლებლობას აძლევს მიწისმფლობელს მიითვისოს ეს ნამეტი, მასთან მიწის ფასი (=კაპიტალიზებული რენტა) გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს რენტის ერთხელ მიღწეულ მაღალ დონეს. გასაგებია, რომ რენტა «აძნელებს» მიწათმოქმედების სრულს რაციონალიზაციას: საიჯარო სისტემის დროს სუსტდება გაუმჯობესებათა შეტანის იმპულსი და სხვ., იპოტეკური სისტემის დროს კაპიტალის უდიდეს ნაწილს აბანდებენ არაწარმოებაში, არამედ მიწის ყიდვაში. ბ-ნი ბულგაკოვი თავის პასუხში აღნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ იპოტეკური დავალიანების ზრდაში «საშიში არაფერია». ის ივიწყებს მხოლოდ, რომ კაუტსკიმ სწორედ ამ აზრით და არა «სხვა აზრით» მიგვითითა უკვე იპოტეკების ზრდის აუცილებლობაზე სოფლის მეურნეობის აყვავების დროსაც (იხ. ზემოთ, სტატია პირველი, II). ამჟამად კი კაუტსკი აყენებს საკითხს არა იმის შესახებ, «საშიშია» თუ არა იპოტეკების ზრდა, არამედ იმაზე, რა დაბრკოლებები უშლის ხელს კაპიტალიზმს სავსებით შეასრულოს თავისი მისია. მეორე, ბ-ნ ბულგაკოვის აზრით, «საეჭვოა სწორი იყოს რენტის ზრდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ დაბრკოლება... რენტის ზრდა, მისი გადიდების შესაძლებლობა სოფლის მეურნეობისთვის დამოუკიდებელი სტიმულია, რაც იწვევს ტექნიკურ და სხვა ყოველგვარ პროგრესს» (პროცესს— როგორც ეტყობა — აქ ბეჭდვითი შეცდომაა). კაპიტალისტური მიწათმოქმედების პროგრესის სტიმულია მოსახლეობის ზრდა, კონკურენციის ზრდა, ინდუსტრიის ზრდა, რენტა კი ის ხარჯია, რომელსაც მიწათმფლობელობა ახდევინებს საზოგადოებრივ განვითარებას, ტექნიკის ზრდას. ამიტომ რენტის ზრდის გამოცხადება პროგრესის «დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ სტიმულად» სწორი არ არის. თეორიულად სავსებით შესაძლებელია კაპიტალისტური წარმოების შეთავსება მიწის კერძო საკუთრების გაუქმებასთან, მიწის ნაციონალიზაციასთან (Kautsky, S. 207), როცა აბსოლუტური რენტა სრულებით არ იქნებოდა,

ხოლო დიფერენციულ რენტას კი სახელმწიფო მიიღებდა. ამასთან აგრონომიული პროგრესის სტიმული კი არ შენელდებოდა, არამედ, პირიქით, უაღრესად გაძლიერდებოდა.

«არა არის რა იმაზე მეტი შეცდომა, — ამბობს კაუტსკი, — როგორც იმის ფიქრი, თითქოს სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელი იყოს მამულებზე ფასების აწევა (in die Höhe treiben) ან ხელოვნურად მაღალ დონეზე მათი გაჩერება. ეს ხელსაყრელია ახლანდელ (augenblicklichen) მიწათმფლობელთათვის, იპოტეკური ბანკებისთვის, იმათთვის, ვინც სპეკულაციას ეწევა მამულებით, მაგრამ ეს სრულებით ხელსაყრელი არ არის სოფლის მეურნეობისთვის, მით უფრო მისი მომავლისთვის, სოფლის მეურნეთა მომავალი თაობისთვის» (199). მიწის ფასი კი კაპიტალიზებული რენტაა.

სავაჭრო მიწათმოქმედების მეორე სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ის აუცილებლად მოითხოვს მიწის კერძო საკუთრებას, ეს კი იმას იწვევს, რომ როცა მიწა მემკვიდრეობით გადადის, ის ან ქუცმაცდება (და მიწის ეს დაქუცმაცება ალაგ-ალაგ ტექნიკურ რეგრესსაც კი იწვევს), ან იპოტეკურ ვალში ვარდება (როცა მემკვიდრე, რომელმაც მიწა მიიღო, დანარჩენ თანამემკვიდრეებს უხდის ფულად კაპიტალს, რომელსაც სესხულობს მიწის დაგირავებით). ბ-ნი ბულგაკოვი უსაყვედურებს კაუტსკის, თითქოს ის «თავის გადმოცემაში ივიწყებდეს» მიწის მობილიზაციის «დადებითს მხარეს». ეს საყვედური უეჭველად უსაფუძვლოა, ვინაიდან კაუტსკიმ თავისი წიგნის როგორც ისტორიულ (კერძოდ პირველი განყოფილების III თავში, რომელიც განიხილავს ფეოდალურ მიწათმფლობელობას და კაპიტალისტური მიწათმფლობელობით მისი შეცვლის მიზეზებს), ისე გამოყენებითს ნაწილში * ნათლად დაანახვა მკითხველს მიწის კერძო საკუთ-

* კაუტსკიმ გადაჭრით გაილაშქრა მიწის მობილიზაციის ყოველგვარ შუასაუკუნეობრივ შეზღუდვათა წინააღმდეგ, მაიორატების (ფიდეიკომისებისა და Anerbenrecht-ის) წინააღმდეგ და შუა საუკუნეების გლეხური თემისთვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ (S. 332) და სხვ.

რების, მიწათმოქმედების კონკურენციისადმი დამორჩილებისა და, მაშასადამე, მიწის მობილიზაციის დადებითი მხარე და ისტორიული აუცილებლობა. რაც შეეხება ბ-ნ ბულგაკოვის მეორე საყვედურს კაუტსკის მიმართ, სახელდობრ იმის შესახებ, თითქოს უკანასკნელი არ იკვლევდეს იმ პრობლემას, რომელიც «მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ადგილის მოსახლეობის ზრდის სიდიდე სხვადასხვანაირია», — ეს საყვედური ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ნუთუ ბ-ნი ბულგაკოვი მოელოდა, რომ კაუტსკის წიგნში იპოვიდა ეტიუდებს პოპულაციონისტიკის დარგში?

ჩვენ არ შევჩერდებით მაიორატების საკითხზე, რომელიც არაფერს ახალს არ წარმოადგენს (ზემომოყვანილს შემდეგ) და გადავდივართ ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციის საკითხზე. ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცება, თითქოს კაუტსკის წიგნში «უარყოფითს მხარეებს დაპირისპირებული არ ჰქონდეს დადებითი მხარეები და უპირველეს ყოვლისა ქალაქის მნიშვნელობა, როგორც სოფლის მეურნეობის ბაზრისა», — პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქს, როგორც სოფლის მეურნეობის ბაზარს, კაუტსკის სრულიად გარკვევით აქვს აღნიშნული იმ თავის პ ი რ ვ ე ლ ს ა ვ ე გ ვ ე რ დ ზ ე, რომელიც იკვლევს «თანამედროვე სოფლის მეურნეობას» (S. 30 u. ff.) *. სწორედ «ქალაქის ინდუსტრიას» (S. 292) მიაწერს კაუტსკი ძირითად როლს მიწათმოქმედების გარდაქმნასა და რაციონალიზაციაში და სხვ. **.

ამიტომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ბ-ნმა ბულგაკოვმა თავის სტატიაში (გვ. 32 «ნაჩალო»-ს № 3-ში) გაიმეორა იგივე აზრები თ ი თ ქ ო ს კ ა უ ტ ს კ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ! ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რამდენად არასწორად გადმოსცემს კაუტსკის წიგ-

* — Seite 30 und folgende — გვ. 30 და შემდეგი. რ ე დ.

** შეად. აგრეთვე S. 214, სადაც კაუტსკი ლაპარაკობს ქალაქის კაპიტალების როლზე მიწათმოქმედების რაციონალიზაციაში.

ნის შინაარსს მკაცრი კრიტიკოსი. «არ უნდა დავივიწყოთ, — ჭკუას ასწავლის კაუტსკის ბ-ნი ბულგაკოვი,—რომ ფასეულობის ნაწილი» (რომელიც ქალაქებში მიედინება) «უბრუნდება სოფელს». ყველა იფიქრებს, თითქოს კაუტსკი ივიწყებდეს ამ საანბანო ჭეშმარიტებას. ნამდვილად კი კაუტსკი განასხვავებს ფასეულობათა დენას (სოფლებიდან ქალაქებში) უეკვივალენტოდ და ეკვივალენტით, განასხვავებს გაცილებით უფრო ნათლად, ვიდრე ამას ბ-ნი ბულგაკოვი ცდილობს. პირველად კაუტსკი იხილავს «საქონლის ფასეულობათა უეკვივალენტო (Gegenleistung) დენას სოფლებიდან ქალაქებში» (S. 210) (რენტა, რომელიც ქალაქებში იხარჯება, გადასახადები, პროცენტები ქალაქის ბანკებიდან აღებულ სესხებში) და სრულიად სამართლიანად ხედავს ამაში ქალაქის მიერ სოფლის ეკონომიურ ექსპლოატაციას. შემდეგ კაუტსკი აყენებს ფასეულობათა ეკვივალენტით დინების საკითხს, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ინდუსტრიულზე გაცვლის საკითხს. «ღირებულების კანონის თვალსაზრისით, — ამბობს კაუტსკი, — ეს დინება არ ნიშნავს სოფლის მეურნეობის ექსპლოატაციას *, მაგრამ სინამდვილეში უკვე აღნიშნულ ფაქტებთან ერთად მოასწავებს მის აგრონომიულ (stofflichen) ექსპლოატაციას, მიწის გამოფიტვას ნოყიერ ნივთიერებათაგან» (S. 211).

რაც შეეხება ქალაქის მიერ სოფლის ამ აგრონომიულ ექსპლოატაციას, კაუტსკი ამ შემთხვევაშიც იზიარებს მარქსისა და ენგელსის თეორიის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, სახელდობრ, რომ წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის არღვევს საჭირო შესაბამისობას და ურთიერთდამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის; ამი-

* დაე მკითხველმა ერთმანეთს შეადაროს ტექსტში მოყვანილი კაუტსკის მკაფიო განცხადება და ბ-ნ ბულგაკოვის შემდეგი «კრიტიკული» შენიშვნა: «თუ კაუტსკის საზოგადოდ ექსპლოატაციად მიაჩნია პურის მიცემა მის უშუალო მწარმოებელთა მიერ არამიწათმოქმედი მოსახლეობისთვის» და სხვა. დაუჯერებელია, რომ კრიტიკოსს, რომელიც ცოტათი მაინც ყურადღებით გაეცნო კაუტსკის წიგნს, შეეძლო დაეწერა ეს «თუ»!

ტომ კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმად გარდაქმნისთანავე ეს წინააღმდეგობა უნდა გაქრეს *. ბ- ნი ბულგაკოვი ფიქრობს, რომ კაუტსკის აზრი ქალაქის მიერ სოფლის აგრონომიულ ექსპლოატაციაზე «უცნაურია», რომ «ყოველ შემთხვევაში კაუტსკი აქ დადგა ნამდვილი ფანტაზიის ნიადაგზე» (sic!!!). ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ბ-ნი ბულგაკოვი ამასთანავე უგულებელჰყოფს იმას, რომ კაუტსკის აზრები, რომელთაც ის აკრიტიკებს, იგივეა, რაც მარქსისა და ენგელსის ერთ-ერთი ძირითადი იდეა. მკითხველს უფლება აქვს იფიქროს, რომ ბ-ნი ბულგაკოვი «ნამდვილ ფანტაზიად» სთვლის ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის იდეას. თუ კრიტიკოსის აზრი მართლაც ასეთია, მაშინ ჩვენ გადაჭრით არ ვეთანხმებით მას და «ფანტაზიის» (ე. ი. ნამდვილად არა ფანტაზიის, არამედ კაპიტალიზმის უფრო ღრმა კრიტიკის) მხარეზე ვდგებით. ის შეხედულება, თითქოს ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის იდეა ფანტაზია იყოს, სულაც არ არის ახალი. ეს ბურჟუაზიული ეკონომისტების ჩვეულებრივი შეხედულებაა. ეს შეხედულება გადმოღებული აქვთ ზოგიერთ უფრო ღრმა მსოფლმხედველობის მქონე მწერლებსაც. მაგ., დიურინგი აღნიშნავდა, რომ ანტაგონიზმი ქალაქსა და სოფელს შორის «გარდუვალია თვით საქმის ბუნების გამოო».

შემდეგ, ბ-ნი ბულგაკოვი «გაოცებულია» (!) იმით, რომ კაუტსკი აღნიშნავს მცენარეთა და ცხოველთა გახშირებულ ეპიდემიებს, როგორც სავაჭრო მიწათმოქმედებისა და კაპიტალიზმის ერთ-ერთ სიძნელეს. «მერე რა შუაშია აქ კაპიტალიზ-

* თავისთავად იგულისხმება, რომ ეს აზრი ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის აუცილებლობისა ასოციაციებად გაერთიანებულ მწარმოებელთა საზოგადოებაში სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ გარემოების აღიარებას, რომ მოსახლეობის გადასვლა მიწათმოქმედებიდან ინდუსტრიაზე ი ს ტ ო რ ი უ ლ ად პროგრესულ როლს თამაშობდა. მე შემთხვევა მქონდა ამის შესახებ სხვა ალაგას მელაპარაკნა («ეტიუდები», გვ. 81, შენიშ. 69) (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 275, შენიშვნა. რ ე დ.).

მი...?—კითხულობს ბ-ნი ბულგაკოვი.—განა პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების აუცილებლობის გაუქმებას შესძლებდა რომელიმე უმაღლესი სოციალური ორგანიზაცია?» ჩვენ, ჩვენის მხრივ, გვაოცებს ის, თუ როგორ შეეძლო ბ-ნ ბულგაკოვს არ გაეგო კაუტსკის სრულიად ნათელი აზრი. მცენარეთა და ცხოველთა ძველი ჯიშები, ბუნებრივი შერჩევით შექმნილი, იცვლება «გაკეთილშობილებული» ჯიშებით, რომლებიც ხელოვნური შერჩევით შეიქმნა. მცენარეები და ცხოველები უფრო ნაზი ხდებიან და მეტ მზრუნველობას მოითხოვენ; მიმოსვლის თანამედროვე საშუალებათა პირობებში ეპიდემიები საოცარი სისწრაფით ვრცელდება, ამავე დროს მეურნეობის ხელმძღვანელობა რჩება ინდივიდუალური, დაქსაქსული, ხშირად წვრილი (გლეხური), მოკლებული ცოდნასა და საშუალებებს. მიწათმოქმედების ტექნიკის განვითარებისთვის ქალაქის კაპიტალიზმი ცდილობს გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერების ყველა საშუალება, მაგრამ მწარმოებელთა სოციალურ მდგომარეობას ის ძველებურად უმწეო მდგომარეობაში სტოვებს; ქალაქის კულტურა მას არ გადააქვს სოფლად სისტემატურად და გეგმაშეწონილად. პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების აუცილებლობას ვერ გააუქმებს ვერავითარი უმაღლესი სოციალური ორგანიზაცია (ასეთი აბსურდის თქმა, რასაკვირველია, კაუტსკის აზრადაც არ მოსვლია), მაგრამ რაც უფრო ვითარდება ტექნიკა, რაც უფრო ნაზი ხდება ცხოველისა და მცენარეთა ჯიშები, მით უფრო ზარალდება თანამედროვე კაპიტალისტური სოციალური ორგანიზაცია საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობით და გლეხებისა და მუშების დაბეჩავებული მდგომარეობით *.

სავაჭრო მიწათმოქმედების უკანასკნელ «სიძნელეს» კაუტსკი ხედავს იმაში, რომ «სოფელი უკაცრიელდება», რომ ქალაქები ნთქამს საუკეთესო მუშა-ძალას, ყველაზე ენერგი-

---

* ამიტომ თავისი წიგნის გამოყენებითს ნაწილში კაუტსკი საჭიროდ სცნობს სანიტარული ინსპექციის დაწესებას, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს პირუტყვს და მისი შენახვის პირობებს (S. 397).

ულსა და ინტელიგენტურს. ბ-ნი ბულგაკოვი ფიქრობს, რომ ეს დებულება მისი ზოგადი ფორმით «ყოველ შემთხვევაში სწორი არ არის», რომ «ქალაქის მოსახლეობის ახლანდელი განვითარება სოფლის მოსახლეობის ხარჯზე სრულებითაც არ გამოხატავს კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარების კანონს», არამედ ის მოასწავებს სამრეწველო, ექსპორტის ქვეყნების მიწათმოქმედი მოსახლეობის გადაყვანას ოკეანეს იქით, კოლონიებში. მე ვფიქრობ, რომ ბ-ნი ბულგაკოვი ცდება. ქალაქის (ესე-იგი: ინდუსტრიული) მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხ ა რ ჯ ზ ე არის არამც თუ ახლანდელი, არამედ საყოველთაო მოვლენა, რომელიც ს წ ო რ ე დ კაპიტალიზმის კ ა ნ ო ნ ს გამოხატავს. ამ კანონის თეორიული დასაბუთება მდგომარეობს, როგორც 'მე ეს სხვა ალაგას აღვნიშნე *, ჯერ-ერთი, იმაში, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდა პირველყოფილი მიწათმოქმედებისგან ანცალკევებს მრეწველობის უფრო და უფრო მეტ დარგებს **, მეორე, იმაში, რომ ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული ნაკვეთის დასამუშავებ-

---

* «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», თავი I, § 2 და თავი VIII, § 2 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3. რ ე დ.).

** ბ-ნი ბულგაკოვი უთითებს ამ გარემოებაზე და ამბობს, რომ «მიწათმოქმედი მოსახლეობა შეიძლება შ ე დ ა რ ე ბ ი თ (ხაზგასმა მისია) შემცირდეს მიწათმოქმედების აყვავების დროსაც». არამც თუ «შეიძლება», არამედ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ა ც უ ნ დ ა შემცირდეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში... (მიწათმოქმედი მოსახლეობის) «შედარებითი შემცირება გვიჩვენებს აქ მხოლოდ (sic!) სახალხო შრომის ახალი დარგების ზრდას», — ასკვნის ბ-ნი ბულგაკოვი. ეს «მხოლოდ» მეტად უცნაურია. სწორედ მრეწველობის ეს ახალი დარგები იზიდავს მიწათმოქმედებისგან «ყველაზე ენერგიულ და ყველაზე ინტელიგენტურ მუშა ძალას». ამრიგად, საკმარისია ეს უბრალო მოსაზრება, რომ კაუტსკის ზოგადი დებულება ს ა ვ ს ე ბ ი თ ს წ ო რ ა დ იქნას აღიარებული: ამ ზოგადი დებულების სისწორისთვის (რომ კაპიტალიზმი ართმევს მიწათმოქმედებას ყველაზე ენერგიულ და ყველაზე ინტელიგენტურ მუშა ძალას) სავსებით საკმარისია სოფლის მოსახლეობის შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი შემცირება.

ლად, საერთოდ და მთლიანად მცირდება (შეად. «Das Kapital», III, 2, S. 177 *. რუსული თარგმანი, გვ. 526 [45]. მოყვანილი მაქვს ჩემს წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 4 და 444 **). ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცალკეულ შემთხვევებში და ცალკეულ პერიოდებში ხდება მიწის ამა თუ იმ ნაკვეთის დასამუშავებლად საჭირო ცვალებადი კაპიტალის გადიდება, მაგრამ ეს არ არყევს საერთო კანონის სისწორეს. რომ მიწათმოქმედი მოსახლეობის შედარებითი შემცირება იქცევა აბსოლუტურ შემცირებად არა ყველა კერძო შემთხვევაში, რომ ამ აბსოლუტური შემცირების სიდიდე დამოკიდებულია კაპიტალისტური კოლონიების ზრდაზეც, ამის უარყოფა კაუტსკის, რა თქმა უნდა, არ უფიქრია. თავისი წიგნის სათანადო ადგილებზე კაუტსკიმ სრულიად ნათლად აღნიშნა ეს ზრდა კაპიტალისტური კოლონიებისა, რომლებიც იაფი პურით ავსებენ ევროპას. («სოფლის მოსახლეობის იმავე გაქცევას (Landflucht), რომელიც იწვევს ევროპის სოფლების გაუკაცრიელებას, მიჰყავს მუდმივად არა მარტო ქალაქებში, არამედ კოლონიებშიც სოფლის ჯან-ღონით სავსე მცხოვრებთა ახალი ტალღები»... S. 242). ის გარემოება, რომ მრეწველობა მიწათმოქმედებას ართმევს ყველაზე ღონიერ, ენერგიულ და ინტელიგენტურ მუშებს, საყოველთაო მოვლენაა არა მარტო სამრეწველო, არამედ სამიწათმოქმედო ქვეყნებშიც, არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ ამერიკასა და რუსეთშიც. ამას აუცილებლად იწვევს ქალაქთა კულტურასა და სოფლის ბარბაროსობას შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალიზმმა წარმოშვა. ბ-ნი ბულგაკოვი «აშკარად» სთვლის იმ «მოსაზრებას». რომ «მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირება მოსახლეობის საერთო ზრდის დროს წარმოუდგენელია პურის ძლიერი იმპორტის გარეშე». ჩემის აზრით, ეს მოსაზრება არამც თუ აშკარა არ არის, არამედ პირდაპირ შემცდარია. საკუთარი წარმოსადგენია მი-

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 177. რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 3, გვ. 25 და 664. რედ.

წათმოქმედი მოსახლეობის შემცირება მოსახლეობის საერთო ზრდის დროს (იზრდება ქალაქები), პურის შემოუტანლადაც (იზრდება სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება, რაც საშუალებას აძლევს მუშათა ნაკლებ რიცხვს დაამზადოს პროდუქტის წინანდელი ან კიდევ მეტი რაოდენობა). წარმოსადგენია აგრეთვე მოსახლეობის საერთო გადიდებაც მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირების და სამიწათმოქმედო პროდუქტების რაოდენობის შემცირების (ან არაპროპორციული გადიდების) დროს, — «წარმოსადგენია», ვინაიდან კაპიტალიზმი აუარესებს სახალხო კვებას.

ბ-ნი ბულგაკოვი ამტკიცებს, რომ გერმანიაში 1882-დან 1895 წლამდე საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვის ზრდის ფაქტს, — იმ ფაქტს, რომელიც კაუტსკიმ დაადგინა და რომელიც მას მოჰყავს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მეურნეობებს ყველაზე ნაკლებად აწუხებს მუშახელის ნაკლებობა, — «შეუძლია შეარყიოს მთელი კონსტრუქცია» კაუტსკისა. განვიხილოთ უფრო ახლოს კაუტსკის მოსაზრებანი.

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით 1882-დან 1895 წლამდე ყველაზე უფრო გადიდდა იმ მეურნეობათა ფართობი, რომელთაც 5 — 20 ჰექტარი ეჭირათ. 1882 წელს ეს ფართობი შეადგენდა მთელი ფართობის 28,8%-ს, 1895 წელს — 29,9%-ს. საშუალო გლეხურ მეურნეობათა ამ გადიდებას თან სდევდა მსხვილ გლეხურ მეურნეობათა ფართობის შემცირება (20 — 100 ჰექტარი; 1882: 31,1%, 1895: 30,3%). «ეს ციფრები, — ამბობს კაუტსკი, — სიხარულით უვსებს გულს ყველა კეთილ მოქალაქეს, რომლებიც გლეხობაში ხედავენ არსებული წყობილების ყველაზე მტკიცე დასაყრდენს. ამრიგად, ის, სოფლის მეურნეობა, არ მოძრაობს, — აღტაცებით გაიძახიან ისინი, — მას ვერ მიუყენებ მარქსის დოგმასო». საშუალო გლეხურ მეურნეობათა ზრდა მათ ესმით, როგორც გლეხობის ხელახლა აყვავების დასაწყისი.

«მაგრამ ამ აყვავების ძირი ჭაობში ძევსო», — უპასუხებს კაუტსკი ამ კეთილ მოქალაქეთ. «აყვავება გამომდინარეობს არა გლეხობის კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი დ ა ნ, არამედ მთელი

სოფლის მეურნეობის ჩ ა გ ვ რ ი ს ა გ ა ნ» (230). კაუტსკიმ ეს-არის სწორედ ამის წინ სთქვა: «მიუხედავად მთელი ტექ-ნიკური პროგრესისა, ა ლ ა გ-ა ლ ა გ (ხაზგასმა კაუტსკისაა) დაიწყო, — ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, — სოფლის მეურნეობის დაცემა» (228). ეს დაცემა იწვევს, მაგ., ფეოდა-ლიზმის აღორძინებას, — იმის ცდას, რომ მუშები მიაჯაჭვონ მიწას და დააკისრონ მათ განსაზღვრული ბეგარა. რაღა გა-საკვირია, თუ ამ «ჩაგვრის» ნიადაგზე ცოცხლდებიან მეურ-ნეობის ჩამორჩენილი ფორმები? თუ კრიზისს უფრო უძლებს გლეხობა, რომელიც მსხვილი წარმოების მუშაკებისაგან საერ-თოდ იმით განსხვავდება, რომ მოთხოვნილებათა უფრო დაბა-ლი დონე აქვს და მეტი უნარი შეესწევს იშიმშილოს და ჭაპან-წყვეტით იმუშაოს? * «აგრარული კრიზისი ვრცელდება

* «წვრილი მიწათმოქმედნი, — ამბობს კაუტსკი სხვა ადგილას, — მეტ ხანს ძლებენ უიმედო პოზიციაში. შეიძლება სრული უფლებით შევიტანოთ ეჭვი იმაში, რომ ეს იყოს წვრილი წარმოების უპირატესობა» (S. 134).

უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ კაუტსკის შეხედულებას სავსებით ადასტურებს კენიგის მონაცემები, რომელმაც თავის წიგნში («Die Lage der englischen Landwirtschaft etc.». Jena, 1896, von Dr. F. Koenig) (დ-რი ფ. კ ე ნ ი გ ი. «ინგლისის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და სხვ.», იენა, 1896. რ ე დ.) დაწვრილებით ასწერა ინგლისის სოფლის მე-ურნეობის მდგომარეობა რამდენიმე ყველაზე ტიპიურ საგრაფოში. აქ გვხვდება უ ა მ რ ა ვ ი მითითება იმაზე, რომ წვრილი მიწათმოქმედნი და-ქირავებულ მუშებთან შედარებით ზომაზე მეტს მუშაობენ, ხოლო მათი მოხმარება კი არასაკმაოა, იმ დროს როდესაც საწინააღმდეგო მითი-თებანი არ გვხვდება. იქვე ჩვენ ვკითხულობთ, მაგ., რომ წვრილ მეურნეო-ბათა შემოსავლიანობა იქმნება «უდიდესი (ungeheuer) მუყაითობითა და მომჭირნეობით» (88); წვრილ მიწათმოქმედთა შენობები უარესია (107); წვრილი მიწათმფლობელნი (yeoman farmer) უარეს პირობებში იმყოფე-ბიან, ვიდრე მოჯარადრეები (149); წვრილ მიწათმფლობელთა მდგომარე-ობა მეტად სავალალოა (ლინკოლნშირში); მათი ბინები უარესია, ვიდრე დიდი ფერმების მუშების ბინები, ხოლო ზოგიერთი ბინა სრულებით არ ვარგა. ისინი მუშაობენ უფრო მძიმე პირობებში და უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვეულებრივი მუშები და ხელფასსაც ნაკლებს იღებენ. ისინი უარესად ცხოვრობენ და ნაკლებად ჭამენ ხორცს... მათი ვაჟები და ქალები მუქთად მუშაობენ და ცუდად იცვამენ» (157). «წვრილი ფერმერები მონებივით მუ-შაობენ, ზაფხულობით ხშირად დილის 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე»

სოფლის მეურნეობის ყველა კლასზე, რომლებიც საქონელს აწარმოებენ; ის არ ინდობს არც საშუალო გლეხებს» (S. 231).

კაუტსკის ყველა ეს დებულება თითქოს იმდენად ნათელია, რომ შეუძლებელია ვერ გაიგო ისინი. და მიუხედავად ამისა, ცხადია, კრიტიკოსმა ისინი ვერ გაიგო. ბ-ნი ბულგაკოვი **არ** გვამცნობს თავის აზრს: ასე თუ ისე ის ხსნის საშუალო გლეხურ მეურნეობათა ამ ზრდას, მხოლოდ კაუტსკის აწერს იმ აზრს, თითქოს «წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარება იწვევს მიწათმოქმედების დაღუპვას». და ბრაზმორეული ბ-ნი ბულგაკოვი ბრძანებს: «კაუტსკის მტკიცება სოფლის მეურნეობის ნგრევის შესახებ სწორი არ არის, იგი თვითნებური, დაუმტკიცებელია და სინამდვილის **თვით ძირითად** ფაქტებს ეწინააღმდეგებაო» და სხვ. და სხვ.

ამაზე ჩვენ შევნიშნავთ, რომ ბ-ნი ბულგაკოვი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ს წ ო რ ა დ გ ა დ მ ო გ ვ ც ე მ ს კ ა უ ტ ს კ ი ს ა ზ რ ე ბ ს. კაუტსკი სრულებითაც არ ამტკიცებს იმას, თითქოს კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობის და-

(ცნობა ბოსტონის Chamber of Agriculture (სამიწათმოქმედო პალატისა. რ ე დ.), S. 158). «უეჭველია, — ამბობს ერთი მსხვილი ფერმერი, — პატარა კაცს (der kleine Mann), რომელსაც მცირე კაპიტალი აქვს და მთელ მუშაობას ოჯახის წევრების ხელით ასრულებს, ყველაზე ადვილად შეუძლია შეამციროს საოჯახო ხარჯები, მაშინ როდესაც მსხვილი ფერმერი ვალდებულია კარგად არჩინოს თავისი მოჯამაგირეები როგორც კარგ, ისე ცუდ წლებშიც» (218). წვრილი ფერმერები (აირშირში) «არაჩვეულებრივად (ungeheuer) მუყაითნი არიან; მათი ცოლები და ბავშვები არანაკლებ მუშაობენ, ვიდრე დღიური მუშები, ხშირად მეტსაც; ამბობენ, რომ ორი მათგანი დღეში იმდენს აკეთებს, რამდენსაც სამი დაქირავებული მუშა» (231). «წვრილი მოიჯარადრის ცხოვრება, რომელმაც უნდა ამუშაოს თავისი ოჯახიც, — ნამდვილი მონის ცხოვრებაა» (253). «საერთოდ და მთლიანად... წვრილმა ფერმერებმა, როგორც ჩანს, უკეთ გადაიტანეს კრიზისი, ვიდრე მსხვილმა ფერმერებმა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წვრილი ფერმები მეტი შემოსავლიანია. ამისი მიზეზი, ჩვენის აზრით, ისაა, რომ წვრილი მეპატრონე (der kleine Mann) სარგებლობს თავისი ოჯახის მუქთი დახმარებით... ჩვეულებრივად... წვრილი ფერმერის მთელი ოჯახი მუშაობს მის მეურნეობაში... ბავშვები იღებენ სარჩოს და მხოლოდ იშვიათად განსაზღვრულ დღიურ ქირას» (277 — 278) და სხვ. და სხვ.

ღუპვას იწვევს, პირიქით, ის წინააღმდეგს ამტკიცებს. კაუტსკი ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის ჩაგვრაზე (=კრიზისზე), ა ლ ა გ-ა ლ ა გ (nota bene *) დაწყებულ მის ტექნიკურ რეგრესზე, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, თითქოს კაუტსკი ლაპარაკობდეს სოფლის მეურნეობის «ნგრევაზე», «დაღუპვაზე», შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაუტსკის თხზულებას მეტად უყურადღებოდ მოვეკიდებით. X თავში, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია იმიერსაზღვაო კონკურენციის (ე. ი. აგრარული კრიზისის ძირითადი პირობის) საკითხისადმი, კაუტსკი ამბობს: «მომავალმა კრიზისმა, ცხადია (natürlich), აუცილებლად როდი უნდა (braucht nicht) დაანგრიოს ინდუსტრია, რომელიც ამ კრიზისს განიცდის. ის ამას სჩადის მხოლოდ მეტად იშვიათ შემთხვევებში. როგორც საერთო წესი, კრიზისი იწვევს მხოლოდ საკუთრების არსებულ ურთიერთობათა გარდაქმნას კაპიტალიზმის გაგებით» (273—274). ეს შენიშვნა, გაკეთებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა კრიზისის გამო, ნათლად გვიჩვენებს კაუტსკის საერთო შეხედულებას კრიზისის მნიშვნელობაზე. იმავე თავში კაუტსკი იმეორებს ამ შეხედულებას მთელი სოფლის მეურნეობის მიმართაც: «ზემოთ ნათქვამი სრულიად არ იძლევა უფლებას ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობის დაღუპვაზე (Man braucht deswegen noch lange nicht von einem Untergang der Landwirtschaft zu sprechen). მაგრამ მისი კონსერვატიული ხასიათი სამუდამოდ გაქრა იქ, სადაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი წარმოების თანამედროვე წესმა. ძველი რუტინის შენარჩუნება (Das Verharren beim Alten) უეჭველ დაღუპვას უქადის სოფლის მეურნეს; მან განუწყვეტლივ თვალყური უნდა ადევნოს ტექნიკის განვითარებას, განუწყვეტლივ უნდა შეუგუოს თავისი წარმოება ახალ პირობებს... სოფლადაც ეკონომიური ცხოვრება, რომელიც აქამდე საშინლად ერთფეროვანი იყო და მარად უცვლელი კალაპოტით მიმდინარეობდა, მოხვდა მუდმივი გარეკოლუციურების

* — დაიხსომეთ. რ ე დ.

მდგომარეობაში, მდგომარეობაში, რომელიც დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესისთვის» (289).

ბ-ნ ბულგაკოვს «არ გაეგება» რანაირად უთავსდებიან ერთმანეთს მიწათმოქმედების საწარმოო ძალთა განვითარების ტენდენციები და სავაჭრო მიწათმოქმედების სიძნელეთა გაძლიერების ტენდენციები. მერე რა არის აქ გაუგებარი?? კაპიტალიზმი როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში გიგანტურ ბიძგს აძლევს საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ სწორედ რამდენადაც ეს განვითარება წინ მიდის, იმდენად უფრო ამწვავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ახალ «სიძნელეებს» უქმნის მას. კაუტსკი ავითარებს მარქსის ერთ-ერთ ძირითად იდეას; მარქსი კატეგორიულად ხაზს უსვამდა სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის პროგრესულ ისტორიულ როლს (მიწათმოქმედების რაციონალიზება, მიწის განცალკევება სოფლის მეურნისაგან, სოფლის მოსახლეობის განთავისუფლება ბატონობისა და მონობის ურთიერთობათაგან და სხვ.), და იმავე დროს არანაკლებ კატეგორიულად ხაზს უსვამდა უშუალო მწარმოებელთა გაღატაკებასა და ჩაგვრას, კაპიტალიზმის შეუთავსებლობას რაციონალური მიწათმოქმედების მოთხოვნებთან. მეტისმეტად უცნაურია, რომ ბ-ნი ბულგაკოვი, რომელიც აღიარებს, რომ მას «ისეთივე ზოგადი სოციალურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა აქვს, როგორც კაუტსკის» *, ვერ ამჩნევს, რომ კაუტსკი აქ ავითარებს მარქსის ძირითად აზრს. «ნაჩალო»-ს მკითხველები აუცილებლად საგონებელში არიან ჩავარდნილი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ბ-ნი ბულგაკოვი ამ ძირითად იდეებს, როგორ შეუძლია მას, თუ ზოგადი მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა, სთქვას: «De principiis non est disputandum»!!? **. ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს არ დავიჯეროთ ბ-ნ ბულგაკოვის ეს განცხადება; ჩვენ შესაძლებლად ვთვლით დავას მასა და

* ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ ჩვენ არ ვიცით, სწორია თუ არა ბ-ნ ბულგაკოვის ეს სიტყვები. კაუტსკი, გვგონია, არ არის კრიტიკული ფილოსოფიის მიმდევარი, როგორც ბ-ნი ბულგაკოვი.

** — «პრინციპებზე არ დავობენ». რ ე დ.

სხვა მარქსისტებს შორის სწორედ ამ «principia»-ს * ერთობის გამო. როდესაც ბ-ნი ბულგაკოვი ამბობს, რომ კაპიტალიზმი ახდენს მიწათმოქმედების რაციონალიზებას, რომ მიწათმოქმედებისთვის ტექნიკას ინდუსტრია იძლევაო და სხვ.— ის მხოლოდ იმეორებს ერთ-ერთ ასეთ «principia»-ს. მხოლოდ ტყუილად ამბობს ის ამასთანავე: «სრულიად პირიქითო». მკითხველებს შეუძლიათ იფიქრონ, თითქოს კაუტსკი სხვა აზრისა იყოს, მაშინ როდესაც კაუტსკი სრულიად გადაჭრით და გარკვეულად ავითარებს თავის წიგნში მარქსის სწორედ ამ ძირითად იდეებს. «სწორედ ინდუსტრიამ, — ამბობს კაუტსკი, — შექმნა ახალი, რაციონალური მიწათმოქმედების ტექნიკური და მეცნიერული პირობები, სწორედ მან მოახდინა მიწათმოქმედებაში რევოლუცია მანქანებისა და ხელოვნური სასუქების საშუალებით, მიკროსკოპისა და ქიმიური ლაბორატორიის საშუალებით, და ასე წარმოშვა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების უპირატესობა შედარებით წვრილ გლეხურ წარმოებასთან» (S. 292). ამრიგად კაუტსკი არ ვარდება იმ წინააღმდეგობაში, რომელსაც ჩვენ ბ-ნ ბულგაკოვს ვამჩნევთ: ერთი მხრით, ბ-ნი ბულგაკოვი აღიარებს, რომ «კაპიტალიზმი» (ე. ი. წარმოება დაქირავებული შრომის საშუალებით, ე. ი. არა გლეხური, არამედ მსხვილი წარმოება?) «ახდენს მიწათმოქმედების რაციონალიზებას», ხოლო, მეორე მხრით, «ამ ტექნიკური პროგრესის მატარებელი აქ სრულიად არ ყოფილა მსხვილი წარმოება»!

II

კაუტსკის წიგნის მეათე თავი მიძღვნილია იმიერსაზღვაო კონკურენციისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკითხისადმი. ბ-ნი ბულგაკოვი ძლიერ აგდებულად იხსენიებს ამ თავს: «არაფერი განსაკუთრებით ახალი ან ორიგინალური რამ აქ არ არის, ცოტად თუ ბევრად ცნობილი ძირითადი ფაქტებიაო» და სხვ. და აფუჩეჩებს ძირითად საკითხს აგრარული

* — «პრინციპების». რ ე დ.

კრიზისის, მისი დედაარსისა და მნიშვნელობის გაგების შესახებ. ამ საკითხს კი უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს.

სამიწათმოქმედო ეკონომიკის იმ საერთო გაგებიდან, რომელიც მარქსმა მოგვცა და დაწვრილებით განავითარა კაუტსკიმ, გამომდინარეობს აუცილებლად აგრარული კრიზისის გაგებაც. აგრარული კრიზისის არსს კაუტსკი ხედავს იმაში, რომ ევროპის სოფლის მეურნეობამ, იმ ქვეყნების კონკურენციის გამო, რომელთაც მეტად იაფად მოჰყავთ პური, დაჰკარგა საშუალება მომხმარებელთა მასაზე გადაიტანოს ყველა ის სიმძიმე, რომელსაც მიწის კერძო საკუთრება და კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება აკისრებს სოფლის მეურნეობას. ამიერიდან ევროპის სოფლის მეურნეობამ «თვითონ უნდა ზიდოს ისინი (ეს სიმძიმენი), და ამაში მდგომარეობს თანამედროვე აგრარული კრიზისი» (S. 239, ხაზგასმა კაუტსკისაა). ამ სიმძიმეთაგან მთავარია — მიწის რენტა. ევროპაში ის ძლიერ აწეულია ადრინდელი ისტორიული განვითარებით (დიფერენციული რენტაც და აბსოლუტური რენტაც) და განმტკიცებულია მიწის ფასებში*. კოლონიებში (ამერიკაში, არგენტინაში და სხვ.), რამდენადაც ისინი კოლონიებად რჩებიან, ჩვენ, პირიქით, ვხედავთ თავისუფალ მიწებს, რომელთაც ახლად გადმოსახლებულნი იკავებენ ან სრულიად მუქთად, ან ძალიან მცირე ფასად, და მასთან ისეთ მიწებს, რომელთა ხელუხლებელი ნაყოფიერება minimum-ამდე ** ამცირებს წარმოების ხარჯებს. სავსებით ბუნებრივია, რომ აქამდე ევროპის კაპიტალისტური მიწათმოქმედება მომხმარებლებს ადებდა უაღრესად დიდ რენტას (პურის მაღალი ფასების სახით), ახლა კი ამ რენტის სიმძიმე აწვება თვით სოფლის მეურნეებსა და მიწათმფლობე-

* იხ. რენტის აწევისა და განმტკიცების ამ პროცესის შესახებ პარვუსის მოსწრებული შენიშვნები: «მსოფლიო ბაზარი და სასოფლო-სამეურნეო კრიზისი». პარვუსი ეთანხმება კაუტსკის ძირითად შეხედულებებში კრიზისსა და აგრარულ საკითხზე საერთოდ.

** — მინიმუმამდე. რედ.

ლებს და აჩანაგებს მათ *. ამრიგად, აგრარულმა კრიზისმა დაარღვია და დღესაც არღვევს კაპიტალისტური მიწათმფლობელობისა და კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის კეთილდღეობას. აქამდე კაპიტალისტური მიწათმფლობელობა სულ უფრო და უფრო მეტ ხარკს იღებდა საზოგადოებრივი განვითარებიდან და ამ ხარკის სიდიდეს განამტკიცებდა მიწის ფასებში. ახლა ის იძულებულია ეს ხარკი დათმოს **. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა ახლა ისეთსავე მერყეულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, როგორიც კაპიტალისტურ მრეწველობას სჩვევია, და იძულებულია შეეგუოს ბაზრის ახალ პირობებს. აგრარული კრიზისი, როგორც ყოველი კრიზისი, აჩანაგებს მრავალ მეურნეს, დიდ გარდატეხას ახდენს საკუთრების არსებულ ურთიერთობებში, ა ლ ა გ-ა ლ ა გ იწვევს ტექნიკურ რეგრესს, შუასაუკუნეობრივ ურთიერთობათა და მეურნეობის ფორმების გამოცოცხლებას, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ის ა ჩ ქ ა რ ე ბ ს საზოგადოებრივ ევოლუციას, მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან დევნის პატრიარქალურ დახავსებულობას, აუცილებელს ხდის მიწათმოქმედების შემდგომ სპეციალიზაციას (კაპიტალისტური საზოგადოების სასოფლო-სამეურნეო პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი), მანქანების შემდგომ გამოყენებას და სხვ.

---

* პ ა რ ვ უ ს ი, ხსენ. თხზ., გვ. 141. მოყვანილია «ნაჩალო»-ში № 3, გვ. 117, პარვუსის წიგნის რეცენზია (იხ. ეს ტომი, გვ. 69. რ ე დ.). უნდა დავუმატოთ, რომ სავაჭრო მიწათმოქმედების სხვა «სიძნელეებიც», რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს ევროპას, გაცილებით უფრო ნაკლებად აწევს კოლონიებს.

** აბსოლუტური რენტა მონოპოლიის შედეგია. «საბედნიეროდ, აბსოლუტური რენტის ზრდას თავისი საზღვარი აქვს... უკანასკნელ დრომდე ის განუწყვეტლივ იზრდებოდა ევროპაში ისევე, როგორც დიფერენციული რენტაც. მაგრამ იმიერსაზღვაო კონკურენციამ უაღრესად შეარყია ეს მონოპოლია. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ევროპაში იმიერსაზღვაო კონკურენციისაგან დაზარალდა დიფერენციული რენტა, ინგლისის რამდენიმე ოლქის გარდა... მაგრამ აბსოლუტური რენტა დაეცა, და ამ გარემოებამ სარგებლობა მოუტანა (zu gute gekommen) უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასს» (S. 80. შეად. აგრეთვე S. 328).

საერთოდ და მთლიანად, — როგორც ეს კაუტსკიმ ცხადჰყო თავისი წიგნის IV თავში რამდენიმე ქვეყნის მონაცემების მიხედვით, — თ ვ ი თ დასავლეთ ევროპაშიც კი ჩვენ ვერ ვხედავთ მიწათმოქმედების შეფერხებას 1880 — 1890 წლებში, არამედ ვხედავთ ტექნიკურ პროგრესს. ჩვენ ვამბობთ—თ ვ ი თ დასავლეთ ევროპაშიც — იმიტომ, რომ ამერიკაში, მაგ., ეს პროგრესი კიდევ უფრო ნათელია.

ერთი სიტყვით, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი აგრარულ კრიზისში დავინახოთ მოვლენა, რომელიც აფერხებს კაპიტალიზმს და კაპიტალისტურ განვითარებას.

პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს

«ეიზნის» № 4-ში ბ-ნი პ. ნეჟდანოვი არჩევს ჩემს და სხვა ავტორთა სტატიებს ბაზრების თეორიის შესახებ. მე მინდა პასუხი გავცე ბ-ნ პ. ნეჟდანოვს მხოლოდ ერთ მტკიცებაზე, სახელდობრ იმაზე, რომ მე თითქოს «დავამახინჯე ჩემი ბრძოლა მესამე პირთა თეორიის წინააღმდეგ» იმ ჩემი სტატიით, რომელიც მოთავსებულია მიმდინარე წლის «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 1-ში. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, რომლებიც ბ-ნმა პ. ნეჟდანოვმა წამოაყენა ბაზრების თეორიის და კერძოდ პ. ბ. სტრუვეს შეხედულებათა შესახებ, მე დავკმაყოფილდები სტრუვეს პასუხად დაწერილი ჩემი სტატიის დამოწმებით («კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის»; ამ სტატიის დაბეჭდვა «ნაუჩნოე ობოზრენიეში», ავტორისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, დაგვიანდა).

ბ-ნი ნეჟდანოვი ამტკიცებს, რომ «კაპიტალისტური წარმოება არ განიცდის არავითარ წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის». აქედან მას გამოჰყავს დასკვნა, თითქოს მარქსი, რაკი ის ამ წინააღმდეგობას აღიარებდა, «თვითონ იყო შეპყრობილი სერიოზული შინაგანი წინააღმდეგობით», და რომ მე მარქსის შეცდომას ვიმეორებ.

ბ-ნ პ. ნეჟდანოვის აზრს მე ვთვლი სრულიად შემცდარად (ან გაუგებრობაზე დამყარებულად) და მარქსის შეხედულებებში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ.

ბ-ნ პ. ნეჟდანოვის მტკიცება, თითქოს კაპიტალიზმში წარმოებასა და მოხმარებას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობდეს, იმდენად უცნაურია, რომ მისი ახსნა შეიძლე-

ბა მხოლოდ იმ სრულიად განსაკუთრებული აზრით, რომელსაც ის აძლევს ცნებას «წინააღმდეგობა». სახელდობრ ბ-ნი პ. ნეუდანოვი ფიქრობს, რომ «რაკი ნამდვილად არსებობს წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, — ეს წინააღმდეგობა სისტემატურად უნდა გვაძლევდეს ჭარბ პროდუქტს» (გვ. 301; იგივეა დასკვნითს თეზისებშიც, გვ. 316). ეს სრულიად თვითნებური და, ჩემის აზრით, სრულიად არასწორი განმარტებაა. როდესაც ბ-ნი ნეუდანოვი აკრიტიკებდა ჩემს მტკიცებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებასა და მოხმარებას შორის წინააღმდეგობის არსებობის შესახებ, მას (მე ვფიქრობ) მკითხველისთვის უნდა გაეცნო, თუ როგორ მესმის მე ეს წინააღმდეგობა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ამ წინააღმდეგობის დედაარსსა და მნიშვნელობაზე თავისი შეხედულების გადმოცემით. საკითხის (რომელმაც გამოიწვია ბ-ნ პ. ნეუდანოვის პოლემიკა ჩემს წინააღმდეგ) მთელი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მე ხსენებული წინააღმდეგობა მესმის სრულიად არა ისე, როგორც ბ-ნ პ. ნეუდანოვს სურს მისი გაგება. მე არსად არ მითქვამს, რომ ეს წინააღმდეგობა სისტემატურად* უნდა გვაძლევდეს ჭარბ პროდუქტს-მეთქი; მე ამას არ ვფიქრობ, და მარქსის სიტყვებიდან ასეთი აზრის გამოყვანა არც შეიძლება. წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, რაც კაპიტალიზმს მოსდგამს, იმაში მდგომარეობს, რომ წარმოება უდიდესი სისწრაფით იზრდება, რომ კონკურენცია მას აძლევს უსაზღვრო გაფართოების ტენდენციას, მაშინ როდესაც მოხმარება (პირადი), თუ კი იზრდება, ძალიან სუსტად იზრდება; ხალხის მასების პროლეტარული მდგომარეობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პირადი მოხმარება სწრაფად გაი-

* ხაზს ვუსვამ სიტყვას სისტემატურად, ვინაიდან ჭარბი პროდუქტის არასისტემატური წარმოება (კრიზისები) გარდუვალია კაპიტალისტურ საზოგადოებაში მრეწველობის სხვადასხვა დარგს შორის პროპორციულობის დარღვევის გამო. ხოლო მოხმარების გარკვეული მდგომარეობა პროპორციულობის ერთ-ერთი ელემენტია.

ზარდოს. მე ვფიქრობ, რომ ყველა, ვინც ყურადღებით წაიკითხა ჩემი «ეტიუდების» 20 და 30 გვერდი (სტატია სისმონდისტებზე, საიდანაც ბ-ნ პ. ნეჟდანოვს ციტატი მოჰყავს) და «ნაუჩნოე ობოზრენიე»-ს 40 გვერდი (1899 წ., № 1 *), დარწმუნდება, რომ მე თავიდანვე მ ხ ო ლ ო დ ა ს ე თ ი ა ზ რ ი თ მესმოდა სწორედ ის წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალიზმის დროს არსებობს წარმოებასა და მოხმარებას შორის. და არც შეიძლება სხვა აზრი მივცეთ ამ წინააღმდეგობას, თუ კი მარქსის თეორიას მტკიცედ დავიცავთ. წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული წინააღმდეგობა, რაც კაპიტალიზმს მოსდგამს, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის სიღატაკის ზრდასთან ერთად იზრდება ნაციონალური სიმდიდრე, იზრდება საზოგადოების საწარმოო ძალები იმ დროს, როცა შესაბამისად არ იზრდება ხალხის მოხმარება, არ ხდება ამ საწარმოო ძალების გამოყენება მშრომელი მასების სასარგებლოდ. ამ აზრით გაგებული ზემოხსენებული წინააღმდეგობა უეჭველი ფაქტია, რომელსაც მილიონობით ადამიანთა ყოველდღიური გამოცდილება ადასტურებს, და სწორედ ამ ფაქტის დაკვირვებას მიჰყავს მუშაკები იმ შეხედულებებამდე, რომლებმაც სრული და მეცნიერული გამოხატულება ჰპოვეს მარქსის თეორიაში. ეს წინააღმდეგობა სრულებითაც არ იწვევს იმის აუცილებლობას, რომ სისტემატურად ხდებოდეს ჭარბი პროდუქტის წარმოება (როგორც ამას ბ-ნი ნეჟდანოვი ფიქრობს). ჩვენ ყოველგვარი ჭარბი პროდუქტის გარეშე საკმაოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ (თუ წმინდა თეორიულად ვიმსჯელებთ იდეალურ კაპიტალისტურ საზოგადოებაზე) მთელი პროდუქტის რეალიზაცია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მ ა გ რ ა მ ჩ ვ ე ნ ვ ე რ წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ნ ი ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი წარმოებასა და მოხმარებას შორის შეუსაბამობის გარეშე. ეს შეუსაბამობა იმაში გამოიხატება (როგორც ეს თავის სქემებში მარქსს ნათლად აქვს ნაჩვენები), რომ წარ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 177, 192 და ეს ტომი, გვ. 59 — 61. რ ე დ.

მოების საშუალებათა წარმოებას შეუძლია და უნდა გაუსწროს მოხმარების საგნების წარმოებას.

ამრიგად, ბ-ნმა ნეუდანოვმა სრულიად შემცდარად დაასკვნა, რომ წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის სისტემატურად უნდა იძლეოდეს ჭარბ პროდუქტს, და ამ შეცდომიდან წარმოსდგა ის, რომ მან უსამართლოდ დააბრალა მარქსს არათანამიმდევრობა. პირიქით, მარქსი მტკიცედ თანამიმდევარია, როდესაც გვიჩვენებს:

1) რომ პროდუქტის რეალიზაცია შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში (რასაკვირველია, თუ ვივარაუდებთ პროპორციულობას მრეწველობის სხვადასხვა დარგს შორის); რომ შეცდომა იქნებოდა ამ რეალიზაციის ასახსნელად საგარეო ვაჭრობა ან «მესამე პირნი» მოგვეშველებინა;

2) რომ წვრილბურჟუაზიული ეკონომისტების (à la * პრუდონი) თეორიები ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის შესახებ ემყარება თვით რეალიზაციის პროცესის სრულ გაუგებლობას საერთოდ;

3) რომ თვით სავსებით პროპორციული, იდეალურად სწორი რეალიზაციის დროსაც კი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია კაპიტალიზმი წარმოებასა და მოხმარებას შორის წინააღმდეგობის გარეშე, უიმისოდ, რომ წარმოების გიგანტურ ზრდას თან არ ახლდეს ხალხის მოხმარების უაღრესად სუსტი ზრდა (ან თვით შეფერხებაც და გაუარესებაც კი). რეალიზაცია ხდება უფრო მეტად წარმოების ხარჯზე, ვიდრე მოხმარების საგნების ხარჯზე — ეს აშკარად ჩანს მარქსის სქემებიდან; აქედან კი, თავის მხრივ, აუცილებლად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ «რაც უფრო ვითარდება საწარმოო ძალა, მით უფრო ვარდება იგი წინააღმდეგობაში იმ ვიწრო საფუძველთან, რომელზედაც დამყარებულია მოხმარების ურთიერთობანი» (მარქსი) [46]. «კაპიტალის» ყველა იმ ადგილიდან, რომლებიც მიძღვნილია

* — მსგავსად. რ ე დ.

წარმოებასა და მოხმარებას * შორის არსებული წინააღმდეგობის საკითხისადმი, ნათლად ჩანს, რომ მარქსს მ ხ ო ლ ო დ ა მ ა ზ რ ი თ ესმოდა წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის.

სხვათა შორის, ბ-ნი პ. ნეჟდანოვი ფიქრობს, რომ ბ-ნი ტუგან-ბარანოვსკიც უარჰყოფს წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მე არ ვიცი, სწორია თუ არა ეს. ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ თავის წიგნში თვითონ მოიყვანა სქემა, რომელიც გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია წარმოების ზრდა მოხმარების შემცირების დროს (და ეს მართლაც შესაძლებელია და კიდევაც ხდება კაპიტალიზმის დროს). ნუთუ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენ აქ ვხედავთ წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის, თუმცა ჭარბი პროდუქტი აქ არც არის?

ბ-ნი პ. ნეჟდანოვი, აბრალებს რა მარქსს (და მეც) არათანამიმდევრობას, გარდა ამისა, მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად მას უნდა გამოერკვია, როგორ-ღა უნდა გვესმოდეს წარმოების საშუალებათა წარმოების «დამოუკიდებლობა» მოხმარების საგნების წარმოებისაგან. მარქსის მიხედვით, ეს «დამოუკიდებლობა» შემოიფარგლება იმით, რომ ხდება პროდუქტის გარკვეული (და მუდამ მზარდი) ნაწილის, რომელიც წარმოების საშუალებათაგან შესდგება, რეალიზაცია გაცვლა-გამოცვლით მოცემული ქვედანაყოფის შიგნით, ე. ი. წარმოების საშუალებათა გაცვლა-გამოცვლით წარმოების საშუალებებზე (ან მოპოვებული პროდუქტის in natura ** გამოყენებით ახალ წარმოებაში); მაგრამ ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი ი წარმოების საშუალებათა დამზადება აუცილებლად დაკავშირებუ-

* ეს ადგილები მოყვანილია ჩემს სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა 1899 წლის «ნაუჩნოე ობოზრენიე»-ს № 1-ში (იხ. ეს ტომი, გვ. 57 და შემდ. რ ე დ.) და განმეორებულია ჩემი წიგნის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» 1-ლ თავში, გვ. 18 — 19 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3., გვ. 47. რ ე დ.).

** — ნატურით. რ ე დ.

ლია მოხმარების საგნების დამზადებასთან, ვინაიდან წარმოების საშუალებანი მზადდება არა თვით წარმოების საშუალებების გულისთვის, არამედ მხოლოდ იმის გულისთვის, რომ წარმოების საშუალებათა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ესაჭიროება მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ *. ამრიგად, წვრილბურჟუაზიული ეკონომისტების შეხედულებათა განსხვავება მარქსის შეხედულებათაგან მდგომარეობს არა იმაში, რომ პირველნი აღიარებდნენ საერთოდ კავშირს წარმოებასა და მოხმარებას შორის კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ხოლო მეორე უარყოფდა საერთოდ ამ კავშირს (ეს აბსურდი იქნებოდა). განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წვრილბურჟუაზიული ეკონომისტები ამ კავშირს წარმოებასა და მოხმარებას შორის სთვლიდნენ უშუალო კავშირად, ფიქრობდნენ, რომ წარმოება მოხმარებას მისდევს. მარქსმა კი ცხადჰყო, რომ ეს კავშირი მხოლოდ შუალობითია, რომ ის თავს იჩენს ხოლმე მხოლოდ საბოლოო ანგარიშში, ვინაიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოხმარება წარმოებას მისდევს. თუმცა არა უშუალო, მაგრამ კავშირი ხომ მაინც არსებობს; მოხმარება საბოლოო ანგარიშში წარმოებას უნდა მისდევდეს, და თუ საწარმოო ძალები წარმოების უსაზღვრო ზრდისაკენ მიისწრაფიან, ხოლო მოხმარება შეზღუდულია ხალხის მასების პროლეტარული მდგომარეობით, აქ წინააღმდეგობა უეჭველია. ეს წინააღმდეგობა კაპიტალიზმის შეუძლებლობას როდი ნიშნავს **, მაგრამ ეს ნიშნავს უმაღლეს ფორმად გარდაქმნის აუცილებლობას: რაც უფრო ძლიერდება ეს წინააღმდეგობა,

* «Das Kapital», III. 1, 289 («კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 1, გვ. 289.[1] რ ე დ.). მოყვანილია ჩემს მიერ «ნაუჩნოე ობოზრენიეში», გვ. 40 (იხ. ეს ტომი, გვ. 60—61. რ ე დ.) და «კაპიტალიზმის განვითარებაში», 17 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 145. რ ე დ.).

** «ეტიუდები», გვ. 20 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 177. რ ე დ.); «ნაუჩნოე ობოზრენიე» № 1, გვ. 41 (იხ. ეს ტომი, გვ. 61—62. რ ე დ.); «კაპიტალიზმის განვითარება», გვ. 19—20 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 177. რ ე დ.). ეს წინააღმდეგობა რომ «სისტემატურად ჭარბ პროდუქტს» იძლეოდეს, ეს სწორედ კაპიტალიზმის შეუძლებლობის მომასწავებელი იქნებოდა.

ზით უფრო ვითარდება როგორც ამ გარდაქმნის ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები, ე. ი. წინააღმდეგობის შეგნება მუშაკთა მიერ.

ახლა ვიკითხოთ, როგორ პოზიციას დაიკავებდა ბ-ნი ნეჟდანოვი მოხმარების საგნებისაგან წარმოების საშუალებათა «დამოუკიდებლობის» საკითხის მიმართ? ორში ერთი: ან იგი სრულიად უარჰყოფს მათ შორის ყოველგვარ დამოკიდებულებას, დაიწყებს მტკიცებას, რომ შესაძლებელია მოხმარების საგნებთან სრულიად დაუკავშირებელ, თვით «საბოლოო ანგარიშშიაც» დაუკავშირებელ წარმოების საშუალებათა რეალიზაცია, — და მაშინ იგი აუცილებლად უაზრობამდე მივა, ანდა იგი მარქსთან ერთად აღიარებს, რომ საბოლოო ანგარიშში წარმოების საშუალებანი დაკავშირებულია მოხმარების საგნებთან, — და მაშინ მან უნდა აღიაროს, რომ მარქსის თეორიის ჩემი გაგება სწორია.

დასასრულ, მოვიყვან მაგალითს, რათა აბსტრაქტული მსჯელობანი კონკრეტული მონაცემებით დავასურათო. ცნობილია, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მანქანების გამოყენებას ხშირად ხელს უშლის უაღრესად დაბალი ხელფასი (=ხალხის მასების მოხმარების დაბალი დონე). ეს კიდევ ცოტაა: ისეც ხდება, რომ მეწარმეთა მიერ შეძენილი მანქანები უმოქმედოდაა, ვინაიდან მუშახელის ფასი იმდენად ეცემა, რომ მეპატრონისთვის ხელით მუშაობა უფრო ხელსაყრელი ხდება! * ამ შემთხვევაში დღესავით ნათელია წინააღმდეგობის არსებობა მოხმარებასა და წარმოებას შორის, იმას შორის, რომ კაპიტალიზმის მისწრაფებაა უსაზღვროდ განავითაროს საწარმოო ძალები, ხოლო ამ მისწრაფებას ზღუდავს ხალხის პროლეტარული მდგომარეობა, სიღატაკე და უმუშევრობა.

* უკანასკნელი მოვლენის მაგალითი რუსეთის კაპიტალისტური მიწათმოქმედების დარგიდან მოყვანილია ჩემს მიერ წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 165 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 261. რ ე დ.). მსგავსი მოვლენები წარმოადგენენ არა ერთეულ კაზუსებს, არამედ კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა ჩვეულებრივ და გარდუვალ შედეგს.

მაგრამ არანაკლებ ნათელია ისიც, რომ ამ წინააღმდეგობიდან ერთადერთი სწორი დასკვნა იქნებოდა მხოლოდ ის, რომ უკვე თვით საწარმოო ძალების განვითარებამ შეუკავებელი ძალით უნდა გამოიწვიოს კაპიტალიზმის შეცვლა ასოციაციებად გაერთიანებულ მწარმოებელთა მეურნეობით. პირიქით, სრულიად შემცდარი იქნებოდა ამ წინააღმდეგობიდან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ კაპიტალიზმი სისტემატურად უნდა იძლეოდეს ჭარბ პროდუქტს, ე. ი. რომ კაპიტალიზმს საერთოდ არ შეუძლია პროდუქტის რეალიზაცია და ამიტომ არ შეუძლია რაიმე პროგრესული ისტორიული როლი შეასრულოს და სხვ.

დაწერილია 1899 წლის მაისში
დაიბეჭდა 1899 წლის დეკემბერში
ჟურნალ «ჟიზნში»
ხელმოწერა: ვ ლ ა დ ი მ ი რ ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი[48]

. დაწერილია 1899 წლის აგვისტოს
დამლევს — სექტემბრის დამდეგს.

პირველად დაიბეჭდა 1899 წლის
დეკემბერში საზღვარგარეთ ცალ-
კე ანაბეჭდად ჟურნალ «რაბოჩეე
დელოს» № 4 — 5-დან

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ.

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Оттискъ изъ № 4-5 „Рабочаго Дѣла".

ПРОТЕСТЪ

РОССІЙСКИХЪ СОЦІАЛЬДЕМОКРАТОВЪ

СЪ ПОСЛѢСЛОВІЕМЪ ОТЪ РЕДАКЦІИ „РАБОЧАГО ДѢЛА"

Собраніе соціальдемократовъ одной мѣстности (Россіи), въ числѣ семнадцати человѣкъ, приняло ЕДИНОГЛАСНО слѣдующую резолюцію и постановило опубликовать ее и передать на обсужденіе всѣмъ товарищамъ.

Въ послѣднее время среди русскихъ соціальдемократовъ замѣчаются отступленія отъ тѣхъ основныхъ принциповъ русской соціальдемократіи, которые были провозглашены какъ основателями и передовыми борцами—членами Группы „Освобожденія Труда",— такъ и соціальдемократическими изданіями русскихъ рабочихъ организацій 90-хъ годовъ. Ниже приводимое „credo", долженствующее выражать основные взгляды нѣкоторыхъ („молодыхъ") русскихъ соціальдемократовъ, представляетъ изъ себя попытку систематическаго и опредѣленнаго изложенія „новыхъ воззрѣній". — Вотъ это „credo" въ полномъ видѣ.

„Существованіе цеховсго и мануфактурнаго періода на Западѣ наложило рѣзкій слѣдъ на всю послѣдующую исторію, въ особенности на исторію соціальдемократіи. Необходимость для буржуазіи завоевать свободныя формы, стремленіе освободиться отъ сковывающихъ производство цеховыхъ регламентацій, сдѣлали ее, буржуазію, революціоннымъ элементомъ; она повсюду на Западѣ начинаетъ съ liberté, fraternité, égalité (свобода, братство и равенство).

პირველი გვერდი ანაბეჭდისა «რაბოჩეე დელოს» № 4 — 5-დან «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტით». — 1899 წ.

(რუსეთის) ერთი ადგილის სოციალ-დემოკრატების კრებამ, ჩვიდმეტი კაცის რაოდენობით, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია და დაადგინა გამოაქვეყნოს იგი და განსახილველად გადასცეს ყველა ამხანაგს

უკანასკნელ ხანებში რუს სოციალ-დემოკრატებს შორის შემჩნეულია გადახვევები რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იმ ძირითადი პრინციპებიდან, რომლებიც საქვეყნოდ აღიარებულ იქნა როგორც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის დამაარსებლების და მოწინავე მებრძოლი წევრების, ისე 90-იანი წლების რუსეთის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატიული გამოცემების მიერ. ქვემოთ მოყვანილი «credo» *, რომელმაც უნდა გამოხატოს ზოგიერთი («ახალგაზრდა») რუსი სოციალ-დემოკრატის ძირითადი შეხედულებები, წარმოადგენს «ახალ შეხედულებათა» სისტემატური და გარკვეული გადმოცემის ცდას. — აი ეს «credo» სრული სახით.

«დასავლეთში ამჭრელი და მანუფაქტურული პერიოდის არსებობამ მკვეთრი კვალი დააჩნია მთელ შემდგომ ისტორიას, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიის ისტორიას. იმ გარემოებამ, რომ ბურჟუაზიისთვის აუცილებელი იყო თავისუფალი ფორმების მოპოვება, რომ ის მოისწრაფოდა განთავისუფლებულიყო წარმოების შემბორკავი ამჭრელი რეგლამენტაციებისგან, — ამ გარემოებამ გახადა ის, ბურჟუაზია, რევოლუციურ ელემენტად; ის დასავლეთში ყველგან იწყებს liberté, fraternité, égalité-თი (თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა), თავისუფალი პოლიტიკური ფორმების დაპყრობით. მაგრამ ამ მონაპოვარით იგი, ბისმარკის თქმით,

---

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

მომავლისათვის თამასუქს აძლევდა თავის ანტიპოდს — მუშათა კლასს. თითქმის არსად დასავლეთში მუშათა კლასს, როგორც კლასს, არ დაუპყრია დემოკრატიული დაწესებულებანი, — ის სარგებლობდა ამ დაწესებულებებით. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ის მონაწილეობას იღებდა რევოლუციებშიო. ისტორიული ცნობები გააბათილებენ ამ აზრს, ვინაიდან სწორედ 1848 წელს, როდესაც დასავლეთში კონსტიტუცია განმტკიცდა, მუშათა კლასი წარმოადგენდა ქალაქურ-ხელოსნურ ელემენტს, მეშჩანურ დემოკრატიას; ფაბრიკის პროლეტარიატი კი თითქმის არ არსებობდა, ხოლო მსხვილი წარმოების პროლეტარიატი (გერმანიის ფეიქრები — ჰაუპტმანი, ლეონის ფეიქრები) წარმოადგენდა ველურ მასას, რომელსაც მხოლოდ ამბოხებათა უნარი შესწევდა და არა უნარი რაიმე პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებისა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ 1848 წლის კონსტიტუციები ბრძოლით მოიპოვეს ბურჟუაზიამ და წვრილმა მეშჩანობამ, არტიზანებმა. მეორე მხრით, მუშათა კლასი (არტიზანები და მანუფაქტურათა მუშები, სტამბის მუშები, ფეიქრები, მესაათეები და სხვ.) ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მიეჩვია მონაწილეობის მიღებას ორგანიზაციებში, ურთიერთდამხმარე სალაროებში, რელიგიურ საზოგადოებებში და სხვ. ეს ორგანიზაციული სული აქამდე ცოცხლობს დასავლეთის დახელოვნებულ მუშებში და მკვეთრად ანსხვავებს მათ ფაბრიკის პროლეტარიატისაგან, რომელიც ვაი-ვაგლახით და ნელა ებმება ორგანიზაციაში და რომელსაც მხოლოდ ეგრეთწოდებულ loseorganisation (დროებითი ორგანიზაციების) შექმნის უნარი შეხწევს და არა მტკიცე ორგანიზაციებისა წესდებებითა და რეგლამენტებით. ამავე მანუფაქტურულად დახელოვნებულმა მუშებმა შეადგინეს სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბირთვი. ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი: ერთი მხრით, პოლიტიკური ბრძოლის შედარებითი სიადვილე და სრული შესაძლებლობა, მეორე მხრით — ამ ბრძოლის გეგმაშეწონილი ორგანიზაციის შესაძლებლობა მანუფაქტურული პერიოდით აღზრდილი მუშების საშუალებით. ამ ნიადაგზე აღმოცენდა დასავლეთში თეორიული და პრაქტიკული მარქსიზმი. გამოსავალი წერტილი გახდა პარლამენტული პოლიტიკური ბრძოლა, რომლის პერსპექტივა იყო, ერთი მხრით, ძალაუფლების დაპყრობა, მეორე მხრით — Zusammenbruch-ი (კატასტროფა), რაც მხოლოდ გარეგნულად გავდა ბლანკიზმს, წარმოშობით კი სრულიად სხვა ხასიათისა იყო. მარქსიზმი წარმოადგენდა თეორიულ გამოხატულებას გაბატონებული პრაქტიკისა: პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც სჭარბობს ეკონომიურ ბრძოლას. ბელგიაშიც, საფრანგეთშიც და განსაკუთრებით გერმანიაში მუშებმა წარმოუდგენელი სიადვილით მოაწყვეს პოლიტიკური ბრძოლა და საშინელი სიძნელით, უდიდესი შეხლა-შემოხლით — ეკონომიური ბრძოლა. და აქამდეც ეკონომიურ ორგანიზაციებს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შედარებით (მე არ ვეხები ინგლისს) ახასიათებდა არაჩვეულებრივი სისუსტე და მერყეობა, და ყველ-

გან laissent à désirer quelque chose (მათ რაღაც აკლდათ). გიდრე პოლიტიკურ ბრძოლაში ენერგია მთლიანად არ ამოიწურა — Zusammenbruch-ი აუცილებელი მაორგანიზებელი Schlagwort-ი (მოარული ფრაზა) იყო, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი ისტორიული როლი შეესრულებინა. ძირითადი კანონი, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ მუშათა მოძრაობის შესწავლისას — ესაა უმცირესი. წინააღმდეგობის ხაზი. დასავლეთში ასეთ ხაზს წარმოადგენდა პოლიტიკური მოღვაწეობა, ამიტომ მარქსიზმი იმ სახით, როგორც ის ფორმულირებული იყო «კომუნისტურ მანიფესტში», უაღრესად კარგი ფორმა შეიქნა, რომელშიც უნდა ჩამოყალიბებულიყო მოძრაობა. მაგრამ როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეობაში მთელი ენერგია ამოიწურა, როდესაც პოლიტიკური მოძრაობა ისეთ დაძაბულობამდე მივიდა, რომ შემდგომ მისი გაძღოლა ძნელი და თითქმის შეუძლებელი გახდა (ხმების ნელი ზრდა უკანასკნელ ხანებში, საზოგადოების გულგრილობა კრებებზე, ლიტერატურის ნაღვლიანი ტონი), მეორე მხრით, პარლამენტული მოღვაწეობის უძლურება და ის გარემოება, რომ ასპარეზზე გამოვიდა ფაბრიკის პროლეტარიატის შავი მასა, რომელიც არ იყო ორგანიზებული და თითქმის არც ხერხდებოდა მისი ორგანიზება, ყოველივე ამან დასავლეთში წარმოშვა ის, რასაც ახლა ბერნშტეინიადას, მარქსიზმის კრიზისს უწოდებენ. ძნელი წარმოსადგენია მოვლენათა იმაზე უფრო ლოგიკური განვითარება, ვიდრე მუშათა მოძრაობის განვითარების პერიოდი «კომუნისტური მანიფესტიდან» ბერნშტეინიადამდე; მთელი ამ პროცესის გულდასმით შესწავლას შეუძლია ასტრონომის სიზუსტით გამოარკვიოს ამ «კრიზისის» შედეგი. აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა ბერნშტეინიადის დამარცხებასა თუ გამარჯვებაზე — ეს ნაკლებ საინტერესოა; ლაპარაკია პრაქტიკული მოღვაწეობის ძირფესვიანად შეცვლაზე, რაც უკვე დიდი ხანია თანდათან ხდება პარტიის წიაღში.

ეს ცვლილება მოხდება არა მარტო იმ მიმართულებით, რომ უფრო ენერგიულად გაჩაღდება ეკონომიური ბრძოლა, განმტკიცდება ეკონომიური ორგანიზაციები, არამედ იმ მიმართულებითაც, და ეს ყველაზე არსებითია, რომ შეიცვლება პარტიის დამოკიდებულება დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისადმი. შეურიგებელი მარქსიზმი, უარმყოფელი მარქსიზმი, პრიმიტიული მარქსიზმი (რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების კლასობრივი დანაწილების მეტად სქემატური წარმოდგენით) ადგილს დაუთმობს დემოკრატიულ მარქსიზმს, და პარტიის საზოგადოებრივი მდგომარეობაც თანამედროვე საზოგადოების წიაღში მკვეთრად უნდა შეიცვალოს. პარტია ს ც ნ ო ბ ს საზოგადოებას; პარტიის ვიწროკორპორაციული, უმეტეს შემთხვევაში სექტანტური ამოცანები გაფართოვდება საზოგადოებრივ ამოცანებამდე და მისი მისწრაფება ხელისუფლების დაპყრობისადმი გარდაიქმნება მისწრაფებად — შესცვალოს თანამედროვე საზოგადოება, მოახდინოს მისი რეფორმირება დემოკრატიული მიმართულებით, თანამედროვე ვითარებას-

თან შეფარდებით, რათა რაც შეიძლება უფრო წარმატებით, უფრო სრულად დაიცვას მშრომელი კლასების (ყოველგვარი) უფლებები. «პოლიტიკის» ცნების შინაარსი გაფართოვდება ჭეშმარიტად საზოგადოებრივ მნიშვნელობამდე, და მომენტის პრაქტიკულ მოთხოვნებსაც მიეცემა მეტი წონა, მეტი ყურადღების ღირსი გახდება, ვიდრე ეს აქამდე იყო.

ძნელი არ არის დასავლეთის მუშათა მოძრაობის განვითარების მსვლელობის ამ მოკლე აწერიდან დასკვნა გავაკეთოთ რუსეთისთვის. უმცირესი წინააღმდეგობის ხაზი ჩვენში არასდროს არ იქნება მიმართული პოლიტიკური მოღვაწეობისაკენ. აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა გვაიძულებს ბევრი ვილაპარაკოთ მასზე და სწორედ ამ საკითხს მივაქციოთ მთელი ყურადღება, მაგრამ ის ვერასდროს ვერ გვაიძულებს პრაქტიკულად ვიმოქმედოთ. თუ დასავლეთში მუშათა სუსტი ძალები ჩაბმული იყვნენ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, მასში განმტკიცდნენ და ჩამოყალიბდნენ, ჩვენში, პირიქით, ეს სუსტი ძალები დგანან პოლიტიკური ჩაგვრის დახშული კედლის წინ და არამც თუ არ გააჩნიათ პრაქტიკული გზები მასთან საბრძოლველად და, მაშასადამე, თავის განვითარებისთვისაც, არამედ სისტემატურად იჩაგრებიან მისგან და ოდნავი განვითარებაც კი არ შეუძლიათ. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს მუშათა კლასს არ მიუღია მემკვიდრეობად ის ორგანიზაციული სული, რითაც დასავლეთის მებრძოლნი განირჩეოდნენ, მივიღებთ დამაღონებელ სურათს; მას შეუძლია სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს უაღრესად ოპტიმისტი მარქსისტი, რომელსაც სწამს, რომ ფაბრიკის ერთ ზედმეტ მილს, მარტოოდენ თავისი არსებობის ფაქტით, უკვე უდიდესი კეთილდღეობა მოაქვს. ძნელია, უსაზღვროდ ძნელია ეკონომიური ბრძოლაც, მაგრამ ის შესაძლებელია, მას, ბოლოს და ბოლოს, თვით მასები ეწევიან. რუსი მუშა, რომელიც ამ ბრძოლაში ეჩვევა ორგანიზაციას და მასში ყოველ წუთს ეჯახება პოლიტიკურ რეჟიმს, ბოლოს და ბოლოს, შეჰქმნის იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მუშათა მოძრაობის ფორმა, შეჰქმნის იმ ორგანიზაციას თუ ორგანიზაციებს, რომლებიც ყველაზე უფრო შეეფერებიან რუსეთის სინამდვილის პირობებს. ამჟამად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ ამებისებრ მდგომარეობაშია და მას არავითარი ფორმა არ შეუქმნია. საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ორგანიზაციის ყოველი ფორმის დროს არსებობს, ჯერ კიდევ შეუძლებელია ჩაითვალოს რუსეთის მოძრაობის კრისტალიზებულ ფორმად, ხოლო არალეგალური ორგანიზაციები უკვე წმინდა რაოდენობის თვალსაზრისით არ არიან ყურადღების ღირსნი (ხოლო დღევანდელ პირობებში მათ სარგებლიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია).

ასეთია მდგომარეობა. თუ ამას დავუმატებთ კიდევ შიმშილს და სოფლის გაჩანაგების პროცესს, რაც ხელს უწყობს Streikbrecher-ობას * და,

* — შტრეიკბრეხერობას. რ ე დ.

მაშასადამე, კიდევ უფრო მეტ სიძნელეს მუშათა მასების უფრო მაღალ კულტურულ დონეზე აყვანის საქმეში, მაშინ... რას გახდება აქ რუსი მარქსისტი?! ლაპარაკი მუშათა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიაზე არის უცხო ამოცანების, უცხო შედეგების ჩვენს ნიადაგზე გადმოტანის ნაყოფი და სხვა არაფერი. რუსი მარქსისტი — ჯერჯერობით საკალაო სანახაობაა. მისი პრაქტიკული ამოცანები დღესდღეობით უმნიშვნელოა, მის თეორიულ ცოდნას, რამდენადაც ის ამ ცოდნით სარგებლობს *არა როგორც კვლევის იარაღით*, არამედ როგორც მოქმედების სქემით, ფასი არა აქვს თვით ამ უმნიშვნელო პრაქტიკულ ამოცანათა შესრულებისთვისაც. გარდა ამისა, ეს სქემები, სხვებისგან გადმოღებული, პრაქტიკული აზრით საზიანოა. ჩვენს მარქსისტებს ავიწყდებათ, რომ დასავლეთში მუშათა კლასი გამოვიდა მოღვაწეობის უკვე გაკაფულ პოლიტიკურ ასპარეზზე და ზომაზე მეტი ზიზღით ეპყრობიან ისინი საზოგადოების ყველა სხვა არამუშათა ფენების რადიკალურ თუ ლიბერალურ-ოპოზიციურ მოღვაწეობას. სულ მცირეოდენი ცდებიც კი — ყურადღება მიექცეს ლიბერალურ-პოლიტიკური ხასიათის საზოგადოებრივ გამოვლინებებს, პროტესტს იწვევს ორტოდოქსული მარქსისტების მხრივ, რომელნიც ივიწყებენ, რომ მთელი რიგი ისტორიული პირობები ხელს გვიშლიან ვიყოთ დასავლეთის ყაიდის მარქსისტები და ჩვენგან მოითხოვენ სხვანაირ მარქსიზმს, რუსეთის პირობებისთვის შესაფერისსა და საჭიროს. რუსეთის ყოველ მოქალაქეს როდი აქვს პოლიტიკური გრძნობა და ალღო, რაც, ცხადია, შეუძლებელია ანაზღაურებულ იქნას პოლიტიკაზე ლაპარაკით ან არარსებული ძალისადმი მოწოდებებით. ეს პოლიტიკური ალღო შეიძლება შევიძინოთ მხოლოდ აღზრდით, ე. ი. იმ ცხოვრებაში მონაწილეობით (რაგინდ არამარქსისტულიც იყოს იგი), რომელსაც რუსეთის სინამდვილე იძლევა. რამდენადაც დასავლეთში «უარყოფა» შესაფერისი იყო (დროებით), იმდენად ჩვენში იგი საზიანოა, იმიტომ რომ უარყოფა, რომელიც გამომდინარეობს რაღაც ორგანიზებული და ფაქტიური ძალის მქონედან, — ერთია, ხოლო უარყოფა, რომელიც გამომდინარეობს დაქსაქსულ პიროვნებათა უფორმო მასიდან, — სულ სხვაა.

რუს მარქსისტს ერთი გამოსავალი აქვს: მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში, ე. ი. დაეხმაროს მას ამ ბრძოლაში და მონაწილეობა მიიღოს ლიბერალურ-ოპოზიციურ მოღვაწეობაში. რუსი მარქსისტი, როგორც «უარმყოფელი», ძალიან ადრე მოვიდა, ამ უარყოფამ კი მასში შეასუსტა ენერგიის ის წილი, რომელიც მიმართული უნდა იქნას პოლიტიკური რადიკალიზმისაკენ. ჯერჯერობით ყველაფერ ამაში საშიში არაფერია, მაგრამ თუ კლასობრივი სქემა ხელს შეუშლის რუს ინტელიგენტს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ცხოვრებაში და მეტისმეტად დააშორებს მას ოპოზიციურ წრეებს, — ეს არსებითს ზიანს მიაყენებს ყველას, ვინც იძულებულია იბრძოლოს უფლებრივი ფორმებისათვის არა ხელიხელჩაკიდებით მუშათა კლასთან, რომელსაც ჯერ კიდევ არ წამოუყენე-

ბია პოლიტიკური ამოცანები. რუსი მარქსისტ-ინტელიგენტის პოლიტიკურ გულუბრყვილობას, რომელიც ეფარება პოლიტიკურ თემებზე განყენებულ მსჯელობებს, შეუძლია მას ცუდი საქმე დამართოს».

ჩვენ არ ვიცით, რამდენად დიდია იმ რუსი სოციალ-დემოკრატების რიცხვი, ვინც ამ შეხედულებებს იზიარებს. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ საერთოდ ამგვარ იდეებს თავისი მომხრეები ჰყავს; ამიტომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია კატეგორიული პროტესტი განვაცხადოთ ასეთ შეხედულებათა წინააღმდეგ და გავაფრთხილოთ ყველა ამხანაგი, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მოელის დასახული გზიდან გადაცდენის საფრთხე, სახელდობრ: ხელის აღება დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშათა პარტიის შექმნაზე, რომელიც განუყრელია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისაგან და თავის უახლოეს ამოცანად ისახავს პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობას.

ზემოთ მოყვანილი «credo» წარმოადგენს, ჯერ-ერთი, «დასავლეთში მუშათა მოძრაობის განვითარების მსვლელობის მოკლე აღწერას» და, მეორე მხრით, «დასკვნებს რუსეთისთვის».

უწინარეს ყოვლისა სრულიად არ არის სწორი «credo»-ს ავტორთა წარმოდგენა დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობის წარსულზე. არ არის სწორი, თითქოს დასავლეთის მუშათა კლასი მონაწილეობას არ იღებდა პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლაში და პოლიტიკურ რევოლუციებში. სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს ჩარტიზმის ისტორია, 1848 წლის რევოლუცია საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში. სრულიად არ არის სწორი, თითქოს «მარქსიზმი წარმოადგენდა თეორიულ გამოხატულებას გაბატონებული პრაქტიკისა: პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც სჭარბობს ეკონომიურ ბრძოლას». პირიქით, «მარქსიზმი» მაშინ გაჩნდა, როდესაც გაბატონებული იყო არაპოლიტიკური სოციალიზმი (ოუენიზმი, «ფურიერიზმი», «ჭეშმარიტი სოციალიზმი»), და «კომუნისტურმა მანიფესტმა» ერთბაშად გაილაშქრა არაპოლიტიკური სოციალიზმის წინააღმდეგ. მაშინაც კი, რო-

დესაც მარქსიზმი გამოვიდა თეორიით აღჭურვილი («კაპიტალი») და მან განთქმული მუშათა საერთაშორისო საზოგადოება[49] შექმნა, პოლიტიკური ბრძოლა სრულიადაც არ ყოფილა გაბატონებული პრაქტიკა (ვიწრო ტრედ-უნიონიზმი ინგლისში, ანარქიზმი და პრუდონიზმი რომანულ ქვეყნებში). გერმანიაში ლასალის დიდი ისტორიული დამსახურება ის იყო, რომ მან მუშათა კლასი ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალიდან დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გადააქცია. მარქსიზმმა ერთ განუყრელ მთლიანობად შეაერთა მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა, და «credo»-ს ავტორთა მისწრაფება — ერთმანეთს დააცილონ ბრძოლის ეს ფორმები, წარმოადგენს მარქსიზმისგან მათს ყველაზე უხეირო და სავალალო გადახვევას.

შემდეგ, სრულიად არაა სწორი აგრეთვე «credo»-ს ავტორთა წარმოდგენა დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობაზე და მარქსიზმის იმ თეორიაზე, რომლის დროშითაც ეს მოძრაობა მიმდინარეობს. «მარქსიზმის კრიზისზე» ლაპარაკი ნიშნავს იმ ბურჟუაზიულ მჯღაბნელთა უაზრო ფრაზების განმეორებას, რომლებიც ჭაპანწყვეტით ცდილობენ გაბერონ ყოველგვარი დავა სოციალისტებს შორის და გადააქციონ ის სოციალისტური პარტიების გათიშვად. ყბადაღებული ბერნშტეინიადა[50] — იმ აზრით, როგორც ის ჩვეულებრივ ესმის ფართო საზოგადოებას საერთოდ და «credo»-ს ავტორებს კერძოდ, — ნიშნავს იმის ცდას, რომ შეზღუდონ მარქსიზმის თეორია, გადააქციონ რევოლუციური მუშათა პარტია რეფორმატორულ პარტიად, და ეს ცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაჭრით დაჰგმო გერმანელ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობამ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს არაერთხელ უჩენიათ თავი, მაგრამ მათ ყოველთვის უარყოფდა პარტია, რომელიც ერთგულად იცავს რევოლუციური საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ანდერძებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველგვარი ცდა რუსეთში ოპორტუნისტულ შეხედულებათა გადატანისა ასეთსავე სასტიკ წინააღმდეგობას შეხვ-

დება რუს სოციალ-დემოკრატთა დიდი უმრავლესობის მხრით.

სწორედ ასევე, წინააღმდეგ «credo»-ს ავტორებისა, ლაპარაკიც კი შეუძლებელია დასავლეთ-ევროპის მუშათა პარტიების «პრაქტიკული მოღვაწეობის» რაიმე «ძირითად ცვლილებაზე»: პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა და ასეთი ბრძოლის აუცილებლობა მარქსიზმმა იმთავითვე აღიარა, და ჯერ კიდევ ორმოციან წლებში მარქსი და ენგელსი პოლემიკას აწარმოებდნენ სოციალისტ-უტოპისტების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ასეთი ბრძოლის მნიშვნელობას [51].

როდესაც, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, მუშათა საერთაშორისო საზოგადოება შეიქმნა, საკითხი მუშათა პროფესიული კავშირებისა და ეკონომიური ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ წამოიჭრა პირველსავე კონგრესზე ჟენევაში 1886 წელს. ამ კონგრესის რეზოლუციამ ზუსტად აღნიშნა ეკონომიური ბრძოლის მნიშვნელობა და გააფრთხილა სოციალისტები და მუშები, ერთი მხრით, არ გაეზვიადებინათ მისი მნიშვნელობა (რაც იმ დროს ემჩნეოდათ ინგლისელ მუშებს) და, მეორე მხრით, არ გამოეჩინათ მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა (რაც ემჩნეოდათ ფრანგებსა და გერმანელებს, განსაკუთრებით კი ლასალელებს). რეზოლუციამ მუშათა პროფესიული კავშირები აღიარა არამც თუ კანონზომიერ, არამედ აუცილებელ მოვლენადაც კაპიტალიზმის არსებობის დროს; — აღიარა მათი უაღრესი მნიშვნელობა მუშათა კლასის ორგანიზაციისთვის მის ყოველდღიურ ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ და დაქირავებული შრომის მოსპობისათვის. რეზოლუციამ აღიარა, რომ მუშათა პროფესიული კავშირები განსაკუთრებულ ყურადღებას არ უნდა აქცევდნენ «უშუალო ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ», არ უნდა გაურბოდნენ მუშათა კლასის საერთო პოლიტიკურ და სოციალურ მოძრაობას; მათი მიზნები არ უნდა იყოს «ვიწრო», არამედ უნდა მიილტვოდნენ მილიონობით დაჩაგრული მუშა ხალხის საყოველთაო განთავისუფლებისაკენ. მას შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა პარტიების წინაშე არაერთხელ წამოჭრილა და, რა თქმა უნდა,

არაერთხელ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, საჭირო ხომ არ არის ამა თუ იმ მომენტში რამდენიმედ მეტი ან ნაკლები ყურადღება მიექცეს პროლეტარიატის ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ბრძოლას; მაგრამ ზოგადი ანუ პრინციპული საკითხი ახლაც ისე დგას, როგორც ის დასმულია მარქსიზმის მიერ. იმის რწმენა, რომ ერთიანი კლასობრივი ბრძოლა აუცილებლად უნდა აერთებდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლას, ძვალსა და რბილში გაუჯდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას. შემდეგ, ისტორიული გამოცდილება ურყევად მოწმობს იმას, რომ თავისუფლების უქონლობა ან პროლეტარიატის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა ყოველთვის იწვევს პოლიტიკური ბრძოლის პირველ რიგში წამოყენების აუცილებლობას.

კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება ლაპარაკი დანარჩენი ოპორტუნისტული პარტიებისადმი მუშათა პარტიის დამოკიდებულების რაიმე არსებითს ცვლილებაზე. ამ მხრივაც მარქსიზმმა გვიჩვენა სწორი პოზიცია, რომელიც ერთნაირად შორსაა როგორც პოლიტიკის მნიშვნელობის გაზვიადებისაგან და შეთქმულებისაგან (ბლანკიზმი და სხვ.), ისე პოლიტიკის უგულებელყოფისა ან ოპორტუნისტულ, რეფორმატორულ სოციალურ წვრილ საქმიანობამდე მისი შეზღუდვისაგან (ანარქიზმი, უტოპიური და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, სახელმწიფო სოციალიზმი, პროფესორული სოციალიზმი და სხვ.). პროლეტარიატი უნდა მიისწრაფოდეს იქითკენ, რომ დააარსოს დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშათა პარტიები, რომელთა მთავარი მიზანი უნდა იყოს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციისთვის. სხვა კლასებსა და პარტიებს პროლეტარიატი სრულებით არ უნდა უყურებდეს, როგორც «ერთს რეაქციულ მასას» [52]: პირიქით, ის უნდა მონაწილეობდეს მთელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხარს უნდა უჭერდეს პროგრესულ კლასებსა და პარტიებს რეაქციული კლასებისა და პარტიების წინააღმდეგ, მხარს უნ-

და უჭერდეს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას არსებული წყობილების წინააღმდეგ, ის უნდა იყოს დამცველი ყოველი ჩაგრული ეროვნების ან რასისა, ყოველი დევნილი სარწმუნოების, უუფლებო სქესისა და სხვ. «credo»-ს ავტორების მსჯელობა ამ თემაზე მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათ სურთ მიჩქმალონ პროლეტარიატის ბრძოლის კლასობრივი ხასიათი, დააუძლურონ ეს ბრძოლა «საზოგადოების» რაღაც უაზრო «ცნობით», ჩამოაქვეითონ რევოლუციური მარქსიზმი ჩვეულებრივ რეფორმატორულ მიმდინარეობამდე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა უსათუოდ უკუაგდებს სოციალ-დემოკრატიის ძირითადი პრინციპების ასეთ დამახინჯებას. არასწორ წანამძღვარებს დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ «credo»-ს ავტორები მიჰყავს კიდევ უფრო არასწორ «დასკვნებამდე რუსეთისთვის».

იმის მტკიცება, რომ რუსეთის მუშათა კლასს «ჯერ კიდევ არ წამოუყენებია პოლიტიკური ამოცანები», მხოლოდ იმას მოწმობს, რომ «credo»-ს ავტორები არ იცნობენ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას. პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა თავიანთ პროგრამაში წამოაყენეს ჯერ კიდევ «ჩრდილოეთ-რუსეთის მუშათა კავშირმა» [53], და «სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირმა» [54], რომელთაგან პირველი დაარსებულ იქნა 1878 წელს, ხოლო მეორე 1875 წელს. 80-იანი წლების რეაქციის შემდეგ მუშათა კლასს არაერთხელ წამოუყენებია იგივე მოთხოვნა 90-იან წლებში. იმის მტკიცება, რომ «ლაპარაკი მუშათა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიაზე არის უცხო ამოცანების, უცხო შედეგების ჩვენს ნიადაგზე გადმოტანის ნაყოფი და სხვა არაფერია», მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათ სრულიად არ ესმით რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლი და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უაღრესად საარსებო ამოცანები. «credo»-ს ავტორების საკუთარი პროგრამა, ცხადია, იქითკენ იხრება, რომ მუშათა კლასი წავიდეს «უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით» და ეკონომიური ბრძოლით დაკმაყოფილდეს, ხოლო «ლიბერალურ-ოპოზიცი-

ურმა ელემენტებმა» იბრძოლონ მარქსისტების «მონაწილეობით» «უფლებრივი ფორმებისათვის». ასეთი პროგრამის განხორციელება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური თვითმკვლელობის მომასწავებელი იქნებოდა, ის იქნებოდა რუსეთის მუშათა მოძრაობის და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის (ორი უკანასკნელი ცნება ჩვენთვის ერთმანეთს ემთხვევა) უდიდესი შეფერხებისა და დაქვეითების მომასწავებელი. უკვე მარტო შესაძლებლობა ასეთი პროგრამის გამოსვლისა გვიჩვენებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლის — პ. ბ. აქსელროდის შიში, როცა ის 1897 წლის დამლევს ასეთი პერსპექტივის შესაძლებლობაზე წერდა:

«მუშათა მოძრაობა ვერ სცილდება მუშებსა და მეწარმეთა შორის წმინდა ეკონომიური ხასიათის შეჯახებათა ვიწრო კალაპოტს და თავისთავად, საერთოდ, მოკლებულია პოლიტიკურ ხასიათს, ხოლო პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოწინავე ფენები მიჰყვება ეგრეთწოდებული ინტელიგენციიდან გამოსულ რევოლუციურ წრეებსა და ფრაქციებს» (აქსელროდი. «რუსი სოციალ-დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის». ჟენევა. 1898 წ., გვ. 19).

რუსმა სოციალ-დემოკრატებმა გადამწყვეტი ომი უნდა გამოუცხადონ იმ იდეათა მთელ წყებას, რომელთაც გამოხატულება ჰპოვეს «credo»-ში, ვინაიდან ამ იდეებს პირდაპირ მივყევართ ასეთი პერსპექტივის განხორციელებისაკენ. რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა განხორციელდეს მეორე პერსპექტივა, რომელსაც ასეთი სიტყვებით გადმოგვცემს პ. ბ. აქსელროდი:

«მეორე პერსპექტივა: სოციალ-დემოკრატია რუსეთის პროლეტარიატს რაზმავს დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის ნაწილობრივ ბურჟუაზიულ რევოლუციურ ფრაქციებთან ერთად (რამდენადაც ასეთები სინამდვილეში იქნებიან) და მათთან კავშირში, ნაწილობრივ კი პირდაპირ თავის რიგებში იზიდავს ან თან გაიყოლიებს ინტელიგენციიდან გამოსულ ყველაზე უფრო ხალხისმოყვარულ და რევოლუციურ ელემენტებს» (იქვე, გვ. 20).

სწორედ იმ დროს, როცა პ. ბ. აქსელროდი ამ სტრიქონებს წერდა, რუსეთში მყოფი სოციალ-დემოკრატების განცხადებებიდან ნათლად ჩანდა, რომ მათი დიდი უმრავლესობა იმავე თვალსაზრისზე დგას. მართალია, პეტერბურგის მუშების ერთი გაზეთი, «რაბოჩაია მისლი» [55], თითქოს იხრებოდა «credo»-ს ავტორების იდეებისაკენ და, სამწუხაროდ, თავის მოწინავე პროგრამულ სტატიაში (№ 1, 1897 წლის ოქტომბერი) იმ სრულიად შემცდარ და სოციალ-დემოკრატიზმის საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა, რომ «მოძრაობის ეკონომიური საფუძველი» "ეიძლება «დაიჩრდილოს მისწრაფებით, რომელიც მუდამ თვალწინ გვიყენებს პოლიტიკურ იდეალს». მაგრამ იმავე დროს პეტერბურგის მუშების მეორე გაზეთი, «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკ» [56] (№ 2, 1897 წლის სექტემბერი) გადაჭრით გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ «თვითმპყრობელობის დამხობა... შეუძლია მხოლოდ მტკიცედ ორგანიზებულ მუშათა მრავალრიცხოვან პარტიას», რომ მუშები, «ორგანიზებულნი ძლიერ პარტიად», «გაითავისუფლებენ თავის თავს და მთელს რუსეთსაც გაათავისუფლებენ ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრისაგან». მესამე გაზეთი, «რაბოჩაია გაზეტა» [57], მოწინავე სტატიაში (№ 2, 1897 წლის ნოემბერი) წერდა: «თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოესი ამოცანაა».—«რუსეთის მუშათა მოძრაობა გააათკეცებს თავის ძალებს, თუ გამოვა როგორც ერთიანი მწყობრი ერთეული საერთო სახელითა და მწყობრი ორგანიზაციით...». «ცალკეული მუშათა წრეები უნდა გადაიქცნენ ერთ საერთო პარტიად». «რუსეთის მუშათა პარტია იქნება სოციალ-დემოკრატიული პარტია». — რუსი სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა რომ «რაბოჩაია გაზეტას» სწორედ ამ შეხედულებებს სავსებით იზიარებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუს სოციალ-დემოკრატების ყრილობამ [58], რომელიც 1898 წლის გაზაფხულზე შესდგა, დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», გამოაქვეყნა მისი მანიფესტი და პარტიის ოფიციალურ ორგანოდ

«რაბოჩაია გაზეტა» აღიარა. ამრიგად, «credo»-ს ავტორები უდიდეს ნაბიჯს დგამენ უკან განვითარების იმ საფეხურის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ უკვე მიაღწია და რომელიც აღბეჭდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტში». თუ რუსეთის მთავრობის მხრით გააფთრებულმა დევნამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ამჟამად პარტიის მუშაობა დროებით შესუსტდა და მისი ოფიციალური ორგანოს გამოსვლა შეწყდა, ცხადია, ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის ამოცანა ისაა, რომ ყოველი ღონე იხმარონ პარტიის საბოლოო განმტკიცებისათვის, პარტიის პროგრამის შემუშავებისა და მისი ოფიციალური ორგანოს განახლებისათვის. აზრის იმ მერყეობის გამო, რომელსაც მოწმობს ისეთი პროგრამების გამოსვლის შესაძლებლობა, როგორიცაა ზემოთ განხილული «credo», ჩვენ განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოთქმულია «მანიფესტში» და რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიისთვის. ჯერ-ერთი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიას «სურს იყოს და დარჩეს ორგანიზებული მუშათა მასების კლასობრივ მოძრაობად». აქედან გამომდინარეობს ის, რომ სოციალ-დემოკრატიის დევიზი უნდა იყოს მუშებისთვის დახმარების გაწევა არა მხოლოდ ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაშიც, აგიტაცია არა მარტო უახლოეს ეკონომიურ საჭიროებათა ნიადაგზე, არამედ პოლიტიკური ჩაგვრის ყოველგვარი გამოვლინების ნიადაგზეც; არა მარტო მეცნიერული სოციალიზმის იდეების პროპაგანდა, არამედ დემოკრატიული იდეების პროპაგანდაც. მუშათა კლასობრივი მოძრაობის დროშა შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის თეორია, და რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ უნდა იზრუნოს მისი შემდგომი განვითარებისა და ცხოვრებაში გატარებისთვის და იმავე დროს დაიცვას იგი იმ დამახინჯებათა და გაყალბებათაგან, რაც ასე ხშირად ემართებათ ხოლმე «მოდურ თეორიებს» (ხოლო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმატებებმა რუსეთში უკვე გახადეს მარქსიზმი

«ძოდურ» თეორიად). სოციალ-დემოკრატია ამჟამად მთელ თავის ძალებს თავს უყრის ფაბრიკა-ქარხნებისა და სამთამადნო მუშებში სამუშაოდ, მაგრამ ამავე დროს მან არ უნდა დაივიწყოს, რომ მის მიერ ორგანიზებული მუშათა მასების რიგებში მოძრაობის გაფართოებისდა მიხედვით უნდა ჩაებან შინა მუშებიც, შინამრეწველებიც, სოფლის მუშებიც და მილიონობით გაჩანაგებული და მშიერ-მწყურვალი გლეხობაც.

მეორე: «რუსმა მუშამ თავისი მაგარი მხრებით უნდა გადაიტანოს პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობის საქმე და გადაიტანს კიდეც». ისახავს რა თავის უახლოეს ამოცანად აბსოლუტიზმის დამხობას, რუსეთის სოციალ-დემოკრატია უნდა გამოვიდეს მოწინავე მებრძოლად დემოკრატიისათვის და უკვე მარტო ამის გამო ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოს რუსეთის მოსახლეობის ყველა დემოკრატიულ ელემენტებს და მოკავშირეებად მიიზიდოს ისინი. მხოლოდ დამოუკიდებელი მუშათა პარტია შეიძლება იყოს მტკიცე დასაყრდენი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, და მხოლოდ ასეთ პარტიასთან კავშირში, მის მხარის დაჭერაში შეუძლიათ გამოიჩინონ თავიანთი აქტიურობა ყველა დანარჩენ მებრძოლთ პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

ბოლოს, მესამე: «როგორც მოძრაობა და სოციალისტური მიმართულება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია განაგრძობს რუსეთის მთელი ადრინდელი რევოლუციური მოძრაობის საქმესა და ტრადიციებს; სახავს რა საერთოდ პარტიის უახლოეს ამოცანათაგან უმთავრეს ამოცანად პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობას, სოციალ-დემოკრატია მიდის იმ მიზნისაკენ, რომელიც ნათლად იყო დასახული ჯერ კიდევ ძველი «ნაროდნაია ვოლიას» [59] სახელოვანი მოღვაწეების მიერ». მთელი ადრინდელი რევოლუციური მოძრაობის ტრადიციები მოითხოვს, რომ ამჟამად სოციალ-დემოკრატიამ მთელი თავისი ძალები მოახმაროს პარტიის ორგანიზაციას, მის შიგნით დისციპლინის განმტკიცებასა და კონსპირაციული ტექნიკის განვითარებას. თუ ძველ «ნაროდნაია ვოლიას» მოლ-

ვაწეებმა შესძლეს უდიდესი როლი შეესრულებინათ რუსეთის ისტორიაში, მიუხედავად იმ საზოგადოებრივი ფენების შეზღუდულობისა, რომელნიც მხარს უჭერდნენ თითო-ოროლა გმირს, და მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის დროშა იყო სრულებითაც არა რევოლუციური თეორია, ცხადია, სოციალ-დემოკრატია, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე დაყრდნობით, შესძლებს უძლეველი გახდეს. «რუსეთის პროლეტარიატი კისრიდან გადაიგდებს თვითმპყრობელობის უღელს, რათა მით უფრო მეტი ენერგიით განაგრძოს ბრძოლა კაპიტალთან და ბურჟუაზიასთან სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე».

ჩვენ მოვუწოდებთ სოციალ-დემოკრატების ყველა ჯგუფს და ყველა მუშათა წრეს რუსეთში — განიხილონ ზემომოყვანილი «credo» და ჩვენი რეზოლუცია და გარკვევით გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება აღძრული საკითხისადმი, რათა მოვსპოთ ყოველგვარი უთანხმოება და დავაჩქაროთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმე.

ჯგუფებისა და წრეების რეზოლუციები შეიძლება ეცნობოს საზღვარგარეთულ «რუს სოციალ-დემოკრატების კავშირს», რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატების 1898 წლის ყრილობის გადაწყვეტილების მე-10 მუხლის თანახმად არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილი და მისი საზღვარგარეთული წარმომადგენელი.

რეცენზია

ს. ნ. პროკოპოვიჩი. Рабочее движение на Западе[60]

...«მივმართოთ სოციალურ მეცნიერებას და თითქოს მის დასკვნას, რომ საზოგადოების კაპიტალისტური წყობილება იმ წინააღმდეგობათა გამო, რომლებიც მასში ვითარდება, შეუკავებლად მიექანება თავის დაღუპვისაკენ. საჭირო განმარტებებს ჩვენ ვნახულობთ კაუტსკის «ერფურტის პროგრამაში» (147). ვიდრე ბ-ნ პროკოპოვიჩის მიერ მოყვანილი ამონაწერის შინაარსს დავიმოწმებდეთ, აღვნიშნოთ შემდეგი უცნაურობა, რომელიც მეტად ახასიათებს ბ-ნ პროკოპოვიჩს და თეორიის მის მსგავს გარდამქმნელებს. რატომ არის, რომ ჩვენი «კრიტიკული მკვლევარი», როცა «სოციალურ მეცნიერებას» შიმართავს, «განმარტებებს» ეძებს კაუტსკის პოპულარულ წიგნში და ამით კმაყოფილდება? ნუთუ მას ჰგონია, რომ მხოლოდ ეს წიგნი შეიცავს მთელ «სოციალურ მეცნიერებას»? მან მშვენივრად იცის, რომ კაუტსკი — «მარქსის ტრადიციების ერთგული დამცველია» (I, 187), რომ სწორედ ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-ეკონომიურ ტრაქტატებში უნდა ვეძიოთ «სოციალური მეცნიერების» გარკვეული სკოლის «დასკვნების» გადმოცემა და დასაბუთება, მაგრამ ის ისე იქცევა, თითქოს არც ეს იცოდეს. აბა რა აზრისა უნდა ვიყოთ იმ «მკვლევარზე», რომელიც თეორიის «დამცველთა» წინააღმდეგ გალაშქრებით კმაყოფილდება და მთელ თავის წიგნში ვერც ერთხელ ვერ გაუბედნია აშკარად და პირდაპირ გაუსწორდეს თვით ამ თეორიას.

ბ-ნ პროკოპოვიჩის მიერ ამოწერილ ადგილას კაუტსკი ლაპარაკობს იმაზე, რომ ტექნიკური გადატრიალება და კაპიტა-



მეექვსე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რეცენზია ს. ნ. პროკოპოვიჩის წიგნისა». — 1899 წ. დამლევი.

დაპატარავებულია.

ლის დაგროვება სულ უფრო და უფრო წინ მიდის, წარმოების გაფართოება აუცილებელია თვით კაპიტალიზმის ძირითადი თვისებების გამო და აუცილებელია განუწყვეტლივ, ხოლო ამავე დროს ბაზრის გაფართოება «რაოდენიმე ხნის განმავლობაში მეტად ნელა მიმდინარეობს»; «ცხადია, ახლოსაა ის მომენტი, როდესაც ევროპის მრეწველობის ბაზარი არა მარტო შესწყვეტს შემდგომ გაფართოებას, არამედ შეკვეცასაც კი დაიწყებს. ეს მოვლენა სხვა არაფრის მომასწავებელი იქნება, თუ არ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების გაკოტრებისა». ბ-ნი პროკოპოვიჩი «აკრიტიკებს» «სოციალური მეცნიერების დასკვნებს» (ე ს ე-ი გ ი კაუტსკის მითითებას მარქსის მიერ გამოყვანილ განვითარების ე რ თ-ე რ თ კანონზე): «კაპიტალისტური საზოგადოების აუცილებელი დაღუპვის ამ დასაბუთებაში მთავარ როლს ასრულებს დაპირისპირება «წარმოების გაფართოებისადმი მუდმივი მისწრაფებისა და ბაზრის სულ უფრო და უფრო ნელი გაფართოებისა და, ბოლოს, მისი შეკვეცისა». კაუტსკის აზრით, ამ წინააღმდეგობამ უნდა დაღუპოს საზოგადოების კაპიტალისტური წყობილება. მაგრამ» (მოუსმინეთ!) «წარმოების გაფართოება ხომ გულისხმობს ზედმეტი ღირებულების ნაწილის «საწარმოო მოხმარებას», — ე. ი. თავდაპირველად მის რეალიზაციას, შემდეგ მის დახარჯვას მანქანების შესაძენად, შენობების ასაგებად და სხვ. ახალი წარმოებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოების გაფართოება უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზრის არსებობასთან უკვე წარმოებული საქონლისთვის; ამიტომ წარმოების მუდმივი გაფართოება ბაზრის შედარებითი შეკვეცის დროს — შეუძლებელი რამაა» (148). და ბ-ნი პროკოპოვიჩი ისეთი კმაყოფილია «სოციალური მეცნიერების» სფეროში თავისი ექსკურსით, რომ შემდგომ სტრიქონშივე შემწყალებელი ქედმაღლობით ლაპარაკობს რწმენის «მეცნიერულ» (ბრჭყალებში) დასაბუთებაზე და სხვ. ასეთი მოჯირითე კრიტიკა აღმაშფოთებელი იქნებოდა, იგი რომ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო სასაცილო არ იყოს. კეთილ ბ-ნ პროკოპოვიჩს რაღაც გაუგონია, მაგრამ ვერ გარკვეულა რა

გაიგონა. ბ-ნ პროკოპოვიჩს გაუგონია რეალიზაციის აბსტრაქტული თეორიის შესახებ, რომელიც უკანასკნელ ხანებში ცხარე კამათის საგანი იყო რუსულ ლიტერატურაში, მასთან «საწარმოო მოხმარების» როლი განსაკუთრებით აღინიშნებოდა ნაროდნიკული ეკონომიის შეცდომათა გამო. ბ-ნმა პროკოპოვიჩმა ვერ გაიგო კარგად ეს თეორია და წარმოიდგინა, რომ ის უ ა რ ყ ო ფ ს (!) კაპიტალიზმის იმ ძირითად და ელემენტარულ წინააღმდეგობებს, რომლებზედაც მიუთითებს აქ კაუტსკი. ბ-ნ პროკოპოვიჩს თუ მოუსმენ, გეგონება, თითქოს «საწარმოო მოხმარება» შესაძლებელია განვითარდეს პირადი მოხმარებისგან ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ (ხოლო პირად მოხმარებაში უმეტეს როლს ასრულებს მასების მოხმარება), ე. ი., რომ კაპიტალიზმი არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. ეს პირდაპირ აბსურდია, და ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრა მარქსმა და მისმა რუსმა მომხრეებმა*. იმ გარემოებიდან, რომ «წარმოების გაფართოება გულისხმობს საწარმოო მოხმარებას», არამც თუ არ გამომდინარეობს ის ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორია, რომლისკენაც ფეხი უცდება ჩვენს «კრიტიკულ მკვლევარს», არამედ, პირიქით, გამომდინარეობს სწორედ კაპიტალიზმის დამახასიათებელი და მისი დამღუპველი წინააღმდეგობა წარმოების უსაზღვრო ზრდისადმი მისწრაფებასა და მოხმარების შეზღუდულობას შორის.

ზემომოყვანილის გამო ყურადღების ღირსია აგრეთვე აღვნიშნოთ შემდეგი საინტერესო გარემოება. ბ-ნი პროკოპოვიჩი თავგამოდებული მომხრეა ბერნშტეინისა, რომლის საჟურნალო სტატიებიდან მას ამონაწერები მოჰყავს და თარგმნის რამდენიმე გვერდის მანძილზე. ბერნშტეინი თავის ცნო-

* იხ. ჩემი სტატია «ნაუჩნოე ობოზრენიეში», 1899, აგვისტო, განსაკუთრებით გვ. 1572 (იხ. ეს ტომი, გვ. 78 — 102, განსაკუთრებით გვ. 91 — 92. რ ე დ.), და «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 16 და შემდ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 43 და შემდ. რ ე დ.).

ბილ წიგნში «Die Voraussetzungen etc.» * სხვათა შორის გერმანელ ხალხს აცნობს ბ-ნ ს. პროკოპოვიჩს, როგორც თავის რუს მომხრეს, თუმცა ამასთანავე შენიშვნასაც უკეთებს, რომლის აზრი ისაა, რომ ბ-ნი პროკოპოვიჩი უფრო მეტად არის ბერნშტეინელი, ვიდრე თვითონ ბერნშტეინი. და აი, მეტად კურიოზულია, რომ ბერნშტეინიც და მისი რუსი მიმბაძველიც, ორივენი ამახინჯებენ რეალიზაციის თეორიას, მაგრამ დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებით; ასე რომ ისინი ერთი-მეორეს ამარცხებენ. ჯერ-ერთი, ბერნშტეინმა მარქსის ნაწერებში ის «წინააღმდეგობა» დაინახა, რომ მარქსი, ილაშქრებს რა როდბერტუსის კრიზისების თეორიის წინააღმდეგ, ამავე დროს აცხადებს: «ყველა ნამდვილი კრიზისის უკანასკნელი მიზეზი მასების სიღარიბე და მოხმარების შეზღუდულობაა». ნამდვილად კი აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, როგორც მე ეს უკვე რამდენიმეჯერ აღვნიშნე სხვა ადგილას («ეტიუდები», გვ. 30 **; «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», გვ. 19 ***). მეორე, ბერნშტეინი სავსებით ისევე მსჯელობს, როგორც ჩვენში ბ-ნი ვ. ვ., რომ ზედმეტი პროდუქტის უდიდესი ზრდა აუცილებლად უნდა მოასწავებდეს შეძლებულთა რიცხვის გადიდებასო (ან მუშების კეთილდღეობის გადიდებასო), ვინაიდან აბა თვით კაპიტალისტებს და მათს მსახურთ ხომ არ შეუძლიათ (sic! ****) მთელი ზედმეტი პროდუქტი «მოიხმარონ» («Die Voraussetzungen etc.» S. ***** 51 — 62). ეს გულუბრყვილო მსჯელობა სრულიად უგულებელჰყოფს პროდუქტიული მოხმარების როლს, როგორც ეს კიდევაც აღნიშნა კაუტსკიმ თავის წიგნში ბერნშტეინის წინააღმდეგ (Kautsky: «Gegen

---

* — «წანამძღვარნი და სხვ.». რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 192 — 193. რედ.

*** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 3, გვ. 49. რედ.

**** — ასე! რედ.

***** — Seiten — გვერდები. რედ.

Bernstein», II Abschnitt * — პარაგრაფი «ზედმეტი ღირებულების მოხმარებაზე»). მაგრამ აი ჩნდება ბერნშტეინის მოწონებული რუსი ბერნშტეინელი და ლაპარაკობს სწორედ საწინააღმდეგოს, ჭკუას ასწავლის კაუტსკის «საწარმოო მოხმარების» როლის შესახებ და მასთან მარქსის აღმოჩენა ისეთ აბსურდამდე დაჰყავს, თითქოს პროდუქტიული მოხმარება შეიძლება განვითარდეს პირადი მოხმარებისაგან სრულიად დამოუკიდებლად! თითქოს ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია მისი გამოყენებით წარმოების საშუალებათა წარმოებაზე საბოლოო ანგარიშში სპობს წარმოების დამოკიდებულებას მოხმარებაზე და, მაშასადამე, წინააღმდეგობას პირველსა და მეორეს შორის! მკითხველს შეუძლია ამ მაგალითის მიხედვით განსაჯოს, ბ-ნ პროკოპოვიჩს მართლაც «გამოკვლევებმა» «გააბნევინა თეორიულ წანამძღვართა კარგი ნახევარი», თუ ჩვენი «კრიტიკული მკვლევარის» ეს «დაბნეულობა» რაიმე სხვა მიზეზებითაა გამოწვეული.

მეორე მაგალითი. ჩვენმა ავტორმა სამიოდე გვერდზე (25—27) «გამოიკვლია» გლეხთა ამხანაგობების საკითხი გერმანიაში. ბ-ნ პროკოპოვიჩს მოჰყავს სხვადასხვა სახის ამხანაგობათა ნუსხა და სტატისტიკური მონაცემები მათი სწრაფად განვითარების შესახებ (განსაკუთრებით მერძეობის ამხანაგობებისა) და ამნაირად მსჯელობს: «მაშინ როდესაც ხელოსანს თითქმის გამოცლილი აქვს ფესვები თანამედროვე ეკონომიურ წყობილებაში, გლეხი კვლავ მტკიცედ (!) დგას მასში». რა უბრალო რამაა, ხომ მართალია? გერმანელ გლეხთა შიმშილ-წყურვილი, გადაჭარბებული მუშაობით არაქათის გამოლევა, მასობრივი გაქცევა სოფლებიდან ქალაქებში, ყოველივე ეს, ალბათ, შეთხზულია. საკმარისია მივუთითოთ ამხანაგობათა (განსაკუთრებით მერძეობის ამხანაგობათა, რომლებიც რძეს ართმევენ გლეხთა ბავშვებს და აძლიერებენ გლეხთა დამოკიდებულებას კაპიტალისტებისაგან) სწრაფ ზრდაზე, რომ გლეხობის «მტკიცე მდგომარეობა» დავამტკი-

* — კაუტსკი: «ბერნშტეინის წინააღმდეგ», განყ. II. რ ე დ.

ცოთ. «კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება დამმუშავებელ მრეწველობაში ღუპავს ხელოსანს, ხოლო გლეხის მდგომარეობას აუმჯობესებს. იგი» (მდგომარეობა?) «აბრკოლებს კაპიტალიზმის შეჭრას სოფლის მეურნეობაში». ახალი ამბავი! აქამდე კი ფიქრობდნენ, რომ სწორედ კაპიტალიზმის განვითარება დამმუშავებელ მრეწველობაში წარმოადგენს იმ მთავარ ძალას, რომელიც წარმოშობს და ავითარებს კაპიტალიზმს სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ბ-ნ პროკოპოვიჩს, თავისი გერმანელი ნიმუშების მსგავსად, სრული უფლებით შეეძლო ეთქვა თავის თავზე: nous avons changé tout ça, ჩვენ ყველაფერი ეს გადავაკეთეთო! მაგრამ სწორი იქნება ეს, ბატონებო? მართლაც გადააკეთეთ თუ არა თქვენ თ უ ნ დ რ ა ი მ ე, მართლაც დაამტკიცეთ თუ არა თქვენს მიერ «გაცამტვერებული» თეორიის თუნდაც ერთი ძირითადი დებულების მცდარობა და უფრო სწორი დებულებით შესცვალეთ იგი? ხომ არ უბრუნდებოდით თქვენ, პირიქით, ძველ ცრურწმენებს? ...«მეორე მხრით, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება უზრუნველჰყოფს გლეხისთვის გარესაშოვარს»... ეს ხომ გაცოცხლებაა ბ-ნ ვ. ვ.-ისა და კომპ. დოქტრინისა გლეხობის დამხმარე საშოვრების შესახებ! იმის შესახებ, რომ ეს «საშოვრები» მრავალ შემთხვევაში გამოხატავს გლეხის გადაქცევას დაქირავებულ მუშად, ბ-ნ პროკოპოვიჩს ზედმეტად მიაჩნია მოიხსენიოს. ის ამჯობინებს თავისი «გამოკვლევა» დაამთავროს მაღალფარდოვანი ფრაზით: «გლეხობის კლასს ჯერ კიდევ არ გამოლევია სასიცოცხლო ძალა». მართალია, სწორედ გერმანიის მიმართ კაუტსკიმ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ზ ე გარდამავალ სტადიას წარმოადგენენო, — მაგრამ ჩვენ ხომ უკვე დავინახეთ, თუ როგორ მოსპო კაუტსკი საშინელმა ბ-ნმა პროკოპოვიჩმა!

ნაროდნიკულ (სახელდობრ ბ-ნ ვ. ვ.-ის ყაიდის ნაროდნიკულ) შეხედულებათა აღორძინებას ჩვენ ვხედავთ არა მარტო აღნიშნულ ადგილას, არამედ ბ-ნ პროკოპოვიჩის «კრიტიკული გამოკვლევის» ძალიან ბევრ სხვა ადგილასაც. მკითხ-

ველს, ალბათ, მოეხსენება, თუ როგორი სახელი (სავალალო სახელი) მოიხვეჭა ბ-ნმა ვ. ვ.-მა ეგრეთწოდებული «ეკონომიური» მატერიალიზმის მოძღვრების უზომოდ შეკვეცითა და დამახინჯებით: ბ-ნ ვ. ვ.-ის მიერ «გადაკეთებული» ეს მოძღვრება მდგომარეობდა არა იმაში, რომ საბოლოო ანგარიშში ყველა ფაქტორი დაიყვანება საწარმოო ძალების განვითარებამდე, არამედ იმაში, რომ შეიძლება უგულებელვყოთ ბევრი, მეტად მნიშვნელოვანი (თუმცა საბოლოო ანგარიშში — წარმოებული) ფაქტორი. სავსებით ასეთსავე დამახინჯებას გვაწოდებს ბ-ნი პროკოპოვიჩიც, როცა ცდილობს ამხილოს კაუტსკი იმაში, თითქოს მას არ ესმოდეს «მატერიალური ძალების» მნიშვნელობა (144), ამასთან თვით ბ-ნი პროკოპოვიჩი დაუდევრად ურევს ერთმანეთში «ეკონომიურ ორგანიზაციებს» (145) და «ეკონომიურ ძალას» (146 და განსაკუთრებით 149). სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია საკმაოდ ვრცლად შევჩერდეთ ბ-ნ პროკოპოვიჩის ამ შეცდომის გარჩევაზე და მკითხველს უნდა მივუთითოთ კაუტსკის ზემოაღნიშნულ წიგნზე ბერნშტეინის წინააღმდეგ (Abschnitt III, § a), სადაც დაწვრილებითაა განხილული ბ-ნ პროკოპოვიჩის გადანამღერთა ორიგინალები. ჩვენ აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ ის მკითხველი, რომელიც ყურადღებით წაიკითხავს ბ-ნ პროკოპოვიჩის წიგნს, ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი «კრიტიკული მკვლევარის» მიერ გაცამტვერებული თეორია (თუმცაღა, ბ-ნი პროკოპოვიჩი აქაც მოკრძალებით სდუმს თეორიის შემქმნელთა შეხედულებებზე, თავს იკავებს მათი განხილვისაგან და ამჯობინებს ამ თეორიის თანამედროვე მიმდევართა სიტყვებიდან და სტატიებიდან ამონაწერებით დაკმაყოფილდეს) სრულიად არაფერ შუაშია «ეკონომიური» მატერიალიზმის ამ უმსგავსო შეკვეცაში (შეად., მაგალითად, ავტორიტეტულ ბელგიელ მოღვაწეთა განცხადებები მეორე ნაწილის 74, 90, 92, 100 გვ.).

ბ-ნ პროკოპოვიჩის მიერ მოყვანილი ამონაწერების გამო საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ის ხშირად ამოგლეჯს ხოლმე ცალკეულ ადგილებს და მკითხველს ყალბ წარმოდგენას აწვდის

იმ შეხედულებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც რუსულ ლიტერატურაში წარმოდგენილი არ არიან. ამ უკანასკნელი გარეგნობების გამო ბ-ნ პროკოპოვიჩის მოჯირითე კრიტიკა განსაკუთრებით უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ზოგიერთ შემთხვევაში ბ-ნ პროკოპოვიჩის წიგნის მკითხველისთვის უსარგებლო არ იქნება ჩაიხედოს პროფესორ გერკნერის ამ ცოტა ხნის წინათ რუსულად გადმოთარგმნილ წიგნშიც კი: «მუშის შრომა დასავლეთ ევროპაში» (სპბ. 1899 წ., ჟურნალ «ობრაზოვანიეს» გამოცემა). მაგალითად, (I ნაწილის) 24-ე გვერდზე შენიშვნაში ბ-ნი პროკოპოვიჩი წერს, რომ 1892 წლის კონგრესზე «მიღებულია დადგენილება, რომელიც თანაუგრძნობს საწარმოო ამხანაგობათა მოწყობასო»— შემდეგ მისდევს ციტატი, რომელიც, ჯერ-ერთი, არც თუ სავსებით ადასტურებს ავტორის სიტყვებს, ხოლო, მეორე, გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა სწორედ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია, რომ საჭიროა «განსაკუთრებით შეებრძოლოთ იმ რწმენას, თითქოს ამხანაგობებს შეეძლოთ გავლენა მოახდინონ წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობაზე და სხვ.» (გერკნერი, შენიშვნები, გვ. XI — XII, IX თავის მე-6 შენიშვნა).

ბ-ნი პროკოპოვიჩი ისეთივე წარმატებით, როგორც ზემოგანხილულ შემთხვევაში, ანადგურებს კაუტსკის 56, 150, 156, 198 გვერდებზე და ბევრ სხვაზე. ჩალის ფასადაც არა ღირს ბ-ნ პროკოპოვიჩის მტკიცება, თითქოს ლიბკნეხტი 60-იან წლებში გარკვეულ დრომდე უარს ამბობდა თავის იდეალებზე, ღალატობდა მათ და სხვ. (111, 112). თუ რა საოცრებამდე მიდის უტიფრობა და გულდაჯერებულობა ჩვენი «მკვლევარისა», რომლის მსჯელობათა საფუძვლიანობას ჩვენ უკვე რამდენადმე გავეცანით, — გვიჩვენებს, მაგალითად, ასეთი ფრაზა (რომელიც მიმართულია კვლავ არა თეორიის შემქმნელის, არამედ მისი «დამცველის» წინააღმდეგ): «ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მოვიქცეოდით, მუშათა მოძრაობის მთელი ეს კონცეფცია რომ გაგვეკრიტიკებინა მუშათა მოძრაობის განვითარების ნამდვილ მსვლელობასთან ამ კონცეფციის

შესაბამისობის თვალსაზრისით, — მისი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ო-ბ ი ს თვალსაზრისით (ხაზგასმა ბ-ნ პროკოპოვიჩისაა). მასში არ არის და არც შეიძლება იყოს (sic!) მეცნიერების ნატამალიც» (156). აი რა გაბედული კრიტიკაა! მთელი ამ მარქსიზმის გაკრიტიკებაც კი არა ღირს — მორჩა და გათავდა. ცხადია, ჩვენს წინაშეა ან ისეთი ადამიანი, რომელსაც უწერია გიგანტური გადატრიალების მოხდენა მეცნიერებაში, «რომლის ნატამალიც კი» «არ შეიძლება ჰქონდეს» გერმანიაში გაბატონებულ თეორიას, ან... ან — ნეტავ როგორ ვთქვა უფრო ლმობიერად? — ან ისეთი ადამიანი, რომელიც «დაბნეულა» და სხვის სიტყვებს იმეორებს. ბ-ნი პროკოპოვიჩი ისეთი გულმოდგინებით თაყვანსა სცემს ამ უახლეს ღმერთს, რომელსაც ათასჯერ წარმოუთქვამს ეს სიტყვები, რომ თავის შუბლსაც არ ზოგავს. ბერნშტეინს, თურმე ნუ იტყვით, აქვს «ნაკლი თეორიულ შეხედულებებში» (198), რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას თითქოს — წარმოგიდგენიათ? — სწამს აუცილებლობა მეცნიერული თეორიისა, რომელიც განსაზღვრავს მოღვაწეთა მიზნებს. «კრიტიკული მკვლევარები» თავისუფალი არიან ასეთი უცნაური რწმენისაგან. «მეცნიერება თავისუფალი გახდება — წარმოთქვამს ბ-ნი პროკოპოვიჩი — მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებული იქნება, რომ ის უნდა ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ო დ ე ს პარტიის მიზნებს, მაგრამ კი არ უნდა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ დ ე ს მათ. აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერება ვერ დაისახავს პრაქტიკული პარტიის მიზნებს» (197). აქვე შევნიშნავთ, რომ თავისი მომხრის სწორედ ამ შეხედულებებზე ამბობდა უარს ბერნშტეინი. «პრინციპული პროგრამა, — რომელსაც გარდუვალად მივყევართ დოგმატიზმისაკენ, — მხოლოდ დაბრკოლებაა პარტიის ჯანსაღი განვითარების გზაზე... თეორიული პრინციპები კარგია პროპაგანდაში და არა პროგრამაში» (157). «პროგრამები საჭირო არ არის, საზიანოა». «პიროვნება თვითონ შეიძლება პროგრამა იყოს, თუ ის მგრძნობიარეა, მახვილად ხვდება დროის მოთხოვნილებებს»... მკითხველი, ალბათ, ფიქრობს, რომ მე განვაგრძობ ციტატების მოყვანას ბ-ნ პროკოპოვიჩის

გამოკვლევიდან? არა, მე ახლა ციტატები მომყავს გაზეთ «ნოვოე ვრემიადან»[01], სადაც ამას წინათ მოთავსებული იყო სტატიები, რომლებმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს, სტატიები პროგრამაზე... არა პარტიის, რა თქმა უნდა, — არამედ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის პროგრამაზე...

თუ რა დამოკიდებულებაშია ბ-ნ პროკოპოვიჩის ნაქადაგევი უპრინციპობის თავისუფლება... ესე-იგი «მეცნიერების თავისუფლება» იმ დასავლეთ-ევროპელ მოღვაწეთა უმრავლესობის შეხედულებებთან, რომელთა შესახებ ასე მამაცურად სწერს ჩვენი მამაცი კრიტიკოსი, — ეს ჩანს ბ-ნ პროკოპოვიჩის იმავე წიგნიდან მოყვანილი შემდეგი ციტატებიდან:... «რა თქმა უნდა, ისე, რომ პრინციპებს არ ულალატო» (159)... «თავისი დამოუკიდებლობის, პრინციპებისადმი ერთგულების სრულიად დაურღვევლად»... «კომპრომისს მე უარვყოფ მხოლოდ იმ შემთხვევაში... თუ ის იწვევს პრინციპების უარყოფას ან თუნდაც პრინციპების მიჩქმალვას» (171)... «უპრინციპობის შეუტანლად» (174)... «რა თქმა უნდა, სულის, ამ შემთხვევაში — პრინციპების გაუყიდავად» (176)... «ახლა პრინციპები მტკიცედაა დადგენილი» (183)... (საჭიროა) «კომპასი, რომელიც გვიხსნიდა ხელის ფათურით ბორიალისაგან», «ბეცი ემპირიზმის» წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ «უდარდელად მოვეპყრათ პრინციპებს» (195)... «უმთავრესი მნიშვნელობა აქვს პრინციპულ, თეორიულ ნაწილს»... (II ნაწილის 103) და სხვ.

დასასრულ მოვიყვან კიდევ ორიოდე ციტატს: «გერმანული სოციალ-დემოკრატიზმი რომ სოციალიზმის გამოხატულება იყოს და არა თანამედროვე საზოგადოებაში თავისი ინტერესების დამცველად გამოსული პროლეტარიატისა, რომელმაც პირველად შეიცნო თავისი მნიშვნელობა, მაშინ — ვინაიდან ყველა გერმანელი იდეალისტი არ არის — იდეალისტური ამოცანების დამსახველ ამ პარტიასთან ერთად ჩვენ დავინახავდით კიდევ უფრო ძლიერ პარტიას — მუშათა პარტიას, რომელიც გამომხატველი იქნებოდა გერმანიის პროლეტარიატის არაიდეალისტური ნაწილის პრაქტიკული ინტერესები-

სა»... «ამ მოძრაობაში რომ სოციალიზმი ასრულებდეს არა ერთი, გარკვეული ორგანიზაციის განმასხვავებელი უბრალო ნიშნის როლს, ის რომ იყოს მამოძრავებელი იდეა, პრინციპი, რომელიც პარტიის წევრთაგან მოითხოვს გარკვეულ სპეციფიკურ სამსახურს — ასეთ შემთხვევაში სოციალისტური პარტია გაემიჯნებოდა საერთო მუშათა პარტიას, და პროლეტარიატის მასა, რომელიც მიილტვის უკეთესი კეთილმოწყობისაკენ არსებული წყობილების ნიადაგზე და ნაკლებად ფიქრობს იდეალურ მომავალზე, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას შექმნიდა». მკითხველი, ალბათ, კვლავ ფიქრობს...

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რეცენზია

Karl Kautsky. Bernstein und das socialdemokratische Programm. Eine Antikritik *

...შესავალში კაუტსკი გამოსთქვამს რამდენიმე უაღრესად ძვირფასს და მოსწრებულ აზრს თემაზე იმის შესახებ, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სერიოზული და კეთილსინდისიერი კრიტიკა, თუ მის დამწყებთ არ სურთ მოემწყვდნენ უსულგულო პედანტიზმისა და გელერტერობის ჩარჩოებში, თუ მათ არ სურთ მხედველობიდან გაუშვან «თეორიული გონების» მჭიდრო და განუყრელი კავშირი «პრაქტიკულ გონებასთან» და მასთან არა ერთეულ პიროვნებათა, არამედ განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებული მოსახლეობის მასების პრაქტიკულ გონებასთან. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა დგას — ამბობს კაუტსკი, და თუ ბერნშტეინი გულწრფელად დარწმუნდა თავის წინანდელ შეხედულებათა მცდარობაში, მისი პირდაპირი მოვალეობაა სრულიად გარკვეულად გამოსთქვას თავისი რწმენა. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ბერნშტეინს სწორედ პირდაპირობა და გარკვეულობა აკლია: მისი ბროშურა საოცრად «ენციკლოპედიურია» (როგორც ეს უკვე აღნიშნა ანტონიო ლაბრიოლამ ერთ ფრანგულ ჟურნალში), იგი ეხება უამრავ პრობლემას, უთვალავ საკითხებს, მაგრამ ა რ ც ე რ თ ამ საკითხზე არ გადმოგვცემს კრიტიკოსის ახალ მთლიან და გარკვეულ შეხედულებებს. კრიტიკოსი მხოლოდ გადმოგვცემს თავის ეჭვებს და დამოუკი-

* — კარლ კაუტსკი. ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. ანტიკრიტიკა. რ ე დ.

დებლად სრულებით არ ამუშავებს იმ ძნელ და რთულ საკითხებს, რომელთაც ოდნავ შეეხო. აქედან წარმოსდგებაო — გესლიანად შენიშნავს კაუტსკი — ის უცნაურობა, რომ ბერნშტეინის მომხრეებს მისი წიგნი სულ სხვადასხვანაირად ესმით, ხოლო ბერნშტეინის მოწინააღმდეგეებს ყველას ერთნაირად ესმითო. მთავარი საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელსაც ბერნშტეინი უყენებს თავის მოწინააღმდეგეებს, იმაში მდგომარეობს, რომ მე ვერ გამიგეთ, არ გსურთ გამიგოთო. მთელმა რიგმა საჟურნალო და საგაზეთო სტატიებმა, რომლებიც ბერნშტეინმა დასწერა თავის მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ, სრულიად ვერ გაარკვია მისი დადებითი შეხედულებები.

კაუტსკი თავის ანტიკრიტიკას იწყებს მეთოდის საკითხით. ის განიხილავს ბერნშტეინის მოსაზრებებს ისტორიის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ და გვიჩვენებს, რომ ბერნშტეინმა ერთმანეთში აურია ცნება «დეტერმინისტული» და ცნება «მექანიკური», ერთმანეთში აურია ნების თავისუფლება და მოქმედების თავისუფლება და სრულიად უსაფუძვლოდ გააიგივა ისტორიული აუცილებლობა ადამიანთა იძულებითს, გამოუვალ მდგომარეობასთან. გაცვეთილი ბრალდება ფატალიზმის შესახებ, რომელსაც ბერნშტეინიც იმეორებს, უკვე ბათილდება მარქსის ისტორიული თეორიის თვით ძირითადი წანამძღვრებით. არ შეიძლება ყველაფერი საწარმოო ძალებს მივაწეროთო, ამბობს ბერნშტეინი. «ანგარიშში უნდა მივიღოთ» სხვა ფაქტორებიცო. — ძალიან კარგი, უპასუხებს კაუტსკი, მაგრამ ამას ხომ ყოველი მკვლევარი უნდა აკეთებდეს, ისტორიის რანაირი გაგებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს იგიო. ვისაც სურს გვაიძულოს უარი ვთქვათ მარქსის მეთოდზე, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გაამართლა საქმით მასზე დამყარებული იმედი და ახლაც ამართლებს, მან ორში ერთ-ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან საერთოდ უარი უნდა თქვას ისტორიული პროცესის კანონზომიერების, აუცილებლობის იდეაზე, და მაშინ ის, მაშასადამე, უკუაგდებს სოციოლოგიის მეცნიერული დასაბუთების ყოველგვარ ცდას. ან მან უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ შეიძლება სხვა ფაქტორებიდან (მაგა-

ლითად, ეთიკური შეხედულებებიდან) გამოვიყვანოთ ისტორიული პროცესის აუცილებლობა, — გვიჩვენოს ანალიზით, რომელიც შესძლებს გაუძლოს მარქსის მიერ «კაპიტალში» მოცემულ ანალიზთან თუნდაც შორეულ შედარებას. ბერნშტეინი არამც თუ ოდნავადაც არ ცდილობს ეს გააკეთოს, არამედ კმაყოფილდება უშინაარსო ზოგადი ადგილით სხვა ფაქტორთა «ანგარიშში მიღების» შესახებ, გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს თავის წიგნში ძველი მატერიალისტური მეთოდით სარგებლობას, თითქოს არც კი გამოეცხადებინოს იგი არასაკმარისად! ალაგ-ალაგ კი, როგორც კაუტსკი გვიჩვენებს, ბერნშტეინი ამ მეთოდს იყენებს მეტად დაუშვებელი უხეშობით და ცალმხრივობით! შემდეგ, ბერნშტეინის ბრალდებები მიმართულია დიალექტიკის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს იწვევს თვითნებურ კონსტრუქციებს და სხვ. და სხვ. ბერნშტეინი იმეორებს ამ ფრაზებს (რომლებმაც უკვე გულის არევამდე თავი მოაბეზრეს რუს მკითხველებსაც) და სულაც არ ცდილობს აღნიშნოს, თუ რაში მდგომარეობს დიალექტიკის უსწორობა, — ჰქონდათ თუ არა მეთოდოლოგიური შეცდომები (და სახელდობრ რა შეცდომები) ჰეგელს ან მარქსსა და ენგელსს. ერთადერთი, რითაც ბერნშტეინი ცდილობს გაამართლოს და დაასაბუთოს თავისი აზრი, ესაა მითითება «კაპიტალის» ერთ-ერთი დასკვნითი პარაგრაფის «ტენდენციურობაზე» (კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციის შესახებ). ეს ბრალდება უკიდურესად გაცვეთილია: მას აყენებდნენ ევგენი დიურინგიც და იულიუს ვოლფიც და ბევრი სხვებიც გერმანიაში, მას აყენებდნენ (დავუმატებთ ჩვენდა თავად) ბ-ნი ი. ჟუკოვსკიც 70-იან წლებში და ბ-ნი ნ. მიხაილოვსკიც 90-იან წლებში, — სწორედ ის მიხაილოვსკი, რომელიც ოდესღაც ამ ბრალდებისთვის ბ-ნ ი. ჟუკოვსკის აკრობატობაში ამხელდა. და მერე რა დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ი ს ა ბ უ თ ი მოჰყავს ბერნშტეინს ამ გაცვეთილი აბდაუბდის დასადასტურებლად? მხოლოდ შემდეგი: მარქსი «გამოკვლევას» შეუდგა უკვე წინასწარ გამზადებული დასკვნებით, ვინაიდან «კაპიტალი» 1867 წელს სწორედ იმავე დასკვნამდე მი-

დის, რომელიც მარქსმა ჯერ კიდევ 40-იან წლებში წამოაყენა. ასეთი «ღამტკიცება» დამახინჯებას უდრისო, — უპასუხებს კაუტსკი, — ვინაიდან მარქსმა თავისი დასკვნები დაამყარა არა ერთ, არამედ ორ გამოკვლევაზე, როგორც მან ეს ზუსტად აღნიშნა «Zur Kritik»-ის * წინასიტყვაობაში (იხ. რუსული თარგმანი: «პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი დებულების კრიტიკა» [62]). პირველი გამოკვლევა მოხდა 40-იან წლებში, მას შემდეგ, რაც მარქსი «რეინის გაზეთის» რედაქციის შემადგენლობიდან გამოვიდა. მარქსი კი რედაქციიდან იმიტომ გამოვიდა, რომ მას მოუხდა ლაპარაკი მატერიალურ ინტერესებზე, ის კი საამისოდ არ სთვლიდა თავს მომზადებულად. საზოგადოებრივი ასპარეზიდან — სწერდა მარქსი თავის თავზე — მე გადავედი სასწავლო ოთახშიო. ამრიგად (ხაზგასმით აღნიშნავს კაუტსკი გადაკვრით ბერნშტეინის მიმართ), რაკი მარქსი დაეჭვდა მატერიალურ ინტერესებზე თავის მსჯელობათა სისწორეში, ამ საკითხზე იმ დროს გაბატონებულ შეხედულებათა სისწორეში, მან თავისი ეჭვები არ ჩასთვალა ისე მნიშვნელოვნად, რომ მათზე მთელი წიგნი დაეწერა და ყველასა და თვითეულისთვის ეცნობებინა მათ შესახებ. არა, მარქსმა ხელი მოჰკიდა სწავლას იმისთვის, რომ ძველ შეხედულებებში დაეჭვებიდან გადასულიყო რაიმე დადებითს ახალ შეხედულებებზე. მან დაიწყო ფრანგული საზოგადოებრივი თეორიებისა და ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა. ის დაუახლოვდა ენგელსს, რომელიც იმ დროს დეტალურად სწავლობდა ინგლისის სახალხო მეურნეობის ფაქტიურ მდგომარეობას. ამ ერთად მუშაობის, ამ პირველი გამოკვლევის შედეგი იყო ის ცნობილი დასკვნები, რომელნიც ორთავე მწერალმა სრული გარკვეულობით გამოაქვეყნეს 40-იანი წლების დამლევს.[63] 1850 წლიდან მარქსი დაბინავდა ლონდონში, და მეცნიერული მუშაობისთვის ლონდონში ცხოვრების ხელსაყრელმა პირობებმა ბიძგი მისცა მას «თა-

* — «Zur Kritik der politischen Oekonomie» — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». რედ.

ე ი დ ა ნ დაეწყო საგნის შესწავლა და შესდგომოდა ახალი მასალის კრიტიკულად გადამუშავებას» («ზოგიერთი დებულების კრიტიკა», 1-ლი გამოცემა, გვ. XI.[64] ხაზგასმა ჩვენია). ამ მ ე ო რ ე გამოკვლევას მოუნდა მრავალი წელი და მისი ნაყოფი იყო თხზულებები: «Zur Kritik» (1859) და «Das Kapital» (1867). დასკვნა, რომელიც გამოიყვანა «კაპიტალმა», ემთხვევა წინანდელ 40-იანი წლების დასკვნას, იმიტომ რომ მეორე გამოკვლევამ დაადასტურა პირველი გამოკვლევის შედეგები. «ჩემი შეხედულებები, როგორი აზრისაც უნდა იყვნენ მათზე, კეთილსინიდისიერ და მრავალი წლის გამოკვლევათა შედეგია» — წერდა მარქსი 1859 წელს (იქვე, გვ. XII).[65] ნუ თუ ეს არა ჰგავს, კითხულობს კაუტსკი, იმ დასკვნებს, რომლებიც მზად იყო დიდი ხნით ადრე თვით გამოკვლევამდე?

დიალექტიკის საკითხიდან კაუტსკი გადადის ღირებულების საკითხზე. ბერნშტეინი ამბობს, რომ მარქსის თეორია არ არის დასრულებული, მას ბევრი პრობლემა «ჯერ კიდევ არ განუმარტავს სრულადო». კაუტსკის არც კი უფიქრნია ამის უარყოფა: მარქსის თეორია მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა რადიაო, ამბობს ის. ისტორიას თან მოაქვს ახალი ფაქტებიც და კვლევის ახალი წესებიც, რომელნიც მოითხოვენ თეორიის შემდგომ განვითარებას. ბერნშტეინს რომ ეცადა თეორიის შემდგომი განვითარებისათვის გამოეყენებინა ახალი ფაქტები და კვლევის ახალი წესები, ყველა მისი მადლიერი იქნებოდა. მაგრამ ბერნშტეინი არც კი ფიქრობს ამაზე, არამედ კმაყოფილდება მხოლოდ იაფფასიანი თავდასხმებით მარქსის მოწაფეებზე და სრულიად ბუნდოვანი, წმინდა ეკლექტიკური შენიშვნებით მსგავსად იმისა, რომ გოსენ-ჯევონს-ბემის სკოლის ზღვრული სარგებლიანობის თეორია არანაკლებ სამართლიანია, ვიდრე მარქსის შრომითი ღირებულების თეორიაო. ორივე თეორია ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას სხვადასხვა მიზნისთვის, — ამბობს ბერნშტეინი, — ვინაიდან ბემ-ბავერკს à priori ისეთივე უფლება აქვს საქონლის იმ თვისების აბსტრაგირებისა, რომ ის შრომამ წარმოშვა, როგორც მარქსს —

საქონლის იმ თვისების აბსტრაგირებისა, რომ ის სასარგებლოა. კაუტსკი აღნიშნავს, რომ სრული უაზრობაა — ორი საწინააღმდეგო, ერთმანეთის გამაბათილებელი თეორია გამოსაყენებლად მივიჩნიოთ სხვადასხვა მიზნისთვის (მასთან ბერნშტეინი როდი ამბობს, თუ რა და რა მიზნებისთვისაა გამოსადეგი ესა თუ ის თეორია). საკითხი მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, თუ საქონლის რა თვისების აბსტრაგირების უფლება გვაქვს à priori (von Hause aus) *, არამედ იმაში, თუ როგორ ავხსნათ თანამედროვე, პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლაზე დამყარებული, საზოგადოების ძირითადი მოვლენები, როგორ ავხსნათ საქონლის ღირებულება, ფულის ფუნქცია და სხვ. დაე მარქსის თეორია ჯერ კიდევ განუმარტებლად სტოვებდეს მთელ რიგ პრობლემებს, მაგრამ ბერნშტეინის ღირებულების თეორია — ეს უკვე სრულიად განუმარტებელი პრობლემაა. ბერნშტეინს ციტატები მოჰყავს კიდევ ბუხიდან, რომელმაც შეაკოწიწა შრომის «ზღვრული ინტენსიობის» ცნება, მაგრამ ბერნშტეინი ბუხის შეხედულებებს არ გადმოგვცემს მთლიანად და არც თავის გარკვეულ აზრს გამოსთქვამს ამ საკითხზე. ბუხი კი, როგორც ჩანს, იხლართება წინააღმდეგობებში, ხდის რა ღირებულებას ხელფასზე დამოკიდებულად, ხელფასს კი — ღირებულებაზე დამოკიდებულად. ბერნშტეინი გრძნობს ღირებულების შესახებ თავისი შენიშვნების ეკლექტიციზმს და ამიტომ ცდილობს დაიცვას საერთოდ ეკლექტიკა. ეკლექტიკას ის უწოდებს «ფხიზელი გონების ამბოხებას წინააღმდეგ ყოველი დოგმის დამახასიათებელი მისწრაფებისა — ვიწრო კალაპოტში მოამწყვდიოს აზრი». თუ ბერნშტეინი აზროვნების ისტორიას მოიგონებს — უპასუხებს კაუტსკი, დაინახავს, რომ ვიწრო კალაპოტში აზრის მომწყვდევის წინააღმდეგ ამხედრებული დიადი მეამბოხეები არასდროს არ ყოფილან ეკლექტიკოსები, რომ მათ ყოველთვის ახასიათებდათ მისწრაფება შეხედულებათა ერთიანობისაკენ, მთლიანობისაკენ. ეკლექტიკოსი კი მეტად

* — წინასწარ, სულ თავიდანვე. რედ.

ძნდალია საიმისოდ, რომ ამბოხება გაბედოს. მე თუ ზრდილობით თავს ვევლები მარქსს და ამავე დროს ასევე ზრდილობით თავს ვევლები ბემ-ბავერკსაც, — ეს სადაური ოჯანყეგბაა! დაე დამისახელონ, ამბობს კაუტსკი, აზროვნების რესპუბლიკაში თუნდაც ერთი ეკლექტიკოსი, რომელიც ღირსი იქნებოდა მეამბოხის სახელწოდებისა!

მეთოდიდან მეთოდის გამოყენების შედეგებზე გადასვლისას კაუტსკი ჩერდება ეგრეთწოდებულ Zusammenbruchstheorie-ზე, დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმის მსხვრევის, უეცარი კრახის თეორიაზე, — კრახისა, რომელსაც მარქსი თითქოს გარდუვალად სთვლიდა და მას უკავშირებდა უდიდეს სამეურნეო კრიზისს. კაუტსკი ამბობს და გვიჩვენებს, რომ მარქსს და ენგელსს არასდროს არ წამოუყენებიათ განსაკუთრებული Zusammenbruchstheorie, Zusammenbruch-ს უეჭველად სამეურნეო კრიზისს არ უკავშირებდნენო. ესაა — დამახინჯება მოწინააღმდეგეთა მხრით, რომელნიც ცალმხრივად გადმოსცემენ მარქსის თეორიას, უაზროდ გლეჯენ ცალკეული თხზულებებიდან ცალკეულ ადგილებს, რომ შემდეგ ძლევამოსილი სახით გააბათილონ თეორიის «ცალმხრივობა» და «უხეშობა». ნამდვილად კი მარქსი და ენგელსი დასავლეთ-ევროპის ეკონომიურ ურთიერთობათა გარდაქმნას უკავშირებდნენ ევროპის უახლესი ისტორიის მიერ წამოყენებული კლასების სიმწიფესა და ძალას. ბერნშტეინი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს მარქსის თეორია კი არ არის, არამედ ამ თეორიის განმარტება და გაფართოებაა კაუტსკის მიერო, მაგრამ კაუტსკიმ მარქსის 40-იანი და 60-იანი წლების ნაწერებიდან ამოღებული ზუსტი ციტატებით, აგრეთვე მარქსიზმის ძირითადი იდეების ანალიზით საკმაოდ გააბათილა ეს, ჭეშმარიტად, ხრიკიანი ფანდი ბერნშტეინისა, რომელიც ასე მოურიდებლად აბრალებდა მარქსის მოწაფეებს «აპოლოგეტიზმსა და ხრიკიანობას». კაუტსკის წიგნის ეს ადგილი განსაკუთრებით საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთმა რუსმა მწერალმა (მაგალითად, ბ-ნმა ბულგაკოვმა ჟურნალ «ნაჩალო»-ში) უმალვე გაიმეორა მარქსის თეორიის

ის გაყალბება, რომელიც ბერნშტეინმა მოგვაწოდა «კრიტიკის» სახით (ამ გაყალბებას იმეორებს ბ-ნი პროკოპოვიჩიც თავის წიგნში «მუშათა მოძრაობა დასავლეთში». სპბ. 1899 წ.).

განსაკუთრებული გულმოდგინებით არკვევს კაუტსკი თანამედროვე ეკონომიური განვითარების ძირითად ტენდენციებს, რათა გააბათილოს ბერნშტეინის აზრი, თითქოს ეს განვითარება არ მიიმართებოდეს იმ გეზით, რომელიც მარქსმა დაახასიათა. თავისთავად ცხადია, კაუტსკის წიგნის თავი «მსხვილი და წვრილი წარმოება», აგრეთვე სხვა თავებიც, რომელნიც მიძღვნილია პოლიტიკურ-ეკონომიური ანალიზისადმი და საკმაოდ ვრცელ ციფრობრივ მასალას შეიცავენ, აქ შეუძლებელია გადმოცემულ იქნას, და ჩვენც იძულებული ვართ მათი შინაარსის მოკლე აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ. კაუტსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლაპარაკია სწორედ განვითარების გეზზე საერთოდ და მთლიანად და სრულიადაც არა წვრილმანებსა და ზერელე მოვლენებზე, რომელთაც თავისი მრავალფეროვნების გამო ვერ ავითარი თეორია ვერ გაითვალისწინებს. (ამ უბრალო ჭეშმარიტებას, რომელსაც ხშირად ივიწყებენ, მოაგონებს მკითხველს მარქსიც «კაპიტალის» სათანადო თავებში). გერმანიის 1882 და 1895 წლების სამრეწველო აღწერათა მონაცემების დაწვრილებით განხილვით კაუტსკი ცხადჰყოფს, რომ ამ მონაცემებმა ბრწყინვალედ დაადასტურეს მარქსის თეორია და ყოველ ეჭვს გარეშე დააყენეს კაპიტალის კონცენტრაციისა და წვრილი წარმოების განდევნის პროცესი. ბერნშტეინმა ჯერ კიდევ 1896 წელს (როდესაც ის თვითონ — ირონიით ამბობს კაუტსკი — ჯერ კიდევ აპოლოგეტებისა და ხრიკოსანთა საამქროს ეკუთვნოდა) თვითონ გადაჭრით აღიარა ეს ფაქტი, ახლა კი ის უზომოდ აზვიადებს წვრილი წარმოების ძალასა და მნიშვნელობას. მაგალითად, ბერნშტეინი იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთაც 20-ზე ნაკლები მუშა ჰყავთ, რამდენიმე ასი ათასით განსაზღვრავს, მასთან «ცხადია, თავისი პესიმისტური გულმოდგინებით ზედმეტ ნულს უმატებს», ვინაიდან გერმანიაში ასეთი საწარმოები მხოლოდ 49 ათასია. და მერე, ვის არა სთვლის

სტატისტიკა წვრილ მეწარმეებად: მეეტლეებსაც, შიკრიკებსაც, მესაფლავეებსაც, ფეხზე მოვაჭრე ბაყლებსაც, მკერავ ქალებსაც, თუნდაც ისინი კაპიტალისტებისთვის შინ მომუშავენიც ყოფილიყვნენ, და სხვ. და სხვ.! აღვნიშნოთ კაუტსკის თეორიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენიშვნა, რომ წვრილი სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები (ზემოდასახელებულთა მსგავსნი) კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხშირად შედარებითი ჭარბმოსახლეობის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა: გაღატაკების გზაზე შემდგარი წვრილი მწარმოებლები, მუშები, რომლებიც სამუშაოს ვერ შოულობენ, ხდებიან (ზოგჯერ დროებით) წვრილ მოვაჭრეებად, მეწვრილმანეებად, ბინებისა და კუთხეების (ესეც «საწარმოებია», რომელთაც სტატისტიკა ყოველგვარი სხვა საწარმოების თანაბრად აღრიცხავს!) გამქირავებლებად და სხვ. ამ პროფესიების სიჭარბე მაჩვენებელია არა წვრილი წარმოების სიცოცხლისუნარიანობისა, არამედ სიღატაკის ზრდისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ ბერნშტეინი ხაზგასმით აღნიშნავს და აზვიადებს წვრილ «მრეწველთა» მნიშვნელობას, როდესაც ეს, მისი აზრით, მეტყველებს მის სასარგებლოდ (მსხვილი და წვრილი წარმოების საკითხში) და მათზე სდუმს მაშინ, როდესაც ეს მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს (სიღატაკის ზრდის საკითხში).

ბერნშტეინი იმეორებს რუსი საზოგადოებისთვისაც კი დიდი ხნის ცნობილ მსჯელობებს იმაზე, რომ სააქციო საზოგადოებები კაპიტალის დაქუცმაცების «საშუალებას იძლევიან» და «ზედმეტად ხდიან» მის კონცენტრაციას; მას მოჰყავს ზოგიერთი ციფრი (შად. 1899 წლის «ჟიზნის» № 3) წვრილი აქციების რაოდენობის შესახებ. კაუტსკი უპასუხებს, ეს ციფრები სრულიად არაფერს არ ნიშნავს, ვინაიდან სხვადასხვა საზოგადოების წვრილი აქციები შეიძლება დიდ კაპიტალისტთა საკუთრებას შეადგენდნენო (რაც ბერნშტეინმაც უნდა აღიაროს). იმის დასადასტურებლად, რომ სააქციო საზოგადოებები ა მ რ ა ვ ლ ე ბ ე ნ შეძლებულთა რაოდენობას, ბერნშტეინს აბსოლუტურად არავითარი საბუთი არ მოჰყავს,

და არც შეუძლია მოიყვანოს, ვინაიდან სააქციო საზოგადოებები მართლაც იმისთვის არსებობენ, რომ ექსპროპრიაცია გაუწიონ გულმინდობილ და ხელმოკლე ხალხს დიდი კაპიტალისტებისა და სპეკულანტების სასარგებლოდ. აქციების რაოდენობის ზრდა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სიმდიდრეს აქციების ფორმის მიღების მიდრეკილება აქვს, ხოლო სიმდიდრის განაწილებაზე ეს ზრდა სრულიად არაფერს მეტყველებს. საზოგადოდ, შეძლებულთა, მესაკუთრეთა რიცხვის გადიდების საკითხს ბერნშტეინი საკვირველი მოუფიქრებლობით მოექცა, რასაც მისი ბურუუაზიული მომხრეებისთვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ქება-დიდება შეესხათ ბერნშტეინის წიგნის სწორედ ამ ნაწილისთვის და გამოეცხადებინათ, ის «კოლოსალურ ციფრობრივ მასალას» ემყარებაო. ბერნშტეინი ისეთი დახელოვნებული აღმოჩნდაო, ირონიით ამბობს კაუტსკი, რომ ეს კოლოსალური მასალა ორიოდე გვერდზე დასტიაო! ის ერთმანეთში ურევს შეძლებულთ და კაპიტალისტებს, თუმცა უკანასკნელთა რიცხვის გადიდებას არც არავინ უარყოფდა. ის იღებს მონაცემებს საშემოსავლო გადასახადის შესახებ და უგულებელჰყოფს მათს ფისკალურ ხასიათს, საკუთრებისგან მიღებული შემოსავლისა და ჯამაგირისგან მიღებული შემოსავლის ერთმანეთში არევას და სხვ. ის ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა დროის მონაცემებს, რომელნიც მიღებულია სხვადასხვა გზით (მაგალითად, პრუსიის შესახებ) და ამიტომ მათი შედარება შეუძლებელია. ის იქამდეც კი მიდის, რომ ციფრებს ინგლისის შეძლებულთა რიცხვის ზრდის შესახებ (და კიდევაც ბეჭდავს ამ ციფრებს შავი შრიფტით, როგორც თავის მთავარ საბუთს!) სესხულობს რომელიღაც ქუჩის გაზეთიდან, რომელიც ქება-დიდებას ასხამს დედოფალ ვიქტორიას იუბილეს და სტატისტიკას nec plus ultra-მდე * ზერელედ ეპყრობა! ამ ცნობების წყარო უცნობია, და არც შეიძლება ასეთი მასალის მიღება ინგლისის საშემოსავლო გადასახადის მონაცემების საფუძველზე, ვინაიდან ეს მონაცემები საშუალებას არ იძლე-

* — უკიდურეს საზღვრამდე. რედ.

ვიან გავარკვიოთ გადამხდელთა რიცხვი და თვითეული გადამხდელის მთელი შემოსავალი. კაუტსკი კოლბის წიგნიდან იღებს მონაცემებს ინგლისის 1812—1847 წლების საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ცხადჰყოფს, რომ ეს მონაცემები, სწორედ ისევე, როგორც ბერნშტეინის საფელეტონო მონაცემები, გვიჩვენებს (თითქოს) შეძლებულთა რიცხვის ზრდას — და ეს იმ პერიოდში, როცა ინგლისში საშინლად იზრდებოდა ხალხის უაღრესად შემაძრწუნებელი სიღატაკე! ბერნშტეინის მონაცემების დაწვრილებით განხილვას კაუტსკი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ბერნშტეინს სრც ერთი ისეთი ციფრი არ მოუყვანია, რომელიც ნამდვილად ამტკიცებდეს შეძლებულთა რიცხვის ზრდას.

ბერნშტეინი ცდილობს თეორიულადაც გაამართლოს ეს მოვლენა: კაპიტალისტებს აბა ხომ არ შეუძლიათო, ამბობს ის, თვითონვე მოიხმარონ მთელი ზედმეტი ღირებულება, რომლის რაოდენობა ასე კოლოსალურად იზრდება: მაშასადამე, იზრდება მის მომხმარებელ შეძლებულთა რიცხვიო. კაუტსკის დიდი გარჯა არ ესაჭიროება, რათა გააბათილოს ეს კომიკური მსჯელობა, რომელიც სრულიად უგულებელჰყოფს მარქსის რეალიზაციის თეორიას (რუსულ ლიტერატურაში ეს თეორია არაერთხელ ყოფილა უკვე გადმოცემული). განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ კაუტსკი ბერნშტეინის თეორიას აბათილებს არა მარტო თეორიული მსჯელობებით, არამედ კონკრეტული მონაცემებითაც, რომლებიც მოწმობენ ფუფუნებისა და მფლანგველობის ზრდას დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში. სწრაფად ცვალებადი მოდის გავლენას, რაც ასე ამწვავებს ამ პროცესს, უამრავ უმუშევართა არსებობას, ზედმეტი ღირებულების «პროდუქტიული მოხმარების» უდიდეს ზრდას — ე. ი. კაპიტალის დაბანდებას ახალ საწარმოებში, განსაკუთრებით ევროპის კაპიტალისას რუსეთის, აზიისა და აფრიკის რკინიგზებისა და სხვა საწარმოებში.

ბერნშტეინი ყველას მიერ უკუგდებულად აცხადებს მარქსის «სიღატაკის თეორიას» ანუ «გაღატაკების თეორიას». კაუტსკი ცხადჰყოფს, რომ ესეც მარქსის მოწინააღმდეგეთა

მხრით გაყალბებული გადამლაშებაა, ვინაიდან მარქსს ასეთი თეორია არ წამოუყენებია. მარქსი ლაპარაკობდა სიღატაკის, დამცირებისა და სხვ. ზრდაზე და ამასთანავე აღნიშნავდა წინააღმდეგმოქმედ ტენდენციასაც და იმ რეალურ საზოგადოებრივ ძალებსაც, რომელთაც მარტოოდენ შეუძლიათ წარმოშვან ეს ტენდენცია. მარქსის სიტყვებს სიღატაკის ზრდის შესახებ სავსებით ამართლებს სინამდვილე: ჯერ-ერთი, ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ კაპიტალიზმს აქვს სიღატაკის წარმოშობისა და გაძლიერების ტენდენცია, — სიღატაკის, რაც უდიდეს ზომამდე აღწევს ზემოაღნიშნული წინააღმდეგმოქმედი ტენდენციის არარსებობისას. მეორე, სიღატაკე იზრდება არა ფიზიკური, არამედ სოციალური აზრით, ე. ი. იმ აზრით, რომ ჩნდება შეუსაბამობა ბურჟუაზიისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა მზარდ დონესა და მშრომელი მასების ცხოვრების დონეს შორის. ბერნშტეინი «სიღატაკის» ასეთი გაგების გამო ირონიით ამბობდა, ესაა გაგება პიკვიკის აზრითო. კაუტსკი ამის პასუხად გვიჩვენებს, რომ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ლასალი, როდბერტუსი, ენგელსი სრულიად გარკვევით აცხადებდნენ, რომ სიღატაკე უნდა გავიგოთ არა მარტო ფიზიკური, არამედ სოციალური აზრითაც. «პიკვიკის» კლუბშიო, — უკუაქცევს ის ბერნშტეინის ირონიას, — როგორც ხედავთ, გვარიანი საზოგადოება იკრიბებაო! ბოლოს, მესამე, სიტყვები სიღატაკის ზრდის შესახებ მთელ თავის სისწორეს ინარჩუნებენ კაპიტალიზმის «მოსაზღვრე ოლქების» მიმართ, თუ სიტყვას «მოსაზღვრე» გავიგებთ გეოგრაფიული აზრითაც (ქვეყნები, სადაც ეს-არის იწყება კაპიტალიზმის შეჭრა და იგი ხშირად წარმოშობს არა მარტო ფიზიკურ სიღატაკეს, არამედ მოსახლეობის მასების პირდაპირ დამშევასაც) და პოლიტიკურ-ეკონომიური აზრითაც (შინამრეწველობა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ის დარგები, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია წარმოების ჩამორჩენილი ფორმები).

მეტად საინტერესოა აგრეთვე და განსაკუთრებით ჩვენთვის, რუსებისთვის, საგულისხმო თავი «ახალი საშუალო წოდების»

შესახებ. ბერნშტეინს რომ მარტო იმის თქმა უნდოდეს, რომ დამარცხებულ წვრილ მწარმოებელთა ადგილას ახალი საშუალო წოდება — ინტელიგენცია ჩნდებაო, ის მართალი იქნებოდა, ამბობს კაუტსკი და თან მიუთითებს, მე უკვე რამდენიმე წლის წინათ აღვნიშნე ამ მოვლენის დიდი მნიშვნელობაო. კაპიტალიზმი სახალხო შრომის ყველა სფეროში განსაკუთრებული სისწრაფით ამრავლებს მოსამსახურეთა რიცხვს, აყენებს სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნას ინტელიგენციაზე. ამ უკანასკნელს სხვა კლასთა შორის თავისებური მდგომარეობა უკავია, ნაწილობრივ იგი თავისი კავშირურთიერთობით, შეხედულებებით და სხვ. ბურჟუაზიას ემხრობა, ნაწილობრივ — დაქირავებულ მუშებს, იმისდაკვალად, თუ რამდენად ართმევს კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელ მდგომარეობას ინტელიგენტს, აქცევს მას დამოკიდებულ მოქირავნედ, ემუქრება მისი საარსებო დონის ჩამოქვეითებით. ზემოგანხილული საზოგადოებრივი ფენის გარდამავალი, მერყევი, წინააღმდეგობრივი მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ ამ ფენაში განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ის ორჭოფი, ეკლექტიკური შეხედულებები, ერთიმეორის საწინააღმდეგო პრინციპებისა და თვალსაზრისთა ის დომხალი, ის მისწრაფება მეტისმეტად მაღალფარდოვანი სიტყვების მორევში გადაშვებისა და მოსახლეობის ისტორიულ ჯგუფთა კონფლიქტების ფრაზებით მიჩქმალვისა, — რასაც მარქსი ასე უმოწყალოდ ამათრახებდა თავისი სარკაზმებით ნახევარი საუკუნის წინათ.

თავში კრიზისების თეორიის შესახებ კაუტსკი ცხადჰყოფს, რომ მარქსს სრულიადაც არ წამოუყენებია სამრეწველო კრიზისების ათწლიანი ციკლის «თეორიები», არამედ მან მხოლოდ ფაქტი აღნიშნაო. ამ ციკლის შეცვლა უკანასკნელ ხანებში აღნიშნულია თვით ენგელსის მიერ. ამბობენ, რომ მეწარმეთა კარტელებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ კრიზისებს წარმოების შეზღუდვით და რეგულირებითო. მაგრამ აი ამერიკა — კარტელების ქვეყანა, სადაც წარმოების

შეზღუდვის მაგივრად ჩვენ ვხედავთ მის უდიდეს ზრდას. შემდეგ, საშინაო ბაზრისთვის წარმოების შეზღუდვისას კარტელები აფართოებენ წარმოებას საგარეო ბაზრისთვის და იქ საქონელს ჰყიდიან საზარალო ფასებში, თავიანთი ქვეყნის მომხმარებლებს კი მონოპოლიურ ფასებს ახდევინებენ. პროტექციონიზმის დროს ეს სისტემა გარდუვალია, ხოლო არავითარი საფუძველი არ არსებობს ვივარაუდოთ, რომ პროტექციონიზმი თავისუფალი ვაჭრობის სისტემით შეიცვლება. წვრილი ფაბრიკების დახურვით, წარმოების კონცენტრაციით და მონოპოლიზაციით, გაუმჯობესებათა შემოღებით, კარტელები მნიშვნელოვნად აუარესებენ მწარმოებელთა მდგომარეობას. ბერნშტეინს ჰგონია, რომ კრიზისების წარმომშობი სპეკულაცია სუსტდება იმისდაკვალად, თუ როგორ გადაიქცევა მსოფლიო ბაზრის პირობები გაუსაზღვრავიდან განსაზღვრავ და ცნობილ პირობებად; მაგრამ მას ავიწყდება, რომ სწორედ ახალი ქვეყნების გაუსაზღვრავი პირობები აძლევენ უდიდეს ბიძგს სპეკულაციას ძველ ქვეყნებში. კაუტსკი სტატისტიკური მონაცემებით ცხადჰყოფს სპეკულაციის ზრდას სწორედ უკანასკნელ წლებში, აგრეთვე იმ ნიშნეულობათა რაოდენობის ზრდას, რომელნიც კრიზისს გვიწინასწარმეტყველებენ არც თუ ისე შორეული მომავლისთვის.

კაუტსკის წიგნის დანარჩენი ნაწილიდან აღვნიშნავთ იმ აბნეულობის გარჩევას, რომელშიც ვარდებიან ადამიანები, რომლებიც (ბ-ნ ს. პროკოპოვიჩის მსგავსად, დასახელებული თხზულება) ერთმანეთში ურევენ გარკვეულ ჯგუფთა ეკონომიურ ძალას და მათს ეკონომიურ ორგანიზაციებს, აღვნიშნავთ კაუტსკის მითითებას, რომ ბერნშტეინს ამა თუ იმ ისტორიული სიტუაციის წმინდა დროებითი ხასიათი აჰყავს ზოგად კანონად, — დემოკრატიის დედაარსზე ბერნშტეინის უმართებულო შეხედულებათა გაბათილებას, — ბერნშტეინის სტატისტიკური შეცდომის განმარტებას: ბერნშტეინი ერთმანეთს უპირისპირებდა გერმანიის სამრეწველო მუშების რიცხვს და ამომრჩეველთა რიცხვს და ის წვრილმანი კი დაივიწყა, რომ გერმანიაში ხმის უფლებით ყველა მუშა არ სარგებლობს

(არამედ მხოლოდ ის მამაკაცები, რომელთაც 25 წელი შეუსრულდათ) და რომ არჩევნებშიც ყველა როდი იღებს მონაწილეობას. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დაჟინებით ვურჩიოთ მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია ბერნშტეინის წიგნის მნიშვნელობის და ამ წიგნის გამო დაწყებული პოლემიკის საკითხით, მიმართოს გერმანულ ლიტერატურას და არავითარ შემთხვევაში არ დაენდოს ეკლექტიკის მომხრეთა იმ მიკერძოებულ და ცალმხრივ შეფასებას, რაც რუსულ ლიტერატურაში ჭარბობს. ჩვენ გავიგეთ, რომ განზრახული აქვთ რუსულად თარგმნონ კაუტსკის განხილული წიგნის ნაწილი. ეს ძალიან სასურველი იქნებოდა, მაგრამ ორიგინალის გაცნობის მაგივრობას ეს ვერ გასწევს.

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სტატიები «რაბოჩაია გაზეტასთვის» [66]

დაწერილია 1899 წლის მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში III

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით

წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

თანახმად თქვენი თხოვნისა, გიგზავნით სამ სტატიას გაზეთისთვის და საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა საერთოდ ჩემი თანამშრომლობისა და კერძოდ ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

წინანდელი თქვენი ცნობის მიხედვით მე საქმე ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ თქვენ გსურდათ დაგეარსებინათ საგამომცემლო ფირმა და ჩემთვის მოგენდოთ სოციალ-დემოკრატიული ბროშურების სერიის რედაქტირება.

ახლა კი ვხედავ, რომ საქმე სხვანაირად ეწყობა, უკვე შეგიდგენიათ თქვენი რედაქცია, რომელიც იწყებს გაზეთის გამოცემას და მე მიწვევს თანამშრომლად.

რასაკვირველია, მე სიამოვნებით ვთანხმდები ამ წინადადებაზედაც, მაგრამ ამასთან უნდა ვთქვა, რომ წარმატებითი თანამშრომლობა მე შესაძლებლად მიმაჩნია მ ხ ო ლ ო დ შ ე მ დ ე გ ი პ ი რ ო ბ ი თ: 1) რედაქციის წ ე ს ი ე რ ი ურთიერთობა თანამშრომელთან, რომელსაც უნდა ე ც ნ ო ბ ო ს ყველა ხელნაწერის ბედი (რომელი იქნება მიღებული, რომელი უარყოფილი ან შეცვლილი), მასვე უნდა ე ც ნ ო ბ ო ს თ ქ ვ ე ნ ი ფ ი რ მ ი ს ყ ვ ე ლ ა გ ა მ ო ც ე მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ; 2) ჩემი სტატიები ხელმოწერილი უნდა იყოს განსაკუთრებული ფსევდონიმით (თუ ჩემს მიერ გამოგზავნილი დაიკარგა, თქვენ თვითონ აირჩევთ რომელიც გინდათ); 3) თანხმობა რედაქციასა და თანამშრომელს შორის ძირითად შეხედულებებში თეორიულ საკითხებზე, უახლოეს პრაქტიკულ

ამოცანებზე და გაზეთის (ან ბროშურების სერიის) სასურველად დაყენების ხასიათზე.

იმედი მაქვს, რომ რედაქცია ამ პირობებზე დათანხმდება და, რომ ჩვენს შორის მალე მოხდეს შეთანხმება, მე ახლავე ცოტა ხანს შევჩერდები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მე-3 პირობასთან.

როგორც მე მწერენ, თქვენ ფიქრობთ, რომ «ძველი მიმდინარეობა მტკიცეა» და რომ მაინცდამაინც საჭირო არ არის პოლემიკის გაჩაღება ბერნშტეინიადისა და მის რუსულ გამოხატულებათა წინააღმდეგ. ეს შეხედულება მე მიმაჩნია მეტად ოპტიმისტურად. ბერნშტეინის საჯარო განცხადება იმის შესახებ, რომ მას ეთანხმება რუს სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა[67]; გათიშვა საზღვარგარეთ «ახალგაზრდა» რუს სოციალ-დემოკრატებსა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის[68], რომელიც «ძველი მიმდინარეობის» დამაარსებელიცაა, წარმომადგენელიც და უერთგულესი დამცველიც; «რაბოჩაია მისლის» ჭაპანწყვეტა — სთქვას რაღაც ახალი სიტყვა, გაილაშქროს «ფართო» პოლიტიკური ამოცანების წინააღმდეგ, აპოთეოსამდე აიყვანოს წვრილმანი საქმეები და «კუსტარულობა», «რევოლუციური» თეორიების» უგვანო დაცინვა (№ 7, «გაკვრით»); და, ბოლოს, ლეგალური მარქსისტული ლიტერატურის სრული დაბნეულობა და მის წარმომადგენელთა მასის უკიდურესი მისწრაფება ჩაებღაუჭონ ბერნშტეინიადის მოდურ «კრიტიკას», — ყოველივე ეს, ჩემის აზრით, ნათლად გვიჩვენებს, რომ «ძველი მიმდინარეობის» აღდგენა და მისი ენერგიული დაცვა პირდაპირ საჭირბოროტო საქმეა.

თუ როგორ ვუყურებ მე გაზეთის ამოცანას და მისი გაძღოლის გეგმას, თქვენ ამას დაინახავთ სტატიებიდან, და ჩემთვის ძლიერ სასურველი იქნებოდა გამეგო, რამდენად ვეთანხმებით ერთმანეთს ამ საკითხში (სტატიები, სამწუხაროდ, დაწერილია ცოტა ნაჩქარევად: საერთოდ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდე სტატიების მოწოდების უკანასკნელი ვადები).

«რაბოჩაია მისლის» წინააღმდეგ, მე ვფიქრობ, აუცილებელია პირდაპირ პოლემიკის დაწყება, მხოლოდ ამისთვის გთხოვთ მიშოვოთ №№ 1, 2, 6 და მე-7 ნომრის შემდეგ; აგრეთვე «პროლეტარული ბრძოლა»[69]. უკანასკნელი ბროშურა საჭიროა აგრეთვე მის შესახებ რეცენზიის დასაწერად გაზეთში.

თქვენ მწერთ, სტატიების სიდიდეს ნუ მოერიდებითო. ვიდრე არის გაზეთი, მე ვარჩევდი დამეწერა საგაზეთო სტატიები და მათში გამერჩია საბროშურო თემებიც, — ისე კი, რომ ეს სტატიები შემდეგში ბროშურებად გადამემუშავებინა. უახლოეს მომავალში მე ვფიქრობ შევეხო შემდეგ თემებს: 1) პროგრამის პროექტი — მალე გამოვგზავნი[70]; 2) ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხები, რომლებიც უნდა გაირჩეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მომავალ ყრილობაზე[71]; 3) ბროშურა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მუშები და სოციალისტები თავისუფლად ყოფნის დროს, საპყრობილესა და გადასახლებაში. მსგავსად პოლონური ბროშურისა («ყოფაქცევის წესები», — თუ შეიძლება, გთხოვთ მიშოვოთ); 4) გაფიცვების შესახებ (I—მათი მნიშვნელობა; II — კანონები გაფიცვების შესახებ; III — უკანასკნელი წლების ზოგიერთი გაფიცვის მიმოხილვა); 5) ბროშურა «ქალი და მუშათა საქმე» და სხვ.

სასურველია ვიცოდე დაახლოებით, რა მასალები მოეპოვება რედაქციას, რათა განმეორება არ გამოვიდეს და ხელი არ მოვკიდო უკვე «ამოწურულ» საკითხებს.

მოვუცდი რედაქციის პასუხს იმავე გადმომცემი ინსტანციის საშუალებით. (ამ გზის გარდა მე არ მქონდა და არცა მაქვს სხვა გზა თქვენს ჯგუფთან).

ფ. პ.[72]

ჩვენი პროგრამა

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ამჟამად აზრის მერყეობას განიცდის. აქამდე მარქსისა და ენგელსის მოძღვრებანი რევოლუციური თეორიის მტკიცე საფუძვლად ითვლებოდა, — ახლა კი ყოველი მხრიდან გაისმის ხმები ამ მოძღვრებათა არასაკმარისობისა და მათი დაძველებულობის შესახებ. ვინც თავის თავს სოციალ-დემოკრატად აცხადებს და აზრად აქვს სოციალ-დემოკრატიული ორგანო გამოსცეს, მან ზუსტად უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც სრულებითაც მარტო გერმანელ სოციალ-დემოკრატებს როდი აღელვებს.

ჩვენ სავსებით ვდგევართ მარქსის თეორიის ნიადაგზე; ამ თეორიამ პირველად გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად, დაადგინა ამ მეცნიერების მტკიცე საფუძვლები და დასახა ის გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, რათა ეს მოძღვრება შემდგომ განვავითაროთ და ყველა მისი ნაწილი დავამუშაოთ. მან გამოააშკარავა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის დედაარსი და ახსნა, თუ რანაირად ჰფარავს მუშის დაქირავება, სამუშაო ძალის ყიდვა მილიონობით ღარიბი ხალხის დამონებას ერთი მუჭა კაპიტალისტების, მიწის, ფაბრიკების, მაღაროებისა და სხვათა მფლობელთა მიერ. მან გვიჩვენა, თუ როგორ მიიმართება თანამედროვე

კაპიტალიზმის მთელი განვითარება მსხვილი წარმოების მიერ წვრილის განდევნისაკენ, როგორ ჰქმნის პირობებს, რომელნიც შესაძლებლად და აუცილებლად ხდიან საზოგადოების სოციალისტურად მოწყობას. მან გვასწავლა ფესვგადგმული ზნე-ჩვეულებების, პოლიტიკური ინტრიგების, ოსტატური კანონებისა და ეშმაკურად მოჭახრაკებულ მოძღვრებათა საფარველ ქვეშ კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს დანახვა, ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ყოველგვარი სახეობის მქონებელ კლასებსა და უქონებელ მასას, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს შორის, რომელიც ყველა უქონებელთა სათავეში დგას. მან გამოარკვია რევოლუციური სოციალისტური პარტიის ნამდვილი ამოცანა: ეს არის არა საზოგადოების გარდაქმნის გეგმების შეთხზვა, არა ქადაგება კაპიტალისტებისა და მათი დამქაშების წინაშე მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, არა შეთქმულებათა მოწყობა, ა რ ა მ ე დ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა და ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა ა მ ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ა ნ ი ა — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს მ ი ე რ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ა და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა.

და აი ახლა ჩვენ ვკითხულობთ: რა შეიტანეს ახალი ამ თეორიაში იმ მყვირალა მისმა «განმაახლებლებმა», რომლებიც თავს იყრიან გერმანელი სოციალისტის ბერნშტეინის გარშემო და რომლებმაც ჩვენს დროში ასეთი ხმაური ასტეხეს? ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ ე რ ი: მათ ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწიეს წინ ის მეცნიერება, რომლის განვითარება ჩვენ გვიანდერძეს მარქსმა და ენგელსმა; მათ ბრძოლის ვერავითარი ახალი ხერხი ვერ ასწავლეს პროლეტარიატს; ისინი მხოლოდ უკან იხევდნენ, ითვისებდნენ ჩამორჩენილი თეორიების ნამსხვრევებს და პროლეტარიატს უქადაგებდნენ არა ბრძოლის თეორიას, არამედ დათმობის თეორიას—დათმობისა პროლეტარიატის უბოროტესი მტრების, მთავრობებისა და ბურჟუაზიული პარტიების მიმართ, რომლებიც მოუსვენრად ეძებენ ახალ-

ახალ საშუალებებს სოციალისტების დევნისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ბელადი, პლეხანოვი, სავსებით მართალი იყო, როცა მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა უახლესი «კრიტიკა» ბერნშტეინისა [73], რომლის შეხედულებანი ახლა უარჰყვეს გერმანელი მუშების წარმომადგენლებმაც (ჰანოვერის ყრილობაზე) [74].

ჩვენ ვიცით, რომ ამ სიტყვებისათვის სეტყვასავით მოგვაყრიან ბრალდებათა მთელ გროვას: მორთავენ ყვირილს, რომ ჩვენ გვინდა სოციალისტური პარტია გადავაქციოთ იმ «მართლმორწმუნეთა» ორდენად, რომლებიც დევნიან «ერეტიკოსებს» «დოგმისგან» განდგომისათვის, ყოველგვარი დამოუკიდებელი აზრისათვის და სხვ. ჩვენ ვიცნობთ ყველა ამ მოდურ მკვახე ფრაზებს. მხოლოდ ესაა, რომ მათში არ არის არც სიმართლის ნატამალი და არც აზრის ნატამალი. შეუძლებელია არსებობდეს მტკიცე სოციალისტური პარტია, თუ არ არსებობს რევოლუციური თეორია, რომელიც აერთიანებს ყველა სოციალისტს და რომელიც შეადგენს მთელი მათი რწმენის წყაროს; ამ თეორიას ისინი იყენებენ თავიანთი ბრძოლის ხერხებისა და მოქმედების საშუალებებისათვის; მთელი შენი გაგებით ჭეშმარიტებად მიჩნეული თეორიის დაცვა უსაფუძვლო თავდასხმებისა და მისი გაუარესების ცდებისაგან — სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კრიტიკის მტერი იყო. ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უ ნ დ ა წასწინონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია მარქსის თეორიის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დებულებებს, რომლებიც კ ე რ ძ ო დ ინგლისის მიმართ სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ, საფრანგეთის მიმართ სხვანაირად,

ვიდრე გერმანიის მიმართ, გერმანიის მიმართ სხვანაირად, ვიდრე რუსეთის მიმართ. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენს გაზეთში ადგილს სტატიებს თეორიულ საკითხებზე და მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს სადავო მუხლების ამკარად განხილვისაკენ.

მაშ როგორია ის მთავარი საკითხები, რომლებიც აღიძვრება ხოლმე, როცა რუსეთის მიმართ ვიყენებთ ყველა სოციალ-დემოკრატისთვის საერთო პროგრამას? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პროგრამის არსი მდგომარეობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციასა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობაში, ბრძოლისა, რომლის საბოლოო მიზანია — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების მოწყობა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იყოფა ეკონომიურ ბრძოლად (ბრძოლად ცალკეულ კაპიტალისტთა ან კაპიტალისტთა ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის) და პოლიტიკურ ბრძოლად (ბრძოლად მთავრობის წინააღმდეგ ხალხის უფლებათა გაფართოებისათვის, ე. ი. დემოკრატიისათვის, და პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოებისათვის). ზოგიერთი რუსი სოციალ-დემოკრატი (ალბათ, მათ რიცხვს ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაზეთ «რაბოჩაია მისლს») გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად სთვლის ეკონომიურ ბრძოლას, პოლიტიკურ ბრძოლას კი, ლამის, ცოტად თუ ბევრად შორეული მომავლისათვის სდებს. ასეთი აზრი სრულებით არ არის სწორი. ყველა სოციალ-დემოკრატი თანახმაა იმისა, რომ აუცილებელია მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაცია, რომ საჭიროა ამ ნიადაგზე მუშებში აგიტაციის წარმოება, ე. ი. მუშებისათვის დახმარების გაწევა მათ ყოველდღიურ ბრძოლაში მეპატრონეების წინააღმდეგ, მათი ყურადღების მიქცევა ყველა სახის შევიწროებაზე და ამ შევიწროებათა ყველა შემთხვევაზე და, ამრიგად, გაერთიანების აუცილებლობის ახსნა მათთვის. მაგრამ ეკონომიური ბრძოლის გულისთვის პოლიტიკური ბრძოლის დავიწყება — ეს იქნებოდა სა-

ერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ძირითადი დებულებიდან გადახვევა, ეს იქნებოდა იმის დავიწყება, რასაც მუშათა მოძრაობის მთელი ისტორია გვასწავლის. ბურჟუაზიისა და მის სამსახურში მყოფი მთავრობის ერთგულ მომხრეებს არაერთხელ უცდიათ მუშათა წმინდა-ეკონომიური კავშირების შექმნა და ამნაირად მათი ჩამოშორება «პოლიტიკისაგან», სოციალიზმისაგან. ადვილად შესაძლოა, რომ რუსეთის მთავრობაც შესძლებს მოაწყოს მსგავსი რამ, ვინაიდან ის ყოველთვის ცდილობდა გადაეგდო ხალხისთვის უმნიშვნელო მოწყალება ან, უკეთ, ყალბი მოწყალება, ოღონდ ხალხს თავის უუფლებობასა და ჩაგვრაზე არ ეფიქრნა. ვერავითარი ეკონომიური ბრძოლა ვერ მოუტანს მუშებს მტკიცე გაუმჯობესებას, არც კი შეიძლება ამ ბრძოლის ფართო მასშტაბით წარმოება, თუ მუშებს არ ექნებათ უფლება თავისუფლად მოაწყონ კრებები, კავშირები, იქონიონ თავიანთი გაზეთები და თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნონ სახალხო კრებებზე, როგორც ამას შვრებიან გერმანიისა და ევროპის ყველა სხვა ქვეყნის (თურქეთისა და რუსეთის გარდა) მუშები. ხოლო ამ უფლებების მოსაპოვებლად საჭიროა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ' ბ რ ძ ო ლ ი ს წარმოება. რუსეთში არამც თუ მუშები, არამედ ყველა მოქალაქე მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. რუსეთი — თვითმპყრობელური, შეუზღუდველი მონარქიაა. აქ მარტო მეფე სცემს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს და თვალყურს ადევნებს მათ. ამის გამო გ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, თითქოს რუსეთში მეფე და მეფის მთავრობა არ არის დამოკიდებული არავითარი კლასებისაგან და ყველაზე ერთნაირად ზრუნავს. ნ ა ნ დ ვ ი ლ ა დ კი ყველა მოხელე მხოლოდ მესაკუთრეთა კლასიდანაა აყვანილი და ყველანი ემორჩილებიან მსხვილ კაპიტალისტთა გავლენას, რომლებიც აბურთავებენ მინისტრებს და ყველაფერს აკეთებინებენ, რაც კი სურთ. რუსეთის მუშათა კლასს ორმაგი უღელი აწევს: მას ტყავს აძრობენ და ძარცვავენ კაპიტალისტები და მემამულეები, ხოლო რათა მან ვერ შესძლოს უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლა, მას ხელ-ფეხს უბოჭავს პოლიცია, პირში ბურთსა სჩრის და სასტიკად დევნის ხალხის

უფლებათა დაცვის ყოველგვარ ცდას. საკმარისია სადმე კაპიტალისტის წინააღმდეგ გაფიცვა მოხდეს, რომ მთავრობამ მუშებს ჯარი და პოლიცია მიუსიოს. ყოველი ეკონომიური ბრძოლა აუცილებლად იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად, და ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ განუყრელად უნდა შეაერთოს ერთიც და მეორეც პროლეტარიატის ერთიან კლასობრივ ბრძოლად. ასეთი ბრძოლის პირველი და მთავარი მიზანი უნდა იყოს პოლიტიკურ უფლებათა დაპყრობა, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა. თუ მარტო პეტერბურგის მუშებმა, სოციალისტების მცირეოდენი დახმარებით, სწრაფად აიძულეს მთავრობა დათმობაზე წასულიყო — გამოეცა კანონი სამუშაო დღის შემცირების შესახებ[75], მით უფრო რუსეთის მთელი მუშათა კლასი, ერთი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» ხელმძღვანელობით, შესძლებს უდრეკი ბრძოლით მოიპოვოს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დათმობანი.

რუსეთის მუშათა კლასს მარტოც შეუძლია აწარმოოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა იმ შემთხვევაშიც კი, რომ არც ერთი სხვა კლასისაგან არ ღებულობდეს დახმარებას. მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში მუშები მარტონი არ არიან. ხალხის სრული უუფლებობა და თავზეხელაღებულ მოხელეთა ველური თვითნებობა აშფოთებს ყველა ოდნავ პატიოსან განათლებულ ადამიანსაც, რომლებსაც არ შეუძლიათ შეურიგდნენ ყოველი თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი აზრის დევნას, აშფოთებს დევნილ პოლონელებსა, ფინელებსა და ებრაელებს, რუს სექტანტებს, აშფოთებს წვრილ ვაჭრებსა, მრეწველებსა და გლეხებს, რომლებმაც არ იციან ვის შეაფარონ თავი მოხელეთა და პოლიციის შევიწროებათაგან. მოსახლეობის ყველა ამ ჯგუფს, ცალკეულად აღებულთ, არ შესწევთ უნარი აწარმოონ მედგარი პოლიტიკური ბრძოლა, მაგრამ როცა მუშათა კლასი ააფრიალებს ასეთი ბრძოლის დროშას, — მას ყოველი მხრიდან გაუწოდებენ დახმარების ხელს. რუსეთის სოციალ-დემოკრატია სათავეში ჩაუდგება ხალხის უფლებათათვის ყველა მებრძოლთ, დემო-

კრატიისათვის ყველა მებრძოლთ, და მაშინ ის უძლეველი გახდება!

ასეთია ჩვენი ძირითადი შეხედულებანი, რომლებსაც ჩვენ სისტემატურად და ყოველმხრივ განვავითარებთ ჩვენს გაზეთში. დარწმუნებული ვართ, რომ ამნაირად ჩვენ წავალთ იმ გზით, რომელიც დასახული აქვს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას» მის გამოცემულ «მანიფესტში».

ჩვენი უახლოესი ამოცანა

რუსეთის მუშათა მოძრაობა ამჟამად გარდამავალ პერიოდში იმყოფება. ბრწყინვალე დასაწყისი, რომლითაც თავი ისახელეს დასავლეთი მხარის, პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების მუშათა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, დაგვირგვინდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» შექმნით (1898 წლის გაზაფხულზე). ამ უდიდესი ნაბიჯის წინ გადადგმით რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ თითქოს ამოსწურა დროებით ყველა თავისი ძალები და დაუბრუნდა ისევ ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციების წინანდელ დაქსაქსულ მუშაობას. პარტიას არ შეუწყვეტია არსებობა, ის მხოლოდ თავისად მიიქცა, რათა ძალები მოეკრიბა და ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების საქმე მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა. ამ გაერთიანების განხორციელება, მისთვის შესაფერისი ფორმის გამომუშავება და ვიწრო ადგილობრივი დაქსაქსულობისაგან საბოლოოდ განთავისუფლება — ასეთია რუსი სოციალ-დემოკრატების უახლოესი და უაღრესად საარსებო ამოცანა.

ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, რომ ჩვენი ამოცანაა — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია. მაგრამ რა არის კლასობრივი ბრძოლა? როდესაც ცალკე ფაბრიკის, ცალკე ხელობის მუშები ბრძოლას უცხადებენ თავიანთ მეპატრონეს თუ მეპატრონეებს — არის თუ არა ეს კლასობრივი ბრძოლა? არა, ეს მხოლოდ მისი სუსტი ჩანასახია. მუშების ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქცევა კლასობრივ ბრძოლად, როცა მთელი ქვეყნის მთელი მუშათა კლასის ყველა მოწინავე წარმომადგენელი თავს გრძნობენ ერთიან მუშათა კლასად და იწყებენ

ბრძოლას არა ცალკეულ მეპატრონეთა წინააღმდეგ, არამედ კაპიტალისტების მთელი კლასის წინააღმდეგ და ამ კლასის დამცველი მთავრობის წინააღმდეგ. მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეული მუშა თავს გრძნობს მთელი მუშათა კლასის წევრად, როცა ცალკეული მეპატრონეების და ცალკეული მოხელეების წინააღმდეგ ყოველდღიურ, წვრილწვრილ ბრძოლაში ის ხედავს ბრძოლას მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მთელი მთავრობის წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ იქცევა მისი ბრძოლა კლასობრივ ბრძოლად. «ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა»[76] — მარქსის ეს შესანიშნავი სიტყვები სწორი არ იქნებოდა იმ აზრით გაგვეგო, თითქოს მუშების ყოველი ბრძოლა მეპატრონეების წინააღმდეგ ყოველთვის იყოს პოლიტიკური ბრძოლა. ეს სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა იმდენად, რამდენადაც ის კლასობრივ ბრძოლად იქცევა. სოციალ-დემოკრატიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მუშების ორგანიზაციის და მათ შორის აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით მათი სტიქიური ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ გადააქციოს მთელი კლასის ბრძოლად, გარკვეული პოლიტიკური პარტიის ბრძოლად გარკვეული პოლიტიკური და სოციალისტური იდეალებისთვის. მარტოოდენ ადგილობრივი მუშაობით ასეთი ამოცანის მიღწევა შეუძლებელია.

ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშაობამ ჩვენში უკვე საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია. სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელს რუსეთში; მუშათა ფურცლები — სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ეს პირველი ფორმა — უკვე ცნობილია ყველა რუსი მუშისთვის, პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე. ახლა ჩვენ გვაკლია სწორედ მთელი ამ ადგილობრივი მუშაობის შემტკიცება ერთი პარტიის მუშაობად. ჩვენი მთავარი ნაკლი, რომლის აღმოფხვრისაკენ უნდა წავმართოთ მთელი ჩვენი ძალები — ესაა ადგილობრი-

ვი მუშაობის ვიწრო, «კუსტარული» ხასიათი. ამ კუსტარულობის გამო რუსეთის მუშათა მოძრაობის მრავალი გამოვლინება წმინდა ადგილობრივ მოვლენად რჩება და ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, როგორც მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამახასიათებელი ნიმუში, როგორც მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის საფეხური. ამ კუსტარულობის გამო მუშები საკმაოდ ვერ იმსჭვალებიან მთელს რუსეთში თავიანთი ინტერესების ერთობის შეგნებით, საკმაოდ არ უკავშირებენ თავიანთ ბრძოლას რუსეთის სოციალიზმსა და რუსეთის დემოკრატიაზე ფიქრს. ამ კუსტარულობის გამო ამხანაგების სხვადასხვა შეხედულებას თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე აშკარად არ განიხილავენ ცენტრალურ ორგანოში, ეს შეხედულებანი პარტიის საერთო პროგრამისა და საერთო ტაქტიკის გამომუშავებას კი არ ეხმარებიან, არამედ იკარგებიან ვიწრო წრეებში ან ადგილობრივსა და შემთხვევითს თავისებურებათა უზომო გაზვიადებას იწვევენ. კმარა ეს კუსტარულობა! ჩვენ უკვე საკმაოდ მომწიფებული ვართ, რომ გადავიდეთ ს ა ე რ თ ო მ უ შ ა ო ბ ა ზ ე, პარტიის საერთო პროგრამის შემუშავებაზე, ჩვენი პარტიული ტაქტიკისა და ორგანიზაციის ერთად განხილვაზე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ბევრი რამ გააკეთა ძველი რევოლუციური და სოციალისტური თეორიების კრიტიკისათვის; ის არ დაკმაყოფილდა მარტო კრიტიკითა და თეორიული მსჯელობით; მან დაამტკიცა, რომ მისი პროგრამა ჰაერში კი არ არის გამოკიდებული, არამედ ეთანხმება ფართო სტიქიურ მოძრაობას ხალხში, სახელდობრ ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატში; მას ახლა გადასადგმელი დარჩა შემდეგი, განსაკუთრებით ძნელი, მაგრამ იმავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ნაბიჯი: შექმნას ჩვენს პირობებთან შეფარდებული ორგანიზაცია ამ მოძრაობისა. სოციალ-დემოკრატიის დანიშნულება არ ამოიწურება მუშათა მოძრაობის უბრალო სამსახურით: იგი არის «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს შ ე ე რ თ ე ბ ა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა ს თ ა ნ» (ვხმარობთ კ. კაუტსკის განსაზღვრას, რომელშიც ასახულია «კომუნისტური მანიფეს-

ტის» ძირითადი იდეები); სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — მუშათა სტიქიურ მოძრაობაში შეიტანოს გარკვეული სოციალისტური იდეალები, დაუკავშიროს იგი სოციალისტურ შეხედულებებს, რომლებიც უნდა იდგნენ თანამედროვე მეცნიერების დონეზე, დაუკავშიროს იგი სისტემატურ პოლიტიკურ ბრძოლას დემოკრატიისათვის, როგორც სოციალიზმის განხორციელების საშუალება, ერთი სიტყვით, ეს სტიქიური მოძრაობა შეაერთოს ერთ განუყრელ მთელად *რევოლუციური პარტიის* მოღვაწეობასთან. დასავლეთ ევროპის სოციალიზმისა და დემოკრატიის ისტორია, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია და ჩვენი მუშათა მოძრაობის გამოცდილება, — ასეთია ის *მასალა*, რომელსაც ჩვენ უნდა დავეუფლოთ იმისათვის, რომ შევიმუშაოთ ჩვენი პარტიის მიზანშეწონილი ორგანიზაცია და ტაქტიკა. მაგრამ ამ მასალის «დამუშავება» უნდა იყოს დამოუკიდებელი, ვინაიდან მზა ნიმუშებს ჩვენ ვერსად ვიპოვით: ერთი მხრით, რუსეთის მუშათა მოძრაობა სრულიად სხვა პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობა. ძლიერ სახიფათო იქნებოდა ამ მხრივ რაიმე ილუზიებში გადავარდნა. ხოლო, მეორე მხრით, რუსეთის სოციალ-დემოკრატია ფრიად არსებითად განსხვავდება რუსეთის წინანდელი რევოლუციური პარტიებისაგან, ასე რომ რევოლუციური და კონსპირაციული ტექნიკის ძველი რუსი კორიფეებისგან სწავლის საჭიროება (ამ საჭიროებას ჩვენ უყოყმანოდ ვცნობთ) სრულებით არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან — კრიტიკულად შევხედოთ მათ და დამოუკიდებლად შევიმუშაოთ ჩვენი ორგანიზაცია.

ასეთი ამოცანის დაყენებისას განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს ორი მთავარი საკითხი: 1) როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის სრული თავისუფლების აუცილებლობა და ერთიანი,— და, მაშასადამე, ცენტრალისტური,—პარტიის შექმნის აუცილებლობა? სოციალ-დემოკრატია მთელი თავისი ძალის წყაროს პოულობს მუშათა სტიქიურ მოძრაობაში, რომელიც

ერთნაირად და ერთდროულად როდი იჩენს თავს სხვადასხვა სამრეწველო ცენტრში; ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობა — პარტიის მთელი მოღვაწეობის საფუძველია. მაგრამ თუ ეს იქნება იზოლირებულ «მარტოხელათა» მოღვაწეობა, მაშინ არც კი შეიძლება, სწორად რომ ვთქვათ, მას სოციალ-დემოკრატიული ვუწოდოთ, ვინაიდან ეს არ იქნება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. 2) როგორ შევათავსოთ ერთად სოციალ-დემოკრატიის მისწრაფება — გახდეს რევოლუციურ პარტიად, რომელიც თავის მთავარ მიზნად ისახავს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას, — და ის, რომ სოციალ-დემოკრატია გადაჭრით წინააღმდეგია მოაწყოს პოლიტიკური შეთქმულებანი, გადაჭრით უარს ამბობს «მოუწოდოს მუშებს ბარიკადებისაკენ» (ბ. ბ. აქსელროდის სწორი თქმით) ან საერთოდ თავს მოახვიოს მუშებს მთავრობაზე იერიშის ესა თუ ის «გეგმა», შეთხზული რევოლუციონერთა კომპანიის მიერ?

რუსეთის სოციალ-დემოკრატიას სრული უფლება აქვს ჩასთვალოს, რომ მან თეორიულად უკვე გადაჭრა ეს საკითხები; ამაზე შეჩერება იქნებოდა იმის განმეორება, რაც უკვე ითქვა სტატიაში «ჩვენი პროგრამა». ახლა საქმე ეხება ამ საკითხების პრაქტიკულ გადაჭრას. ასეთ გადაჭრას ვერ მოგვცემს ცალკეული პირი ან ცალკეული ჯგუფი, — მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ მთელი სოციალ-დემოკრატიის ორგანიზებულ მოღვაწეობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამჟამად ყველაზე საჭირბოროტო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევუდგეთ ამ საკითხების გადაჭრას, და რომ ამისთვის ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ პარტიის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც რეგულარულად გამოვა და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყველა ადგილობრივ ჯგუფთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატების მთელი მოღვაწეობა მთელ უახლოეს მომავალში წარმართულ უნდა იქნას ამ საქმის ორგანიზაციისაკენ. თუ ასეთი ორ-

განო არ გვექნება, ადგილობრივი მუშაობა დარჩება ვიწრო «კუსტარულობად». პარტიის შექმნა, — თუ ორგანიზებული არ არის ამ პარტიის სწორი წარმომადგენლობა გარკვეულ გაზეთში, — დარჩება მეტწილად ლიტონ სიტყვად. ეკონომიურ ბრძოლას, რომელსაც არ აერთიანებს ცენტრალური ორგანო, არ შეუძლია გახდეს მთელი რუსეთის პროლეტარიატის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბრძოლად. პოლიტიკური ბრძოლის წარმოება შეუძლებელია, თუ მთელმა პარტიამ არ გამოსთქვა თავისი აზრი პოლიტიკის ყველა საკითხზე და არ წარმართა ბრძოლის ცალკეული გამოვლინებანი. რევოლუციური ძალების ორგანიზაცია, მათში დისციპლინის დამყარება და რევოლუციური ტექნიკის განვითარება შეუძლებელია, თუ ცენტრალურ ორგანოში არ იქნება განხილული ყველა ეს საკითხი, თუ კოლექტიურად არ იქნება შემუშავებული ს ა ქ მ ი ს გ ა ძ ღ ო ლ ი ს გარკვეული ფ ო რ მ ე ბ ი და წ ე ს ე ბ ი, თუ — ცენტრალური ორგანოს საშუალებით — დაწესებული არ იქნება პარტიის ყოველი წევრის პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა მთელი პარტიის წინაშე.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებელია პარტიამ მ თ ე ლ ი თავისი ძალები — მთელი ლიტერატურული ძალები, მთელი ორგანიზატორული უნარი, მთელი მატერიალური საშუალებანი და სხვ. — მოახმაროს მთელი პარტიის ორგანოს დაარსებასა და მართებულად გაძღოლას, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ უკანა რიგში დავაყენოთ სხვა სახის მოღვაწეობა, მაგ., ადგილობრივი აგიტაცია, მანიფესტაციები, ბოიკოტი, ჯაშუშების დევნა, ბურჟუაზიისა და მთავრობის ცალკეულ წარმომადგენელთა დევნა, დემონსტრაციული გაფიცვები და სხვ. და სხვ. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოღვაწეობის ყველა ეს სახე შეადგენს პარტიის მოღვაწეობის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის ყველა ეს ფორმა, თუ ისინი გაერთიანებული ა რ ი ქ ნ ე ბ ა მთელი პარტიის ორგანოში, კ ა რ გ ა ვ ს თ ა ვ ი ს ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ცხრა მ ე ა თ ე დ ს და ვერ ჰქმნის პარტიის საერთო გამოცდილებას, პარტიულ ტრადიციასა და თანამომ-

დევნობას. პარტიის ორგანო არამც თუ არ გაუწევს მეტოქეობას ასეთ მოღვაწეობას, არამედ, პირიქით, უდიდეს გავლენას მოახდენს მის გავრცელებაზე, განმტკიცებაზე და სისტემაში შეტანაზე.

ის გარემოება, რომ აუცილებელია მთელი ძალები მოვახმაროთ პარტიის ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, — გამოწვეულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორიგინალური მდგომარეობით, რომელიც განირჩევა სხვა ევროპული ქვეყნების სოციალ-დემოკრატიისა და რუსეთის ძველი რევოლუციური პარტიების მდგომარეობისაგან. გერმანიის, საფრანგეთის და სხვათა მუშებს გარდა გაზეთებისა მრავალი სხვა საშუალება აქვთ თავიანთი მოღვაწეობის საჯარო გამოვლინებისათვის, სხვა საშუალებები მოძრაობის ორგანიზაციისათვის: პარლამენტური მოღვაწეობაც, საარჩევნო აგიტაციაც, სახალხო კრებებიც, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებში (საერობოსა და საქალაქოში) მონაწილეობაც, ხელოსანთა (პროფესიული, საამქრო) კავშირების ლეგალურად გაძღოლაც და სხვ. და სხვ. ჩვენში ყველა ამის ნაცვლად, სწორედ ყველა ამის ნაცვლად — ვიდრე პოლიტიკური თავისუფლება ბრძოლით არ მოგვიპოვებია—არის რევოლუციური გაზეთი, ურომლისოდ ჩვენში შეუძლებელია მთელი მუშათა მოძრაობის რაიმე ფართო ორგანიზაცია. შეთქმულებები ჩვენ არა გვწამს, მთავრობის დამხობის ერთეულ რევოლუციურ წამოწყებებზე ჩვენ უარს ვამბობთ; ჩვენი მუშაობის პრაქტიკული ლოზუნგია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანის, ლიბკნეხტის სიტყვები: «Studieren, propagandieren, organisieren» — სწავლა, პროპაგანდა, ორგანიზება — და ამ მოღვაწეობის ცენტრალური პუნქტი შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ პარტიის ორგანო.

მაგრამ შეიძლება თუ არა და რა პირობებში შეიძლება ასეთი ორგანოს რიგიანად და რაოდენადმე მაინც მტკიცედ დაყენება? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

საარსებო საკითხი

წინა სტატიაში ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა პარტიის ისეთი ორგანოს დაარსება, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, და დავსვით კითხვა, შეიძლება თუ არა და რა პირობებში შეიძლება ამ მიზნის მიღწევა. განვიხილოთ ამ საკითხის უმთავრესი მხარეები.

უწინარეს ყოვლისა შეიძლება გვითხრან, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჯერ გავაძლიეროთ ადგილობრივი ჯგუფების მოღვაწეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს, საკმაოდ გავრცელებული აზრი შემცდარია. ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვიძლია და უნდა მოვკიდოთ ხელი, რომ დავაარსოთ და მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ პარტიის ორგანო — და, მაშასადამე, თვით პარტიაც. აუცილებელი პირობები ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად უკვე არის: ადგილობრივი მუშაობა სწარმოებს, და მან, როგორც ჩანს, უკვე ღრმად გაიდგა ფესვები, ვინაიდან უფრო და უფრო გახშირებული დარბევები იწვევს მხოლოდ მუშაობის დროებით შეწყვეტას; ბრძოლაში დაცემულთა ალაგს მყისვე იჭერენ ახალი ძალები. საგამომცემლო სახსრები და ლიტერატურული ძალები პარტიას მოეპოვება არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ რუსეთშიც. მაშასადამე, საკითხი ასე დგას: უნდა განვაგრძოთ თუ არა «კუსტარულად» ის მუშაობა, რომელიც უკვე სწარმოებს, თუ იგი უნდა მოვაქციოთ ერთი პარტიის მუშაობაში და მოვაწყოთ ისე, რომ ის სავსებით გამოიხატებოდეს ერთ საერთო ორგანოში.

აქ ჩვენ მივადექით ჩვენი მოძრაობის საარსებო საკითხს, მის მტკივნეულ პუნქტს — ორგანიზაციას. რევოლუციური ორგანიზაციის, დისციპლინისა და კონსპირაციული

ტექნიკის გაუმჯობესება უცილობლად საჭიროა. აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით რუსეთის ძველ რევოლუციურ პარტიებს და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავეწიოთ და კიდევაც გავუსწროთ მათ. ორგანიზაციის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია საერთოდ ჩვენი მუშათა მოძრაობის რაიმე პროგრესი, კერძოდ შეუძლებელია რიგიანად მოქმედი ორგანოს მქონე აქტიური პარტიის შექმნაც. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, პარტიის ახლანდელმა ორგანოებმა (ორგანოებმა როგორც დაწესებულებებისა და ჯგუფების, ისე გაზეთების აზრით) მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზაციის საკითხებს და ამ მიმართულებით გავლენა მოახდინონ ადგილობრივ ჯგუფებზე.

ადგილობრივი, კუსტარული მუშაობა ყოველთვის იძლევა გადაჭარბებულ პირად კავშირურთიერთობათა სიმრავლეს, წრეობრივობას, ჩვენ კი უკვე დავაღწიეთ თავი წრეობრივობას, რომელიც მეტად ვიწროა ახლანდელი მუშაობისთვის და ძალების გადაჭარბებულ ხარჯვას იწვევს. მხოლოდ ერთ პარტიად შეერთება მოგვცემს შესაძლებლობას სისტემატურად გავატაროთ შრომის დანაწილების და ძალთა ეკონომიის პრინციპი, — ამას კი აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რათა შევამციროთ მსხვერპლთა რაოდენობა და შევქმნათ ცოტად თუ ბევრად მტკიცე დასაყრდენი თვითმპყრობელი მთავრობის მხრივ ჩაგვრისა და მის მიერ გაშმაგებული დევნის წინააღმდეგ. ჩვენს წინააღმდეგ, სოციალისტთა მცირე ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც თავს აფარებენ რუსეთის ფართო «იატაკქვეშეთს», დგას უძლიერესი თანამედროვე სახელმწიფოს უზარმაზარი მექანიზმი, რომელიც მთელ ძალებს ძაბავს, რათა გასრისოს სოციალიზმი და დემოკრატია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ დავამსხვრევთ ამ პოლიციურ სახელმწიფოს, იმიტომ რომ დემოკრატიასა და სოციალიზმს იცავენ მთელი ხალხის ყველა ჯანსაღი და განვითარების გზაზე მდგარი ფენები, მაგრამ იმისათვის, რომ სისტემატური ბრძოლა ვაწარმოოთ მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენ განვითარების უმაღლეს წერტილამდე უნდა ავიყვანოთ რევო-

ლუციური ორგანიზაცია, დისციპლინა და კონსპირაციული ტექნიკა. პარტიის ცალკეული წევრები ან წევრთა ცალკეული ჯგუფები აუცილებლად უნდა დახელოვნდნენ პარტიული მუშაობის სხვადასხვა დარგში; ზოგს უნდა დაეკისროს ლიტერატურის გამრავლება, ზოგს — მისი გადმოტანა უცხოეთიდან, ზოგს — გადატან-გადმოტანა რუსეთში, ზოგს — გავრცელება ქალაქებში, ზოგს—კონსპირაციული ბინების მოწყობა, ზოგს—ფულის შეგროვება, ზოგს — კორესპონდენციების და ყოველგვარი ცნობების მიწოდება მოძრაობის შესახებ, ზოგს კავშირურთიერთობის წარმოება და სხვ. და სხვ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი სპეციალიზაცია მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ სიმტკიცეს, გაცილებით მეტ უნარს — მთელი ყურადღება მიაქციო პატარა, უჩინარ, შავ მუშაობას, მოითხოვს გაცილებით მეტ ჰეშმარიტ გმირობას, ვიდრე არის ჩვეულებრივი მუშაობა წრეში.

მაგრამ რუსეთის სოციალისტებმა და რუსეთის მუშათა კლასმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათ გმირობის უნარი შესწევთ, და, საერთოდ, უმართებულო იქნებოდა ხალხის ნაკლებობას დავემდუროთ. მუშათა ახალგაზრდობაში ჩვენ ვხედავთ გატაცებულ, შეუკავებელ მისწრაფებას დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეებისაკენ, ხოლო ინტელიგენციის რიგებიდან განუწყვეტლივ მოდიან მუშათა თანაშემწენი, მიუხედავად იმისა, რომ საპყრობილეები და გადასახლების ადგილები გაჭედილია. თუ რევოლუციური საქმის ყველა ამ რეკრუტებში წარმოებულ იქნა ფართო პროპაგანდა უფრო მტკიცე ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ, მაშინ პარტიის ისეთი გაზეთის გამოცემის გეგმა, რომელიც რეგულარულად გამოვა და გავრცელდება, უბრალო ოცნება აღარ იქნება. ავიღოთ ასეთი გეგმის წარმატების ერთი პირობა: გაზეთის უზრუნველყოფა კორესპონდენციებითა და მასალებით, რომლებიც უნდა მოდიოდეს წესიერად და ყოველი მხრიდან. განა ისტორია არ გვიჩვენებს, რომ ჩვენი რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლების დროს ასეთ მიზანს ყოველთვის სავსებით აღწევდნენ თვით საზღვარგარეთული ორგანოების მიმართაც?

თუ სხვადასხვა ალაგას მომუშავე სოციალ-დემოკრატები პარტიის გაზეთს შეხედავენ როგორც თავიანთ გაზეთს, და მთავარ საქმედ მიიჩნევენ მასთან მუდმივი კავშირის დაჭერას, მასში თავიანთი საკითხების განხილვას და მთელი თავისი მოძრაობის ასახვას, — მაშინ გაზეთის უზრუნველყოფა სრული ცნობებით მოძრაობის შესახებ სავსებით შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ დავიცავთ არც თუ ისე განსაკუთრებით ოსტატურ კონსპირაციულ ხერხებს. საქმის მეორე მხარე — გაზეთის წესიერად მიწოდება რუსეთის ყველა ადგილებში — გაცილებით უფრო ძნელია, იმაზე უფრო ძნელი, ვიდრე რევოლუციური მოძრაობის ძველი ფორმების დროს იყო რუსეთში, როცა გაზეთები ამდენად ხალხის მასებისათვის არ იყო დანიშნული. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული გაზეთების დანიშნულება აადვილებს მათს გავრცელებას. მთავარი ადგილები, სადაც უნდა მიდიოდეს გაზეთი რეგულარულად და დიდი რაოდენობით — ესაა სამრეწველო ცენტრები, საფაბრიკო სოფლები და ქალაქები, დიდი ქალაქების საფაბრიკო უბნები და სხვ. ასეთ ცენტრებში თითქმის მთელი მოსახლეობა მუშებისაგან შესდგება; აქ მუშა ფაქტიურად მდგომარეობის ბატონ-პატრონია და მას მრავალი საშუალება აქვს გააცუროს ფხიზელი პოლიცია; მეზობელ საფაბრიკო ცენტრებთან ურთიერთობას ახასიათებს უაღრესი გაცხოველება. სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის ეპოქაში (1878 — 1890 წლები) [77] გერმანიის პოლიტიკური პოლიცია რუსეთისაზე უარესად არ მუშაობდა, ის ალბათ უკეთესადაც მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანელმა მუშებმა თავიანთი ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის მეოხებით მიაღწიეს იმას, რომ მათი ყოველკვირეული არალეგალური გაზეთი წესიერად შემოჰქონდათ უცხოეთიდან და სახლში ურიგდებოდა ყველა ხელისმომწერს, ასე რომ მინისტრებსაც კი არ შეეძლოთ აღტაცებაში არ მოსულიყვნენ სოციალ-დემოკრატიული ფოსტით («წითელი ფოსტით»). ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ წარმატებაზე არ ვოცნებობთ, მაგრამ იმის მიღწევა, რომ ჩვენი პარტიის გაზეთი გამოდიოდეს წელიწადში 12-ჯერ მაინც

და წესიერად ურიგდებოდეს მოძრაობის ყველა მთავარ ცენტრში მუშათა ყველა წრეს, რომლისთვისაც მისაწვდომია სოციალიზმი, — ჩვენ სავსებით შეგვიძლია, თუ აქეთკენ მივმართავთ მთელს ჩვენს ძალღონეს.

ვუბრუნდებით რა სპეციალიზაციის საკითხს, საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ მისი ნაკლებობა ნაწილობრივ აიხსნება «კუსტარული» მუშაობის სიჭარბით, ნაწილობრივ კი იმითაც, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ჩვეულებრივ ძლიერ ცოტა ადგილს უთმობენ ორგანიზაციის საკითხებს.

მხოლოდ პარტიის საერთო ორგანოს შექმნას შეუძლია მისცეს რევოლუციური საქმის ყოველ «ცალკეულ მუშაკს» იმის შეგნება, რომ ის მიდის «რიგსა და მწკრივში», რომ მისი მუშაობა უშუალოდ საჭიროა პარტიისთვის, რომ ის არის იმ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ბოლოს მოუღებს რუსეთის პროლეტარიატის და მთელი რუსი ხალხის უბოროტეს მტერს — რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას. მხოლოდ ასეთი სპეციალიზაციის სასტიკი გატარება მოგვცემს ძალების მომჭირნეობის საშუალებას: არამც თუ რევოლუციური მუშაობის ყოველ ცალკე მხარეს შეასრულებს მუშაკთა ნაკლები რიცხვი, არამედ იმის შესაძლებლობაც გვექნება, რომ ლ ე გ ა ლ უ რ (=კანონით ნებადართულ) საქმეებად გამოვყოთ თანამედროვე მოღვაწეობის მთელი რიგი მხარეები. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მთავარი ორგანო «Vorwärts»-ი («წინ») [78] უკვე დიდი ხანია ურჩევდა რუსეთის სოციალისტებს თავისი მოღვაწეობის ასეთ ლეგალიზაციას და მის კანონიერ ჩარჩოებში ჩაყენებას. ერთი შეხედვით ასეთი რჩევა გვაოცებს, — ნამდვილად კი ის სერიოზული ყურადღების ღირსია. თითქმის ყოველ მუშაკს, რომელსაც უმუშავნია რომელიმე ქალაქის ადგილობრივ წრეში, ადვილად შეუძლია მოიგონოს, რომ იმ ათასგვარ საქმეთა შორის, რომელსაც ის აკეთებდა, იყო რამდენიმე ისეთი საქმეც, რომელიც თავისთავად ლეგალურია (მაგ., ცნობების შეგროვება მუშათა მდგომარეობის შესახებ, მრავალი საკითხის ლეგალური ლიტერატურის შე-

სწავლა, უცხოეთის განსაზღვრული სახის ლიტერატურის გაცნობა და რეფერირება, გარკვეული ურთიერთობანი, დახმარების გაწევა მუშებისთვის ზოგადი განათლების მიღებაში, საფაბრიკო კანონების შესწავლაში და სხვ.). ასეთი საქმეების გამოყოფა საგანგებო პირთა საგანგებო ფუნქციებად შეამცირებდა აქტიური, პირდაპირ «ცეცხლში» მყოფი რევოლუციური არმიის რაოდენობას (მისი «საბრძოლო უნარის» სრულიად შეუსუსტებლად) და გაადიდებდა იმ რეზერვის რაოდენობას, რომელიც ავსებს «დაჭრილ-დახოცილთა» ადგილებს. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქტიური წევრებიც და რეზერვიც ხედავენ თავიანთი მოღვაწეობის გამოხატულებას პარტიის საერთო ორგანოში და გრძნობენ თავიანთ კავშირს პარტიასთან. რა თქმა უნდა, მუშებისა და ადგილობრივი ჯგუფების ადგილობრივი კრებები ყოველთვის აუცილებელი იქნება, რაგინდ ფართოდ გავატაროთ სპეციალიზაცია, მაგრამ, ერთი მხრით, ხალხმრავალი რევოლუციური კრებების (რომელნიც განსაკუთრებით სახიფათოა პოლიციის მხრით და მათი პროდუქციულობა ხშირად სრულებით არ შეესაბამება იმ საფრთხეს, რომელიც მათ თან სდევს) რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო, მეორე მხრით, რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა მხარის სპეციალურ ფუნქციებად გამოყოფა მეტ შესაძლებლობას მოგვცემს ასეთი კრებები შევნიღბოთ ხოლმე კრებების ლეგალური ფორმებით: გასართობი კრებებით, კანონით ნებადართულ საზოგადოებათა კრებებით და სხვ. აკი ფრანგი მუშები ნაპოლეონ III დროს და სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის დროს გერმანელი მუშები ყოველგვარ ხერხს იგონებდნენ თავიანთი პოლიტიკური და სოციალისტური კრებების დასაფარავად. რუსი მუშებიც შესძლებენ ამას.

შემდეგ, მხოლოდ ორგანიზაციის გაუმჯობესება და პარტიის საერთო ორგანოს შექმნა მოგვცემს საშუალებას გავაფართოოთ და გავაღრმაოთ თვით შინაარსი სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციისა. ჩვენ კი ეს ძლიერ გვესაჭიროება. ადგილობრივი მუშაობა თითქმის აუცილებლად იწვევს

ადგილობრივ თავისებურებათა გაზვიადებას,[79] . . . . . ბას . . . ეს შეუძლებელია ცენტრალური ორგანოს გარეშე, რომელიც იმავე დროს მოწინავე დემოკრატიული ორგანოც იქნებოდა. მხოლოდ მაშინ გადაიქცევა სინამდვილედ ჩვენი მისწრაფება — გადავაქციოთ სოციალ-დემოკრატია დემოკრატიისთვის მოწინავე მებრძოლად. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ ჩვენ შევიმუშაოთ გარკვეული პოლიტიკური ტაქტიკაც. სოციალ-დემოკრატიამ უარჰყო ყალბი მოძღვრება «ერთიანი რეაქციული მასის» შესახებ. პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ის ხედავს იმაში, რომ გამოიყენოს პროგრესული კლასების დახმარება რეაქციული კლასების წინააღმდეგ. როცა ორგანიზაციებსა და ორგანოებს ადგილობრივი ხასიათი აქვთ, ეს ამოცანა თითქმის არ სრულდება: ცალკეულ «ლიბერალებთან» ურთიერთობის დაჭერისა და მათგან სხვადასხვა «დახმარების» მიღების იქით საქმე ვერ მიდის. მხოლოდ პარტიის საერთო ორგანო, რომელიც თანამიმდევრად ატარებს პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებს და რომელსაც მაღლა უჭირავს დემოკრატიზმის დროშა, შესძლებს მიიმხროს ყველა მებრძოლი დემოკრატიული ელემენტები და გამოიყენოს რუსეთის ყველა პროგრესული ძალები პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ მუშების ყრუ სიძულვილი პოლიციისა და ხელისუფალთა მიმართ გადავაქციოთ შეგნებულ სიძულვილად თვითმპყრობელი მთავრობისადმი და იმის გაბედულებად, რომ თავდადებული ბრძოლა ვაწარმოოთ მუშათა კლასისა და მთელი რუსი ხალხის უფლებებისათვის! ხოლო ასეთ ნიადაგზე აგებული და მტკიცედ ორგანიზებული რევოლუციური პარტია იქნება უდიდესი პოლიტიკური ძალა თანამედროვე რუსეთში!

შემდეგ ნომრებში ჩვენ მოვათავსებთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტს და შევუდგებით ორგანიზაციის ცალკეული საკითხების უფრო დეტალურ განხილვას.

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი [80]

დაწერილია 1899 წლის დამლევს.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს თხზულებათა პირველ
გამოცემაში, ტომი I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

[1899]



პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ჩვენი პარტიის პროგრამის
პროექტი». — 1899 წ.

შემცირებულია

მგონია, უკეთესი იქნება შემდეგი საკითხით დავიწყოთ: მართლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პროგრამა რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის თუ არა. ჩვენ მოგვისმენია რუსეთში მოქმედი ამხანაგებისაგან ის აზრი, რომ პროგრამის შედგენა სწორედ ახლა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საჭიროებას, რომ საარსებო საკითხია — ადგილობრივი ორგანიზაციების განვითარება და განმტკიცება, უფრო მტკიცედ დაყენება აგიტაციისა და ლიტერატურის მიწოდებისა, რომ უფრო მოხერხებული იქნება პროგრამის შემუშავება გადაიდოს იმ მომენტისათვის, როცა მოძრაობა მოიპოვებს უფრო მტკიცე ბაზისს, რომ ახლა პროგრამა შეიძლება უნიადაგო აღმოჩნდესო.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ აზრს. თავისთავად ცხადია, «ნამდვილი მოძრაობის თვითეული ნაბიჯი დუჟინ პროგრამას სჯობია», [81] როგორც ეს კ. მარქსმა სთქვა. მაგრამ არც მარქსს, არც სოციალ-დემოკრატიის სხვა რომელიმე თეორეტიკოსს ან პრაქტიკულ მოღვაწეს არ უარუყვია პროგრამის უდიდესი მნიშვნელობა პოლიტიკური პარტიის ორგანიზებული და თანამიმდევარი მოღვაწეობისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა სწორედ განვლეს უკვე ყველაზე ცხარე პოლემიკის პერიოდი სხვა მიმართულებათა სოციალისტებთან და არასოციალისტებთან, რომელთაც არ სურდათ გაეგოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატია; მათ განვლეს აგრეთვე მოძრაობის დაწყებითი სტადიებიც, როცა მუშაობა დაქსაქსულად სწარ-

მოებდა ადგილობრივ წვრილ ორგანიზაციებში. შეერთების, საერთო ლიტერატურის შექმნის, რუსული მუშათა გაზეთების გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია თვით ცხოვრებით, და 1898 წლის გაზაფხულზე «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» დაარსებამ, რომელმაც განაცხადა ახლო მომავალში განზრახული გვაქვს პარტიის პროგრამის შემუშავებაო, თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ სწორედ თვით მოძრაობის საჭიროებამ წარმოშვა პროგრამის მოთხოვნილება. ამჟამად ჩვენი მოძრაობის საარსებო საკითხი უკვე იმაში კი აღარ მდგომარეობს, რომ განვითარებულ იქნას წინანდელი დაქსაქსული «კუსტარული» მუშაობა, არამედ შეერთებაში, ორგანიზაციაში. პროგრამა აუცილებელია ამ ნაბიჯისათვის; პროგრამამ უნდა ჩამოაყალიბოს ჩვენი ძირითადი შეხედულებანი, ზუსტად დაადგინოს ჩვენი უახლოესი პოლიტიკური ამოცანები, აღნიშნოს ის უახლოესი მოთხოვნები, რომელთაც უნდა გაითვალისწინონ სააგიტაციო მოღვაწეობის არე, მისცეს ამ მოღვაწეობას ერთიანი სახე, გააფართოოს და გაალრმაოს ის, კერძო, შემთხვევითი აგიტაცია წვრილი, დაქსაქსული მოთხოვნებისთვის გადააქციოს აგიტაციად მთელი ერთობლივი სოციალ-დემოკრატიული მოთხოვნებისთვის. ახლა, როცა სოციალ-დემოკრატიულმა მოღვაწეობამ უკვე ამოძრავა ინტელიგენტ-სოციალისტებისა და შეგნებულ მუშათა საკმაოდ ფართო წრე, აუცილებლად საჭიროა განმტკიცდეს კავშირი მათ შორის პროგრამით და ამგვარად მიეცეს მათ ყველას მკვიდრი ბაზისი შემდგომი, უფრო ფართო მუშაობისთვის. ბოლოს, პროგრამა აუცილებლად საჭიროა აგრეთვე იმიტომაც, რომ რუსული საზოგადოებრივი აზრი ძალიან ხშირად დიდად ცდება რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის ნამდვილი ამოცანებისა და ხერხების შესახებ: ამნაირი შეცდომები ნაწილობრივ ბუნებრივად წარმოიშობა ხოლმე ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური დამყაყებულობის ჭაობზე, ნაწილობრივ კი მათ ხელოვნურად ჰქმნიან სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგენი. ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. მუშათა მოძრაობამ, თავისი

შეერთებით სოციალიზმთან და პოლიტიკურ ბრძოლასთან, უნდა შექმნას პარტია, რომელიც გაჰფანტავდა ყველა ამ გაუგებრობას, თუ კი მას სურს სათავეში ჩაუდგეს რუსი საზოგადოების ყველა დემოკრატიულ ელემენტს. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ახლანდელი მომენტი კიდევ იმიტომ არის უხერხული პროგრამის შესადგენად, რომ თვით სოციალ-დემოკრატებშიც თავს იჩენს ხოლმე უთანხმოება და პოლემიკა იწყებაო. მე პირიქით მგონია: ეს კიდევ ერთი საბუთია პროგრამის აუცილებლობის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. ერთი მხრით, რაკი პოლემიკა დაიწყო, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროგრამის პროექტის განხილვის დროს ყველა შეხედულება და შეხედულებათა ნიუანსები იქნება გამოთქმული, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროგრამის განხილვა ყოველმხრივი იქნება. პოლემიკა იმის მაჩვენებელია, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების რიგებში გამოცოცხლდა ფართო საკითხები ჩვენი მოძრაობის მიზნების, მისი უახლოესი ამოცანების და მისი ტაქტიკის შესახებ, ხოლო ასეთი გამოცოცხლებაა სწორედ აუცილებელი პროგრამის პროექტის განსახილველად. მეორე მხრით, პოლემიკა რომ უნაყოფო არ დარჩეს, რომ ის პირადი ხასიათის შეჯიბრებად არ გადაგვარდეს, რომ მან არ გამოიწვიოს შეხედულებათა დაბნეულობა, ამხანაგებისა და მტრების ერთმანეთში არევა, ამისთვის უსათუოდ საჭიროა, რომ ამ პოლემიკაში შეტანილ იქნას პროგრამის საკითხი. პოლემიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს სარგებლობას, თუ ის გამოარკვევს— სახელდობრ რაში მდგომარეობს უთანხმოება, რ ა მ დ ე ნ ა დ ღ რ მ ა ა, არსებითია ეს უთანხმოება თუ კერძო საკითხებს ეხება, ხელს უშლის ეს უთანხმოება ერთი პარტიის რიგებში ერთად მუშაობას თუ არა. მ ხ ო ლ ო დ პროგრამის საკითხის შეტანას პოლემიკაში, მხოლოდ ორივე მოკამათე მხარის მიერ თავიანთ პ რ ო გ რ ა მ უ ლ შეხედულებათა გარკვევით განცხადებას შეუძლია პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ პასუხს. პარტიის საერთო პროგრამის შემუშავებამ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უნდა მოუღოს ბოლო ყოველგვარ პოლემიკას, — მაგრამ

პროგრამა მტკიცედ დაადგენს ძირითად შეხედულებებს ჩვენი მოძრაობის ხასიათის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომელნიც უნდა შეადგენდნენ დროშას იმ მებრძოლი პარტიისათვის, რომელიც რჩება შემჭიდროებული და ერთიანი, მიუხედავად მის წევრთა შორის კერძო ხასიათის უთანხმოებისა კერძო საკითხების გარშემო.

მაშ, გადავიდეთ საქმეზე.

როცა რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამაზე ლაპარაკობენ, საერთო აზრი სრულიად ბუნებრივად მიმართულია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრებისაკენ, რომლებმაც დააარსეს რუსეთის სოციალ-დემოკრატია და ბევრი რამ გააკეთეს ამ პარტიის თეორიული და პრაქტიკული განვითარებისათვის. ჩვენს უხუცეს ამხანაგებს არ დაუყოვნებიათ გამოხმაურებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. თითქმის სწორედ იმავე დროს — 1898 წლის გაზაფხულზე — როცა მზადდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატების ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას», პ. ბ. აქსელროდმა გამოსცა თავისი ბროშურა: «რუსი სოციალ-დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის» (ჟენევა, 1898; წინასიტყვაობა დათარიღებულია 1898 წლის მარტით) და მის დამატებად გადაბეჭდა «რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტი», გამოცემული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ 1885 წელს.

ჩვენც ამ პროექტის განხილვით დავიწყებთ. მიუხედავად იმისა, რომ ის გამოცემულია თითქმის 15 წლის წინათ, ჩვენი აზრით, ის საერთოდ და მთლიანად სრულიად დამაკმაყოფილებლად წყვეტს თავის ამოცანას და სავსებით თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული თეორიის დონეზე დგას. ამ პროექტში პირდაპირ არის ნაჩვენები ის კლასი, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია იყოს რუსეთში (ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც) სოციალიზმისათვის დამოუკიდებელი მებრძოლი — მუშათა კლასი, «სამრეწველო პროლეტარიატი»; — ნაჩვენებია

ის მიზანი, რომელიც უნდა დაისახოს ამ კლასმა — «წარმოების ყველა საშუალებათა და საგანთა გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებად», «სასაქონლო წარმოების მოსპობა» და «მისი შეცვლა საზოგადოებრივი წარმოების ახალი სისტემით» — «კომუნისტური რევოლუცია»; — ნაჩვენებია «საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნის» «გარდუვალი წინასწარი პირობა»: «მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება»; — ნაჩვენებია პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა და აუცილებლობა «სხვადასხვა სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატების პროგრამებში სხვადასხვაობის ელემენტისა ცალკე თვითეული მათგანის საზოგადოებრივ პირობებთან შეფარდებით»; — ნაჩვენებია თავისებურება რუსეთისა, «სადაც მშრომელი მასები განვითარების გზით მიმავალი კაპიტალიზმისა და დრომოჭმული პატრიარქული მეურნეობის ორმაგი უღლის ქვეშ იმყოფებიან»; — ნაჩვენებია კავშირი რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა «სამრეწველო პროლეტარიატის ახალი კლასის — უფრო უნარიანი, მოძრავი და განვითარებული» კლასის (განვითარების გზით მიმავალი კაპიტალიზმის ძალებით) შექმნის პროცესთან;—ნაჩვენებია «რევოლუციური მუშათა პარტიის» შექმნის აუცილებლობა და მისი «პირველი პოლიტიკური ამოცანა» — «აბსოლუტიზმის დამხობა»; — ნაჩვენებია «პოლიტიკური ბრძოლის საშუალებანი» და წამოყენებულია მისი ძირითადი მოთხოვნები.

პროგრამის ყველა ეს ელემენტი, ჩვენის აზრით, სავსებით აუცილებელია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამაში, — ყველა ეს ელემენტი ისეთ თეზისებს აყენებენ, რომელნიც მას აქეთ სულ ახალსა და ახალს დადასტურებას ღებულობდნენ როგორც სოციალისტური თეორიის განვითარებაში, ისე ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის განვითარებაში, — კერძოდ, რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ და მათ, ჩვენის აზრით, კიდევაც უნდა დაუდონ საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკ-

რატიული მუშათა პარტიის პროგრამას სწორედ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროექტი, რომელიც მხოლოდ კერძო ხასიათის სარედაქციო ცვლილებებს, შესწორებებსა და შევსებას საჭიროებს.

შეეცდებით დავსახოთ ის კერძო ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია და რომელთა შესახებ სასურველია აზრთა გაცვლა-გამოცვლა ყველა რუს სოციალ-დემოკრატსა და შეგნებულ მუშას შორის.

უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რაოდენადმე უნდა შეიცვალოს პროგრამის აგების ხასიათი: 1885 წელს ეს იყო საზღვარგარეთელ რევოლუციონერთა ჯგუფის პროგრამა; მათ შესძლეს სისწორით განესაზღვრათ მოძრაობის წარმატებით განვითარების ერთადერთი გზა, მაგრამ იმ დროს ისინი კიდევ ვერ ხედავდნენ რუსეთში რამოდენიმედ მაინც ფართო და დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობას. 1900 წელს კი უკვე ლაპარაკია რუსეთის მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ დაარსებული მუშათა პარტიის პროგრამაზე. იმ სარედაქციო ხასიათის ცვლილებების გარდა, რომელნიც აუცილებელია ამის გამო (და რომლებზედაც უფრო დაწვრილებით შეჩერება საჭირო არ არის, რადგან ისინი თავისთავად იგულისხმებიან), ამ განსხვავებიდან გამომდინარეობს აუცილებლობა იმისა, რომ პირველ რიგში წამოვაყენოთ და უფრო მკვეთრად გავუსვათ ხაზი განვითარების იმ ეკონომიურ პროცესს, რომელიც ჰქმნის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის მატერიალურ და სულიერ პირობებს, და პროლეტარიატის იმ კლასობრივ ბრძოლას, რომლის ორგანიზაციასაც ამოცანად ისახავს სოციალ-დემოკრატიული პარტია. რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა და მისი განვითარების ძირითადი ნიშნების დახასიათება ქვაკუთხედად უნდა დაედოს პროგრამას (შეად. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში: «ბატონყმობის გაუქმების დროიდან კაპიტალიზმმა რუსეთში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ნატურალური მეურნეობის ძველი სისტემა ადგილს უთმობს სასაქონლო წარმოებას»...) და ამის შემდეგ მოხაზული უნდა

იქნას კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია: ხალხის გათიშვა ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, «სიღატაკის, ჩაგვრის, დამონების, დამცირებისა და ექსპლოატაციის ზრდა» [82]. მარქსის ეს უკანასკნელი შესანიშნავი სიტყვები განმეორებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერფურტის პროგრამის მეორე აბზაცში; [83] უკანასკნელ ხანებში ბერნშტეინის გარშემო დაჯგუფებული კრიტიკოსები განსაკუთრებული სიძლიერით დაესხნენ თავს სწორედ ამ პუნქტს, იმეორებდნენ რა ბურჟუაზიული ლიბერალებისა და სოციალ-პოლიტიკოსების ძველ მოსაზრებებს «გაღატაკების თეორიის» წინააღმდეგ. ჩვენის აზრით, იმ პოლემიკამ, რომელიც ამის გამო სწარმოებდა, სავსებით დაამტკიცა ამგვარი «კრიტიკის» ს რ უ ლ ი უ მ წ ე ო ბ ა. ბერნშტეინმა თვითონვე აღიარა მარქსის ზემომოყვანილი სიტყვების სისწორე, როგორც ისეთი სიტყვებისა, რომელნიც ახასიათებენ კაპიტალიზმის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს, — იმ ტენდენციას, რომელიც სინამდვილედ იქცევა, როცა არ არსებობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ამ ტენდენციის წინააღმდეგ, როცა არ არსებობს მუშათა კლასის მიერ ბრძოლით მოპოვებული კანონები მუშათა დაცვის შესახებ. სწორედ რუსეთში ვხედავთ ჩვენ ამჟამად, თუ როგორ იჩენს თავს უდიდესი სიძლიერით აღნიშნული ტენდენცია გლეხობასა და მუშებში. შემდეგ კი კაუტსკიმ ცხადჰყო, რომ სიტყვები «სიღატაკის ზრდაზე და სხვ.» სწორია არა მარტო ტენდენციის დახასიათების აზრით, არამედ იმ აზრითაც, რომ იგი მიგვითითებს «სოციალური სიღატაკის» ზრდაზე, ე. ი. შეუსაბამობის ზრდაზე პროლეტარიატის მდგომარეობასა და ბურჟუაზიის ცხოვრების დონეს შორის, — იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დონეს შორის, რომლებიც იზრდება შრომის ნაყოფიერების გიგანტურ ზრდასთან ერთად. და, ბოლოს, ეს სიტყვები სწორია იმ აზრითაც, რომ კაპიტალიზმის «მოსაზღვრე ოლქებში» (ე. ი. იმ ქვეყნებში და სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რომლებშიც კაპიტალიზმი ეს-არის ახლა ჩნდება და წინაკაპიტალისტურ წესებს ხვდება) მასობრივ ხასიათს იღებს სიღატაკის ზრდა — და მასთან არა მარტო «სოციალუ-

რის», არამედ უსაშინელესი ფიზიკური სიღატაკის, თვით შიმშილობითა და შიმშილის ნიადაგზე სიკვდილითაც კი. ყველამ იცის, რომ რუსეთის მიმართ ამის თქმა ათჯერ მეტად უფრო შეიძლება, ვიდრე სხვა რომელიმე ევროპული ქვეყნის მიმართ. ამგვარად, სიტყვები «სიღატაკის, ჩაგვრის, დამონების, დამცირების, ექსპლოატაციის ზრდაზე», ჩვენის აზრით, აუცილებლად უნდა შევიდეს პროგრამაში, — ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ისინი სრულიად სამართლიანად ახასიათებენ კაპიტალიზმის ძირითადს და არსებითს თვისებებს, ახასიათებენ სწორედ იმ პროცესს, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება და რომელიც რუსეთში მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა; მეორე, იმიტომ, რომ ეს სიტყვები დიდძალ მასალას იძლევა აგიტაციისთვის, აჯამებს რა მთელ რიგ მოვლენებს, რომელნიც ყველაზე მეტად აწუხებენ, მაგრამ მეტადაც აღშფოთებენ მუშათა მასებს (უმუშევრობა, მცირე ხელფასი, ულუკმაპურობა, შიმშილობა, კაპიტალის სასტიკი დისციპლინა, პროსტიტუცია, შინა მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა და სხვ. და სხვ.); მესამე, იმიტომ, რომ კაპიტალიზმის დამღუპველი მოქმედებისა და მუშათა აღშფოთების აუცილებლობის, გარდუვალობის ასეთი ზუსტი დახასიათებით ჩვენ გავემიჯნებით იმ ორჭოფ ადამიანებს, რომელნიც «თანაუგრძნობენ» პროლეტარიატს, მოითხოვენ «რეფორმებს» მის სასარგებლოდ და ცდილობენ «ნეიტრალური პოზიცია» დაიკავონ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას, თვითმპყრობელ მთავრობასა და რევოლუციონერებს შორის. ამ ხალხისაგან გამიჯვნა კი სწორედ ამჟამად განსაკუთრებით აუცილებელია, თუ ჩვენ ვესწრაფით შევქმნათ ერთიანი და შემჭიდროებული მუშათა პარტია, რომელიც გადამწყვეტსა და შეუდრეკელ ბრძოლას აწარმოებს პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

აქ აუცილებლად ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ჩვენს დამოკიდებულებაზე ერფურტის პროგრამისადმი. ზემონათქვამიდან ყველამ დაინახა უკვე, რომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროექტში ისეთი

ცვლილებების შეტანა, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკ-რატების პროგრამას დაუახლოვებენ გერმანიის სოციალ-დე-მოკრატების პროგრამას. ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს იმის თქმა, რომ ჩვენ გვსურს მივბაძოთ ერფურტის პროგრამას: ცუდი არაფერია იმაში, თუ მივბაძავთ იმას, რაც კარგია; და სწორედ ახლა, როცა ასე ხშირად გვესმის ამ პროგრამის ოპორტუნისტული და ნახევრადი კრიტიკა, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია აშკარად გამოვესარჩლოთ მას. მაგრამ მიბაძვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს უბრალო გადმოწერად. მიბაძვა და სესხება სრულიად კანონიერია იმდენად, რამდენადაც რუსეთშიც ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის განვითარების იმავე ძირითად პროცესებს, სოციალისტებისა და მუშათა კლასის იმავე ძირითად ამოცანებს, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყონ რუსეთის თავისებურებანი, რომელთაც სრული გამოხატულება უნდა ჰპოვონ ჩვენი პროგრამის თავისებურებებში. წინასწარ ამთავითვე ვიტყვით, რომ ეს თავისებურებანი ეხება, ჯერ-ერთი, ჩვენს პოლიტიკურ ამოცანებს და ბრძოლის საშუალებებს; მეორე, ბრძოლას პატრიარქული, წინაკაპიტალისტური რეჟიმის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ და გლეხთა საკითხის თავისებურ დაყენებას, რომელიც ამ ბრძოლით არის გამოწვეული.

ამ აუცილებელი შენიშვნის შემდეგ გავყვეთ ქვევით. «სიღატაკის ზრდაზე» მითითებას უნდა მოჰყვეს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დახასიათება, — ამ ბრძოლის მიზნის აღნიშვნა (წარმოების ყველა საშუალებათა გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებაში და კაპიტალისტური წარმოების შეცვლა სოციალისტური წარმოებით), — მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ხასიათის აღნიშვნა — კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ხასიათისა და ამ ბრძოლის უახლოესი მიზნის აღნიშვნა (პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა). თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური თავისუფლებებისათვის ბრძოლის აღიარება მუშათა პარტიის პირველ პოლიტიკურ ამოცანად განსაკუთრებით აუცი-

ლებელია, მაგრამ ამ ამოცანის განმარტებისათვის, ჩვენის აზრით, საჭიროა დავახასიათოთ თანამედროვე რუსული აბსოლუტიზმის კლასობრივი ხასიათი და მისი დამხობის აუცილებლობა არა მარტო მუშათა კლასის ინტერესების, არამედ მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების გულისათვის. ამნაირი მითითება აუცილებელია თეორიული მხრივაც, ვინაიდან, მარქსიზმის ძირითადი იდეების თვალსაზრისით, საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, — მთელი მუშათა მოძრაობის ინტერესები, მთლიანად აღებული, მუშათა ცალკეული ფენის ან მოძრაობის ცალკეული მომენტების ინტერესებზე უფრო მაღლა დგას; — პრაქტიკულადაც, რათა დავახასიათოთ ცენტრალური პუნქტი, რომელთანაც თავს უნდა იყრიდეს და რომლის გარშემო უნდა ჯგუფდებოდეს სოციალ-დემოკრატიის მთელი მრავალფეროვანი მოღვაწეობა, რაც გამოიხატება პროპაგანდასა, აგიტაციასა და ორგანიზაციაში. ჩვენ ვფიქრობთ, საჭირო იქნებოდა აგრეთვე გ ა რ დ ა ა მ ი ს ა პროგრამის განსაკუთრებული აბზაცი მიგვეძღვნა იმის მისათითებლად, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის ა მ ო ც ა ნ ა დ ისახავს აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობისთვის მხარის დაჭერას და ბრძოლას თვითმპყრობელი მთავრობის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ—გარყვნას და დააბნელოს ხალხის პოლიტიკური შეგნება ჩინოვნიკური მეურვეობით და ცრუმოწყალებებით, ისეთი დემაგოგიური პოლიტიკის საშუალებით, რომელსაც ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა უწოდეს «Peitsche und Zuckerbrot» (მათრახი და ნამცხვარი). ნამცხვარი=მოწყალება იმათ, ვინც მატერიალური მდგომარეობის ნაწილობრივი და ცალკეული გაუმჯობესებისთვის უარს ამბობს თავის პოლიტიკურ მოთხოვნებზე და პოლიციური თვითნებობის მორჩილ მონად რჩება (სტუდენტებისთვის — საერთო საცხოვრებელი და სხვ., მუშებისთვის — მოვიგონოთ თუ გინდ ფინანსთა მინისტრის ვიტეს პროკლამაციები ს.-პეტერბურგის გაფიცვების დროს 1896 და 1897 წლებში ან

შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრების მიერ მუშების დასაცავად წარმოთქმული სიტყვები იმ კომისიაში, სადაც ირჩეოდა საკითხი 2 VI 1897 წლის კანონის გამოცემის შესახებ). მათრახი=გაძლიერებული დევნა იმათი, ვინც, მიუხედავად ამ მოწყალებებისა, პოლიტიკური თავისუფლებისთვის მებრძოლად რჩება (სტუდენტების ჯარისკაცებად მიცემა[84]; 12 VIII 1897 წლის ცირკულარი მუშების ციმბირში გადასახლების შესახებ; დევნის გაძლიერება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და სხვ.). ნამცხვარი — სუსტთა გადასაბირებლად, მათ მოსასყიდად და გასარყვნელად; მათრახი — მუშათა და სახალხო საქმისთვის პატიოსან და შეგნებულ მებრძოლთა დასაშინებლად და «გასაუვნებლად». ვიდრე აბსოლუტიზმი არსებობს (—ხოლო ჩვენი პროგრამა ახლა ჩვენ უნდა შევუფარდოთ სწორედ აბსოლუტიზმის არსებობას, ვინაიდან მისი დამხობა აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკური პირობების ისეთ დიდ ცვლილებას, რომელიც აიძულებს მუშათა პარტიას არსებითად შესცვალოს თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანათა ფორმულირება) — ვიდრე არსებობს აბსოლუტიზმი, ჩვენ მუდამ უნდა მოველოდეთ მთავრობის ამ დემაგოგიური ღონისძიებების განახლებასა და გაძლიერებას და, მაშასადამე, სისტემატურად უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვამხილოთ ხალხის პოლიციელ მოამაგეთა სიცრუე, დავანახვოთ, თუ რა კავშირი არსებობს მთავრობის რეფორმებსა და მუშების ბრძოლას შორის, ვასწავლოთ პროლეტარიატს ისარგებლოს ყოველი რეფორმით თავისი საბრძოლო პოზიციის განსამტკიცებლად, მუშათა მოძრაობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად. მითითება კი აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ყ ვ ე ლ ა მებრძოლთათვის მხარის დაჭერის შესახებ პროგრამაში იმიტომ არის აუცილებელი, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც განუყრელად შეერთებულია რუსეთის მუშათა კლასის მოწინავე ელემენტებთან, უნდა ააფრიალოს ს ა ე რ თ ო-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დროშა, რათა თავის გარშემო დარაზმოს ყველა ფენა და ელემენტი, რომელთაც უნარი შესწევთ იბრძოლონ პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

ანდა თუნდაც მხოლოდ რითიმე მხარი დაუჭირონ ასეთ ბრძოლას.

ასეთია ჩვენი შეხედულება იმ მოთხოვნებზე, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენი პროგრამის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ნაწილი, და იმ ძირითად დებულებებზე, რომელნიც რაც შეიძლება ზუსტად და რელიეფურად უნდა იყოს გამოხატული ჩვენს პროგრამაში. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამის პროექტიდან, ჩვენის აზრით, უნდა ამოვაგდოთ (პრინციპული ნაწილიდან) 1) მითითებანი გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმაზე (გლეხთა საკითხზე ქვემოთ ვილაპარაკებთ); 2) მითითებანი ინტელიგენციის «მერყეობისა» და სხვ. მიზეზებზე; 3) პუნქტი «პოლიტიკური წარმომადგენლობის თანამედროვე სისტემის გაუქმებისა და მისი პირდაპირი სახალხო კანონმდებლობით შეცვლის» შესახებ; 4) პუნქტი «პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებზე». ჩვენ, მართალია, ამ უკანასკნელ პუნქტში მოძველებულს ან უმართებულოს ვერაფერს ვხედავთ: პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საშუალებები სწორედ ისეთი უნდა იყოს, რომელნიც ნაჩვენებია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ (აგიტაცია, — რევოლუციური ორგანიზაცია, — «ხელსაყრელ მომენტში» გადასვლა გადამწყვეტ თავდასხმაზე, რომელიც, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ, ტერორზედაც არ იღებს ხელს), — მაგრამ ვფიქრობთ, რომ მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს პროგრამაში საჭირო არ არის მითითება მოქმედების იმ საშუალებებზე, რომელნიც აუცილებელი იყო რევოლუციონერთა საზღვარგარეთული ჯგუფის პროგრამაში 1885 წელს. პროგრამამ საშუალებათა საკითხი ღიად უნდა დატოვოს, საშუალებათა ამორჩევა უნდა მიენდოს მებრძოლ ორგანიზაციებსა და პარტიის ყრილობებს, რომლებიც აწესებენ პარტიის ტ ა ქ ტ ი კ ა ს. მაგრამ არა მგონია შესაძლო იყოს ტ ა ქ ტ ი კ ი ს საკითხების შეტანა პროგრამაში (გარდა ყველაზე უფრო არსებითი და პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი საკითხებისა, როგორც, მაგ., აბსოლუტიზმის წინააღმდეგ სხვა მებრძოლებთან დამოკიდებულების საკითხი). ტაქტიკის საკითხები, მათი წამოჭრის მიხედვით, განიხილება პარტიის

გაზეთში და საბოლოოდ გადაიჭრება პარტიის ყრილობებზე. ჩვენის აზრით, ასეთსავე საკითხებს ეკუთვნის ტერორის საკითხიც: მისი განხილვა — და, რა თქმა უნდა, განხილვა არა პრინციპული, არამედ ტაქტიკური მხრით — უეჭველად უნდა ითავონ სოციალ-დემოკრატებმა, ვინაიდან მოძრაობის ზრდა თავისთავად, სტიქიურად იწვევს ჯაშუშების მოკვლის გახშირებას, მგზნებარე აღშფოთების გაძლიერებას მუშებისა და სოციალისტების რიგებში, რომლებიც ხედავენ, რომ მათი ამხანაგების სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს წამებით სულს ხდიან საპყრობილეების განმარტოებულ საკნებსა და გადასახლების ადგილებში. აზრის დაუმთავრებლობას რომ ადგილი არ ჰქონდეს, ახლავე უნდა ვთქვათ, რომ პირადად ჩემის აზრით ტერორი ამჟამად ბრძოლის მიზანშეუწონელი საშუალებაა, რომ პარტიამ (როგორც პარტიამ) უნდა უარჰყოს ის (ვიდრე პირობები შეიცვლებოდეს, რაც გამოიწვევდა ტაქტიკის შეცვლასაც) და მთელი თავისი ძალები მოახმაროს ორგანიზაციების განმტკიცებას და ლიტერატურის წესიერად მიწოდებას. დაწვრილებით ამაზე აქ ლაპარაკი უადგილოა.

რაც შეეხება პირდაპირი სახალხო კანონმდებლობის საკითხს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი შეტანა პროგრამაში ამჟამად სრულიად არ არის საჭირო. სოციალიზმის გამარჯვების პრინციპულად დაკავშირება პარლამენტარიზმის შეცვლასთან პირდაპირი სახალხო კანონმდებლობით — არ შეიძლება. ჩვენი შეხედულებით, ეს დაამტკიცა კამათმა ერფურტის პროგრამის გამო და კაუტსკის წიგნმა სახალხო კანონმდებლობის შესახებ. კაუტსკი აღიარებს (ისტორიულ და პოლიტიკურ ანალიზზე დაყრდნობით) სახალხო კანონმდებლობის გარკვეულ სარგებლობას შემდეგ პირობებში: 1) თუ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობას ადგილი არ ექნება ან უპირატესობა ექნება ქალაქებს; 2) თუ არსებობს უაღრესად განვითარებული პოლიტიკური პარტიები; 3) თუ «არ არსებობს უაღრესად ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებლად უპირისპირდება სახალხო წარმო-

მადგენლობას». რუსეთში სრულიად საწინააღმდეგო პირობებს ვხედავთ, და «სახალხო კანონმდებლობის» იმპერიალისტურ «პლებისციტად» გადაგვარების საშიშროება ჩვენში განსაკუთრებით ძლიერი იქნებოდა. თუ გერმანიისა და ავსტრიის შესახებ კაუტსკი 1893 წელს ამბობდა, რომ «ჩვენთვის, აღმოსავლეთ-ევროპიელებისთვის, პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა «მომავალის სახელმწიფოს» სფეროს ეკუთვნისო», რუსეთზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლა, როცა რუსეთში გაბატონებულია თვითმპყრობელობა, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ «დემოკრატიული კონსტიტუციის» მოთხოვნით და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ორი პირველი პუნქტი უნდა ვამჯობინოთ «ერფურტის პროგრამის» პრაქტიკული ნაწილის ორ პირველ პუნქტს.

გადავიდეთ პროგრამის პრაქტიკულ ნაწილზე. ეს ნაწილი, ჩვენის აზრით, თუ გადმოცემის მიხედვით არა, არსებითად მაინც, განიყოფება სამ განყოფილებად: 1) საერთოდემოკრატიული რეფორმების მოთხოვნა; 2) მუშების დასაცავად ზომების მიღების მოთხოვნა და 3) გლეხთა სასარგებლო ღონისძიებათა მოთხოვნა. რაც შეეხება პირველ განყოფილებას, არა გვგონია საჭირო იყოს არსებითი ცვლილებების შეტანა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის «პროგრამის პროექტში», რომელიც მოითხოვს 1) საყოველთაო საარჩევნო უფლებას; 2) ჯამაგირს წარმომადგენლებისათვის; 3) საყოველთაო, საერო, უფასო და სავალდებულო განათლებას და სხვ.; 4) პიროვნებისა და მოქალაქეთა ბინების ხელუხლებლობას; 5) სინდისის, სიტყვის, კრებების და სხვ. განუსაზღვრელ თავისუფლებას (აქ, თითქოს, შეიძლებოდა სპეციალურად დაგვემატებინა: გაფიცვების თავისუფლება); 6) მიმოსვლისა და ხელობის თავისუფლებას (აქ იქნებ შეიძლებოდა დაგვემატებინა: «გადასახლება-დასახლების თავისუფლება» და «პასპორტების სრული გაუქმება»); 7) ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას და სხვ.; 8) მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; 9) «მთელი ჩვენი სამოქალაქო და

სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვას, წოდებრივ დაყოფათა და ისეთი სასჯელების გაუქმებას, რომლებიც შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან». აქ საჭირო იქნებოდა დამატება: «ქალის სრული უფლებრივი გათანასწორება მამაკაცთან». ამავე განყოფილებას უნდა დაემატოს ფინანსური რეფორმების მოთხოვნა, რომელიც ფორმულირებულია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამის იმ მოთხოვნათა რიცხვში, რომელთაც «წამოაყენებს მუშათა პარტია, დაეყრდნობა რა ამ ძირითად პოლიტიკურ უფლებებს» — «გამოსაღებთა თანამედროვე სისტემის გაუქმება და საშემოსავლო პროგრესული გადასახადის დაწესება». და, ბოლოს, აქ საჭირო იქნებოდა კიდევ მოთხოვნა — «მოხელეთა არჩევისა ხალხის მიერ; ყოველი მოქალაქისთვის უფლების მინიჭებისა — პასუხისგებაში მისცეს სასამართლოს წესით ყოველი მოხელე მისი უფროსის წინაშე საჩივრის აღუძვრელად».

«შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამის პრაქტიკულ მოთხოვნათა მეორე განყოფილებაში ჩვენ გვხვდება საერთო მოთხოვნა «მეწარმეებთან მუშების (ქალაქისა **და** სოფლის) დამოკიდებულებათა საკანონმდებლო გზით მოწესრიგების და სათანადო ინსპექციის მოწყობისა მუშათა წარმომადგენლობის მონაწილეობით». ჩვენ ვფიქრობთ, რომ **მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა მ** უფრო საფუძვლიანად და უფრო დაწვრილებით უნდა წამოაყენოს მოთხოვნები ამ პუნქტის მიხედვით, უნდა მოითხოვოს (1) 8-საათიანი სამუშაო დღე; (2) ღამით მუშაობის აკრძალვა, ბავშვთა მუშაობის აკრძალვა 14 წლის ასაკამდე; (3) თვითეული მუშისთვის განუწყვეტელი დასვენება არანაკლებ 36 საათისა კვირაში; (4) საფაბრიკო კანონებისა და საფაბრიკო ინსპექციის გავრცელება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე, სახაზინო ფაბრიკებსა, სახელოსნო საწარმოებსა და შინ მომუშავე შინამრეწველებზე. მუშების მიერ ინსპექტორთა თანაშემწეების არჩევა, რომელთაც ექნებათ ინსპექტორებთან თანაბარი უფლებები; (5) სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სასამართლოების დაარსება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა

დარგში მეპატრონეთა და მუშებისაგან თანაბარი რაოდენობით არჩეული მოსამართლეებით; (6) უსათუოდ ყველგან აკრძალვა ხელფასის გასტუმრებისა საქონლით; (7) საკანონმდებლო გზით მეფაბრიკეების პასუხისმგებლობის დაწესება როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო მუშების ყველა უბედური შემთხვევისა და დასახიჩრებისთვის; (8) საკანონმდებლო გზით დაწესება ყოველგვარი მუშების დაქირავების ყველა შემთხვევაში ხელფასის გასტუმრებისა კვირაში ერთხელ მაინც; (9) გაუქმება ყველა იმ კანონისა, რომელნიც არღვევენ დამქირავებელთა და დაქირავებულთა თანასწორუფლებიანობას (მაგ., გაუქმება კანონებისა ფაბრიკისა და სოფლის მუშების სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაზე სამუშაოს მიტოვებისთვის; გაუქმება იმ კანონებისა, რომლებიც დაქირავების ხელშეკრულების დარღვევის მხრივ დამქირავებელთ გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებენ, ვიდრე დაქირავებულთ, და სხვ.). (თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მხოლოდ სასურველ მოთხოვნებს ვსახავთ და პროექტისათვის საჭირო მათ საბოლოო ფორმულირებას არ ვიძლევით). პროგრამის ამ განყოფილებამ (წინანდელთან დაკავშირებით) უნდა მოგვცეს ძირითადი, სახელმძღვანელო დებულებანი აგიტაციისთვის, იმავე დროს, რა თქმა უნდა, აგიტატორები არ უნდა იქნენ შებოჭილნი წამოაყენონ ცალკეულ ადგილებში, წარმოების ცალკეულ დარგებში, ფაბრიკებსა და სხვაგან რაოდენადმე შეცვლილი, უფრო კონკრეტული, უფრო კერძო მოთხოვნები. ამიტომ პროგრამის ამ განყოფილების შედგენისას ჩვენ უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ორი უკიდურესობა: ერთი მხრით, არ უნდა გამოვტოვოთ არც ერთი მთავარი, ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მ თ ე ლ ი მუშათა კლასისთვის; მეორე მხრით, — არ უნდა გამოვედევნოთ მეტისმეტ წვრილმან მოთხოვნებს, რომლებითაც პროგრამის ავსება არარაციონალური იქნებოდა.

«მწარმოებელი ასოციაციებისათვის სახელმწიფო დახმარების» მოთხოვნა, რაც აღნიშნულია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში, ჩვენის აზრით, სრულიად უნდა

იქნას ამოღებული პროგრამიდან. სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, თეორიული მოსაზრებებიც, რუსეთის პირობების თავისებურებანიც (ბურჟუაზიული ლიბერალებისა და პოლიციური ძთავრობის მიდრეკილება — მოეფერონ «არტელებს» და «ძფარველობა» გაუწიონ «სახალხო მრეწველობას», და სხვ.)— ყოველივე ეს ამ მოთხოვნების წამოყენების წინააღმდეგ ლაპარაკობს. (რა თქმა უნდა, 15 წლის წინათ საქმის ვითარება ბევრნაირად სხვაგვარი იყო, და მ ა შ ი ნ სოციალ-დემოკრატების მიერ ამნაირი მოთხოვნის შეტანა თავიანთ პროგრამაში ბუნებრივი იყო).

დაგვრჩა პროგრამის პრაქტიკული ნაწილის უკანასკნელი — მესამე — განყოფილება: მოთხოვნები გლეხთა საკითხში. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში გვხვდება ერთი ასეთი მოთხოვნა, სახელდობრ «ჩვენი აგრარული ურთიერთობის რადიკალური გადასინჯვის მოთხოვნა, ე. ი. მოთხოვნა გადასინჯულ იქნას მიწის გამოსყიდვისა და .მისი გლეხთა საზოგადოებებისათვის დარიგების პირობები. ნადელებზე უარის თქმისა და თემიდან გამოსვლის უფლების მინიჭება იმ გლეხებისთვის, რომელნიც ამას თავისთვის ხელსაყრელად მიიჩნევენ, და სხვ.».

მე მგონია, რომ აქ გამოთქმული ძირითადი აზრი სრულიად სამართლიანია და რომ სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ მართლაც უნდა წამოაყენოს თავის პროგრამაში სათანადო მოთხოვნა (ვამბობ: სათანადო, ვინაიდან ზოგიერთი ცვლილება მე სასურველად მიმაჩნია).

ეს საკითხი მე შემდეგნაირად მესმის. გლეხთა საკითხი რუსეთში არსებითად განსხვავდება გლეხთა საკითხისაგან დასავლეთ-ევროპაში, მაგრამ განსხვავდება მ ხ ო ლ ო დ ი მ ი თ, რომ დასავლეთში ლაპარაკია თითქმის მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური, ბურჟუაზიული საზოგადოების გლეხზე, რუსეთში კი უმთავრესად იმ გლეხზე, რომელიც არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) იჩაგრება წ ი ნ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ დაწესებულებათა და ურთიერთობათაგან. იჩაგრება ბ ა ტ ო ნ-

ყმობის ნაშთებისაგან. როლი გლეხობისა, როგორც კლასისა, რომელიც იძლევა მებრძოლთ აბსოლუტიზმისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, დასავლეთში უკვე შესრულებულია, რუსეთში კი—ჯერ კიდევ არა. დასავლეთში სამრეწველო პროლეტარიატი დიდი ხანია რაც მკვეთრად გამოეყო სოფელს, მასთან ეს გამოყოფა განმტკიცებულია უკვე სათანადო უფლებრივი დაწესებულებების მიერ. რუსეთში კი «სამრეწველო პროლეტარიატი თავისი მთავარი შემადგენელი ელემენტებითა და არსებობის პირობებით, ჯერ კიდევ უაღრესად დაკავშირებულია სოფელთან» (პ. ბ. აქსელროდი, ზემომოყვანილი ბროშურა, გვ. 11). მართალია, პროცესი გლეხობის დაშლისა წვრილ ბურჟუაზიად და დაქირავებულ მუშებად ჩვენში უდიდესი სიძლიერით, საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს, მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ ოდნავაც არ დამთავრებულა, და — რაც მთავარია — ეს პროცესი მიმდინარეობს ჯერ კიდევ ძველი, ბატონყმური დაწესებულებების ჩარჩოებში, იმ დაწესებულებების, რომელთაც მთელი გლეხობა შებოჭილი ჰყავთ ურთიერთთავდებობისა და ფისკალური თემის მძიმე ბორკილით. ამრიგად, რუს სოციალ-დემოკრატს, თუნდაც რომ ის (როგორც ამ სტრიქონების დამწერი) ეკუთვნოდეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილი საკუთრების ან წვრილი მეურნეობის დაცვისა თუ მხარის დაჭერის სასტიკ მოწინააღმდეგეებს, ე. ი. თუნდაც რომ აგრარულ საკითხშიც ის (როგორც ამ სტრიქონების დამწერი) ემხრობოდეს იმ მარქსისტებს, რომელთაც ყველა ჯურის ბურჟუები და ოპორტუნისტები სიამოვნებით ლანძღავენ იმით, რომ მათ «დოგმატიკოსებსა» და «მართლმორწმუნეთ» უწოდებენ, ვიმეორებთ, რუს სოციალ-დემოკრატს შეუძლია იყოს და ის კიდევაც უნდა იყოს იმის მომხრე, — ისე, რომ სრულიადაც არ უღალატოს თავის რწმენას, არამედ, პირიქით, ამ რწმენის თანახმად, — რომ მუშათა პარტიამ თავის დროშაზე დააწეროს გლეხობისათვის (ოღონდ არა როგორც წვრილ მესაკუთრეთა ან წვრილ მეპატრონეთათვის) მხარის დაჭერა, რამდენადაც ამ გლეხობას უნარი შეს-

წევს რევოლუციური ბრძოლა აწარმოოს ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ საერთოდ და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ კერძოდ. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ხომ ყველანი ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ მხარი დავუჭიროთ მსხვილ ბურჟუაზიასაც, რამდენადაც მას უნარი შესწევს რევოლუციური ბრძოლა აწარმოოს აღნიშნულ მოვლენებთან, — მაშ როგორ შეგვიძლია ჩვენ უარი ვუთხრათ ამნაირსავე მხარის დაჭერაზე წვრილი ბურჟუაზიის მრავალმილიონიან კლასს, რომელიც თანდათანობით პროლეტარიატს უერთდება? თუ მსხვილი ბურჟუაზიის ლიბერალური მოთხოვნებისათვის მხარის დაჭერა არ ნიშნავს მსხვილი ბურჟუაზიისთვის მხარის დაჭერას, — წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიული მოთხოვნებისათვის მხარის დაჭერაც ხომ არ უნდა ნიშნავდეს წვრილი ბურჟუაზიისთვის მხარის დაჭერას: პირიქით, სწორედ ის განვითარება, რომელსაც მისცემს რუსეთს პოლიტიკური თავისუფლება, კაპიტალის შემოტევის საშუალებით განსაკუთრებული სიძლიერით გააქანებს დაღუპვისაკენ წვრილ მეურნეობას. მე მგონია, რომ სწორედ ამ პუნქტის გამო სოციალ-დემოკრატებს შორის არ იქნება დავა. მაშასადამე, მთელი საკითხი იმაშია: 1) როგორ შევიმუშაოთ სწორედ ისეთი მოთხოვნები, რომლებიც არ იხრეობდნენ წვრილ მესაკუთრეთათვის მხარის დაჭერისაკენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში? და 2) შესწევს თუ არა ჩვენს გლეხობას, თუნდაც ნაწილობრივ, უნარი რევოლუციური ბრძოლა აწარმოოს ბატონყმობის ნაშთებისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ?

დავიწყოთ მეორე საკითხით. რევოლუციური ელემენტების არსებობას რუს გლეხობაში, ალბათ, არავინ არ უარჰყოფს. შემამულეების, მათი მოურავების, მათი დამცველი მოხელეების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებების ფაქტები ცნობილია ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც, ცნობილია აგრარულ მკვლელობათა, ამბოხებათა და სხვ. ფაქტები. ცნობილია

აღშფოთების ზრდის ფაქტი გლეხობაში (რომელშიც განათლების უბადრუკი ნაწყვეტების შეტანამაც კი გააღვიძა ადამიანური ღირსების გრძნობა) კეთილშობილ მაწანწალათა იმ ბრბოს მხეცური თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც გლეხობას მიუსიეს საერობო უფროსების სახით. ცნობილია ფაქტი მილიონობით ხალხის თანდათან გახშირებული დამშევისა, რომელთაც არ შეუძლიათ უმოქმედო მაყურებლები იყვნენ ასეთი «სასურსათო სიძნელეებისა». ცნობილია ფაქტი გლეხთა შორის სექტანტობისა და რაციონალიზმის ზრდისა, ხოლო პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა რელიგიური საფარველით — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყველა ხალხს მოსდგამს და არა მხოლოდ რუსეთს. ამრიგად, რევოლუციური ელემენტების არსებობა გლეხობაში ყოველ ეჭვს გარეშეა. ჩვენ სრულიადაც არ ვაზვიადებთ ამ ელემენტების ძალებს, არ ვივიწყებთ გლეხების პოლიტიკურ განუვითარებლობასა და სიბნელეს, სრულიადაც არ ვცდილობთ წავშალოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს «უაზრო და შეუბრალებელ რუსულ ბუნტსა» და რევოლუციურ ბრძოლას შორის, სრულიადაც არ ვივიწყებთ იმას, რა უამრავი საშუალება მოეპოვება მთავრობას გლეხების პოლიტიკურად მოსატყუებლად და გასარყვნელად. მაგრამ ყოველივე ამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ უგნურება იქნებოდა რევოლუციური მოძრაობის მ ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ გლეხობა გამოგვეცხადებინა, სიგიჟეს ჩაიდენდა ის პარტია, რომელიც თავისი მოძრაობის რევოლუციურობის პ ი რ ო ბ ა დ გლეხობის რევოლუციურ განწყობილებას მ ი ი ჩ ნ ე ვ დ ა. ჩვენ არც ვფიქრობთ რაიმე ამის მსგავსი ვურჩოთ რუს სოციალ-დემოკრატებს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მუშათა პარტიას არ შეუძლია, მარქსიზმის ძირითად ანდერძთა დაურღვევლად და უდიდესი პოლიტიკური შეცდომის დაუშვებლად, გ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ო ს იმ რევოლუციურ ელემენტებს, რომლებიც გლეხობაშიც მოიპოვება, არ შეუძლია არ დაუჭიროს მხარი ამ ელემენტებს. შესძლებენ კი რუსი გლეხობის ეს რევოლუციური ელემენტები თავის

გამოჩენას ისე მაინც, როგორც ეს შესძლეს დასავლეთ-ევროპის გლეხებმა აბსოლუტიზმის დამხობის დროს, — ეს ისეთი საკითხია, რომელზედაც ისტორიას პასუხი ჯერ არ მოუცია. თუ ვერ შესძლებენ, — ამით სოციალ-დემოკრატიის არც კარგ სახელს, არც მოძრაობას არაფერი დააკლდება, ვინაიდან რა მისი ბრალი იქნება თუ გლეხობა არ გამოეხმაურება (შეიძლება ძალა არ ეყოს გამოსახმაურებლად) მის რევოლუციურ მოწოდებას. მუშათა მოძრაობა მიდის და წავა თავისი გზით, რანაირ ღალატსაც უნდა სჩადიოდეს მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია. თუ შესძლებენ, — მაშინ სოციალ-დემოკრატია, თუ კი ის ამ საქმეში არ დაეხმარებოდა გლეხობას, სამუდამოდ დაკარგავდა თავის კარგ სახელს და იმის უფლებას, რომ ის ჩაეთვალათ დემოკრატიისათვის მოწინავე მებრძოლად.

გადავდივართ რა ზემოთ დაყენებულ პირველ საკითხზე, უნდა ვთქვათ, რომ «აგრარულ ურთიერთობათა რადიკალური გადასინჯვის» მოთხოვნა, ჩვენის აზრით, გარკვეულად არ არის წამოყენებული: ეს მოთხოვნა საკმარისად ჩაითვლებოდა 15 წლის წინათ, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ გვგონია შესაძლებელი იყოს ახლა, როდესაც ჩვენ კიდევაც უნდა მივაწოდოთ სახელმძღვანელო მასალა აგიტაციისთვის, კიდეც გავემიჯნოთ წვრილი მეურნეობის დამცველთ, რომელნიც ასე მრავალნი არიან თანამედროვე რუს საზოგადოებაში და ისეთ «გავლენიან» მომხრეებს პოულობენ, როგორიც არიან ბატონი პობედონოსცევი, ვიტე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალი მოხელე. ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენს თავს განსახილველად მივაწოდოთ ამხანაგებს ჩვენი პროგრამის მესამე განყოფილების პრაქტიკული ნაწილის დაახლოებით ასეთი ფორმულირება:

«მხარს უჭერს რა ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აცხადებს, რომ ის მხარს დაუჭერს გლეხობას, რამდენადაც მას უნარი შესწევს რევოლუციური ბრძოლა აწარმოოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც კლასმა,

რომელიც ყველაზე უფრო იჩაგრება რუსი ხალხის უუფლებობით და რუსულ საზოგადოებაში დარჩენილი ბატონყმური ნაშთებით.

გამოდის რა ამ პრინციპიდან, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

1) გაუქმდეს გამოსასყიდი და საღალო გადასახდელები, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარა, რაც ამჟამად კისრად აწევს გლეხობას, როგორც გამოსაღების გადამხდელ წოდებას.

2) დაუბრუნდეს ხალხს ის ფული, რაც გლეხებს წაგლეჯეს მთავრობამ და მემამულეებმა გამოსასყიდ გადასახდელთა სახით.

3) გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა კანონი, რომელნიც ბოჭავენ გლეხს თავისი სურვილისამებრ მოიხმაროს თავისი მიწა.

4) მოისპოს მემამულეებისაგან გლეხების ბატონყმური დამოკიდებულების ყოველგვარი ნაშთები, სულ ერთია, გამომდინარეობენ ეს ნაშთები განსაკუთრებული კანონებიდან და დაწესებულებათაგან (მაგ., მუშებისა და გლეხების მდგომარეობა ურალის სამთამადნო ოლქებში) თუ იქიდან, რომ გლეხთა და მემამულეთა მიწები ჯერ კიდევ არ არის გამიჯნული (მაგ., სერვიტუტების ნაშთები დასავლეთ მხარეში)[80], ან თუ იქიდან, რომ მემამულის მიერ გლეხის მიწის ჩამოჭრა ფაქტიურად გლეხებს წინანდელ საბატონო მობეგრე გლეხთა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს.

5) მიეცეს გლეხებს უფლება მოითხოვონ სასამართლოს წესით უზომოდ მაღალი საიჯარო ქირის შემცირება და პასუხისგებაში მისცენ მევახშეობისათვის მემამულეები და საერთოდ ყველა ის პირნი, რომელნიც, სარგებლობენ რა გლეხების გაჭირვებული მდგომარეობით, კაბალურ ხელშეკრულებებს სდებენ მათთან».

ასეთი წინადადების დასაბუთებაზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ განსაკუთრებით ვრცლად — არა იმიტომ, რომ პროგრამის ეს ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ის ყველაზე სადავოა და მას ყველაზე შორეული კავშირი აქვს

საყოველთაოდ დადგენილ, ყველა სოციალ-დემოკრატის მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებებთან. შესავალი დებულება გლეხობისათვის (პირობითი) «მხარდაჭერის» შესახებ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია იმიტომ, რომ პროლეტარიატს, საერთოდ რომ ვთქვათ, არ შეუძლია და მან არც უნდა იკისროს წვრილ მეპატრონეთა კლასის ინტერესების დაცვა; პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ მხარი დაუჭიროს მას *იმდენად, რამდენადაც* ის რევოლუციურია. და რადგან სწორედ თვითმპყრობელობა განასახიერებს ამჟამად რუსეთის მთელ ჩამორჩენილობას, ბატონყმობის, უუფლებობის და «პატრიარქული» ჩაგვრის ყველა ნაშთს, ამიტომ აუცილებელია მივუთითოთ, რომ მუშათა პარტია გლეხობას მხარს უჭერს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას უნარი შესწევს რევოლუციური ბრძოლა აწარმოოს *თვითმპყრობელობის* წინააღმდეგ. ასეთი დებულება გამორიცხულია, როგორც ეტყობა, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროექტის შემდეგი დებულებით: «აბსოლუტიზმის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენს სწორედ გლეხობის პოლიტიკური ინდიფერენტობა და გონებრივი ჩამორჩენილობა». მაგრამ ეს არის წინააღმდეგობა არა თეორიის, არამედ თვით ცხოვრების, ვინაიდან გლეხობას (როგორც საერთოდ წვრილ მეპატრონეთა კლასს) ახასიათებს ორჭოფი თვისებები. რომ არ გავიმეოროთ ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიური საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ გლეხობის შინაგან წინააღმდეგობრივ მდგომარეობას, მოგაგონებთ 50-იანი წლების ფრანგი გლეხობის შემდეგ დახასიათებას მარქსის მიერ:

...«ბონაპარტის დინასტია წარმომადგენელია არა რევოლუციური, არამედ კონსერვატიული გლეხისა, არა იმ გლეხის, რომელსაც სურს თავი დააღწიოს თავისი არსებობის სოციალურ პირობებს, რომელთაც განსაზღვრავს მიწის პატარა ნაკვეთი, არამედ იმ გლეხის, რომელსაც ამ პირობებისა და მიწის ამ პატარა ნაკვეთის განმტკიცება სურს; წარმომადგენელია არა სოფლის იმ მოსახლეობისა, რომელიც ისწრაფის შეუერთდეს ქალაქებს და საკუთარი ენერგიით დაამხოს ძვე-

ლი წესწყობილება, არამედ იმ მოსახლეობისა, რომელიც პირიქით, ყრუდ იკეტება ამ ძველ წესწყობილებაში და თავისთვის და თავისი მიწის პატარა ნაკვეთისთვის ხსნას და პრივილეგიურ მდგომარეობას მოელის იმპერიის მოჩვენებიდან. ბონაპარტის დინასტია წარმომადგენელია არა გლეხის განათლებისა, არამედ — მისი ცრუმორწმუნეობის, არა მისი გონებაგახსნილობისა, არამედ — გონებადახშულობის, არა მისი მოძავლისა, არამედ — წარსულის, არა მისი თანამედროვე სევენებისა, არამედ — თანამედროვე ვანდეის» («Der 18. Brumaire», S. 99 *). მუშათა პარტიისთვის აუცილებელია სწორედ მხარი დაუჭიროს იმ გლეხობას, რომელიც ისწრაფის დაამხოს «ძველი წესწყობილება», ე. ი. რუსეთში უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად თვითმპყრობელობა. რუსი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის აღიარებდნენ ნაროდნიკობის დოქტრინიდან და მიმართულებიდან მისი რევოლუციური მხარის გამოყოფისა და შეთვისების აუცილებლობას. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში ეს გამოხატულია არა მარტო ზემომოყვანილი მოთხოვნით «რადიკალურად გადაისინჯოს» და სხვ., არამედ შემდეგი სიტყვებითაც: «თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ ამჟამადაც კი იმ ადამიანებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ გლეხობასთან, შეეძლოთ თავიანთი მოღვაწეობით გლეხობაში მნიშვნელოვანი სამსახური გაეწიათ სოციალისტური მოძრაობისთვის რუსეთში. სოციალ-დემოკრატები არამც თუ ხელს არ ჰკრავენ და არ ჩამოიშორებენ ასეთ ადამიანებს, არამედ ყოველნაირად შეეცდებიან შეუთანხმდნენ მათ ძირითად პრინციპებსა და თავისი მოქმედების მეთოდებში». 15 წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რევოლუციური ნაროდნიკობის ტრადიციები, საკმარისი იყო ასეთი განცხადება, მაგრამ ახლა ჩვენ თვითონ უნდა შევუდგეთ გლეხობაში «მოღვაწეობის ძირითადი პრინციპების» განხილვას, თუ გვსურს, რომ სოციალ-დემოკრატი-

* — «18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», გვ. 99. [86] რედ.

ული მუშათა პარტია გახდეს მოწინავე მებრძოლი დემოკრატიისათვის.

მაგრამ ჩვენს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს ხომ არ მივყევართ გლეხის პიროვნების კი არა, მისი საკუთრების დაცვისაკენ? წვრილი მეურნეობის განმტკიცებისაკენ? შეესაბამება თუ არა ეს მოთხოვნები კაპიტალისტური განვითარების მთელ მსვლელობას? განვიხილოთ ეს მარქსისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

1-ლი და მე-3 მოთხოვნების გამო არა გვგონია სოციალ-დემოკრატებს შორის ა რ ს ე ბ ი'თ ი უთანხმოება იყოს. მეორე მოთხოვნა, ალბათ, უთანხმოებას გამოიწვევს არსებითადაც. მის დასაცავად, ჩვენის ფიქრით, ლაპარაკობს შემდეგი მოსაზრებები: (1) რომ გამოსასყიდი გადასახდელები იყო გლეხთა პირდაპირი გაძარცვა მემამულეთა მიერ, რომ ამ გადასახდელებს იხდიდნენ არა მარტო გლეხის მიწისთვის, არამედ ბატონყმობისთვისაც, რომ მთავრობამ გლეხებისაგან აკრიბა მ ე ტ ი, ვიდრე მან მემამულეებს გადაუხადა, ეს ფაქტია; (2) ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ამ ფაქტს ისე შევხედოთ, როგორც სრულიად დამთავრებულსა და ისტორიის არქივისათვის ჩაბარებულ მოვლენას, ვინაიდან ასე არ უყურებენ საგლეხო რეფორმას თვითონ კეთილშობილი ექსპლოატატორები, რომელნიც ახლა გაჰკივიან მათ მიერ მაშინ გაღებულ «მსხვერპლზე»; (3) სწორედ ახლა, როცა მრავალი ძილიონი გლეხის შიმშილობა ქრონიკული ხდება, როცა მთავრობა მილიონებს ფანტავს მემამულეებისა და კაპიტალისტების საჩუქრებზე, ავანტურისტულ საგარეო პოლიტიკაზე, ხოლო როცა საქმე დამშეულთათვის დასახმარებლად თანხების გადადებას შეეხება, კაპიკებზე ვაჭრობს, სწორედ ახლა დროულიცაა და აუცილებელიც მოვაგონოთ ხალხს, თუ რა დაუჯდა მას იმ თვითმპყრობელური მთავრობის პარპაში, რომელიც პრივილეგიური კლასების ინტერესებს ემსახურება; (4) სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ გულგრილად უცქირონ იმას, თუ როგორ შიმშილობს გლეხობა, როგორ წყდება ის შიმშილისაგან. დამშეულთათვის უალრესად ფართო დახმა-

რების აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ რუს სოციალ-დემოკრატებს შორის ორი აზრი არასოდეს არ ყოფილა. არა გვგონია ვინმემ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ დამშეულთათვის სერიოზული დახმარება შესაძლებელი იყოს რევოლუციური ზომების მიუღებლად; (5) საუფლისწულო მიწების ექსპროპრიაცია და სათავადაზნაურო მიწების გაძლიერებული მობილიზაცია, — ე. ი. ის, რაც წამოყენებულ მოთხოვნის განხორციელების შედეგი იქნებოდა, — მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა რუსეთის მთელ საზოგადოებრივ განვითარებას. წამოყენებული მოთხოვნის წინააღმდეგ ჩვენ, ალბათ, მიგვითითებდნენ უმთავრესად მის «განუხორციელებლობაზე». თუ ასეთი მითითება დასაბუთებული იქნება მხოლოდ ფრაზებით «რევოლუციონარიზმისა» და «უტოპიზმის» წინააღმდეგ, ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამნაირი ოპორტუნისტული ფრაზები სრულებითაც ვერ შეგვაშინებს და არავითარ მნიშვნელობას ჩვენ მათ არ მივცემთ. ხოლო თუ ასეთი მითითების დასაბუთებას დაიწყებენ ჩვენი მოძრაობის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების ანალიზით, მაშინ ჩვენ სავსებით აღვიარებთ ამ საკითხის უფრო ვრცლად განხილვის აუცილებლობას და მის გარშემო გამართული პოლემიკის სარგებლობას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს მოთხოვნა დამოუკიდებლად კი არ დგას, არამედ შედის, როგორც ნაწილი, გლეხობისთვის მხარდაჭერის მოთხოვნაში, რამდენადაც ეს გლეხობა რევოლუციურია. იმ საკითხს, თუ სახელდობრ როგორ და როგორი სიძლიერით გამოიჩენენ თავს გლეხობის ეს ელემენტები, ისტორია გადაწყვეტს. თუ მოთხოვნათა «განხორციელების შესაძლებლობას» გავიგებთ არა როგორც მათ საერთო შესაბამისობას საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებთან, არამედ როგორც მათ შესაბამისობას ეკონომიური და პოლიტიკური პირობების არსებულ კონიუნქტურასთან, ასეთი კრიტერიუმი სრულიად უმართებულო იქნებოდა, როგორც ეს დამაჯერებლად ცხადჰყო კაუტსკიმ თავის პოლემიკაში როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ, რომელიც მიუთითებდა პოლონეთის და-

მოუკიდებლობის მოთხოვნის «განუხორციელებლობაზე» (პოლონეთის მუშათა პარტიისთვის). კაუტსკიმ მაშინ (თუ მეხსიერება არ გვღალატობს) მიუთითა, როგორც მაგალითზე, ერფურტის პროგრამის იმ მოთხოვნაზე, სადაც ლაპარაკია ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის შესახებ. ამ მოთხოვნის «განხორციელების შესაძლებლობა» თანამედროვე გერმანიაში მეტად საეჭვოა, მაგრამ არც ერთ სოციალ-დემოკრატს არ წამოუყენებია წინადადება—შეეზღუდა თავისი მოთხოვნები არსებულ მომენტსა და არსებულ პირობებში შესაძლებელის ვიწრო ჩარჩოებით.

შემდეგ, რაც შეეხება მე-4 პუნქტს, პრინციპულად, ალბათ, არავინ იქნება იმ აუცილებლობის წინააღმდეგი, რომ სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენონ მოთხოვნა ბატონყმური დამოკიდებულების ყველა ნაშთის მოსპობის შესახებ. საკითხი დაისმება, ალბათ, მხოლოდ ამ მოთხოვნის ფორმულირების და შემდეგ მისი მოცულობის შესახებ, ე. ი. უნდა იქნას თუ არა მასში შეტანილი, მაგ., ისეთი ზომების მიღების მოთხოვნა, რომელნიც გააუქმებდნენ გლეხთა ფ ა ქ ტ ი უ რ საბატონო-საბეგრო დამოკიდებულებას, შექმნილს 1861 წელს გლეხთა მიწის ჩამონაჭრებით? ჩვენის აზრით, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს დადებითად. ლიტერატურაში სავსებით დადგენილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბატონო-საბეგრო (შრომამიგებითი) მეურნეობის ფაქტიურ ნაშთებს და რამდენად უშლის ხელს საზოგადოებრივ განვითარებას (და კაპიტალიზმის განვითარებას) მათი არსებობა. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის განვითარებას «თავისთავად, ბუნებრივი გზით» მივყევართ და ის კიდევაც მიგვიყვანს ბოლოს და ბოლოს ამ ნაშთების მოსპობამდე, მაგრამ, ჯერ-ერთი, ამ ნაშთებს ახასიათებს განსაკუთრებული გამძლეობა, ასე რომ მათი ძალიან მალე მოსპობის იმედი არ უნდა გვქონდეს; ხოლო მეორე—და ეს უმთავრესია — «ბუნებრივი გზა» სხვას არას ნიშნავს, თუ არ გლეხთა გადაშენებას, რომლებიც ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ (შრომამიგების გამო და სხვ.) მიბმულნი არიან მიწაზე და დამონებულნი მემამულეების მიერ. ცხადია, ასეთ პირობებში

სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ დუმილით გვერდი აუარონ ამ საკითხს თავიანთ პროგრამაში. შეგვეკითხებიან: როგორ იქნებოდა შესაძლებელი ამ მოთხოვნის განხორციელება? ჩვენ ვფიქრობთ, პროგრამაში ამაზე ლაპარაკი არაა საჭირო. რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნის განხორციელება (რაც დამოკიდებულია, ისევე როგორც ამ განყოფილების თითქმის ყველა მოთხოვნის განხორციელება, გლეხობის რევოლუციური ელემენტების ძალაზე) მოითხოვს ადგილობრივი პირობების ყოველმხრივ განხილვას გლეხთა ადგილობრივი, არჩეული კომიტეტების მიერ, — წინააღმდეგ იმ სათავადაზნაურო კომიტეტებისა, რომელნიც 60-იან წლებში ეწოდნენ «კანონიერ» ძარცვა-გლეჯას; პროგრამის დემოკრატიული მოთხოვნები საკმაოდ განსაზღვრავენ იმ დემოკრატიულ დაწესებულებებს, რომელნიც ამ საქმისთვის საჭირო იქნებოდნენ. ეს იქნებოდა სწორედ «აგრარულ ურთიერთობათა რადიკალური გადასინჯვა», რომლის შესახებ ლაპარაკობს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ჩვენ პრინციპულად ვეთანხმებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროექტის ამ პუნქტს და ვისურვებდით მხოლოდ, რომ (1) აღნიშნულიყო ის პირობები, რომელთა არსებობისას პროლეტარიატს შეუძლია იბრძოლოს გლეხობის კლასობრივი ინტერესებისათვის; (2) განსაზღვრულიყო გადასინჯვის ხ ა ს ი ა თ ი: ბატონყმურ დამოკიდებულებათა ნაშთების გაუქმება; (3) უფრო კონკრეტულად გამოთქმულიყო მოთხოვნები. — ვითვალისწინებთ კიდევ ერთ შემოდავებას: ჩამონაჭერი მიწებისა და სხვ. საკითხის გადასინჯვას უნდა მოჰყვეს ამ მიწების დაბრუნება გლეხებისთვის. ეს ცხადია. და განა ეს არ განამტკიცებს წვრილ საკუთრებას, წვრილ პარცელას? განა შეუძლიათ სოციალ-დემოკრატებს ისურვონ წვრილი მეურნეობით შეიცვალოს მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა, რომელიც, შესაძლებელია, გლეხებისაგან წანაგლეჯ მიწებზე სწარმოებს? ეს ხომ რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ღონისძიება იქნებოდაო! — ვუპასუხებთ: უეჭველია, მსხვილი მეურნეობის შეცვლა წვრილით რეაქციული მოვლენაა, და ჩვენ

მას არ უნდა დავუჭიროთ მხარი. მაგრამ ხსენებული მოთხოვნა ხომ გაპიროობებულია იმ მიზნით, რომ «მოსპობილ იქნას ბატონყმური დამოკიდებულების ნაშთები», — მაშასადამე, მსხვილ მეურნეობათა დაქუცმაცებას ის ვერ გამოიწვევს; ეს მოთხოვნა ეხება არსებითად მხოლოდ წმინდა საბატონო-საბეგრო ტიპის ძველ მეურნეობებს, — და მათთან შედარებით გლეხური მეურნეობა, თავისუფალი ყოველგვარ შუასაუკუნეობრივ შევიწროებათაგან (შეად. პუნქ. 3), რეაქციული კი არაა, არამედ პროგრესულია. რა თქმა უნდა, სადემარკაციო ხაზის გავლება აქ ადვილი არ არის, — მაგრამ ჩვენ ხომ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროგრამის რომელიმე მოთხოვნა «ადვილი» განსახორციელებელი იყოს. ჩვენი საქმეა: დავსახოთ ძირითადი პრინციპები და ძირითადი ამოცანები, წვრილმანებზე კი ისინი იზრუნავენ, ვისაც ამ ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრა მოუხდება.

უკანასკნელი პუნქტის მიზანი იგივეა, რაც წინა პუნქტისა: ბრძოლა წარმოების წინაკაპიტალისტური წესის ყოველგვარი ნაშთების (რაც ასე უხვად მოიპოვება რუსულ სოფელში) წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, რუსეთში გლეხური ოჯარა ძალიან ხშირად მხოლოდ საბატონო-საბეგრო დამოკიდებულებათა ნაშთის საფარველია. ამ უკანასკნელი პუნქტის იდეა კი ჩვენ ნასესხები გვაქვს კაუტსკისაგან, რომელმაც, აღნიშნა რა, რომ ირლანდიის მიმართ უკვე გლადსტონის ლიბერალურმა სამინისტრომ 1881 წელს გაატარა კანონი, რომლითაც სასამართლოს უფლება ენიჭებოდა შეემცირებინა მეტისმეტად მაღალი საიჯარო ქირა, სასურველ მოთხოვნათა რიცხვში შეიტანა ასეთი: «მეტისმეტად დიდი საიჯარო ქირის შემცირება სასამართლო დაწესებულებათა მიერ, რომელნიც ამ მიზნისთვის არიან შექმნილნი» (Reduzierung übermässiger Pachtzinsen durch dazu eingesetzte Gerichtshöfe). რუსეთში ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა (რა თქმა უნდა, თუ ასეთი სასამართლოები დემოკრატიულად იქნებოდნენ მოწყობილნი) საბატონო-საბეგრო ურ-

თიერთობათა მოსპობის აზრით. ჩვენ ვფიქრობთ, ამას შეიძლება აგრეთვე დავუმატოთ მოთხოვნა — კანონები მევახშეობის შესახებ გავრცელდეს კაბალურ გარიგებებზეც; რუსულ სოფელში კაბალა ისე უზომოდაა განვითარებული, იმდენად სულს უხუთავს გლეხს როგორც მუშას, ისე დიდად აფერხებს სოციალურ პროგრესს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აუცილებელია. ხოლო გარიგების კაბალური, მევახშური ხასიათის დადგენა სასამართლოსთვის, რა თქმა უნდა, იმაზე ძნელი არ იქნებოდა, ვიდრე საიჯარო ქირის გადაჭარბებულობის დადგენა.

საერთოდ და მთლიანად, ჩვენს მიერ წამოყენებული მოთხოვნები, ჩვენის აზრით, ორ ძირითად მიზანს ისახავს: 1) ყველა წინაკაპიტალისტური, ბატონყმური დაწესებულებისა და დამოკიდებულების მოსპობა სოფლად (ამ მოთხოვნათა დამატება შესულია პროგრამის პრაქტიკული ნაწილის პირველ განყოფილებაში); 2) სოფლად კლასობრივი ბრძოლისთვის უფრო აშკარა და შეგნებული ხასიათის მიცემა. ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ეს პრინციპები უნდა გახდნენ სახელმძღვანელო სოციალ-დემოკრატიული «აგრარული პროგრამისთვის» რუსეთში; — საჭიროა გადაჭრით გავიმიჯნოთ რუსეთში ესოდენ უხვად არსებულ მისწრაფებათაგან — მიჩქმალონ კლასობრივი ბრძოლა სოფლად. გაბატონებული ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება სწორედ ამით ხასიათდება, მაგრამ, გადაჭრით უარვყოფთ რა მას (როგორც ეს არის «ლონდონის საერთაშორისო კონგრესზე რუსი სოციალ-დემოკრატების მოხსენების დამატებაში»), არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ უნდა გამოვყოთ ნაროდნიკობის რევოლუციური შინაარსი. «რამდენადაც ნაროდნიკობა რევოლუციური იყო, ე. ი. ილაშქრებდა წოდებრივ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ხალხის მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის იმ ბარბაროსული ფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს სახელმწიფო მხარს უჭერდა, იმდენად ეს რევოლუციური შინაარსი უნდა შესულიყო, სათანადო ცვლილებებით, როგორც შემადგენელი ელემენტი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის

პროგრამაში» (აქსელროდი: «თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის», ვ. 7). რუსულ სოფელში ამჟამად გადახლართულია კლასობრივი ბრძოლის ორი ძირითადი ფორმა: 1) გლეხობის ბრძოლა პრივილეგიურ მიწათმფლობელთა წინააღმდეგ და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ; 2) ბრძოლა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იმ პროლეტარიატისა, რომელიც წარმოშობის პროცესშია სოფლად. სოციალ-დემოკრატებისთვის, რა თქმა უნდა, მეორე ბრძოლას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ აუცილებლად მხარი უნდა დაუჭირონ პირველ ბრძოლასაც, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ე ს ა რ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს. გლეხთა საკითხს შემთხვევით არ ეჭირა და არ უჭირავს ასე დიდი ადგილი რუსულ საზოგადოებაში და რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში: ეს ფაქტი მხოლოდ იმის ანარეკლია, რომ პირველი ბრძოლაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას.

დასასრულ, საჭიროა თავიდან ავიცილოთ ერთი შესაძლებელი გაუგებრობა. ჩვენ ვლაპარაკობდით სოციალ-დემოკრატიის «რევოლუციურ მოწოდებაზე» გლეხებისადმი. ხომ არ ნიშნავს ეს ძალების დაქსაქსვას, სამრეწველო პროლეტარიატში სამუშაო ძალთა საჭირო კონცენტრაციისთვის ზიანის მიყენებას? სრულიადაც არა; ასეთი კონცენტრაციის აუცილებლობას ყ ვ ე ლ ა რუსი სოციალ-დემოკრატი აღიარებს, ის აღნიშნულია 1885 წელს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროექტშიც და 1898 წელს ბროშურაშიც «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები». მაშასადამე, სრულიად არავითარი საფუძველი არ არის გვეშინოდეს იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები თავიანთ ძალებს დაქსაქსავენ. პროგრამა ხომ ინსტრუქცია არ არის: პროგრამა უნდა მოიცავდეს მ თ ე ლ მოძრაობას, პრაქტიკაში კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გვიხდება ხოლმე წამოვაყენოთ მოძრაობის ხან ერთი, ხან მეორე მხარე. არავინ არ დაიწყებს დავას იმის წინააღმდეგ, რომ პროგრამაში აუცილებლად ლაპარაკი უნდა იყოს არა მარტო სამრეწველო, არამედ სოფლის მუშებზეც, თუმცა იმა-

ვე დროს არც ერთ რუს სოციალ-დემოკრატს ჯერ კიდევ არც უფიქრია საქმის ახლანდელ ვითარებაში მოუწოდოს ამ-ხანაგებს იმუშაონ სოფლად. მაგრამ მუშათა მოძრაობა თავის-თავად, ჩვენი ცდების გარეშეც კი, გარდუვალად გამოიწვევს დემოკრატიული იდეების გავრცელებას სოფლად. «აგიტაცია ეკონომიურ ინტერესთა ნიადაგზე სოციალ-დემოკრატიულ წრეებს აუცილებლად უშუალოდ შეაჯახებს იმ ფაქტებს, რომლებიც თვალსაჩინოდ ცხადჰყოფენ ჩვენი სამრეწველო პროლეტარიატისა და გლეხთა მასების ინტერესების უმჭიდ-როეს სოლიდარობას» (აქსელროდი, ib. *, გვ. 13), და აი რა-ტომაა «Agrarprogramm» ** (აღნიშნული აზრით: რასაკვირველია, ზუსტად რომ ვთქვათ, ეს სრულიადაც არ არის «აგრარული პროგრამა») უცილობლად საჭირო რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის. ჩვენი პროპაგანდისა და აგი-ტაციის დროს ყოველთვის ვხვდებით მუშა-გლეხებს, ე. ი. ფაბრიკისა და ქარხნის მუშებს, რომელთაც კავშირი აქვთ შე-ნარჩუნებული სოფელთან, ჰყავთ იქ ნათესაობა, ოჯახი, და-დიან სოფლად. გამოსასყიდი გადასახდელების, ურთიერთ-თავდებობის, საიჯარო ქირის საკითხები ხშირად დიდად აინ-ტერესებს დედაქალაქის მუშასაც კი (ჩვენ არაფერს ვამბობთ, მაგ., ურალის მუშებზე, რომელთა შორისაც დაიწყო შეღწევა სოციალ-დემოკრატიულმა პროპაგანდამ და აგიტაციამ). ჩვენ ვერ შევასრულებდით ჩვენს მოვალეობას, თუ არ ვიზრუნავ-დით იმაზე, რომ ზუსტი ხელმძღვანელობა გაგვეწია იმ სო-ციალ-დემოკრატებისა და შეგნებული მუშებისთვის, რომელ-თაც სოფლად ყოფნა უხდებათ. შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ სოფლის ინტელიგენციაც, მაგ., სახალხო მასწავლებლები, რომლებიც ასე დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც მატერიალურად, ისე სულიერად და რომლებიც ისე ახლო ხედავენ და პირადად თავის თავზეც განიცდიან ხალხის უუფლებობასა და ჩაგვრას, რომ მათ შორის სოციალ-დემოკ-

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

** — «აგრარული პროგრამა». რ ე დ.

რატიზმისადმი თანაგრძნობის გავრცელება (მოძრაობის შემდგომ ზრდასთან ერთად) ყოველ ეჰვს გარეშეა.

ამრიგად, აი როგორი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის შემადგენელი ნაწილები: 1) მითითება რუსეთის ეკონომიური განვითარების ძირითად ხასიათზე; 2) მითითება კაპიტალიზმის გარდუვალ შედეგებზე: სიღატაკისა და მუშათა აღშფოთების ზრდაზე; 3) მითითება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე, როგორც ჩვენი მოძრაობის საფუძველზე; 4) მითითება სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნებზე, — მის მისწრაფებაზე, რომ დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება ამ მიზნების განსახორციელებლად, — მოძრაობის საერთაშორისო ხასიათზე; 5) მითითება კლასობრივი ბრძოლის აუცილებელ პოლიტიკურ ხასიათზე; 6) მითითება იმაზე, რომ რუსეთის აბსოლუტიზმი, იწვევს რა ხალხის უუფლებობას და ჩაგვრას და უწევს რა მფარველობას ექსპლოატატორებს, წარმოადგენს მუშათა მოძრაობის მთავარ დაბრკოლებას, და ამიტომ პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობა, აუცილებელი მთელი საზოგადოებრივი განვითარებისთვისაც, წარმოადგენს პარტიის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანას; 7) მითითება იმაზე, რომ პარტია მხარს დაუჭერს ყველა პარტიასა და მოსახლეობის ყველა ფენას, რომელნიც იბრძვიან აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, იგი იომებს ჩვენი მთავრობის დემაგოგიური ოინების წინააღმდეგ; 8) ჩამოთვლა ძირითადი დემოკრატიული მოთხოვნებისა, — შემდეგ 9) მოთხოვნებისა მუშათა კლასის სასარგებლოდ და 10) მოთხოვნებისა გლეხთა სასარგებლოდ ამ მოთხოვნათა საერთო ხასიათის განმარტებით.

ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს პროგრამის სავსებით დამაკმაყოფილებლად ფორმულირება ამხანაგებთან მთელი რიგი თათბირების მოუწყობლად, მაგრამ ჩვენ მაინც აუცილებლად მიგვაჩნია ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს, ვფიქრობთ რა, რომ მისი გადადება (ზემოაღნიშნული მიზეზების გამო) შეუძლებელია, და ვიმედოვნებთ

რა, რომ დახმარებას გაგვიწევენ როგორც პარტიის ყველა თეორეტიკოსი («შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრების მეთაურობით), ისე რუსეთში პრაქტიკულად მომუშავე ყველა სოციალისტი (და არა მარტოოდენ სოციალ-დემოკრატები: ჩვენთვის ძლიერ სასურველი იქნებოდა სხვა ფრაქციების სოციალისტთა აზრის მოსმენა, და ჩვენც უარს არ ვიტყოდით მათი აზრების გამოქვეყნებაზე) და ყველა შეგნებული მუშა.

უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში

«რაბოჩაია მისლის» რედაქციამ გამოსცა ««რაბოჩაია მისლის» «ცალკე დამატება» (სექტემბერი, 1899) იმ მოსაზრებით, რომ «გაფანტოს ყველა ის გაუგებრობა და გაურკვევლობა, რომელიც არსებობს «რაბოჩაია მისლის» მიმართულების შესახებ (როგორც, მაგალითად, «უარყოფა» ჩვენს მიერ «პოლიტიკისა»)». (რედაქციისაგან.) ჩვენ მეტად მოხარულნი ვართ, რომ, ბოლოს, «რაბოჩაია მისლ» აშკარად აყენებს საპროგრამო საკითხებს, რომელთაც აქამდე ის თითქოს არც სცნობდა, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ««რაბოჩაია მისლის» მიმართულება» იყოს მოწინავე რუსი მუშების მიმართულება» (როგორც იქვე აცხადებს რედაქცია). არა, თუ «რაბოჩაია მისლის» რედაქციას სურს იაროს იმ გზით, რომელიც ისახება (ჯერ მხოლოდ ი ს ა ხ ე ბ ა) ხსენებულ გამოცემაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სწორად არ ესმის ის პროგრამა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებლებმა შეიმუშავეს და რომელსაც აქამდე იცავდა რუსეთში მოქმედი ყველა რუსი სოციალ-დემოკრატი; ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნ ა ბ ი ჯ ს დგამს უ კ ა ნ თეორიული და პრაქტიკული განვითარების იმ საფეხურთან შედარებით, რომელსაც უკვე მიაღწია რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ.

«რაბოჩაია მისლის» მიმართულება გადმოცემულია «ცალკე დამატების» მოწინავე სტატიაში სათაურით: «ჩვენი სინამდვილე» (ხელს აწერს *რ. მ.*). სწორედ ეს სტატია უნდა გავარჩიოთ ჩვენ ახლა დაწვრილებით.

უკვე სტატიის დასაწყისიდანვე ირკვევა, რომ **რ. მ.** პ ი რ-დ ა პ ი რ ა რ ა ს წ ო რ ა დ გვიხატავს «ჩვენს სინამდვილეს» საერთოდ და ჩვენს მუშათა მოძრაობას კერძოდ, ამჟღავნებს მუშათა მოძრაობის მეტად ვიწრო გაგებას და იჩენს მისწრაფებას, რომ თვალები დახუჭოს და არ დაინახოს ის უმაღლესი ფორმები, რომელნიც ამ მოძრაობამ უკვე შეიმუშავა რუსი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით. მართლაც: «ჩვენი მუშათა მოძრაობა, — ამბობს სტატიის დასაწყისში **რ. მ.**, — ორგანიზაციის უაღრესად სხვადასხვანაირი ფორმის ჩანასახს ატარებს», დაწყებული საგაფიცვო ორგანიზაციებით და გათავებული ლეგალური (კანონით ნებადართული) საზოგადოებებით. — და მეტი არაფერი? — იკითხავს საგონებელში ჩავარდნილი მკითხველი. ნუთუ **რ. მ.**-მ ვერ შეამჩნია რუსეთში მუშათა მოძრაობის ორგანიზაციის ვერავითარი უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი, უფრო მოწინავე ფორმები? ცხადია, მას არ სურს შეამჩნიოს ისინი, იმიტომ რომ შემდგომ გვერდზევე ის იმეორებს თავის დებულებას გაცილებით უფრო კატეგორიული ფორმით: «მოძრაობის ამოცანები მიმდინარე მომენტში, რუსი მუშების ნამდვილი მუშათა საქმე, — ამბობს ის, — იმაში მდგომარეობს, რომ მუშებმა გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი თ», და ამ ჩამოთვლილ საშუალებებში შედის კვლავ მ ხ ო ლ ო დ საგაფიცვო ორგანიზაციები და ლეგალური საზოგადოებები! ამრიგად, რუსეთის მუშათა მოძრაობა გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ა, თითქოს, მხოლოდ გაფიცვებითა და ლეგალური საზოგადოებებით! ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! რუსეთის მუშათა მოძრაობამ უკვე 20 წლის წინათ დააარსა უფრო ფართო ორგანიზაცია, წამოაყენა უფრო ფართო ამოცანები (ამაზე ჩვენ ახლავე ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით). რუსეთის მუშათა მოძრაობამ შექმნა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ს.-პეტერბურგის[87] და კიევის[88] «ბრძოლის კავშირები», ებრაელ მუშათა კავშირი[89] და სხვა. მართალია, **რ. მ.** ამბობს, რომ ებრაელ მუშათა მოძრაობა «განსაკუთრებულ პოლიტიკურ ხასიათს» ატარებს, გამონაკლისს წარმოადგენსო. მაგ-

რამ არც ესაა სიმართლე, ვინაიდან ებრაელ მუშათა კავშირი რომ «განკერძოებით» იდგეს, ის არ შეუერთდებოდა მთელ რიგ რუსულ ორგანიზაციებს და არ შექმნიდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». ამ პარტიის დაარსება რუსეთის მუშათა მოძრაობის უდიდესი ნაბიჯია რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან მისი შეერთების საქმეში. ამ ნაბიჯმა აშკარად დაამტკიცა, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა არ ამოიწურება გაფიცვებით და კანონიერი საზოგადოებებით. როგორ მოხდა, რომ რუს სოციალისტებს, რომელნიც «რაბოჩაია მისლში» წერენ, არ სურთ დაინახონ ეს ნაბიჯი, არ სურთ გაიგონ მისი მნიშვნელობა?

ეს იმიტომ მოხდა, რომ **რ. მ.**-ს არ ესმის არც დამოკიდებულება რუსეთის მუშათა მოძრაობისა სოციალიზმთან და რევოლუციურ მოძრაობასთან რუსეთში, არც პოლიტიკური ამოცანები რუსეთის მუშათა კლასისა. «ჩვენი მოძრაობის მიმართულების უაღრესად დამახასიათებელი მაჩვენებელია, — წერს **რ. მ.**, — რა თქმა უნდა, ის მოთხოვნები, რომელთაც მუშები აყენებენ». ერთი ვიკითხოთ: რატომ არ ჩაითვლება ჩვენი მოძრაობის მაჩვენებლად სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოთხოვნები? რა საფუძვლით გამოჰყოფს **რ. მ.** მუშათა მოთხოვნებს რუსი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებისაგან? ასეთ გამოყოფას კი **რ. მ.** ატარებს მთელ თავის სტატიაში ისე, როგორც საერთოდ «რაბოჩაია მისლის» რედაქცია ატარებს ამას თავისი გაზეთის ყოველ ნომერში. «რაბოჩაია მისლის» ეს შეცდომა რომ განვმარტოთ, ჩვენ უნდა გავარკვიოთ მუშათა მოძრაობისადმი სოციალიზმის დამოკიდებულების საერთო საკითხი. ყველა ევროპულ ქვეყანაში თავდაპირველად სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა ცალ-ცალკე არსებობდა. მუშები ბრძოლას აწარმოებდნენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, აწყობდნენ გაფიცვებსა და კავშირებს, სოციალისტები კი განზე იდგნენ მუშათა მოძრაობისაგან, ჰქმნიდნენ მოძღვრებებს, რომელნიც აკრიტიკებდნენ საზოგადოების თანამედროვე კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ წყო-

ბილებას და მოითხოვდნენ ამ წყობილების შეცვლას სხვა, უმაღლესი სოციალისტური წყობილებით. მუშათა მოძრაობის სოციალიზმისაგან განცალკევება იწვევდა როგორც ერთის, ისე მეორის სისუსტესა და განუვითარებლობას: სოციალისტების მოძღვრებანი, რომლებიც არ იყვნენ შეერთებული მუშათა ბრძოლასთან, რჩებოდნენ მხოლოდ უტოპიად, კეთილ სურვილებად, რომლებიც გავლენას ვერ ახდენდნენ ნამდვილ ცხოვრებაზე; მუშათა მოძრაობა რჩებოდა დაწვრილმანებული, დაქსაქსული, მას არ ეძლეოდა პოლიტიკური მნიშვნელობა, იგი არ შუქდებოდა თავისი დროის მოწინავე მეცნიერებით. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ევროპულ ქვეყანაში უფრო და უფრო ძლიერ იჩენდა თავს მისწრაფება—შ ე ე ერ თ ებ ი ნ ა თ სოციალიზმი და მუშათა მოძრაობა ერთიან ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მოძრაობად. ასეთი შეერთებისას მუშათა კლასობრივი ბრძოლა იქცევა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ბ რ ძ ო ლ ა დ მქონებელ კლასთა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისთვის, მუშავდება სოციალისტური მუშათა მოძრაობის უმაღლესი ფორმა: დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა თ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა. სოციალიზმის წარმართვა მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მთავარი დამსახურებაა: მათ შეჰქმნეს რევოლუციური თეორია, რომელმაც გაარკვია ასეთი რევოლუციური შეერთების აუცილებლობა და სოციალისტებს ამოცანად დაუსახა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია.

სრულიად ასევე მიდიოდა საქმე რუსეთშიც. ჩვენშიც დიდხანს, მრავალი ათეული წლების განმავლობაში, სოციალიზმი გ ა ნ ზ ე იდგა იმ ბრძოლისაგან, რომელსაც მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ აწარმოებდნენ, განზე იდგა მუშათა გაფიცვებისაგან და სხვ. ერთი მხრივ, სოციალისტებს არ ესმოდათ მარქსის თეორია, მიაჩნდათ, რომ ის გამოუყენებელი იქნებოდა რუსეთისათვის; მეორე მხრივ, რუსეთის მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ უმნიშვნელო ჩანასახის ფორმას არ გასცილებოდა. როცა 1875 წელს შეიქმნა «სამხრეთ-რუსეთის

მუშათა კავშირი» და 1878 წელს — «ჩრდილოეთ-რუსეთის მუშათა კავშირი», ეს მუშათა ორგანიზაციები განზე იდგნენ რუსი სოციალისტების მიმართულებისაგან; ეს მუშათა ორგანიზაციები მოითხოვდნენ პოლიტიკურ უფლებებს ხალხისთვის, მათ სურდათ ბრძოლა ეწარმოებინათ ამ უფლებების მოსაპოვებლად, რუს სოციალისტებს კი მაშინ შეცდომით ეგონათ, რომ პოლიტიკური ბრძოლა ნიშნავდა გადახვევას სოციალიზმისაგან. მაგრამ რუსი სოციალისტები არ შეჩერებულან თავის განუვითარებელ, შემცდარ თეორიაზე. ისინი წინ წავიდნენ, მათ შეითვისეს მარქსის თეორია, შეიმუშავეს რუსეთის შეფარდებით მუშათა სოციალიზმის თეორია, რუსი სოციალ-დემოკრატების თეორია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაარსება—«შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, პლეხანოვის, აქსელროდისა და მათი მეგობრების მთავარი დამსახურებაა *. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაარსების დროიდან (1883 წ.) რუსეთის მუშათა მოძრაობა, როცა კი ის ფართოდ იჩენდა თავს, პირდაპირ უახლოვდებოდა რუს სოციალ-დემოკრატებს, მიისწრაფოდა მათთან შესაერთებლად. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» დაარსება (1898 წლის გაზაფხულზე) მოასწავებს უდიდეს ნაბიჯს ამ შეერთებისაკენ. ამჟამად ყველა რუსი სოციალისტის და ყველა შეგნებული რუსი მუშის მ თ ა ვ ა რ ამოცანას შეადგენს ამ შეერთების განმტკიცება, «მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის» გამაგრება და ორგანიზება. ვინც არ სცნობს ამ შეერთებას, ვინც მიისწრაფის ხელოვნურად გაავლოს რაღაც მიჯნა მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმს შორის რუსეთში, მას სარგებლობა კი არა, ზ ი ა ნ ი მოაქვს რუსეთის მუშათა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საქმისათვის.

გავყვეთ ქვევით. «რაც შეეხება ფართო მოთხოვნებს, — წერს **რ. მ.**, — პოლიტიკურ მოთხოვნებს, მხოლოდ პეტერ-

---

* რუსეთის სოციალიზმისა და რუსეთის მუშათა მოძრაობის შეერთება ისტორიულად გამოკვლეულია ერთი ჩვენი ამხანაგის ბროშურაში «Красное знамя в России. Очерк истории русского рабочего движения». ეს ბროშურა მალე დაიბეჭდება. [90]

ბურგის ფეიქართა მოთხოვნებში... 1897 წელს ჩვენ ვხედავთ პირველ და ჯერ კიდევ ნაკლებად შეგნებულ შემთხვევას, როცა ჩვენი მუშები ასეთ ფართო პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ». ჩვენ ისევ უნდა ვთქვათ, რომ ეს უეჭველად სწორი არ არის. როცა ასეთ ფრაზებს ბეჭდავს, «რაბოჩაია მისლის» რედაქცია ამით ამეღავნებს, ჯერ-ერთი, რუსეთის რევოლუციური და მუშათა მოძრაობის ისტორიის დავიწყებას, რაც სოციალ-დემოკრატისთვის მიუტევებელია; მეორეც, მუშათა საქმის შეუწყნარებლად ვიწრო გაგებას. ფართო პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს რუსმა მუშებმა 1898 წელს ს.-პეტერბურგის ბრძოლის კავშირის სამაისო ფურცელში და გაზეთებში «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკსა» და «რაბოჩაია გაზეტაში», რომელიც რუსი სოციალ-დემოკრატების მოწინავე ორგანიზაციებმა 1898 წელს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» ოფიციალურ ორგანოდ აღიარეს. «რაბოჩაია მისლ» ანგარიშს არ უწევს ამას, უკან იხევს და სავსებით ამართლებს იმ აზრს, რომ ის არის წარმომადგენელი არა მოწინავე მუშებისა, არამედ პროლეტარიატის დაბალი, განუვითარებელი ფენებისა (**რ. მ.** თვითონ აღნიშნავს თავის სტატიაში, რომ «რაბოჩაია მისლს» უკვე მიუთითეს ამ გარემოებაზეო). პროლეტარიატის დაბალმა ფენებმა არ იციან რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია, და არც **რ. მ.**-მ იცის ის. პროლეტარიატის დაბალ ფენებს არ ესმით რა ურთიერთობა არსებობს მუშათა მოძრაობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის, და არც **რ. მ.**-ს ესმის ეს ურთიერთობა. რუსმა მუშებმა რატომ 90-იან წლებში არ შექმნეს თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაციები სოციალისტებისაგან განცალკევებულად, როგორც 70-იან წლებში? რატომ არ წამოაყენეს მათ სოციალისტებისაგან განცალკევებულად თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნები? **რ. მ.** ამას, ალბათ, იმით ხსნის, რომ «რუს მუშებს საამისოდ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა მომზადება აქვთ» (მისი სტატიის მე-5 გვ.), მაგრამ ამნაირი ახსნით ის ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ მას უფლება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ

როგორც პროლეტარიატის დაბალი ფენების წარმომადგენელმა. 90-იანი წლების მოძრაობის დროს მუშათა დაბალ ფენებს შეგნებული არ ჰქონდათ მოძრაობის პოლიტიკური ხასიათი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველამ იცის (და **რ. მ.** თვითონაც ამბობს ამას), რომ 90-იანი წლების მუშათა მოძრაობამ ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო. ეს იმიტომ მოხდა, რომ მოძრაობას ხასიათი მისცეს, როგორც ყველგან და როგორც ყოველთვის, მოწინავე მუშებმა, რომელთაც მუშათა მასა მიჰყვებოდა იმიტომ, რომ მათ დაუმტკიცეს მასას თავიანთი მზადყოფნა და უნარი — ემსახურონ მუშათა საქმეს, რომ მათ შესძლეს მასის სრული ნდობის მოპოვება. ეს მოწინავე მუშები კი იყვნენ სოციალ-დემოკრატები; ბევრი მათგანი პირადადაც კი იღებდა მონაწილეობას ნაროდოვოლცებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის გაჩაღებულ იმ დავაში, რაც ახასიათებდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გადასვლას გლეხური და შეთქმულებითი სოციალიზმიდან მუშათა სოციალიზმზე. ამიტომ გასაგებია, რატომ არ გამოეყვნენ ახლა ეს მოწინავე მუშები სოციალისტებსა და რევოლუციონერებს და არ შექმნეს თავისი განსაკუთრებული ორგანიზაცია. ასეთ განცალკევებას აზრი ჰქონდა და აუცილებელი იყო მაშინ, როცა სოციალიზმი განზე იდგა მუშათა მოძრაობისგან. ამნაირი განცალკევება შეუძლებელი და უაზრო იქნებოდა, რაკი მოწინავე მუშები ხედავდნენ მუშათა სოციალიზმსა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. მოწინავე მუშების გაერთიანება სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან სრულიად ბუნებრივი და გარდუვალი იყო. ეს იმ დიდი ისტორიული ფაქტის შედეგი იყო, რომ 90-იან წლებში რუსეთში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ღრმა საზოგადოებრივი მოძრაობა: ერთი იყო სტიქიური, ხალხური მოძრაობა მუშათა კლასში, მეორე — საზოგადოებრივი აზროვნების მოძრაობა მარქსისა და ენგელსის თეორიისაკენ, სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებისაკენ.

თუ რა უზომოდ ვიწროდა აქვს გაგებული «რაბოჩაია მისლს» პოლიტიკური ბრძოლა, ეს შემდეგიდან ჩანს. როცა ფართო

პოლიტიკურ მოთხოვნებზე ლაპარაკობს, რ. მ. წერს: «ხოლო იმისთვის, რომ ასეთი პოლიტიკური ბრძოლის წარმოება მუშებმა შესძლონ სრულიად შეგნებულად და დამოუკიდებლად, საჭიროა, რომ მას აწარმოებდნენ თვითონ მუშათა ორგანიზაციები, რომ მუშების ეს პოლიტიკური მოთხოვნები ემყარებოდეს მათ მიერ შეგნებულ საერთო პოლიტიკურ საჭიროებებს და წუთიერ ინტერესებს» (ეს დაიხსომეთ!), «რომ ეს მოთხოვნები იყოს თვით მუშათა (ამქრული) ორგანიზაციების მოთხოვნები, რომ ისინი მათ მიერ იყოს შემუშავებული მართლაც ერთად და აგრეთვე ერთად იყოს წამოყენებული ამ მუშათა ორგანიზაციების მიერ მათი კერძო ინიციატივით»... და შემდეგ მოსდევს განმარტება, რომ მუშათა უახლოეს საერთო პოლიტიკურ მოთხოვნებად ჯერ კიდევ (!!) რჩება 10-საათიანი სამუშაო დღე და 2 VI 1897 წლის კანონით გაუქმებული უქმე დღეების აღდგენა. — და ამის შემდეგ «რაბოჩაია მისლის» რედაქციას კიდევ უკვირს, რომ მას პოლიტიკის უარყოფას აბრალებენ! და განა პოლიტიკის ეს დაყენა ამქრული კავშირის ბრძოლამდე ცალკეული რეფორმებისათვის პოლიტიკის უარყოფა არ არის? განა ეს უარყოფა არაა მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ანდერძისა, **რომ** სოციალ-დემოკრატები უნდა მიისწრაფოდნენ მოაწყონ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა დამოუკიდებელ **პოლიტიკურ** მუშათა პარტიებად, რომელნიც იბრძოლებენ დემოკრატიისთვის, როგორც ს ა მ უ ა ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დასაპყრობად და სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად? სოციალ-დემოკრატიზმის ჩვენებური ახალი შემრყვნელნი რაღაც უსაზღვრო ქარაფშუტობით უკუაგდებენ ყველაფერს, რაც კი ძვირფასი რამ არის სოციალ-დემოკრატებისთვის, რაც უფლებას იძლევა დავინახოთ მუშათა მოძრაობაში მსოფლიო-ისტორიული მოძრაობა. ისინი თავს არ იწუხებენ იმით, რომ ევროპული სოციალიზმისა და ევროპის დემოკრატიის საუკუნოვანი გამოცდილება გვასწავლის, რომ აუცილებლად უნდა მივისწრაფოდეთ დამოუკიდებელი მუშათა პოლიტიკური პარტიების შექმნისაკენ. ისინი

თავს არ იწუხებენ იმით, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიამ გრძელი და ძნელი გზით მიაღწია სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან, დიადი სოციალური და პოლიტიკური იდეალების შეერთებას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან. ისინი თავს არ იწუხებენ იმით, რომ მოწინავე რუსმა მუშებმა უკვე ჩაუყარეს საფუძველი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». ძირს ყოველივე ეს! გავითავისუფლოთ თავი მეტად მძიმე იდეური ბარგისაგან და მეტად მძიმე და მომთხოვნი ისტორიული გამოცდილებისაგან, — და დაე «ჯერჯერობით დარჩნენ» მხოლოდ ამქრული კავშირები (რომელთა მოწყობის შესაძლებლობა რუსეთში ჯერ კიდევ არაფრით დამტკიცებული არ არის, თუ ლეგალურ საზოგადოებებს არ ჩავთვლით), დაე ამ ამქრულმა კავშირებმა «კერძო ინიციატივით» შეიმუშაონ მოთხოვნები, «წუთიერი» მოთხოვნები, პატარა და წვრილმან რეფორმათა მოთხოვნები!! რა არის ეს? ეს ხომ რაღაც უკუსვლითი მოძრაობის ქადაგებაა! ეს ხომ რაღაც პროპაგანდაა სოციალიზმის დანგრევისა!

და დაიხსომეთ, რომ «რაბოჩაია მისლ» აქ ანვითარებს არა მხოლოდ იმ აზრს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები თვითონ უნდა ამუშავებდნენ ბრძოლის ადგილობრივ ფორმებს და აგიტაციის კერძო საბაბს, მის ხერხებს და სხვ. — ამ აზრის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა. რუს სოციალ-დემოკრატებს არასდროს არავითარი პრეტენზია არ განუცხადებიათ იმაზე, რომ ამ მხრივ შეეზღუდათ მუშათა დამოუკიდებლობა. არა, «რაბოჩაია მისლს» სურს ს რ უ ლ ი ა დ გ ა დ ა ს დ ო ს რუსეთის პროლეტარიატის დიადი პოლიტიკური ამოცანები და «ჯერჯერობით» დაკმაყოფილდეს «მხოლოდ» «წუთიერი ინტერესებით». აქამდე რუს სოციალ-დემოკრატებს სურდათ დაყრდნობოდნენ ყოველ წუთიერ მოთხოვნას, აგიტაცია გაეწიათ მის სასარგებლოდ და ამ გზით დაერაზმათ პროლეტარიატი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მის უახლოეს მიზნად იყო მიჩნეული. ახლა კი «რაბოჩაია მისლს» სურს პროლეტარიატის ბრძოლა შ ე მ ო ფ ა რ გ ლ ო ს

წვრილმანი ბრძოლით წვრილმანი მოთხოვნებისთვის. **რ. მ.**-მ ძალიან კარგად იცის, რომ ის შორდება მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აზრს და შემდეგ პასუხს აძლევს «რაბოჩაია მისლის» ბრალმდებლებს. ამბობენ, ცარიზმის დამხობა რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოესი მიზანიაო. სახელდობრ რომელი მუშათა მოძრაობის, — კითხულობს **რ. მ.**, — «*საგაფიცვო მოძრაობის? ურთიერთდამხმარე საზოგადოებების? მუშათა წრეების?*» (სტატიის მე-5 გვ.). ამაზე ჩვენ მას ვუპასუხებთ: ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ჯგუფზე, ამ ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ერთი ადგილის პროლეტარიატის დაბალ ფენებზე, მაგრამ არ გაბედოთ მოწინავე რუსი მუშების სახელით ლაპარაკი! პროლეტარიატის დაბალმა წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან, რომ თვითმპყრობელობის დასამხობად ბრძოლის წარმოება შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ პარტიას. არც **რ. მ.**-მ იცის ეს. მაგრამ მოწინავე რუსმა მუშებმა ეს იციან. პროლეტარიატის დაბალმა წარმომადგენლებმა ხშირად არ იციან, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა არ იფარგლება საგაფიცვო ბრძოლით, ურთიერთდამხმარე საზოგადოებებითა და მუშათა წრეებით, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობა დიდი ხანია მიისწრაფის რევოლუციურ პარტიად შეკავშირებისაკენ, რაც მან საქმით დაამტკიცა. არც **რ. მ.**-მ იცის ეს. მაგრამ მოწინავე რუსმა მუშებმა ეს იციან.

რ. მ. ცდილობს სოციალ-დემოკრატიზმის თავისი სრული გაუგებლობა წარმოგვიდგინოს «ჩვენი სინამდვილის» თავისებური გაგების სახით. გავეცნოთ უფრო ახლოს მის აზრებს ამ საკითხზე.

«თვითმპყრობელობის თვით ცნებაზე... — წერს **რ. მ.** — ... ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგან ვგულისხმობთ, რომ ყოველ ჩვენს თანამოსაუბრეს უაღრესად გარკვეული და ნათელი წარმოდგენა აქვს ამნაირ რამეებზე». ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ თვითონ **რ. მ.**-ს უაღრესად გაურკვეველი და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამნაირ რამეებზე, მაგრამ ჯერ აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას. ეკუთვნიან თუ არა მუ-

შები **რ. მ.**-ს მოსაუბრეთა რიცხვს? რა თქმა უნდა. და თუ ეს ასეა, საიდან უნდა ჰქონდეთ მათ უაღრესად გარკვეული წარმოდგენა თვითმპყრობელობაზე? ცხადია, ამისთვის აუცილებელია საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების იდეის უაღრესად ფართო და სისტემატური პროპაგანდა, აუცილებელია აგიტაცია, რომელიც პოლიციური ძალადობისა და მოხელეთა მხრივ ჩაგვრის ყოველ ცალკეულ გამოვლინებას დაუკავშირებს «გარკვეულ წარმოდგენას» (მუშების გონებაში) თვითმპყრობელობაზე. მგონი, ეს ნათელია. და თუ ეს ასეა, განა შეიძლება წარმატება ჰქონდეს წმინდა ადგილობრივ პროპაგანდას და აგიტაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? განა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს ასეთი პროპაგანდა და აგიტაცია მ ო ე წ ყ ო ს მთელს რუსეთში ერთიანი გეგმაშეწონილი მოღვაწეობის სახით? ე. ი. ერთი პარტიის მოღვაწეობის სახით? მაშ რატომ არ მიუთითებს **რ. მ.** რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოეს ამოცანათა შორის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სისტემატური პროპაგანდისა და აგიტაციის მოწყობის ამოცანაზე? მხოლოდ იმიტომ, რომ მას უაღრესად გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი და ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი წარმოდგენა აქვს რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანებზე.

რ. მ. შემდეგ გადადის იმის ახსნა-განმარტებაზე, რომ თვითმპყრობელობა წარმოადგენს უდიდეს «პირად ძალას» (სამხედრო ყაიდაზე გაწვრთნილი ბიუროკრატია) და უდიდეს «ეკონომიურ ძალას» (ფინანსური სახსრები). არ შევჩერდებით მისი ახსნა-განმარტების «გაურკვეველ» მხარეებზე («გაურკვეველი» კი მასში ძალიან ბევრი რამაა) და პირდაპირ გადავდივართ უმთავრესზე:

«მაშ ასე, — ეკითხება **რ. მ.** რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, — ხომ არ ურჩევენ ამ წუთში რუს მუშებს თავიანთ ახლანდელ (ჩანასახ) ორგანიზაციებს პირველ და უახლოეს ამოცანად დაუსახონ ამ პირადი ძალის დამხობა და ამ ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება? (ჩვენ არც კი ვლაპარაკობთ იმ რევოლუციონერებზე, რომლებიც ამბობენ, რომ ამ ამო-

ცანის შესრულება მოწინავე მუშების წრეებმა უნდა იკისრონ)».

ჩვენ გაკვირვებით ვიფშვნეტთ თვალებს და ორ-სამჯერ ხელახლა ვკითხულობთ ამ გასაოცარ ადგილს. ხომ არ შევმცდარვართ ჩვენ? არა, ჩვენ არ შევმცდარვართ. **რ. მ.**-ს მ ა რ თ ლ ა ც ა რ ე ს მ ი ს, თ უ რ ა ს ე წ ო დ ე ბ ა თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს დ ა მ ხ ო ბ ა. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. თუმცა განა შეიძლება დაუჯერებლად მივიჩნიოთ ეს მას შემდეგ, რაც **რ. მ.**-ს აზრთა ასეთი არევდარევა აღმოაჩნდა?

რ. მ. ერთმანეთში ურევს რევოლუციონერების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და რევოლუციონერების მიერ თვითმპყრობელობის დამხობას.

ძველი რუსი რევოლუციონერები (ნაროდოვოლცები) მიისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაეგდო რევოლუციურ პარტიას. ძალაუფლების ხელში ჩაგდებით «პარტია დაამხობდა» თვითმპყრობელობის «პირად ძალას»,— ფიქრობდნენ ისინი,—ე. ი. მოხელეების ნაცვლად დანიშნავდა თავის აგენტებს, «ხელთ იგდებდა ეკონომიურ ძალას», ე. ი. სახელმწიფოს მთელ ფინანსურ სახსრებს, და მოახდენდა სოციალურ გადატრიალებასო. ნაროდოვოლცები (ძველი) მართლაც მიისწრაფოდნენ თვითმპყრობელობის «პირადი ძალის დამხობისა და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდებისაკენ», ეს უშნო გამოთქმა რომ ვიხმაროთ, **რ. მ.**-ს მსგავსად. რუსმა სოციალ-დემოკრატებმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ რევოლუციური თეორიის წინააღმდეგ. პლეხანოვმა სასტიკად გააკრიტიკა ის თავის თხზულებებში: «სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა» (1883 წ.), «ჩვენი უთანხმოებანი» (1885 წ.) და უჩვენა რუს რევოლუციონერებს მათი ამოცანა: დაარსება რევოლუციური მუშათა პარტიისა, რომლის უახლოესი მიზანი უნდა იყოს აბსოლუტიზმის დამხობა. მაგრამ რა არის აბსოლუტიზმის დამხობა? ეს რომ **რ. მ.**-ს განვუმარტოთ, ჯერ საჭიროა ვუპასუხოთ კითხვაზე: რა არის თვითმპყრობელობა? თვითმპყრობელობა (აბსოლუტიზმი, შეუზღუდავი მონარქია)

არის მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როცა უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფლად (შეუზღუდავად) ეკუთვნის მეფეს. მეფე სცემს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს, ჭკრებს და ხარჯავს ხალხის ფულებს ისე, რომ ხალხი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობის კონტროლში. ამიტომ თვითმპყრობელობა არის მოხელეთა და პოლიციის თვითხელმწიფება და ხალხის უუფლებობა. ამ უუფლებობით იტანჯება მთელი ხალხი, მაგრამ შეძლებული კლასები (განსაკუთრებით მდიდარი მემამულეები და კაპიტალისტები) ძლიერ გავლენას ახდენენ მოხელეებზე. მუშათა კლასი კი ორმაგად იტანჯება: მთელი რუსი ხალხის უუფლებობის გამოც და კაპიტალისტების მიერ მუშების ჩაგვრის გამოც, იმ კაპიტალისტების, რომელნიც აიძულებენ მთავრობას ემსახუროს მათს ინტერესებს.

აბსოლუტიზმის დამხობა რაღას ნიშნავს? ეს ნიშნავს მეფის მიერ "შეუზღუდავ ძალაუფლებაზე უარის თქმას; ხალხისთვის უფლების მინიჭებას — აირჩიოს ხოლმე თავისი წარმომადგენლები კანონების გამოსაცემად, მოხელეთა მოქმედებისათვის ზედამხედველობის გასაწევად, სახელმწიფო სახსრების შეგროვებისა და ხარჯვისათვის თვალყურის სადევნებლად. მართვა-გამგეობის ასეთ ფორმას, როცა ხალხი მონაწილეობას იღებს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში, ეწოდება მართვა-გამგეობის კონსტიტუციური ფორმა (კონსტიტუცია=კანონი სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და კანონმდებლობაში ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ). ამნაირად, თვითმპყრობელობის დამხობა ნიშნავს მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის შეცვლას მართვა-გამგეობის კონსტიტუციური ფორმით. ამრიგად, თვითმპყრობელობის დასამხობად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს «პირადი ძალის დამხობა და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება», საჭიროა მხოლოდ ვაიძულოთ მეფის მთავრობა უარი თქვას თავის შეუზღუდავ ხელისუფლებაზე და მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელთა საერო კრება კონსტიტუციის შესა-

მუშავებლად («მოპოვება დემოკრატიული» [ხალხური, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ შედგენილი] „კონსტიტუციისა», როგორც ნათქვამია რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტში, რომელიც გამოცემულია 1885 წელს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ).

რატომ უნდა იყოს თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთის მუშათა კლასის პირველი ამოცანა? იმიტომ, რომ თვითმპყრობელობის დროს მუშათა კლასს არ შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი ბრძოლა, არ შეუძლია არავითარი მკვიდრი პოზიციების დაპყრობა არც ეკონომიურ, არც პოლიტიკურ სფეროში, არ შეუძლია მკვიდრი, მასობრივი ორგანიზაციები შეჰქმნას, მთელი მშრომელი მასების წინაშე სოციალური რევოლუციის დროშა გაშალოს და ამ დროშისთვის ბრძოლა ასწავლოს მათ. მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი მთელი მუშათა კლასის გადამჭრელი ბრძოლა ბურჟუაზიის კლასის წინააღმდეგ, და ამ ბრძოლის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატმა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება და მოაწყოს სოციალისტური საზოგადოება. პოლიტიკური ძალაუფლების აი ეს დაპყრობა ორგანიზებული პროლეტარიატის მიერ, რომელსაც ბრძოლის ხანგრძლივი სკოლა გაუვლია, იქნება სწორედ ბურჟუაზიული მთავრობის «პირადი ძალის დამხობა და ეკონომიური ძალის ხელში ჩაგდება», მაგრამ ძალაუფლების ეს დაპყრობა რუს სოციალ-დემოკრატებს არასოდეს არ დაუსახავთ რუსი მუშების უახლოეს ამოცანად. რუსი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის ამბობდნენ, რომ მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების პირობებში, ფართო და მასობრივი ბრძოლით რუსეთის მუშათა კლასი შესძლებს ორგანიზაციის შექმნას სოციალიზმის ამ საბოლოო გამარჯვებისთვის.

მაგრამ რა გზით შეუძლია რუსეთის მუშათა კლასს დაამხოს თვითმპყრობელობა? აი ხომ დასცინიან «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები «შრომის განთავისუფლების» ჯგუფსაც კი, რომელმაც დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატია და აღნიშნა თავის პროგრამაში, რომ «თვითმპყრობელობის წინააღმდეგ

ბრძოლა სავალდებულოა იმ მუშათა წრეებისთვისაც კი, რომლებიც ახლა წარმოადგენენ რუსეთის მომავალი მუშათა პარტიის ჩანასახს». «რაბოჩაია მისლს» (იხ. № 7 და აღნიშნული სტატია) ეს სასაცილოდ მიაჩნია: თვითმპყრობელობის დამხობა — მუშათა წრეების მიერ! ამაზე ჩვენ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს ვუპასუხებთ: ვის დასცინით? თქვენს თავს დასცინით! «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ჩივიან, რუსი სოციალ-დემოკრატები არაამხანაგურად გვეკამათებიანო. დაე მკითხველებმა თვითონ განსაჯონ—ვინ აწარმოებს არაამხანაგურ პოლემიკას: ძველი რუსი სოციალ-დემოკრატები, რომელთაც გარკვევით გამოსთქვეს თავიანთი შეხედულებანი და პირდაპირ ამბობენ, როგორია «ახალგაზრდათა» შეხედულებანი და რატომ მიაჩნიათ მათ ისინი შემცდარად; — თუ «ახალგაზრდები», რომელნიც თუმცა არ ასახელებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, მალულად მასხრად იგდებენ ხან «ჩერნიშევსკის შესახებ გერმანულად დაწერილი წიგნის ავტორს» (პლეხანოვს, მასთან ყოვლად უსაფუძვლოდ ურევენ მას ზოგიერთ ლეგალურ მწერალში), ხან «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს, დამახინჯებულად მოჰყავთ რა ნაწყვეტები მისი პროგრამიდან და არ უპირდაპირებენ მას თავიანთ რაოდენადმე მაინც გარკვეულ პროგრამას. დიახ! ჩვენ გვესმის ამხანაგური მოვალეობა, მოვალეობა ყველა ამხანაგისთვის მხარდაჭერისა, მოვალეობა ამხანაგთა აზრის ატანისა, მაგრამ ჩვენთვის ამხანაგური მოვალეობა გამომდინარეობს მოვალეობიდან რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინაშე და არა პირიქით. ჩვენ აღვიარებთ ჩვენს ამხანაგურ მოვალეობას «რაბოჩაია მისლის» წინაშე არა იმიტომ, რომ მისი რედაქტორები ჩვენი ამხანაგები არიან, არამედ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ჩვენ ამხანაგებად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი მუშაობენ რუსეთის (და, მაშასადამე, აგრეთვე საერთაშორისო) სოციალ-დემოკრატიის

რიგებში. და ამიტომ, თუ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ «ამხანაგები» უკან იხევენ სოციალ-დემოკრატიული პროგრამიდან, რომ «ამხანაგები» ჰკვეცავენ და ამახინჯებენ მუშათა მოძრაობის ამოცანებს, მაშინ ჩვენს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა დ მიგვაჩნია სრულიად გარკვეულად და სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად გამოვთქვათ ჩვენი რწმენა!

ჩვენ ახლა ვთქვით, რომ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ამახინჯებენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის შეხედულებებს. დაე მკითხველმა თვითონ განსაჯოს. «ჩვენ მზადა ვართ არ გავიგოთ ის ჩვენი ამხანაგები, — წერს **რ. მ.**, — რომლებიც «შრომის განთავისუფლების» თავიანთ პროგრამას სთვლიან უბრალო პასუხად კითხვაზე: «საიდან მოვიკრიბოთ ძალები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად?» (მეორე ალაგას: «ჩვენი რევოლუციონერები მუშათა მოძრაობას უყურებენ, როგორც თვითმპყრობელობის დამხობის საუკეთესო საშუალებას»). გადაშალეთ რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტი, გამოცემული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ 1885 წელს და გადმობეჭდილი პ. ბ. აქსელროდის მიერ თავის ბროშურაში—«რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის» (ჟენევა, 1898 წ.), — და თქვენ დაინახავთ, რომ პროგრამას ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ უდევს შრომის სრული განთავისუფლება კაპიტალის ჩაგვრისაგან, წარმოების ყველა საშუალების გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებაში, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, რევოლუციური მ უ შ ა თ ა პარტიის შექმნა. რომ **რ. მ.** ამახინჯებს ამ პროგრამას, რომ მას ა რ ს უ რ ს გაიგოს ის, — ეს ცხადია. იგი ებღაუჭება პ. ბ. აქსელროდის სიტყვებს ბროშურის დასაწყისში, სადაც მან სთქვა, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა «იყო პასუხი» კითხვაზე: სად ვიპოვოთ ძალები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად? მაგრამ ეს ხომ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ა ქ ტ ი ა, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა იყო პასუხი რუსი რევოლუციონერების ამ კითხვაზეც და მთელი რუსეთის

რევოლუციური მოძრაობის ამ კითხვაზეც. და თუ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამამ მოგვცა პასუხი ამ კითხვაზე, ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობა «შრომის განთავისუფლების» ამ ჯგუფისთვის მხოლოდ საშუალება იყო? **რ. მ.**-ს ეს «**გ ა უ გ ე ბ ლ ო ბ ა**» ხომ მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ის არ იცნობს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მოღვაწეობის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

შემდეგ. როგორ შეიძლება ეს, რომ «თვითმპყრობელობის დამხობა» მუშათა წრეების ამოცანა იყოს. **რ. მ.**-ს ეს არ ესმის. გადაშალეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამა: «მუშათა წრეების პოლიტიკური ბრძოლის მთავარ საშუალებად აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, — ნათქვამია იქ, — რუს სოციალ-დემოკრატებს მიაჩნიათ აგიტაცია მუშათა კლასს შორის და მასში სოციალისტური იდეებისა და რევოლუციური ორგანიზაციების შემდგომი გავრცელება. ეს ორგანიზაციები, ერთ მწყობრ მთლიანობად მჭიდროდ შეკავშირებულნი, არ დაკმაყოფილდებიან მთავრობასთან კერძო ხასიათის შეტაკებებით და ხელსაყრელ მომენტში არ დააყოვნებენ გადავიდნენ მის წინააღმდეგ საერთო, გადამწყვეტ თავდასხმაზე». სწორედ ამ ტაქტიკას მისდევდნენ რუსეთის ორგანიზაციები, რომელთაც 1898 წლის გაზაფხულზე დააარსეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია». და მათ დაამტკიცეს, რომ ასეთი ორგანიზაციები რუსეთში დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. თუ ეს ორგანიზაციები შექმნიან ერთ პარტიას და ფართო აგიტაციას გააჩაღებენ შეუზღუდავი მთავრობის წინააღმდეგ და ამასთან ლიბერალური ოპოზიციის ყველა ელემენტს გამოიყენებენ, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობის ამოცანა უსათუოდ მისაღწევი იქნება ასეთი პარტიისთვის. თუ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები «მზად არიან არ გაიგონ» ეს, ჩვენ «მზადა ვართ» ვურჩიოთ მათ: ისწავლეთ, ბატონებო, ვინაიდან თავისთავად ეს საგნები სრულიად არაა ძნელი გასაგები.

მაგრამ დავუბრუნდეთ **რ. მ.**-ს, რომელიც ჩვენ მივატოვეთ, როცა ის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

მსჯელობდა. **რ. მ.**-ს საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე კიდევ უფრო ნათლად ასურათებს „რაბოჩაია მისლის» ახალ, უკუსვლითს, მიმართულებას.

«თვითმპყრობელობის აღსასრული ცხადია»,—წერს **რ. მ.** — «... თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სასიცოცხლო საზოგადოებრივი ელემენტისთვის მათი ჯანსაღი განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს». აქედან გამომდინარეობსო, ალბათ, იფიქრებს მკითხველი, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია მუშათა კლასისთვისაც? არა, მოითმინეთ. **რ. მ.**-ს თავისი ლოგიკა და თავისი ტერმინოლოგია აქვს. სიტყვა ბრძოლა, სიტყვა «საზოგადოებრივი»-ს (ბრძოლა) მიმატებით, მას ესმის როგორც სრულიად განსაკუთრებული რამ. ასწერა რა ის ლ ე გ ა ლ უ რ ი ო პ ო ზ ი ც ი ა, რომელსაც მთავრობას უწევს რუსი მოსახლეობის მრავალი ფენა, **რ. მ.** დაასკვნის: «საერობო და საქალაქო საზოგადოებრივი თვითმმართველობისთვის ბრძოლაც, საზოგადოებრივი სკოლისთვის ბრძოლაც, დამშეული მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენისათვის ბრძოლაც და სხვ. ხომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაა». «საზოგადოებრივი ბრძოლის აუცილებლობა მოხელეთა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ცხადია მოსახლეობის ყველა შეგნებული პროგრესული ფენისა და ჯგუფისთვის. კიდევ მეტი. ეს საზოგადოებრივი ბრძოლა, რომელიც რაღაც უცნაური გაუგებრობის გამო არ იქცევს ბევრი რუსი რევოლუციური მწერლის კეთილგანწყობილ ყურადღებას, როგორც დავინახეთ, უკვე წარმოებს კარგა ხანია რუსი საზოგადოების მიერ». «ნამდვილი საკითხი ისაა, თუ როგორ აწარმოონ ამ ცალკე საზოგადოებრივმა ფენებმა... ეს» (ეს დაიხსომეთ!) «ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რაც შეიძლება წარმატებით... ჩვენთვის კი მთავარი საკითხია: — როგორ უნდა აწარმოონ ეს საზოგადოებრივი (!) ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩვენმა მუშებმა»...

რ. მ.-ს ამ მსჯელობაში კვლავ თავმოყრილია უამრავი არევ-დარევა და შეცდომა.

ჯერ-ერთი, **რ. მ.** ერთმანეთში ურევს ლ ე გ ა ლ უ რ ო პ ო ზ ი ც ი ა ს და ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად. სოციალისტისათვის მიუტევებელი ეს არევდარევა მას იმიტომ მოსდის, **რომ** ის განუმარტავად ხმარობს გამოთქმას «ბრძოლა თვითმპყრობელობასთან»: ეს გამოთქმა შეიძლება ნიშნავდეს (შენიშვნით) თვითმპყრობელობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბრძოლასაც, მაგრამ შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს თვითმპყრობელობის ცალკეულ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლასაც იმავე თვითმპყრობელური წყობილების ნიადაგზე.

მეორე, როცა **რ. მ.** ლეგალურ ოპოზიციას სთვლის საზოგადოებრივ ბრძოლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამბობს — ჩვენი მუშები უნდა აწარმოებდნენ «ამ საზოგადოებრივ ბრძოლასო», აქ ის იბნევა და მოითხოვს, რომ ჩვენმა მუშებმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აწარმოონ არა რევოლუციური ბრძოლა, არამედ ლეგალური ოპოზიცია გაუწიონ თვითმპყრობელობას, ე. ი. იბნევა ისე, რომ საძაგლად აუხამსებს სოციალ-დემოკრატიას და ურევს მას სულ ჩვეულებრივსა და უბადრუკ რუსულ ლიბერალიზმში.

მესამე, **რ. მ.** ლაპარაკობს პ ი რ დ ა პ ი რ ტ ყ უ ი ლ ს რუს სოციალ-დემოკრატ მწერლებზე — (**რ. მ.**, მართალია, ამჯობინებს «ამხანაგურად» გამოთქვას საყვედური უმისამართოდ. მაგრამ თუ მას მხედველობაში ჰყავს არა სოციალ-დემოკრატები, მაშინ მის სიტყვებს არავითარი აზრი არა აქვთ),— თითქოს ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ ლეგალურ ოპოზიციას. პირიქით, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმაც, პ. ბ. აქსელროდმაც კერძოდ, «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტმაც», ბროშურამაც «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» (რომელიც გამოცემულია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» მიერ და რომელსაც აქსელროდი «მანიფესტის» კ ო მ ე ნ ტ ა რ ს უწოდებს)—ყველა ამათ არამც თუ ყურადღება მიაქციეს ლეგალურ ოპოზიციას, არამედ სრული სიზუსტით გამოარკვიეს კიდეც მისი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატიისადმი.

განვმარტოთ ყოველივე ეს. რანაირ «ბრძოლას» აწარმოებენ «თვითმპყრობელობის წინააღმდეგ» ჩვენი ერობები, ლიბერალური საზოგადოებები საერთოდ, ლიბერალური პრესა? აწარმოებენ თუ არა ისინი ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად? ა რ ა, ა მ ნ ა ი რ ი ბ რ ძ ო ლ ა მ ა თ ა რ ა ს დ რ ო ს ა რ უ წ ა რ მ ო ე ბ ი ა თ დ ა ა რ ც ა წ ა რ მ ო ე ბ ე ნ. ამნაირ ბრძოლას აწარმოებენ მხოლოდ რევოლუციონერები, რომელნიც ხშირად გამოდიან ლიბერალური საზოგადოების წრიდან და ეყრდნობიან საზოგადოების თანაგრძნობას. მაგრამ რევოლუციური ბრძოლის წარმოება სრულიადაც არ არის იგივე, რომ თანაუგრძნობდე რევოლუციონერებს და დახმარებას უწევდე მათ; თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა და თვითმპყრობელობისადმი ლეგალური ოპოზიცია სრულიადაც ერთი და იგივე არ არის. რუსი ლიბერალები თავიანთ უკმაყოფილებას თვითმპყრობელობით გამოხატავენ მხოლოდ ისეთი ფორმით, რომლის ნ ე ბ ა ს ა ც ი ძ ლ ე ვ ა თვითონ თვითმპყრობელობა, ე. ი. იმ ფორმით, რომელიც თვითმპყრობელობას საშიშრად არ მიაჩნია თვითმპყრობელობისთვის. ლიბერალური ოპოზიციის უდიდესი გამოვლინება იყო მხოლოდ ლიბერალების შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა ნ ი მეფის მთავრობის წინაშე — მართვა-გამგეობაში ხალხის ჩაბმის შესახებ. და ლიბერალები ყოველთვის მოთმინებით იტანდნენ პოლიციის იმ უხეშ უარს, რომელსაც ისინი ღებულობდნენ ასეთ შუამდგომლობათა პასუხად, იტანდნენ იმ უკანონო და ველურ დევნას, რომლითაც ჟანდარმული მთავრობა ყველას უმასპინძლდებოდა თავიანთი აზრის გამოთქმის კანონიერი ცდისთვისაც კი. ლიბერალური ოპოზიციის ასე უბრალოდ გადაქცევა საზოგადოებრივ ბრძოლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნიშნავს საქმის პირდაპირ დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა ს, იმიტომ რომ რუს ლიბერალებს ა რ ა ს ო დ ე ს არ შეუდგენიათ რევოლუციური პარტია თვითმპყრობელობის დამხობისათვის საბრძოლველად, თუმცა მათ ყოველთვის შეეძლოთ და შეუძლიათ იშოვონ ამისთვის მატერიალური საშუალებანიც და

რუსეთის ლიბერალიზმის საზღვარგარეთელი წარმომადგენლებიც. **რ. მ.** კი არა მარტო ამახინჯებს საქმეს, არამედ ამ საქმეში რევს რუსეთის დიდი სოციალისტის, ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელს. «მუშების მოკავშირეებად ამ ბრძოლაში,—წერს **რ. მ.**,— გამოდიან რუსი საზოგადოების ყველა მოწინავე ფენები, რომლებიც იცავენ თავიანთ საზოგადოებრივ ინტერესებს და დაწესებულებებს, ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი საერთო სარგებლობა, «არასდროს არ ივიწყებენ» (**რ. მ.**-ს ციტატი მოჰყავს ჩერნიშევსკის ნაწერებიდან), თუ რამდენად დიდია «განსხვავება იმაში, — მთავრობის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებით თუ საზოგადოების ფორმალური მოთხოვნით ხდება ესა თუ ის ცვლილება». თუ ასეთი შეფასება ეხება «საზოგადოებრივი ბრძოლის» ყველა წარმომადგენელს, როგორც ეს **რ. მ.**-ს ესმის, ე. ი. ყველა რუს ლიბერალს, ეს პირდაპირ სიყალბეა. ფორმალური მოთხოვნები მთავრობისთვის რუს ლიბერალებს არასოდეს არ წარუდგენიათ, და სწორედ ამიტომაც რუს ლიბერალებს არასდროს არ უთამაშნიათ და მათ არასგზით არ შეუძლიათ ახლაც ითამაშონ დამოუკიდებელი რევოლუციური როლი. მუშათა კლასისა და სოციალ-დემოკრატიის მოკავშირეებად არ შეიძლება იყვნენ «საზოგადოების ყველა მოწინავე ფენები», არამედ მხოლოდ რევოლუციური პარტიები, რომლებსაც ამ საზოგადოების წევრები აარსებენ. ლიბერალებს კი საერთოდ შეუძლიათ და უნდა იყვნენ მხოლოდ დამატებითი ძალებისა და საშუალებათა ერთ-ერთი წყარო რევოლუციური მუშათა პარტიისთვის (როგორც ეს სრულიად გარკვეულად სთქვა პ. ბ. აქსელროდმა ზემოთ დასახელებულ ბროშურაში). ნ. გ. ჩერნიშევსკი სწორედ იმიტომ დასცინოდა ასე დაუნდობლად «რუსი საზოგადოების მოწინავე ფენებს», რომ მათ არ ესმოდათ მთავრობისადმი ფორმალური მოთხოვნების წაყენების აუცილებლობა და გულგრილად უყურებდნენ, თუ როგორ იღუპებოდნენ მათი წრიდან გამოსული რევოლუციონერები თვითმპყრობელი მთავრობის რეპრესიების გამო. **რ. მ.**-ს ამ შემთხვევაში ისევე უაზროდ მოჰყავს ციტატები ჩერნიშევ-

სკის თხზულებებიდან, როგორც უაზროა «ცალკე დამატების» მეორე სტატიაში მოყვანილი აქა-იქ ამოგლეჯილი ნაწყვეტები ჩერნიშევსკის ნაწერებიდან, რომლებითაც ცდილობენ დაგვანახონ, თითქოს ჩერნიშევსკი არ ყოფილა უტოპისტი და თითქოს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ დააფასეს «დიდი რუსი სოციალისტის» მთელი მნიშვნელობა. პლეხანოვმა თავის წიგნში ჩერნიშევსკის შესახებ (სტატიები კრებულში «სოციალ-დემოკრატი» [1], რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა გერმანულად) სავსებით დააფასა ჩერნიშევსკის მნიშვნელობა და გამოარკვია მისი დამოკიდებულება მარქსისა და ენგელსის თეორიისადმი. «რაბოჩაია მისლის» რედაქციამ კი გამოააშკარავა მხოლოდ ის, რომ მას არ შეუძლია მოგვცეს რამდენადმე მაინც მთლიანი და ყოველმხრივი დაფასება ჩერნიშევსკისა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეებისა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის «ნამდვილი საკითხი» მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, თუ როგორ აწარმოონ ლიბერალებმა «საზოგადოებრივი ბრძოლა» (რომელშიც **რ. მ.**, როგორც დავინახეთ, გულისხმობს ლეგალურ ოპოზიციას), არამედ იმაში, თუ როგორ მოვაწყოთ რევოლუციური, აბსოლუტიზმის დასამხობად მებრძოლი მუშათა პარტია, რომელსაც შეეძლებოდა რუსეთის ყველა ოპოზიციურ ელემენტზე დაყრდნობა და შეეძლებოდა ოპოზიციის ყველა გამოვლინების გამოყენება თავისი რევოლუციური ბრძოლისთვის. ამისთვის აუცილებელია სწორედ რევოლუციური მუშათა პარტია, იმიტომ რომ რუსეთში მხოლოდ მუშათა კლასი შეიძლება იყოს გაბედული და თანამიმდევარი მებრძოლი დემოკრატიისთვის, იმიტომ რომ ამგვარი პარტიის ენერგიული ზემოქმედების გარეშე ლიბერალური ელემენტები «შეიძლება დარჩნენ დუნე, უმოქმედო, მთვლემარე ძალის მდგომარეობაში» (პ. ბ. აქსელროდი, ზემოხსენებული ბროშურა, გვ. 23). როცა **რ. მ.** ლაპარაკობს, რომ ჩვენი «ყველაზე უფრო მოწინავე ფენები» აწარმოებენ «ნამდვილ (!!) საზოგადოებრივ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან» (**რ. მ.**-ს სტატიის მე-12 გვ.), რომ «ჩვენთვის მთავარი საკითხია, რო-

გორ უნდა აწარმოონ ეს საზოგადოებრივი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან ჩვენმა მუშებმა», — როცა ასეთ რამეებს ლაპარაკობს, **რ. მ.**, არსებითად, სრულიად შორდება სოციალ-დემოკრატიას. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სერიოზულად ვურჩიოთ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს კარგად ჩაუფიქრდნენ, საითკენ ფიქრობენ ისინი წასვლას და სად არის მათი ნამდვილი ადგილი: რევოლუციონერთა შორის, რომელთაც მშრომელ კლასებში შეაქვთ სოციალური რევოლუციის დროშა და სურთ დარაზმონ ისინი პოლიტიკურ რევოლუციურ პარტიად, თუ ლიბერალებს შორის, რომელნიც აწარმოებენ თავიანთ «საზოგადოებრივ ბრძოლას» (ე. ი. ლეგალურ ოპოზიციას). მუშათა «საზოგადოებრივი თვითმოქმედების» თეორიაში, თეორიაში «საზოგადოებრივი ურთიერთდახმარებისა» და ამქრული კავშირებისა, რომელნიც «ჯერ-ჯერობით» კმაყოფილდებიან 10-საათიანი სამუშაო დღით, ერობების, ლიბერალური საზოგადოებების და სხვათა მხრივ თვითმპყრობელობასთან «საზოგადოებრივი ბრძოლის» თეორიაში ხომ სრულიად არაფერი სოციალისტური არ არის, არ არის არაფერი ისეთი, რასაც არ აღიარებდნენ ლიბერალები! არსებითად ხომ «რაბოჩაია მისლის» მთელი პროგრამა (რამდენადაც შეიძლება აქ პროგრამაზე ლაპარაკი) იხრება იქითკენ, რომ რუსი მუშები დასტოვოს მათს განუვითარებლობასა და დაქსაქსულობაში და ისინი ლიბერალების მაჩანჩალად გადააქციოს!

განსაკუთრებით უცნაურია **რ. მ.**-ს ზოგიერთი ფრაზა. «მთელი უბედურება მხოლოდ იმაშია, — ამბობს **რ. მ.**, — რომ პოლიტიკური პოლიციის მიერ უმოწყალოდ დევნილი ჩვენი რევოლუციური ინტელიგენცია ამ პოლიტიკურ პოლიციასთან ბრძოლას სთვლის პოლიტიკურ ბრძოლად თვითმპყრობელობასთან». რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ამ განცხადებას? პოლიტიკურ პოლიციას იმიტომაც ეწოდება პოლიტიკური, **რომ** ის სდევნის თვითმპყრობელობის მტრებს და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ. ამიტომაც «**რაბოჩაია** მისლ», ვიდრე ის ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ლიბერალებად,

ებრძვის პოლიტიკურ პოლიციას, — როგორც ებრძვიან მას ყველა რუსი რევოლუციონერიც და სოციალისტიც და ყველა შეგნებული მუშაც. იმ ფაქტიდან, რომ პოლიტიკური პოლიცია უმოწყალოდ სდევნის სოციალისტებს და მუშებს, რომ თვითმპყრობელობას მოეპოვება «მწყობრი ორგანიზაცია», «მოხერხებული და მარჯვე სახელმწიფო მოღვაწეები» (**რ. მ.**-ს სტატიის მე-7 გვ.), ამ ფაქტიდან შეიძლება მხოლოდ ორი დასკვნის გამოტანა: მშიშარა და უმწეო ლიბერალი აქედან დაასკვნის, რომ ჩვენი ხალხი საერთოდ და მუშები კერძოდ ჯერ კიდევ ნაკლებად არიან მომზადებული ბრძოლისთვის და მთელი იმედი უნდა დავამყაროთ ერობათა, ლიბერალური პრესის და სხვათა «ბრძოლაზე», ვინაიდან ეს არის «ნამდვილი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან», და არა მარტო ბრძოლა პოლიტიკურ პოლიციასთან. სოციალისტი და ყოველი შეგნებული მუშა აქედან დაასკვნის, რომ მუშათა პარტიაც მთელი ძალღონით უნდა ესწრაფოდეს «მწყობრი ორგანიზაციის» შექმნას, მოწინავე მუშებისა და სოციალისტებისაგან «მოხერხებული და მარჯვე რევოლუციური მოღვაწეების» გამომუშავებას, რომელნიც მუშათა პარტიას დააყენებდნენ დემოკრატიისთვის მოწინავე მებრძოლის სიმაღლეზე და შესძლებდნენ მასში ყველა ოპოზიციური ელემენტის მიზიდვას.

«რაბოჩაია მისლის» რედაქტორები ვერ ამჩნევენ, რომ ისინი დადგნენ დაქანებულ ნიადაგზე, რომლითაც პირველი დასკვნისაკენ მიექანებიან!

ან კიდევ: «ამ პროგრამებში» — ე. ი. სოციალ-დემოკრატების პროგრამებში, — «ჩვენ გვაოცებს», — წერს **რ. მ.**, — «აგრეთვე (ჩვენში არ არსებულ) პარლამენტში მუშათა მოღვაწეობის უპირატესობის მუდამ პირველ რიგში წამოყენება მათ მიერ, ამავე დროს»... მეფაბრიკეების საკანონმდებლო კრებებში, საფაბრიკო საქმეთა საკრებულოებში, ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობაში «მუშების მონაწილეობის ძნიშნელობის სრული უგულებელყოფა» (გვ. 15). თუ პირველ რიგში არ წამოვაყენებთ პარლამენტის უპირატესობებს, საიდან გაიგებენ რაიმეს მუშები პოლიტიკური უფლებებისა

და პოლიტიკური თავისუფლების შესახებ? თუ გავჩუმდებით ამ საკითხებზე, — როგორც გაზეთი «რაბოჩაია მისლ» სდუმს, — განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშათა დაბალ ფენებში ხელს ვუწყობთ პოლიტიკურ უვიცობას? რაც შეეხება მუშების მონაწილეობას ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობაში, არც ერთ სოციალ-დემოკრატს არსად და არასოდეს არ უარუყვია მუშა-სოციალისტების მოღვაწეობის სარგებლობა და მნიშვნელობა ქალაქის თვითმმართველობაში, მაგრამ სასაცილოა ამაზე ლაპარაკი რუსეთში, სადაც შეუძლებელია რაიმე სახით სოციალიზმის აშკარა გამოვლინება, სადაც მუშების გატაცება ქალაქის თვითმმართველობით (კიდეც რომ ყოფილიყო ეს შესაძლებელი) ნამდვილად იქნებოდა მოწინავე მუშების ჩამოშორება მუშათა სოციალისტური საქმისაგან და მათი დაახლოება ლიბერალიზმთან.

«მუშათა მოწინავე ფენების დამოკიდებულება, — ამბობს **რ. მ.**, — ასეთი (თვითმპყრობელური) მთავრობისადმი... ისევე გასაგებია, როგორც მუშების დამოკიდებულება მეფაბრიკეებისადმი». მაშასადამე, — დაასკვნის აქედან საღი გონების ადამიანი, — მუშათა მოწინავე ფენები არანაკლებ შეგნებული სოციალ-დემოკრატები არიან, ვიდრე ინტელიგენტი სოციალისტები, და ამიტომ «რაბოჩაია მისლის» მისწრაფება — გაჰყოს ისინი, უაზრო და საზიანოა. მაშასადამე, რუსეთის მუშათა კლასმა უკვე შეჰქმნა და დამოუკიდებლად გამოჰყო ელემენტები დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშათა პარტიის შესაქმნელად. მაგრამ «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები მუშათა მოწინავე ფენების პოლიტიკური შეგნებულობის ფაქტიდან იმ დასკვნას აკეთებენ, ... რომ საჭიროა ამ მოწინავეთა უკან დაწევა, რათა ერთ ალაგას გაიყინონ! «როგორი ბრძოლის წარმოებაა სასურველი მუშების მხრივ?» — კითხულობს **რ. მ.** და უპასუხებს: სასურველია ის ბრძოლა, რომელიც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია ის, რომელსაც მუშები «ამ წამში აწარმოებენ»!!! ძნელია უფრო მკვეთრი ფორმით იმ უაზრო და უპრინციპო ოპორტუნიზმის გამოხატვა, რომლითაც დაავადებული არიან «რაბოჩაია მისლის» რედაქტორები, გა-

ტაცებულნი მოდაში შემოსული «ბერნშტეინიადით»! სასურველია ის, რაც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია ის, რაც ამ წამში არისო! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კაცს, რომელიც მოემზადა შორეულ და საძნელო გზაზე სამგზავროდ, სადაც მას უამრავი დაბრკოლება და უამრავი მტერი მოელის, რომ ამ კაცს კითხვაზე: საით წავიდე? უპასუხონ: სასურველია იქით წახვიდე, საითაც შესაძლებელია, ხოლო წასვლა შესაძლებელია იქით, საითაც ამ წამში მიდიხარო! აი ეს არის სწორედ ნიჰილიზმი, მაგრამ არა რევოლუციური, არამედ ოპორტუნისტული ნიჰილიზმი, რომელსაც იჩენენ ან ანარქისტები, ან ბურჟუაზიული ლიბერალები! «მოუწოდებს» რა რუს მუშებს «კერძო» და «პოლიტიკური» ბრძოლისაკენ (ამასთან პოლიტიკურ ბრძოლად იგულისხმება არა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ მხოლოდ «ბრძოლა ყველა მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის»), **რ. მ.** პირდაპირ მოუწოდებს რუსეთის მუშათა მოძრაობას და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას გადადგას ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ, მოუწოდებს, არსებითად, მუშებს, რომ გამოეყონ სოციალ-დემოკრატებს და ამრიგად სრულიად უკუაგდონ ევროპისა და რუსეთის გამოცდილების ყველა მონაპოვარი! მუშებს სრულიად არ ესაჭიროებათ სოციალისტები იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აწარმოებენ. ყველა ქვეყანაში მოიძებნებიან ისეთი მუშები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და არაფერი გაეგებათ სოციალიზმისა, ანდა მტრულადაც კი ეკიდებიან მას.

«დასასრულ, — წერს **რ. მ.**, — ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ჩვენ მუშათა სოციალიზმი». ზემოთქმულის შემდეგ მკითხველისთვის ძნელი არ არის წარმოიდგინოს, თუ როგორია ეს «გაგება». ეს პირდაპირ ბერნშტეინის «მოდად» შემოსული წიგნის ასლია. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ჩვენი «ახალგაზრდა» სოციალ-დემოკრატები აყენებენ «მუშების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თვითმოქმედებას». თუ ჩვენ გავიხსენებთ, რო-

გორ ესმის **რ. მ.**-ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი «ბრძოლა» და «პოლიტიკა», ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ეს არის პირდაპირი დაბრუნება ზოგიერთი ლეგალური რუსი მწერლის «ფორმულისკენ». ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად აღნიშნოს სოციალიზმის მიზანი (და დედაარსი): მიწის, ფაბრიკების და სხვათა, საერთოდ წარმოების ყველა საშუალების გადასვლა მთელი საზოგადოების საკუთრებაში და კაპიტალისტური წარმოების შეცვლა საერთო გეგმით მოწყობილი წარმოებით საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების სასარგებლოდ, ამის ნაცვლად **რ. მ.** ჯერ მიუთითებს ამქრული და სამომხმარებლო კავშირების განვითარებაზე და მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობს, რომ სოციალიზმს წარმოების ყველა საშუალების სრულ განსაზოგადოებამდე მივყევართო. სამაგიეროდ ფრიად მსხვილი ასოებით იბეჭდება, რომ «სოციალიზმი არის თანამედროვე საზოგადოებრიობის მხოლოდ შემდგომი უმაღლესი განვითარებაო» — ბერნშტეინიდან ნასესხები ფრაზა, რომელიც არამც თუ არ არკვევს, არამედ აბუნდოვანებს სოციალიზმის მნიშვნელობასა და არსს. ყველა ლიბერალი და ყველა ბურჟუა უსათუოდ მომხრენი არიან «თანამედროვე საზოგადოებრიობის განვითარებისა», ასე რომ **რ. მ.**-ს განცხადება მათ ყველას გაუხარდებათ. მაგრამ ბურჟუები, მიუხედავად ამისა, სოციალიზმის მ ტ რ ე ბ ი ა რ ი ა ნ. საქმე ისაა, რომ «თანამედროვე საზოგადოებრიობაში» ძალიან ბევრი სხვადასხვა მხარეა, და ვინც ამ საერთო გამოთქმას ხმარობს, მხედველობაში აქვს ერთს — ერთი, მეორეს — მეორე მხარე. მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ მუშებს განუმარტოს კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის ცნება, **რ. მ.**-ს მოჰყავს მხოლოდ ბუნდოვანი და თავგზის ამბნევი ფრაზები. და, ბოლოს, იმის მაგივრად, რომ აღნიშნოს ის საშუალება, რომელიც თანამედროვე სოციალიზმმა წამოაყენა სოციალიზმის განსახორციელებლად — პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა ორგანიზებული პროლეტარიატის მიერ — ამის მაგივრად **რ. მ.** ლაპარაკობს მხოლოდ წარმოების გადასვლაზე მათს (მუშების) საზოგადოებრივ გამგებლობაში ან დემოკრატიზებული საზოგადოებრივი ხელის-

უფლების გამგებლობაში, დემოკრატიზებული «მათი (მუშების) აქტიური მონაწილეობით ყოველგვარი საფაბრიკო-საქარხნო საქმეების გამრჩევ საკრებულოებში, სამედიატორო სასამართლოებში, ყოველგვარ კრებებში, კომისიებსა და თათბირებში, სადაც მუშავდება მუშათა კანონები, მუშების მონაწილეობით საზოგადოებრივ თვითმმართველობაში, და, ბოლოს, ქვეყნის საერთო წარმომადგენლობითს დაწესებულებაში». ამრიგად, «რაბოჩაია მისლის» რედაქტორებს მუშათა სოციალიზმად მიაჩნიათ მხოლოდ ისეთი სოციალიზმი, რომლის მიღწევა შეიძლება მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გზით, რევოლუციური გზის გამორიცხვით. სოციალიზმის შეკვეცა და მისი დაყვანა უბრალო ბურჟუაზიულ ლიბერალიზმამდე წარმოადგენს კვლავ დიდი ნაბიჯის უკან გადადგმას ყველა რუსი და ევროპელი სოციალ-დემოკრატების უდიდესი უმრავლესობის შეხედულებათა წინააღმდეგ. მუშათა კლასი ამჯობინებდა, რა თქმა უნდა, მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ აეღო თავის ხელში ძალაუფლება (წინათ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდება შეუძლია მხოლოდ ორგანიზებულ მუშათა კლასს, რომელსაც კლასობრივი ბრძოლის სკოლა გაუვლია), მაგრამ რევოლუციური გზით ძალაუფლების დაპყრობაზე უ არ ი ს თ ქ მ ა პროლეტარიატის მხრივ, თეორიული თვალსაზრისითაც და პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც, უ გ ნ ურ ე ბ ა იქნებოდა და მხოლოდ იმის მომასწავებელი, რომ სამარცხვინოდ ვუთმობთ ბურჟუაზიას და ყველა შეძლებულ კლასს. ძალიან მოსალოდნელია — ყველაზე უფრო მოსალოდნელიცაა — რომ ბურჟუაზია მშვიდობიანად არ დაუთმობს პროლეტარიატს, არამედ გადამწყვეტ მომენტში თავისი პრივილეგიების დასაცავად ძალადობას მიმართავს. მაშინ მუშათა კლასს სხვა გზა არ ექნება თავისი მიზნის განსახორციელებლად, გარდა რევოლუციისა. აი რატომაა სწორედ, რომ «მუშათა სოციალიზმის» პროგრამა ლაპარაკობს საერთოდ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობაზე და არ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ამ დაპყრობის საშუალებას, ვინაიდან ამ საშუალების არჩევა დამოკიდებულია მომავალზე, რომლის ზუსტად განსაზღვრა

ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ პროლეტარიატის მოქმედების შემოფარგვლა ყოველ შემთხვევაში მარტოოდენ მშვიდობიანი «დემოკრატიზაციით», ვიმეორებთ, ნიშნავს მუშათა სოციალიზმის ცნების სრულიად თვითნებურად შეკვეცას და შერყვნას.

«ცალკე დამატების» სხვა სტატიებს ასევე დაწვრილებით არ გავარჩევთ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო დაწერილ სტატიაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება «რაბოჩაია მისლის» რედაქტორების მიერ ბერნშტეინიადის პროპაგანდას, რასაც ასე ჩასჭიდეს ხელი მთელს მსოფლიოში საერთოდ სოციალიზმის მტრებმა და განსაკუთრებით ბურჟუაზიულმა ლიბერალებმა და რის წინააღმდეგაც გადაჭრით გაილაშქრა (ჰანოვერის ყრილობაზე) გერმანელი სოციალ-დემოკრატებისა და გერმანელი შეგნებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ, — რაც შეეხება ბერნშტეინიადას, დაწვრილებით მასზე ლაპარაკი აქ უადგილოა. ჩვენ აქ გვაინტერესებს რ უ ს უ ლ ი ბერნშტეინიადა, და ჩვენ უკვე ცხადვყავით, თუ აზრის რა უსაზღვრო არევ-დარევას, დამოუკიდებელი შეხედულების ყოველგვარი ნასახის რა უქონლობას, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებისგან რა გადამწყვეტი ნაბიჯის უკან გადადგმას წარმოადგენს «ჩვენებური» ბერნშტეინიადა. გერმანულ ბერნშტეინიადაზე კი უკეთესია სიტყვა გერმანელებსვე დავუთმოთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსული ბერნშტეინიადა გაცილებით კიდევ უფრო დაბლა დგას, ვიდრე გერმანული. ბერნშტეინს, მიუხედავად ყველა მისი შეცდომისა და მიუხედავად იმისა, რომ ის აშკარად მიისწრაფის უკან დაიხიოს თეორიულადაც და პოლიტიკურადაც, კიდევ იმდენი ჭკუა და იმდენი კეთილსინდისიერება შერჩა, რომ, რადგან მან თვითონ რაიმე ახალი თეორია ან პროგრამა ვერ გამოიმუშავა, უ ა რ ი ს თ ქ ვ ა წ ა მ ო ე ყ ე ნ ებ ი ნ ა ც ვ ლ ი ლ ებ ებ ი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში და უკანასკნელ, გადამწყვეტ მომენტში განაცხადა, ბებელის რეზოლუციას ვღებულობთ, რეზოლუციას, რომელმაც ზეიმით გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ინარჩუნებს თავის ძველ პროგრამას და თავის ძველ

ტაქტიკას. როგორ-ღა იქცევიან ჩვენი რუსი ბერნშტეინელები? მათ არ გაუკეთებიათ იმის მეასედიც კი, რაც ბერნშტეინმა გააკეთა, მაგრამ იქამდე მიდიან, რომ პირდაპირ არც კი სურთ ანგარიში გაუწიონ იმ ფაქტს, რომ რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 1898 წელს საფუძველი ჩაუყარა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას», გამოაქვეყნა მისი «მანიფესტი» და პარტიის ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადა «რაბოჩაია გაზეტა» და რომ ყველა ეს ნაწარმოები სავსებით ემყარება რუსი სოციალ-დემოკრატების «ძველ» პროგრამას. ჩვენებურ ბერნშტეინელებს თითქოს არც კი აქვთ შეგნებული ის გარემოება, რომ თუ მათ უარჰყვეს ეს ძველი შეხედულებანი და ახალი შეიმუშავეს, მათი ზნეობრივი მოვალეობა, მოვალეობა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და იმ სოციალისტებისა და მუშების წინაშე, რომელთაც მთელი თავიანთი ძალები მოახმარეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის» მომზადებასა და შექმნას და რომლებითაც უმეტესწილად გავსებულია ამჟამად რუსეთის საპყრობილეები, — ეს მოვალეობა მოითხოვს, რომ ახალ შეხედულებათა წარმომადგენლები საერთოდ ვიღაც «ჩვენი რევოლუციონერების» ზურგს უკან დაძრახვით კი არ დაკმაყოფილდნენ, არამედ მათ პირდაპირ და აშკარად განაცხადონ, სახელდობრ ვის და სახელდობრ რაში არ ეთანხმებიან ისინი და სახელდობრ რა ახალ შეხედულებებსა და ახალ პროგრამას აყენებენ ისინი ძველის ნაცვლად.

განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთი და თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ ა ვ ხ ს ნ ა თ ამნაირი უკუსვლითი მიმართულების წარმოშობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში? «რაბოჩაია მისლის» რედაქტორების მხოლოდ პირადი თვისებებით, მხოლოდ მოდად შემოსული ბერნშტეინიადის გავლენით საქმის ახსნა, ჩვენის აზრით, არ შეიძლება. საქმე აიხსნება, ჩვენის აზრით, უმთავრესად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული განვითარების თავისებურებით, რომელმაც წარმოშვა — და დ რ ო ე ბ ი თ კ ი დ ე ვ ა ც უ ნ დ ა წარმოეშვა — მუშათა სოციალიზმის ვიწრო გაგება.

80-იან წლებში და 90-იანი წლების დამდეგს, როცა რუსეთში სოციალ-დემოკრატები პრაქტიკულად იწყებდნენ მუშაობას, ისინი ხედავდნენ, ერთი მხრივ, ნაროდოვოლცებს, რომელნიც უსაყვედურებდნენ მათ, რომ ისინი თავს არიდებენ პოლიტიკურ ბრძოლას, ნაანდერძევს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მიერ, და რომლებთანაც სოციალ-დემოკრატები შეუპოვარ პოლემიკას აწარმოებდნენ, ხოლო, მეორე მხრივ — რუსეთის ლიბერალურ საზოგადოებას, რომელიც აგრეთვე უკმაყოფილო იყო იმით, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ ნაროდოვოლცობიდან პირი იბრუნა სოციალ-დემოკრატიისაკენ. პოლემიკა ერთთანაც და მეორესთანაც პოლიტიკის საკითხის გარშემო ტრიალებდა. ებრძოდნენ რა ნაროდოვოლცების ვიწრო გაგებას, რომელთაც პოლიტიკა შეთქმულებამდე დაჰყავდათ, სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ გალაშქრება და ზოგჯერ ისინი კიდეც ილაშქრებდნენ საერთოდ პოლიტიკის წინააღმდეგ (იმიტომ, რომ გაბატონებული იყო პოლიტიკის გარკვეული ვიწრო გაგება). მეორე მხრივ, ბურჟუაზიული «საზოგადოების» ლიბერალურ და რადიკალურ სალონებში სოციალ-დემოკრატებს ხშირად ესმოდათ სინანული იმის გამო, რომ რევოლუციონერებმა თავი დაანებეს ტერორს: ის ადამიანები, რომელნიც ყველაზე მეტად საკუთარი ტყავისთვის ცახცახებდნენ და რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში დახმარება არ გაუწიეს იმ გმირებს, რომელნიც თვითმპყრობელობას ურტყამდნენ, ეს ადამიანები ფარისევლურად ბრალს სდებდნენ სოციალ-დემოკრატიას პოლიტიკურ ინდიფერენტიზმში; ამ ადამიანებს სწყუროდათ იმ პარტიის აღორძინება, რომელიც იკისრებდა მათ მაგიერ ნარის გლეჯას. ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატები იმსჭვალებოდნენ სიძულვილით ამნაირი ადამიანებისა და მათი ფრაზებისადმი და ხელს კიდებდნენ უფრო წვრილმან, მაგრამ სამაგიეროდ უფრო სერიოზულ მუშაობას — პროპაგანდას ფაბრიკა-ქარხნის პროლეტარიატს შორის. ამ მუშაობის ვიწრო ხასიათი თავდაპირველად გარდუვალი იყო და ეს გამოხატულებას პოულობდა ზოგიერთი

სოციალ-დემოკრატის ვიწრო განცხადებებშიც. მაგრამ ეს სივიწროვე არ აშინებდა იმ სოციალ-დემოკრატებსაც, რომელნიც სრულიადაც არ ივიწყებდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობის ფართო ისტორიულ მიზნებს. რა ვუყოთ მერე, თუ ზოგჯერ სოციალ-დემოკრატების სიტყვები შეკვეცილია, სამაგიეროდ მათი საქმე ფართოაო. სამაგიეროდ ისინი უსარგებლო შეთქმულებებს კი არ აწყობენ, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ბალალაიკინებს [92] კი არ უმეგობრდებიან, არამედ მიდიან იმ კლასში, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასს წარმოადგენს, და ხელს უწყობენ ამ კლასის ძალების განვითარებას! სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გაფართოების ყოველ ნაბიჯთან ერთად, ფიქრობდნენ ისინი, ეს სივიწროვე თავისთავად გაქრებაო. მეტწილად მართლაც ასე მოხდა. პროპაგანდიდან გადასვლა იწყეს ფართო აგიტაციაზე. ფართო აგიტაციამ, ბუნებრივია, სულ უფრო და უფრო მეტი შეგნებული მოწინავე მუშები გამოჰყო; დაიწყო რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა (ს.-პეტერბურგის, კიევის და სხვ. «ბრძოლის კავშირები», ებრაელ მუშათა კავშირი). ეს ორგანიზაციები, ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ შეერთებისაკენ, რასაც მათ, ბოლოს, კიდევაც მიაღწიეს: ისინი შეერთდნენ და საფუძველი ჩაუყარეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას». თითქოს, ძველ სივიწროვეს ახლა არავითარი ნიადაგი აღარ ჰქონდა, და ის საბოლოოდ უარყოფილი იქნებოდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა: აგიტაციის გავრცელებამ სოციალ-დემოკრატები პროლეტარიატის დაბალ, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ფენებს დაუკავშირა; ამ ფენების მიზიდვა მოითხოვდა აგიტატორისგან გაგების უაღრესად დაბალ დონესთან შეგუების უნარს, აჩვევდა აგიტატორს პირველ რიგში წამოეყენებინა «გარკვეული წუთის მოთხოვნები და ინტერესები», ხოლო სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ფართო იდეალები სამერმისოდ გადაედო. სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაქსაქსული, კუსტარული ხასიათი, მეტად სუსტი კავშირი სხვადასხვა ქალაქის წრეებს შორის, რუს სოციალ-დემოკრა-

ტებსა და მათ საზღვარგარეთელ ამხანაგებს შორის, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ უფრო საფუძვლიანი ცოდნითაც, უფრო მდიდარი რევოლუციური გამოცდილებითაც და უფრო ფართო პოლიტიკური ჰორიზონტითაც,—ყოველივე ეს ბუნებრივად იწვევდა იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული საქმიანობის ამ (სრულიად აუცილებელ) მხარეს უზომოდ აზვიადებდნენ და ამას შეეძლო ცალკეულ პირთა შეგნებაში გამოეწვია დანარჩენ მხარეთა მივიწყება, მით უმეტეს, რომ ყოველი მარცხის შემდეგ ყველაზე უფრო შეგნებული მუშები და ინტელიგენტები გამოდიოდნენ მოქმედი არმიის მწყობრიდან, და მკვიდრი რევოლუციური ტრადიციისა და თანამომდევნობის შემუშავება ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. აი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ერთი მხარის ამ უზომო გაზვიადებაში ვხედავთ ჩვენ სწორედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იდეალებისაგან სამწუხარო უკანდახევის მთავარ ძიზეზს. დაუმატეთ ამას გატაცება მოდად შემოსული წიგნით, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის უცოდინარობა და ორიგინალობის ბავშვური პრეტენზია, — და თქვენ მიიღებთ ყველა ელემენტს, რომლებიც შეადგენენ «უკუსვლითს მიმართულებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში».

ამრიგად, პროლეტარიატის მოწინავე ფენების დაბალ ფენებთან დამოკიდებულების და ამა თუ იმ ფენებში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მნიშვნელობის საკითხზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით.

ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველაზე ადრე და ყველაზე ადვილად სოციალიზმის იდეებს ითვისებენ ყველაზე უკეთესად დაყენებული მუშათა ფენები. უმთავრესად ამათგან გამოდიან ის მოწინავე მუშები, რომელთაც აწინაურებს ხოლმე ყოველგვარი მუშათა მოძრაობა, ის მუშები, რომელთაც ეხერხებათ მუშათა მასების სრული ნდობის მოპოვება, ის მუშები, რომელნიც მთელ თავიანთ ძალღონეს ანდომებენ პროლეტარიატის განათლებისა და ორგანიზების საქმეს, ის მუშები, რომელნიც სრულიად შეგნებულად ითვისებენ სოციალიზმს და რომელნიც დამოუ-

კიდებლადაც კი იმუშავებდნენ ხოლმე სოციალისტურ თეორიებს. ყოველ სიცოცხლისუნარიან მუშათა მოძრაობას წამოუყენებია ხოლმე ასეთი მუშა-ბელადები, თავიანთი პრუდონები და ვალიანები, ვეიტლინგები და ბებელები. და ჩვენი, რუსეთის, მუშათა მოძრაობაც იძლევა იმის იმედს, რომ ამ მხრივ არ ჩამოვრჩებით ევროპულ მოძრაობას. იმ დროს, როდესაც განათლებულ საზოგადოებას ინტერესი ეკარგება პატიოსანი, არალეგალური ლიტერატურისადმი, მუშათა შორის უსაზღვროდ იზრდება მისწრაფება ცოდნისა და სოციალიზმისადმი, მუშათა შორის ჩნდებიან ნამდვილი გმირები, რომლებიც — მიუხედავად თავიანთი ცხოვრების საძაგელი პირობებისა, მიუხედავად ფაბრიკის დამაჩლუნგებელი კატორღული მუშაობისა, — იჩენენ იმდენ სიმტკიცეს და ნებისყოფის იმდენ სიძლიერეს, რომ ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ და თავისი რიგებიდან წარმოშვან შეგნებული სოციალ-დემოკრატები, «მუშათა ინტელიგენცია». რუსეთში უკვე არის ეს «მუშათა ინტელიგენცია», და ჩვენც ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მისი რიგები მუდამ ფართოვდებოდეს, რათა მისი მაღალი გონებრივი მოთხოვნები სავსებით კმაყოფილდებოდეს, რათა მისი რიგებიდან გამოდიოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელები. ამიტომ ის გაზეთი, რომელსაც სურს რუსი სოციალ-დემოკრატების ორგანო გახდეს, უნდა იდგეს მოწინავე მუშების დონეზე; ის არამც თუ ხელოვნურად არ უნდა ამდაბლებდეს თავის დონეს, არამედ, პირიქით, მუდამ უნდა ამაღლებდეს მას, თვალყურს უნდა ადევნებდეს მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ყველა ტაქტიკურ, პოლიტიკურ და თეორიულ საკითხს. მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება მუშათა ინტელიგენციის მოთხოვნილებები და ის თვითონ აიღებს თავის ხელში რუსეთის მუშათა საქმეს და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, რუსეთის რევოლუციურ საქმესაც.

მოწინავეთა მცირერიცხოვან ფენას მისდევს საშუალო მუშათა ფართო ფენა. და ეს მუშებიც ხარბად მიისწრაფიან სოციალიზმისაკენ, მონაწილეობას იღებენ მუშათა წრეებში,

კითხულობენ სოციალისტურ გაზეთებსა და წიგნებს, მონაწილეობას იღებენ აგიტაციაში, და წინა ფენისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათ არ შეუძლიათ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის სრულიად დამოუკიდებელი ხელმძღვანელები გახდნენ. იმ გაზეთში, რომელიც პარტიის ორგანო იქნებოდა, საშუალო მუშა ვერ გაიგებს ზოგიერთ სტატიას, სავსებით ვერ გაერკვევა რთულ თეორიულ ან პრაქტიკულ საკითხში. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ გაზეთი უნდა ჩამოქვეითდეს თავის მკითხველთა მასის დონემდე. პირიქით, გაზეთი უნდა ამაღლებდეს სწორედ მათ დონეს და ხელს უწყობდეს მუშათა საშუალო ფენიდან მოწინავე მუშების წამოყენებას. ისეთი მუშა, რომელიც დატვირთულია ადგილობრივი პრაქტიკული მუშაობით, ყველაზე მეტად დაინტერესებულია მუშათა მოძრაობის ქრონიკით და აგიტაციის უახლოესი საკითხებით, ყოველ თავის ნაბიჯს უნდა უკავშირებდეს ფიქრს რუსეთის მთელ მუშათა მოძრაობაზე, მის ისტორიულ ამოცანაზე, სოციალიზმის საბოლოო მიზანზე და ამიტომაც გაზეთი, რომლის მკითხველთა მასას საშუალო მუშები შეადგენენ, თვითეულ ადგილობრივ და ვიწრო საკითხს აუცილებლად უნდა უკავშირებდეს სოციალიზმსა და პოლიტიკურ ბრძოლას.

ბოლოს, საშუალო ფენას მისდევს პროლეტარიატის დაბალი ფენების მასა. ადვილად შესაძლებელია, რომ სოციალისტური გაზეთი მათთვის სრულიად ან თითქმის სრულიად შიუწვდომელი იქნება (დასავლეთ ევროპაშიც ხომ სოციალ-დემოკრატ ამომრჩეველთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული გაზეთების მკითხველთა რიცხვი), მაგრამ უაზრობა იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სოციალ-დემოკრატების გაზეთი უნდა ეგუებოდეს მუშათა რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეს. აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ამნაირ ფენებზე უნდა მოქმედებდეს აგიტაციისა და პროპაგანდის სხვა საშუალებები: რაც შეიძლება პოპულარულად დაწერილი ბროშურები, ზეპირი აგიტა-

ცია და — რაც მთავარია — ფურცლები ადგილობრივი ამბების შესახებ. სოციალ-დემოკრატები ამითაც არ უნდა კმაყოფილდებოდნენ: ადვილად შესაძლებელია, რომ პირველი ნაბიჯების გადადგმა მუშათა დაბალი ფენების შეგნების გამოსაღვიძებლად დაეკისრება ლეგალურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას. პარტიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოღვაწეობის გამოყენებას, მის წარმართვას სწორედ იქითკენ, სადაც ის ყველაზე უფრო საჭიროა, ლეგალურ მოღვაწეთა წარმართვას იმ ყამირის დასახნავად, რომელსაც შემდეგში სოციალ-დემოკრატი აგიტატორები დათესავენ. მუშათა დაბალ ფენებში აგიტაციის დროს, რა თქმა უნდა, უდიდესი გასაქანი უნდა მიეცეს აგიტატორის პირად თავისებურებებს და ადგილის, პროფესიების და სხვ. თავისებურებებს. «ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ტაქტიკა და აგიტაცია» — ამბობს კაუტსკი წიგნში ბერნშტეინის წინააღმდეგ. — «აგიტაციის ხერხები უნდა ეგუებოდეს ინდივიდუალურ და ადგილობრივ პირობებს. აგიტაციის დროს თვითეულ აგიტატორს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს ის საშუალებები, რომლებიც მის განკარგულებაშია: ერთი აგიტატორი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი აღფრთოვანებით, მეორე — თავისი გესლიანი სარკაზმით, მესამე — უამრავი მაგალითის მოყვანის უნარით და სხვ. აგიტატორთან შეფარდების გარდა აგიტაცია უნდა შეეფარდოს აგრეთვე აუდიტორიასაც. აგიტატორი უნდა ლაპარაკობდეს გასაგები ენით; ის უნდა გამოდიოდეს იქიდან, რაც კარგადაა ცნობილი მსმენელებისათვის. ყოველივე ეს თავისთავად იგულისხმება და გამოსაყენებელია არა მხოლოდ გლეხთა შორის აგიტაციის მიმართ. მეეტლეებს სხვანაირად უნდა ელაპარაკო, ვიდრე მატროსებს, მატროსებს სხვანაირად, ვიდრე ასოთამწყობთ. აგიტაცია უნდა იყოს ინდივიდუალიზებული, მაგრამ ჩვენი ტაქტიკა, ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა იყოს ერთიანი» (S. * 2—3). სოციალ-დემოკრატიული თეორიის მოწინავე წარ-

* — Seiten — გვერდები. რედ.

მომადგენლის ეს სიტყვები მშვენიერი შეფასებაა აგიტაციისა პარტიის საერთო მოღვაწეობაში. ეს სიტყვები გვიჩვენებს, თუ როგორ უსაფუძვლოა იმათი შიში, ვინც ფიქრობს, რომ შექმნა რევოლუციური პარტიისა, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებს, ხელს შეუშლის აგიტაციას, მეორე რიგში მოაქცევს მას ან შებოჭავს აგიტატორთა თავისუფლებას. პირიქით, მხოლოდ ორგანიზებულ პარტიას შეუძლია ფართოდ აწარმოოს აგიტაცია, აუცილებელი ხელმძღვანელობა გაუწიოს (და მასალები მიაწოდოს) აგიტატორებს ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხზე, გამოიყენოს აგიტაციის ყოველი ადგილობრივი წარმატება ყველა რუსი მუშის გათვითცნობიერებისათვის, გაგზავნოს ხოლმე აგიტატორები ისეთ წრეებში ან ისეთ ადგილებში, სადაც მათ შეეძლებათ უფრო მეტი წარმატებით მოქმედება. მხოლოდ ორგანიზებულ პარტიაში არის შესაძლებელი, რომ აგიტატორთა უნარის მქონე ადამიანებმა მთელი თავიანთი ძალღონე შესწირონ ამ საქმეს, — როგორც აგიტაციის, ისე სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დანარჩენი მხარეების სასარგებლოდ. აქედან ჩანს, რომ ის, ვინც ეკონომიური ბრძოლის გამო ივიწყებს პოლიტიკურ აგიტაციას და პროპაგანდას, ივიწყებს, რომ აუცილებელია მუშათა მოძრაობის ჩამოქნა პოლიტიკური პარტიის ბრძოლად, ის, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჰკარგავს იმის შესაძლებლობასაც კი, რომ მუშათა საქმეში მკვიდრად და წარმატებით მიიზიდოს პროლეტარიატის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები.

მაგრამ მოღვაწეობის ერთი მხარის ასეთი გაზვიადება სხვა მხარეების საზიანოდ და მისწრაფებაც კი, რომ სრულიად უკუგდებულ იქნას ეს სხვა მხარეები, გაცილებით უფრო მავნე შედეგებს უმზადებს რუსეთის მუშათა მოძრაობას. პროლეტარიატის დაბალი ფენები შეიძლება პირდაპირ გაირყვნენ, თუ მათ შორის გავრცელდება ცილისწამება, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამაარსებლები მუშებში ხედავენ მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობის საშუალებას, თუ მათ ესმით მოწოდება — დაკმაყოფილდნენ დღესასწაულთა აღდგე-

ნით და ამქრული კავშირებით და განზე დასტოვონ სოციალიზმის საბოლოო მიზნები და პოლიტიკური ბრძოლის უახლოესი ამოცანები. ასეთი მუშები ყოველთვის შეიძლება წამოეგონ (და წამოეგებიან კიდეც) ბურჟუაზიის ან მთავრობის მიერ გადმოგდებული მოწყალების ყოველგვარ ანკესზე. «რაბოჩაია მისლის» ქადაგების ზეგავლენით პროლეტარიატის დაბალი ფენები, სრულიად განუვითარებელი მუშები, შეიძლება გაიმსჭვალონ იმ ბურჟუაზიული და ღრმად რეაქციული რწმენით, რომ გარდა ხელფასის მომატებისა და დღესასწაულების აღდგენისა («წუთიერი ინტერესები») მუშას არ შეუძლია და არც უნდა აინტერესებდეს სხვა არაფერი, რომ მუშა-ხალხს შეუძლია მხოლოდ თავისი ძალებით, მარტო თავისი «კერძო ინიციატივით» გაუძღვეს მუშათა საქმეს, ისე, რომ არ შეეცადოს შეაერთოს ის სოციალიზმთან, არ შეეცადოს მუშათა საქმე გადააქციოს მთელი კაცობრიობის მოწინავე და საარსებო საქმედ; ყველაზე განუვითარებელი მუშები, ვიმეორებთ, შეიძლება გარყვნილ იქნენ ასეთი რწმენით, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწინავე რუსი მუშები, ისინი, რომელნიც ხელმძღვანელობენ მუშათა წრეებსა და მთელ სოციალდემოკრატიულ მოღვაწეობას, ისინი, რომლებითაც ახლა გავსილია ჩვენი საპყრობილეები და გადასახლების ადგილები, დაწყებული არხანგელსკის გუბერნიით და გათავებული აღმოსავლეთ ციმბირით, — ეს მუშები აღშფოთებით უარყოფენ ამნაირ თეორიას. მთელი მოძრაობის დაყვანა წუთიერ ინტერესებამდე — ნიშნავს მუშათა განუვითარებლობით სპეკულაციას, მათი უცუდესი გატაცებებისთვის ხელის შეწყობას. ეს ნიშნავს ხელოვნურად კავშირის გაწყვეტას მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმს შორის, მოწინავე მუშათა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მისწრაფებებსა და მასების პროტესტის სტიქიურ გამოვლინებებს შორის. აი ამიტომ «რაბოჩაია მისლის» ცდა — გამოვიდეს განსაკუთრებული მიმართულებით, ღირსია საგანგებო ყურადღებისა და განსაკუთრებულად ენერგიულ პროტესტს მოითხოვს. ვიდრე «რაბოჩაია მისლ», როგორც ჩანს, ეგუებოდა პროლეტარიატის დაბალ ფენებს, ბე-

ჯითად გვერდს უვლიდა სოციალიზმის საბოლოო მიზნისა და პოლიტიკური ბრძოლის საკითხს, მაგრამ არაფერს ამბობდა თავის განსაკუთრებულ მიმართულებაზე — ბევრი სოციალ-დემოკრატი მხოლოდ თავს აქნევდა იმ იმედით, რომ «რაბოჩაია მისლის» ჯგუფის წევრები თავიანთი მუშაობის განვითარებისა და გაფართოებისთანავე თვითონვე ადვილად განთავისუფლდებოდნენ თავიანთი შეზღუდულობისაგან. მაგრამ როცა ის ადამიანები, რომელნიც აქამდე მოსამზადებელი კლასის მუშაობას ეწეოდნენ, იწყებენ ხმაურს მთელი ევროპის გასაგონად, ებღაუჭებიან მოდად შემოსული ოპორტუნიზმის თეორიებს და აცხადებენ, რომ მათ სურთ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია მრავალი წლით (თუ სამუდამოდ არა) მოსამზადებელ კლასში დასვან, — როცა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ადამიანები, რომელნიც აქამდე სასარგებლო შრომას ეწეოდნენ ერთ კასრ თაფლზე, იწყებენ «საჯაროდ» მასში ჩამჩებით კუპრის ჩასხმას, — მაშინ ჩვენ გადაჭრით უნდა ავმხედრდეთ ამ უკუსვლითი მიმართულების წინააღმდეგ!

რუსეთის სოციალ-დემოკრატია მისი დამაარსებლების, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრების სახითაც, და რუსეთის იმ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სახითაც, რომელთაც დააარსეს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», ყოველთვის აღიარებდა ორ შემდეგ ძირითად დებულებას: 1) სოციალ-დემოკრატიის დედაარსია: პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია იმ მიზნით, რომ დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, გადასცეს წარმოების ყველა საშუალება მთელი საზოგადოების ხელში და კაპიტალისტური მეურნეობა შეესცვალოს სოციალისტურით; 2) რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა: მოაწყოს რუსეთის მუშათა რევოლუციური პარტია, რომელიც თავის უახლოეს მიზნად ისახავს — თვითმპყრობელობის დამხობას, პოლიტიკური თავისუფლების დაპყრობას. ვინც შორდება ამ ძირითად დებულებებს (რაც ზუსტად არის ფორ-

მულირებული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პროგრამაში და გამოთქმულია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტში»), ის შორდება სოციალ-დემოკრატიას.

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაა»-ს № 8 — 9-ში

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი და ლენინის მიერ შემოწმებული ხელნაწერის მიხედვით

«PROFESSION DE FOI»-ს * გამო

კიევის კომიტეტის მიერ შედგენილი «Profession de foi», მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ შავად ნაწერი პროექტია, რომლის დამუშავებისა და გამართვისთვის, კიევის კომიტეტის თქმით, დრო სრულიად არ იყო, მაინც იძლევა საშუალებას საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ კიევის კომიტეტის შეხედულებებზე; ამ შეხედულებებმა, უსათუოდ, იმ რუს სოციალ-დემოკრატების ენერგიული პროტესტი უნდა გამოიწვიოს, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის ძველი პრინციპების თვალსაზრისზე დგანან; რუსეთში ეს პრინციპები გამოცხადებულია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ, არაერთხელ არის გადმოცემული რსდმპ გამოცემებში და დადასტურებული მისი მანიფესტით. კიევის კომიტეტის შეხედულებები, უეჭველია, ასახავენ «ახალგაზრდა რუსი სოციალ-დემოკრატების» იმ ახალი მიმართულების მნიშვნელოვან ზეგავლენას, რომელიც ისე უკიდურესად განვითარდა, რომ შეუერთდა ბერნშტეინელობას და ისეთი ნაყოფი მოგვცა, როგორიცაა «რაბოჩაია მისლის» ცნობილი ცალკე დამატება (1899 წლის სექტემბერი) და არანაკლებ ცნობილი «Credo» *.

არ შეიძლება ითქვას, რომ «Profession de foi» სავსებით შეესაბამებოდა ამ ოპორტუნისტულ და რეაქციულ მიმართულებას, მაგრამ «Profession de foi» ისეთ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს აქეთკენ, ისეთ არევ-დარევას მოასწავებს სოციალ-დემო-

---

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. **რ ე დ.**

კრატიზმის ძირითად იდეებში, რევოლუციური აზროვნების ისეთ მერყეობას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენს მოვალეობად ვთვლით გავაფრთხილოთ კიეველი ამხანაგები და დაწვრილებით განვიხილოთ მათი გადახრა როგორც საერთაშორისო, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ძველთაგანვე დადგენილი პრინციპებისგან.

«Profession de foi»-ს უკვე პირველი ფრაზა უაღრესად სერიოზულ შეფიქრიანებას იწვევს: «აღიარებს რა რუსეთის მუშათა მოძრაობის უახლოეს საერთო ამოცანად ბრძოლას პროლეტარიატის პოლიტიკური უფლებებისათვის, კიევის კომიტეტს, მაინც, შესაძლებლად არ მიაჩნია დღევანდელ მომენტში მიმართოს მუშათა მასას და მოუწოდოს პოლიტიკური მოქმედებისაკენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აწარმოოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი აგიტაცია, რადგან რუსი მუშა მასობრივად ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პოლიტიკური ბრძოლისთვის». ჩვენ არ ვეხებით ამ ადგილის ფორმულირებას; ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ აქ გამოთქმული და «Profession de foi»-ს სხვა ადგილას არაერთხელ განმეორებული (ეს დაიხსომეთ) აზრები; ეს აზრები კი ისეთია, რომ ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია შევეკითხოთ ჩვენს თავს: «ნუთუ ამის დამწერნი სოციალ-დემოკრატები არიან?».

«რუსი მუშა მასობრივად ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პოლიტიკური ბრძოლისთვის»! თუ ეს მართალია, ეს იგივეა, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანო მთელ სოციალ-დემოკრატიას, ვინაიდან ეს იმას ნიშნავს, რომ რუსი მუშა მასობრივად ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სოციალ-დემოკრატიზმისთვის. მართლაც, არსად მსოფლიოში არ ყოფილა და არც არის ისეთი სოციალ-დემოკრატია, რომელიც განუყოფლად და განუყრელად არ იყოს დაკავშირებული პოლიტიკურ ბრძოლასთან. სოციალ-დემოკრატია პოლიტიკური ბრძოლის გარეშე — ესაა უწყლო მდინარე, ესაა რაღაც აღმაშფოთებელი წინააღმდეგობა, ესაა რაღაც დაბრუნება ან «პოლიტიკის» უგულებელმყოფელი ჩვენი შორეული წინაპრების უტოპიური სოციალიზმისკენ, ან ანარქიზმისკენ, ან ტრედ-უნიონიზმისკენ.

მსოფლიო სოციალიზმის პირველმა «Profession de foi»-მ, «კომუნისტურმა მანიფესტმა» დაადგინა უკვე ის, მას შემდეგ უდავოდ ქცეული, ჭეშმარიტება, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, რომ მუშათა მოძრაობა მხოლოდ მაშინ გადასცილდება ხოლმე ჩანასახობრივი მდგომარეობისა და ბავშვობის სტადიას, მხოლოდ მაშინ ხდება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ მოძრაობად, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადის. რუსული სოციალიზმის პირველმა «Profession de foi»-მ, პლეხანოვის ბროშურამ «სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა», რომელიც 1883 წელს გამოვიდა, დაადასტურა ეს ჭეშმარიტება რუსეთისადმი შეფარდებით და ცხადჰყო, სახელდობრ როგორ და სახელდობრ რატომ უნდა გამოიწვიოს რუსეთის რევოლუციურმა მოძრაობამ სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება, მუშათა მასების სტიქიური მოძრაობისა და რევოლუციური მოძრაობის შეერთება, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება. იმით, რომ კიევის კომიტეტი დადგა სოციალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე და ამავე დროს უარჰყო შესაძლებლობა იმისა, რომ «მოუწოდოს დღევანდელ მომენტში ფართო მასებს პოლიტიკური მოქმედებისაკენ», ის, არსებითად, სრულიად შორდება სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპებს, და ამ პრინციპების ნიადაგზე დარჩენის სურვილს ის მიჰყავს მთელ რიგ აღმაშფოთებელ წინააღმდეგობებამდე.

მართლაც, როგორღა შეიძლება ლაპარაკი მუშების «პოლიტიკურ აღზრდაზე», თუ შესაძლებლად არ სცნობენ პოლიტიკური აგიტაციისა და პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას? ნუთუ სოციალ-დემოკრატებს შორის კიდევ საჭიროა იმის მტკიცება, რომ პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკურ მოქმედებათა გარეშე არ შეიძლება არავითარი პოლიტიკური აღზრდა? ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდა შეიძლება რაიმე მეცადინეობით ან წიგნებით და სხვ., პოლიტიკური მოღვაწეობისა და პოლიტიკური ბრძოლის გვერდის ავლით? ნუთუ რუსეთის სოციალ-დემოკრატია უნდა დაუბრუნდეს ბატონყმობის მოტრფიალეთა თვალსაზრისს,

რომლებიც ამბობდნენ, ჯერ საჭიროა გლეხების აღზრდა, შემდეგ კი მათი განთავისუფლებაო, — ანდა მთავრობის წინაშე მლიქვნელ ჩვენებურ მჯღაბნელთა თვალსაზრისს, რომლებიც ამბობენ, ჯერ საჭიროა აღვზარდოთ ხალხი, შემდეგ კი მივცეთ მას პოლიტიკური უფლებებიო? როგორ შეიძლება ამოცანად დაისახო — პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნების გაღვიძება—და იმავე დროს შესაძლებლად არ სცნო მოუწოდო მუშებს პოლიტიკური მოქმედებისაკენ, შესაძლებლად არ სცნო პოლიტიკური აგიტაციის წარმოება? შეგქონდეს მუშებში პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობის შეგნება და იმავე დროს არ მოუწოდებდე მათ პოლიტიკური ბრძოლისაკენ?! რა არის ეს? როგორ შეიძლება ეს? და ამნაირი არევ-დარევა არის არა აზრის ბოლომდე გამოუთქველობის ან შავად მონახაზის დაუმთავრებლობის შედეგი, არამედ ბუნებრივი, გარდუვალი შედეგი იმ ორჭოფობისა და არათანმიმდევრობისა, რომლითაც გამსჭვალულია კიევის კომიტეტის მთელი შეხედულებები. ერთი მხრივ, მას სურს დარჩეს საერთაშორისო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დიდი ხნიდან დადგენილი ძირითადი პრინციპების ნიადაგზე, ხოლო, მეორე მხრივ, ის გატაცებულია იმ მოდად შემოსული ბერნშტეინული სიტყვებით, როგორიცაა «აუცილებლობა», «თანდათანობა» (კიევის კომიტეტის «Profession de foi»-ს I განყოფილება, ბოლოში), «მოძრაობის უშუალო ეკონომიური ხასიათი», პოლიტიკური აგიტაციისა და ბრძოლის შეუძლებლობა, იმის აუცილებლობა, რომ იდგე ნამდვილ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა მტკიცე ნიადაგზე (თითქოს პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლა არ ხყოს გამოწვეული თვითონ ნამდვილი მოთხოვნილებებითა და საჭიროებით!), — ერთი სიტყვით, გატაცებულია იმ მოდად შემოსული სიტყვებით, რომლებითაც აკოწიწებენ ისეთ მოდად შემოსულ ნაწარმოებებს, როგორიცაა «Credo» და «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება. არსებითად შევჩერდეთ იმ დებულებაზე, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ამ «Profession de foi»-ს ყველა სუსტი მხარე, სახელდობრ იმ დებულებაზე,

რომ «დღევანდელ მომენტში შეუძლებელია მივმართოთ მუშათა მასებს და მოვუწოდოთ პოლიტიკური მოქმედებისაკენ», სხვანაირად რომ ვთქვათ, ვაწარმოოთ პოლიტიკური აგიტაცია, რადგან რუსი მუშა ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პოლიტიკური ბრძოლისთვისო. ეს უკანასკნელი მტკიცება, საბედნიეროდ, სრულიად შემცდარია (ვამბობთ — საბედნიეროდ, ვინაიდან, ეს რომ სწორი იყოს, მას რუსი მარქსისტები და სოციალ-დემოკრატები აუცილებლად უნდა ჩაეთრია ტრედ-უნიონისტური და ბურჟუაზიულ-ლიბერალური უხამსობის იმ ჭაობში, რომელშიც მათ ჩაგდებას ცდილობენ «Credo»-ს, «რაბოჩაია მისლის» ავტორები და მათი მრავალრიცხოვანი დამქაშები ჩვენს ლეგალურ ლიტერატურაში). რუსი მუშების მასა არამც თუ მომწიფდა პოლიტიკური ბრძოლისათვის, არამედ მას უკვე მრავალჯერ გამოუჩენია თავისი სიმწიფე და მრავალჯერ მოუხდენია პოლიტიკური ბრძოლის აქტები და მასთან ხშირად ისინი სტიქიურად მოუხდენია.

მართლაც, განა ისეთი მოწოდებების მასობრივი გავრცელება, რომლებშიც დაგმობილია მთავრობა, გამათრახებულია მთავრობა, არ არის პოლიტიკური ბრძოლის აქტი? განა რუსი მუშების მასა არ უსწორდებოდა «თავისი საშუალებებით», მეტისმეტად გათავხედებულ პოლიციელებსა და ჯარისკაცებს; განა ძალით არ ათავისუფლებდა ის თავის დაპატიმრებულ ამხანაგებს? განა ის არ იბრძოდა ბევრ ადგილას პირდაპირ ქუჩის შეტაკებაში ჯარისა და პოლიციის წინააღმდეგ? განა რუსი მუშების მასა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ აწვდიდა თავის საუკეთესო, ყველაზე უფრო განვითარებულ და ყველაზე პატიოსან და მამაც ამხანაგებს რევოლუციური წრეებისა და ორგანიზაციების რიგებს? მაგრამ ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა, ბურჟუაზიული გათახსირების მოდად შემოსული დოქტრინის საამებლად უნდა დავივიწყოთ ყოველივე ეს და შეუძლებლად აღვიაროთ ის, რომ მუშათა მასებს მოვუწოდოთ პოლიტიკური მოქმედებისაკენ! ჩვენ, ალბათ, გვიპასუხებენ, რომ ზემომოყვანილი ფაქტები ხშირად

უფრო სტიქიურ აფეთქებებს წარმოადგენენ, ვიდრე პოლიტიკურ ბრძოლასო. განა ჩვენი გაფიცვები — ვუპასუხებთ ჩვენ — მარტოოდენ სტიქიურ აფეთქებებს არ წარმოადგენდნენ მანამდე, სანამ სოციალისტების რევოლუციურმა წრეებმა ხელი არ მოჰკიდეს ფართო აგიტაციას, მუშათა მასების მოწოდებას კლასობრივი ბრძოლისაკენ, თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლისაკენ? განა შეიძლება აღვნიშნოთ ისტორიაში თუ გინდ ერთი ისეთი სახალხო, თუ გინდ ერთი ისეთი კლასობრივი მოძრაობა, რომელიც არ დაწყებულიყოს სტიქიური არაორგანიზებული აფეთქებებით, რომელსაც გარკვეული კლასის ინტელიგენტურ წარმომადგენელთა შეგნებულად ჩარევის გარეშე მიეღოს ორგანიზებული ფორმა, შეექმნას პოლიტიკური პარტიები? თუ მუშათა კლასის შეუკავებელი სტიქიური ლტოლვა პოლიტიკური ბრძოლისადმი დღემდე მეტწილად მხოლოდ არაორგანიზებულ აფეთქებებში ვლინდება, აქედან მხოლოდ «მოსკოვსკიე ვედომოსტის»[93] და «გრაჟდანინს»[94] შეუძლიათ ის დასკვნა გააკეთონ, რომ რუსი მუშების მასა ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პოლიტიკური აგიტაციისთვის. სოციალისტი კი აქედან იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ დიდი ხანია მომწიფებულია აუცილებლობა პოლიტიკური აგიტაციისა, პოლიტიკური მოქმედებისა და პოლიტიკური ბრძოლისაკენ მუშათა მასების უფართოესი მოწოდებისა; თუ ასეთ მოწოდებას არ მივმართავთ, ჩვენ არ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას და, არსებითად, აღარ ვრჩებით სოციალ-დემოკრატებად იმიტომ, რომ ეკონომიურ და პროფესიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური ბრძოლის გარეშე ყოველთვის და ყოველგან ქადაგებდნენ ბურჟუაზიის თავგამოდებული მომხრეები; ამიტომ სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არ დანაშაულებრივსა და სამარცხვინოს, რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა და პოლიტიკური ამოცანების იმ სისტემატურ მიფუჩეჩებას, რომელსაც ჩვენ ვხედავდით, მაგალითად, გაზეთ «რაბოჩაია მისლში». ეს მიფუჩეჩება უდრის მუშების პოლიტიკური შეგნების გარყვნას, მუშებისა, რომელნიც ხედავენ და გრძნობენ პოლიტიკურ ჩაგვრას, რომელნიც სტი-

ქიურად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ, ხოლო თავიანთ ხელმძღვანელ-სოციალისტების მხრივ ხვდებიან ან გულგრილობას, ანდა თვით პოლემიკასაც პოლიტიკური ბრძოლის იდეების წინააღმდეგ. არ შეიძლება გულგრილობა და უკიდურესად ვიწრო შეხედულება არ უწოდო, როდესაც გვეუბნებიან, მასაში პოლიტიკური თავისუფლების იდეები «თანდათან» უნდა გავატაროთო, — ალბათ, აქამდე ძალიან ვჩქარობდით ამ იდეების გატარებას მასაში, საჭიროა დაგვაცხრონ და შეგვაკავონ!!! ანდა როცა ჩვენ გვეუბნებიან, «მუშათა კლასის მდგომარეობის პოლიტიკურად გაშუქება» საჭიროა მხოლოდ «რამდენადაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში ამის საბაბი მოიპოვებაო», თითქოს «საბაბს» პოლიტიკური აგიტაციისთვის არ იძლეოდეს თვით ყოველდღიური, მასობრივი, საყოველთაო ფაქტები მუშების ცხოვრებიდან?!

პოლიტიკური აგიტაციის შეზღუდვის მისწრაფებას თვითეულ ცალკე შემთხვევაში არსებული საბაბით ან აზრი არა აქვს, ან იგი გამოხატავს მხოლოდ იმის მისწრაფებას, რომ ნაბიჯი გადადგა უკან «Credo»-ს და «რაბოჩაია მისლის» მიმართულებით, მისწრაფებას — შეკვეცო ჩვენი საპროპაგანდო და საგიტაციო მოღვაწეობის ისედაც ზეტად ვიწრო ჩარჩოები. ჩვენ, შეიძლება, კიდევ გვიპასუხონ, რომ მუშათა მ ა ს ე ბ ი ჯერ კიდევ ვერ გაიგებენ პოლიტიკური ბრძოლის იდეას, იდეას, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ უფრო განვითარებული ცალკეული მუშებისთვისო. ამ შესიტყვებაზე, რაც ხშირად გვსმენია «ახალგაზრდა» რუსი სოციალ-დემოკრატებისგან, ჩვენ ვუპასუხებთ, რომ, ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატია ყოველთვის და ყველგან იყო და შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ა რ ი ყ ო ს შეგნებული მუშების წარმომადგენელი და არა შეუგნებელი მუშებისა, რომ არაფერია იმაზე უფრო საშიში და დანაშაულებრივი, ვიდრე მუშების განუვითარებლობის მიმართ დემაგოგიური მლიქვნელობა. თუ მოღვაწეობის კრიტერიუმად ავიღებთ იმას, რაც ახლავე უშუალოდ ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია უფართოესი მასისთვის, მაშინ მოგვიხდება ვიქა-

დაგოთ ანტისემიტიზმი ანდა აგიტაცია გავაჩაღოთ, ვთქვათ, ძამა იოანე კრონშტადტელისადმი მიმართვის ნიადაგზე.[95]

სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — ავითარებდეს მასების პოლიტიკურ შეგნებას და არა ის, რომ უკან მისჩანჩალებდეს პოლიტიკურად უუფლებო მასას; მეორე, — რაც უმთავრესია, — არ არის სწორი, რომ მასები პოლიტიკური ბრძოლის იდეებს ვერ გაიგებენო; ამ იდეას გაიგებს ყველაზე უბრალო მუშა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ აგიტატორი ან პროპაგანდისტი შესძლებს ისე მიუდგეს მას, რომ გააგებინოს ეს იდეა, შესძლებს გადასცეს ის გასაგები ენით და ყოველდღიური ცხოვრებიდან მისთვის ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით. ხოლო ეს პირობა ხომ იმისთვისაც აუცილებელია, რომ გადასცეს ეკონომიური ბრძოლის პირობები: უბრალო მუშა მასის დაბალი და საშუალო ფენებიდან ამ სფეროშიც ვერ შესძლებს ეკონომიური ბრძოლის ზოგადი იდეის შეთვისებას; ამ იდეას ითვისებს ინტელიგენტი მუშების მცირე რიცხვი, მათ კი მისდევს მასა, რომელიც ინსტინქტითა და უშუალო უახლოესი ინტერესით ხელმძღვანელობს.

იგივე ხდება პოლიტიკის სფეროშიც: პოლიტიკური ბრძოლის ზოგად იდეას შეითვისებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ინტელიგენტი მუშა, რომელსაც მასა გაჰყვება, ვინაიდან ის მშვენივრად გრძნობს თავის პოლიტიკურ უუფლებობას (როგორც ამას ერთ ადგილას აღიარებს კიევის კომიტეტის «Profession de foi»), და ყველაზე უშუალო ყოველდღიური ინტერესები მუდამ აჯახებენ ამ მასას პოლიტიკური ჩაგვრის ყოველგვარ გამოვლინებასთან. არც ერთ პოლიტიკურ თუ სოციალურ მოძრაობაში, არც ერთ ქვეყანაში არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს სხვანაირი ურთიერთობა გარკვეული კლასის ან ხალხის მასასა და მის მცირერიცხოვან ინტელიგენტურ წარმომადგენლებს შორის, გარდა სწორედ ასეთისა: ყოველთვის და ყველგან გარკვეული კლასის ბელადები არიან მოწინავე, ყველაზე უფრო ინტელიგენტური წარმომადგენლები. რუსეთის მუშათა მოძრაობაშიც შეუძლებელია სხვანაირად იყოს. ამიტომაც მუშების ამ მოწინავე ფენის

ინტერესებისა და მოთხოვნილებების უგულებელყოფამ, დაბალი ფენების შეგნების დონემდე დაშვების მისწრაფებამ (იმის ნაცვლად, რომ მუდამ ამაღლებდე მუშების შეგნების დონეს) აუცილებლად დიდი ზიანი უნდა მიაყენოს და ნიადაგი მოამზადოს იმისათვის, რომ მუშათა წრეში შეიჭრას ყოველგვარი არა სოციალისტური და არა რევოლუციური იდეები.

პოლიტიკურ ბრძოლაზე კიევის კომიტეტის შეხედულებათა განხილვა რომ დავამთავრო, [დავუმატებ შემდეგს]. არ სთვლის რა შესაძლებლად მოუწოდოს დღევანდელ მომენტში მუშათა ფართო მასებს პოლიტიკური მოქმედებისაკენ, კომიტეტი, მეტად უცნაური და იმავე დროს მთელი «Profession de foi»-ს დამახასიათებელი წესით, სასურველად აღიარებს წმინდა სააგიტაციო მიზნით (და არა მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენად) ნაწილობრივი დემონსტრაციების მოწყობას ფართო მასების შეგნებისათვის მისაწვდომი საბაბით. სოციალისტები მოუწოდებენ მუშებს არ მოახდინონ ზეგავლენა მთავრობაზე!!! ამაზე შორს ვეღარ წახვალ... გაუგებარია მხოლოდ, როგორ შეიძლება ისეთი დემონსტრაციები, რომელნიც ზეგავლენას არ მოახდენენ მთავრობაზე. იქნებ საჭიროა მუშებს ვურჩიოთ მოაწყონ დემონსტრაცია თავიანთი უბადრუკი ბინების ოთხ კედელს შუა, წინასწარ კარების ჩაკეტვით? ან, იქნებ, საჭიროა დემონსტრაციის მოწყობა ჯიბეში ძუშტის ჩვენებით? ეს უკვე, უეჭველად, არ მოახდენს ესოდენ მავნე და დამღუპველ «ზეგავლენას მთავრობაზე»! ვერც ის გავიგეთ, თუ რას ნიშნავს «ნაწილობრივი დემონსტრაცია». იქნებ ეს ნიშნავდეს: პროფესიულ, მხოლოდ პროფესიულ საკითხებში (კიდევ ერთხელ: რა შუაშია აქ სოციალიზმი?) ან, შეიძლება, ნაწილობრივი პოლიტიკური საბაბით, და არა მთელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ, საერთოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? მაგრამ თუ ასეა, განა ეს «Credo»-ს და უკიდურესი ოპორტუნიზმის, მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებისა და პოლიტიკური ამოცანების უკიდურესი დამდაბლების, დაბნელების ნამდვილი იდეები არ

არის? თუ ეს ასეა, ხომ არ არის საჭირო გავიმეოროთ ერთი «ახალგაზრდა» დედაქალაქელი სოციალ-დემოკრატის «მოსწრებული სიტყვა»: «ნაადრევია სახელი გავუტეხოთ თვითმპყრობელობას მუშებს შორის»?..

«Profession de foi»-ში შეხედულებათა უკიდურესი სივიწროვე გამოსჭვივის არა მარტო «პოლიტიკის» საკითხში. «მასაზე აგიტაციის ზემოქმედება — ვკითხულობთ ჩვენ — ამჟამად შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ, ჯერ-ერთი, იმით, რომ ხელი შეუწყო პროლეტარიატს ეკონომიურ ბრძოლაში; ამიტომ კომიტეტი სარგებლობს მუშათა და მეპატრონეთა შეჯახების ყოველი შემთხვევით ან მეპატრონეთა მხრივ მდგომარეობის ბორკოტად გამოყენების ყოველი თვალსაჩინო ფაქტით იმისთვის, რომ მიმართოს მუშებს მოწოდებით, სადაც გარკვეული იქნება მუშების მდგომარეობა, მოუწოდოს პროტესტის გამოსახატავად, ხელმძღვანელი როლი იკისროს გაფიცვების დროს, ჩამოაყალიბოს მათი მოთხოვნები, მიუთითოს მათი განხორციელების საუკეთესო გზები და ყოველივე ამით მუშათა კლასში განავითაროს თვითშეგნება» — ეს არის და ეს, ეკონომიურ ბრძოლაზე ჩვენ მეტს არაფერს გვეუბნებიან. და ესაა—Profession de foi! გულდასმით გადაიკითხეთ ეს ადგილები: ეს ისევ «Credo»-ს ენა და «Credo»-ს აზრებია (რითაც კიდევ და კიდევ სურათდება დიდი შეცდომა «რაბოჩეე დელოს» რედაქციისა, რომელსაც ძალიან სურს დაფაროს «ახალგაზრდა ეკონომისტების» შეხედულებანი და მათში მხოლოდ ცალკეულ პირთა გადახრები დაინახოს).

სოციალისტისთვის ეკონომიური ბრძოლა წარმოადგენს მხოლოდ ბაზისს მუშების რევოლუციურ პარტიად ორგანიზებისათვის, მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ მათი კლასობრივი ბრძოლის შემჭიდროებისა და განვითარებისთვის. ხოლო თუ ეკონომიურ ბრძოლას ავიღებთ, როგორც რაღაც თვითკმარს, მასში სოციალისტური არაფერია, და ყველა ევროპული ქვეყნის გამოცდილებაც გვიჩვენებს არა მარტო სოციალისტური, არამედ ანტისოციალისტური პროფესიული კავშირების უამრავ მაგალითს.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსის ამოცანაა — «ხელი შეუწყოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას», სოციალისტის ამოცანაა — აიძულოს ეკონომიური ბრძოლა ხელი შეუწყოს სოციალისტურ მოძრაობას და რევოლუციური მუშათა პარტიის წარმატებებს. სოციალისტის ამოცანაა — ხელი შეუწყოს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის განუყრელ შეერთებას სოციალისტური მუშათა მასების ერთიან კლასობრივ ბრძოლად. ამრიგად, კიევის კომიტეტის «Profession de foi»-ს ბუნდოვანი გამოთქმები ფართოდ უღებს კარს ბერნშტეინის იდეებს და აკანონებს შეუწყნარებელ ვიწრო დამოკიდებულებას ეკონომიური ბრძოლისადმი.

მასაზე აგიტაციის ზეგავლენა უნდა მდგომარეობდეს როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური აგიტაციის უაღრესად ფართო გაჩაღებაში ყოველგვარი საბაბით და ყოველგვარი ჩაგვრის გამოვლინების გამო, აგიტაციისა, რომლითაც ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მუშების სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვის მისაზიდად რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში, პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარი გამოვლინების წასახალისებლად, ამ ბრძოლის მოსაწყობად მისი სტიქიური ფორმებიდან ერთიანი პოლიტიკური პარტიის ბრძოლის ფორმად. ამრიგად, აგიტაცია უნდა იყოს პოლიტიკური პროტესტისა და პოლიტიკური ბრძოლის უფრო ორგანიზებული ფორმების ფართოდ გავრცელების საშუალება. ამჟამად კი ჩვენი აგიტაციის ჩარჩოები მეტად ვიწროა, იმ საკითხთა წრე, რომელთაც ის ეხება, მეტად შეზღუდულია, და ჩვენს მოვალეობას შეადგენს—ეს სივიწროვე კი არ დავაკანონოთ, არამედ ვეცადოთ თავი დავაღწიოთ მას, ვეცადოთ გავაღრმაოთ და გავაფართოოთ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა.

«Profession de foi»-ში, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, ეს სივიწროვე იწვევს არა მარტო ზემოგანხილულ თეორიულ შეცდომებს, არამედ პრაქტიკულ ამოცანათა შეკვეცასაც. ასეთი შეკვეცა ჩანს სურვილში, რომ «უახლოეს მორიგ ამოცანად დავაყენოთ ადგილობრივ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა მდგომარეობის გამოკვლევა კითხვების ფურცლებითა და სხვა

საშუალებებით». ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს სათქმელი საერთოდ კითხვების ფურცლების წინააღმდეგ, რაც აგიტაციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, — მაგრამ გამოკვლევისთვის ხელის მოკიდება ეს იმას ნიშნავს, რომ უნაყოფოდ გავანიავოთ ისედაც მცირერიცხოვანი რევოლუციური ძალები.

ჩვენი ლეგალური გამოკვლევებიდანაც ხომ შეგვიძლია ბევრი რამის მიღება. უმჯობესი იქნებოდა უახლოეს მორიგ ამოცანად დაგვეყენებინა აგიტაციისა და პროპაგანდის გაფართოება (განსაკუთრებით პოლიტიკურისა), მით უმეტეს, რომ მშვენიერი ჩვეულება — სოციალისტურ გაზეთებში დამოუკიდებელი კორესპონდენციების გზავნა — რაც ჩვენს მუშებში ვრცელდება, საკმაოდ უხვ მასალას უზრუნველჰყოფს.

კიდევ უფრო მეტი შეკვეცა იმაში ჩანს, რომ სალაროების საკითხში სასურველად აღიარებულია მხოლოდ «პროფესიული საგაფიცვო» სალაროები, და ერთი სიტყვაც არაა თქმული იმაზე, რომ ეს სალაროები შედიოდნენ, როგორც რგოლები, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, პოლიტიკურ ბრძოლას ემსახურებოდნენ.

ჩვენი კონსპირაციული სალაროების შეზღუდვა მარტოოდენ ეკონომიური საქმიანობით — ეს ბუნებრივი მისწრაფებაა «Credo»-ს ავტორებისთვის, მაგრამ იგი გაუგებარია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის «Profession de foi»-ში.

ლეგალურ საზოგადოებათა საკითხში «Profession de foi»-ს დებულებები არანაკლებ ვიწროა და სწორედ ისევე გამოხატავენ ყბადაღებული ბერნშტეინიადისადმი დათმობათა მისწრაფებას; სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის მხრივ ხელის შეწყობა სალაროების დაარსებისთვის ეს ისევ იმას ნიშნავს, რომ ძალები დაქსაქსო და ზღვარი წაშალო კულტურულ და რევოლუციურ მუშაობას შორის; რევოლუციურ პარტიას შეუძლია და მან კიდევაც უნდა გამოიყენოს ლეგალური საზოგადოებანი თავისი მუშაობის გამაგრებისა და განმტკიცებისათვის, როგორც საგიტაციო კერები, მოხერხებუ-

ლი საფარები კავშირურთიერთობისთვის და სხვ. და სხვ., — მაგრამ სხვა არაფერი. სოციალისტთა ძალების ხარჯვა იმაზე, რომ საზოგადოებათა წარმოშობას ხელი შეუწყო, უაღრესად არარაციონალურია, ამ საზოგადოებებისთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მიცემა — უმართებულია, იმის ფიქრი, რომ ლეგალურ საზოგადოებებში შესაძლებელია «სრული დამოუკიდებლობა მეპატრონეთა მონაწილეობისა და ზეგავლენისაგან» — პირდაპირ სასაცილოა.

ბოლოს, კიევის კომიტეტის ორგანიზაციულ გეგმებზედაც იმოქმედა მის შეხედულებათა სივიწროვემ და ამ შეხედულებათა სპეციფიკურმა თავისებურებამ. მართალია, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით კიევის კომიტეტს იმაში, რომ ახლა იმის დრო არ არის, რომ გამოვაცხადოთ პარტიის აღდგენის შესახებ და ახალი ცენტრალური კომიტეტი ავირჩიოთ, მაგრამ ჩვენ სრულ შეცდომად მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს «მოძრაობას უშუალო ეკონომიური ხასიათი ჰქონდეს», თითქოს რუსეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ «არ არის მომზადებული პოლიტიკური აგიტაციისთვის». აგრეთვე შეცდომა იქნებოდა ლოდინი, ვიდრე «ადგილობრივი ჯგუფები განმტკიცდებიან, რიცხვობრივად გაიზრდებიან, განამტკიცებენ კავშირურთიერთობას მუშებთან», — ასეთი განმტკიცება ხშირად დაუყოვნებლივ კრახს იწვევს.

არა, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი გაერთიანების საქმეს და დავიწყოთ ეს ლიტერატურული გაერთიანებით, საერთო რუსული ორგანოს შექმნით, რომელიც შეეცდება მოამზადოს პარტიის აღდგენა, იქნება მთელი რუსეთის ორგანო, შეკრებს კორესპონდენციებსა და მასალებს ყველა კუთხის წრეებისგან, ადგილს დაუთმობს სადავო საკითხების განხილვას, გააფართოებს ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის ჩარჩოებს, სპეციალურ ყურადღებას მიაქცევს ორგანიზაციულ საკითხებს, საქმის გაძღოლის ტაქტიკურ და ტექნიკურ ხერხებს, დაკმაყოფილებს ყველაზე განვითარებული მუშების ყველა მოთხოვნილებას და მუდამ წინ წამოსწევს პროლეტარიატის დაბალ ფენებს (რომელთაც იზიდავს მუშათა კორეს-

პონდენციები და სხვ.), რათა უფრო და უფრო შეგნებულად მიაღებინოს მათ მონაწილეობა სოციალისტურ მოძრაობასა და პოლიტიკურ ბრძოლაში.

ჩვენი რწმენით, მხოლოდ ამნაირად შეიძლება მომზადდეს ფაქტიური პირობები პარტიის გაერთიანებისა და აღორძინებისათვის, და მხოლოდ პირდაპირ და აშკარა პოლემიკას ვიწრო «ეკონომიზმისა» და ბერნშტეინის იდეების წინააღმდეგ, რომლებიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება, შეუძლია უზრუნველჰყოს რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სწორი განვითარება.

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით

სამრეწველო სასამართლოების შესახებ

სამრეწველო სასამართლოები ეწოდება ისეთ სასამართლოებს, რომლებიც შესდგება მუშებისა და მეპატრონეების (მეფაბრიკეებისა მრეწველობაში) მიერ არჩეულ პირთაგან და ისეთ საქმეებსა და დავას არჩევენ, რომლებიც ასე ხშირად წარმოიშობა ხოლმე დაქირავების პირობების, ჩვეულებრივი და ზედმეტი მუშაობის ხელფასის განსაზღვრის, მუშებისთვის ანგარიშის არაწესიერად გასწორების, გაფუჭებული მასალის ანაზღაურების, ჯარიმების უკანონოდ დადების გამო და სხვ. და სხვ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაში ასეთი სასამართლოები არსებობენ, რუსეთში კი — არა და ჩვენ განზრახული გვაქვს გავარკვიოთ, თუ რა სარგებლობა მოაქვთ მათ მუშებისთვის და რატომაა სასურველი სამრეწველო სასამართლოების დაარსება იმ ჩვეულებრივ სასამართლოებს გარდა, სადაც ასამართლებს ერთი, მთავრობის მიერ დანიშნული ან შეძლებული კლასების მიერ არჩეული, მოსამართლე და რომლებშიც მონაწილეობას არ იღებენ არჩეული პირები არც მუშებისა და არც მეპატრონეების მხრივ.

სამრეწველო სასამართლო ხელსაყრელია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ის გაცილებით უფრო მისაწვდომია მუშებისთვის. ჩვეულებრივ სასამართლოს რომ საჩივრით მიმართო, უნდა დასწერო თხოვნა (რისთვისაც ხშირად უნდა მიმართო ადვოკატს), უნდა გადაიხადო ბაჟი, უნდა ელოდო დიდ ხანს საქმის გარჩევას, უნდა გამოცხადდე სასამართლოში, მოცდე სამუშაოს და მოწმეებიც მოაცდინო, უნდა ელოდო შემდეგ, მოდავეთა გასაჩივრების გამო, როდის გადავა საქმე უმაღლეს

ინსტანციაში, სადაც საქმე ხელახლა გაირჩევა. გასაკვირველი არ არის, რომ მუშები ასე უხალისოდ მიმართავენ ჩვეულებრივ სასამართლოებს! სამრეწველო სასამართლოები კი შესდგება მეპატრონეებისა და მუშებისაგან, რომელნიც არჩეული არიან მოსამართლეებად. მუშისთვის სრულიადაც საძნელო არ არის სიტყვიერად განუცხადოს საჩივარი თავისსავე არჩეულ ამხანაგს. სამრეწველო სასამართლოს სხდომები ჩვეულებრივ ინიშნება უქმე დღეებში ან საერთოდ ისეთ დროს, როცა მუშები თავისუფალნი არიან და საქმეს არ მოცდებიან. საქმის წარმოება სამრეწველო სასამართლოებში გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

მეორე, სამრეწველო სასამართლოები ხელსაყრელია მუშებისთვის იმით, რომ აქ მოსამართლეებს გაცილებით უკეთ გაეგებათ საფაბრიკო-საქარხნო საქმეები, მასთან მოსამართლენი უცხო მოხელეები კი არ არიან, არამედ ადგილობრივი ადამიანები, რომლებმაც იციან მუშათა ცხოვრების და ადგილობრივი წარმოების პირობები, თანაც მოსამართლეთა ნახევარი მუშებია, რომელნიც ყოველთვის სამართლიანად მოეპყრობიან მუშას და არ შეხედავენ მას როგორც ლოთს, თავხედსა და უვიცს (როგორც უყურებენ უმეტეს შემთხვევაში მუშებს მოსამართლე-მოხელენი, რომლებიც გამოსულნი არიან ბურჟუაზიული კლასიდან, შეძლებულთა კლასიდან და რომელნიც თითქმის ყოველთვის ინარჩუნებენ კავშირს ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან, მეფაბრიკეებთან, დირექტორებთან, ინჟინრებთან, მუშებისგან კი თითქოს ჩინური კედლით არიან გამოყოფილი). მოსამართლე-მოხელენი ყველაზე მეტად იმაზე ზრუნავენ, რომ საქმე კარგად იყოს ქაღალდზე: ოღონდ ქაღალდებში იყოს ყველაფერი რიგზე, სხვა რამეზე მოხელე თავს არ იტკივებს, ის ცდილობს მხოლოდ თავისი ჯამაგირი მიიღოს და მლიქვნელობით უფროსთა ყურადღება დაიმსახუროს. ამიტომაა, რომ ჩინოვნიკურ სასამართლოებში ასე საზიზღრად ფეხმოდგმულია საქმის გაჭიანურება, დავაქრობა და ხრიკიანობა: როგორღაც ისე ვერ ჩასწერე ქაღალდში, როგორც შემოღებულია, თავის დროზე ვერ შეიტანე ოქმში

რაიმე და საქმეც დაიღუპა, თუნდაც ის სამართლიანი იყოს. როცა მოსამართლეები არჩეულნი არიან მეფაბრიკეებისა და მუშებისგან, მათთვის სრულიადაც საჭირო არ არის საქმის გაჭიანურება: ისინი ჯამაგირისთვის არ მსახურობენ, მოხელე-მუქთახორებზე დამოკიდებული არ არიან. იმაზე კი არ ზრუნავენ ისინი, რომ კიდევ უკეთესი ადგილი იშოვნონ, არამედ იმაზე, რომ მოაგვარონ დავა, რაც ხელს უშლის მეფაბრიკეებს შეუჩერებლივ გაუძღვნენ თავიანთ წარმოებას, ხელს უშლის მუშებს მშვიდად განაგრძონ თავიანთი მუშაობა და ნაკლებად ეშინოდეთ მეპატრონეთა ახირებისა და მათგან უსამართლო წყენინებისა. ამას გარდა, მეპატრონეთა და მუშებს შორის დავის გასარჩევად საჭიროა კარგად, საკუთარი გამოცდილებით, იცნობდე საფაბრიკო ცხოვრებას. მოხელე-მოსამართლემ ჩაიხედა მუშის წიგნაკში, წაიკითხა წესი, — და სხვას არას დაგიდევს: აქაო-და, დარღვეულია წესი, მაშ პასუხიც აგე, სხვა მე არაფერი მესაქმებაო. მუშებისა და მეპატრონეთაგან არჩეული მოსამართლეები მარტო ქაღალდებს კი არ უყურებენ, არამედ იმასაც, თუ როგორ ხდება საქმე ცხოვრებაში. ზოგჯერ მოხდება, რომ წესი არხეინად არის თავისთვის ქაღალდზე, სინამდვილეში კი სულ სხვაგვარადაა. მოსამართლე-მოხელეს ხშირად, ძალიანაც რომ სურდეს, სრულიად გულდასმითაც რომ შეუდგეს ის საქმის გარჩევას, მაინც არ შეუძლია მიხვდეს რაშია საქმის არსი, იმიტომ რომ ის არ იცნობს ზნე-ჩვეულებებს, არ იცის შეფასების შედგენის წესი, მან არ იცის ხშირად როგორ სწურავენ მუშას უკანასკნელ ოფლს ოსტატები წესებისა და შეფასების დაურღვევლადაც (მაგალითად, გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, აწვდიან სხვა მასალას და სხვ. და სხვ.). არჩეული მოსამართლენი, რომლებიც თვითონ მუშაობენ ან თვითონ განაგებენ საფაბრიკო საქმეებს, ერთბაშად ერკვევიან ყველა ასეთ საკითხში, მათთვის ადვილად გასაგებია, რა სურს ნამდვილად მუშას, ისინი მარტო იმისთვის კი არ ზრუნავენ, რომ დაცულ იქნას წესები, არამედ იმისთვისაც, რომ ყველაფერი ისე მოაგვარონ, რომ შეუძლებელი იყოს მუშის შევიწროება წესების გვერდის ავლით, რომ საბაბიც კი არ

იქნეს მოტყუებისა და თვითნებობისთვის. აი ამას წინათ გაზეთებში ცნობა იყო, რომ მუშა-მექუდეებს კინაღამ მსჯავრი დასდეს მეპატრონის საჩივრის გამო, ქურდობისთვის,—მუშები თურმე ქუდების ჩამონაჭრებით სარგებლობდნენ; კიდევ კარგი, რომ გამოჩნდნენ პატიოსანი ადვოკატები, რომლებმაც შეკრიბეს ცნობები და დაამტკიცეს, რომ ამნაირია ჩვეულება ამ სარეწში და მუშები არამც თუ ქურდები არ არიან, არამედ მათ არავითარი წესებიც კი არ დაურღვევიათო. მაგრამ ჩვეულებრივი, უბრალო მუშა, რომელიც სულ მცირე ხელფასს ღებულობს, ზომ თითქმის ვერასოდეს ვერ იშოვნის კარგ ადვოკატს, და ამიტომაც, როგორც ეს ყოველმა მუშამ იცის, მოხელე-მოსამართლეებს ძალიან ხშირად უსასტიკესი და უაზროდ მკაცრი განაჩენები გამოაქვთ მუშების საქმეებზე. მოხელე-მოსამართლეებისგან არასდროს არ შეიძლება მოველოდეთ სრულ სამართლიანობას: ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს მოსამართლეები ბურჟუაზიულ კლასს ეკუთვნიან და წინასწარ განწყობილი არიან დაიჯერონ ყველაფერი, რასაც მათ მეფაბრიკე ეუბნება, და არ დაიჯერონ ის, რასაც მუშა ამბობს. მოსამართლე ჩაიხედავს კანონში: პირადი დაქირავების ხელშეკრულებაა (ერთი კაცი ქირავდება და ხელფასს იღებს იმისთვის, რომ მეორეს გაუკეთოს რაიმე ანდა ემსახუროს მას). და მოსამართლისთვის სულერთია, ქირაობს მეფაბრიკე ინჟინერს, ექიმს, ფაბრიკის დირექტორს თუ შავ მუშას; მოსამართლე ფიქრობს (თავისი კანცელარული სულისა და ბურჟუაზიული სიჩლუნგის წყალობით), რომ შავმა მუშამ ისევე კარგად უნდა იცოდეს თავისი უფლებები და ისევე უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულებაში ყველაფერი, რაც საჭიროა, როგორც დირექტორმა, ექიმმა, ინჟინერმა. სამრეწველო სასამართლოში კი მოსამართლეებად (სანახევროდ) არიან მუშების მიერ არჩეულები, რომელთაც ძალიან კარგად ესმით, რომ ახლად მიღებული ან ახალგაზრდა მუშა ხშირად თავს ისე გრძნობს ფაბრიკაში ან კანტორაში, როგორც უღრან ტყეში და ვერც კი წარმოუდგენია, რომ ის სდებს «თავისუფალ ხელშეკრულებას» და შეუძლია «გაითვალისწინოს» მასში ყველა მისთვის სასურ-

ველი პირობა. მაგალითისთვის ავიღოთ თუ გინდ ასეთი შემთხვევა: მუშას სურს გაასაჩივროს უსამართლო წუნდება ან დაჯარიმება. ფიქრიც ზედმეტია იმაზე, რომ საჩივრით მიმართოს ამისთვის მოხელე-მოსამართლეს ან მოხელე-საფაბრიკო ინსპექტორს. მოხელე დაიჩემებს მხოლოდ ერთს: კანონი უფლებას აძლევს მეფაბრიკეს დააჯარიმოს მუშები და დაიწუნოს ცუდი ნამუშევარი, და ეს მეფაბრიკის საქმეა გამოარკვიოს — როდის არის ცუდი ნამუშევარი, როდის დააშავა რამე მუშამ. ამიტომაა, რომ მუშები ასე იშვიათად მიმართავენ ხოლმე სასამართლოს ამგვარი საჩივრებით: მუშები ითმენენ უფლებათა ბოროტად გამოყენებას, ითმენენ, ხოლო როცა მათი მოთმინების ფიალა აივსება ხოლმე, გაიფიცებიან. მოსამართლეთა შორის რომ მუშების მიერ არჩეული მოსამართლენი იყვნენ, მაშინ მუშებისთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა მიეღწიათ სიმართლისთვის, დაეცვათ თავიანთი ინტერესები ასეთ საქმეშიც და ყველა სხვა წვრილმანი დავისა და წყენინების საქმეშიც, რაც ფაბრიკაში წამოიჭრება ხოლმე. ეს ხომ მდიდარ მოხელე-მოსამართლეს ჰგონია, რომ ასეთი წვრილმანები ყურადღების ღირსიც არ არის (რაღაც ადუღებული წყალი ჩაისთვის, ან მანქანის ერთხელ ზედმეტად გაწმენდა, ან სხვა რამ ასეთი), მუშისთვის კი ეს სრულიადაც არ არის წვრილმანი რამ; მხოლოდ თვით მუშებს შეუძლიათ განსაჯონ, თუ ზოგჯერ რა უამრავ შევიწროებას, შეურაცხყოფასა და დამცირებას იწვევს ფაბრიკაში არსებული სრულიად წვრილმანი და ერთი შეხედვით უბრალო, უწყინარი წესები.

მესამე, სამრეწველო სასამართლოები ხელსაყრელია მუშისთვის იმით, რომ მუშები სწავლობენ იქ და მათი საშუალებით ეცნობიან კანონებს. ჩვეულებრივ მუშებმა (მასამ) კანონები არ იციან, და არც შეუძლიათ იცოდნენ, თუმცა მათ კანონის არცოდნისთვის მაინც სჯიან მოხელეები და მოხელე მოსამართლეები. უკეთუ მუშა, როდესაც მოხელე მიუთითებს კანონზე, მიუგებს, რომ მან არაფერი იცოდა ასეთი კანონის შესახებ, მოხელე (და მოსამართლე) ან გაიცინებს, ან ლანძღვას დაიწყებს: «არავის არა აქვს უფლება კანონის არ-

ცოდნით თავი გაიმართლოს» — აი რას ამბობს რუსეთის ძირითადი კანონი. ამიტომ ყოველი მოხელე და მოსამართლე ვ ა რ ა უ დ ო ბ ს, რომ თვითეულმა მუშამ იცის კანონები. მაგრამ ასეთი ვარაუდი ხომ ბურჟუაზიული სიცრუეა, სიცრუე, შეთხზული შეძლებულთა და კაპიტალისტთა მიერ ღარიბთა წინააღმდეგ, ისეთივე სიცრუე, როგორც იმის ვარაუდიც, თითქოს მუშა მეპატრონესთან «თავისუფალ ხელშეკრულებას» სდებდეს. ნამდვილად კი იმ მუშას, რომელიც პატარაობიდანვე ფაბრიკაშია, ისე რომ ძლივძლივობით შეისწავლა წერა-კითხვა (ძალიან ბევრი კი წერა-კითხვის შესწავლასაც ვერ ახერხებს!), სად სცალია კანონების შესასწავლად, ან ვისგან უნდა ისწავლოს იგი, ანდა რისთვის, — იმიტომ რომ, თუკი ბურჟუაზიის წრიდან გამოსული მოხელეები კანონებს ისე იყენებენ, რომ მუშას არც კი ეკითხებიან, — მაშინ ცოტა სარგებლობას მოუტანს კანონები მუშას! ბურჟუაზიულ კლასებს, რომლებიც მუშებს ბრალს სდებენ კანონების არცოდნაში, თვითონ სრულიად არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ გაეადვილებინათ მუშებისთვის ასეთი ცოდნის შეძენა; ამიტომ მუშების მიერ კანონების არცოდნაში იმდენად თვით მუშები არ არიან დამნაშავენი, რამდენადაც მათი ექსპლოატატორები (=მძარცველები), რომელნიც მთელს საკუთრებას ფლობენ, სხვისი შრომით ცხოვრობენ და სწადიათ მარტოოდენ თვითონ ისარგებლონ განათლებით და მეცნიერებით. ვერავითარი სკოლა და ვერავითარი წიგნები ვერ მისცემს მუშებს კანონების ცოდნას, და არც შეუძლია მისცეს, იმიტომ რომ წიგნების კითხვა შეუძლია მხოლოდ მუშების მეტად მცირე რიცხვს იმ მილიონობით მშრომელი ხალხის მასიდან, რომელიც კაპიტალის უღელქვეშ გმინავს; ამავე მიზეზის გამო სკოლითაც ცოტანი სარგებლობენ, და იმათაც კი, ვინც სკოლას ამთავრებს, მეტწილად მხოლოდ წერა-კითხვა და ანგარიში იციან; ეს კი მეტად ცოტაა იმისათვის, რომ კაცი ისეთ რთულსა და ძნელ დარგში გაერკვეს, როგორიცაა რუსული კანონები. მუშებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გაეცნონ კანონებს, როცა თვით მოუხდებათ ამ კანონების გამოყენება და როდესაც მოისმენენ და ნახავენ ამ

კანონების მიხედვით მოქმედ სასამართლოს. მუშებს, მაგალითად, უკეთ ეცოდინებოდათ კანონები, მათ რომ ნაფიც მსაჯულებად ნიშნავდნენ (ისე კი, რომ მეფაბრიკეებს ავალდებულებდნენ წინანდებურად აძლიოს ხელფასი მუშებს იმ დღეებისთვისაც, რომელთაც ისინი სასამართლოში დაჰყოფენ); მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისეა საქმე მოწყობილი, რომ ნაფიც მსაჯულებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ შეძლებულთა კლასიდან გამოსულნი (და კიდევ ის გლეხები, რომელნიც გამოწაფული არიან «საზოგადოებრივ სამსახურში», ე. ი. სინამდვილეში პოლიციის დაბალ თანამდებობებზე სამსახურში); ღარიბნი კი, პროლეტარები მხოლოდ სხვის სამართალს უნდა დაემორჩილონ, თვითონ კი გასამართლების უფლება არა აქვთ! როცა სამრეწველო სასამართლოები არსდება, მუშები თვითონ ირჩევენ მოსამართლეებად თავიანთ ამხანაგებს და ასეთი არჩევნები მეორდება განსაზღვრულ ვადებში; ამგვარად, არჩეული მუშა-მოსამართლეები თვითონ იყენებენ კანონებს და მათ შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ კანონებს პრაქტიკულად, ესე-იგი არა მარტო წაიკითხონ წიგნებში დაბეჭდილი კანონები (ეს ხომ ოდნავადაც არ ნიშნავს კანონების გაცნობას), არამედ საქმითაც დარწმუნდნენ იმაში, თუ რა შემთხვევაში და სახელდობრ როდის იყენებენ ამა თუ იმ კანონებს და რა გავლენას ახდენენ ისინი მუშებზე. შემდეგ კი, არჩეულ მოსამართლეებს გარდა, დანარჩენი მუშებიც გაცილებით ადვილად ეცნობიან კანონებს სამრეწველო სასამართლოების მოწყობისას, იმიტომ რომ თავის ამხანაგ მოსამართლეს მუშა ყოველთვის ადვილად მოელაპარაკება და მიიღებს მისგან საჭირო ცნობებს. რადგანაც სამრეწველო სასამართლო უფრო ხელმისაწვდომია მუშებისთვის, ვიდრე მოხელეების სასამართლო, მუშებიც გაცილებით უფრო ხშირად ესწრებიან მას, ისმენენ იმ საქმეთა გარჩევას, რომლებშიც მონაწილეობენ მათი ნათესავები და ნაცნობები, და ამგვარად ეცნობიან კანონებს. მუშა-კაცისთვის კი ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო წიგნებით, არამედ თვით ცხოვრებაში გაეცნოს კანონებს, რათა გაიგოს ვისი ინტერესების სასარგებლოდ არის შედგენილი ეს

კანონები, ვისი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ ის ადამიანები, რომელნიც კანონებს იყენებენ. როცა კანონს გაეცნობა, ყოველი მუშა ცხადად დაინახავს, რომ კანონი იცავს შეძლებული კლასის, მესაკუთრეების, კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს, და რომ მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავისი ბედის მტკიცედ და ძირეულად გაუმჯობესებას, ვიდრე თვითონ არ მოიპოვებს უფლებას აირჩიოს თავისი წარმომადგენლები კანონების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად და მათი შესრულებისთვის თვალყურის სადევნებლად.

შემდეგ (მეოთხე), სამრეწველო სასამართლოების კარგი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აჩვევენ მუშებს დამოუკიდებელი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ საქმეებში (იმიტომ რომ სასამართლო სახელმწიფო დაწესებულებაა, სასამართლოს მოღვაწეობა — სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთი ნაწილია), აჩვევენ მუშებს აირჩიონ უფრო გონიერი, პატიოსანი და მუშათა საქმის მტკიცედ დამცველი ამხანაგები ისეთ თანამდებობებზე, სადაც ამ მუშების მოღვაწეობას ხედავს მთელი მუშათა კლასი, ისეთ თანამდებობებზე, სადაც მუშათა წარმომადგენლებს შეეძლებათ წამოაყენონ ყველა მუშის საჭიროებანი და მოთხოვნები. კაპიტალისტთა კლასის, მთელი ბურჟუაზიის ინტერესი ისაა, რომ მუშები დასტოვონ უვიცნი და დაჭსაჭსულნი, რომ ჩქარა მოიშორონ ხოლმე თავიდან ის მუშები, რომელნიც სხვებზე ჭკვიანი არიან და თავიანთ ჭკუასა და ცოდნას იმისთვის კი არ იყენებენ, რომ მუშათა საქმის მოღალატენი გახდნენ და ოსტატთა, მეპატრონეთა და პოლიციელთა გული მოიგონ, არამედ იმისთვის, რომ დაეხმარონ დანარჩენ მუშებსაც მეტი ცოდნა შეიძინონ და მუშათა საქმის ერთობლივად დაცვა შეისწავლონ. მაგრამ მუშათა საქმისთვის ასე საჭირო მოწინავე მუშებს რომ ყველა მუშა იცნობდეს და ენდობოდეს, ამისთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხედავდეს ამ მუშის მოღვაწეობას, რომ ყველამ იცოდეს, შეუძლია თუ არა მას მუშების ნამდვილ საჭიროებათა და სურვილების გამოხატვა და

მათი დაცვა. მუშებს რომ შეეძლოთ ამნაირი ადამიანების არჩევა მოსამართლეებად, მაშინ მუშების საუკეთესო ადამიანებს ყველა გაიცნობდა, მათ მეტი ნდობა ექნებოდათ, და მუშათა საქმეც ამით დიდად მოიგებდა. შეხედეთ ჩვენს მიწათმფლობელებს, მრეწველებსა და ვაჭრებს: ისინი ხომ არ კმაყოფილდებიან იმით, რომ თვითეულ მათგანს შეუძლია მივიდეს გუბერნატორთან, გინდ მინისტრთან და თავისი სათხოვარი განუცხადოს; ამას გარდა ისინი ცდილობენ იმის მიღწევას, რომ მათი არჩეული წარმომადგენლები სასამართლოს სხდომებშიც მონაწილეობდნენ (სასამართლოები წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით) და პირდაპირ მონაწილეობასაც ღებულობდნენ მართვა-გამგეობაში (მაგ., თავადაზნაურების მიერ არჩეული თავადაზნაურობის წინამძღოლები, სკოლების მზრუნველები და სხვ.; საფაბრიკო საკრებულოთა წევრები, საბირჟო და საბაზრო კომიტეტების წევრები და სხვ., რომლებსაც ვაჭრები ირჩევენ). მუშათა კლასი კი რუსეთში სრულიად უუფლებოა: მას ისე უყურებენ, როგორც სასაპალნე პირუტყვს, რომელიც სხვისთვის უნდა მუშაობდეს და ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდეს თავის საჭიროებათა და სურვილების გამოსახატავად. მუშები რომ მუდამ ირჩევდნენ თავიანთ ამხანაგებს სამრეწველო სასამართლოებში, ამით მათ ოდნავ მაინც მიეცემოდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ საზოგადო საქმეებში და იქ გამოეთქვათ არა მარტო ცალკეული მუშების, პეტრეს, ისიდორეს ან ივანეს აზრები, არამედ წამოეყენებინათ ყველა მუშის აზრები და მოთხოვნები. მაშინ მუშებიც ისე უნდობლად აღარ მოექცეოდნენ სასამართლოებს, როგორც მოხელეთა სასამართლოებს ექცევიან: ისინი დაინახავდნენ, რომ იქ არიან მათი ამხანაგები, რომელნიც მათ ინტერესებს დაიცავენ.

შემდეგ (მეხუთე), სამრეწველო სასამართლოები იმით არის ხელსაყრელი მუშებისთვის, რომ მათი საშუალებით უფრო მეტად გამოაშკარავდებოდა ფაბრიკის საქმეები და საფაბრიკო ცხოვრების ყველა შემთხვევა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მე-

ფაბრიკეებიც და მთავრობაც მთელი ძალღონით ცდილობენ დაუმალონ საზოგადოებას ყველაფერი ის, რაც ფაბრიკათა სამყაროში ხდება: გაფიცვების შესახებ წერა აკრძალულია, შესწყვიტეს მუშების მდგომარეობის შესახებ საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშების გამოქვეყნებაც, ხელს აფარებენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას და ცდილობენ «ფარულად», ბიუროკრატიული წესით მოაგვარონ საქმე, სდევნიან მუშების ყოველგვარ კრებებს. გასაკვირი არ არის, რომ მუშათა მასამ ხშირად ძალიან ცუდად იცის, თუ რა ხდება სხვა ფაბრიკებში ანდა იმავე ფაბრიკის სხვა განყოფილებებში. სამრეწველო სასამართლოები, სადაც ხშირად მიმართვის შესაძლებლობა მუშებს ექნებოდათ, სადაც საქმე იწარმოებდა მუშებისათვის თავისუფალ დროს და საჯაროდ, ე. ი. მუშების თანადასწრებით, ასეთი სასამართლოები დიდ სარგებლობას მოუტანდნენ მუშებს იმითაც, რომ ხელს შეუწყობდნენ ყოველგვარი ბოროტმოქმედების გამჟღავნებას, გაუადვილებდნენ ამით მუშებს ფაბრიკის სხვადასხვა საძაგლობის წინააღმდეგ ბრძოლას, შეაჩვევდნენ მათ ეფიქრათ არა მარტო თავიანთი ფაბრიკის წესებზე, არამედ ყველა ფაბრიკის წესებზეც, ყველა მუშის მდგომარეობაზე *.

* რა თქმა უნდა, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამრეწველო სასამართლოები შეიძლება იყოს ასეთი გამჟღავნების მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება და გზა, მაგრამ, რასაკვირველია, არა მთავარი გზა. საფაბრიკო ცხოვრების, მუშათა მდგომარეობის და მათი ბრძოლის ნამდვილი და სრული გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ მუშათა თავისუფალ გაზეთებში და თავისუფალ სახალხო კრებებზე, რომელნიც განიხილავენ ყველა სახელმწიფო საქმეს. სწორედ ასევე მუშების წარმომადგენლობაც სამრეწველო სასამართლოებში არის წარმომადგენლობის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ, რასაკვირველია, არა მთავარი საშუალება: მუშათა ინტერესებისა და საჭიროებათა ნამდვილი წარმომადგენლობა შესაძლებელია მხოლოდ სრულიად-სახალხო წარმომადგენლობითს დაწესებულებაში (პარლამენტში), რომელიც გამოსცემდა კანონებს და თვალყურს ადევნებდა მათს შესრულებას. ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა რუსეთში არსებული დღევანდელი წესების პირობებში სამრეწველო სასამართლოები.

ბოლოს, არ შეიძლება დუმილით გვერდი ავუაროთ სამრეწველო სასამართლოების კიდევ ერთ სარგებლიანობასაც: ეს სასამართლოები აჩვევენ მეფაბრიკეებს, დირექტორებს, ოსტატებს ზრდილობიანად მოეპყრან მუშებს, როგორც თანასწორუფლებიან მოქალაქეებს, და არა როგორც შინაყმებს. ყოველმა მუშამ იცის, თუ ხშირად მეფაბრიკეები და ოსტატები როგორ საძაგლად და უხეშად ეპყრობიან მუშებს, ლანძღავენ და სხვ. საჩივრის აღძვრა ამის შესახებ მუშისთვის ძნელია, წინააღმდეგობის გაწევა კი მოსახერხებელია მხოლოდ იქ, სადაც ყველა მუშა საკმაოდ გათვითცნობიერებულია და მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ამხანაგს. მეფაბრიკეები და ოსტატები ამბობენ, ჩვენი მუშები მეტად უვიცნი და უხეშნი არიან, ამიტომაც გვიხდება ტლანქად მოპყრობაო. ჩვენს მუშათა კლასში, მართლაც, ჯერ კიდევ ბევრია ბატონყმობის კვალი, ცოტაა განათლება და დიდი უხეშობა, — ამას ვერ უარვყოფთ. მაგრამ ვინ არის ამაში ყველაზე უფრო მეტად დამნაშავე? დამნაშავენი არიან სწორედ მეფაბრიკეები, ოსტატები, მოხელეები, რომელთაც თავი ისე უჭირავთ მუშების მიმართ, როგორც ბატონებს ყმების მიმართ, რომელნიც არ სცნობენ მუშას თავის თანასწორ ადამიანად. მუშები მიმართავენ ზრდილობიანი თხოვნით ან კითხვით — და ყოველი მხრიდან ხვდებიან უხეშობას, ლანძღვას, მუქარას. განა აშკარა არ არის, რომ თუ მეფაბრიკეები აბრალებენ მუშებს უხეშობას, აქ ისინი გაღმა ედავებიან? სამრეწველო სასამართლოები კი მალე გადააჩვევდნენ ჩვენს ექსპლოატატორებს უხეშად მოპყრობას: სასამართლოში მუშები მეფაბრიკეების გვერდით იქნებოდნენ მოსამართლეებად, ისინი ერთად გაარჩევდნენ საქმეებს და მისცემდნენ ხმას. მოსამართლე-მეფაბრიკეები იძულებული იქნებოდნენ მოსამართლე-მუშები ეცნოთ თავის თანასწორად და არა დაქირავებულებად. სასამართლოს წინაშე წარსდგებოდნენ მომჩივან-მოპასუხენი და მოწმეები მეფაბრიკეებიდანაც და მუშებიდანაც: მეფაბრიკეები შეეჩვევოდნენ ეწარმოებინათ მუშებთან წესიერი მოლაპარაკება. ეს მეტად მნიშვნელოვანია მუშებისთვის, იმიტომ რომ

ამჟამად ამგვარი მოლაპარაკება მეტად იშვიათად ხერხდება: მეფაბრიკეს იმის გაგონებაც კი არ უნდა, რომ მუშები ირჩევდნენ თავიანთ დეპუტატებს, და მუშებს ერთი გზა დარჩენიათ სალაპარაკოდ: გაფიცვა, ეს გზა კი ძნელია და ხშირად მეტად მძიმე. შემდეგ, მოსამართლეთა რიცხვში მუშებიც რომ იყვნენ, — მაშინ მუშებს შეეძლებოდათ თავისუფლად მიემართათ სასამართლოსთვის და ეჩივლათ უხეში მოპყრობისთვის. მოსამართლე-მუშები ყოველთვის მუშებს დაუჭერდნენ მხარს და მეფაბრიკის ან ოსტატის სამართალში მიცემა უხეშობისთვის დაუკარგავდა მათ ხალისს თავხედურად და ქედმაღლურად მოპყრობოდნენ მუშებს.

ამრიგად, მეპატრონეთა და მუშების მიერ თანაბარი რიცხვით არჩეულ წარმომადგენელთაგან შემდგარ სამრეწველო სასამართლოებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშებისთვის და დიდი სარგებლობა მოაქვთ მათთვის: ისინი გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი არიან მუშებისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი სასამართლოები, იქ ნაკლებია საქმის გაჭიანურება და ჩხირკედელაობა, იქ მოსამართლეებს ესმით საფაბრიკო ცხოვრების პირობები და საქმეს უფრო სამართლიანად არჩევენ, მათი საშუალებით მუშები ეცნობიან კანონებს, ისინი აჩვევენ მუშებს თავიანთი წარმომადგენლების არჩევას და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას, ისინი ფართოდ აცნობენ საზოგადოებას საფაბრიკო ყოფა-ცხოვრებას და მუშათა მოძრაობას, აჩვევენ მეფაბრიკეებს ზრდილობიანად მოეპყრან მუშებს და წესიერი მოლაპარაკება აწარმოონ მათთან, როგორც თანასწორ ადამიანებთან. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველა ევროპულ ქვეყანაში მუშები მოითხოვენ სამრეწველო სასამართლოების დაარსებას, მოითხოვენ, რომ ეს სასამართლოები არსებობდნენ არა მარტო ფაბრიკა-ქარხნების მუშებისთვის (გერმანელებს, ფრანგებს ასეთი სასამართლოები უკვე აქვთ), არამედ იმ მუშებისთვისაც, რომლებიც შინ მუშაობენ კაპიტალისტებისთვის (შინამრეწველებისთვის), და სოფლის მუშებისთვისაც. მთავრობის მიერ დანიშნულ მოხელეებს (არც მოსამართლეებს, არც საფაბ-

რიკო ინსპექტორებს) არასოდეს არ შეუძლიათ ისეთ დაწესებულებათა მაგივრობა გასწიონ, რომელშიც თვით მუშები მიიღებდნენ მონაწილეობას: ყოველივე ჩვენს მიერ ზემოთქმულის შემდეგ ამის ახსნა-განმარტება ზედმეტია. ამასთან ყოველმა მუშამ თვითონაც საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ რას უნდა მოელოდეს ის მოხელეთაგან: ყოველი მუშა მშვენივრად გაიგებს, რომ თუ მას ეტყვიან, თითქოს მოხელეები სრულიადაც ნაკლებ არ იზრუნავენ მუშებზე, ვიდრე თვით მუშების არჩეული წარმომადგენლები, ეს იქნება სიცრუე და მოტყუება. ასეთი მოტყუება მეტად ხელსაყრელია მთავრობისთვის, რომელსაც სურს დასტოვოს მუშები უვიცებად, უუფლებოდ და კაპიტალისტების უტყვ მონებად. და ამიტომაც ასე ხშირად გაიგონებთ ამ ცრუ რწმუნებას იმ მოხელეების ან იმ მწერლებისგან, რომლებიც მეფაბრიკეებსა და მთავრობას იცავენ.

სამრეწველო სასამართლოების აუცილებლობა და სარგებლიანობა მუშებისთვის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ეს დიდი ხანია აღიარეს რუსმა მოხელეებმაც კი. მართალია, მას შემდეგ ისე დიდი ხანი გავიდა, რომ ეს ბევრს კიდეც დაავიწყდა! ეს იყო მაშინ, როცა ჩვენი გლეხები გაანთავისუფლეს ბატონყმური დამოკიდებულებისაგან (1861 წელს, 38 წლის წინათ). დაახლოებით იმავე ხანებში რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა აგრეთვე ახალი კანონებით ძველი კანონები ხელოსნებისა და ფაბრიკის მუშების შესახებ: უკვე მეტად აშკარა იყო მაშინ, რომ გლეხების განთავისუფლების შემდეგ არ შეიძლებოდა ძველი კანონების დატოვება მუშების შესახებ; როცა ამ ძველ კანონებს იმუშავებდნენ, მუშებიდან ბევრი ყმა იყო. და აი მთავრობამ დანიშნა რამდენიმე მოხელისაგან შემდგარი კომისია და დაავალა მათ შეესწავლათ გერმანული და ფრანგული (და სხვა ქვეყნების) კანონები ფაბრიკის მუშების შესახებ და შეედგინათ ხელოსნებისა და ფაბრიკის მუშების შესახებ რუსული კანონების შეცვლის პროექტი. კომისია შედგენილ იქნა მეტად წარჩინებულ პირთაგან. მაგრამ ისინი მაინც შეუდგნენ მუშაობას

და გამოსცეს მთელი ხუთი წიგნი, რომლებშიც გადმოცემული იყო უცხოური კანონები, და შეიმუშავეს რუსეთისთვის ახალი კანონი. ამ კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონით უნდა დაარსებულიყო სამრეწველო სასამართლოები მეფაბრიკეებისა და მუშების მხრივ არჩეულ მოსამართლეთა თანაბარი რიცხვით. ეს პროექტი დაიბეჭდა 1865 წელს, ე. ი. 34 წლის წინათ. მერე, რა უყვეს ამ კანონპროექტსო? — იკითხავს მუშა. რატომ მოხდა, რომ მთავრობამ, რომელმაც ამ მოხელეებს თვითონ მიანდო აუცილებელ ცვლილებათა პროექტის შემუშავება, არ შემოიღო რუსეთში სამრეწველო სასამართლოები?

ამ კომისიის პროექტს ჩვენი მთავრობა ისე მოეპყრა, როგორც ეპყრობა ის ყოველთვის ხალხისა და მუშებისთვის რაოდენადმე მაინც რიგიან პროექტებს. მოხელეები მთავრობამ დააჯილდოვა ჯამაგირით მეფისა და სამშობლოს სასარგებლოდ გაწეული შრომისთვის; მოხელეებს ჩამოჰკიდეს ორდენები, მისცეს უმაღლესი ხარისხები და უფრო შემოსავლიანი ადგილები. მათ მიერ შედგენილი პროექტი კი დამშვიდებით ამოდეს «მაუდის ქვეშ», როგორც ამბობენ ხოლმე კანცელარიებში. ასე დევს ეს პროექტი დღემდე «მაუდის ქვეშ». მთავრობას ფიქრადაც აღარ მოსდის, რომ მუშებს მიანიჭოს უფლება სამრეწველო სასამართლოებში თავიანთივე ამხანაგი-მუშები აირჩიონ.

მაგრამ ხომ ვერ ვიტყვით, რომ მთავრობას მას შემდეგ ერთხელაც არ გახსენებოდეს მუშები. მართალია, ისინი მას გაახსენდებოდა ხოლმე არა ნებაყოფლობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა მრისხანე მღელვარებათა და გაფიცვების ზეგავლენით, მაგრამ მაინც გაახსენდებოდა ხოლმე. მთავრობამ გამოსცა კანონები ფაბრიკებში ბავშვთა მუშაობის აკრძალვის შესახებ, განსაზღვრულ წარმოებებში ქალთა ღამით მუშაობის აკრძალვის შესახებ, სამუშაო დღის შემოკლების შესახებ, საფაბრიკო ინსპექტორების დანიშვნის შესახებ. რა რიგ ხრიკიანადაც უნდა იყოს შედგენილი ეს კანონები, რაც უნდა ბევრი

გასაძრომი ხვრელი ჰქონდეს აქ დატოვებული მეფაბრიკეებს კანონთა დასარღვევად და გვერდის ასავლელად, ამ კანონებს ერთგვარი სარგებლობა მაინც მოაქვთ. მაშ, რატომღა ამჯობინა მთავრობამ არ შემოეღო სამრეწველო სასამართლოები, თუმცა ასეთი კანონი უკვე სავსებით შემუშავებული იყო, არამედ შემოეღო ახალი კანონები და დაენიშნა ახალი მოხელეები — საფაბრიკო ინსპექტორები? ამის მიზეზი სრულიად ნათელია, და მუშებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სავსებით გაიგონ ეს მიზეზი, იმიტომ რომ ამ მაგალითით შეიძლება გავიგოთ რუსეთის მთავრობის მთელი პოლიტიკა მუშათა კლასის მიმართ.

სამრეწველო სასამართლოების ნაცვლად მთავრობამ ახალი მოხელეები იმიტომ დანიშნა, რომ სამრეწველო სასამართლოები აამაღლებდნენ მუშათა შეგნებულობას, აამაღლებდნენ მათში თავიანთი უფლებების, თავიანთი ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსების შეგნებას, შეაჩვევდნენ მათ დამოუკიდებელ ფიქრს სახელმწიფო საქმეებსა და მთელი მუშათა კლასის ინტერესებზე, შეაჩვევდნენ მათ მუშათა წარმომადგენლების თანამდებობაზე აერჩიათ თავიანთი უფრო განვითარებული ამხანაგები, შეარყევდნენ ამრიგად ნაწილობრივ მაინც მარტო თვითნება მოხელეთა თარეშს. და სწორედ ამისი ეშინია ყველაზე მეტად ჩვენს მთავრობას. ის მზადაა მუშებს ცოტაოდენი სამოწყალოც კი გადაუგდოს — (რა თქმა უნდა, ცოტაოდენი სამოწყალო და თანაც ისე, რომ ერთი ხელით, ყველას დასანახად, ზეიმით მისცეს და კეთილისმყოფელად მოაჩვენოს თავი, მეორე ხელით კი ნელ-ნელა, ჩუმად, ისევ წაართვას! 1897 წლის 2 ივნისის საფაბრიკო კანონის მაგალითით მუშებმა უკვე იციან ეს ხერხი!) — მზადაა გაიღოს სამოწყალო, ოღონდ ხელუხლებელი დატოვოს მოხელეთა თვითნებობა და ხელი შეუშალოს მუშების შეგნების გაღვიძებას, ხელი შეუშალოს მათი დამოუკიდებლობის განვითარებას. ამ მისთვის საშინელ საფრთხეს მთავრობა ადვილად აღწევს თავს ახალ მოხელეთა დანიშვნით: მოხელეები — მისი ყურმოჭრილი მსახურნი არიან. მოხელეებს (მაგალითად, საფაბრიკო ინსპექტორებს) რა ენაღვლებათ, თუ აკრძალავენ მათი

ანგარიშების ბეჭდვას, მათ რა ენაღვლებათ, თუ აუკრძალავენ ელაპარაკონ მუშებს მათს უფლებებზე და მეპატრონეთა მხრივ უფლებათა ბოროტად გამოყენებაზე, ძნელი არაა გადააქციონ ისინი ფაბრიკის მომსახურე პოლიციელებად და უბრძანონ მათ აცნობონ ხოლმე პოლიციას მუშათა ყოველი უკმაყოფილებისა და მღელვარების შესახებ.

ამიტომ, სანამ რუსეთში დარჩება ახლანდელი პოლიტიკური წესები, — ე. ი. ხალხის უუფლებობა, ხალხის წინაშე უპასუხისმგებლო მოხელეებისა და პოლიციის თვითნებობა, — ძანამდე მუშებს არ შეუძლიათ მათთვის სასარგებლო სამრეწველო სასამართლოების დაარსების იმედი ჰქონდეთ. მთავრობას ძალიან კარგად ესმის, რომ სამრეწველო სასამართლოები აიძულებდნენ მუშებს სულ მალე გადასულიყვნენ უფრო ძირითად მოთხოვნებზეც. მუშები თავიანთი წარმომადგენლების არჩევისას სამრეწველო სასამართლოებში, მალე დაინახავდნენ, რომ ეს საკმარისი არ არის, რადგან მემამულეები და მეფაბრიკეები, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მუშებს, თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან მრავალ, გაცილებით უფრო მალალ, სახელმწიფო დაწესებულებებში; მუშები უეჭველად მოითხოვდნენ საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობას. იბრძოლებდნენ რა ფაბრიკის საქმეთა და მუშების საჭიროებათა საჯაროდ გამოტანისათვის სასამართლოში, მუშები მალე დაინახავდნენ, რომ ეს საკმარისი არ არის, იმიტომ რომ ამ საქმეთა ნამდვილი საჯარო გამოტანა ჩვენს დროში შეუძლიათ მხოლოდ გაზეთებს და სახალხო კრებებს, და მუშებიც მოითხოვდნენ კრებების, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. *აი ამიტომაც იყო, რომ მთავრობამ დაასამარა სამრეწველო სასამართლოების რუსეთში შემოღების პროექტი!*

მეორე მხრივ, წარმოვიდგინოთ ერთი წამით, რომ მთავრობამ განზრახ, მუშების მოსატყუებლად, ახლავე, ახლანდელი პოლიტიკური წესების შეუცვლელად, შემოიღო სამრეწველო სასამართლოები. იქნებოდა თუ არა ეს სასარგებლო მუშებისთვის? არავითარ სარგებლობას ეს მათ არ მოუტანდა: მუშები

თვითონაც კი არ აირჩევდნენ ამ სასამართლოებში თავიანთ უფრო შეგნებულ, პატიოსან და მუშათა საქმისთვის თავდადებულ ამხანაგებს, რადგან მათ იციან, რომ რუსეთში ყოველი პირდაპირი და პატიოსანი სიტყვისთვის პოლიციის უბრალო ბრძანებით შეუძლიათ კაცს ხელი სტაცონ და გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ჩააგდონ საპყრობილეში ან გადაასახლონ ციმბირში.

მაშასადამე, სამრეწველო სასამართლოების შემოღების მოთხოვნა მუშების მიერ არჩეული წარმომადგენლების მონაწილეობით მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილია უფრო ფართო და ძირითადი მოთხოვნისა: ხალხისთვის პოლიტიკურ უფლებათა მოთხოვნისა, ე. ი. უფლებისა, რომ ხალხმა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და აშკარად განაცხადოს ხალხის საჭიროებათა შესახებ არა მარტო გაზეთებში, არამედ სახალხო კრებებზედაც.

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» № 8 — 9-ში

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით

გაფიცვების შესახებ [96]

მუშათა გაფიცვები რუსეთში უკანასკნელ წლებში მეტისმეტად გახშირდა. არ დარჩენილა არც ერთი სამრეწველო გუბერნია, სადაც რამდენიმე გაფიცვა არ მომხდარიყოს. დიდ ქალაქებში ხომ გაფიცვები სრულიად არ შეწყვეტილა. ამიტომ გასაგებია, რომ შეგნებული მუშებიც და სოციალისტებიც უფრო და უფრო ხშირად აყენებენ საკითხს გაფიცვების მნიშვნელობის შესახებ, გაფიცვების წარმოების წესებისა და გაფიცვებში სოციალისტების მონაწილეობის ამოცანების შესახებ.

ჩვენ გვსურს შევეცადოთ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ ამ საკითხებზე. პირველ სტატიაში ჩვენ ვფიქრობთ ვილაპარაკოთ გაფიცვის მნიშვნელობაზე მუშათა მოძრაობაში საერთოდ; მეორე სტატიაში — რუსეთის კანონებზე გაფიცვების წინააღმდეგ, მესამეში — იმაზე, როგორ აწარმოებდნენ და აწარმოებენ გაფიცვებს რუსეთში და როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ შეგნებულმა მუშებმა ამ გაფიცვებისადმი.

I

უწინარეს ყოვლისა უნდა დაისვას საკითხი, რით აიხსნება გაფიცვების წარმოშობა და გავრცელება. ყველა, ვინც მოიგონებს გაფიცვების ყველა შემთხვევას, რომელთაც იგი იცნობს პირადი გამოცდილებით, სხვების ნაამბობით ან გაზეთებით, — ერთბაშად დაინახავს, რომ გაფიცვა იწყება და ვრცელდება იქ, სადაც ჩნდებიან და ვრცელდებიან დიდი ფაბ-

რიკები. უდიდესი ფაბრიკებიდან, სადაც რამდენიმე ასი (ზოგჯერ ათასიც) მუშა მუშაობს, საეჭვოა მოინახოს ერთიც კი, სადაც არ მომხდარიყოს მუშათა გაფიცვა. როდესაც რუსეთში ცოტა იყო დიდი ფაბრიკები და ქარხნები, ცოტა იყო გაფიცვებიც, მას შემდეგ კი, რაც ჩქარი ტემპით იზრდება დიდი ფაბრიკები ძველ საფაბრიკო რაიონებშიც და ახალ ქალაქებსა და სოფლებშიც, — მას შემდეგ უფრო ხშირია გაფიცვები.

რატომ ხდება, რომ მსხვილი საფაბრიკო წარმოება ყოველთვის გაფიცვებს იწვევს? ეს იმიტომ ხდება, რომ კაპიტალიზმი აუცილებლად იწვევს მუშების ბრძოლას მეპატრონეების წინააღმდეგ, ხოლო როცა წარმოება დიდდება, ეს ბრძოლა აუცილებლად საგაფიცვო ბრძოლად იქცევა.

განვმარტოთ ეს.

კაპიტალიზმი ეწოდება საზოგადოების ისეთ წყობილებას, როცა მიწა, ფაბრიკები, იარაღები და სხვ. ეკუთვნის მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა მცირე რიცხვს, ხალხის მასას კი არავითარი ან თითქმის არავითარი საკუთრება არ გააჩნია და ამიტომ მუშად უნდა დაქირავდეს. მიწათმფლობელნი და მეფაბრიკეები ქირაობენ მუშებს, აიძულებენ მათ აწარმოონ ესა თუ ის პროდუქტები, რომელთაც ისინი ყიდიან ბაზარზე. ამასთან მეფაბრიკეები აძლევენ მუშებს მხოლოდ იმდენ ხელფასს, რომ მუშებს ძლივს-ძლივობით შეეძლოთ ამით თავის შენახვა ოჯახიანად, ხოლო ყველაფერ იმას, რასაც მუშა აწარმოებს ამ რაოდენობის პროდუქტებზე მეტს, მეფაბრიკე იდებს თავის ჯიბეში, ეს მისი მოგებაა. ამრიგად, კაპიტალისტური მეურნეობის დროს ხალხის მასა დაქირავებით მუშაობს სხვებთან, მუშაობს არა თავისთვის, არამედ მეპატრონისთვის ქირაზე. გასაგებია, რომ მეპატრონენი ყოველთვის ცდილობენ დაუკლონ მუშებს ხელფასი: რაც უფრო ნაკლებს მისცემენ ისინი მუშებს, მით უფრო მეტი მოგება დარჩებათ. მუშები კი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ხელფასი მიიღონ, რათა მთელი ოჯახი ნოყიერი და საღი საჭმელით გამოკვებონ, კარგ ბინებში იცხოვრონ, შეიმოსონ არა მათხოვრულად, არამედ ისე, როგორც სხვები იმოსებიან. ამრიგად, მეპატრონეებსა და მუ-

შებს შორის მუდამ სწარმოებს ბრძოლა ხელფასის გამო: მეპატრონეს შეუძლია ვინც უნდა ის დაიქირაოს, ამიტომ ის ეძებს ყველაზე იაფ მუშას. მუშას ნება აქვს ვინც მოესურვება, იმას მიექირაოს, ამიტომ ის ეძებს ისეთ მეპატრონეს, რომელიც მას მეტ ხელფასს მისცემს. ქალაქში მუშაობს მუშა თუ სოფლად, ექირავება ის მემამულეს, მდიდარ გლეხს, მოიჯარადრეს თუ მეფაბრიკეს, — ის ყოველთვის ევაჭრება მეპატრონეს, ებრძვის მას ხელფასისთვის.

მაგრამ შეუძლია თუ არა მუშას განმარტოებით აწარმოოს ეს ბრძოლა? მუშა ხალხი სულ უფრო მატულობს: გლეხები ლატაკდებიან და სოფლებიდან ქალაქებსა და ფაბრიკებში გარბიან. მემამულეებს და მეფაბრიკეებს შემოაქვთ მანქანები, რომლებიც მუშებს სამუშაოს ართმევენ. ქალაქებში სულ უფრო მატულობს უმუშევართა რიცხვი, სოფლად სულ უფრო მეტად იზრდება მათხოვართა რიცხვი. დამშეული ხალხი ხელფასს სულ უფრო და უფრო დაბლა სცემს. მუშისთვის შეუძლებელი ხდება განმარტოებით ებრძოლოს მეპატრონეს. თუ მუშა მოითხოვს კარგ ხელფასს ან არ დაეთანხმება ხელფასის შემცირებაზე, — მეპატრონე უპასუხებს: დაიკარგე აქედან, ბევრი მშიერი დგას ჭიშკართან, ისინი სიამოვნებით იმუშავებენ დაბალ ხელფასზეცო.

როცა ხალხის გაჩანაგება იმ ზომამდე მიდის, რომ ქალაქადაც და სოფლადაც ყოველთვის აუარებელი უმუშევარი ხალხია, როცა მეფაბრიკეები აგროვებენ დიდძალ სიმდიდრეს და წვრილ მეპატრონეებს აძევებენ მილიონერები, — მაშინ ცალკეული მუშა სრულიად უძლური ხდება კაპიტალისტის წინაშე. კაპიტალისტს შესაძლებლობა ეძლევა სრულიად გასრისოს მუშა, სული ამოართვას მას კატორღული მუშაობით და არა მარტო მას, არამედ მის ცოლსაც და მის ბავშვებსაც. და მართლაც, შეხედეთ იმ სარეწებს, სადაც მუშებს ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებიათ კანონის მხრივ დაცვა და სადაც მუშებს არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ კაპიტალისტებს, — და თქვენ დაინახავთ უზომოდ გრძელ სამუშაო დღეს, რომელიც 17 — 19 საათს აღწევს, თქვენ დაინახავთ სამუშაო-

ზე 5 — 6 წლის ასაკის ბავშვებს, რომელნიც წელში წყდებიან, თქვენ დაინახავთ მუდამ დამშეულ და შიმშილის გამო დაღუპვის გზაზე დამდგარ მუშათა თაობას. მაგალითი: ის მუშები, რომელნიც შინ მუშაობენ კაპიტალისტებისთვის; ყოველი მუშა მოიგონებს კიდევ მრავალ და მრავალ სხვა მაგალითსაც! მონობისა და ბატონყმობის დროსაც კი არასდროს არ ყოფილა მუშა-ხალხის ისეთი საშინელი ჩაგვრა, რასაც კაპიტალისტები სჩადიან, თუ მუშები ვერ უწევენ მათ წინააღმდეგობას, ვერ ახერხებენ ისეთი კანონების მოპოვებას ბრძოლით, რომელნიც ზღუდავენ მეპატრონეთა თვითნებობას.

და აი ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში რომ თავი არ ჩაიყენონ, მუშები იწყებენ თავგანწირულ ბრძოლას. როცა მუშები ხედავენ, რომ ცალ-ცალკე თვითეული მათგანი სრულიად უძლურია და რომ მას დაღუპვა მოელის კაპიტალის უღელქვეშ, ისინი ერთად იწყებენ აჯანყების მოწყობას თავიანთ მეპატრონეთა წინააღმდეგ. იწყება მუშათა გაფიცვები. თავდაპირველად მუშებს ხშირად არც კი ესმით, რას მოითხოვენ, არა აქვთ შეგნებული რ ი ს თ ვ ი ს სჩადიან ამას: ისინი პირდაპირ ამსხვრევენ მანქანებს, ანგრევენ ფაბრიკებს. მათ სურთ მხოლოდ აგრძნობინონ მეფაბრიკეებს თავიანთი აღშფოთება, ისინი ცდიან თავიანთ შეერთებულ ძალებს, რათა თავი დააღწიონ აუტანელ მდგომარეობას, თუმცა ჯერ კიდევ არ იციან, რატომ არის სახელდობრ მათი მდგომარეობა ასე უიმედო და რა უნდა შეადგენდეს მათ მისწრაფებას.

ყველა ქვეყანაში მუშათა აღშფოთება იწყებოდა ცალკეული აჯანყებებით — ამბოხებებით, როგორც მას უწოდებენ ჩვენში პოლიცია და მეფაბრიკეები. ყველა ქვეყანაში ამ ცალკეულმა აჯანყებებმა წარმოშვეს, ერთი მხრივ, ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი გაფიცვები, ხოლო, მეორე მხრივ, მუშათა კლასის ყოველმხრივი ბრძოლა თავისი განთავისუფლებისთვის.

რა მნიშვნელობა აქვს გაფიცვებს მუშათა კლასის ბრძოლაში? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა ჯერ უფრო ვრცლად შევჩერდეთ აქ გაფიცვებზე. თუ მუშის ხელფასი განისაზღვრება, — როგორც ჩვენ დავინახეთ, — ხელშეკრულე-

ბით მეპატრონესა და მუშას შორის, თუ ამასთან ცალკეული მუშა სრულიად უძლურია, ცხადია, მუშები აუცილებლად ერთად უნდა იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს, აუცილებლად უნდა აწყობდნენ გაფიცვებს, რათა ხელი შეუშალონ მეპატრონეებს ხელფასის შემცირებაში ან რათა მოიპოვონ უფრო მაღალი ხელფასი. და მართლაც, არ მოიპოვება არც ერთი ქვეყანა კაპიტალისტური წყობილებით, სადაც ადგილი არ ჰქონდეს მუშათა გაფიცვებს. ყველა ევროპულ სახელმწიფოში და ამერიკაში მუშები ყველგან უძლურად გრძნობენ თავს ცალ-ცალკე და მეპატრონეთათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ მხოლოდ ერთად, ან გაფიცვის მოწყობით, ან გაფიცვის მუქარით. და რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, რაც უფრო სწრაფად იზრდება მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, რაც უფრო ძლიერ იდევნებიან წვრილი კაპიტალისტები მსხვილი კაპიტალისტების მიერ — მით უფრო უცილობელი ხდება მუშების ერთობლივი წინააღმდეგობის საჭიროება, იმიტომ რომ მით უფრო მწვავდება უმუშევრობა, მით უფრო ძლიერია კონკურენცია კაპიტალისტებს შორის, რომლებიც მიისწრაფიან რაც შეიძლება იაფად აწარმოონ საქონელი (ამისთვის კი მუშებსაც რაც შეიძლება ნაკლები ხელფასი უნდა მისცენ), მით უფრო ძლიერია მრეწველობის მერყეობა და კრიზისები *. როცა მრეწველობა აყვავებულია, მეფაბრიკეები დიდ მოგებას ღებულობენ და მათ აზრადაც არ მოსდით ის მუშებს უწილადონ; კრიზისის დროს კი მეფაბრიკეები ცდილობენ ზარალი მუშებს მოახვიონ თავს. გაფიცვის აუცილებლობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში იმდენად აღიარებულია ყველას

* უფრო დაწვრილებით სამრეწველო კრიზისებზე და მათ მნიშვნელობაზე მუშებისთვის ჩვენ როდისმე სხვა დროს ვილაპარაკებთ. ახლა შევნიშნავთ მხოლოდ, რომ უკანასკნელ წლებში სამრეწველო საქმეები რუსეთში ჩინებულად მიდიოდა, მრეწველობა «ყვაოდა», მაგრამ ახლა (1899 წლის გასულს) უკვე ჩანს იმის აშკარა ნიშნები, რომ ეს «აყვავება» დამთავრდება კრიზისით: საქონლის გასაღების შეფერხებით, მეფაბრიკეების გაკოტრებით, წვრილ მეპატრონეთა გაჩანაგებით და მუშათა საშინელი გაჭირვებით (უმუშევრობით, ხელფასის შემცირებით და სხვ.).

მიერ ევროპულ ქვეყნებში, რომ კანონი იქ არ კრძალავს გაფიცვის მოწყობას, მხოლოდ რუსეთში დარჩა ველური კანონები გაფიცვების წინააღმდეგ (ამ კანონებისა და მათი გამოყენების შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ სხვა დროს).

მაგრამ, რადგან გაფიცვა თვით კაპიტალისტური საზოგადოების არსებიდან გამომდინარეობს, იგი ნიშნავს მუშათა კლასის ბრძოლის დასაწყისს საზოგადოების ამ წყობილების წინააღმდეგ. როცა მდიდარი კაპიტალისტების წინააღმდეგ დგანან ცალკეული უქონელი მუშები, ეს ნიშნავს მუშების სრულ დაშონებას. მაგრამ, როცა ეს უქონელი მუშები ერთდებიან, — საქმე იცვლება. ვერავითარი სიმდიდრე კაპიტალისტებს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს, უკეთუ ისინი ვერ იპოვნიან ისეთ მუშებს, რომლებიც თანახმა იქნებიან იმუშაონ კაპიტალისტების იარაღებით და მასალებით და შექმნან ახალი სიმდიდრე. როცა მუშებს ცალ-ცალკე აქვთ საქმე მეპატრონეებთან, ისინი რჩებიან ნამდვილ მონებად, რომლებიც მუდამ ლუკმა პურისთვის მუშაობენ სხვისთვის და მუდამ მორჩილ და უსიტყვო დაქირავებულად რჩებიან. მაგრამ როცა მუშები ერთად აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს და უარს ამბობენ დაემორჩილონ იმას, ვისაც სქელი ჯიბე აქვს, მაშინ მუშები მონები აღარ არიან, ისინი ადამიანები ხდებიან და იწყებენ იმის მოთხოვნას, რომ მათი შრომა მარტო ერთ მუჭა მუქთახორათა გამდიდრებას კი არ ხმარდებოდეს, არამედ შესაძლებლობას აძლევდეს მშრომელებს ადამიანურად იცხოვრონ. მონები აყენებენ მოთხოვნას, ჩვენი თავის პატრონები უნდა გავხდეთო, მოითხოვენ მუშაობას და ცხოვრებას არა ისე, როგორც ეს მემამულეებს და კაპიტალისტებს სურთ, არამედ ისე, როგორც თვით მშრომელებს სურთ. გაფიცვები ყოველთვის დიდ შიშს სწორედ იმიტომ ჰგვრიან კაპიტალისტებს, რომ ისინი არყევენ მათ ბატონობას. «ყველა ბორბალი დადგება, თუ ამას მოისურვებს შენი ძლიერი ხელიო», — ამბობს მუშათა კლასზე გერმანელი მუშების ერთი სიმღერა. და მართლაც: ფაბრიკები, ქარხნები, მემამულეთა მეურნეობანი, მანქანები, რკინიგზები და სხვ. და სხვ., ყოველივე ეს თითქოს ბორბლებია

ერთი უზარმაზარი მექანიზმისა, — ეს მექანიზმი მოიპოებს სხვადასხვა პროდუქტს, გადაამუშავებს მათ, აწვდის იქ, სადაც საჭიროა. მთელი ეს მექანიზმი მოძრაობაში მოჰყავს მ უ შ ა ს, რომელიც ამუშავებს მიწას, მოიპოებს მადანს, ამზადებს საქონელს ფაბრიკებში, აშენებს სახლებს, სახელოსნოებს, რკინიგზებს. როცა მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე, მთელი ეს მექანიზმი გაჩერებას გვიქადის. ყოველი გაფიცვა მოაგონებს კაპიტალისტებს, რომ ნამდვილი პატრონები არიან არა ისინი, არამედ მუშები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აყენებენ თავიანთ უფლებებს. ყოველი გაფიცვა მოაგონებს მუშებს, რომ მათი მდგომარეობა უიმედო არ არის, რომ ისინი მარტონი არ არიან. შეხედეთ, რა უდიდეს გავლენას ახდენს გაფიცვა გაფიცულებზეც და მეზობელ თუ ახლო მდებარე ფაბრიკების ან იმავე წარმოების ფაბრიკების მუშებზეც. ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს მუშა უსიტყვოდ იტანს ჭაპანწყვეტას, არ ეწინააღმდეგება მეპატრონეს, არ მსჯელობს თავის მდგომარეობაზე. გაფიცვის დროს ის ხმამაღლა აყენებს თავის მოთხოვნებს, მოაგონებს მეპატრონეებს ყველა შეგიწროებას მათი მხრივ, აყენებს თავის უფლებებს, არ ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე, მხოლოდ თავის ხელფასზე — ის ფიქრობს ყველა იმ ამხანაგზეც, რომელთაც მასთან ერთად მიატოვეს სამუშაო და რომელნიც იბრძვიან მუშათა საქმისთვის და არ ეშინიათ გაჭირვებისა. ყოველ გაფიცვას თან მოაქვს მუშისთვის აურაცხელი გაჭირვება და ისეთი საშინელი გაჭირვება, რაც შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ომით გამოწვეულ უბედურებას: ოჯახების დამშევა, სამუშაოს დაკარგვა, ხშირად დაპატიმრება, გადასახლება იმ ქალაქიდან, სადაც მოწყობილია და სამუშაო აქვს. და მიუხედავად ყველა ამ უბედურებისა, მუშები ზიზღით უცქერიან იმათ, ვინც ზურგს აქცევს ყველა ამხანაგს და მეპატრონეს უთანხმდება. მიუხედავად გაფიცვით გამოწვეული გაჭირვებისა, — მეზობელი ფაბრიკების მუშები მუდამ სულიერ აღმავლობას განიცდიან, როცა ხედავენ, რომ მათმა ამხანაგებმა ბრძოლა დაიწყეს. «ის ადამიანები, რომელნიც ასეთ გაჭირვებას იტანენ იმისთვის,

რომ გასტეხონ ერთადერთი ბურჟუის წინააღმდეგობა, შესძლებენ გასტეხონ მთელი ბურჟუაზიის ძალაცო»[97] — ამბობდა სოციალიზმის ერთი დიდი მასწავლებელი, ენგელსი, ინგლისის მუშების გაფიცვათა შესახებ. ხშირად საკმარისია გაიფიცოს მხოლოდ ერთი ფაბრიკა, — და მყისვე იწყება მთელი რიგი გაფიცვები მრავალ ფაბრიკაში. ასე დიდია გაფიცვების ზნეობრივი გავლენა, ასე გადამდებია გავლენა მუშებზე, როცა ისინი ხედავენ თავიანთ ამხანაგებს, რომლებიც თუნდაც დროებით მაინც მონებიდან ხდებიან მდიდრების თანასწორუფლებიან ადამიანებად! ყოველი გაფიცვა მუშებს უდიდესი სიძლიერით აღუძრავს აზრს სოციალიზმზე — მთელი მუშათა კლასის ბრძოლაზე კაპიტალის ჩაგვრისაგან თავის გასათავისუფლებლად. ძალიან ხშირად მომხდარა, რომ დიდ გაფიცვამდე რომელიმე ფაბრიკის ან რომელიმე წარმოების, რომელიმე ქალაქის მუშებს თითქმის არაფერი სცოდნიათ და არც კი უფიქრნიათ სოციალიზმზე, — მაგრამ გაფიცვის შემდეგ მათ შორის სულ უფრო ძლიერად იკიდებს ფეხს წრეები, კავშირები და სულ უფრო და უფრო მეტი მუშები ხდებიან სოციალისტებად.

გაფიცვა ასწავლის მუშებს იმის გაგებას, თუ რაშია მეპატრონეთა ძალა და რაშია მუშების ძალა, ასწავლის იფიქროს არა მარტო თავის მეპატრონეზე და არა მარტო თავის უახლოეს ამხანაგებზე, არამედ ყველა მეპატრონეზე, კაპიტალისტთა მთელ კლასზე და მუშათა მთელ კლასზე. როცა მეფაბრიკე, რომელმაც მილიონები მოხვეჭა მუშების რამდენიმე თაობის შრომით, არ თანხმდება ხელფასის ცოტაოდენ მომატებაზე ანდა კიდეც ცდილობს უფრო შეამციროს ხელფასი და, იმ შემთხვევაში, თუ მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ქუჩაში ყრის ათასობით მშიერ ოჯახს, — მაშინ მუშები ნათლად ხედავენ, რომ კაპიტალისტების მთელი კლასი არის მთელი მუშათა კლასის მტერი, რომ მუშებს შეუძლიათ მხოლოდ თავიანთი თავისა და თავიანთი გაერთიანების იმედი იქონიონ. ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ მეფაბრიკე მთელი

თავისი ძალლონით ცდილობს მოატყუოს მუშები, მოაჩვენოს თავი მათ კეთილისმყოფლად, დაფაროს მუშების ექსპლოატაცია რაიმე უმნიშვნელო მოწყალებით, რაიმე ცრუ დაპირებით. ყოველი გაფიცვა ყოველთვის ერთი დარტყმით აცამტვერებს მთელ ამ მატყუარობას და აჩვენებს მუშებს, რომ მათი «კეთილისმყოფელი» ცხვრის ტყავში გახვეული მგელია.

მაგრამ გაფიცვა თვალს უხელს მუშებს არა მარტო კაპიტალისტებზე, არამედ აგრეთვე მთავრობასა და კანონებზეც. სწორედ ისე, როგორც მეფაბრიკეები ცდილობენ თავი მოაჩვენონ მუშებს კეთილისმყოფლებად, ასევე მოხელეები და მათი მაჩანჩალები ცდილობენ დაარწმუნონ მუშები, რომ მეფე და მეფის მთავრობა მეფაბრიკეებსა და მუშებზე ერთნაირად ზრუნავენ, სამართლიანობის მიხედვით. კანონებს მუშა არ იცნობს, მოხელეებთან, განსაკუთრებით უმაღლეს მოხელეებთან, მას საქმე არა აქვს, და ამიტომ ხშირად სჯერა ყოველივე ეს. მაგრამ აი მოხდა გაფიცვა. ფაბრიკაში ჩნდებიან პროკურორი, საფაბრიკო ინსპექტორი, პოლიცია, ხშირად ჯარიც. მუშებს ეუბნებიან, რომ მათ კანონი დაურღვევიათ: მეფაბრიკეებს კანონი ნებას აძლევს შეიკრიბონ და აშკარად ილაპარაკონ იმაზე, თუ როგორ შეუმცირონ ხელფასი მუშებს, მუშებს კი ერთმანეთისთვის პირის მიცემისთვის დამნაშავეებად აცხადებენ! მუშებს აძევებენ მათი ბინებიდან; პოლიცია ხურავს იმ დუქნებს, საიდანაც მუშებს შეეძლოთ ნისიად სურსათის მიღება, ცდილობენ ჯარისკაცები წაუსისიანონ მუშებს, მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელთ თავი უჭირავთ წყნარად და მშვიდობიანად. ჯარისკაცებს უბრძანებენ ესროლონ კიდეც მუშებს, და როცა ისინი ხოცავენ უიარაღო მუშებს, ესვრიან რა ზურგში გაქცეულთ, მეფე პირადად მადლობას უთვლის ჯარს (ასეთი მადლობა გამოუცხადა მეფემ ჯარისკაცებს, რომელთაც 1895 წელს იაროსლავლში გაფიცული მუშები დახოცეს). ყოველი მუშისთვის ნათელი ხდება, რომ მეფის მთავრობა მუშების უბოროტესი მტერია, რომელიც იცავს კაპიტალისტებს და ხელფეხს უბორკავს მუშებს. მუშა იწყებს იმის შეგნებას, რომ კანონებს სცემენ მხოლოდ მარტო მდიდრების

ინტერესების დასაცავად, რომ მოხელეებიც ისევ მდიდრების ინტერესებს იცავენ, რომ მუშა ხალხს პირში ბურთსა სჩრიან და საშუალებას არ აძლევენ თავის გასაჭირზე ილაპარაკოს, რომ მუშათა კლასმა აუცილებლად უნდა იბრძოლოს გაფიცვების უფლების, მუშათა გაზეთების გამოცემის უფლებისა და იმ სახალხო წარმომადგენლობაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, რომელმაც უნდა გამოსცეს კანონები და თვალყური ადევნოს მათს შესრულებას. და თვით მთავრობასაც ძალიან კარგად ესმის, რომ გაფიცვები მუშებს თვალს უხელს, და ამიტომაცაა, რომ მთავრობას ასე ეშინია გაფიცვებისა, ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ჩააქროს ისინი რაც შეიძლება ჩქარა. გერმანიის ერთმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი იმით, რომ მთელი ძალღონით სდევნიდა სოციალისტებს და შეგნებულ მუშებს, ტყუილად კი არ განაცხადა ერთხელ სახალხო წარმომადგენელთა წინაშე: «ყოველი გაფიცვიდან რევოლუციის გველეშაპი (ურჩხული) გამოიყურებაო»; ყოველი გაფიცვა განამტკიცებს და ავითარებს მუშებში შეგნებას, რომ მთავრობა მისი მტერია, რომ მუშათა კლასი უნდა ემზადოს მთავრობასთან საბრძოლველად ხალხის უფლებებისთვის.

ამრიგად, გაფიცვები აჩვევს მუშებს გაერთიანებას, გაფიცვები უჩვენებს მათ, რომ მხოლოდ ერთად შეუძლიათ მათ იბრძოლონ კაპიტალისტების წინააღმდეგ, გაფიცვები ასწავლის მუშებს იფიქრონ მთელი მუშათა კლასის ბრძოლაზე მთელი მეფაბრიკეთა კლასისა და თვითმპყრობელური, პოლიციური მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომაცაა სწორედ, რომ სოციალისტები გაფიცვებს უწოდებენ «ომის სკოლას», სკოლას, სადაც მუშები სწავლობენ როგორ აწარმოონ ბრძოლა თავიანთი მტრების წინააღმდეგ მთელი ხალხისა და მთელი მშრომელების გასათავისუფლებლად მოხელეებისა და კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან.

მაგრამ «ომის სკოლა» კიდევ არ არის თვით ომი. როცა მუშათა შორის ფართოდ ვრცელდება გაფიცვები, ზოგიერთი მუშა (და ზოგიერთი სოციალისტიც) იწყებს ფიქრს იმაზე, რომ

მუშათა კლასს შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ გაფიცვებით და საგაფიცვო სალაროებით ანუ საზოგადოებებით, რომ მარტოოდენ გაფიცვებით მუშათა კლასს შეუძლია სერიოზულად გაიუმჯობესოს მდგომარეობა ან გაითავისუფლოს კიდეც თავი. როცა ხედავენ, თუ რა ძალას წარმოადგენს მუშათა გაერთიანება და მათი წვრილი გაფიცვებიც კი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ საკმარისია მუშებმა მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა მთელს სახელმწიფოში — და ისინიც დაათმობინებენ კაპიტალისტებსა და მთავრობას ყველაფერს, რაც კი სურთ. ასეთ აზრებს გამოსთქვამდნენ მუშები სხვა ქვეყნებშიც, როცა მუშათა მოძრაობა ის-იყო იწყებოდა და მუშებიც ჯერ კიდევ მეტად გამოუცდელნი იყვნენ. მ ა გ რ ა მ ე ს ა ზ რ ი შ ე მ ც დ ა რ ი ა. გაფიცვები მუშათა კლასის ბრძოლის ე რ თ ე რ თ ი საშუალებაა მისი განთავისუფლებისთვის, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება, და თუ მუშები ყურადღებას არ მიაქცევენ ბრძოლის სხვა საშუალებებს, ამით ისინი შეაფერხებენ მუშათა კლასის ზრდასა და წარმატებებს. მართლაც, გაფიცვების წარმატებისათვის საჭიროა სალაროები, რათა მათი შემწეობით გაფიცვის დროს მუშები არჩინონ. ასეთ სალაროებს მუშები (ჩვეულებრივ ცალკეულ სარეწთა, ცალკეული ხელობისა თუ საამქროთა მუშები) კიდეც აარსებენ ყველა ქვეყანაში, მაგრამ ჩვენში, რუსეთში, ეს განსაკუთრებით ძნელია, იმიტომ რომ პოლიცია უთვალთვალებს მათ და ართმევს ფულს, აპატიმრებს მუშებს. რა თქმა უნდა, მუშებმა ისიც იციან, თუ როგორ დაემალონ პოლიციას; რა თქმა უნდა, ასეთი სალაროების მოწყობა სასარგებლოა, და ჩვენც არ გვსურს მუშებს დავუშალოთ ეს საქმე. მაგრამ არ შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ, როცა კანონით მუშათა სალაროები აკრძალულია, ისინი შესძლებენ წევრების მასობრივად მიზიდვას; ხოლო როცა მუშათა სალაროებში წევრთა მცირე რიცხვი იქნება, სალაროები დიდ სარგებლობას ვერ მოიტანენ. შემდეგ, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც თავისუფლად არსებობენ მუშათა კავშირები და მათ ძლიერი სალაროებიც აქვთ, — იქაც კი მუშათა კლასს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავის ბრძო-

ლაში მხოლოდ გაფიცვებით დაკმაყოფილდეს. საკმარისია მრეწველობის საქმეებში შეფერხება მოხდეს (კრიზისი, რომელიც, მაგალითად, ახლა რუსეთშიც ახლოვდება), — და მეფაბრიკეებიც განგებ იწვევენ გაფიცვებს, იმიტომ რომ მათთვის ზოგჯერ ხელსაყრელია დროებით მუშაობის შეჩერება, ხელსაყრელია მუშათა სალაროების გაკოტრება. ამიტომ მხოლოდ გაფიცვებითა და საგაფიცვო საზოგადოებებით მუშებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ. მეორე, გაფიცვები წარმატებით მიმდინარეობს მხოლოდ იქ, სადაც მუშები უკვე საკმაოდ შეგნებული არიან, სადაც მათ ეხერხებათ გაფიცვებისთვის დროის შერჩევა, ეხერხებათ მოთხოვნების წაყენება, კავშირი აქვთ სოციალისტებთან, რათა ფურცლები და ბროშურები იშოვონ. ასეთი მუშები კი რუსეთში ჯერჯერობით ცოტანი არიან, და მთელი ძალები უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ გავადიდოთ მათი რიცხვი, რომ მუშათა მასები გავაცნოთ მუშათა საქმეს, გავაცნოთ ისინი სოციალიზმსა და მუშათა ბრძოლას. ეს ამოცანა უნდა იკისრონ სოციალისტებმა და შეგნებულმა მუშებმა ერთად და ამისთვის შექმნან სოციალისტური მუშათა პარტია. მესამე, როგორც დავიწახეთ, გაფიცვები უჩვენებს მუშებს, რომ მთავრობა მისი მტერია, რომ საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ. და მართლაც, ყველა ქვეყანაში გაფიცვებმა თანდათანობით ასწავლა მუშათა კლასს ბრძოლის წარმოება მთავრობებთან მუშებისა და მთელი ხალხის უფლებებისთვის. ასეთი ბრძოლის წარმოება, როგორც უკვე ახლა ვთქვით, შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ მუშათა პარტიას, რომელიც მუშათა შორის ავრცელებს სწორ შეხედულებებს მთავრობაზე და მუშათა საქმეზე. ჩვენ სხვა დროს ცალკე ვილაპარაკებთ იმაზე, თუ როგორ სწარმოებს ჩვენში, რუსეთში, გაფიცვები და როგორ უნდა ისარგებლონ ამ გაფიცვებით შეგნებულმა მუშებმა. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ გაფიცვა, როგორც ზემოთ ვთქვით, «ომის სკოლაა» და არა თვით ომი, გაფიცვა ბრძოლის მხოლოდ ერთი საშუალებაა, მუშათა მოძრაობის მხოლოდ ერთი ფორმაა. ცალკეული გაფიცვებიდან მუშებს შეუძლიათ და უნდა გადავიდნენ

ჯიდეც და ყველა ქვეყანაში მართლაც გადადიან მთელი მუშათა კლასის ბრძოლაზე ყველა მშრომელის გასათავისუფლებლად. როცა ყველა შეგნებული მუშა ხდება სოციალისტი, ე. ი. როცა ისინი ისახავენ მიზნად ასეთ განთავისუფლებას, როცა ისინი ერთდებიან მთელს ქვეყანაში, რათა მუშებში სოციალიზმი გაავრცელონ, რათა ასწავლონ მუშებს ბრძოლის ყველა საშუალება მათი მტრების წინააღმდეგ, როცა ისინი ადგენენ სოციალისტურ მუშათა პარტიას, რომელიც იბრძვის მთელი ხალხის განთავისუფლებისთვის მთავრობის მხრივ ჩაგვრისაგან და ყველა მშრომელის განთავისუფლებისთვის კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, — მხოლოდ მაშინ ემხრობა სავსებით მუშათა კლასი ყველა ქვეყნის მუშათა იმ დიად მოძრაობას, რომელიც აერთიანებს ყველა მუშას და მაღლა აფრიალებს წითელ დროშას წარწერით: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»

დაწერილია 1899 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარული რევოლუციის» № 8 — 9-ში

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით

«ისკრისა»[98] და «ზარიას»[99] რედაქციის განცხადების პროექტი

წამოვიწყეთ რა ორი სოციალ-დემოკრატიული ორგანოს: სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალისა და მუშათა საერთო-რუსული გაზეთის გამოცემა, საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენს პროგრამაზე, იმაზე, თუ საითკენ მი-ვისწრაფით და როგორ გვესმის ჩვენი ამოცანები.

ჩვენ განვიცდით უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს რუსე-თის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში; როგორც ჩანს, ყოველივე იმას მოწმობს, რომ ჩვენი მოძრაობა კრიტიკულ სტადიაში იმყოფება: ეს მოძრაობა ისე ფართოდ გაიშალა და რუსეთის სრულიად სხვადასხვა კუთხეში იმდენი ჯანსაღი ყლორტი ამოიყარა, რომ ახლა შეუჩერებელი ძალით იჩენს თავს მისი მისწრაფება — გამაგრ-დეს, მიიღოს უმაღლესი ფორმა, შეიმუშაოს გარკვეული ფი-ზიონომია და ორგანიზაცია. მართლაც, უკანასკნელი წლები ხასიათდება სოციალ-დემოკრატიზმის იდეების განსაცვიფრებ-ლად სწრაფი გავრცელებით ჩვენს ინტელიგენციაში, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ამ მიმდინარეობას ეგებება სრულიად დამოუკიდებელი, სტიქიური მოძრაობა სამრეწველო პროლე-ტარიატისა, რომელიც იწყებს გაერთიანებას და ბრძოლას თა-ვისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, იჩენს რა სოციალიზმისადმი გაცხოველებულ მისწრაფებას. ყველგან ჩნდებიან მუშათა და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა წრეები, ჩნდებიან ადგი-ლობრივი სააგიტაციო ფურცლები, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის მოთხოვნა იმდენად იზრდება, რომ განუზომ-

ლად აჭარბებს მის მიწოდებას, — და მთავრობის გაძლიერებულ დევნასაც აღარ ძალუძს ამ მოძრაობის შეჩერება.

საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია, გადასახლების ადგილები გავსებულია, თითქმის ყოველ თვეს გესმის სოციალისტების «ჩავარდნათა» ამბავი რუსეთის ყველა კუთხეში, ტრანსპორტების დაჭერის, აგიტატორების დაპატიმრების, ლიტერატურისა და სტამბების კონფისკაციის შესახებ, — მაგრამ მოძრაობა კი არ ჩერდება, არამედ სულ უფრო იზრდება, უფრო ფართო რაიონს ედება, სულ უფრო ღრმად იჭრება მუშათა კლასში, სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. და რუსეთის მთელი ეკონომიური განვითარება, რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია იმის თავდებია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა განაგრძობს ზრდას მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და გადალახავს ამ დაბრკოლებებს.

ჩვენი მოძრაობის მთავარი თვისება, რომელიც განსაკუთრებით გეცემა თვალში უკანასკნელ დროს, — ესაა მისი დაქსაქსულობა, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კუსტარული ხასიათი: ადგილობრივი წრეები ჩნდებიან და მოქმედებენ თითქმის სრულიად დამოუკიდებლად სხვა ადგილების წრეებისაგან და (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) იმ წრეებისგანაც კი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იმავე ცენტრებში მოქმედებდნენ და მოქმედებენ; არ მყარდება ტრადიცია და თანამომდევნობა, და ადგილობრივი ლიტერატურაც სავსებით ასახავს ამ დაქსაქსულობას, გამოხატავს კავშირის უქონლობას იმასთან, რაც უკვე შეუქმნია რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. თანამედროვე პერიოდიც სწორედ იმიტომ გვეჩვენება ჩვენ კრიტიკულ პერიოდად, რომ მოძრაობა ვეღარ ურიგდება ამ კუსტარულობასა და ამ დაქსაქსულობას და დაჟინებით მოითხოვს გადასვლას უმაღლეს, უფრო გაერთიანებულ, უკეთ და უფრო ორგანიზებულ ფორმაზე, რომლის შექმნისთვის შრომის გაწევაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია. თავისთავად იგულისხმება, რომ მოძრაობის განსაზღვრულ პერიოდში, მის და-

საწყისში, ეს დაქსაქსულობა სრულიად გარდუვალია, რომ თანამომდევნობის უქონლობა სრულიად ბუნებრივად იქმნება მოძრაობის ასეთი საოცრად სწრაფი და ყველგან ზრდის პირობებში, რევოლუციური მყუდროობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. უეჭველია აგრეთვე, რომ ადგილობრივი პირობების მრავალგვარობა, ამა თუ იმ რაიონში მუშათა კლასის მდგომარეობის სხვადასხვაობა, ბოლოს ადგილობრივ მოღვაწეთა შეხედულებების თავისებურებანიც მუდამ იარსებებს და რომ სწორედ ეს სხვადასხვაობა მოწმობს მოძრაობის ცხოველმყოფელობას და მის ჯანსაღ ზრდას. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ დაქსაქსულობა და არაორგანიზებულობა ხომ სრულიადაც არ წარმოადგენს ამ სხვადასხვაობის აუცილებელ შედეგს. მოძრაობის თანამომდევნობის შენარჩუნება, მისი გაერთიანება სრულიადაც არ გამორიცხავს სხვადასხვაობას, — პირიქით ისინი კიდევაც უფრო ფართო ასპარეზს და თავისუფალ სარბიელს შეუქმნიან მას. მოძრაობის თანამედროვე მომენტში კი დაქსაქსულობა პირდაპირ ააშკარავებს საზიანო მოქმედებას და მოძრაობას ყალბ გზაზე გადაცდენით ემუქრება: ვიწრო პრაქტიციზმს, მოწყვეტილს მთლიანად აღებული მოძრაობის თეორიული გაშუქებისაგან, შეუძლია მოშალოს კავშირი სოციალიზმსა და რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას შორის, ერთი მხრივ, და მუშათა სტიქიურ მოძრაობას შორის, მეორე მხრივ. ეს საშიშროება რომ მოგონილი არაა, ამას ამტკიცებს ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორიცაა «Credo» *, რომელმაც უკვე გამოიწვია სრულიად კანონიერი პროტესტი და გაკიცხვა, შემდეგ, «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება (1899 წლის სექტემბერი). ამ დამატებამ ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატა ის ტენდენცია, რომლითაც გაჟღენთილია მთელი გაზეთი «რაბოჩაია მისლ», მასში აშკარავდება განსაკუთრებული მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში და მასთან ისეთი მიმართულება, რომელსაც შეუძლია ნამდვილი ზიანი მოიტანოს და რომელთანაც აუცილებელია

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ბრძოლა. რუსული ლეგალური ლიტერატურა კი იმ პაროდიით მარქსიზმზე, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებრივი შეგნების გარყვნა შეუძლია, კიდევ აძლიერებს ამ დაბნეულობასა და ანარქიას, რამაც შესაძლებლობა მისცა ცნობილ (თავისი გაკოტრებით ცნობილ) ბერნშტეინს საქვეყნოდ განეცხადებინა პრესაში ისეთი სიყალბე, თითქოს რუსეთში მოქმედი სოციალ-დემოკრატების უმეტესობა მისი მომხრე იყოს.

ჯერ კიდევ ნაადრევი იქნებოდა იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად დიდია ეს უთანხმოება, რამდენად მოსალოდნელია განსაკუთრებული მიმართულების შექმნა (ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ უკვე ახლავე გადავჭრათ ეს საკითხი ამ ვარაუდის დადასტურებით, სრულებითაც არ ვკარგავთ კიდევ ერთად მუშაობის შესაძლებლობის იმედს), მაგრამ თვალის დახუჭვა მდგომარეობის სერიოზულობაზე გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა, ვიდრე ამ უთანხმოების გაზვიადება, და ჩვენც მთელი სულითა და გულით მივესალმებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ლიტერატურული მუშაობის განახლებას და მის დაწყებულ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიზმის გაყალბებისა და შერყვნის ცდის წინააღმდეგ.[100]

პრაქტიკული დასკვნა ყოველივე აქედან ასეთია: ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისთვის, აუცილებელია გავერთიანდეთ და მთელი ჩვენი ძალღონე წარვმართოთ ერთიანი და მტკიცე პარტიის შექმნისაკენ, პარტიისა, რომელიც იბრძოლებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პროგრამის დროშით, დაიცავს მოძრაობის თანამომდევნობას და სისტემატურად შეუწყობს ხელს მის ორგანიზებულობას. ეს დასკვნა ახალი როდია. ასეთი დასკვნა გააკეთეს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა უკვე 2 წლის წინათ, როდესაც რუსეთის უდიდესი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ყრილობაზე 1898 წლის გაზაფხულზე, შექმნეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, გამოაქვეყნეს მისი «მანიფესტი», და «რაბოჩაია გაზეტა» პარტიის ოფიციალურ ორგანოდ აღიარეს. აღვიარებთ რა თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებად, ჩვენ

სავსებით ვიზიარებთ «მანიფესტის» ძირითად იდეებს და ფრიად დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ მას როგორც იმ მიზნების აშკარად და საჯაროდ გამოცხადებას, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ჩვენი პარტია. ამიტომ ჩვენთვის, როგორც პარტიის წევრთათვის, ჩვენი უახლოესი და უშუალო ამოცანების საკითხი ასე დგას: მოღვაწეობის როგორი გეგმა უნდა მივიღოთ ჩვენ, რომ მივაღწიოთ პარტიის რაც შეიძლება უფრო მტკიცე განახლებას? ზოგიერთი ამხანაგი (თვით ზოგიერთი ჯგუფიც და ორგანიზაციაც კი) იმ აზრს ადგია, რომ ამ მიზნისთვის უნდა განახლდეს პარტიის ცენტრალური დაწესებულების არჩევა და დაეკალოს მას პარტიის ორგანოს გამოცემის განახლება.[101] ასეთი გეგმა ჩვენ მიგვაჩნია შემცდარად ან, ყოველ შემთხვევაში, სარისკოდ. პარტიის შექმნა და განმტკიცება ნიშნავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების შექმნასა და განმტკიცებას, ხოლო ასეთ გაერთიანებას უბრალო დეკრეტირებით ვერ შექმნი, მას ვერ შემოიღებ მარტოოდენ რომელიმე, ვთქვათ, წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, ის აუცილებლად უნდა გამომუშავდეს. აუცილებელია გამომუშავდეს, ჯერ-ერთი, პარტიის საერთო ლიტერატურა, საერთო არა მარტო იმ აზრით, რომ ის ემსახურებოდეს მთელი რუსეთის მოძრაობას, და არა ცალკეულ რაიონებს, რომ ის განიხილავდეს მთელი მოძრაობის საკითხებს საერთოდ და დახმარებას უწევდეს შეგნებული პროლეტარების ბრძოლას, და არა მარტოოდენ ადგილობრივ საკითხებს; ეს ლიტერატურა საერთო უნდა იყოს აგრეთვე იმ აზრითაც, რომ აერთიანებდეს ყველა არსებულ ლიტერატურულ ძალას, რომ ის გამოხატავდეს აზრთა და შეხედულებათა ყველა ელფერს რუს სოციალ-დემოკრატთა შორის, არა როგორც განცალკევებულ მუშაკთა, არამედ როგორც ამხანაგთა შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო პროგრამით და ერთი ორგანიზაციის რიგებში საერთო ბრძოლით. მეორე, აუცილებელია გამომუშავდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად იმუშავებს მოძრაობის ყველა ცენტრს შორის კავშირურთიერთობის დამყარებაზე, მოძრაო-

ბის შესახებ სრული ცნობების თავის დროზე მიწოდებაზე და პერიოდული პრესით რუსეთის ყველა კუთხის წესიერად მომარაგებაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამომუშავებული იქნება ასეთი ორგანიზაცია, როცა შეიქმნება რუსეთის სოციალისტური ფოსტა, პარტიის არსებობას ჩაეყრება მტკიცე საფუძველი, მხოლოდ მაშინ გახდება პარტია რეალური ფაქტი და, მაშასადამე, მძლავრი პოლიტიკური ძალაც. და ჩვენი განზრახვაც ის არის, რომ ჩვენი ძალღონე მოვანდომოთ ამ ამოცანის პირველ ნახევარს, ე. ი. საერთო ლიტერატურის გამომუშავებას, ვხედავთ რა ამაში თანამედროვე მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებას და აუცილებელ მოსამზადებელ ნაბიჯს პარტიის მუშაობის განახლებისკენ.

ჩვენი ამოცანის ასეთი ხასიათიდან ბუნებრივად გამომდინარეობს ის პროგრამაც, რომლის მიხედვით უნდა წარიმართოს ის ორგანოები, რომელთაც ჩვენ გამოვცემთ. ამ ორგანოებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს თეორიულ საკითხებს, ე. ი. სოციალ-დემოკრატიზმის ზოგად თეორიასაც და რუსეთის სინამდვილის მიმართ მის გამოყენებასაც. ამ საკითხების ფართოდ განხილვის გადაუდებლობა სწორედ ამჟამად ეჭვს გარეშეა და განმარტებას არ მოითხოვს მას შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა. თავისთავად ცხადია, ზოგადი თეორიის საკითხებს განუყრელად უნდა დაუკავშირდეს დასავლეთის მუშათა მოძრაობის, მისი ისტორიისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა. შემდეგ, ჩვენ მიზნად ვისახავთ პოლიტიკის ყველა საკითხის სისტემატურად განხილვას: სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია უნდა ეხმაურებოდეს ყველა იმ საკითხს, რომელთაც ცხოვრება აყენებს ყველა სფეროში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ თვითეულ სოციალ-დემოკრატს, თვითეულ შეგნებულ მუშას გარკვეული შეხედულება ჰქონდეს ყველა ძირითად საკითხზე,—უამპირობოდ შეუძლებელია ფართო და გეგმაშეწონილი პროპაგანდა და აგიტაცია. თეორიისა და პოლიტიკის საკითხების განხილვა დაკავშირებული იქნება პარტიის პროგრამის გამომუშავებასთან, რომლის აუცილებლობა

უკვე აღიარა ყრილობამ 1898 წელს, და ჩვენ განზრახული გვაქვს ახლო მომავალში გამოვაქვეყნოთ პროგრამის პროექტი; პროექტის ყოველმხრივმა განხილვამ საკმაო მასალა უნდა მოგვცეს მომავალი ყრილობისთვის, რომლის წინაშე დადგება პროგრამის მიღების ამოცანა.[102] შემდეგ განსაკუთრებით საჭირბოროტო ამოცანად ჩვენ აღვიარებთ ორგანიზაციის საკითხების და საქმის პრაქტიკულად წარმართვის წესების განხილვას. თანამომდევნობის უქონლობა და დაქსაქსულობა, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ, განსაკუთრებით მავნე გავლენას ახდენს პარტიული დისციპლინის, ორგანიზაციისა და კონსპირაციული ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობაზე. პირდაპირ და აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ჩამოვრჩით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ძველ მოღვაწეებს და რუსეთში მოქმედ სხვა ორგანიზაციებს, და საჭიროა მთელი ძალღონე გამოვიყენოთ იმისთვის, რომ გამოვასწოროთ ნაკლოვანებები ამ მხრივ. მუშათა და ინტელიგენტთა ახალგაზრდობის მასის ფართოდ ჩაბმა მოძრაობაში, გახშირებული ჩავარდნა და მთავრობის გაწაფვა დევნაში აუცილებელს ხდიან პარტიული ორგანიზაციის პრინციპებისა და წესების, დისციპლინისა და კონსპირაციული ტექნიკის პროპაგანდას.

ასეთ პროპაგანდას, თუ მას ხელს შეუწყობენ ყველა ცალკეული ჯგუფი და ყველა უფრო გამოცდილი ამხანაგი, შეუძლია გამოიწვიოს და მან კიდევაც უნდა გამოიწვიოს ახალგაზრდა სოციალისტებისა და მუშებისგან რევოლუციური მოძრაობის ისეთ მოხერხებულ ხელმძღვანელთა გამომუშავება, რომლებიც შესძლებენ გადალახონ ყველა დაბრკოლება, ჩვენს მუშაობას რომ უქმნის თვითმპყრობელური პოლიციური სახელმწიფოს უღელი, და გამოეხმაურონ მუშათა მასის მოთხოვნილებებს, მასისა, რომელიც სტიქიურად მიილტვის სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. ბოლოს, ანალიზი ამ სტიქიური მოძრაობისა (როგორც მუშათა მასებში, ისე ჩვენს ინტელიგენციაში) უნდა იყოს, ზემოდასახელებულ თემებთან დაკავშირებით, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა:

ჩვენ უნდა გავერკვეთ იმ ინტელიგენტურ საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომლითაც აღინიშნა რუსეთში 90-იანი წლების მეორე ნახევარი და რომელშიც შეთავსებულია სხვადასხვა-ნაირი და ზოგჯერ სხვადასხვაგვარი მიმდინარეობანი; ჩვენ გულდასმით უნდა ვსწავლობდეთ მუშათა კლასის მდგომარეობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ვსწავლობდეთ მისი გამოფხიზლების, მისი დაწყებული ბრძოლის ფორმებსა და პირობებს, რათა ერთ განუყრელ მთლიანობად შევაკავშიროთ მარქსისტული სოციალიზმი, რომელმაც უკვე დაიწყო ფესვების გადგმა რუსეთის ნიადაგზე, და რუსეთის მუშათა მოძრაობა, უნდა დავუკავშიროთ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა ხალხის მასების სტიქიურ აზვირთებას. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი კავშირი განხორციელდება, რუსეთში შეიძლება შეიქმნას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, იმიტომ რომ სოციალ-დემოკრატია მარტო მუშათა სტიქიური მოძრაობის სამსახურს კი არ ნიშნავს (როგორც ჩვენში ზოგჯერ ფიქრობს ზოგიერთი თანამედროვე «პრაქტიკოსი»), სოციალ-დემოკრატია ნიშნავს სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან. და მხოლოდ ასეთი შეერთება აძლევს შესაძლებლობას რუსეთის პროლეტარიატს შეასრულოს მისი პირველი პოლიტიკური ამოცანა: გაათავისუფლოს რუსეთი თვითმპყრობელობის უღლისაგან.

რაც შეეხება ჩვენს მიერ დასახული თემებისა და საკითხების განაწილებას ჟურნალსა და გაზეთს შორის, ეს განაწილება დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოცემათა მოცულობის განსხვავებაზე და აგრეთვე მათი ხასიათის განსხვავებაზეც: ჟურნალი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს პროპაგანდას, გაზეთი—უმთავრესად აგიტაციას. მაგრამ ჟურნალიც და გაზეთიც აუცილებლად უნდა ასახავდეს მოძრაობის ყველა მხარეს, და ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ ჩვენს უარყოფითს დამოკიდებულებას ისეთი გეგმისადმი, რომ მუშათა გაზეთმა თავის ფურცლებზე მოათავსოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც უშუალოდ და უახლოესად ეხება მუშათა სტიქიურ მოძრაობას, ხოლო ყველაფერი, რაც ეხება სოციალიზმის

თეორიის სფეროს, მეცნიერების, პოლიტიკის, პარტიული ორგანიზაციის საკითხთა სფეროს და სხვა — თავსდებოდეს ინტელიგენტთა ორგანოში. პირიქით, აუცილებელია სწორედ ჭუშათა მოძრაობის ყველა კონკრეტული ფაქტის და გამოვლინების აღნიშნულ საკითხებთან შეერთება, აუცილებელია თეორიით გაშუქება თვითეული კერძო ფაქტისა, აუცილებელია პოლიტიკისა და პარტიული ორგანიზაციის საკითხების პროპაგანდა მუშათა კლასის უალრესად ფართო მასებში, აუცილებელია ამ საკითხების შეტანა აგიტაციაში. აგიტაციის ის ფორმა, რომელიც თითქმის ერთადერთი იყო აქამდე ჩვენში გაბატონებული—სახელდობრ აგიტაცია ადგილობრივი ფურცლების საშუალებით — უკვე აღარ კმარა: ის ვიწრო ხასიათისაა, ვინაიდან მხოლოდ ადგილობრივ და უმთავრესად ეკონომიურ საკითხებს ეხება. უნდა ვცადოთ შევქმნათ აგიტაციის უფრო მაღალი ფორმა — გაზეთის საშუალებით, რომელიც პერიოდულად აღნიშნავს მუშათა ჩივილსაც, მუშათა გაფიცვებსაც, პროლეტარული ბრძოლის სხვა ფორმებსაც, აგრეთვე პოლიტიკური ჩაგვრის ყველა გამოვლინებასაც მთელ რუსეთში, და რომელიც გარკვეულ დასკვნებს გამოიტანს ყოველი ასეთი ფაქტიდან სოციალიზმის საბოლოო მიზნებთან და რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით. «გავწიოთ ჩარჩოები და გავაფართოოთ შინაარსი ჩვენი საპროპაგანდო-საგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობისა»—პ. ბ. აქსელროდის ეს სიტყვები უნდა გახდეს ლოზუნგი, რომელიც უახლოესი მომავლისთვის განსაზღვრავს რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას, და ჩვენც ჩვენი ორგანოების პროგრამაში შეგვაქვს ეს ლოზუნგი.

აქ ბუნებრივად იბადება შემდეგი კითხვა: თუ ჩვენს მიერ გამოსაცემად განზრახული ორგანოები უნდა ემსახურონ ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანებისა და მათი ერთ პარტიად დარაზმვის მიზნებს, მაშინ ეს ორგანოები უნდა ასახავდნენ შეხედულებათა ყველა ელფერს, ყველა ადგილობრივ თავისებურებას, პრაქტიკულ ხერხთა მთელ მრავალფეროვნებას. როგორ შევათავსოთ სხვადასხვაგვარ თვალსაზ-

რისთა ეს გაერთიანება ორგანოების რედაქციულ მთლიანობასთან? ეს ორგანოები სხვადასხვა შეხედულების უბრალო კრებული უნდა იყოს თუ მათ უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი, სრულიად გარკვეული მიმართულება?

ჩვენ ამ საკითხებს ვწყვეტთ მეორე აზრით და ვიმედოვნებთ, რომ გარკვეული მიმართულების ორგანო სრულიად გამოსადეგი იქნება (თუ როგორ — ქვემოთ ვიტყვით) სხვადასხვა თვალსაზრისის გამოსახატავადაც და თანამშრომლებს შორის ამხანაგური პოლემიკისთვისაც. ჩვენი მსოფლმხედველობის მიხედვით ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მარქსიზმის ყველა ძირითად იდეას (როგორც ისინი ჩამოყალიბებულია «კომუნისტურ მანიფესტში» და დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატების პროგრამებში), ვემხრობით ამ იდეების თანამიმდევარ განვითარებას მარქსისა და ენგელსის სულისკვეთების მიხედვით და გადაჭრით უარვყოფთ იმ ორჭოფ, ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა ასე მოდად არის შემოსული ბერნშტეინის ლოცვა-კურთხევით. სოციალ-დემოკრატიის ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია, ამ ბრძოლისთვის ხელის შეწყობა, მისი აუცილებელი საბოლოო მიზნის მითითება, იმ პირობების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ბრძოლის წარმოების წესს. «მუშების განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშების საქმე».[108] მაგრამ, არ ვაცალკევებთ რა სოციალ-დემოკრატიას მუშათა მოძრაობისაგან, ჩვენ არ უნდა ვიკიწყებდეთ, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — გამოხატავდეს ამ მოძრაობის ინტერესებს ყველა ქვეყანაში, საერთოდ და მთლიანად, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ბრმა თაყვანისმცემელი ამა თუ იმ ცალკეული ფაზისისა, რომელშიც იმყოფება ეს მოძრაობა ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ადგილას. ჩვენ ვთვლით სოციალ-დემოკრატიის მოვალეობად—მხარი დაუჭიროს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ და მის მიზნად მიგვაჩნია მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა,

ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია და სოციალისტური საზოგადოების მოწყობა. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ყოველგვარ ცდას — შეანელონ ან მიჩქმალონ რევოლუციურობა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც არის სოციალური რევოლუციის პარტია, ყველა იმ კლასის ულმობელი მტერი, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ნიადაგზე დგანან. კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიულ ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია თვითმპყრობელობის დამხობა: რუსეთის სოციალ-დემოკრატია მოწოდებულია გახდეს რუსეთის დემოკრატიის მოწინავე მებრძოლი, მოწოდებულია განახორციელოს ის მიზანი, რომელსაც მას უსახავს რუსეთის მთელი საზოგადოებრივი განვითარება და რომელიც მას უანდერძეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სახელოვანმა მოღვაწეებმა. სოციალ-დემოკრატიას თავისი მოწოდების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ განუყრელად დაუკავშირებს ერთმანეთს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას, თუ პოლიტიკურ პროპაგანდასა და აგიტაციას გაავრცელებს მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებში.

სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით (რომელიც ფრიად ზოგადად იყო აქ მოყვანილი, ვინაიდან ვრცლად და დასაბუთებულად ის არაერთხელ გადმოუცია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფსაც, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის «მანიფესტსაც» და მის «კომენტარსაც» — ბროშურას «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» *, «მუშათა საქმე რუსეთში» (რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის დასაბუთება)) გავაშუქებთ ყველა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს, შევეცდებით აღნიშნულ იდეებს დავუკავშიროთ მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიული პროტესტის ყველა გამოვლინება რუსეთში.

მაგრამ, ვაწარმოებთ რა ჩვენს ლიტერატურულ მუშაობას გარკვეული მიმართულების თვალსაზრისით, ჩვენ სრულიადაც

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 397. რ ე დ.

არ ვფიქრობთ ჩვენი შეხედულებების ყველა დეტალი გავასაღოთ ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის შეხედულებებად, სრულიადაც არ ვფიქრობთ უარვყოთ არსებული უთანხმოებანი, მივჩქმალოთ ან დავმალოთ ისინი. პირიქით, ჩვენ გვინდა ჩვენი ორგანოები ყველა საკითხის *განხილვის* ორგანოებად გავხადოთ სულ სხვადასხვა ელფერის შეხედულებათა მქონე ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისთვის. პოლემიკას ამხანაგთა შორის ჩვენი ორგანოების ფურცლებზე არამც თუ არ უარვყოფთ, არამედ, პირიქით, მზადა ვართ ძალიან დიდი ადგილი დავუთმოთ მას. აშკარა პოლემიკა ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისა და შეგნებული მუშის წინაშე აუცილებელი და სასურველია არსებულ უთანხმოებათა სიღრმის გასარკვევად, სადავო საკითხების ყოველმხრივ განსახილველად, იმ უკიდურესობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებშიც აუცილებლად ვარდებიან სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელნი, რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ადგილის თუ სხვადასხვა «პროფესიის» წარმომადგენელნი. ჩვენ თანამედროვე მოძრაობის ერთ-ერთ ნაკლადაც კი მიგვაჩნია აშკარა პოლემიკის უქონლობა აშკარად სხვადასხვა შეხედულებათა შორის, მისწრაფება — ცხრაკლიტულში დამალონ უთანხმოებანი, რომლებიც მეტად არსებით საკითხებს ეხებიან.

კიდევ მეტი: რუსეთის მუშათა კლასი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჩვენ მიგვაჩნია მოწინავე მებრძოლად დემოკრატიისთვის, პოლიტიკური თავისუფლებისთვის და აუცილებლად ვთვლით გავხადოთ ჩვენი ორგანოები *საერთო-დემოკრატიულ* ორგანოებად,—არა იმ აზრით, რომ თუნდაც ერთი წუთით დავთანხმდეთ დავივიწყოთ კლასობრივი ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და სხვა კლასებს შორის, არა იმ აზრით, რომ დასაშვებად მიგვაჩნდეს კლასობრივი ბრძოლის თუნდ ოდნავი მიჩქმალვა, — არა, არამედ იმ აზრით, რომ ვაყენებდეთ და განვიხილავდეთ *ყველა* დემოკრატიულ საკითხს, არ ვკმაყოფილდებოდეთ მხოლოდ ვიწრო პროლეტარული საკითხებით, ვაყენებდეთ და განვიხილავდეთ პოლიტიკური ჩაგვრის ყველა შემთხვევას და გამოვლინებას, ცხადვყოფდეთ კავშირს

მუშათა მოძრაობასა და ყოველგვარი ფორმის პოლიტიკურ ბრძოლას შორის, მოვიზიდავდეთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყველა პატიოსან მებრძოლს, რა შეხედულებისაც უნდა იყვნენ ისინი, რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდნენ, მოვიზიდავდეთ მათ მხარი დაუჭირონ მუშათა კლასს, როგორც ერთადერთ რევოლუციურ და აბსოლუტიზმისადმი გადაჭრით მტრულად განწყობილ ძალას. ამიტომ, მივმართავთ რა უწინარეს ყოვლისა რუს სოციალისტებს და შეგნებულ მუშებს, ჩვენ არ გვინდა მხოლოდ და მხოლოდ ამ ძალებით დავკმაყოფილდეთ. ჩვენ მოვუწოდებთ აგრეთვე ყველა იმათაც, ვისაც სულს უხუთავს და ჩაგრავს რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური წყობილება, ვინც მიისწრაფის რუსი ხალხის პოლიტიკური მონობისაგან განთავისუფლებისაკენ, ჩვენ მოვუწოდებთ მათ მხარი დაუჭირონ გამოცემებს, რომელნიც თავიანთ ძალებს სწირავენ მუშათა მოძრაობის რევოლუციურ პოლიტიკურ პარტიად ორგანიზაციის საქმეს, ჩვენ ვთავაზობთ მათ ჩვენი ორგანოების ფურცლებს რუსეთის თვითმპყრობელობის ყოველგვარ საძაგლობათა და დანაშაულობათა სამხილებლად. ჩვენ ვაქვეყნებთ ამ მოწოდებას და დარწმუნებული ვართ, რომ პოლიტიკური ბრძოლის დროშას, აფრიალებულს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ, შეუძლია გახდეს და კიდეც უნდა გახდეს საერთო-სახალხო დროშად.

ის ამოცანები, რომელთაც ჩვენ ვისახავთ, უაღრესად ფართო და ყოვლისშემცველია, და ჩვენ ვერც მოვკიდებდით ხელს ასეთ ამოცანებს, რომ მთელი ჩვენი გამოცდილებიდან არ გამოგვეტანა იმის ურყევი რწმენა, რომ ეს მთელი მოძრაობის საარსებო ამოცანებია, წინასწარ რომ არ მიგვეღო თანაგრძნობა და ყოველმხრივი და მუდმივი მხარდაჭერის დაპირება 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რამდენიმე ორგანიზაციის და სხვადასხვა ქალაქში მომუშავე რუსი სოციალ-დემოკრატების ცალკეული ჯგუფების მხრივ; 2) «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მხრივ, რომელმაც დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატია და რომელიც ყოველთვის მის თეორეტიკოსთა და ლიტერატურულ წარმომადგე-

ნელთა სათავეში იდგა; 3) მთელ რიგ პირთა მხრივ, რომელნიც ორგანიზაციებს არ ეკუთვნიან, მაგრამ თანაუგრძნობენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას და ცოტა სამსახურს როდი უწევენ მას. მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ სათანადოდ შევასრულოთ საერთო რევოლუციური მუშაობის ჩვენს მიერ არჩეული ნაწილი, და ჩვენ მივისწრაფით იქითკენ, რომ ყველა რუსი ამხანაგი ჩვენს გამოცემებს უყურებდეს, როგორც თავიანთ ორგანოს, რომელსაც თვითეული ჯგუფი მიაწვდიდა ყოველგვარ ცნობებს მოძრაობის შესახებ, გაუზიარებდა თავის შეხედულებებს, თავის მოთხოვნილებებს ლიტერატურაზე, თავის გამოცდილებას, სოციალ-დემოკრატიულ გამოცემათა თავის შეფასებას, ერთი სიტყვით, გაუზიარებდა ყველაფერს, რაც კი მას შეაქვს მოძრაობაში, და ყველაფერს, რაც მას იქიდან გამოაქვს. მხოლოდ ასეთი პირობით იქნება შესაძლებელი ნამდვილი საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას უკვე ევიწროება ის იატაკქვეშეთი, სადაც მუშაობას ეწევიან ცალკეული ჯგუფები და დაქსაქსული წრეები; უკვე დროა გამოვიდეს ის სოციალიზმის აშკარა ქადაგების გზაზე, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზაზე, — და საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა უნდა იყოს პირველი ნაბიჯი ამ გზაზე.

დაწერილია 1900 წლის გაზაფხულზე

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის კრებულში IV

იბეჭდება უცნობი ხელით გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «როგორ კინალამ ჩაქრა «ისკრა»?» — 1900 წ.

დაპატარავებულია

როგორ კინალამ ჩაჭრა «ისკრა»?

ჯერ ჩავედი ციურიხში, ჩავედი მარტო, არსენიევი (პოტრესოვი) ჯერ არ მენახა. ციურიხში პ. ბ. აქსელროდი ხელებგაშლილი შემხვდა, და მთელი ორი დღე გულითად საუბარში გავატარე მასთან. საუბარი ისეთი იყო, როგორც დიდი ხნის ერთმანეთის უნახავ მეგობართა შორის: ყველაფერზე და მრავალ სხვადასხვა რამე-რუმეზე, უწესრიგოდ, სრულიად არა საქმიანი ხასიათისა. საქმიან საკითხებზე პ. ბ. საზოგადოდ ნაკლებად mitsprechen kann *; ეტყობოდა, გ. ვ. პლეხანოვისკენ იხრებოდა, ეტყობოდა იმაზე, რომ ის დაჟინებით მოითხოვდა ჟურნალისთვის სტამბის მოწყობას ჟენევაში. საერთოდ კი პ. ბ. ძალზე «პირმოთნეობდა» (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის), ამბობდა, რომ მათთვის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ჩვენს წამოწყებასთან არის დაკავშირებული, რომ ეს მათთვის აღორძინებაა, რომ «ჩვენ» ახლა შესაძლებლობა მოგვეცემა აგრეთვე გ. ვ-ის უკიდურესობათა წინააღმდეგ ვიდავოთო — ამ უკანასკნელ სიტყვას განსაკუთრებით მივაქციე ყურადღება, და მთელმა შემდგომმა «ჰისტორიამაც» ცხადჰყო, რომ ეს განსაკუთრებით შესანიშნავი სიტყვები იყო.

ჩავდივარ ჟენევაში. არსენიევი მარიგებს ძალიან ფრთხილად ვიყო გ. ვ-თან, რომელიც საშინლად აღელვებულია გათიშვის გამო [104] და დაეჭვიანებულიაო. ამ უკანასკნელთან საუბარმა მართლაც მყისვე დამანახვა, რომ ის მართლაც დაეჭვიანებული, მიუნდობელია და rechthaberisch nec plus ultra **.

* — შეუძლია ლაპარაკი. რ ე დ.

** — თავი ყოველთვის მეტად მართალი ჰგონია. რ ე დ.

ვცდილობდი ფრთხილად ვყოფილიყავ, თავს ვარიდებდი «მტკივნეულ» პუნქტებს, მაგრამ ამ მუდმივ სიფრთხილეს არ შეეძლო, რა თქმა უნდა, მეტად მძიმე გავლენა არ მოეხდინა გუნებაზე. ხანგამოშვებით მცირე «უსიამოვნებაც» იყო ხოლმე გ. ვ-ის ცხარე რეპლიკის სახით ყოველგვარ მცირეოდენ შენიშვნაზე, რომელსაც შეეძლო ცოტათი მაინც შეენელებინა ან დაეწყნარებინა (გათიშვით) გაღვივებული ვნებათა ღელვა. იყო «უთანხმოებანი» ჟურნალის ტაქტიკის საკითხებზედაც: გ. ვ. აბსოლუტურად არ ითმენდა არასოდეს სხვის არგუმენტებს, მას არ შეეძლო და არც უნდოდა ჩაკვირვებოდა მათ და ამავე დროს ყოველთვის არაგულწრფელი, სწორედ არაგულწრფელი იყო. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მოვალენი ვართ რაც შეიძლება ლმობიერად მოვექცეთ სტრუვეს, ვინაიდან მის ევოლუციაში თვითონ ჩვენ მიგვიძღოდა ბრალი: თვითონ ჩვენ, და ჩვენთან ერთად გ. ვ-იც, არ ავმხედრდით მაშინ, როცა ეს ამხედრება საჭირო იყო (1895, 1897). გ. ვ-ს აბსოლუტურად არ უნდოდა თავის თავზე მიეღო ბრალის თუნდაც სულ მცირე ნაწილი, ის თავს იმართლებდა აშკარად უვარგისი არგუმენტებით, რომლებიც ახსნა-განმარტების ნაცვლად თავიდან იცილებდა საკითხს. ამხანაგურ საუბარში მომავალ თანარედაქტორებს შორის ეს... დიპლომატიურობა მეტად არასასიამოვნო გაოცებას იწვევდა: რა საჭირო იყო თავის მოტყუება და თქმა, 1895 წელს მას, გ. ვ-ს თითქოს «ნაბრძანები» (??) ჰქონდა «სროლა არ აუტეხო» (სტრუვესო), ის კი მიჩვეულია ისე მოიქცეს, როგორც უბრძანებენო (ძალიან კი ჰგავს მას!).[105] რა საჭიროა თავის მოტყუება, როცა გვარწმუნებს, თითქოს 1897 წელს (როცა სტრუვე წერდა «ნოვოე სლოვოში», — ჩემი მიზანია გავაბათილო მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაო), ის, გ. ვ., არ გამოსულა სტრუვეს წინააღმდეგ, ვინაიდან მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია (და მუდამ გაუგებარი დარჩება) პოლემიკა ერთ ჟურნალში მის თანამშრომელთა შორის.[106] ეს არაგულწრფელობა საშინლად გვაბრაზებდა, მით უმეტეს, რომ გ. ვ. ცდილობდა კამათში ისე მოეჩვენებინა ეს,

თითქოს ჩვენ არ გვსურს დაუნდობელი ომი სტრუვეს წინააღმდეგ, თითქოს ჩვენი სურვილია «ყველაფერი შევარიგოთ» და სხვ. ცხარე კამათი ატყდა აგრეთვე პოლემიკის შესახებ ჟურნალის ფურცლებზე საზოგადოდ: გ. ვ. ამის წინააღმდეგი იყო და არ უნდოდა მოესმინა ჩვენი არგუმენტები. «მოკავშირეებისადმი» იჩენდა სიძულვილს, რომელიც უზრდელობამდე მიდიოდა (სწამებდა ჯაშუშობას, აბრალებდა გეშეფტმახერობას, გაიძვერობას, ამბობდა, უყოყმანოდ «დავხვრეტდი» ასეთ «მოღალატეებსო» და სხვ.). სულ შორეული გადაკრული სიტყვები, რომ ისიც უკიდურესობაში გადავარდა (მაგ., ჩემი გადაკრული სიტყვა მის მიერ კერძო წერილების გამოქვეყნების გამო [107] და ასეთი მეთოდის უხერხულობაზე), გ. ვ-ს პირდაპირ საშინლად ახელებდა და შესამჩნევად აბრაზებდა. ცხადი იყო, რომ უკმაყოფილება იზრდებოდა მასშიც და ჩვენშიც. მასში ეს, სხვათა შორის, გამოიხატა შემდეგნაირად: ჩვენ გვქონდა რედაქციის განცხადების პროექტი («რედაქციისაგან») *, სადაც ლაპარაკი იყო გამოცემათა ამოცანებსა და პროგრამაზე: ის დაწერილი იყო (გ. ვ-ის თვალსაზრისით) «ოპორტუნისტული» სულისკვეთებით: დასაშვებად ითვლებოდა პოლემიკა თანამშრომელთა შორის, ტონი იყო თავდაჭერილი, შესაძლებლად იყო მიჩნეული «ეკონომისტებთან» დავის მშვიდობიანად დასრულება და სხვ. განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჩვენც პარტიას ვეკუთვნოდით და გვსურდა მისი გაერთიანებისთვის მუშაობა. ჯერ კიდევ ჩემს მისვლამდე გ. ვ-მ წაიკითხა ეს განცხადება არსენიევთან და ვ. ი. ზასულიჩთან ერთად, წაიკითხა და არსებითად საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. მხოლოდ სურვილი გამოთქვა — ენობრივად შეესწორებინათ, ცოტათი ტონი აეწიათ, აზრთა მთელი მიმდინარეობა კი უცვლელად დაეტოვებინათ. ა. ნ. პოტრესოვმა ამ მიზნით ძასვე დაუტოვა ეს განცხადება. როცა მე მივედი, გ. ვ-ს ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მასთან შევიარე, უკანვე გადმომცა განცხადება.

* იხ. ეს ტომი, გვ. 391. რ ე დ.

ცხადება — აიო, მოწმეების თანადასწრებით, უვნებლად გიბრუნებ, არ დამიკარგავსო. ვეკითხები, რატომ არ შეიტანა განზრახული ცვლილებები. მან მოიმიზეზა: ეს შემდეგაც შეიძლებაო, ამას დიდი დრო არ მოუნდება, ახლა კი არ ღირსო. მე წამოვიღე განცხადება, თვითონ შევასწორე (ეს შავი იყო, ჯერ კიდევ რუსეთში დაწერილი) და მეორედ (ვ. ი-ს თანადასწრებით) წავუკითხე ის გ. ვ-ს, თანაც უკვე პ ი რ დ ა პ ი რ ვთხოვე, აეღო ეს და შეესწორებინა. მან კვლავ უარი განაცხადა და ეს საქმე მის გვერდით მჯდომ ვ. ი-ს გადაანდო (რაც კიდევ მთლად უცნაური იყო, ვინაიდან ვ. ი-სთვის ეს ჩვენ არ გვითხოვია, და არც შეეძლო მას შეესწორებინა, ტონი «აეწია» და განცხადებისთვის მანიფესტის ხასიათი მიეცა).

ასე მიდიოდა საქმე ყრილობამდე (ყრილობა «შრომის განთავისუფლების» მთელი ჯგუფის, გ. ვ., პ. ბ., ვ. ი. და ჩვენ ორის, მესამე გვაკლდა[108]). ბოლოს, მოვიდა პ. ბ., და გაიმართა ყრილობა. ებრაელთა კავშირთან (ბუნდთან) ჩვენი დამოკიდებულების საკითხზე გ. ვ. ფენომენალურ შეუწყნარებლობას იჩენს და პირდაპირ აცხადებს მას არა-სოციალ-დემოკრატიულ, პირდაპირ ექსპლოატატორულ ორგანიზაციად, რომელიც ექსპლოატაციას უწევს რუსებსო, და ამბობს — ჩვენი მიზანია პარტიიდან გავაძევოთ ეს ბუნდიო, რომ ებრაელები — ერთიანად შოვინისტები და ნაციონალისტები არიან, რუსული პარტია რუსული უნდა იყოს და «ტყვედ» არ უნდა ჩაუვარდეს «წყეულთა თაობასო» და სხვ. ვერავითარმა ჩვენმა შეპასუხებამ ამ უკადრისი სიტყვების წინააღმდეგ ვერ გასჭრა და გ. ვ. სავსებით თავისას გაიძახოდა: ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ებრაელობას, ებრაელებთან საქმის დაჭერის პრაქტიკული გამოცდილება არა გვაქვსო. ამ საკითხზე არავითარი რეზოლუცია არ მიგვიღია. «განცხადება» ერთად წავიკითხეთ ყრილობაზე: გ. ვ-ს უცნაურად ეჭირა თავი, სდუმდა, არავითარი შესწორება არ შემოუტანია, სიტყვაც არ დაუძრავს იმის წინააღმდეგ, რომ იქ პოლემიკა დასაშვებად იყო მიჩნეული, საერთოდ თითქოს განზე გადგა, სწორედ განზე გადგა, არ სურდა მონაწილეობა მიეღო და მხოლოდ გაკვრით, სხვათა შორის, წამოისროლა გეს-

ლიანი და ბრაზიანი შენიშვნა, — მე (ისინი, ე. ი. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, სადაც ის დიქტატორია), რა თქმა უნდა, არა ასეთ განცხადებას დავწერდიო. გაკვრით წამოსროლილმა, როშელიღაც სხვა შინაარსის ფრაზაზე დართულმა გ. ვ-ის ამ შენიშვნამ განსაკუთრებით უსიამოვნოდ გამაოცა: ძიმდინარეობს თანარედაქტორთა თათბირი, და აი ერთ-ერთ თანარედაქტორს (რომელსაც ო რ ჯ ე რ ვთხოვეთ წარმოედგინა განცხადების თავისი პროექტი ანდა ჩვენი განცხადების შესწორების პროექტი) არ შემოაქვს არავითარი შესწორებები და მხოლოდ სარკაზმით შენიშნავს, მე ასე, რა თქმა უნდა, არ დავწერდიო (ასე გაუბედავად, თავმდაბლად, ოპორტუნისტულადო — უნდოდა ეთქვა). ამან უკვე ცხადჰყო, რომ ჩვენსა და ძას შორის ნორმალური ურთიერთობა არ არსებობს. შემდეგ — ვტოვებ ყრილობის ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს — ისმება ბობოსთან[10] და მიხ. ივ. ტუგან-ბარანოვსკისთან დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ მომხრე ვართ პ ი რ ო ბ ი თ ი მოწვევის (ამას უსათუოდ გვაიძულებდა გ. ვ-ის უკმეხობა: ამით გვინდოდა დაგვენახვებინა, რომ სხვანაირი ურთიერთობა გვსურს. გ. ვ-ის წარმოუდგენელი უკმეხობა როგორღაც ინსტინქტურად გიწვევს საპროტესტოდ, გაიძულებს დაიცვა მისი მოწინააღმდეგეები. ვერა ივანეს-ასულმა ძალიან მოსწრებულად შენიშნა, — გ. ვ. მუდამ ისე კამათობს, რომ მკითხველში თანაგრძნობას იწვევს მოწინააღმდეგისადმი). გ. ვ. ძლიერ ცივად და მშრალად აცხადებს — სრულიად წინააღმდეგი ვარო და დემონსტრაციულად სდუმს მთელი საკმაოდ გრძელი მოლაპარაკების განმავლობაში პ. ბ-თან და ვ. ი-თან, რომლებიც თითქმის მზად არიან დაგვეთანხმონ კიდევაც. მთელი ეს დილა რაღაც მეტად მძიმე ატმოსფეროში გადის: საქმე უსათუოდ ისეთ სახეს იღებდა, რომ გ. ვ. აყენებს ულტიმატუმს — ან ის ან ამ «არამზადების» მოწვევა. ეს რომ შევნიშნეთ, მე და არსენიევმა გადავწყვიტეთ დაგვეთმო და საღამოს სხდომის დაწყებისთანავე განვაცხადეთ, გ. ვ-ს დაჟინებითი მოთხოვნის გამო ჩვენი წინადადება უკან მიგვაქვსო. ამ განცხადებას

დუმილით შეხვდნენ (თითქოს თავისთავადაც იგულისხმებოდა, რომ ჩვენ არ შეგვეძლო არ დაგვეთმო!). ძალზე გვაბრაზებდა ეს «ულტიმატუმების ატმოსფერო» (როგორც უწოდა შემდეგ ამას არსენიევმა) — გ. ვ-ის შეუზღუდველი მბრძანებლობის სურვილი აშკარად ჩანდა. წინათ, როცა ჩვენ კერძოდ ვსაუბრობდით ბობოზე (გ. ვ., არსენიევი, ვ. ი. და მე, ტყეში, საღამოს, სეირნობის დროს), გ. ვ-მ ცხარე კამათის შემდეგ დამადო ხელი მხარზე და თქვა: «მე ხომ, ბატონებო, პირობებს არ ვაყენებ, ყოველივე ამაზე იქ მოვილაპარაკოთ ყრილობაზე და ერთად გადავწყვიტოთ». მაშინ ამან ძალზე მომილბო გული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყრილობაზე სწორედ საწინააღმდეგო გამოვიდა: ყრილობაზე გ. ვ. განზე გაუდგა საკითხის ამხანაგურად განხილვას, გაჯავრებული სდუმდა და თავისი დუმილით აშკარად «აყენებდა პირობას». ჩემთვის ეს იყო არაგულწრფელობის მკვეთრი გამოაშკარავება (თუმცა ერთბაშად ჯერ კიდევ ვერც კი გამომერკვია ჩემი შთაბეჭდილებანი), არსენიევმა კი პირდაპირ განაცხადა: «მე მას არ დავუყიწყებ ამ დათმობასო!». დადგა შაბათი. არ მახსოვს კარგად, რაზე გვქონდა ლაპარაკი ამ დღეს, ხოლო საღამოს, როცა ჩვენ ყველანი ერთად მივდიოდით, ახალი კონფლიქტი გაჩაღდა. გ. ვ. ამბობდა, უნდა დავუკვეთოთ ერთ პიროვნებას (რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულიყო ლიტერატურაში, მაგრამ გ. ვ-ს სურდა დაენახა მასში ფილოსოფიური ტალანტი. მე ამ პიროვნებას არ ვიცნობ; ის ცნობილია თავისი ბრმა თაყვანისცემით გ. ვ-დმი) სტატია ფილოსოფიურ თემაზეო, და აი გ. ვ. ამბობს: მე ვურჩევ მას სტატია დაიწყოს შენიშვნით კაუტსკის წინააღმდეგ — კარგი ვაუბატონი კი ყოფილაო, უკვე «კრიტიკოსობა» დაუწყია, «Neue Zeit»-ში * «კრიტიკოსთა» ფილოსოფიურ სტატიებს ათავსებს, ხოლო სრულს ვასაქანს არ აძლევს «მარქსისტებსო» (ე. ი. პლეხანოვს). კაუტსკის წინააღმდეგ (რომელიც უკვე ჟურნალის თანამშრომლად იყო მოწვეული) ასეთი უკმეხი საქციელის პროექტი რომ

* — «ახალი დრო». [110] რ ე დ.

მოისმინა არსენიევმა, აღშფოთდა, ცხარედ ამხედრდა ამის წინააღმდეგ და ეს უადგილოდ აღიარა. გ. ვ. გაიბუტა და გაბრაზდა, მე არსენიევს მივემხრე. პ. ბ. და ვ. ი. სდუმდნენ. ნახევარი საათის შემდეგ გ. ვ. წავიდა (ჩვენ მივდიოდით მის გასაცილებლად გემზე), უკანასკნელი წუთები ჩუმად იჯდა, პირქუშად. წავიდა თუ არა, ყველას როგორღაც გულზე მოგვეშვა და საუბარი გავაბით უკვე მეგობრულად. მეორე დღეს, კვირას (დღეს 2 სექტემბერია, კვირა. მაშასადამე, ეს იყო მ ხ ო ლ ო დ ერთი კვირის წინ!!! მე კი ასე მგონია, თითქოს მას შემდეგ მთელმა წელმა განვლო! იმდენად შორეული გახდა უკვე ეს!), კრება დანიშნულია არა ჩვენთან, აგარაკზე, არამედ გ. ვ-სას. ჩვენც იქ მივედით, არსენიევი უწინ მივიდა, შემდეგ მე. გ. ვ. გზავნის პ. ბ-ს და ვ. ი-ს არსენიევთან მოციქულად, რომ ის, გ. ვ., უარს ამბობს თანარედაქტორობაზე და სურს უბრალო თანამშრომლად დარჩეს; პ. ბ. წავიდა, ვ. ი. სულ მთლად დაბნეული, შეწუხებული, ებუტბუტება არსენიევს: «ჟორჟი უკმაყოფილოა, არ სურს»... შევდივარ. კარს გ. ვ. მიღებს და ხელს მართმევს რაღაც უცნაური ღიმილით, შემდეგ გადის. შევდივარ ოთახში, სადაც სხედან ვ. ი. და არსენიევი უცნაური სახის გამომეტყველებით. აბა, როგორაა საქმე, ბატონებო? — ვეკითხები. შემოდის გ. ვ. და გვიწვევს თავის ოთახში. იქ ის აცხადებს, უმჯობესია თანამშრომლად ვიქნები, უბრალო თანამშრომლად, თორემ სხვაფრივ მხოლოდ შეხლა-შემოხლა იქნებაო, რომ, ჩანს, მე სხვანაირად ვუყურებ საქმეს, ვიდრე თქვენ, რომ მესმის და პატივს ვცემ თქვენს, პარტიულ, თვალსაზრისს, მაგრამ ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებო. და დაე თქვენ იყავით რედაქტორები, მე კი თანამშრომელი ვიქნებიო. ეს რომ მოვისმინეთ, სახტად დავრჩით, პირდაპირ სახტად დავრჩით და უარი ვუთხარით. მაშინ გ. ვ. ამბობს: კარგი, ყველანი ერთად რომ დავრჩეთ, ხმა როგორღა უნდა მივცეთ; რამდენი ხმა გვექნება? — ექვსი. — ექვსი უხერხულია. — «მაშინ, დაე გ. ვ-ს ორი ხმა ჰქონდეს, — ერევა ლაპარაკში ვ. ი., — თორემ ის მუდამ მარტოდ დარჩება, — ორი ხმა ჰქონდეს ტაქტიკის საკითხებში». ჩვენ ვთანხმდებით. მაშინ გ. ვ. ხელთ

ილებს გამგებლობის სადავეს და რედაქტორის ტონით იწყებს ჟურნალისთვის განყოფილებებისა და სტატიების განაწილებას და ამ განყოფილებებს ხან ერთს შესთავაზებს და ხან მეორეს დამსწრეთაგან, — კატეგორიული ტონით. ჩვენ ყველანი თავჩაქინდრული ვსხედვართ, გარინდებულად ყველაფერში ეეთანხმებით და ჯერ კიდევ ვერ მოგვინელებია რაც მოხდა. ვგრძნობთ, რომ გავბრიყვდით, რომ ჩვენი შენიშვნები უფრო და უფრო გაუბედავია, რომ გ. ვ. «განზე სდებს» მათ (კი არ აბათილებს, არამედ განზე სდებს) სულ უფრო და უფრო ოლად, უფრო და უფრო უყურადღებოდ, რომ «ახალი სისტემა» de facto * სულ მთლად უდრის გ. ვ-ს სავსებით გაბატონებას, გ. ვ-ს კი მშვენივრად ესმის ეს და მოურიდებლად დიდი ენერგიით იწყებს მბრძანებლობას და არცთუ დიდად გვებოდიშება. ჩვენ ვგრძნობდით, რომ საბოლოოდ გაგვაბრიყვეს და სულ გაგვანადგურეს, მაგრამ კარგად კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავით ჩვენს მდგომარეობაში. სამაგიეროდ, როგორც კი მარტონი დავრჩით, როგორც კი გადმოვედით გემიდან და ჩვენს აგარაკზე დავბრუნდით, — ვეღარ მოვითმინეთ და ორივეს ერთბაშად წაგვსკდა ცოფმორეული და გაბოროტებული ტირადები გ. ვ-ის წინააღმდეგ.

მაგრამ, სანამ ამ ტირადების შინაარსის გადმოცემას და იმის ამბავს შევუდგებოდე, თუ რა მოჰყვა მათ შედეგად, ჯერ ცოტათი გადავუხვევ და უკან დავბრუნდები. რატომ აღგვაშფოთა ასე პლეხანოვის სრული ბატონობის იდეამ (იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სახისა იქნებოდა მისი ბატონობა)? წინათ ჩვენ მუდამ ასე ვფიქრობდით: რედაქტორები ვიქნებით ჩვენ, ხოლო ისინი — უახლოესი თანამშრომლები. ჩემი წინადადება იყო თავიდანვე (ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას) ასე ფორმალურად დაგვეყენებინა საკითხი, არსენიევის რჩევა იყო — ფორმალურად ნუ დავაყენებთ საკითხს, უმჯობესია «მშვიდობიანად» ვიმოქმედოთო (სულ ერთია, ბოლოს და

* — ფაქტიურად, სინამდვილეში. რ ე დ.

ბოლოს მაინც ასე იქნებაო), — მე ვეთანხმებოდი. მაგრამ ჩვენ ორივე ერთმანეთს ვეთანხმებოდით იმაში, რომ რედაქტორებად ჩვენ უნდა ვყოფილიყავით როგორც იმიტომ, რომ «მოხუცნი» მეტისმეტად აუტანელნი არიან, აგრეთვე იმიტომაც, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ რიგიანად შეესრულებინათ რედაქტორის შავი და მძიმე მუშაობა: მხოლოდ ეს მოსაზრებანი იყო ჩვენთვის საკითხის გადამწყვეტი, თორემ მათი მხრივ იდეურ ხელმძღვანელობას ჩვენ დიდი სიამოვნებით აღვიარებდით. ჩემმა ლაპარაკმა ჟენევაში პლეხანოვის უახლოეს ამხანაგებთან და მის ახალგაზრდა მომხრეებთან («სოციალ-დემოკრატის» [1.1] ჯგუფის წევრები, პლეხანოვის ძველი მომხრეები, მუშაკები, არა მუშები, არამედ მუშაკები, უბრალო, საქმიანი, პლეხანოვის უერთგულესი ადამიანები), — ამ ლაპარაკმა მე (და არსენიევი) სავსებით დაგვარწმუნა, რომ სწორედ ასე უნდა დაგვეყენებინა საქმე: ეს მომხრეები თვითონ გვეუბნებოდნენ, გულახდილად, რომ რედაქციის მოწყობა სასურველია გერმანიაში, ვინაიდან მაშინ უფრო დამოუკიდებელი ვიქნებით გ. ვ-საგან, რომ თუ სარედაქტორო მუშაობა ფაქტიურად მოხუცთა ხელში იქნება, ეს იმას უდრის, რომ საქმე საშინლად გაჭიანურდება და შეესაძლოა ის კიდეც ჩაიფუშოსო. ამავე მოსაზრებებით არსენიევიც უეჭველად გერმანიის მომხრე იყო.

ჩემი აწერა იმისა, თუ როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა», მე შევწყვიტე ჩვენს დაბრუნებაზე შინ საღამოთი კვირას, 26 აგვისტოს ახალი სტილით. დავრჩით თუ არა მარტონი, როცა გემიდან გადმოვედით, აღშფოთების მთელი ნიაღვარი გადმოვანთხიეთ. ჩვენ თითქოს აღმოგვხეთქა, დამძიმებული ატმოსფერო ჭექა-ქუხილში გადავიდა. გვიან ღამემდე დავდიოდით ჩვენს პატარა სოფელში თავიდან ბოლომდე, ღამე საკმაოდ ბნელი იყო, ირგვლივ გრგვინავდა, აქა-იქ ელვა სერავდა სიბნელეს. დავდიოდით და აღშფოთებას გამოვსთქვამდით. მახსოვს, არსენიევმა განაცხადა, პირადი დამოკიდებულება პლეხანოვთან სამუდამოდ გაწყვეტილად მიმაჩნია და არასოდეს აღარ განვაახლებო: საქმიანი ურთიერთობა დარჩება, — პი-

რადად კი მასთან მე fertig-ო *. მისი მოპყრობა იმ ზომამდე შეურაცხმყოფელია, რომ გვაფიქრებინებს, ძალზე «ცუდი» აზრისაა ჩვენზე (ე. ი., რომ გულში ის Streber-ებს ** გვადარებს). ის ჩვენ აბუჩად გვიგდებს და სხვ. მე სავსებით ვუჭერდი მხარს ამ ბრალდებებს. ჩემი «შეყვარებულობაც» პლეხანოვისადმი თითქოს უცბად გაქრა, ძალზე ნაწყენი ვიყავი და წარმოუდგენლად მტკიოდა გული. არასდროს, არასდროს ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ადამიანს არ მოვპყრობივარ ასეთი გულწრფელი მოკრძალებით და პატივისცემით, vénération ***, არავის წინაშე არ დამიჭერია თავი ისე «თავმდაბლად»—და არასდროს არ განმიცდია ასეთი ტლანქი «პანღური». ხოლო სინამდვილეში სწორედ ისე გამოვიდა, რომ ჩვენ პანღური ამოგვკრეს: ჩვენ შეგვაშინეს, როგორც ბალღები, შეგვაშინეს იმით, რომ დიდები თავს დაგვანებებდნენ და მარტოდ დაგვტოვებდნენ, ხოლო, როცა შევშინდით (ვაი სირცხვილო!), ჩვენ წარმოუდგენელი მოურიდებლობით განზე დაგვწიეს. ახლა ჩვენ სავსებით ნათლად შევიგნეთ, რომ პლეხანოვის განცხადება დილით — თანარედაქტორობაზე უარს ვამბობო, უბრალო მახე იყო, წინასწარ ნავარაუდევი საჭადრაკო სვლა, ხაფანგი გულუბრყვილო «პიჟონებისთვის»: ამას არავითარი ეჭვი არ უნდა გამოეწვია, ვინაიდან პლეხანოვს რომ გულწრფელად შინებოდა თანარედაქტორობის, შინებოდა საქმეს შევაფერხებო, შინებოდა ჩვენს შორის ზედმეტი შეხლა-შემოხლა არ წარმოიშვასო,—ერთი წუთის შემდეგ ის ვერასგზით ვერ გამოამჟღავნებდა (და ისიც ასე ტლანქად), რომ მისი თანარედაქტორობა სავსებით მის ერთპიროვნულ რედაქტორობას უდრიდა. მაგრამ რაკი ადამიანი, რომელთანაც ერთად ჩვენ გვსურს საერთო საყვარელი საქმე ვაკეთოთ და ვამყარებთ მასთან ინტიმურ ურთიერთობას, რაკი ასეთი ადამიანი თავისი ამხანაგების მიმართ საჭადრაკო სვლას მიმარ-

* — გავათავეო. რ ე დ.
** — კარიერისტებს. რ ე დ.
*** — დიდი მოკრძალებით, პატივისცემით. რ ე დ.

თავს, — აქ უკვე საეჭვო აღარ არის, რომ ის არ არის კარგი ადამიანი, სწორედ კარგი ადამიანი არ არის, რომ მასში ძალზე სჭარბობს პირადი, წვრილმანი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის მოტივები, რომ ის არაგულწრფელი ადამიანია. ამ აღმოჩენამ — ეს ჩვენთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო! — მეხივით თავზარი დაგვცა, იმიტომ რომ აქამდე ჩვენ ორივე შეყვარებული ვიყავით პლეხანოვისადმი და, როგორც საყვარელ ადამიანს, ყველაფერს ვაპატიებდით ხოლმე, ვერ ვამჩნევდით მის ნაკლოვანებებს, მთელი ჩვენი ძალღონით ვარწმუნებდით თავს, რომ ამ ნაკლოვანებებს არ ჰქონდა ადგილი, რომ ეს წვრილმანი იყო, რომ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც საკმაოდ ვერ აფასებენ პრინციპებს. და აი, ჩვენ თვითონ იძულებული შევიქენით თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით, რომ ასეთ «წვრილმან» ნაკლოვანებებს შეუძლია დაგაშოროს უერთგულესი მეგობრებიც კი და არავითარ რწმენას თეორიულ სიმართლეში არ ძალუძს დაგვავიწყოს მისი უ ს ი ა მ ო ვ ნ ო თვისებები. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა: იდეალი დაიმსხვრა და ჩვენც სიამოვნებით ვთელავდით მას ფეხქვეშ, როგორც დამხობილ კერპს: უსასტიკეს ბრალდებებს დასასრული აღარ უჩანდა. ასე შეუძლებელია! — გადავწყვიტეთ ჩვენ. ჩვენ არ გვსურს და ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა, არ ვიმუშავებთ ერთად ასეთ პირობებში. მშვიდობით, ჟურნალო! ვტოვებთ ყველაფერს და გავეშურებით ისევ რუსეთში, იქ ხელახლა მოვაგვარებთ საქმეს და დავკმაყოფილდებით გაზეთით. ჩვენ არ გვინდა მაჩანჩალად ვიყოთ ამ ადამიანის ხელში: ამხანაგური დამოკიდებულება მას დაუშვებლად მიაჩნია. არ ესმის, რედაქტორობის აღებას თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე ჩვენ ვერ ვბედავთ, გარდა ამისა ახლა ეს პირდაპირ საზიზღრობაც იქნებოდა, ეს სწორედ ისე გამოვიდოდა, თითქოს ჩვენ მხოლოდ რედაქტორთა ადგილებს ვეპოტინებოდით, თითქოს ჩვენ ვიყავით Streber-ები, კარიერისტები, თითქოს ჩვენშიც ისეთივე პატივმოყვარეობა ლაპარაკობდა, მხოლოდ უფრო პატარა ყალიბისა...

ძნელია საკმაო სისწორით აწერა ჩვენი იმღამინდელი მდგომარეობისა: ისეთი რთული, მძიმე და ამღვრეული სულიერი განწყობილება გვქონდა! ეს ნამდვილი დრამა იყო, სრული კავშირის გაწყვეტა იმასთან, რასაც მთელი წლობით ელოლიავები, როგორც საყვარელ პირმშოს, რასთანაც განუყრელად აკავშირებდი მთელ შენს სასიცოცხლო მუშაობას. და ყოველივე ეს იძიტომ, რომ წინათ შეყვარებული ვიყავით პლეხანოვზე: ამ შეყვარებულობას რომ არ ჰქონოდა ადგილი, უფრო გულგრილად რომ მოვპყრობოდით, უფრო მშვიდად, ცოტათი უფრო განიდან რომ შეგვეხედა მისთვის,—სხვანაირად დავიჭერდით თავს მასთან და აღარ განვიცდიდით ასეთ «კრახს» ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ასეთ «ზნეობრივ გაცოცხვას», არსენიევის სრულიად სწორი თქმისა არ იყოს. ეს იყო ცხოვრების საშინლად მკვეთრი გაკვეთილი, გულსატკენად მკვეთრი, გულსატკენად ტლანქი. უმცროსი ამხანაგები «თავს ევლებოდნენ» უფროს ამხანაგს მისდამი უზომო სიყვარულის გამო, — ძას კი უეცრად ინტრიგების ატმოსფერო შემოაქვს ამ სიყვარულში და აიძულებს მათ თავი იგრძნონ არა უმცროს ძმებად, არამედ ბრიყვებად, რომელთაც ატყუებენ, ტიკინებად, რომლებსაც სურვილისამებრ წაღმა-უკუღმა ატრიალებენ და, თუ გნებავთ, უუნარო Streber-ებადაც კი, რომელთაც საჭიროა მაგრად შეუყვირო დასაშინებლად და ქედი მოახრევინო. და სიყვარულით შეპყრობილი სიჭაბუკე თავისი სიყვარულის ობიექტისგან ღებულობს მწარე დარიგებას: საჭიროა ყოველ ადამიანს მოეპყრა «არასანტიმენტალურად», საჭიროა უბეში ქვა გქონდეს შემონახული. ასეთი მწარე სიტყვები უამრავი დავხარჯეთ ჩვენ იმ საღამოს. კრახის ანაზდეულობა, ბუნებრივია, საკმაო გაზვიადებასაც იწვევდა, მაგრამ არსებითად ეს მწარე სიტყვები სიმართლეს შეიცავდნენ. სიყვარულით დაბრმავებულებს, ჩვენ არსებითად თავი გვეჭირა, როგორც მ ო ნ ე ბ ს, ხოლო მონად ყოფნა — ულირსი საქმეა, და ამის შეგნებით გამოწვეულ შეურაცხყოფას ასწილ ადიდებდა ის გარემოება, რომ «მან» თვითონვე აგვიხილა თვალი ჩვენი მაგალითით...

ბოლოს, წავედით ჩვენ-ჩვენს ოთახში დასაძინებლად მტკიცე გადაწყვეტილებით მეორე დღესვე გამოგვეთქვა პლეხანოვისთვის ჩვენი გულისწყრომა, უარი გვეთქვა ჟურნალის გამოცემაზე და გავმგზავრებულიყავით, დაგვეტოვებინა მარტო გაზეთი, საჟურნალო მასალა კი გამოგვეცა ბროშურებად: ამით საქმე, ვფიქრობდით, არ დაბრკოლდებოდა, ჩვენ კი თავს დავაღწევდით «ამ ადამიანთან» ახლო ურთიერთობას.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე ადრე გამომეღვიძა: მაღვიძებს ფეხის ხმა კიბეზე და ხმა პ. ბ-ისა, რომელიც არსენიევის ოთახის კარზე აკაკუნებს. მესმის, როგორ ეხმაურება მას არსენიევი და კარს უღებს — მესმის ეს და გულში ვფიქრობ: ნეტავი თუ ეყოფა არსენიევს სიმტკიცე, რომ ყველაფერი ერთბაშად უთხრას? უმჯობესი კი იქნება ერთბაშად ეტყოდეს, არ გააჭიანურებდეს საქმეს. პირი დავიბანე, ტანთ ჩავიცვი და შევდივარ არსენიევთან; ის პირს იბანს. აქსელროდი სავარძელში ზის, ცოტათი უხერხულობა ეტყობა. «აი, №№, — მომმართავს არსენიევი, — მე ვუთხარი პ. ბ-ს, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ რუსეთში წასვლა, რადგან დავრწმუნდით, რომ საქმის ასე გაძღოლა შეუძლებელია». მე, რაღა თქმა უნდა, სავსებით ვუერთდები და მხარს ვუჭერ არსენიევს. აქსელროდს ჩვენ მოურიდებლად ვუამბობთ ყველაფერს, იმდენად მოურიდებლად, რომ არსენიევი იმასაც კი ეუბნება — ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ პლეხანოვი Streber-ებად გვთვლისო. აქსელროდი საერთოდ ნახევრადთანაგვიგრძნობს, თავს მწარედ აქნევს და მეტისმეტად უგუნებოდ, დაბნეული, შემკრთალი გამოიყურება, მაგრამ აქ კი ენერგიულ პროტესტს აცხადებს და ჰყვირის — ეს კი აღარ არის მართალიო, პლეხანოვს აქვს სხვადასხვა ნაკლი, მაგრამ ამას მაინც ვერ დასწამებთო, აქ უკვე ის კი არ გეპყრობათ თქვენ უსამართლოდ, არამედ თქვენ ეპყრობით მას უსამართლოდ, აქამდე მზად ვიყავი მეთქვა პლეხანოვისთვის: «ხედავ, რა ჩაიდინე, — თვითონვე გამოასწორე, მე ხელი დამიბანია-მეთქი», ახლა კი ველარ გავბედავ, ვინაიდან ვხედავ, რომ თქვენც უსამართლოდ ეპყრობითო. მისმა რწმუნებამ ჩვენზე, რა თქმა უნდა, ვერაფერი შთაბეჭდი-

ლება მოახდინა, და საბრალო პ. ბ-ს საცოდავი სახე ჰქონდა, რადგან რწმუნდებოდა, რომ ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცე იყო.

ჩვენ ერთად გამოვედით და წავედით ვ. ი.-თან, რათა ისიც გაგვეფრთხილებინა. მოველოდით, რომ ის ჩვენი «გათიშვის» ამბავს (საქმე ხომ სწორედ გათიშვის სახეს ღებულობდა) დიდი მწუხარებით შეხვდებოდა. მე მეშინია კიდეც — ამბობდა არსენიევი წინადღით — სავსებით სერიოზულად მეშინია, რომ ის თავს მოიკლავსო...

არასოდეს არ დამავიწყდება ის სულიერი განწყობილება, რომლითაც გამოვდიოდით ჩვენ სამივენი: «თითქოს მიცვალებულს ვაცილებდეთ» — ჩავილაპარაკე ჩემთვის. და მართლაც, თითქოს მიცვალებულს ვაცილებდით, მივდიოდით უსიტყვოდ, თავჩაქინდრულნი, უაღრესად დანაღვლიანებულნი დანაკლისის შეუსაბამობით, უცნაურობით, უაზრობით. თითქოს ვინმემ 'ძეგვაჩვენაო! თითქოს ყველაფერი კარგად გვარდებოდა — გვარდებოდა ხანგრძლივი ბედუკუღმართობისა და მარცხის 'შემდეგ, — და უეცრად გვეკვეთა ქარიშხალი — და გათავდა, ყველაფერი კვლავ იფუშება. თავსაც არ ვუჯერდი (სწორედ ისე, როგორც არ უჯერი თავს, როცა ახლობელი ადამიანის სიკვდილის 'პირველ 'შთაბეჭდილებას განიცდი) — ნუთუ ეს მე, პლეხანოვის მხურვალე თაყვანისმცემელი, ახლა ასეთი გაბოროტებით ვლაპარაკობ მასზე და მივდივარ, პირმოკუმული და საშინლად გულცივი, რომ ვუთხრა ცივი და მკვახე სიტყვები, გამოვუცხადო თითქმის «ურთიერთობის გაწყვეტა»? ნუთუ ეს სინამდვილეა და არა ცუდი სიზმარი?

ეს შთაბეჭდილება არ განელდა ვ. ი-თან ლაპარაკის დროსაც. განსაკუთრებული აღელვება მას არ გამოუჩენია, მაგრამ ეტყობოდა, რომ საშინლად შეწუხებული იყო და გვთხოვდა, თითქმის გვემუდარებოდა — იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო უარი გვეთქვა ჩვენს გადაწყვეტილებაზე, გვესინჯა, იქნებ, სინამდვილე ასეთი საშინელი არ გამომდგარიყო; მუშაობის დროს ურთიერთობა მოგვარდება, მუშაობაში ისე თვალსაჩინო არ იქნება მისი ხასიათის უსიამოვნო თვისებებიო...

ეს მეტისმეტად მძიმე იყო — იმ ადამიანის გულწრფელი მუდარის მოსმენა, რომელიც სუსტი იყო პლეხანოვის წინაშე, მაგრამ უსათუოდ გულწრფელი და საქმისთვის უსაზღვროდ თავდადებული, ადამიანის, რომელიც «მონის გმირობით» (არსენიევის გამოთქმით) ეწეოდა პლეხანოვშჩინის უღელს. იმდენად მძიმე საყურებელი იყო, რომ, ღმერთმანი, ზოგჯერ ასე მეგონა — ავტირდები-მეთქი... როცა მიცვალებულს აცილებ, — ატირება სწორედ იმ შემთხვევაშია ყველაზე უფრო ადვილი, როცა სინანულის, სასოწარკვეთილების სიტყვებს გაიგონებ...

წამოვედით პ. ბ-სგან და ვ. ი.-სგან. წამოვედით, ვისადილეთ, გერმანიაში წერილები გავგზავნეთ, მივწერეთ მოვდივართო, რომ მ ა ნ ქ ა ნ ა შ ე ე ჩ ე რ ე ბ ი ნ ა თ, დეპეშაც კი გავგზავნეთ ამის შესახებ (ჯერ კიდევ პლეხანოვთან მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა მ დ ე!!), და არც ერთს ჩვენგანს არ აღძვრია ეჭვი იმის საჭიროებაში, რასაც ჩავდიოდით.

წასადილევს ისევ მივდივართ დანიშნულ საათზე პ. ბ-სთან და ვ. ი.-სთან, სადაც უკვე პლეხანოვიც უნდა დაგვხვედროდა. ძივედით, ისინი სამნივე გამოგვეგებნენ. ერთმანეთს უსიტყვოდ მივესალმეთ — თუმცა პლეხანოვი ცდილობს გარეშე საგანზე ჩაძოაგდოს საუბარი (ჩვენ ვთხოვეთ პ. ბ-ს და ვ.-ს წინასწარ ეთქვათ მისთვის ყოველივე, ასე რომ მან უკვე ყველაფერი იცის) — ვბრუნდებით ოთახში და ვსხდებით. არსენიევი იწყებს ლაპარაკს თავდაჭერით, მშრალად და მოკლედ, რომ ჩვენ დავკარგეთ საქმის წაყვანის იმედი ისეთი ურთიერთობის ვითარებაში, რ ო გ ო რ ი ც გუშინ გამოირკვა, რომ გადავწყვიტეთ რუსეთში წასვლა და იქაურ ამხანაგებთან მოთათბირება, ვინაიდან ჩვენ ვეღარ ვკისრულობთ საქმის გადაწყვეტას, რომ ჟურნალზე ჯერჯერობით ხელს ვიღებთ. პლეხანოვი ძლიერ მშვიდადაა, თავშეკავებულია, ცხადია, სავსებით და უცილობლად თავდაჭერილია, ნერვიულობის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობათ პავლე ბორისის-ძეს ან ვერა ივანეს ასულს (უარესი დავიდარაბა გამოუვლია! — ვფიქრობთ ეაბოროტებით, როცა მას ვუყურებთ!). ის იწყებს დაკითხვას,

მაინც, რაშია საქმეო. «ჩვენ ულტიმატუმების ატმოსფეროში ვიმყოფებით» — ამბობს არსენიევი და რაოდენადმე ანვითარებს ამ აზრს. «როგორ, განა შეგეშინდათ, რომ პირველი ნომრის შემდეგ გაფიცვას მოგიწყობდით მეორე ნომრის წინ?» — შემოტევით გვეკითხება პლეხანოვი. ის ფიქრობდა, რომ ამის თქმას ვერ გავბედავდით. მაგრამ მეც ცივად და მშვიდად ვუპასუხებ: «განა ეს განსხვავდება იმისაგან, რაც ა. ნ-მ სთქვა? მან ხომ სწორედ ეს სთქვა». ეტყობა, ეს ცოტათი არ ეჭაშნიკა პლეხანოვს. ის არ მოელოდა ასეთ კილოს, ასეთ მშრალ და პირდაპირ ბრალდებებს. — «ჰო, რაკი გადაგიწყვეტიათ წასვლა, რაღა გვაქვს აქ სალაპარაკო, — ამბობს ის, — აქ მე რა მაქვს სათქმელი, ჩემი მდგომარეობა ძალზე უცნაურია: თქვენ სულ რაღაც შთაბეჭდილებები ამოგიჩემებიათ და მეტი არაფერი: თქვენ ისეთი შთაბეჭდილება მიგიღიათ, რომ მე ცუდი კაცი ვარ. აბა, რით უნდა ვუშველო მე ამას?» — ჩვენი დანაშაული შეიძლება ის იყო, — ვამბობ მე და მინდა საუბარი გადავიტანო ამ «აუტანელი» თემიდან, — რომ ჩვენ მეტისმეტად მოვუსვით ხელი, სანამ ფონს მოვსინჯავდით. — «არა, გულწრფელად თუ ვილაპარაკებთ, — გვიპასუხებს პლეხანოვი, — თქვენი დანაშაული ის არის, რომ თქვენ (შეიძლება ამაში გამოიხატა არსენიევის ნერვიულობაც) მეტისმეტი მნიშვნელობა მიეცით ისეთ შთაბეჭდილებებს, რომლებისთვისაც სულაც არ უნდა მიგეცათ მნიშვნელობა». ჩვენ ვდუმვართ და შემდეგ ვამბობთ, რომ ჯერჯერობით შეიძლება ბროშურებით დავკმაყოფილდეთო. პლეხანოვს გული მოსდის: «მე ბროშურებზე არ მიფიქრნია და არც ვფიქრობ. ჩემი იმედი ნუ გაქვთ. თუ მიდიხართ, მე ხომ გულზე ხელდაკრეფილი არ ვიქნები, თქვენს დაბრუნებამდე შემიძლია სხვა საქმეს მოვკიდო ხელი».

არაფერს ისე არ დაუცია პლეხანოვი ჩემს თვალში, როგორც ამ მისმა უკანასკნელმა განცხადებამ, როცა ის შემდეგ მაგონდებოდა და ყოველმხრივ ვუფიქრდებოდი მას. ეს ისეთი უხეში მუქარა, ისე ცუდად ნავარაუდევი დაშინება იყო, რომ მას მხოლოდ პლეხანოვის «დასამარება» შეეძლო, რადგან ააშ-

კარავებდა მის «პოლიტიკას» ჩვენს მიმართ: საკმარისი იქნებაო ერთი კარგად დავაფრთხო ისინიო...

მაგრამ მის მუქარას ჩვენ არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ. მე მხოლოდ ტუჩები მოვკუმე უსიტყვოდ: კარგი-მეთქი, გავივლე გულში, შენ ხომ ეგრე იქცევი, მაშ à la guerre comme à la guerre *, მაგრამ ბრიყვი კი ყოფილხარ, თუ ვერ ხედავ, რომ ჩვენ ახლა უკვე ის აღარა ვართ, რაც ვიყავით, რომ ერთი ღამის განმავლობაში სულ მთლად გარდავიქმენით.

და აი, დაინახა თუ არა, რომ მუქარა არა ჭრის, პლეხანოვი სინჯავს სხვა მანევრს. მართლაც, მანევრია, მაშ რაღაა, როცა ის რამდენიმე წუთის შემდეგ, იქვე, ამბობს, თქვენთან კავშირის გაწყვეტა ჩემთვის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე სრულიად ხელის აღებას უდრის, ხელს ავიღებ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და მეცნიერულ, წმინდა-მეცნიერულ ლიტერატურულ მუშაობას შევუდგები, ვინაიდან თუ თქვენთანაც აღარ შემიძლია მუშაობა, მაშ აღარავისთან აღარ შემძლებიაო... დაშინება აღარ ჭრის, იქნებ პირფერობამ მაინც გასჭრას!.. მაგრამ დაშინების ცდის შემდეგ ამას მხოლოდ საძაგელი შთაბეჭდილება შეეძლო მოეხდინა... ლაპარაკი იყო მოკლე, საქმე არ იჩარხებოდა; პლეხანოვმა, როცა ეს დაინახა, საუბარი გადაიტანა რუსების სისასტიკეზე ჩინეთში, მაგრამ თითქმის მარტო თვითონ ლაპარაკობდა, და ჩვენც მალე დავიშალენით.

პ. ბ-სთან და ვ. ი-სთან საუბარი, პლეხანოვის წასვლის შემდეგ, არაფერს საინტერესოს და არსებითს აღარ წარმოადგენდა: პ. ბ. ლაქუცობდა, ცდილობდა დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ პლეხანოვიც გულმოკლულიაო, ცოდვას ჩაიდენთ, თუ ასე წახვალთო და სხვ. და სხვ. ვ. ი-მა ინტიმურ საუბარში არსენიევთან აღიარა, «ყორეი» მუდამ ასეთი იყოო, ის გამოტყდა, რომ «მონის გმირობას» იჩენს პლეხანოვის მიმართ, აღიარა, რომ «ეს გაკვეთილი იქნება პლეხანოვისთვის», თუ ჩვენ წავალთ.

---

* — რაკი ომია, იყოს ომის ყაიდაზე. რ ე დ.

დანარჩენი საღამო უშინაარსოდ გავატარეთ, გულდამძიმებულად.

მეორე დღეს, სამშაბათს, 28 აგვისტოს ახ. სტ., საჭირო იყო გამგზავრება ჟენევაში და იქიდან გერმანიაში. დილით ადრე მაღვიძებს არსენიევი (ჩვეულებრივ ის გვიან დგებოდა). გაბიკვირდა: მეუბნება, ცუდად მეძინა და უკანასკნელი შესაძლებელი კომბინაცია მოვიფიქრე იმისთვის, რომ ოდნავ მაინც მოვაგვაროთ საქმე და პირადი ურთიერთობის გაფუჭების გამო სერიოზული პარტიული წამოწყება არ დაიღუპოსო. გამოვცეთ კრებული,—მადლობა შემოქმედს, მასალა გათვალისწინებულია, სტამბასთან კავშირი მოგვარებულია. გამოვცეთ კრებული ჯერჯერობით რედაქტორთა ახლანდელი გაურკვეველი ურთიერთობის პირობებში და შემდეგ ვნახოთ: კრებულიდან თანაბრად ადვილია გადასვლა როგორც ჟურნალზე, ისე ბროშურებზედაც. ხოლო თუ პლეხანოვი გაჯიუტდება,—ეშმაკსაც წაუღია, გვეცოდინება, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო... გადაწყდა.

მივდივართ შევატყობინოთ პავლე ბორისის-ძეს და ვერა ივანეს ასულს და ვხვდებით მათ: ისინი ჩვენთან მოდიოდნენ. ისინი, რა თქმა უნდა, სიამოვნებით თანხმდებიან, და პ. ბ. კისრულობს დავალებას მოელაპარაკოს პლეხანოვს და დაითანხმოს იგი.

ჩავდივართ ჟენევაში და უკანასკნელ საუბარს ვმართავთ პლეხანოვთან. ის ისეთ კილოზე იწყებს ლაპარაკს, თითქოს რაც მოხდა, მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობა იყო ნერვიულობის ნიადაგზე: თანაგრძნობით ეკითხება არსენიევს მისი ჯანმრთელობის შესახებ და ლამის არის გადაეხვიოს — ის კინაღამ განზე გაუხტა. პლეხანოვი თანხმდება კრებულზე: ჩვენ ვამბობთ, რომ სარედაქტორო საქმის ორგანიზაციის საკითხის გამო შესაძლებელია სამი კომბინაცია (1. ჩვენ—რედაქტორები, ის — თანამშრომელი; 2. ჩვენ ყველანი—თანარედაქტორები; 3. ის — რედაქტორი, ჩვენ — თანამშრომლები), სამივე კომბინაციას განვიხილავთ რუსეთში, შევიმუშავებთ პროექტს და მოვიტანთ აქ. პლეხანოვი აცხადებს, რომ ის გა-

დაჭრით უარს ამბობს მესამე კომბინაციაზე, გადაჭრით მოითხოვს, რომ სრულიად გამორიცხულ იქნას ეს კომბინაცია, ხოლო პირველ ორივე კომბინაციაზე თანახმაა. ასეც გადავწყვიტეთ: ჯერჯერობით, სანამ ახალ სარედაქტორო რეჟიმის პროექტს წარმოვადგენდეთ, ძველ წესს ვტოვებთ (ყველა ექვსივე — თანარედაქტორი, ხოლო პლეხანოვს — 2 ხმა).

პლეხანოვი შემდეგ გამოთქვამს სურვილს — კარგად გავაგებინოთ, მაინც რაში იყო საქმე, რით ვიყავით უკმაყოფილო. მე შევნიშნავ, რომ შეიძლება უმჯობესი იყოს, მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა იქნება, და არა იმას, თუ რა იყო. მაგრამ პლეხანოვი დაჟინებით მოითხოვს, საჭიროა გამოვარკვიოთ, გავარჩიოთო. ჩაღდება საუბარი, რომელშიც მონაწილეობას ვიღებთ თითქმის მხოლოდ პლეხანოვი და მე— არსენიევი და პ. ბ. სდუმან. საუბარი სწარმოებს საკმაოდ დამშვიდებით, სრულიად დამშვიდებითაც კი. პლეხანოვი ამბობს, რომ მან შენიშნა, თითქოს არსენიევი გააბრაზა მისმა უარმა სტრუვეს შესახებ, — მე ვუპასუხებ, რომ ის, პირიქით, პირობებს გვიყენებდა — წინააღმდეგ თავისი წინანდელი განცხადებისა ტყეში, პირობებს არ ვაყენებო. პლეხანოვი თავს იცავს: მე ვდუმდი არა იმიტომ, რომ პირობებს ვაყენებდი, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის საკითხი ნათელი იყოო. მე ვამბობ პოლემიკის დაშვების საჭიროებაზე, ჩვენს შორის კენჭის ყრის საჭიროებაზე, — პლეხანოვი უკანასკნელზე თანხმდება, მაგრამ ამბობს: კერძო საკითხებზე, რა თქმა უნდა, კენჭის ყრა დასაშვებია, ძირითად საკითხებზე — შეუძლებელიაო. მე ვუპასუხებ, რომ სწორედ ძირითადისა და კერძო საკითხების გამიჯვნა ყოველთვის ოლი არ იქნება, სწორედ ამ გამიჯვნაზე იქნება საჭირო კენჭის ყრა თანარედაქტორებს შორის-მეთქი. პლეხანოვი ჯიუტობს, ამბობს — ეს უკვე სინიდისის საქმეაო, ძირითადისა და კერძო საკითხების ერთმანეთისაგან გარჩევა ნათელი საქმეა, აქ კენჭის საყრელიც არაფერრიაო. ამრიგად, ამ დავაზე — დასაშვებია თუ არა კენჭის ყრა თანარედაქტორთა შორის ძირითადისა და კერძო საკითხების

ერთმანეთისაგან გარჩევის შესახებ, — გავეხირეთ და ნაბიჯიც ვერ გადავდგით წინ. პლეხანოვმა გამოიჩინა მთელი თავისი მოხერხებულობა, მთელი ბრწყინვალება თავისი მაგალითების, შედარებების, ოხუნჯობის, ციტატების მოყვანისა, რითაც უნებლიედ გვაცინებდა, მაგრამ ეს საკითხი მაინც მიაფუჩეჩა და არ სთქვა პირდაპირ: არაო. მე ისეთი რწმენა დამრჩა, რომ მას სწორედ აქ, ამ პუნქტში, არ შეეძლო დათმობა, არ შეეძლო უარი ეთქვა თავის «ინდივიდუალიზმზე» და თავის «ულტიმატუმებზე», ვინაიდან ის ამგვარ საკითხებზე კენჭის ყრას კი არ დაიწყებდა, არამედ სწორედ ულტიმატუმებს წამოაყენებდა.

იმავე დღეს საღამოთი მე გავემგზავრე, ისე რომ მეტი აღარავინ მინახავს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიდან. გადავწყვიტეთ არავისთვის გაგვემხილა ეს ამბავი, გარდა ყველაზე დაახლოებული პირებისა, — გადავწყვიტეთ დაგვეცვა აპარანსები,[112] — არ გაგვეხარებინა მოწინააღმდეგეები. გარეგნულად — თითქოს არაფერი მომხდარა, მთელ მანქანას ისე უნდა ემუშავნა, როგორც მუშაობდა, — მხოლოდ შიგნით გაწყდა რომელიღაც სიმი, და ნაცვლად საუცხოო პირადი ურთიერთობისა დამყარდა საქმიანი, მშრალი ურთიერთობა, მუდმივ ანგარიშზე აგებული: ფორმულით si vis pacem, para bellum *.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ იმავე დღის საღამოს ერთი საუბარი, რომელიც მე მქონდა პლეხანოვის ერთ უახლოეს ამხანაგთან და მომხრესთან, «სოციალ-დემოკრატის» ჯგუფის წევრთან. მე მისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს იმის შესახებ, რაც მოხდა, ვუთხარი მხოლოდ, რომ ჟურნალის გამოცემა გადაწყდა, სტატიები განრიგებულია და დროა საქმეს შევუდგეთმეთქი. ვსაუბრობდი მასთან იმაზე, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა მოგვეგვარებინა საქმე: ის სავსებით იმ აზრისა იყო, რომ მოხუცნი სრულიად არ ვარგან სარედაქტორო მუშაობისთვის. მოვუყევი «სამი კომბინაციის» შესახებ და პირდაპირ შევეკითხე: შენი აზრით, რომელია

* — თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის. რ ე დ.

ყველაზე უმჯობესიმეთქი. მან პირდაპირ და უყოყმანოდ მიპასუხა — პირველიო (ჩვენ — რედაქტორები, ისინი — თანამშრომლები), მაგრამ, ალბათ, ჟურნალი პლეხანოვისა იქნება, გაზეთი — თქვენიო.

რამდენადაც უფრო ვშორდებოდით მომხდარ ისტორიას, იმდენად უფრო ვმშვიდდებოდით და ვრწმუნდებოდით, რომ საქმის მიტოვებისთვის არავითარი საფუძველი არ იყო, რომ ჯერჯერობით არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ჩვენთვის (კ რ ე ბ უ ლ ი ს) რედაქტორობა გვეკისრნა, ხოლო აუცილებელი იყო, რომ სწორედ ჩვენ გვეკისრნა, ვინაიდან სხვანაირად აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა არ იყო იმისათვის, რომ სწორად აგვემუშავებინა მანქანა და საქმე არ დაგვეღუპა პლეხანოვის დეზორგანიზატორული «თვისებების» გამო.

№-ში ჩასვლისას [113], 4 თუ 5 სექტემბერს, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ჩვენ შორის ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ურთიერთობის პროექტი (ამ პროექტის წერა ჯერ კიდევ გზაში, რკ. გზ. ვაგონში, დავიწყე); ამ პროექტით ჩვენ რედაქტორები უნდა გავმხდარიყავით, ისინი — თანამშრომლები ხმის უფლებით ყველა საredაქციო საკითხში. გადავწყვიტეთ ეს პროექტი გაგვეხილა ეგორთან (მარტოვთან) ერთად და შემდეგ წარგვედგინა მათთვის.

ნაპერწკალმა დაიწყო იმედის მოცემა, რომ ის კვლავ აინთებოდა.

დაწერილია 1900 წლის სექტემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

შეთანხმების პროექტი [114]

1. ვინაიდან ძირითად შეხედულებათა სოლიდარობა და პრაქტიკულ ამოცანათა იგივეობა არსებობს საზღვარგარეთულ ჯგუფ «სოციალ-დემოკრატსა» და რუსეთის იმ ჯგუფს შორის, რომელიც სცემს კრებულ «ზარიას» და გაზეთ «ისკრას», ხსენებული ორგანიზაციები ერთმანეთს შორის ჰკრავენ კავშირს.

2. ორივე ჯგუფი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ერთმანეთს:

ჯერ-ერთი, ლიტერატურული მხრივ. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი უახლოეს სარედაქციო მონაწილეობას იღებს კრებულ «ზარიასა» და გაზეთ «ისკრაში» *;

მეორე, ლიტერატურის მოწოდებისა და გავრცელების, რევოლუციურ კავშირურთიერთობათა გაფართოებისა და განმტკიცების და მატერიალური სახსრების გამონახვის საქმეში.

3. «ისკრას» ჯგუფის საზღვარგარეთელი წარმომადგენლები არიან ჯგუფი «სოციალ-დემოკრატი» და «ისკრას» საგანგებო აგენტები.

4. წერილები და ამანათები, რომლებიც საზღვარგარეთიდან მოდის «ისკრას» ჯგუფისთვის, იგზავნება ჯგუფ «სოციალ-დემოკრატის» მისამართით. იმ შემთხვევებში, როდესაც

---

* ამ მონაწილეობის პირობები გარკვეულია განსაკუთრებული შეთანხმებით [115].

საზღვარგარეთ იმყოფება «ისკრას» ჯგუფის რომელიმე წევრი,—ძთელი კორესპონდენცია მას ეგზავნება. ხოლო ვინიცობაა ამა თუ იმ დროს საზღვარგარეთ «ისკრას» ჯგუფის არც ერთი წევრი არ არის, ჯგუფი «სოციალ-დემოკრატი» და «ისკრას» საგანგებო აგენტები თვითონ კისრულობენ მის საქმეებს.

დაწერილია 1900 წლის სექტემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციას» № 3-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«ისკრის» რედაქციის განცხადება [116]

რედაქციისაგან

წამოვიწყეთ რა პოლიტიკური გაზეთის — «ისკრას» გამოცემა, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ საითკენ ვისწრაფით და როგორ გვესმის ჩვენი ამოცანები.

ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს განვიცდით რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. უკანასკნელი წლები ხასიათდება სოციალ-დემოკრატიული იდეების საოცრად სწრაფი გავრცელებით ჩვენს ინტელიგენციაში, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ამ მიმდინარეობას ეგებება დამოუკიდებლად წარმოშობილი მოძრაობა სამრეწველო პროლეტარიატისა, რომელიც იწყებს გაერთიანებას და ბრძოლას თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ, გატაცებით მიისწრაფის სოციალიზმისაკენ. ყველგან ჩნდებიან მუშებისა და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა წრეები, ვრცელდება ადგილობრივი სააგიტაციო ფურცლები, იზრდება მოთხოვნა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე, ისე რომ მას ველარ ასდის მიწოდება, ხოლო მთავრობის მხრივ გაძლიერებულ დევნას აღარ ძალუძს ამ მოძრაობის შეჩერება. საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია, გადასახლების ადგილები გავსებულია, თითქმის ყოველ თვე გვესმის «ჩავარდნები» რუსეთის ყველა კუთხეში, ტრანსპორტების დაჭერა, ლიტერატურისა და სტამბების კონფისკაცია, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო იზრდება, სულ უფრო მეტ რაიონზე ვრცელდება, სულ უფრო ღრმად იჭრება მუშათა კლასში, სულ უფრო მეტად იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. და რუ-

სეთის მთელი ეკონომიური განვითარება, რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია იმის თავდებია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა განაგრძობს ზრდას, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, და ბოლოს და ბოლოს გადალახავს ამ დაბრკოლებებს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი მოძრაობის მთავარი ნიშანდობლივი თვისება, რომელიც უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გვეცემა თვალში, — ესაა მისი დაქსაქსულობა, მისი, ასე ვთქვათ, კუსტარული ხასიათი: ადგილობრივი წრეები ჩნდებიან და მოქმედებენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, დამოუკიდებლად თვით იმ წრეებისგანაც კი (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ იმავე ცენტრებში; არ მყარდება ტრადიცია, არ არის თანამომდევნობა, და ადგილობრივი ლიტერატურაც სავსებით ასახავს ამ დაქსაქსულობას და კავშირის უქონლობას იმასთან, რაც უკვე შეუქმნია რუსეთის სოციალ-დემოკრატიას.

ამ დაქსაქსულობის შეუსაბამობა იმ მოთხოვნილებებთან, რომელთაც აყენებს მოძრაობის სიძლიერე და სიფართოვე, ჩვენი აზრით, კრიტიკულ მომენტს ჰქმნის მის განვითარებაში. თვით მოძრაობაში შეუკავებელი ძალით იჩენს თავს განმტკიცების, გარკვეული ფიზიონომიისა და ორგანიზაციის შემუშავების მოთხოვნილება, ამავე დროს კი პრაქტიკულად მომუშავე სოციალ-დემოკრატების წრეში ყველგან როდია შეგნებული მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე ასეთი გადასვლის აუცილებლობა. პირიქით, საკმაოდ ფართო წრეებში შენიშნულია აზრთა მერყეობა, «მარქსიზმის კრიტიკითა» და «ბერნშტეინიადით» მოდად შემოსული გატაცება, ეგრეთწოდებული «ეკონომიური» მიმართულების შეხედულებათა გავრცელება და ამასთან განუყრელად დაკავშირებით — მისწრაფება შეჩერებულ იქნას მოძრაობა მის დაბალ საფეხურზე, მისწრაფება — მეორე რიგში იქნას დაყენებული ამოცანა ისეთი რევოლუციური მეთაურობა ბრძოლაში. რომ ამგვარ აზრთა მერყეობას აქვს

ადგილი რუს სოციალ-დემოკრატებს შორის, რომ მთლიანად აღებული მოძრაობის თეორიულად გაშუქებას მოწყვეტილი ვიწრო პრაქტიციზმი ემუქრება მოძრაობას ყალბ გზაზე გადაყვანით, — ეს ფაქტია; ამაში ეჭვს ვერ შეიტანს ვერავინ, ვინც უშუალოდ იცნობს საქმის მდგომარეობას ჩვენი ორგანიზაციების უმეტესობაში. აკი ლიტერატურული ნაწარმოებებიც მოგვეპოვება ამის დამადასტურებელი: საკმაოა დავასახელოთ თუნდაც «Credo» *, რომელმაც უკვე გამოიწვია სრულიად კანონიერი პროტესტი, ««რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება» (1899 წლის სექტემბერი), სადაც ესოდენ რელიეფურად არის გამოხატული ის ტენდენცია, რომლითაც გამსჭვალულია მთელი გაზეთი «რაბოჩაია მისლ», ანდა, ბოლოს — პეტერბურგის «მუშათა კლასის თვითგანთავისუფლების ჯგუფის» [117] მოწოდება, შედგენილი იმავე «ეკონომიზმის» სულისკვეთებით. და სრულიად შემცდარია «რაბოჩეე დელოს» [118] მტკიცება, «Credo» ერთეულ პიროვნებათა აზრს წარმოადგენს და მეტს არაფერსო, «რაბოჩაია მისლის» მიმართულება მხოლოდ მისი რედაქციის აბდაუბდას და უტაქტობას გამოხატავს და არა განსაკუთრებულ მიმართულებას თვით რუსეთის მუშათა მოძრაობის მსვლელობაშიო.

ხოლო ამასთან ერთად იმ მწერლების ნაწერებში, რომლებიც აქამდე მეტი თუ ნაკლები საფუძვლით მკითხველ საზოგადოებას «ლეგალური» მარქსიზმის გამოჩენილ წარმომადგენლებად მიაჩნდა, სულ უფრო და უფრო იჩენს თავს მობრუნება იმ შეხედულებებისკენ, რომლებიც ბურჟუაზიულ აპოლოგეტიკას უახლოვდებიან. ყოველივე ამის შედეგია სწორედ ის დაბნეულობა და ანარქია, რომელიც საბაბს აძლევს ექს-მარქსისტს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ექს-სოციალისტ ბერნშტეინს, ჩამოსთვალოს თავისი წარმატებები და დაუბრკოლებლივ განაცხადოს პრესაში, თითქოს რუსეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატების უმეტესობა მისი მიმდევრებისგან შესდგებოდეს.

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა.

ჩვენ არ გვინდა გავაზვიადოთ მდგომარეობის საშიშროება, მაგრამ მასზე თვალის დახუჭვა გაცილებით უფრო მეტად მავნებელი იქნებოდა; აი რატომ არის, რომ ჩვენ მთელი სულითა და გულით მივესალმებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გადაწყვეტილებას — განაახლოს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა და დაიწყოს სისტემატური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიზმის შერყვნისა და გაუგვანოების ცდების წინააღმდეგ.

პრაქტიკული დასკვნა ყოველივე აქედან ასეთია: ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, უნდა შევმჭიდროვდეთ და მთელი ჩვენი ძალღონე მივმართოთ მტკიცე პარტიის შესაქმნელად, პარტიისა, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშით იბრძოლებს. სწორედ ეს ამოცანა დასახა უკვე 1898 წლის ყრილობამ, რომელმაც შექმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და გამოაქვეყნა მისი «მანიფესტი».

ჩვენ თავს ვცნობთ ამ პარტიის წევრებად, სავსებით ვიზიარებთ «მანიფესტის» ძირითად იდეებს და მას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, როგორც პარტიის მიზნების საქვეყნოდ გამოცხადებას. ამიტომ ჩვენთვის, როგორც პარტიის წევრებისთვის, უახლოესი და უშუალო ამოცანების საკითხი ასე ისმება: მოქმედების რანაირი გეგმა უნდა მივიღოთ, რომ მივაღწიოთ პარტიის რაც შეიძლება უფრო მტკიცე განახლებას?

ჩვეულებრივი პასუხი ამ კითხვაზე იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია ხელახლა არჩეულ იქნას ცენტრალური დაწესებულება და დაევალოს მას პარტიის ორგანოს განახლება. მაგრამ დაქსაქსულობის პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ასეთი იოლი გზა საეჭვოა მიზანშეწონილი გამოდგეს.

პარტიის შექმნა და განმტკიცება ნიშნავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის გაერთიანების შექმნასა და განმტკიცებას, ხოლო ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ასეთი გაერთიანების მიღწევა დეკრეტირებით არ შეიძლება. მას ვერ შემოიღებ

მხოლოდ მარტოოდენ რომელიმე, ვთქვათ, წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, ის აუცილებლად უნდა გამომუშავდეს. აუცილებლად უნდა გამომუშავდეს, ჯერ-ერთი, მტკიცე იდეური გაერთიანება, რომელიც მოსპობს იმ უთანხმოებასა და დაბნეულობას, რაც — უნდა გამოვტყდეთ! — ამჟამად გამეფებულია რუს სოციალ-დემოკრატებს შორის; აუცილებელია ამ იდეური გაერთიანების განმტკიცება პარტიული პროგრამით. მეორე, აუცილებლად უნდა შეიქმნას ორგანიზაცია, რომლის სპეციალური დანიშნულება იქნება კავშირურთიერთობის დამყარება მოძრაობის ყველა ცენტრს შორის, სრული და დროიანი ცნობების შეკრება მოძრაობის შესახებ და რუსეთის ყველა კუთხისთვის პერიოდული პრესის წესიერად მიწოდება. მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდება, როცა შეიქმნება რუსეთის სოციალისტური ფოსტა, პარტიის არსებობა განმტკიცდება და გახდება რეალური ფაქტი, და, მაშასადამე, მძლავრი პოლიტიკური ძალაც. ჩვენი განზრახვაც ის არის, რომ ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ ამ ამოცანის პირველ ნახევარს, ე. ი. პრინციპულად სწორი საერთო ლიტერატურის შექმნას, რომელიც შესძლებს იდეურად გააერთიანოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, ვინაიდან ამაში ვხედავთ ჩვენ თანამედროვე მოძრაობის საარსებო მოთხოვნილებას და აუცილებელ მოსამზადებელ ნაბიჯს პარტიის მუშაობის აღდგენისაკენ.

როგორც უკვე ვთქვით, რუსი სოციალ-დემოკრატების იდეური გაერთიანება ჯერ კიდევ გამომუშავებულ უნდა იქნას, რისთვისაც, ჩვენის აზრით, აუცილებელია იმ ძირითადი პრინციპული და ტაქტიკური საკითხების აშკარა და ყოველმხრივი განხილვა, რომლებიც თანამედროვე «ეკონომისტებმა», ბერნშტეინელებმა და «კრიტიკოსებმა» წამოაყენეს. სანამ გავერთიანდებოდეთ, და იმისთვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაერთიანება მხოლოდ ფიქცია იქნებოდა, არსებული დაბნეულობის მიმჩქმალავი და მისი რადიკალურად აღმოფხვრის ხელისშემშლელი. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენ

განზრახვა არა გვაქვს ჩვენი ორგანო სხვადასხვაგვარ შეხედულებათა უბრალო საწყობად გადავაქციოთ. პირიქით, ჩვენ გავუძღვებით მას სასტიკად გარკვეული მიმართულებით. ეს მიმართულება შეიძლება გამოთქმულ იქნას სიტყვით: მარქსიზმი, და, მგონი, საჭიროც არ არის დავუმატოთ, რომ ჩვენ მარქსისა და ენგელსის იდეების თანამიმდევარი განვითარების მომხრე ვართ და გადაჭრით უარვყოფთ იმ ნახევრადს, ბუნდოვან და ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომლებიც ახლა მოდად არის შემოსული ედ. ბერნშტეინის, პ. სტრუვეს და ბევრ სხვათა ლოცვა-კურთხევით. მაგრამ, როცა ჩვენ ვიხილავთ ყველა საკითხს ჩვენი გარკვეული თვალსაზრისით, სრულიადაც არ უარვყოფთ პოლემიკას ამხანაგებს შორის ჩვენი ორგანოს ფურცლებზე. აშკარა პოლემიკა ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისა და შეგნებული მუშის წინაშე აუცილებელიცაა და სასურველიც არსებულ უთანხმოებათა სიღრმის გასარკვევად, სადავო საკითხების ყოველმხრივ განსახილველად, უკიდურესობებთან საბრძოლველად,—უკიდურესობებთან, რომლებშიც აუცილებლად ცვივდებიან არა მარტო სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელნი, არამედ რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა ადგილის თუ სხვადასხვა «პროფესიის» წარმომადგენლებიც კი. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მოძრაობის ერთ-ერთ ნაკლად ისიც კი მიგვაჩნია, რომ არ სწარმოებს აშკარა პოლემიკა უკვე არსებულ სხვადასხვა შეხედულებათა შორის და ხელს ვაფარებთ უთანხმოებებს, რომლებიც ძალზე სერიოზულ საკითხებს ეხებიან.

აქ ჩვენ არ შევუდგებით იმ საკითხებისა და თემების დაწვრილებით ჩამოთვლას, რომლებიც ჩვენი ორგანოს პროგრამაში შედიან, ვინაიდან ეს პროგრამა თავისთავად გამომდინარეობს იმ ზოგადი ცნებიდან, თუ რას უნდა წარმოადგენდეს დღევანდელ პირობებში გამოცემული პოლიტიკური გაზეთი.

შეძლებისდაგვარად ჩვენ ვეცდებით, რომ ყველა რუსი ამხანაგი ჩვენს გამოცემას უყურებდეს როგორც თავის საკუთარ ორგანოს, რომელსაც ყველა ჯგუფი მიაწოდებს ყოველგვარ

ცნობებს მოძრაობის შესახებ, გაუზიარებს თავის გამოცდილებას, თავის აზრებსა და შეხედულებებს, თავის მოთხოვნილებებს ლიტერატურაზე, სოციალ-დემოკრატიული გამოცემების თავის შეფასებას, გაუზიარებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი მას შეაქვს მოძრაობაში და რაც იქიდან გამოაქვს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მართლაც საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს შექმნა. მხოლოდ ასეთ ორგანოს შეუძლია გამოიყვანოს მოძრაობა პოლიტიკური ბრძოლის ფართო გზაზე. «ჩვენი საპროპაგანდო-საagიტაციო და ორგანიზატორული მუშაობის ფარგლების გაშლა და შინაარსის გაფართოება» — პ. ბ. აქსელროდის ეს სიტყვები უნდა გახდეს ლოზუნგი, რომელმაც უნდა განსაზღვროს რუსი სოციალ-დემოკრატების მუშაობა უახლოეს მომავალში, — და ჩვენც ამ ლოზუნგს ვიღებთ ჩვენი ორგანოს პროგრამაში.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ არა მარტო სოციალისტებს და შეგნებულ მუშებს. ჩვენ მოვუწოდებთ აგრეთვე ყველას, ვისაც ჩაგრავს და სულს უხუთავს თანამედროვე პოლიტიკური წყობილება, ჩვენ ვთავაზობთ მათ ჩვენი გამოცემების ფურცლებს რუსეთის თვითმპყრობელობის ყოველგვარ სისაძაგლეთა სამხილებლად.

ვისაც სოციალ-დემოკრატია ესმის, როგორც ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება პროლეტარიატის მხოლოდ და მხოლოდ სტიქიურ ბრძოლას, მას შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტო ადგილობრივი აგიტაციით და «წმინდა-მუშური» ლიტერატურით. ჩვენ ასე როდი გვესმის სოციალ-დემოკრატია: ჩვენ ის გვესმის, როგორც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პარტია, განუყოფელად დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან. მხოლოდ ასეთ პარტიად ორგანიზებული პროლეტარიატი, თანამედროვე რუსეთის ეს ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი, შესძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული ისტორიული ამოცანა: გააერთიანოს თავისი დროშის ქვეშ ქვეყნის ყველა დემოკრატიული ელემენტი და მთელ რიგ დაღუპულ თაობათა მედგარი ბრძოლა დააგვირგვინოს საძულველ რეჟიმზე საბოლოო გამარჯვებით.

* *
*

გაზეთის თვითეული ნომერი გამოვა 1 — 2 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით.

გამოსვლის ვადა, რუსული არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის პირობების გამო, წინასწარ არ არის განსაზღვრული.

ჩვენ აღგვითქვეს თანამშრომლობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რამდენიმე გამოჩენილმა წარმომადგენელმა, უახლოესი მონაწილეობა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა (გ. ვ. პლეხანოვმა, პ. მ. აქსელროდმა, ვ. ი. ზასულიჩმა) და ხელის შეწყობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რამდენიმე ორგანიზაციამ და აგრეთვე რუს სოციალ-დემოკრატთა ცალკე ჯგუფებმა.

დაწერილია 1900 წლის სექტემბერში

დაიბეჭდა 1900 წელს ცალკე ფურცლად, «ისკრის» გამოცემა

იბეჭდება 1900 წლის ფურცლის ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა «მაისის დღეები ხარკოვში»

ეს ბროშურა წარმოადგენს ხარკოვის 1900 წლის განთქმული მაისობის აღწერას, რომელიც შედგენილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხარკოვის კომიტეტის მიერ თვით მუშების აღწერილობათა მიხედვით. ჩვენ ის გამოგვიგზავნეს კორესპონდენციის სახით, მაგრამ აუცილებლად ვცანით მისი ცალკე გამოცემა, როგორც მისი დიდი მოცულობის გამო, ისე იმის გამოც, რომ რაც შეიძლება უფრო ადვილად და თანაც რაც შეიძლება უფრო ფართოდ და მეტი რაოდენობით გავრცელებულიყო იგი. ნახევარი წლის შემდეგ რუსეთის მუშები იდღესასწაულებენ ახალი საუკუნის პირველი წლის პირველ მაისს, — და დროა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ეს დღესასწაული მოედოს რაც შეიძლება მეტ ცენტრებს, რომ ის რაც შეიძლება უფრო ძალუმი იყოს არა მარტო მონაწილეთა რიცხვის მხრივ, არამედ მათი ორგანიზებულობითაც, მათი შეგნებულობით, მათი გადაწყვეტილებით, რომ დაიწყონ მედგარი ბრძოლა რუსი ხალხის პოლიტიკური განთავისუფლებისთვის, ხოლო ამით პროლეტარიატის კლასობრივი განვითარებისა და სოციალიზმისთვის აშკარა ბრძოლის თავისუფალი ასპარეზის მოსაპოვებლადაც. დროა დავიწყოთ ახალი მაისობისთვის მზადება, და ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინასწარ მოსამზადებელ ღონისძიებად დავისახოთ იმის გაცნობა, რასაც უკვე მიაღწია სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ რუსეთში, იმის განხილვა, რაც კიდევ აკლია ჩვენს მოძრაობას საერთოდ და მაისობას კერძოდ, და როგორ უნდა გამოვასწოროთ ეს ნაკლი, როგორ მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს.



Россійская Социалдемократическая Рабочая Партія

МАЙСКІЕ ДНИ ВЪ ХАРЬКОВѢ

Изданіе „ИСКРЫ"

Типографія „Искры". Январь 1901.

გარეკანი ბროშურისა „მაისის დღეები ხარკოვში". — 1901 წ.

ხარკოვის მაისობა გვიჩვენებს, რა დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად შეიძლება გახდეს მუშათა დღესასწაული და რა გვაკლია იმისთვის, რომ ეს დღესასწაული ნამდვილად გახდეს შეგნებული პროლეტარიატის საერთო-რუსეთის დიად დემონსტრაციად. რამ მისცა მაისის დღეებს ხარკოვში დიდმნიშვნელოვანი ამბის ხასიათი? მუშების მასობრივმა მონაწილეობამ გაფიცვაში, ქუჩებში გამართულმა ხალხმრავალმა კრებებმა ათასთა მონაწილეობით, რომლებმაც ააფრიალეს წითელი დროშები, წამოაყენეს პროკლამაციებში აღნიშნული მოთხოვნები, ამ მოთხოვნების რევოლუციურმა ხასიათმა: 8-საათიანი სამუშაო დღე და პოლიტიკური თავისუფლება. ზღაპარს იმის შესახებ, თითქოს რუსი მუშები ჯერ კიდევ არ მომწიფებულან პოლიტიკური ბრძოლისთვის, თითქოს მათი მთავარი საქმეა „წმინდა-ეკონომიური ბრძოლა„ მხოლოდ ცოტ-ცოტაობით და ნელ-ნელა შევსებული ნაწილობრივი პოლიტიკური აგიტაციით ცალკეული პოლიტიკური რეფორმებისთვის და არა რუსეთის მთელი პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, — ამ ზღაპარს გადაჭრით აბათილებს ხარკოვის მაისობა. მაგრამ აქ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ საქმის მეორე მხარეს. ხარკოვის მაისობა კიდევ და კიდევ ამტკიცებს რუსი მუშების პოლიტიკურ უნარიანობას და იმავე დროს გვიჩვენებს, რა გვაკლია ამ უნარიანობის სრული განვითარებისთვის.

ხარკოვის სოციალ-დემოკრატები ეცადნენ მაისობა მოემზადებინათ ბროშურებისა და ფურცლების წინასწარ გავრცელებით; მუშებმა შეადგინეს საერთო დემონსტრაციისაც და «ცხენის მოედანზე» წარმოსათქმელი სიტყვების გეგმაც. რატომ არ განხორციელდა ეს გეგმა? ხარკოველი ამხანაგები ამაზე ასე უპასუხებენ: იმიტომ, რომ შეგნებულ სოციალისტ-მუშათა «მთავარი შტაბის» ძალები არ იყო თანაბრად განაწილებული, ზოგ ქარხანაში ბევრი, ზოგში ცოტა; შემდეგ, იმიტომ, რომ მუშების გეგმა «იცოდა ხელისუფლებამ», რომელმაც, ცხადია, ყოველგვარი ზომები მიიღო მუშების დასაქსაქსავად. დასკვნა ნათელია: გვაკლია ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. მუ-

შათა მასები უკვე ამოძრავდნენ და მზად არიან გაჰყვნენ სოციალისტ ბელადებს, მაგრამ «მთავარმა შტაბმა» ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მტკიცე ბირთვის შექმნა, რომელიც შესძლებდა სწორად გაენაწილებინა მის განკარგულებაში მყოფი შეგნებული მუშების ყველა ძალა და იმდენად უზრუნველეყო საქმის კონსპირაციულად (საიდუმლოდ) დაყენება, რომ წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმის შესახებ არ სცოდნოდა არამც თუ ხელისუფლებას, არამედ არც იმათ, ვინც ორგანიზაციის გარეთ იდგა. ეს ორგანიზაცია რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ორგანიზაცია უნდა იყოს: ის უნდა შესდგებოდეს ისეთი ადამიანებისგან, რომელთაც სრულიად ნათლად აქვთ შეგნებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ამოცანები და გადაწყვეტილი აქვთ მედგრად იბრძოლონ თანამედროვე პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, რევოლუციურ ორგანიზაციაში შეერთებული უნდა იყოს ის სოციალისტური ცოდნა და რევოლუციური გამოცდილება, რაც მრავალი ათეული წლის გაკვეთილებმა გამოუმუშავეს რუს რევოლუციურ ინტელიგენციას, მუშათა წრეების იმ ცოდნასთან და მასაში აგიტაციის გაწევის, ამ მასის გაძღოლის იმ უნართან, რაც მოწინავე მუშებს ახასიათებს. სწორედ ასეთ შეერთებაზე უნდა ვიზრუნოთ ჩვენ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად და არა ინტელიგენტებსა და მუშებს შორის ხელოვნურად შეთხზული ზღვარის გავლებაზე ან «წმინდა-მუშური» ორგანიზაციის შექმნაზე. ნებას მივცემთ ჩვენს თავს მოგაგონოთ აქ გ. პლეხანოვის შემდეგი სიტყვები:

«ამ (სააგიტაციო) მუშაობის აუცილებელ პირობას შეადგენს უკვე მზა რევოლუციური ძალების შემჭიდროება. საწრეო პროპაგანდის წარმოება შეუძლიათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფრით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და შეიძლება არც კი იცოდნენ ერთმანეთის არსებობა. რა თქმა უნდა, ორგანიზაციის უქონლობა ყოველთვის მოქმედებს პროპაგანდაზედაც, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ ხდის პროპაგანდას შეუძლებლად. ხოლო ძლიერი საზოგადოებრივი აღტყინების ეპოქებში, როცა პო-

ლიტიკური ატმოსფერო ელექტრობით არის გაჟღენთილი და ხან აქ, ხან იქ სრულიად სხვადასხვა, სრულიად გაუთვალისწინებელ საბაბთა გამო ხდება სულ უფრო და უფრო ხშირი აფეთქებანი, რომელნიც რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებას მოასწავებენ, — მოკლედ, როცა აგიტაცია უნდა გასწიო ან დროშის იქით დადგე, ასეთ ეპოქებში მ ხ ო ლ ო დ ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ რევოლუციურ ძალებს შეუძლიათ სერიოზული გავლენა იქონიონ მოვლენათა მსვლელობაზე. ცალკე პიროვნება მაშინ უძლური ხდება, რევოლუციური საქმისთვის ძალღონე მაშინ შესწევთ მხოლოდ უმაღლესი რიგის ერთეულებს: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ს» (გ. პლეხანოვი. «სოციალისტების ამოცანები შიმშილობასთან ბრძოლაში», გვ. 83).

რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში დგება აღტყინებათა და აფეთქებათა სწორედ ასეთი ეპოქა სრულიად სხვადასხვა საბაბის გამო, და, უკეთუ არ გვინდა «დროშის იქით» მოვხვდეთ, მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ საერთო-რუსული ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც უნარი უნდა შესწევდეს უხელმძღვანელოს ყველა ცალკეულ აფეთქებას, და ამრიგად მიაღწიოს იმას, რომ მოახლოებული ქარიშხალი (რომელზედაც ლაპარაკობს აგრეთვე ხარკოველი მუშა ბროშურის ბოლოში) სტიქიური ქარიშხალი კი არ იყოს, არამედ შეგნებული მოძრაობა პროლეტარიატისა, რომელიც აჯანყებულა თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ და მთელ ხალხს სათავეში ჩასდგომია.

გარდა იმისა, რომ ხარკოვის მაისობა თვალნათლივ გვიჩვენებს ჩვენი რევოლუციური ორგანიზაციების არასაკმაო შემზადებასა და მომზადებულობას, ის აგრეთვე კიდევ ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან პრაქტიკულ მითითებას იძლევა: «პირველი მაისის დღესასწაულს და მანიფესტაციას — ნათქვამია ბროშურაში — მოულოდნელად გადაეხლართა სხვადასხვა პრაქტიკული მოთხოვნა, წამოყენებული სათანადო მომზადების გარეშე და ამიტომ, რა თქმა უნდა, საერთოდ, დასამარცხებლად განწირული». ავიღოთ, მაგალითად, რკინიგზის სა-

ხელოსნოთა მუშების მოთხოვნები: 14 მოთხოვნიდან 11 წარმოადგენს ცალკეულ წვრილმან გაუმჯობესებათა მოთხოვნებს, რომელთა განხორციელება სავსებით შესაძლოა თანამედროვე პოლიტიკური წესწყობილების დროსაც: ხელფასის მომატება, სამუშაო დროის შემცირება, უფლებების ბოროტად გამოყენების მოსპობა. ამ მოთხოვნებთან ერთად, თითქოს სრულიად ჰათი თანაბარიაო, წამოყენებულია სამი ასეთი მოთხოვნა: 4) 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება; 7) მუშების პიროვნების ხელუხლებლობის გარანტირება მაისის ამბების შემდეგ; 10) კომისიის დაარსება მუშებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან ორივე მხარეს შორის ყოველგვარ გაუგებრობათა გასარჩევად. ამ მოთხოვნათაგან პირველი (პ. 4) მსოფლიო პროლეტარიატის საერთო მოთხოვნაა; ამ მოთხოვნის წამოყენება, როგორც ჩანს, იმის მაჩვენებელია, რომ ხარკოვის მოწინავე მუშებს შეგნებული აქვთ თავიანთი სოლიდარობა მსოფლიო სოციალისტურ მუშათა მოძრაობასთან. მაგრამ სწორედ ამიტომაც ასეთი მოთხოვნა არ უნდა იქნას შეტანილი კერძო ხასიათის მოთხოვნების რიცხვში, ისეთ მოთხოვნებს შორის, რომ ოსტატები უკეთ მოეპყრან მუშებს და ხელფასი გადიდებულ იქნას 10%-ით. ხელფასის გადიდებისა და მუშებისადმი უკეთ მოპყრობის მოთხოვნები შეიძლება წარუდგინონ (და უნდა წარუდგინონ) ცალკეულ ხელობათა მუშებმა მათს მეპატრონეებს; ეს ამქრული მოთხოვნებია, ცალკეულ თანრიგთა მუშების მოთხოვნებია. 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა კი — ესაა მთელი პროლეტარიატის მოთხოვნა, მიმართული არა ცალკეული მეპატრონეებისადმი, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებისადმი, როგორც მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წარმომადგენლისადმი, კაპიტალისტების მთელი კლასისადმი, რომელნიც წარმოების ყველა საშუალებას ფლობენ. 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა: ეს არის განცხადება სოლიდარობისა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობასთან. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მუშებმა შეიგნონ ეს განსხვავება, რომ მათ

8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა არ დაიყენონ ისეთი მოთხოვნების დონემდე, როგორიცაა უფასო ბილეთების მოთხოვნა ან ამა თუ იმ დარაჯის გაძევება. მთელი წლის განმავლობაში მუშები ხან აქ, ხან იქ განუწყვეტლივ უყენებენ ხოლმე სხვადასხვა კერძო მოთხოვნას მეპატრონეებს და იბრძვიან ამ მოთხოვნებისთვის: ეხმარებიან რა ამ ბრძოლას, სოციალისტები ყოველთვის უნდა მიუთითებდნენ მის კავშირზე ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლასთან თავის განთავისუფლებისთვის. პირველი მაისის დღეც იმის საზეიმო განცხადების დღე უნდა იყოს, რომ მუშებს შეგნებული აქვთ ეს კავშირი და გადაჭრით ემხრობიან ამ ბრძოლას.

ავიღოთ მეათე მოთხოვნა — გაუგებრობათა გასარჩევად კომისიის დაარსების შესახებ. ასეთ კომისიას მუშებისა და ადმინისტრაციის მიერ არჩეულ წარმომადგენელთაგან, რა თქმა უნდა, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ მხოლოდ არჩევნების სრული თავისუფლებისა და დეპუტატთა სრული დამოუკიდებლობის პირობებში. რა სარგებლობა უნდა მოიტანოს კომისიამ, თუ სამუშაოდან დაითხოვენ ხოლმე იმ მუშებს, რომლებიც შეებრძოლებიან ადმინისტრაციის მიერ წამოყენებულ მოხელეთა არჩევას, მკაცრად გაილაშქრებენ ადმინისტრაციის წინააღმდეგ და ამხელენ მთელ მის ძალმომრეობას? ასეთ მუშებს კი არამც თუ სამუშაოდან დაითხოვენ, არამედ დააპატიმრებენ კიდეც. მაშასადამე, ასეთმა კომისიამ რომ სარგებლობა მოუტანოს მუშებს, საჭიროა, ჯერ-ერთი, რომ დეპუტატები არ იყვნენ ფაბრიკის უფროსებისაგან დამოკიდებულნი; ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ მუშათა თავისუფალი კავშირის არსებობისას, კავშირის, რომელიც მრავალ ფაბრიკას მოიცავს, რომელსაც თავისი სალარო აქვს და მზადაა დაიცვას თავისი დეპუტატები. კომისია შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მრავალ ფაბრიკას, შეძლებისამებრ ამა თუ იმ დარგის ყველა ფაბრიკას აერთიანებს. შემდეგ, ამისთვის საჭიროა, მეორე, რომ მუშების პიროვნება ხელუხლებელი იყოს, ე. ი. მათი დაპატიმრება არ შეეძლოს თვითნებურად პოლიციას და ჟანდარმერიას.

წამოყენებული იყო სწორედ ეს მოთხოვნა — მუშების პიროვნების ხელუხლებლობის გარანტირება (პ. 7). მაგრამ იბადება კითხვა, ვისგან უნდა მოითხოვონ მუშებმა პიროვნების ხელუხლებლობისა და კავშირების თავისუფლების გარანტირება (რაც, როგორც დავინახეთ, აუცილებელია კომისიათა წარმატებისთვის)? მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, იმიტომ რომ პიროვნების ხელუხლებლობისა და კავშირების თავისუფლების უქონლობა დამოკიდებულია რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებზე, კიდევ მეტი: დამოკიდებულია რუსეთის სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფორმაზე. მართვა-გამგეობის ფორმის მხრივ რუსეთი შეუზღუდველი მონარქიაა. მეფე — თვითმპყრობელია, ის მარტო სცემს კანონებს და ნიშნავს ყველა უმაღლეს მოხელეს, ხალხისა და ხალხის წარმომადგენლების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების დროს პიროვნება შეუძლებელია ხელუხლებელი იყოს, მოქალაქეთა კავშირები საერთოდ, განსაკუთრებით კი მუშების, შეუძლებელია თავისუფალი იყოს. ამიტომ თვითმპყრობელი მთავრობისაგან იმის მოთხოვნას, რომ მან უზრუნველჰყოს პიროვნების ხელუხლებლობა (და კავშირების თავისუფლება), არავითარი აზრი არა აქვს: ასეთი მოთხოვნა უდრის პოლიტიკურ უფლებათა მოთხოვნას ხალხისთვის, ხოლო თვითმპყრობელურ მთავრობას სწორედ იმიტომ ეწოდება თვითმპყრობელური, რომ ის ხალხის პოლიტიკური უუფლებობის გამომხატველია. პიროვნების ხელუხლებლობის (და კავშირთა თავისუფლების) უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა კანონების გამოცემასა და მთელ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობას მიიღებენ ხ ა ლ ხ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი. სანამ ხალხის წარმომადგენლობა არ არსებობს, იმ მცირეოდენ დათმობებსაც კი, რომლებსაც თვითმპყრობელური მთავრობა აძლევს მუშებს ერთი ხელით, ყოველთვის წაართმევს მეორე ხელით. ხარკოვის მაისობამ კიდევ და კიდევ თვალსაჩინოდ დაგვანახვა ეს: გუბერნატორმა, მუშათა შასის მოთხოვნით, გაათავისუფლა დაპატიმრებულნი, ხოლო

რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან მოსული ბრძანებით კვლავ დააპატიმრეს რამდენიმე ათეული მუშა! გუბერნიისა და ფაბრიკის უფროსები «უზრუნველჰყოფენ» დეპუტატთა ხელუხლებლობას, ხოლო ჟანდარმერია იჭერს მათ და განმარტოებულად ამწყვდევს საპყრობილეებში ან ასახლებს ქალაქიდან! რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ხალხს ასეთმა უზრუნველყოფამ?

აი რატომ უნდა მოსთხოვონ მუშებმა მეფეს ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, საერო კრების მოწვევა. ხარკოვში ამა წლის პირველი მაისის წინ გავრცელებულ პროკლამაციაში წამოყენებული იყო ეს მოთხოვნა, და ჩვენ დავინახეთ, რომ მოწინავე მუშების ნაწილმა სავსებით შეიგნო მისი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა მოწინავე მუშამ ნათლად შეიგნოს ამ მოთხოვნის აუცილებლობა, გაავრცელოს ის არა მარტო მუშათა მასებში, არამედ აგრეთვე ხალხის ყველა იმ ფენაშიც, რომლებიც ახლოს დგანან მუშებთან და დაინტერესებულნი არიან გაიგონ, თუ რისთვის იბრძვიან სოციალისტები და «ქალაქელი» მუშები? მიმდინარე წელს საფაბრიკო ინსპექტორის შეკითხვებზე, სახელდობრ რა უნდათ მუშებსო, მხოლოდ ერთი კაცის ხმა გაისმა: «კონსტიტუცია», და ეს ხმა ისე განმარტოებული იყო, რომ კორესპონდენტი რაოდენადმე დაცინვის კილოთი ამბობს: «ერთმა პროლეტარმა წამოისროლაო». მეორე კორესპონდენტი პირდაპირ ამბობს, «ამ შემთხვევაში» ეს პასუხი «ნახევრად-კომიკური იყოო» (იხ. «მუშათა მოძრაობა ხარკოვში», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხარკოვის კომიტეტის» ანგარიში, გამოცემული «რაბოჩეე დელოს» მიერ. ჟენევა, 1900 წლის სექტემბერი, გვ. 14). მართალი რომ ვთქვათ, ასეთ პასუხში სასაცილო არაფერი იყო: სასაცილოდ შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა მხოლოდ მთელი სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის ამ განმარტოებული მოთხოვნის შეუსაბამობა სამუშაო დღის ნახევარი საათით შემცირებისა და სამუშაო საათებში ხელფასის დარიგების მოთხოვნასთან. მაგრამ კავშირი ამ უკანასკნელ მოთხოვნათა და კონსტიტუციის

მოთხოვნას შორის უეჭველად არსებობს, და თუ ჩვენ მივაღწევთ იმას (ჩვენ კი ამას უეჭველად მივაღწევთ), რომ ამ კავშირს შეიგნებენ მასები, მაშინ ძახილი: «კონსტიტუცია!» განმარტოებული კი აღარ იქნება, არამედ ათასებს და ასიათასებს აღმოხდებათ ბაგეთაგან, და მაშინ ეს ძახილი იქნება უკვე არა სასაცილო, არამედ მრისხანე. ამბობენ, თითქოს ვიღაცას, მაისის დღეებში ხარკოვში გავლისას, უკითხავს მეეტლისთვის, სახელდობრ რას მოითხოვენ მუშებო, და მეეტლეს უპასუხნია: «მოითხოვენ რვა საათის მუშაობას და საკუთარ გაზეთსო». ამ მეეტლეს უკვე შეუგნია, რომ მუშები არ კმაყოფილდებიან რაღაც ნასუფრალით, მათ უნდათ თავისუფალ ადამიანებად იგრძნონ თავი, უნდათ თავისუფლად და აშკარად განაცხადონ თავიანთი საჭიროებანი და იბრძოლონ მათთვის. მაგრამ მის პასუხში ჯერ კიდევ არ გამოსჭვივის იმის შეგნება, რომ მუშები იბრძვიან მთელი ხალხის თავისუფლებისთვის, მისი უფლებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. როცა მეფის მიერ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის მოთხოვნას სრული შეგნებით და ურყევი სიმტკიცით გაიმეორებენ მუშათა მასები რუსეთის ყველა სამრეწველო ქალაქსა და საფაბრიკო ადგილებში, როცა მუშები მიაღწევენ იმას, რომ ქალაქის მთელი მოსახლეობა და მთელი სოფლელი ხალხი, რომელიც ქალაქებში ჩამოდის ხოლმე, შეიგნებენ, რა უნდათ სოციალისტებს და რისთვის იბრძვიან მუშები, მაშინ ჩვენგან უკვე შორს აღარ იქნება პოლიციური თვითმპყრობელობისაგან ხალხის განთავისუფლების დიადი დღე!

დაწერილია 1900 წლის ნოემბრის დამდეგს

დაიბეჭდა 1901 წლის იანვარს «ისკრის» გამოცემულ ბროშურაში	იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

დაპირ ძცირეწლოვნად აღიარებას და სოციალ-დემოკრატიული პროგრამის სრულ უარყოფას. ხოლო «რაბოჩაია მისლმა» (განსაკუთრებით მის «ცალკე დამატებაში») არსებითად ასეთივე აზრი გამოსთქვა. რუსეთის სოციალ-დემოკრატია განიცდის მერყეობის ხანას, დაეჭვებათა ხანას, რაც თავის უარყოფამდე მიდის. ერთი მხრივ, მუშათა მოძრაობა ეთიშება სოციალიზმს: მუშებს ეხმარებიან ეკონომიური ბრძოლის წარმოებაში, მაგრამ ამასთანავე მათ სრულიადაც არ განუმარტავენ ან არასაკმარისად განუმარტავენ მთლიანად აღებული მოძრაობის სოციალისტურ მიზნებსა და პოლიტიკურ ამოცანებს. მეორე მხრივ, სოციალიზმი ეთიშება მუშათა მოძრაობას: რუსი სოციალისტები კვლავ უფრო და უფრო მეტად გაიძახიან, რომ მთავრობასთან ბრძოლა უნდა აწარმოოს ინტელიგენციამ მარტოოდენ თავისი ძალებით, ვინაიდან მუშები მხოლოდ ეკონომიური ბრძოლით კმაყოფილდებიანო.

სამგვარმა გარემოებამ მოუმზადა, ჩვენის აზრით, ნიადაგი ამ სამწუხარო მოვლენებს. ჯერ-ერთი, თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში რუსი სოციალ-დემოკრატები კმაყოფილდებოდნენ მარტო საწრეო პროპაგანდისტული მუშაობით. მასებში აგიტაციაზე გადასვლისას ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებდით თავის შეკავებას და მეორე უკიდურესობაში ვვარდებოდით. მეორე, ჩვენი მოღვაწეობის დასაწყისში ძალიან ხშირად გვიხდებოდა ჩვენი არსებობის უფლების დაცვა ნაროდოვოლცებთან ბრძოლაში, რომელთაც «პოლიტიკა» მიაჩნდათ მუშათა მოძრაობას მოწყვეტილ საქმიანობად, და რომელნიც პოლიტიკას ზღუდავდნენ მხოლოდ და მხოლოდ შეთქმულებითი ბრძოლით. სოციალ-დემოკრატები უარჰყოფდნენ ასეთ პოლიტიკას და მეორე უკიდურესობაში ვარდებოდნენ, აყენებდნენ რა მეორე რიგში პოლიტიკას საერთოდ. მესამე, სოციალ-დემოკრატები დაქსაქსულად მოქმედებდნენ ადგილობრივ პატარა-პატარა მუშათა წრეებში და საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ რევოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობას, პარტიისა, რომელიც ადგილობრივი ჯგუფების მთელ მუშაობას გააერთიანებდა და საშუალებას მოგვცემდა სწორად დაგვეყენებინა

რევოლუციური მუშაობა. ხოლო დაქსაქსული მუშაობის ჭარბობა ბუნებრივად დაკავშირებულია ეკონომიური ბრძოლის ჭარბობასთან.

ყველა აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა მოძრაობის ერთი მხრით გატაცება. «ეკონომიურმა» მიმართულებამ (რამდენადაც შესაძლებელია აქ «მიმართულებაზე» ლაპარაკი) წარმოშვა ამ შეზღუდულობის განსაკუთრებულ თეორიად აღიარების ცდები, წარმოშვა მოდად შემოსული ბერნშტეინიადის ამ მიზნისთვის გამოყენების ცდები, მოდად შემოსული «მარქსიზმის კრიტიკის» გამოყენების ცდები, — «მარქსიზმის კრიტიკისა», რომელიც ახალი დროშით ძველ ბურჟუაზიულ იდეებს ატარებს. მხოლოდ ამ ცდებმა წარმოშვეს იმ კავშირის შესუსტების საშიშროება, რომელიც არსებობს რუსეთის მუშათა მოძრაობასა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას — პოლიტიკური თავისუფლებისთვის როგორც მოწინავე მებრძოლს — შორის. და ჩვენი მოძრაობის უაღრესად საარსებო ამოცანაც ამ კავშირის განმტკიცებაში მდგომარეობს.

სოციალ-დემოკრატია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან, მისი ამოცანაა — არა პასიური სამსახურის გაწევა მუშათა მოძრაობისათვის მის თვითეულ ცალკეულ სტადიაში, არამედ საერთოდ მთელი მოძრაობის ინტერესთა წარმომადგენლობა, ამ მოძრაობისთვის მის საბოლოო მიზანზე, მის პოლიტიკურ ამოცანებზე მითითება, მისი პოლიტიკური და იდეური დამოუკიდებლობის დაცვა. მუშათა მოძრაობა, რომელიც მოწყვეტილია სოციალ-დემოკრატიას, წვრილმანდება და აუცილებლად ბურჟუაზიულობაში ვარდება: როცა მუშათა კლასი მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებს, იგი ჰკარგავს თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, სხვა პარტიების მაჩანჩალა ხდება, ღალატობს დიად ანდერძს: «მუშათა განთავისუფლება თვით მუშების საქმე უნდა იყოსო».[120] ყველა ქვეყანაში იყო ისეთი ხანა, როცა მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი არსებობდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებულად და თავ-თავისი გზით მიდიოდნენ, — და ყველა ქვეყანაში მათი ასეთი გათიშულობა იწვევდა სოციალიზმისა და მუშათა მოძ-

რაობის სისუსტეს; ყველა ქვეყანაში მხოლოდ შეერთება სოციალიზმისა მუშათა მოძრაობასთან ჰქმნიდა მკვიდრ საფუძველს როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის. მაგრამ თვითეულ ქვეყანაში სოციალიზმის ეს შეერთება მუშათა მოძრაობასთან მზადდებოდა ისტორიულად, მუშავდებოდა განსაკუთრებული გზით, დროისა და ადგილის პირობების მიხედვით. რუსეთში სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთების აუცილებლობა თეორიულად უკვე დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეერთება მხოლოდ ამჟამად მუშავდება. ამ შემუშავების პროცესი მეტად ძნელი პროცესია, და არ არის განსაკუთრებით გასაკვირველი რამე იმაში, რომ მას თან ახლავს სხვადასხვა მერყეობა და დაეჭვება.

მერე რა გაკვეთილი გამომდინარეობს ჩვენთვის წარსულიდან?

მთელი რუსული სოციალიზმის ისტორიამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მისი უაღრესად საარსებო ამოცანა აღმოჩნდა თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური თავისუფლების ბრძოლით მოპოვება; ჩვენი სოციალისტური მოძრაობის კონცენტრაცია ხდებოდა, ასე ვთქვათ, თვითმპყრობელობასთან ბრძოლის გარშემო. მეორე მხრით, ისტორიამ ცხადჰყო, რომ რუსეთში სოციალისტური აზრის მოწყვეტილობა მშრომელი კლასების მოწინავე წარმომადგენელთაგან გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, და რომ ასეთი მოწყვეტილობის პირობებში რუსეთის რევოლუციური მოძრაობა მუდამ უძლური იქნება. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის ამოცანა, რომლის განსახორციელებლად მოწოდებულია სოციალ-დემოკრატია: დანერგოს სოციალისტური იდეები და პოლიტიკური თვითშეგნება პროლეტარიატის მასაში და მოაწყოს რევოლუციური პარტია, განუყრელად დაკავშირებული მუშათა სტიქიურ მოძრაობასთან. ამ მხრივ უკვე ბევრი აქვს გაკეთებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიას; მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი დარჩა. მოძრაობის ზრდასთან ერთად სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის ასპარეზი უფრო და უფრო ფართოვ-

დება, მუშაობა უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება, მოძრაობის მუშაკთა სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვი თავის ძალებს იკრებს სხვადასხვა კერძო ამოცანის განსახორციელებლად, რომელსაც აყენებენ პროპაგანდისა და აგიტაციის ყოველდღიური საჭიროებანი. ეს მოვლენა სავსებით კანონიერია და გარდუვალი, მაგრამ ის გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მოღვაწეობის კერძო ამოცანები და ბრძოლის ცალკეული ხერხები არ იქნას აღიარებული რაღაც თვითკმარ რამედ, რომ მოსამზადებელი მუშაობა არ იქნას მიჩნეული მთავარ და ერთადერთ მუშაობად.

ხელის შეწყობა მუშათა კლასის პოლიტიკური განვითარებისა და პოლიტიკური ორგანიზაციისთვის — ჩვენი უმთავრესი და ძირითადი ამოცანაა. ყველა, ვინც ამ ამოცანას მეორე რიგში აყენებს, ვინც არ უმორჩილებს მას ბრძოლის ყველა კერძო ამოცანას და ცალკეულ ხერხებს, ის ყალბ გზაზე დგება და სერიოზულ ზიანს აყენებს მოძრაობას. ხოლო ამ ამოცანას მეორე რიგში აყენებენ, ჯერ-ერთი, ისინი, ვინც რევოლუციონერებს მოუწოდებენ მთავრობასთან ბრძოლისაკენ შეთქმულთა ცალკე წრეების ძალებით, იმ წრეებისა, რომლებიც მოწყვეტილი არიან მუშათა მოძრაობას. მეორე, ამ ამოცანას მეორე რიგში აყენებენ ისინი, ვინც ზღუდავენ პოლიტიკური პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის შინაარსსა და გაქანებას, ვინც შესაძლოდ და შესაფერისად სთვლის გაუმასპინძლდეს მუშებს «პოლიტიკით» მათი ცხოვრების მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში, მხოლოდ საზეიმო შემთხვევებში, ვინც მეტისმეტი მზრუნველობით ახურდავებს პოლიტიკურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იმავე თვითმპყრობელობისაგან ცალკეულ დათმობათა მოთხოვნაზე და საკმაოდ არ ზრუნავს იმისათვის, რომ ცალკეულ დათმობათა ეს მოთხოვნები გადააქციოს რევოლუციური მუშათა პარტიის სისტემატურ და მტკიცე ბრძოლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

«დაირაზმენით!», უმეორებს მუშებს სხვადასხვა ჰანგზე ვაზეთი «რაბოჩაია მისლ», უმეორებენ «ეკონომიური» მი-

მართულების ყველა მომხრენი. და ჩვენც, რა თქმა უნდა, სავსებით ვუერთდებით ამ ძახილს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად დავუმატებთ მას: დაირაზმენით არა მარტო ურთიერთდამხმარე საზოგადოებებში, საგაფიცვო სალაროებსა და მუშათა წრეებში, დაირაზმენით აგრეთვე პოლიტიკურ პარტიადაც, დაირაზმენით გადამწყვეტი ბრძოლისთვის თვითმპყრობელური მთავრობისა და მთელი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ. ასეთი ორგანიზაციის გარეშე პროლეტარიატს არ ძალუძს ამაღლდეს შეგნებულ კლასობრივ ბრძოლამდე, ასეთი ორგანიზაციის გარეშე მუშათა მოძრაობა მუდამ უძლური იქნება, და მარტოოდენ სალაროების, წრეებისა და ურთიერთდამხმარე საზოგადოებათა მეოხებით მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ შესძლებს მასზე დაკისრებული დიადი ისტორიული ამოცანის შესრულებას: თავისი თავის და მთელი რუსი ხალხის განთავისუფლებას პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან. არც ერთ კლასს ისტორიაში არ მიუღწევია ბატონობისთვის ისე, რომ არ წამოეყენებინოს თავისი პოლიტიკური ბელადები, თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც მოძრაობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარი შესწევდათ. რუსეთის მუშათა კლასმაც უკვე დაგვანახვა, რომ მას შესწევს უნარი წამოაყენოს ასეთი ადამიანები: რუსი მუშების ფართოდ გაშლილმა ბრძოლამ უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში დაგვანახვა, რა უამრავი რევოლუციური ძალა იმალება მუშათა კლასში, დაგვანახვა, რომ მთავრობის მხრივ უსაშინელესი დევნაც კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს იმ მუშების რიცხვს, რომლებიც თავგამოდებით მიისწრაფიან სოციალიზმისაკენ, პოლიტიკური შეგნებისა და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. ჩვენი ამხანაგების ყრილობამ 1898 წელს სწორად დააყენა ამოცანა, მას სხვისი სიტყვები როდი გაუმეორებია, მარტოოდენ «ინტელიგენტთა» გატაცება როდი გამოუხატავს... და ჩვენც გადაჭრით უნდა შევუდგეთ ამ ამოცანების შესრულებას, რისთვისაც რიგში უნდა დავაყენოთ პარტიის პროგრამის, ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხი. თუ როგორ ვუყურებთ ჩვენი პროგრამის ძირითად დებულებებს, ეს უკვე

ვთქვით, ხოლო ამ დებულებათა დაწვრილებით განვითარება აქ, რა თქმა უნდა, უადგილოა. ორგანიზაციულ საკითხებს ჩვენ განზრახვა გვაქვს მთელი რიგი სტატიები ვუძღვნათ უახლოეს ნომრებში. ეს — ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მეტად მტკივნეული საკითხია. ამ მხრივ ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ძველ მოღვაწეებს; პირდაპირ უნდა აღვიაროთ ეს ნაკლი და მთელი ჩვენი ძალღონე იქითკენ მივმართოთ, რომ გამოვიმუშაოთ საქმის უფრო კონსპირაციული დაყენება, სისტემატური პროპაგანდა გავწიოთ საქმის გაძღოლის წესებისა, ჟანდარმების თვალის ახვევის და პოლიციის მიერ დაგებული მახეების გვერდის ავლის ხერხებისა. უნდა მოვამზადოთ ისეთი ადამიანები, რომელნიც რევოლუციას შესწირავენ არა მარტო თავისუფალ საღამოებს, არამედ მთელ თავის სიცოცხლეს, უნდა ვამზადოთ ორგანიზაცია, იმდენად დიდი, რომ მის შიგნით შეიძლებოდეს შრომის სასტიკი დანაწილების გატარება ჩვენი მუშაობის სხვადასხვა სახეს შორის. დასასრულ, რაც შეეხება ტაქტიკის საკითხებს, აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით შემდეგით: სოციალ-დემოკრატია ხელებს არ იბოჭავს, თავის მოღვაწეობას არ ზღუდავს პოლიტიკური ბრძოლის ერთი რომელიმე წინასწარ მოფიქრებული გეგმით ან მეთოდით, — ის სცნობს ბრძოლის ყველა საშუალებას, ოღონდ კი ისინი შეესაბამებოდნენ პარტიის განკარგულებაში მყოფ ძალებს და შესაძლებლობას იძლეოდნენ მივაღწიოთ რაც შეიძლება მეტ შედეგებს, რომელთა მიღწევაც კი შესაძლებელია არსებულ პირობებში. მტკიცედ ორგანიზებული პარტიის პირობებში ცალკე გაფიცვა შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკურ დემონსტრაციად, მთავრობაზე პოლიტიკურ გამარჯვებად. მტკიცედ ორგანიზებული პარტიის პირობებში ერთი რომელიმე კუთხის აჯანყება შეიძლება გაფართოვდეს და ძლევამოსილ რევოლუციად გადაიქცეს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მთავრობასთან ბრძოლა ცალკეული მოთხოვნებისთვის, ცალკეულ დათმობათა ბრძოლით მოპოვება, ეს — მხოლოდ წვრილმანი შეტაკებებია მტერთან, ეს — წვრილმანი შეჯახებებია ფორპოსტებზე, ხოლო გადამწყვეტი შეჯახება ჯერ კი-

დევ წინ არის. ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძლიერებით აღმართულია მტრის ციხე-სიმაგრე, საიდანაც ყუმბარებსა და ტყვიებს სეტყვასავით გვაყრიან, რაც ხელიდან გვაცლის საუკეთესო მებრძოლთ. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, და ავიღებთ კიდევაც, თუ გამოღვიძებული პროლეტარიატის მთელ ძალებს შევაერთებთ რუს რევოლუციონერთა მთელ ძალებთან ერთ პარტიად, რომლისკენაც გაეშურება ყოველივე, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია რუსეთში. და მხოლოდ მაშინ აღსრულდება რუსი მუშა-რევოლუციონერის პეტრე ალექსეევის დიადი წინასწარმეტყველება: «აღიმართება მილიონობით მუშა ხალხის ძარღვმაგარი ხელი, და ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული დესპოტიზმის უღელი გაცამტვერდება!» [121].

დაწერილია 1900 წლის ნოემბრის
პირველ ნახევარში

დაიბეჭდა 1900 წლის დეკემბერს
გაზეთ «ისკრის» № 1-ში

იბეჭდება «ისკრის»
ტექსტის მიხედვით

ჩინეთის ომი

რუსეთი ამთავრებს ომს ჩინეთთან: მობილიზებულია მთელი რიგი სამხედრო ოლქები, დახარჯულია ასეული მილიონობით მანეთი, ათეული ათასობით ჯარი გაიგზავნა ჩინეთში, მოხდა მთელი რიგი ბრძოლები, მოპოვებულია მთელი რიგი გამარჯვებები; მართალია, ეს გამარჯვებები მოპოვებულია იმდენად არა მტრის რეგულარულ ჯარებზე, რამდენადაც ჩინელ მეამბოხეებზე და კიდევ უფრო მეტად — უიარაღო ჩინელებზე, რომელთაც ახრჩობდნენ წყალში და ჰკლავდნენ ცემით, არ ერიდებოდნენ რა ბავშვებისა და ქალების ამოჟლეტას, სასახლეების, სახლების და დუქნების დარბევაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. და რუსეთის მთავრობაც, მის წინაშე მონურად ქედმოხრილ გაზეთებთან ერთად, გამარჯვებას ზეიმობს, ზეიმობს სახელოვანი მხედრობის ახალ გმირობათა გამო, ზეიმობს ევროპის კულტურის მიერ ჩინეთის ველურობის დამარცხების გამო, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის «ცივილიზატორული მისიის» ახალ წარმატებათა გამო.

მხოლოდ მთელ ამ ზეიმში არ მოისმის შეგნებული მუშების, მრავალმილიონიანი მუშა ხალხის ამ მოწინავე წარმომადგენლების ხმა. ახალ ძლევამოსილ ლაშქრობათა მთელი სიმძიმე კი ტვირთად აწევს სწორედ მუშა ხალხს: მას სტაცებენ მუშაკებს ცხრა მთას იქით გასაგზავნად, მისგან ჰკრებენ საგანგებოდ გადიდებულ გამოსაღებს მილიონობით ხარჯების დასაფარავად. მაშ ვცადოთ გავერკვეთ საკითხში: როგორი უნდა იყოს სოციალისტების დამოკიდებულება ამ ომისადმი? ვისი ინტერესების გულისთვის სწარმოებს იგი? როგორია იმ პოლი-

ტიკის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელსაც რუსეთის მთავრობა მისდევს?

ჩვენი მთავრობა გვარწმუნებს, უწინარეს ყოვლისა, რომ ის არც კი აწარმოებს ომს ჩინეთთან: ის მხოლოდ აჯანყებას ახშობს, მეამბოხეებს აცხრობს, ეხმარება ჩინეთის კანონიერ მთავრობას კანონიერი წესრიგის აღდგენაში. ომი არ გამოცხადებულა, მაგრამ საქმის დედაარსი ამით ოდნავადაც არ იცვლება, ვინაიდან, სულ ერთია, ომი სწარმოებს. რამ გამოიწვია ჩინელების თავდასხმა ევროპელებზე, ეს ამბოხება, რომელსაც ასეთი მძვინვარებით ახშობენ ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, რუსები, იაპონელები და სხვ.? «ყვითელკანიანთა რასის მტრობამ თეთრკანიანთა რასისადმი», «ჩინელების სიძულვილმა ევროპის კულტურისა და ცივილიზაციისადმი», — გვარწმუნებენ ომის მომხრენი. დიახ, ჩინელებს მართლაც სძულთ ევროპელები, მაგრამ რომელი ევროპელები სძულთ მათ, და რატომ სძულთ? ევროპის ხალხები კი არა სძულთ ჩინელებს, — მათთან შეტაკებები არ ჰქონიათ, — მათ სძულთ ევროპელი კაპიტალისტები და კაპიტალისტების მორჩილი ევროპის მთავრობები. განა შეეძლოთ ჩინელებს არ შეეძულებინათ ის ადამიანები, რომლებიც ჩინეთში მოდიოდნენ მხოლოდ გამდიდრების გულისთვის, რომლებიც თავიანთი ნაქები ცივილიზაციით სარგებლობდნენ მხოლოდ მოტყუების, ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისთვის, რომლებიც ჩინეთთან ომებს აწარმოებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მიელოთ ხალხის გამაბრუებელი ოპიუმით ვაჭრობის უფლება (ინგლისისა და საფრანგეთის ომი ჩინეთთან 1856 წ.), რომლებიც ფარისევლურად ფარავდნენ ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ქრისტიანობის გავრცელების მომიზეზებით? ძარცვა-გლეჯის ამ პოლიტიკას დიდი ხანია აწარმოებენ ჩინეთის მიმართ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები, ხოლო ამჟამად ასეთ პოლიტიკას შეუერთდა რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობაც. ძარცვა-გლეჯის ამ პოლიტიკას კოლონიურ პოლიტიკას უწოდებენ. ყოველი ქვეყანა, სადაც სწრაფად ვითარდება კაპიტალისტური მრეწველობა, ძალიან ჩქარა იწყებს კოლონიების

ძებნას, ე. ი. ისეთი ქვეყნების ძებნას, სადაც მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც განსხვავდებიან ცოტად თუ ბევრად პატრიარქალური ყოფაცხოვრებით, სადაც შეიძლება გაასაღო მრეწველობის პროდუქტები და ამ საქმეში კარგა ბლომად მოიგო ფული. და ერთი მუჭა კაპიტალისტების გამდიდრებისთვის ბურჟუაზიული მთავრობები აწარმოებდნენ დაუსრულებელ ომებს, ჯარისკაცთა პოლკებს ჟლეტდნენ ჯანმრთელობისთვის მავნებელ ტროპიკულ ქვეყნებში, ანიავებდნენ ხალხისაგან აკრებილ მილიონებს, იწვევდნენ მოსახლეობის სასოწარკვეთილ აჯანყებებს და შიმშილით სიკვდილს უმზადებდნენ მას. მოიგონეთ ინდოელ ადგილობრივ მკვიდრთა აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ [122] და შიმშილი ინდოეთში, ან ინგლისელების ახლანდელი ომი ბურებთან. [123]

და აი ახლა ევროპის კაპიტალისტები ხარბი თათებით წაეპოტინენ ჩინეთს. წაეპოტინა თითქმის ყველაზე უწინ რუსეთის მთავრობაც, რომელიც ახლა ასე თავგამოდებით გაჰყვირის თავის «უანგარობაზე». მან «უანგაროდ» წააგლიჯა ჩინეთს პორტ-არტური და დაიწყო რკინიგზის გაყვანა მანჯურიაში რუსეთის ჯარების მფარველობით. ევროპის მთავრობები ერთიმეორის მიყოლებით ისეთი გულმოდგინებით შეუდგნენ ჩინეთის მიწაწყლის ძარცვას, ესე-იგი «იჯარით აღებას», რომ ტყუილად კი არ გავრცელდა ხმები ჩინეთის დაყოფის შესახებ. და თუ საგნებს მათს ნამდვილ სახელს ვუწოდებთ, უნდა ითქვას, რომ ევროპის (და მათ შორის თითქმის ყველაზე ადრე რუსეთის) მთავრობები უკვე შეუდგნენ ჩინეთის დაყოფას. მაგრამ მათ დაყოფა დაიწყეს არა აშკარად, არამედ მალულად, როგორც ქურდებმა. მათ დაუწყეს გაქურდვა ჩინეთს, როგორც ჰქურდავენ ხოლმე მიცვალებულს, ხოლო როცა ამ ვითომ მიცვალებულმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, — ისინი წაესიენ მას, როგორც გარეული მხეცები, ბუგავდნენ მთელ სოფლებს, ამურში ახრჩობდნენ, ხვრეტდნენ და ხიშტებზე აგებდნენ უიარაღო მცხოვრებთ, მათ ცოლებსა და შვილებს. და ყველა ამ ქრისტიანულ გმირობას თან აყოლე-

ბენ განგაშს ველური ჩინელების წინააღმდეგ, რომლებიც ბედავენ ხელის აღმართვას განათლებულ ევროპელებზე. ნიუჯუანის აღება და მანჯურიის საზღვრებში რუსეთის ჯარის შეყვანა, ეს დროებითი ზომებიაო, აცხადებს რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა თავის ცირკულარულ ნოტაში სახელმწიფოთა მიმართ 1900 წლის 12 აგვისტოს თარიღით; ეს ზომები «გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმ აუცილებლობით, რომ თავი დაგვეცვა ჩინელ მეამბოხეთა აგრესიული მოქმედებისაგანო»; ეს «არამც და არამც არ მოასწავებს რაიმე ანგარებიან გეგმებს, რაც სრულიად უცხოა იმპერატორის მთავრობის პოლიტიკისთვისო».

საბრალო იმპერატორის მთავრობა! ის ასე ქრისტიანულად უანგაროა, მას კი ასე უსამართლოდ შეურაცხყოფენ! მან უანგაროდ ჩაიგდო ხელში რამდენიმე წლის წინათ პორტ-არტური და ახლა უანგაროდ იგდებს ხელში მანჯურიას, მან უანგაროდ გაავსო რუსეთთან მოსაზღვრე ჩინეთის ოლქები მოიჯარადრეთა, ინჟინერთა და ოფიცერთა ხროვით, რომლებმაც თავიანთი მოპყრობით თვით ეს მორჩილებით ცნობილი ჩინელებიც კი აღშფოთებამდე მიიყვანეს. ჩინეთის რკინიგზის მშენებლობაზე ჩინელ მუშებს სარჩოდ დღეში 10 კაპ. უხდიდნენ, — განა ეს უანგაროობა არ არის რუსეთის მხრივ?

მაგრამ რით აეხსნათ, რომ ჩვენი მთავრობა ამ უგუნურ პოლიტიკას აწარმოებს ჩინეთში? ვისთვისაა ხელსაყრელი ეს პოლიტიკა? ის ხელსაყრელია ერთი მუჭა ბობოლა-კაპიტალისტებისთვის, რომელთაც სავაჭრო საქმიანობა აქვთ ჩინეთთან, ერთი მუჭა მეფაბრიკეთათვის, რომლებიც ამზადებენ საქონელს აზიის ბაზრისთვის, ერთი მუჭა მოიჯარადრეთათვის, რომლებიც უამრავ ფულებს ბოჭავენ ახლა სასწრაფო სამხედრო დაკვეთებით (ზოგიერთი ქარხანა, რომელიც ჯარისთვის საომარ იარაღებს, საჭურველს და სხვ. ასეთებს ამზადებს, ახლა მთელი სიმძლავრით მუშაობს და ასობით ახალ დღიურ მუშებს ქირაობს). ასეთი პოლიტიკა ხელსაყრელია ერთი მუჭა თავადაზნაურთათვის, რომელთაც მაღალი თანამდებობები უკავიათ სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. მათ ესაჭიროე-

ბათ ავანტურათა პოლიტიკა, რომლის წყალობითაც შეიძლება დაწინაურება, კარიერის გაკეთება, სახელის მოხვეჭა «საგმირო საქმეებით». ამ ერთი მუჭა კაპიტალისტებისა და გაიძვერა მოხელეების ინტერესებს ჩვენი მთავრობა უყოყმანოდ სწირავს მსხვერპლად მთელი ხალხის ინტერესებს. თვითმპყრობელი მეფის მთავრობა ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, გვევლინება იმ უპასუხისმგებლო მოხელეების მთავრობად, რომლებიც მონურად ქედს იხრიან ბობოლა-კაპიტალისტებისა და თავადაზნაურების წინაშე.

რითაა სასარგებლო რუსეთის მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხისთვის დაპყრობანი ჩინეთში? ათასობით განადგურებული ოჯახები, რომელთაც მუშახელი მოსტაცეს ომისთვის, სახელმწიფო ვალებისა და ხარჯების უდიდესი ზრდა, გადასახადების გადიდება, კაპიტალისტების — მუშათა ექსპლოატატორების ბატონობის გაძლიერება, მუშათა მდგომარეობის გაუარესება, გლეხობის კიდევ უფრო მეტად გაღარიბენება, შიმშილი ციმბირში — აი რის მოტანას გვიქადის და უკვე მოაქვს ჩინეთის ომს. რუსეთის მთელი ბეჭდვითი სიტყვა, ყველა გაზეთი და ჟურნალი დამონებულია, ვერ ბედავენ ვერაფრის დაბეჭდვას მთავრობის მოხელეთა ნებადაურთველად, — ამიტომაც არის, რომ არა გვაქვს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა უჯდება ხალხს ჩინეთის ომი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის მოითხოვს ფულად ხარჯს მ რ ა ვ ა ლ ი ა ს ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ი მ ა ნ ე თ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ. არის ცნობები, რომ მთავრობამ ერთბაშად გასცა ომისთვის 150 მილიონი მანეთი გამოუქვეყნებელი ბრძანებულებით, გარდა ამისა, ომის მიმდინარე ხარჯები ნთქამს თ ი თ ო მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ს ყოველ სამ ან ოთხ დღეში. და ამ უამრავ ფულს ფანტავს მთავრობა, რომელიც დაუსრულებლად უკვეცდა დახმარებას დამშეულ გლეხებს და თვითეულ კაპიკზე ევაჭრებოდა, რომელიც ვერ შოულობს ფულს სახალხო განათლების საჭიროებისთვის და რომელიც, როგორც ყოველი კულაკი, უკანასკნელ ძალას წოვს მუშებს სახაზინო ქარხნებში, წვრილ მოსამსახურეებს საფოსტო დაწესებულებებში და სხვ.!

ფინანსთა მინისტრმა ვიტემ განაცხადა, რომ 1900 წლის 1-ლი იანვრისთვის ხაზინაში მოიპოვება თავისუფალი ნაღდი ფული 250 მილიონი მანეთი, — ახლა უკვე ამ ფულიდან აღარაფერი დარჩენილა, ის ომმა შთანთქა; მთავრობა ეძებს სესხს, ადიდებს გადასახადებს, უარს ამბობს აუცილებელ ხარჯებზე ფულის ნაკლებობის გამო, აჩერებს რკინიგზების გაყვანას. მეფის მთავრობას გაკოტრება მოელის, ის კი ეწაფება დაპყრობითს პოლიტიკას,—პოლიტიკას, რომელიც არამც თუ უდიდეს ფულად სახსრებს მოითხოვს, არამედ კიდევ უფრო სახიფათო ომში ჩათრევას გვიქადის. ჩინეთზე მისეული ევროპის სახელმწიფოები უკვე ჩხუბობენ ნადავლის გაყოფის გამო, და არავინ უწყის, რით დასრულდება ეს ჩხუბი.

მაგრამ მეფის მთავრობის პოლიტიკა ჩინეთში წარმოადგენს ხალხის ინტერესების არა მხოლოდ აბუჩად აგდებას, — ის ცდილობს აგრეთვე გარყვნას ხალხის მასების პოლიტიკური შეგნება. მთავრობებმა, რომლებიც მხოლოდ ხიშტების ძალას ეყრდნობიან, რომელთაც მუდამ უხდებათ ხალხის აღშფოთების შეკავება ან ჩახშობა, დიდი ხანია უკვე შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ხალხის უკმაყოფილებას ვერაფრით მოსპობენ; უნდა ეცადონ ეს უკმაყოფილება მთავრობისგან სხვა ვინმეზე გადაიტანონ. აღვივებენ, მაგ., მტრობას ებრაელებისადმი: ქუჩური გაზეთები სდევნიან ებრაელებს, თითქოს ებრაელი შუშა ისევე არ იტანჯებოდეს კაპიტალისა და პოლიციური მთავრობის უღლისაგან, როგორც რუსი მუშა. ამჟამად პრესაში დაწყებულია ლაშქრობა ჩინელების წინააღმდეგ, გაჰკივიან ველურ ყვითელკანიან რასაზე, მის მტრობაზე ცივილიზაციისადმი, რუსეთის საგანმანათლებლო ამოცანებზე, იმაზე, თუ როგორი აღფრთოვანებით მიდიან ომში რუსი ჯარისკაცები და სხვ. და სხვ. მთავრობისა და ფულიანი ქისების წინაშე მლიქვნელი ჟურნალისტები თავს არ იზოგავენ, რათა გააღვივონ ხალხში სიძულვილი ჩინითისადმი. მაგრამ ჩინელ ხალხს არაფრით და არასდროს არ შეუვიწროებია რუსი ხალხი: ჩინეთის ხალხი თვითონ იტანჯება იმავე ბოროტებათაგან, რომელთაგან არაქათი ელევა რუს ხალხსაც, — აზიური მთავრო-

ბისაგან, რომელიც გამოსაღებებს აგლეჯს დამშეულ გლეხებს და სამხედრო ძალით აჩშობს ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი, — იტანჯება კაპიტალის უღლისაგან, კაპიტალისა, რომელიც შუა სამეფოშიც შეჭრილა.

რუსეთის მუშათა კლასი თავის დაღწევას იწყებს იმ პოლიტიკური სიბეჩავისა და სიბნელისაგან, რომელშიც ხალხის მასა იმყოფება. ამიტომ ყველა შეგნებულ მუშას ვალად აწევს — მთელი ძალღონით ამხედრდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც აღვივებს ნაციონალურ სიძულვილს და მუშა ხალხის ყურადღებას არიდებს მის ხამდვილ მტრებს. მეფის მთავრობის პოლიტიკა ჩინეთში — ეს დანაშაულებრივი პოლიტიკაა, რომელიც კიდევ უფრო აჩანაგებს ხალხს, კიდევ უფრო რყვნის და ჩაგრავს მას. მეფის მთავრობა არ კმაყოფილდება იმით, რომ ჩვენი ხალხი მონობაში ჰყავს, — ის გზავნის მას დააცხროს სხვა ხალხები, რომლებიც ამხედრებულან თავიანთი მონობის წინააღმდეგ (როგორც ეს მოხდა 1849 წელს, როცა რუსეთის ჯარები ახშობდნენ რევოლუციას უნგრეთში). მეფის მთავრობა არ კმაყოფილდება იმით, რომ ეხმარება რუს კაპიტალისტებს ექსპლოატაცია გაუწიონ თავიანთ მუშებს და ხელებს უბორკავს მუშებს, რათა მათ ვერ გაბედონ გაერთიანება და თავის დაცვა,—ის გზავნის ჯარისკაცებს სხვა ხალხების გასაძარცვავად ერთი მუჭა მდიდრებისა და დიდკაცების ინტერესების გულისთვის. რათა თავი დავაღწიოთ ახალ უღელს, რომელსაც ომი კისერზე ადგამს მუშა ხალხს, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ მთავრობის თვითმპყრობელობას და აიძულებდნენ მას ანგარიში გაეწია არა მარტო კარისკაცთა ხროვის ინტერესებისათვის.

«ისკრა» № 1, 1900 წლის დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში

ამა წლის გაზაფხულზე შვეიცარიაში შესდგა რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის წევრთა ყრილობა, რაც კავშირის გათიშვით დასრულდა. წევრთა უმცირესობამ, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მეთაურობით, რომელიც ამ კავშირის დამაარსებელი იყო და 1898 წლის შემოდგომამდე კავშირის გამოცემებს რედაქტორობდა, დააარსა ცალკე ორგანიზაცია სახელწოდებით: რუსული რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». უმრავლესობა, მათ შორის «რაბოჩეე დელოს» რედაქცია, თავის თავს კვლავ კავშირს უწოდებს. 1898 წლის გაზაფხულზე შემდგარმა რუსი სოციალ-დემოკრატების ყრილობამ, რომელმაც დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია», კავშირი ჩვენი პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად აღიარა. როგორ უნდა შევხედოთ ახლა ჩვენ ამ წარმომადგენლობის საკითხს, როცა საზღვარგარეთული კავშირი გაითიშა? ჩვენ არ შევუდგებით გათიშვის მიზეზების საკითხის დაწვრილებით განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ ფრიად გავრცელებული და ფრიად მძიმე ბრალდების უსაფუძვლობას, თითქოს პლეხანოვს კავშირის სტამბა ჩაეგდოს ხელში. სინამდვილეში მხოლოდ ის მოხდა, რომ სტამბის გამგემ უარი განაცხადა სტამბის მთლიანად გა-

დაცემაზე გათიშული კავშირის მხოლოდ ერთი ნაწილისთვის, და მალე ორივე მხარემ თვითონ გაიყვეს სტამბა ურთიერთ-შორის. ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე უფრო არსებითია ის ფაქტი, რომ «რაბოჩეე დელო» არ იყო მართალი პოლემიკის არსებითს მხარეში: ის ცდებოდა, როცა უარყოფდა «ეკონომი-ური» მიმართულების არსებობას, ის შემცდარ ტაქტიკას ადგა, როცა აფუჩეჩებდა ამ მიმართულების უკიდურესობებს და ერიდებოდა მათთან აშკარა ბრძოლას.

ამის გამო ჩვენ, — თუმცა ოდნავადაც არ უარვყოფთ «რა-ბოჩეე დელოს» დამსახურებას, რადგან მან დიდი შრომა გასწია ლიტერატურის გამოცემისა და მისი მიწოდების ორგანიზაციის-თვის, — უარს ვამბობთ იმაზე, რომ გათიშული ორგანიზა-ციის ერთ-ერთი ნაწილი ჩვენი პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად აღვიაროთ. პარტიის შემდგომი ყრილობის გადაწყვეტილებამდე ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს. ამჟამად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური საზღვარგარე-თული წარმომადგენლები არიან პარიზის საერთაშორისო სო-ციალისტური კონგრესის მიერ ამა წლის შემოდგომაზე დაარ-სებული მუდმივი საერთაშორისო კომიტეტის რუსი წევ-რები.[124] რუსეთიდან კომიტეტში არჩეულია ორი წევრი: გ. ვ. პლეხანოვი და ბ. კრიჩევსკი («რაბოჩეე დელოს» ერთ-ერთი რედაქტორი). სანამ რუს სოციალ-დემოკრატთა ორივე ფრაქციას შორის შერიგება ან შეთანხმება არ მოხდება, ჩვენ განზრახული გვაქვს ყოველგვარი კავშირურთიერთობა, რაც რუსეთის წარმომადგენლობას ეხება, ვაწარმოოთ გ. ვ. პლე-ხანოვის საშუალებით. დასასრულ, ჩვენ ხმა უნდა ამოვიღოთ საკითხზე, თუ ვინ გვსურს მდივნად რუსეთის მხრივ მუდ-მივ საერთაშორისო კომიტეტში. ამჟამად, როცა ცდილობენ «მარქსიზმის კრიტიკის» დროშით წარყვნან სოციალ-დემოკ-რატია ბურჟუაზიული იდეოლოგიით და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მტრებისადმი (ბურჟუაზიული მთავრობები-სადმი) უწყინარობისა და მორჩილების პოლიტიკით, ამ მნიშვ-ნელოვან პოსტზე განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი ადა-

მიანი, რომელსაც უნდა გააჩნდეს უნარი გაუძლოს საწინააღმ-
დეგო მიმდინარეობას და გავლენიანი სიტყვა სთქვას აზრთა
მერყეობის წინააღმდეგ. ამ მიზეზისა და აგრეთვე ზემოაღნიშ-
ნულ მოსაზრებათა გამო ჩვენ ხმას ვაძლევთ გ. ვ. პლეხანოვს.

დაწერილია არა უგვიანეს
1900 წლის 8 დეკემბრისა

დაიბეჭდა 1900 წლის დეკემბერს
გაზეთ «ისკრის» № 1-ში

იბეჭდება «ისკრის»
ტექსტის მიხედვით

1900 წლის 29 დეკემბრის ჩანაწერი

1900 29/XII. შაბათი, ღამის 2 საათი.

მე მინდა ჩავიწერო ჩემი შთაბეჭდილებანი დღევანდელი საუბრიდან «ბლიზნეცთან». ეს იყო ღირსშესანიშნავი და ერთგვარად «ისტორიული» კრება (არსენიევი, ველიკა, ბლიზნეცი + ცოლი [125] + მე), ყოველ შემთხვევაში ისტორიული ჩემს ცხოვრებაში; ამ კრებამ შეაჯამა ცხოვრების მთელი — ეპოქა თუ არა, ერთი ფურცელი მაინც და დიდი ხნით ვანსაზღვრა ქცევა და ცხოვრების გზა.

იმისდა მიხედვით, როგორც თავდაპირველად გაგვაცნო საქმის ვითარება არსენიევმა, მე ასე მესმოდა, რომ ბლიზნეცი ჩვენსკენ გადმოდის და თავის მხრივ სურს ნაბიჯების გადმოდგმა, მაგრამ სრულიად წინააღმდეგი გამოირკვა. ეს უცნაური შეცდომა, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ არსენიევს მეტისმეტად უნდოდა ის, რითაც «ხიბლავდა» მას ბლიზნეცი, სახელდობრ პოლიტიკური მასალა, კორესპონდენციები etc. *, ხოლო «რაც გსურს, ის გჯერა», და არსენიევსაც სჯეროდა იმის შესაძლებლობა, რითაც ხიბლავდა მას ბლიზნეცი, სურდა დაეჯერებინა ბლიზნეცის გულწრფელობა, საკადრისი «modus vivendi»-ს ** შესაძლებლობა მასთან.

და სწორედ ამ კრებამ საბოლოოდ და სამუდამოდ გააქარწყლა ასეთი რწმენა. ბლიზნეცი აქ წარმოგვიდგა სრულიად ახალი მხრიდან, წარმოგვიდგა წმინდა წყლის «პოლიტიკოსად»,

---

* — et cetera — და სხვ. რ ე დ.

** — შეგუების წესის. რ ე დ.

პოლიტიკოსად ამ სიტყვის უცუდესი მნიშვნელობით, პოლიტიკანად, გაიძვერად, ჩარჩად და თავხედად. ის ჩამოვიდა სრულიად დარწმუნებული ჩვენს უძლურებაში — ასე დაახასიათა თვითონ არსენიევმა მოლაპარაკების შედეგები, და ეს დახასიათება სავსებით სწორი იყო. ბლიზნეცი გამოცხადდა დარწმუნებული ჩვენს უილაჯობაში, გამოცხადდა—წარმოედგინა ჩვენთვის დამორჩილების პირობები, და ეს მან შეასრულა ჩინებულად მოხერხებული ფორმით, არ წამოცდენია არც ერთი მკვახე სიტყვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აშკარად დაგვანახვა, რა ტლანქი, ჩვეულებრივი ლიბერალის ჩარჩული ბუნება იმალება ამ უახლესი «კრიტიკოსის» შოხდენილ და ცივილიზებულ ქერქში.

ჩემს შეკითხვებზე (რომლებითაც დაიწყო საღამოს საქმიანი ნაწილი), თუ რატომ არა სურს მას, ბლიზნეცს, უბრალო თანამშრომელი იყოს, მან სრულიად გადაჭრით მიპასუხა, რომ მისთვის ფსიქოლოგიურად შეუძლებელია მუშაობა ჟურნალისათვის, სადაც მას «კაკალს ამტვრევენ თავზე» (მისი გამოთქმა სიტყვა-სიტყვით), ხომ არ ფიქრობთ, რომ მომდგებით და მაგინებთ, მე კი ჩავუჯდები «პოლიტიკური სტატიების წერას» თქვენთვისო (სიტყვა-სიტყვით!), რომ თანამშრომლობაზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ სრული თანასწორუფლებიანობის პირობით (ე. ი. თანასწორუფლებიანობისა, ცხადია, კრიტიკოსებისა ორთოდოქსებთან), რომ განცხადების * შემდეგ მისმა ამხანაგმა და მეგობარმა[126] არსენიევის სანახავად წამოსვლაც კი არ მოისურვა, რომ მისი, ბლიზნეცის, დამოკიდებულება იმდენად განცხადებით არ არის გამოწვეული, და სრულიადაც არაფერ შუაშია აქ განცხადება, არამედ იმით, რომ წინათ მას სურდა დაკმაყოფილებულიყო «კეთილმოსურნე ხელშემწყობის» როლით, ახლა კი ამით ვერ დავკმაყოფილდები და რედაქტორიც მინდა ვიყოო (ბლიზნეცმა თითქმის ასე სთქვა!!). ბლიზნეცს ყოველივე ეს ერთბაშად კი არ წამო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 430. რედ.

უსროლია, მოლაპარაკება მისი თანამშრომლობის შესახებ კარგა დიდხანს გრძელდებოდა (მეტისმეტად დიდხანს, არსენიევისა და ველიკას აზრით), მაგრამ ამ მოლაპარაკებამ მე სრულიად ნათლად დამანახვა, რომ ამ ჯენტლმენთან საქმეს ვერ მოაგვარებ.

შემდეგ მან დაიჟინა თავისი წინადადება: რატომ არ უნდა დავაარსოთ მე-3 პოლიტიკური ორგანო თანასწორი უფლებებით, ეს ჩემთვისაც ხელსაყრელი იქნება და თქვენთვისაც (გაზეთისთვის მასალა იქნება და ცოტა რამეს «გამოვრჩებით» ამ საქმისთვის გადადებული სახსრებიდანო), მე მგონიაო, რომ გარეკანზე აქ არაფერი სოციალ-დემოკრატიული არ უნდა იქნას აღნიშნული, არაფერი, რაც ჩვენი ფირმის მაჩვენებელი იქნებაო, თქვენ ვალდებული ხართ (არა ფორმალურად, არამედ ზნეობრივად ვალდებული ხართ) გვაძლიოთ ამ ორგანოსთვის აგრეთვე მთელი თქვენი ზოგად-პოლიტიკური მასალაო.

საქმის ვითარება სრულიად ნათელი შეიქნა და მე პირდაპირ ვუთხარი, რომ მე-3 ორგანოს დაარსებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია-მეთქი, რომ, ბოლოს და ბოლოს, აქ საკითხი ისაა — სოციალ-დემოკრატია უნდა გაუძღვეს პოლიტიკურ ბრძოლას თუ ლიბერალები დამოუკიდებლად და თვითკმარადმეთქი (ეს აზრი მე გამოვთქვი უფრო ნათლად და უფრო გარკვევით, უფრო ზედმიწევნით). ბლიზნეცი მიხვდა, გაბრაზდა და განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მე გამოვთქვი ჩემი აზრი anerkennenswerter Klarheit-ით * (სიტყვა-სიტყვით!), ამაზე ლაპარაკი ზედმეტია და უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ შეკვეთებზე — კრებულების შეკვეთებზე: ეს ხომ იგივე მესამენაირი ჟურნალი იქნებამეთქი (დავიწყე მე ლაპარაკი). მაშ, თუ ეგრეა, მაშინ მხოლოდ ერთი ა რ ს ე ბ უ ლ ი ბროშურის შეკვეთაო—განაცხადა ბლიზნეცმა. რომელისა? ვეკითხები მე. რა საჭიროა ამის ცოდნა — უტიფრად მიპასუხა ცოლმა. თუ პრინციპულად თანახმა ხართ, მაშინ გეტყვით, თუ არა, მაშინ არც საჭიროა იცოდეთო. მე შევეკითხე ბეჭდვის პირობების

* — მადლობის ღირსი სიცხადით. რ ე დ.

შესახებ: გამოცემა იქნება №№-ისა და მეტი არაფერი, თქვენი ფირმა არ უნდა იყოს მოხსენებული, გარდა Verlag-ისა* არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული თქვენს ფირმასთანო — განაცხადა ბლიზნეცმა. მე ამაზედაც შევედავე და მოვითხოვე ჩვენი ფირმის აღნიშვნა — აქ არსენიევი შემომედავა და ლაპარაკიც შეწყდა.

დასასრულ, შევთანხმდით საქმის გადაწყვეტა გადაგვედო,— ბლიზნეცზე კიდევ არსენიევმა და ვილიკამ მიიტანეს იერიშები, მოითხოვდნენ მისგან განმარტებებს, ედავებოდნენ, მე უფრო ვდუმდი, მეცინებოდა (ისე, რომ ბლიზნეცი ამას ნათლად ხედავდა), და ლაპარაკიც სწრაფად დაბოლოვდა.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის კრებულში I

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — გამომცემლობისა. რედ.

შემთხვევითი შენიშვნები

დაწერილია 1901 წლის იანვარში

დაიბეჭდა 1901 წლის აპრილს
ჟურნალ «ზარიას» № 1-ში
ხელმოწერა: ტ. ხ.

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

№ 1

Апрѣль
1901-го г.

Die
Morgenrothe
Heft 1
April 1901

ЗАРЯ

Соціаль-демократическій научно-политическій журналъ. Издается при ближайшемъ участіи Г. В. Плеханова, В. И. Засуличъ и П. Б. Аксельрода.

Цѣна 2 руб.

Stuttgart
J. H. W. Dietz Nachf. (G. m. b. H.)
1901

ეარეკანი ჟურნალ «ზარიას» I №-ისა. — 1901 წ. აპრილი

I. სცემე, მაბრამ არა სასიკვდილოდ

23 იანვარს ნიჟნი-ნოვგოროდში მოსკოვის სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წ ო დ ე ბ ა თ ა წ ა რ მ ო-მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ გაარჩია საქმე გლეხის ტიმოთე ვასილის-ძე ვოზდუხოვის მოკვლის შესახებ, რომელიც საპოლიციო ნაწილში გაეგზავნათ «გამოსაფხიზ-ლებლად» და იქ მისთვის იმ ზომამდე ეცემნათ პოლიციის ოთხ მოსამსახურეს—შელემეტიევს, შულპინს, შიბაევს და ოლხო-ვინს და უბნის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულე-ბელს პანოვს, რომ ვოზდუხოვი მეორე დღესვე გარდაიცვალა საავადმყოფოში.

ასეთია მარტივი ფაბულა ამ უბრალო საქმისა, რომელიც ნა-თელს ჰფენს იმას, რაც ჩვეულებრივ და მუდმივ ხდება ჩვე-ნებურ საპოლიციო სამმართველოებში.

რამდენადაც გაზეთის ძლიერ მოკლე ანგარიშების მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, მთელი შემთხვევა ასე წარმოგვიდგება. 20 აპრილს ვოზდუხოვი ეტლით მისულა გუბერნატორის სახლში. მასთან გამოსულა გუბერნატორის სახლის ზედამხედ-ველი, რომელმაც სასამართლოში აჩვენა, რომ ვოზდუხოვი იყო უქუდოდ, ნასვამი, თუმცა არა მთვრალი, უჩიოდა რომე-ლიღაც ნავსადგურს, რომელსაც სამგზავრო ბილეთი (?) არ მიეცა მისთვის. ზედამხედველს უბრძანებია გუშაგ პოლიციელ

შელემეტიევისთვის — ვოზდუხოვი საპოლიციო ნაწილში წაეყვანა. ვოზდუხოვი იმდენად ცოტათი ნასვამი ყოფილა, რომ მშვიდად ესაუბრებოდა, თურმე, შელემეტიევს და ნაწილში მისვლისას გარკვევით უთქვამს უბნის ზედამხედველ პანოვისთვის თავისი სახელი და წოდება. მიუხედავად ამისა, შელემეტიევს — ცხადია, პანოვის ნებართვით, რომელმაც ის-იყო დაჰკითხა ვოზდუხოვი, — «შ ე უ გ დ ი ა» უკანასკნელი არა სატუსალოში, სადაც რამდენიმე მთვრალი იმყოფებოდა, არაჰედ იქვე სატუსალოს გვერდით — «ს ა ჯ ა რ ი ს კ ა ც ო შ ი». როცა ვოზდუხოვს შიგნით აგდებდა, შელემეტიევის ხმალი კარის გადასარაზავს მოხვედრია, ცოტათი ხელი გაუკაწრავს, მას კი მოჩვენებია — ხმალი ვოზდუხოვს უჭირავსო, მივარდნია საცემად და თან ყვირილი მოურთავს, ხელში დამჭრესო. სცემს რაც ძალი და ღონე აქვს, სცემს სახეში, მკერდში, ფერდებში, სცემს ისე, რომ ვოზდუხოვი გულაღმა ეცემა, თავს იატაკს ახლის, ითხოვს შებრალებას. «რათა მცემთ?» — იძახოდა ვოზდუხოვი, სატუსალოში მყოფი მოწმის (სემახინის) გადმოცემით. — «მე არაფერი დამიშავებია. მაპატიეთ ღვთის გულისათვის!» ამავე მოწმის სიტყვით, ვოზდუხოვი მთვრალი არ ყოფილა, პირიქით, მთვრალი ყოფილა შელემეტიევი. იმის შესახებ, რომ შელემეტიევი «ჭკუას ასწავლიდა» (საბრალმდებლო ოქმის გამოთქმაა!) ვოზდუხოვს, გაიგეს მისმა ამხანაგებმა, შულპინმა და შიბაევმა, რომლებიც სვამდნენ პოლიციაში აღდგომის პირველი დღიდანვე (20 აპრილი — სამშაბათი, აღდგომის მესამე დღეა). ისინი შედიან საჯარისკაცოში მეორე ნაწილიდან მოსულ ოლხოვინთან ერთად, სცემენ ვოზდუხოვს მუშტებით, თელავენ ფეხებით. მოდის უბნის ზედამხედველი პანოვიც, თავში წიგნს დაახლის, მუშტებს ურტყამს. «ისე სცემდნენ, ისე სცემდნენ», — ამბობდა ერთი ტუსაღი ქალი — «რომ შიშისაგან მთელი შიგნეულობა ამტკივდაო». როცა «ჭკუის სწავლება» დამთავრდა, უბნის ზედამხედველი სრულიად გულგრილად უბრძანებს შიბაევს ჩამობანოს გალახულს პირისახეზე სისხლი — ასე უფრო რიგიანი იქნებაო, ვინიცობაა უფროსებმა ნახონო! — შემდეგ კი სატუ-

საღოში შეაგდეთო. «ძმებო! — ეუბნება ვოზდუხოვი დანარჩენ ტუსაღებს,—ხედავთ, როგორ გვცემს პოლიცია? დამიდექით ძოწმედ, მე საჩივარს აღვძრავ!» მაგრამ საჩივრის აღძვრა აღარ დასცალდა: მეორე დღეს, დილით, ის ნახეს სრულიად უგონო მდგომარეობაში და საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ის 8 საათის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც, ისე რომ გონზედაც არ მოსულა. როცა გაჰკვეთეს, აღმოჩნდა, რომ ათიოდე ნეკნი ჰქონდა ჩამტვრეული, მთელი ტანი დალურჯებული, ტვინში სისხლი ჩაქცეული.

პალატამ შელემეტიევს, შულპინს და შიბაევს ოთხ-ოთხი წლის კატორღა მიუსაჯა, ხოლო ოლხოვინსა და პანოვს — თითო თვით დატუსაღება, რადგან ისინი დამნაშავეებად სცნეს მხოლოდ «შეურაცხყოფის მიყენებაში»...

ჩვენც ამ განაჩენით დავიწყებთ ჩვენს განხილვას. კატორღამისჯილებს ბრალს სდებდნენ სასჯელთა დებულების 2 ნაწ. 346-ე და 1490-ე მუხლის მიხედვით. პირველი ამ მუხლთაგანი ამბობს, რომ მოხელე, რომელიც დასჭრის ან დაასახიჩრებს ვინმეს თავისი სამსახურის ასრულების დროს, ექვემდებარება «ასეთ დანაშაულობათათვის დაწესებულ» სასჯელთა უმაღლეს ზომასო. ხოლო მე-2 ნაწ. 1490-ე მუხლი წამებისთვის, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, ითვალისწინებს კატორღას 8-დან 10 წლამდე. უმაღლესი სასჯელის ნაცვლად წოდებათა წარმომადგენლებისა და მეფის მსაჯულთა სასამართლო სასჯელს ორი თანრიგით ამცირებს (მე-6 თანრიგი: კატორღა 8 — 10 წელი; მე-7 თანრიგი — 4-დან 6 წლამდე), ე. ი. ადგენს მაქსიმალურ შემცირებას, რომელსაც კი უშვებს კანონი დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებათა შემთხვევაში, და გარდა ამისა ამ უმცირეს თანრიგში ნიშნავს უმცირეს სასჯელს. ერთი სიტყვით, საასამართლომ ყველაფერი მოიმოქმედა, რაც კი შეეძლო, ბრალდებულთა სასჯელის შესამსუბუქებლად, და მეტიც გააკეთა, ვიდრე მას შეეძლო, რადგან გვერდი აუარა კანონს «უმაღლესი სასჯელის» შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ გვინდა ვთქვათ, ვითომც «უმაღლესი სამართლიანობა» მო-

ითხოვდეს სწორედ 10 და არა 4 წლის კატორღას; აქ მთავარი ის არის, რომ მკვლელები სცნეს მკვლელებად და კატორღა მიუსაჯეს. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მეფის მსაჯულთა და წოდებათა წარმომადგენლების სასამართლოს ფრიად დამახასიათებელი ტენდენცია: როცა ისინი პოლიციის მოხელეებს ასამართლებენ, მზად არიან ყოველგვარი შეღავათი მისცენ მათ; ხოლო როცა პოლიციის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის ასამართლებენ, ისინი, როგორც ცნობილია, შეუდრეკელ სისასტიკეს იჩენენ. *

აი თუნდაც ბატონი უბნის ზედამხედველი... აბა, როგორ არ უნდა მოვეპყრათ მას ლმობიერად! ის დახვდა ვოზდუხოვს, როცა ის მოიყვანეს, ცხადია, მან უბრძანა წაეყვანათ ის არა სატუსაღოში, არამედ წინასწარ — მოსაჭკვიანებლად — საჯარისკაცოში, მან მონაწილეობა მიიღო ვოზდუხოვის ცემა-

* აი კიდევ ერთი ფაქტი, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა სასჯელს მიმართავენ ხოლმე ჩვენი სასამართლოები სხვადასხვა დანაშაულისათვის. ვოზდუხოვის მკვლელთა გასამართლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვის სამხედრო-საოლქო სასამართლო ასამართლებდა ჯარისკაცს, რომელიც მსახურობდა ადგილობრივ საარტილერიო ბრიგადაში და ცეიხჰაუზიდან 50 შარვალი და რამდენიმე ნაჭერი საჩექმე მასალა მოიპარა ამავე ცეიხჰაუზის გუშაგად ყოფნისას. განაჩენი — 4 წლის კ ა ტ ო რ ღ ა. გამოდის, რომ იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელიც პოლიციამ ჩაიბარა, იმდენივე ღირებულა, რამდენიც ღირს 50 შარვალი და რამდენიმე ნაჭერი საჩექმე მასალა, რომელიც გუშაგს ჰქონია ჩაბარებული. ამ ორიგინალურ «ბინტოლებაში», როგორც მზე წყლის პატარა წვეთში, ისახება მთელი ჩვენი პოლიციური სახელმწიფოს წყობილება. პიროვნება ხელისუფლების მიმართ — არარაა. დისციპლინა ხელისუფლების შიგნით — ყველაფერია... თუმცა, უკაცრავად: «ყველაფერი» მხოლოდ წვრილფეხათათვის. წვრილფეხა ქურდი კატორღაში იგზავნება, ხოლო დიდი ქურდი, ყველა ეს ბობოლები, მინისტრები, ბანკების დირექტორები, რკინიგზის მშენებლები, ინჟინრები, მოიჯარადრენი და სხვ., ათეული და ასეული ათასობით სახაზინო ქონებას რომ ქაფავენ, ისინი იშვიათ და უარეს შემთხვევაში ისჯებიან მხოლოდ შორეულ გუბერნიებში გადასახლებით, სადაც არხეინად ცხოვრობენ ნაძარცვი ფულებით (ბანკის გამქურდველები დასავლეთ ციმბირში) და საიდანაც ადვილად შეიძლება გაპარვა საზღვარგარეთაც (ეანდარმთა პოლკოვნიკი მერანვილ დე სენ-კლერი).

ტყეპაში მუშტებითაც და წიგნითაც (ალბათ, კანონთა კრებულით), ის ხელმძღვანელობდა დანაშაულის კვალის მოსპობას (სისხლის ჩამობანა), მანვე მოახსენა 20 აპრილს ღამით დაბრუნებულ ამ ნაწილის ბოქაულს, მუხანოვს, «თქვენდამი რწმუნებულ ნაწილში ყველაფერი რიგზეაო» (სიტყვასიტყვით!), — მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს მკვლელებთან, ის დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ შეურაცხჰყო მოქმედებით, მხოლოდ უბრალო შეურაცხყოფის მიმყენებელი მოქმედებით, რისთვისაც დაპატიმრებით ისჯებიან. სრულიად ბუნებრივია, რომ ეს მკვლელობაში უდანაშაულო ჯენტლმენი, ბ-ნი პანოვი, ამჟამადაც პოლიციაში მსახურობს, პოლიციის ურიადნიკის თანამდებობაზე. ბ-ნმა პანოვმა თავისი სასარგებლო გამგებლობითი მოღვაწეობა — უბრალო ხალხისთვის «ჭკუის სწავლება» ქალაქიდან სოფლად გადაიტანა მხოლოდ. სინიდისის ქვეშ სთქვით, მკითხველო, შეუძლია განა პოლიციის დაბალ მოხელეს პანოვს პალატის განაჩენი სხვანაირად გაიგოს, თუ არა როგორც დარიგება: — ამიერიდან უკეთ დამალე დანაშაულის კვალი, «ჭკუა ასწავლე» ისე, რომ კვალი არ დარჩესო. შენ გიბრძანებია სისხლი ჩამოებანათ სახეზე მომაკვდავისთვის, — ეს ჩინებულია, მაგრამ შენ დაუშვი ის, რომ ვოზდუხოვი მოკვდა, — ეს, ძმობილო, წინდაუხედაობაა; ამიერიდან ფრთხილად იყავი და კარგად დაიხსომე რუსი დერჟიმორდის პირველი და უკანასკნელი მცნება: «სცემე, მაგრამ არა სასიკვდილოდ!»

ზოგადადამიანური თვალსაზრისით პალატის განაჩენი პანოვის მიმართ მართლმსაჯულების პირდაპირი გამასხარავებაა; ის გვიჩვენებს აშკარა მლიქვნელურ მისწრაფებას—პოლიციის დაბალ მოხელეებს მოახვიონ თავზე მთელი დანაშაული და პასუხისმგებლობა ააცილონ მათს უშუალო უფროსს, რომლის ნებართვით, დასტურით და მონაწილეობით მოხდა ეს მხეცური ტანჯვა-წამება. იურიდიული თვალსაზრისით კი ეს განაჩენი ნიმუშია იმ კაზუისტიკისა, რაც ასე ეხერხებათ ხოლმე მოხელე-მოსამართლეებს, რომლებიც თვითონაც ბევრად არ სჯობნიან უბნის ზედამხედველს. ენა იმისთვის აქვს მიცემული ადამიანს,

რომ თავისი ზრახვები დაჰფარონო — ამბობენ დიპლომატები. კანონი იმისთვის არსებობს, რომ დანაშაულისა და პასუხისმგებლობის ცნება გააყალბონო — შეუძლიათ სთქვან ჩვენს იურისტებს. მართლაც, რა ფაქიზი სამსაჯულო ოსტატობაა საჭირო, რომ ადამიანის ტანჯვა-წამებაში მონაწილეობა უბრალო ფიზიკურ შეურაცხყოფად გაასაღო! ხელოსანს, რომელმაც 20 აპრილს, დილით, შეიძლება, ქუდი გადააგლიჯა ვოზდუხოვს თავიდან, თურმე ბრალი დაედება ისეთსავე დანაშაულობაში,— და კიდევ უფრო რბილადაც: არა დანაშაულობაში, არამედ «დარღვევაში», — როგორც პანოვს. ჩხუბში (და არა უმწეო ადამიანის ცემა-ტყეპაში) უბრალო მონაწილეობისთვისაც კი, თუ ამის გამო ვინმეს სიკვდილი შეემთხვა, უფრო სასტიკი სასჯელია დაწესებული, ვიდრე უბნის ზედამხედველს მიუსაჯეს. სასამართლოს ხრიკოსნებმა ისარგებლეს, ჯერ-ერთი, იმით, რომ სამსახურის შესრულების დროს ტანჯვა-წამებისთვის კანონი ადებს რამდენიმე სასჯელს და მოსამართლეს ანდობს, გარემოებათა მიხედვით, ამოირჩიოს ორი თვის პატიმრობასა და ციმბირში სამუდამოდ გადასახლებას შორის. არ შეზღუდო მოსამართლე მეტისმეტი ფორმალური ზღუდეებით, ერთგვარი გასაქანი მისცე მას,—ეს, რა თქმა უნდა, მეტად გონივრული წესია, და სწორედ ამისთვის არაერთხელ შეუქმიათ უკვე რუსული კანონმდებლობა და აღუნიშნავთ ხაზგასმით მისი ლიბერალიზმი ჩვენს სისხლის სამართლის პროფესორებს. მხოლოდ ამავე დროს მათ ავიწყდებოდათ ის წვრილმანი, რომ გონივრულ დადგენილებათა გამოყენებისათვის საჭიროა ისეთი მოსამართლეები, რომლებიც არ იმყოფებიან უბრალო მოხელეების მდგომარეობაში, საჭიროა საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლოში და საზოგადოებრივი აზრისა—საქმის განხილვაში. მეორე, სასამართლოს აქ მიეშველა პროკურორის ამხანაგი, რომელმაც უარი განაცხადა პანოვისთვის (და ოლხოვინისთვის) ბრალის დადებაზე წვალებასა და სისასტიკეში და სასამართლოს სთხოვა დაესაჯა ისინი მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენებისთვის. პროკურორის ამხანაგმა თავის მხრივ დაიმოწმა ექსპერტების

დასკვნა — განსაკუთრებით მწვავე და ხანგრძლივი არ იყო პანოვის მიერ მიყენებული ცემა-ტყეპაო. ეს იურიდიული სოფიზმი, როგორც ხედავთ, განსაკუთრებული მახვილგონიერებით არ განირჩევა: რადგან პანოვმა სხვებზე ნაკლებად სცემა, მაშასადამე, შ ე ი ძ ლ ე ბ ა ითქვას, მისი ცემა არ იქნებოდა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მტკივნეული; ხოლო რახან ეს ცემა არ იყო განსაკუთრებით მტკივნეული, შ ე ი ძ ლ ე ბ ა დავასკვნათ, რომ მას ვერ ჩავთვლით «წამებად და სისასტიკედ», ხოლო რაკი მას ვერ ჩავთვლით წამებად და სისასტიკედ, მაშასადამე, ის იყო უბრალო შეურაცხყოფა მოქმედებით. ყოველივე ყველასთვის სასიამოვნოდ გვარდება, და ბ-ნი პანოვიც წესიერებისა და მართებულობის დამცველთა რიგებში რჩება... *

* იმის ნაცვლად, რომ სასამართლოსა და საზოგადოების წინაშე გამოააშკარაონ სისაძაგლენი მთელი მათი მოცულობით, ჩვენში ამჯობინებენ სასამართლოში საქმის მიფუჩეჩებას და მაღალფარდოვანი, მაგრამ ცარიელი ფრაზებით აღსავსე ცირკულარებითა და ბრძანებებით კმაყოფილდებიან. მაგალითად, ორიოლის პოლიცმეისტერმა ამ დღეებში გამოსცა ბრძანება, რომელშიც, წინანდელ განკარგულებათა დასადასტურებლად, წინადადება ეძლევათ ბოქაულებს, რომ მათ პირადად და აგრეთვე თანაშემწეთა საშუალებით დაბეჯითებით შთააგონონ პოლიციის დაბალ მოხელეთ — არამცდაარამც არ გამოიჩინონ უხეშობა ან რაიმე ძალადობა ქუჩებში მთვრალების დაკავებისას და ნაწილში წაყვანისას გამოსაფხიზლებლად, აუხსნან დაბალ მოხელეთ, რომ პოლიციას ევალება, სხვათა შორის, მთვრალების მოვლა-პატრონობაც, რომელთაც, თავის ნებაზე რომ იქნან მიშვებულნი, უეჭველი ხიფათი მოელით. ამის გამო პოლიციის დაბალი მოხელენი, რომლებიც თვით კანონის მიერ არიან დაყენებული მცხოვრებთა უახლოეს დამცველებად და მფარველებად, როცა მთვრალებს დააკავებენ და ნაწილში წაიყვანენ, არამც თუ არ უნდა მოექცნენ მათ უხეშად და არაადამიანურად, არამედ, პირიქით, ყოველგვარ ზომებს უნდა მიმართონ, რაც კი მათზეა დამოკიდებული, დაკავებულ პირთა მოსავლელად, სანამ ისინი გამოფხიზლდებოდნენ. ბრძანება აფრთხილებს პოლიციის დაბალ მოხელეთ, რომ სამსახურებრივ მოვალეობათა მხოლოდ ასეთი შეგნებული და კანონიერი შესრულება მოუპოვებს მათ მოსახლეობის ნდობას და პატივისცემას. პირიქით, ყოველგვარი თვითნებობისა და სასტიკი მოპყრობისთვის მთვრალებისადმი, აგრეთვე მათთვის რაიმე ძალმომრეობის მიყენებისთვის, რაც შეუთავსებელია პოლიციის მოხელეთა მოვალეობას-

ახლა ჩვენ შევეხეთ სასამართლოში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობისა და საზოგადოებრივი აზრის როლის საკითხს. ეს საკითხი საერთოდ მშვენივრად სურათდება ამ საქმით. უწინარეს ყოვლისა: რატომ არჩევდა საქმეს არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არამედ მთავრობის მსაჯულთა სასამართლო წოდებათა წარმომადგენლებთან ერთად? იმიტომ, რომ, როცა ალექსანდრე III მთავრობამ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა საზოგადოების ყველა და ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, ძალიან ჩქარა სახიფათოდ სცნო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. რეაქციულმა პრესამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო «ქუჩის სასამართლოდ» გამოაცხადა და დაუწყო მას დევნა, რაც, უნდა ითქვას, დღემდეც გრძელდება. მთავრობამ რეაქციული პროგრამა მიიღო: რაკი დაამარცხა 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობა, უტიფრად გამოუცხადა საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ ის მათ სთვლის «ქუჩად», ბრბოდ, რომელმაც ვერ უნდა გაბედოს ჩარევა არამც თუ კანონმდებლობაში, არამედ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიც კი, რომელიც განდევნილ უნდა იქნას წმიდათა-წმიდა ადგილიდან, სადაც ასამართლებენ და უსწორდებიან რუსეთის მკვიდრთ — ბატონ პანოვების მეთოდით. 1887 წელს გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით საქმეები იმ დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც ჩაუდენიათ თანამდებობის პირთ ან მათ წინააღმდეგ, აღარ ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და გადაეცა მთავრობის მსაჯულთა და წოდებათა წარმომადგენლების სა-

---

თან, რომლებიც ვალდებულნი არიან რიგიანობისა და კეთილ ზნე-ჩვეულებათა მაგალითის მაჩვენებელი იყვნენ, აუცილებლად დაიმსახურებენ კანონის სასტიკ სასჯელს. პოლიციის დაბალი მოხელენი, დამნაშავენი ასეთ საქციელში, მიცემული იქნებიან სამართალში ყოველგვარი შეღავათის გარეშე. — სურათის პროექტი სატირული ჟურნალისთვის: უბნის ზედამხედველი, რომელსაც ბრალი ედება მკვლელობაში და გაუმართლებიათ, კითხულობს ბრძანებას იმის შესახებ, რომ ის უნდა იყოს მაგალითი რიგიანობისა და კეთილი ზნისა!

სამართლოს. როგორც ცნობილია, ეს წოდებათა წარმომადგენლები, მოხელე-მსაჯულებთან ერთ კოლეგიად შეერთებული, წარმოადგენენ უსიტყვო სტატისტებს, ასრულებენ დამსწრეთა როლს, იმის ხელისმომწერთა უბადრუკ როლს, რის დადგენასაც სასამართლოს უწყების მოხელენი კეთილინებებენ. ეს ერთი იმ კანონთაგანია, რომლებითაც სავსეა რუსეთის ისტორიის მთელი უახლესი რეაქციული ეპოქა და რომელთაც აერთიანებს ერთი საერთო მისწრაფება: აღადგინონ «მაგარი ხელისუფლება». გარემოებათა ზეგავლენით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლება იძულებული შეიქნა «ქუჩას» დაახლოებოდა, ხოლო ამ ქუჩის შემადგენლობა საოცარი სისწრაფით იცვლებოდა, და უმეცარ მკვიდრთა ადგილს იჭერდნენ მოქალაქეები, რომელნიც თანდათან იგნებდნენ თავიანთ უფლებებს და რომელთაც ამ უფლებათათვის მებრძოლთა წამოყენების უნარიც კი შესწევდათ. და როდესაც ხელისუფლებამ ეს იგრძნო, ის საშინლად დაფრთხა, უკან დაიხია და ახლა შიშითა და კანკალით ყოველნაირად ცდილობს ჩინური კედლით დაიცვას თავი, ჩაიკეტოს ციხე-სიმაგრეში, სადაც ვერ შეატანს საზოგადოებრივი თვითმოქმედების ვერავითარი გამოვლინება... მაგრამ მე ცოტათი დავშორდი ჩემს თემას.

ამრიგად, რეაქციული კანონის წყალობით, ქუჩა ჩამოაშორეს ხელისუფლების წარმომადგენელთა გასამართლებას. მოხელეებს მოხელეები ასამართლებდნენ. ეს დაეტყო არამც თუ განაჩენს, არამედ მთელი წინასწარი და სასამართლოს გამოძიების ხასიათსაც. ქუჩის სასამართლო სწორედ იმით არის დასაფასებელი, რომ მას ცხოველმყოფელი ნაკადი შეაქვს კანცელარული ფორმალიზმის იმ ატმოსფეროში, რომლითაც სულ მთლად გაჟღენთილია ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებები. ქუჩას აინტერესებს არა მარტო ის და არც იმდენად ის, — შეურაცხყოფად, ცემა-ტყეპად თუ წვალებად იქნება მიჩნეული ესა თუ ის ქმედობა, რაგვარ და რა სახის სასჯელს გამოიტანენ ამ ქმედობისთვის; არა, მას უფრო ის აინტერესებს, რომ ძირიან-ფესვიანად გამოაშკარავებულ და საჯაროდ გამორკვეულ იქნას დანაშაულის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტი-

კური ძაფები და დანაშაულის მნიშვნელობა, რათა ამ გასამართლებიდან შეიძლებოდეს საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის გაკვეთილის გამოტანა. ქუჩას უნდა სასამართლოს სახით იხილოს არა «საკრებულო ადგილი», სადაც მოხელეები სასჯელთა დებულების სათანადო მუხლებს მიუყენებენ ხოლმე ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვევებს, არამედ — საჯარო დაწესებულება, რომელიც ააშკარავებს თანამედროვე წყობილების წყლულს და იძლევა მასალას მის გასაკრიტიკებლად და, მაშასადამე, მის გამოსასწორებლადაც. ქუჩა თავისი ალღოთი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკისა და პოლიტიკური შეგნების ზრდის ზეგავლენით მიდის იმ ჭეშმარიტებამდე, რომელსაც ასეთი სიძნელითა და ასე გაუბედავად მიაგნებს ხოლმე თავისი სქოლასტიკური დაბრკოლებების გადალახვით ჩვენი ოფიციალურ-პროფესორული იურისპრუდენცია: სახელდობრ, რომ დანაშაულობასთან ბრძოლაში განუზომლად მეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებების შეცვლას, ვიდრე ცალკეულ სასჯელთა გამოყენებას. ამ მიზეზის გამოა, რომ ასე სძულთ — და არც შეუძლიათ არ სძულდეთ — ქუჩის სამართალი რეაქციონერ პუბლიცისტებს და რეაქციულ მთავრობას. ეს არის მიზეზი, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენციის შეკვეცისა და საჯაროობის შეზღუდვის ცდა წითელი ზოლივითაა გავლებული რუსეთის მთელი რეფორმისშემდეგდროინდელი ისტორიის მანძილზე, მასთან «რეფორმისშემდეგდროინდელი» ეპოქის რეაქციული ხასიათი აშკარავდება 1864 წლის კანონის ძალაში შესვლის მ ე ო რ ე დ ღ ი დ ა ნ ვ ე, — კანონისა, რომელმაც გარდაქმნა ჩვენი «სამოსამართლო ნაწილი». * და სწორედ ამ საქმეს განსაკუთ-

* ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ლიბერალური მომხრეები, როცა რეაქციონერებს ეკამათებიან ლეგალურ ბეჭდვით სიტყვაში, ხშირად კატეგორიულად უარყოფენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოლიტიკურ მნიშვნელობას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი პოლიტიკური მოსაზრებით სრულებითაც არ იცავენ საზოგადოებრივი ელემენტების მონაწილეობას სასამართლოში. ნაწილობრივ ეს, უსათუოდ, შეიძლება იმ პო-

რებული სიძლიერით დაეტყო «ქუჩის სასამართლოს» ნაკ-ლი. ვის შეეძლო ამ სასამართლოში დაინტერესებულიყო საქ-მის საზოგადოებრივი მხარით და შეეცადა მთელი სიცხა-დით ეჩვენებინა ის? განა პროკურორს? მოხელეს, რომელსაც უახლოესი კავშირი აქვს პოლიციასთან, — თვითონაც პასუ-ხისმგებელია ტუსაღთა მოვლისა და მათთან მოპყრობის-თვის, — და ზოგჯერ პოლიციის უფროსიც არის? ჩვენ დავი-ნახეთ, რომ პროკურორის ამხანაგმა უარიც კი განაცხადა პა-ნოვისთვის ბრალდების წაყენებაზე ვოზდუხოვის წამებაში. განა სამოქალაქო მოსარჩლეს, სასამართლოში რომ ვოზდუ-ხოვის მოწმედ გამოსულს მოკლულის ცოლს სამოქალაქო სარ-ჩელი წარედგინა მკვლელებისადმი? მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა მას, უბრალო დედაკაცს, რომ არსებობს რაღაც სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის სასამართლოში? და რომ სცოდნოდა კიდევაც ეს, სად გააჩნდა მას სახსარი ვექილის დასაქირავებლად? და რომ ჰქონოდა კიდევაც ამის სახსარი, სად მოინახებოდა ისეთი ვექილი, რომელიც შეს-ძლებდა და მოინდომებდა საზოგადოებრივი ყურადღება მი-ეპყრო ამ მკვლელობით გამომჟღავნებული წესებისადმი? ვთქვათ, გამოინახა კიდევაც ასეთი ვექილი, შეუწყობენ კი ხელს მის «მოქალაქობრივ აღტყინებას» საზოგადოების ისეთი «დელეგატები», როგორიც არიან წოდებათა წარმომადგენ-ლები? აი ვოლოსტის მამასახლისი, — მე მხედველობაში მაქვს პროვინციის სასამართლო, — ის დარცხვენილია თავისი სოფ-ლური ჩაცმულობის გამო, არ იცის როგორ დამალოს თავისი გაპოხილი ჩექმები და დაკოჟრილი ხელები, ხანდახან შიშით ახედავს ხოლმე მის აღმატებულებას, პალატის თავმჯდომა-რეს, მასთან ერთად რომ უზის იმავე მაგიდას. აი ქალაქის თავი, ჩასუქებული ვაჭარი, სულს ძლივს ითქვამს მისთვის

ლიტიკურ სიბეცეზე იყოს დამოკიდებული, რაც ხშირად სჭირთ ხოლმე სწორედ იურისტებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ სპეციალობას «სახელ-მწიფოებრივი» მეცნიერებანი შეადგენს. მაგრამ უმოავრესად ეს აიხსნება იმით, რომ ისინი იძულებული არიან ილაპარაკონ ეზოპის ენით, არ შეუძ-ლიათ აშკარად გამოამჟღავნონ თავიანთი სიმპათიები კონსტიტუციისადმი.

უჩვეულო მუნდირში გამოწყობილი, კისერზე ჯაჭვი ჩამოუკიდია და ცდილობს მიჰბაძოს თავის მეზობელს, თავადაზნაურობის წინამძღოლს, თავადურ მუნდირში გამოწყობილ ბატონს, ხაპატიები გარეგნობა რომ აქვს და არისტოკრატული ქცევა. ხოლო გვერდით — მსაჯულები, რომელთაც მოხელის ჭაპახწყვეტის ხანგრძლივი სკოლა გამოუვლიათ, კანცელარიებში გაჭაღარავებული ნამდვილი მოხელენი, სავსებით რომ აქვთ შეგნებული მნიშვნელობა მათზე დაკისრებული ამოცანისა: გაასამართლონ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა გასამართლების ღირსი არ არის ქუჩის სასამართლო. განა ეს გარემოება არ წაართმევდა ლაპარაკის ხალისს თვით უმჭევრმეტყველეს ვექილსაც კი და არ მოაგონებდა მას ძველ თქმულებას: კარგ მთქმელს კარგი გამგონი ესაჭიროებაო?

და ისე მოხდა, რომ საქმე თითქოს საშინლად დააჩქარეს, თითქოს სასწრაფოდ უნდოდათ მისი თავიდან მოშორება*, თითქოს ეშინოდათ კარგად არ გადაეჩხრიკათ მთელი ეს სიბინძურე: შეიძლება იცხოვრო ფეხისადგილის ახლოს, შეეჩვიო და ვერ ამჩნევდე მას, შეეგუო, მაგრამ საკმარისია შეუდგე მის წმენდას—და მის სიმყრალეს აუცილებლად იგრძნობენ მაშინ ყველანი, არა მხოლოდ აქვე, არამედ მეზობელ ბინებში მცხოვრებნიც.

აბა წარმოიდგინეთ, რამდენია ისეთი საკითხი, ბუნებრივად რომ წამოგეჭრებათ და არც კი გარჯილა ვინმე მათ გასარკვევად. რისთვის წავიდა ვოზდუხოვი გუბერნატორთან? საბრალმდებლო ოქმი — ის დოკუმენტი, რომელიც უნდა ანსახიერებდეს ბრალმდებელ ხელისუფალთა მისწრაფებას, რომ გახსნან მთელი დანაშაული, არამც თუ არ უპასუხებს ამ კითხვაზე, არამედ პირდაპირ აფუჩეჩებს მას, როცა ამბობს, ვითომც ვოზდუხოვი «მთვრალი დააკავა გუბერნატორის სახლის ეზოში

* საქმის სასწრაფოდ გადაცემა სასამართლოსთვის არც არავის უფიქრია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი, რომელიც 1899 წლის 20 აპრილს მოხდა, საოცრად მარტივი და ნათელი იყო, სასამართლოში გაირჩა მხოლოდ 1901 წლის 23 იანვარს. ამას ჰქვია სამართალი სწრაფი, სწორი და მოწყალე!

პოლიციელმა შელემეტიევმა». ეს საბაბსაც კი იძლევა ვიფიქროთ, თითქოს ვოზდუხოვი უწესოებას სჩადიოდა და მერე სად?—გუბერნატორის ეზოში! ნამდვილად კი ვოზდუხოვი ეტლით მივიდა გუბერნატორთან საჩივლელად— ეს შემოწმებული ფაქტია. რას სჩიოდა ის? გუბერნატორის სახლის ზედამხედველი, პტიცინი, ამბობს, რომ ვოზდუხოვი უჩიოდა რომელიღაც ნავსადგურს, სადაც მისთვის სამგზავრო ბილეთი არ მიეცათ (?). მოწმე მუხანოვი, იმ ნაწილის ყოფილი ბოქაული, სადაც ვოზდუხოვს სცემეს (ხოლო ამჟამად ქ. ვლადიმირის საგუბერნიო საპყრობილის უფროსი), ამბობს, რომ მას ვოზდუხოვის ცოლისაგან გაგონილი აქვს, რომ ის ქმართან ერთად ლოთობდა და მათთვის ეცემნათ ნიჟნიში სამდინარო პოლიციაშიც და როჟდესტვენსკის საპოლიციო ნაწილშიც, და სწორედ ამ ცემის შესახებ უნდოდა განეცხადებინა ვოზდუხოვს გუბერნატორისთვისო. მიუხედავად ამ მოწმეების ჩვენებათა აშკარა წინააღმდეგობისა, სასამართლო არავითარ ზომებს არ ღებულობს საკითხის გამოსარკვევად. პირიქით, ყველას სრული უფლება აქვს დაასკვნას, რომ სასამართლოს არა სურს ამ საკითხის გამორკვევა. ვოზდუხოვის ცოლი მოწმედ იყო სასამართლოში, მაგრამ არავინ დაინტერესებულა შეჰკითხებოდა, მართლა სცემეს თუ არა მას და მის ქმარს ნიჟნის რამდენიმე საპოლიციო ნაწილში? რა გარემოებაში დააპატიმრეს ისინი? რა სადგომებში სცემეს? ვინ სცემა? მართლა თუ აპირებდა ქმარი ჩივილს გუბერნატორთან? თუ უთხრა ქმარმა კიდევ ვინმეს თავის ამ განზრახვის შესახებ? მოწმე პტიცინს, როგორც გუბერნატორის კანცელარიის მოხელეს, ადვილად შეიძლება არ სურდა მოესმინა არა მთვრალი — მაგრამ მაინც გამოსაფხიზლებელი! — ვოზდუხოვისაგან საჩივარი პოლიციაზე; მან მთვრალ პოლიციელს შელემეტიევს დაავალა მომჩივანის წაყვანა გამოსაფხიზლებლად ნაწილში; არ მოუხდენიათ ამ საინტერესო მოწმის ჯვარედინი დაკითხვა. მეეტლე კრაინოვიც, რომელმაც ვოზდუხოვი გუბერნატორთან მიიყვანა,

ხოლო შემდეგ იქიდან ნაწილში წაიყვანა, არ დაუკითხავთ — ხომ არ უთქვამს მისთვის ვოზდუხოვს, თუ რისთვის მიდიოდა გუბერნატორთან? სახელდობრ რა განუცხადა ვოზდუხოვმა პტიცინს? კიდევ სხვა ვინმეს ხომ არ გაუგონია მისი ლაპარაკი? სასამართლო კმაყოფილდება იმით, რომ კითხულობს მოკლე ჩვენებას კრაინოვისას, რომელიც თვითონ არ გამოცხადებულა (კრაინოვი ადასტურებს, ვოზდუხოვი მთვრალი არ ყოფილა, ცოტათი ნასვამი იყოო), და პროკურორის ამხანაგიც სრულებითაც არ იწუხებს თავს, რომ აუცილებლად მოყვანილ იქნას ეს მნიშვნელოვანი მოწმე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვოზდუხოვი სათადარიგო უნტერ-ოფიცერი იყო და, მაშასადამე, ხავალი კაცი, კანონებისა და წესების რაოდენადმე მცოდნე, რომ ის უკანასკნელად სასიკვდილოდ გალახვის შემდეგაც ეუბნება ამხანაგებს: «საჩივარს აღვძრავო», — ყოვლად უეჭველი ხდება, რომ ის გუბერნატორთან მიდიოდა სწორედ საჩივლელად პოლიციაზე, რომ მოწმე პტიცინი სტყუოდა, რათა გამოეხსნა პოლიცია, რომ ლაქია მსაჯულებს და ლაქია პროკურორს არ სურდათ გამოემჟღავნებინათ ეს საჩოთირო ისტორია.

შემდეგ. რატომ და რისთვის სცემეს ვოზდუხოვს? საბრალმდებლო ოქმი კვლავ ი ს ე გვიხატავს ამას, როგორც კი შესაძლებელი იყო გამოხატვა... ბრალდებულთა სასარგებლოდ. «ცემის საბაბი» ვითომ ის იყო, რომ შელემეტიევმა ხელი გაიჭრა, როცა ის ვოზდუხოვს საჯარისკაცოში აგდებდა. კითხვა იბადება, რატომ აგდებდნენ შელემეტიევთან და პანოვთან მშვიდად მოლაპარაკე ვოზდუხოვს (დავუშვათ, რომ ის აუცილებლად უნდა ჩ ა ე გ დ ო თ!) არა სატუსაღოში, არამედ ჯერ საჯარისკაცოში? ის გაგზავნეს გამოსაფხიზლებლად, — სატუსაღოში უკვე არის რამდენიმე მთვრალი, — იქვე მოხვდება შემდეგ ვოზდუხოვიც, მაშ რისთვის აგდებს მას შელემეტიევი ს ა ჯ ა რ ი ს კ ა ც ო შ ი მას შემდეგ, რაც ის პანოვს «წარუდგინა»? ცხადია, სწორედ იმისთვის, რომ იქ ეცემა. სატუსაღოში ხალხია, საჯარისკაცოში კი ვოზდუხოვი მარტო იქნება, ხოლო შელემეტიევს სხვა ამხანაგებიც დაეხმარებიან,

დაეხმარება ბ-ნი პანოვიც, რომელსაც ამჟამად პირველი ნაწილი «აქვს ჩაბარებული». მაშასადამე, ცემა შემთხვევითი საბაბით როდი ყოფილა გამოწვეული, არამედ წინასწარი განზრახვით ჩაუდენიათ. შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ორში ერთი: ან ყველა, ვისაც ნაწილში გზავნიან გამოსაფხიზლებლად (თუნდაც მათ სრულიად წესიერად და მშვიდად ეჭიროთ თავი), ჯერ საჯარისკაცოში შეჰყავთ «ჭკუის სასწავლად», ან ვოზდუხოვი შეიყვანეს იქ საცემად სწორედ იმიტომ, რომ ის იყო გუბერნატორთან პოლიციაზე საჩიველად. გაზეთში მოთავსებული ცნობები ამ საქმის შესახებ ისე მოკლეა, რომ მათი მიხედვით კატეგორიულად მიღება უკანასკნელი მოსაზრებისა (რომელიც სრულებითაც არ არის წარმოუდგენელი) ძნელია, მაგრამ წინასწარსა და სასამართლო გამოძიებას, რა თქმა უნდა, სავსებით შეეძლო ამ საკითხის გამორკვევა. სასამართლომ, რა თქმა უნდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ საკითხს. ვამბობ: «რა თქმა უნდა», ვინაიდან მსაჯულთა გულგრილობა ასახავს აქ არა მარტო ბიუროკრატიულ ფორმალიზმს, არამედ პირდაპირ რუსი ადამიანის «ობივატელურ» შეხედულებასაც. «ნახეს, რაღა, გასაკვირველი ამბავი! მოჰკლეს ნაწილში მთვრალი კაცი! განა ასეთები ხდება ჩვენში!» და «ობივატელიც» მიგითითებთ გაცილებით უფრო აღმაშფოთებელ ათობით შემთხვევებზე, რაც დამნაშავეთათვის დაუსჯელად რჩება. «ობივატელის» მითითებანი სრულიად სწორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის სავსებით ცდება და თავისი მსჯელობით მხოლოდ უკიდურეს ობივატელურ სიბეცეს ამჟღავნებს. იქნებ იმიტომ არის ჩვენში შესაძლებელი პოლიციური ძალმომრეობის გაცილებით უფრო აღმაშფოთებელი შემთხვევები, რომ ეს ძალმომრეობა ყოველი საპოლიციო ნაწილის ყოველდღიურ და ჩვეულებრივ პრაქტიკას შეადგენს? იქნებ იმიტომ არის უძლური ჩვენი აღშფოთება განსაკუთრებული შემთხვევების წინააღმდეგ, რომ ჩვენ ჩვეულებრივი გულგრილობით ვუცქერით «ნორმალურ» შემთხვევებს და რომ ჩვენი გულგრილობა შეუშფოთებელია მაშინაც კი, როცა ისეთი ჩვეული და ყო-

ველდღიური მოვლენა, როგორიცაა მთვრალი (ვითომ-ცდა მთვრალი) «გლეხიკაცის» ცემა-ტყეპა საპოლიციო ნაწილში, პროტესტს იწვევს თვით ამ (თითქოს, შეჩვეული) გლეხიკაცის მხრივაც, რომელსაც სიცოცხლის შეწირვაც კი უხდება იმის გამო, რომ თავხედად სცადა უმდაბლესი საჩივრით მიმართვა გუბერნატორისადმი?

არის მეორე საფუძველიც, რომელიც ნებას არ გვაძლევს გვერდი ავუხვიოთ ამ, ყოვლად ჩვეულებრივ, შემთხვევას. დიდი ხანია ნათქვამია, რომ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სასჯელისა გაპირობებულია სრულიადაც არა მისი სისასტიკით, არამედ მისი აუცილებლობით. მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დანაშაული სასტიკად დაისჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი. ამ მხრივაც არ არის ინტერესს მოკლებული ეს საქმე. კანონის საწინააღმდეგო და ველური ცემა-ტყეპა პოლიციაში რუსეთის მთელ იმპერიაში სწარმოებს — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — ყოველდღე და მუდამ ყამს *.

* ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა გაზეთებმა კიდევ მოიტანეს ასეთი მტკიცების ერთი დამადასტურებელი ცნობა. რუსეთის მეორე კუთხეში, ოდესაში, რომელიც დედაქალაქისმაგვარ ქალაქადაა მიჩნეული, — მომრიგებელმა მოსამართლემ გაამართლა ვინმე მ. კლინკოვი, რომელსაც, უბნის ზედამხედველ სადუკოვის ოქმის მიხედვით ბრალდებოდა აურზაურის ატეხა ნაწილში ტუსაღობის დროს. სასამართლოში ბრალდებულმა და აგრეთვე ოთხმა მისმა მოწმემ შემდეგი ჩვენება მისცეს: სადუკოვმა დააკავა მთვრალი მ. კლინკოვი და მიიყვანა ნაწილში. როცა გამოფხიზლდა, კლინკოვმა მოითხოვა განთავისუფლება. ამის პასუხად ერთმა პოლიციელმა წაავლო მას ხელი საყელოში და დაუწყო ცემა, მას კიდევ სამი პოლიციელი შეუერთდა, და ყველა ოთხივემ დაუწყო მას უმოწყალოდ ცემა სახეში, თავში, მკერდში, ფერდებში. კლინკოვმა სეტყვასავით განუწყვეტელ ცემას ვეღარ გაუძლო და გასისხლიანებული დაეცა იატაკზე; ახლა მას, წაქცეულს, კიდევ მეტის გააფთრებით დაუწყეს ცემა. თანახმად კლინკოვისა და მისი მოწმეების ჩვენებისა, მის წამებას ხელმძღვანელობდა სადუკოვი, რომელიც აქეზებდა პოლიციელებს. გალახულმა კლინკოვმა ცნობიერება დაჰკარგა, და როცა გონს მოვიდა, ის გაათავისუფლეს ნაწილიდან. კლინკოვი დაუყოვნებლივ გაეშურა ექიმთან და შეამოწმებინა თავი. მომრიგებელმა მოსამართლემ ურჩია კლინკოვს საჩივარი შეეტანა სადუკოვზე და სხვა

ხოლო სასამართლომდე ასეთი ამბავი აღწევს სრულიად განსაკუთრებულ და მეტად იშვიათ შემთხვევებში. ეს საკვირველიც არ არის, ვინაიდან დამნაშავე არის სწორედ ის პოლიცია, რომელსაც რუსეთში მინდობილი აქვს დანაშაულობათა აღმოჩენა. მაგრამ ეს გარემოება გვავალებს მით უფრო მეტი, თუნდაც უჩვეულო, ყურადღებით შევჩერდეთ ისეთ შემთხვევებზე, როცა სასამართლოს უხდება ასწიოს ფარდა, რომელიც ჩვეულებრივ საქმეს ფარავს.

მიაქციეთ ყურადღება, მაგალითად, იმას, როგორ სცემენ პოლიციელები. ისინი ხუთი ან ექვსია, სცემენ მხეცური სისასტიკით, უმეტესობა მთვრალია, ყველას ხმალი აქვს. მაგრამ არც ერთი მათგანი არც ერთხელ თავის მსხვერპლს ხმალს არ დაარტყამს. მათ გამოცდილება აქვთ და კარგადაც იციან, როგორ სცემონ. ხმლის დარტყმა — მამხილებელი ნიშანია, ხოლო როცა მუშტით გცემენ — სცადე და დაამტკიცე, რომ პოლიციაში გცემეს. «ჩხუბის დროს ეცემათ, ნაცემი წამოვიყვანეთო». — იტყვიან, და ყველაფერი მიფუჩეჩებულია. ამ შემთხვევაშიც კი, როცა უცაბედად სიკვდილი მოჰყვა ცემას («რა ეშმაკმა მოჰკლა; ძალიან მაგარი კაცი იყო, ვინ მოელოდა ამას?»), ბრალმდებელი იძულებული გახდა მოწმეების ჩვენებით ემტკიცებინა, რომ «ვოზდუხოვი ნაწილში გაგზავნამდე სრულიად ჯანმრთელი იყო». ცხადია, მკვლელები, რომლებიც მუდამ ამტკიცებდნენ, ჩვენ სულაც არ გვიცემიაო, ამბობდნენ, ნაცემი მოიყვანესო. ასეთ საქმეში კი მოწმეების შოვნა საშინლად ძნელია. კიდევ კარგი, რომ საბედნიერო შემთხვევით სარკმელი სატუსაღოდან საჯარისკაცოში მთლად ამოქოლვილი არ ყოფილა: მართალია,

---

პოლიციელებზე პროკურორთან, რაზედაც კლინკოვმა უპასუხა, რომ საჩივარი უკვე შეტანილია და ჩემი წამების მოწმეებად ოცი კაცი გამოდისო.

საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინდაწინ სთქვა — კლინკოვი ვერ მოახერხებს მისი წამებისათვის პოლიციელების პასუხისგებაში მიცემას და მათ დასჯას. სასიკვდილოდ არ უცემიათ, — და თუ, წინააღმდეგ მოლოდინისა, პასუხს აგებენ, მაინც სულ ადვილად დაიძვრენენ თავს.

მინის ნაცვლად დაჩვრეტილი თუნუქის ნაჭერი იყო ჩადგმული, ნახვრეტები კი ტყავით დაეფარათ საჯარისკაცოდან, მაგრამ თუ თითს გაჰყოფდით შიგ, ტყავი გაიწეოდა და მაშინ სატუსაღოდან დაინახავდით, რა ხდებოდა საჯარისკაცოში. მხოლოდ ამიტომ მოხერხდა სასამართლოში «ჭკუის სწავლების» სურათის სავსებით აღდგენა. მაგრამ ასეთი უწესრიგობა, როგორიცაა ცუდად ამოქოლვილი სარკმელი, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გასულ საუკუნეში; XX საუკუნეში, უკვე უეჭველია, სარკმელი სატუსაღოდან საჯარისკაცოში ნიჟნი-ნოვგოროდის კრემლის პირველ საპოლიციო ნაწილში მჭიდროდ არის ამოქოლვილი... და რახან მოწმეები აღარ იქნება, ოღონდ ერთი მოხვდეს ვინმე საჯარისკაცოში!

არც ერთ ქვეყანაში არ არის კანონების ისეთი სიუხვე, როგორც რუსეთში. ჩვენში ყველაფერზე კანონია შემოღებული. არის ცალკე წესდებაც სატუსაღოში დაპატიმრებულის მოთავსებაზე; ამ წესდებაში ზუსტად ჩაწერილია, რომ დატუსაღება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ საგანგებო სადგომებში, რომლებიც საგანგებო ზედამხედველობას ექვემდებარება. კანონი, როგორც ხედავთ, სრულდება: პოლიციასთან არსებობს საგანგებო «სატუსაღო». მაგრამ სანამ სატუსაღოში შეიყვანდნენ კაცს, «დაწესებულია» მისი «საჯარისკაცოში» «შეგდება». და თუმცა «საჯარისკაცოს» როლი, როგორც ნამდვილი საწამებლისა, სრულიად ნათელია მთელი პროცესის მონაცემების მიხედვით, სასამართლოს ხელისუფლებას მაინც ფიქრადაც არ მოსვლია თავისი ყურადღება ამ მოვლენაზე შეეჩერებინა. მართლაცდა, პროკურორებისგან ხომ არ უნდა მოველოდეთ ჩვენებური პოლიციური თვითნებობის სისაძაგლეთა მხილებასა და ამ თვითნებობასთან ბრძოლას!

ჩვენ შევეხეთ მოწმეების საკითხს ასეთ საქმეებში. საუკეთესო შემთხვევაში მოწმეებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ პოლიციის ხელში ჩავარდნილი ადამიანები; გარეშე კაცს მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ პირობებში თუ მოუხერხდება ნახვა — როგორ წარმოებს «ჭკუის სწავლება» საპოლი-

ციო ნაწილში. იმ მოწმეებზე კი, რომლებიც ხელში ჰყავს პოლიციას, შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს პოლიციამ. ამ საქმეშიც ასე მოხდა. მოწმე ფროლოვმა, რომელიც მკვლელობის დროს სატუსაღოში იყო, წინასწარ გამოძიებისას პირველად აჩვენა, რომ ვოზდუხოვს პოლიციელებმაც სცემეს და უბნის ზედამხედველმაც; შემდეგში უბნის ზედამხედველს მოხსნა ბრალი; სასამართლოში კი განაცხადა, რომ ვოზდუხოვისთვის პოლიციაში არავის არ უცემია, პოლიციის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ჩამაგონეს სემახინმა და ბარინოვმაო (სხვა ტუსაღები, რომლებიც მთავარი მოწმეები იყვნენ ბრალდების მხრივ), პოლიციას ჩემთვის არაფერი ჩაუგონებია და არც დაურიგებივარო. მოწმეებმა ფადეევმა და ანტონოვამ აჩვენეს — საჯარისკაცოში ვოზდუხოვისთვის არავის თითიც კი არ მიუკარებიაო: იქ ყველანი მშვიდად და წყნარად ისხდნენ და არც არავითარი ჩხუბი ყოფილაო.

როგორც ხედავთ, ისევ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. და სასამართლოს ხელისუფლებაც კვლავ ჩვეული გულგრილობით მოეკიდა საქმეს. არსებობს კანონი, რომელიც საკმაოდ მკაცრად სჯის ყალბი ჩვენებისათვის სასამართლოს წინაშე; ამ ორი ცრუმოწმის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრა კიდევ უფრო მეტს სინათლეს მოჰფენდა პოლიციის უწესოებას, რომლის წინაშე თითქმის სრულიად უმწეონი არიან ისინი, ვისაც პოლიციის კლანჭებში ჩავარდნის უბედურება შეემთხვევა (ხოლო ეს უბედურება რეგულარულად და მუდმივ თავს ატყდება ასიათასობით «უბრალო» ხალხს), — მაგრამ სასამართლო მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ესა თუ ის მუხლი შეუფარდოს და სრულიადაც არა ამ უმწეო მდგომარეობაზე. და პროცესის ეს დეტალი, როგორც ყველა დანარჩენიც, ნათლად გვიჩვენებს, რა ყოვლისმომცველი და მაგარი ქსელია, რა ძველისძველი წყლულია ეს, რომლისგან განთავისუფლებისთვის საჭიროა თავის დაღწევა პოლიციის სრული თვითნებობის მთელი სისტემისაგან და ხალხის სრული უუფლებობისაგან.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ ერთ ცნობილ რუს მწერალს, ფ. მ. რეშეტნიკოვს, არასასიამოვნო ისტორია შეემთხვა-

ს.-პეტერბურგში ერთხელ სათავადაზნაურო საკრებულოში წავიდა, შეცდომით ეგონა, იქ კონცერტი იმართებაო. პოლიციელებმა არ შეუშვეს და დაუყვირეს: «სად მიეთრევი? ვინა ხარო?» — «ხელოსანი!» — უკმეხად უპასუხა გაბრაზებულმა ფ. მ. რეშეტნიკოვმა. ასეთი პასუხის შედეგი ის იყო, — მოგვითხრობს გლ. უსპენსკი, — რომ რეშეტნიკოვმა ღამე საპოლიციო ნაწილში გაატარა, საიდანაც გამოვიდა ნაცემი, უფულოდ და უბეჭდოდ. «ამის შესახებ მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, — სწერდა რეშეტნიკოვი თავის თხოვნაში ს.-პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერისადმი. — მე არაფერს არ ვეძიებ. ვბედავ ერთ რამეზე შეგაწუხოთ მხოლოდ: ბოქაულები, უბნის ზედამხედველები, მათი მორიგე თანაშემწეები და დაბალი პოლიციელები ნუ სცემენ ხალხს... ამ ხალხს ისედაც ბევრი დავიდარაბა ატყდება თავსაო».[127]

ეს მცირედი სურვილი, რომლითაც უკვე ასე დიდი ხნის წინათ გაბედა რუსმა მწერალმა სატახტო ქალაქის პოლიციის უფროსის შეწუხება, დღემდეც აუსრულებელი დარჩა, და აუსრულებელი რჩება ჩვენი პოლიტიკური წესწყობილების პირობებში. მაგრამ ამჟამად სიმხეცისა და ძალმომრეობის ცქერით გაწამებული ყოველი პატიოსანი ადამიანის გულისყური მიპყრობილია ხალხში დაწყებული ახალი ძლიერი მოძრაობისაკენ, რომელიც ძალებს აგროვებს, რათა რუსეთის მიწის პირისაგან აღგავოს ყოველგვარი მხეცობა და გაახორციელოს კაცობრიობის საუკეთესო იდეალები. უკანასკნელ ათეულ წლებში პოლიციისადმი სიძულვილი ბევრად გაიზარდა და განმტკიცდა მდაბიო ხალხის მასებში. ქალაქური ცხოვრების განვითარებამ, მრეწველობის ზრდამ, წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებამ, ყოველივე ამან ბნელ მასებშიც ჩასთესა უკეთესი ცხოვრებისადმი მისწრაფება და ადამიანური ღირსების შეგნება, პოლიცია კი ისეთივე თავნება და მხეცური დარჩა, როგორიც იყო. მის სიმხეცეს დაერთო მხოლოდ უფრო მეტი მოქნილობა პოლიციური ზომების გატარებაში და ახალი, ყველაზე საშიშარი მტრის დევნა: დევნა ყოველივე იმისა, რასაც კი შეაქვს ხალხის მასებში თავისი უფლებების შეგნების

სხვა და საკუთარი ძალისადმი რწმენა. ასეთი შეგნებით და ასეთი რწმენით განაყოფიერებული ხალხის მძულვარება გამოსავალს იპოვის არა ველურ შურისძიებაში, არამედ თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

II. რა საჭიროა დროთა უკულმართობის დაჩქარება?

საინტერესო პროექტი მიიღო ორიოლის საგუბერნიო სათავადაზნაურო კრებამ, და კიდევ უფრო საინტერესო იყო კამათი ამ პროექტის გამო.

საქმის არსი აი რაშია. გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, მ. ა. სტახოვიჩმა, წარადგინა მოხსენება, რომელშიც წინადადებას იძლეოდა — ხელშეკრულება დაედოთ საფინანსო უწყებასთან ფულის ამკრებთა თანამდებობაზე ორიოლელ თავადაზნაურთა დანიშვნის შესახებ. არყის მონოპოლიის შემოღების გამო გუბერნიაში არსდება არყის სახაზინო დუქნებიდან ფულის ამკრებთა 40 თანამდებობა. ფულის ამკრებთა საზღაურია — 2 180 მან. წელიწადში (900 მან. ჯამაგირი, 600 მან. სამიმოსვლო და 680 მან. მცველისთვის). რა კარგი იქნებოდა თავადაზნაურებისთვის ამ ადგილების დაკავება, ამისთვის კი საჭიროა შეადგინონ არტელი და ხელშეკრულება დასდონ ხაზინასთან. სავალდებულო საწინდრის ნაცვლად (3 — 5 ათასი მან.) პირველ ხანებში თვითეულ ამკრებს დაეკავოს ჯამაგირიდან წელიწადში 300 მან. და ამ ფულებიდან შედგენილ იქნას თავადაზნაურთა კაპიტალი სასმელთა უწყების უზრუნველსაყოფად.

პროექტი, როგორც ხედავთ, უეჭველი პრაქტიკულობით განირჩევა და ამტკიცებს, რომ ჩვენს უმაღლეს წოდებას უდიდესი ალღო აქვს იმის გამოსაძებნად, თუ სად შეიძლება წაგლიჯოს სახაზინო ქადა. მაგრამ სწორედ ეს პრაქტიკულობა წარმოუდგა ბევრ კეთილშობილ მემამულეს ისეთ რამედ, რაც შეტისმეტი, შეუფერებელი და არასაკადრისია აზნაურისთვის.

გაჩაღდა კამათი, რამაც განსაკუთრებული სიცხადით გამოამჟღავნა სამი თვალსაზრისი ამ საკითხზე.

პირველი — პრაქტიციზმის თვალსაზრისი. საჭიროა თავის რჩენა, წოდებას უჭირს... რაც უნდა იყოს, მაინც საშოვარია... უარი ხომ არ უნდა ეთქვას ღარიბ აზნაურებს დახმარებაზე? ამასთანავე ფულის ამკრებნი ხომ ხელს შეუწყობენ ხალხის სიფხიზლეს! მეორე თვალსაზრისი რომანტიკოსების თვალსაზრისია. სასმელთა უწყებაში მოსამსახურე განა ისე ბევრად მაღლა დგას მიკიტნებზე და განა არ ექვემდებარება საწყობთა უბრალო გამგეებს, «რომლებიც ხშირად დაბალი წოდებიდან არიან»!? — და წარმოითქვა მრავალი მხურვალე სიტყვა თავადაზნაურობის დიად მოწოდებაზე. ჩვენი განზრახვაა სწორედ ამ სიტყვებზე შევჩერდეთ, მაგრამ ჯერ აღვნიშნოთ მესამე თვალსაზრისიც — სახელმწიფო გვამთა თვალსაზრისი. ერთი მხრივ, არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, რომ ეს თითქოს სათაკილოც არის, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ეს ხელსაყრელიაო. შეიძლება კაპიტალიც შევიძინოთ და უმანკოებაც დავიცვათ: საააქციზო მოსაკრებთა მმართველს შეუძლია უსაწინდროდაც დანიშნოს, და იმავე 40 აზნაურს შეუძლია ადგილი მიიღოს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის შუამდგომლობითაც — ყოველგვარი არტელისა და ხელშეკრულების გარეშე, თორემ, მართლაც, შეიძლება «შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩეროს დადგენილება საერთო სახელმწიფოებრივი წყობილების სისწორის დასაცავად». ეს ბრძნული აზრი, ალბათ, გაიმარჯვებდა, თავადაზნაურობის წინამძღოლს რომ ორი არსებითად მნიშვნელოვანი განცხადება არ შემოეტანა: პირველი, რომ ხელშეკრულება უკვე წარედგინა ფინანსთა მინისტრის საბჭოს, რომელმაც შესაძლებლად სცნო ეს საქმე და პრინციპულად დათანხმდა კიდევაც ამაზე. ხოლო, მეორე, რომ ამ «ადგილების მიღება მარტოოდენ გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის შუამდგომლობით არ შეიძლებაო». და მოხსენებაც მიღებულ იქნა.

საბრალო რომანტიკოსები! ისინი დამარცხდნენ. და მერე რა ლამაზად ლაპარაკობდნენ!

«აქამდე თავადაზნაურობა მხოლოდ ხელმძღვანელებს იძლეოდა. მოხსენება კი გვთავაზობს შევადგინოთ რაღაც არტელი. განა ეს შეჰფერის თავადაზნაურობის წარსულს, აწმყოს და მომავალს? ამკრებთა შესახებ არსებული კანონის მიხედვით, უკეთუ გამომჟღავნდა გაფლანგვა დახლიდრის მხრივ, დახლში აზნაური უნდა ჩადგეს. უმჯობესია მოკვდე, ვიდრე ასეთი თანამდებობა მიიღო!»

დასწყევლოს ღმერთმა, რამდენი კეთილშობილობაა ადამიანში! უმჯობესია მოკვდე, ვიდრე არყით ივაჭრო! აი, მესმის პურით ვაჭრობა — ეს კეთილშობილი საქმეა, განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, როცა შეიძლება დამშეულთა ანგარიშზე სიმდიდრე შეიძინო. ხოლო კიდევ უფრო კეთილშობილი საქმეა — მევახშეობა პურით: ასესხებ დამშეულ გლეხებს პურს ზამთარში საზაფხულო სამუშაოს ანგარიშში და ამ სამუშაოს უანგარიშებ_თავისუფალ ფასებზე სამჯერ უფრო იაფად. სწორედ იმ ცენტრალურ შავნიადაგიან რაიონში, რომელსაც ორიოლის გუბერნია ეკუთვნის, ჩვენი მემამულეები მუდამ განსაკუთრებული ბეჯითობით ეწეოდნენ და ეწევიან ამ უკეთილშობილესი სახის მევახშეობას. ხოლო, რათა უკეთ განაცალკეო კეთილშობილური მევახშეობა არაკეთილშობილურისაგან, საჭიროა, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირო აზნაურისთვის მიკიტნის თანამდებობის არასაკადრისობაზე.

«სასტიკად უნდა დავიცვათ ჩვენი მოწოდება, გამოთქმული ცნობილ უზენაეს მანიფესტში, — უანგაროდ ვემსახუროთ ხალხს. ანგარებით სამსახური ეწინააღმდეგება ამას»... «წოდებას, რომელსაც წარსულში ისეთი ღვაწლი მიუძღვის, როგორიცაა მის წინაპართა სამხედრო სამსახური და რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა იმპერატორ ალექსანდრე II დიადი რეფორმების მთელი სიმძიმე, — ასეთ წოდებას აქვს ნიადაგი, რომ მომავალშიც შეასრულოს თავისი მოვალეობანი სახელმწიფოს წინაშე».

დიახ, უანგარო სამსახური! მამულების დარიგება, დასახლებული ადგილ-მამულის ბოძება, ე. ი. ათასობით დესეტინა მიწისა და ათასობით ყმა-გლეხების ჩუქება, მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის შექმნა, მიწათმფლობელთა, რომელთაც ასობით, ათასობით და ათიათასობით დესეტინა მიწა აქვთ და მილიონობით გლეხებს თავისი ექსპლოატაციით სრულ სიღატაკეში აგდებენ, — აი ამ უანგარობის გამოვლინებანი. მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერია ალექსანდრე II «დიად» რეფორმებზე მითითება. მაგალითად, გლეხთა განთავისუფლება — რანაირი უანგარობით გაფცქვნეს ისინი ჩვენმა კეთილშობილმა თავადაზნაურებმა: აიძულეს გამოეყიდათ მათივე საკუთარი მიწა, აიძულეს ნამდვილ ფასზე სამჯერ მეტი მიეცათ მასში, დაიტაცეს გლეხთა მიწა ყოველგვარი ჩამონაჭრების სახით, თავიანთი ქვიშნარი, ხევები და ვერანი ადგილები გადაუცვალეს გლეხებს კარგ მიწებზე და ახლა კი კადნიერებაც ყოფნით იტრაბახონ ასეთი ღვაწლით!

«სასმელების საქმის სფერო არაფერს პატრიოტულს არ წარმოადგენს»... «ჩვენი ტრადიციები დაფუძნებულია არა მანეთებზე, არამედ სახელმწიფო სამსახურზე. თავადაზნაურობა ბირჟად არ უნდა გადაიქცეს».

კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო! ბირჟად თავადაზნაურობა «არ უნდა» გადაიქცეს, იმიტომ რომ ბირჟაზე საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალი, ხოლო ამ ვაუბატონებმა, გუშინდელმა მონათმფლობელებმა, ყველაფერი შეცანცლეს, რაც ებადათ. ბირჟად გადაქცევა კი არა, არამედ ბირჟისადმი მორჩილება, მანეთისადმი მორჩილება გახდა კარგა ხანია მათი ფართო მასისათვის აშკარა ფაქტი. და მანეთის დევნაში «უმაღლესი წოდება» უკვე დიდი ხანია ეწევა ისეთ მაღალპატრიოტულ საქმიანობას, როგორიცაა რახის ხდა, შაქრისა და სხვ. ქარხნების გამართვა, ყოველგვარ საეჭვო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებში მონაწილეობა, სასახლის მაღალი სფეროების წარმომადგენლების, დიდი მთავრების, მინისტრებისა და სხვათა და სხვათა კარებთან ატუზვა, რათა კონცესიები და მთავრობის გარანტიები მიიღონ ასეთი წამოწყებებისთვის, გამოითხოვონ

მოწყალება სათავადაზნაურო ბანკისთვის სხვადასხვა შეღავათის სახით, პრემიები შაქრის გატანისთვის, მცირე ნაკვეთები (ათასი დესეტინობით!) სადღაც ბაშკირეთის მიწაწყალზე, ხელსაყრელი და თბილი «შემოსავლიანი ადგილები» და სხვ.

«თავადაზნაურულ ეთიკას აჩნია ისტორიის, სოციალური მდგომარეობის კვალი»... — და აგრეთვე კვალი საჯინიბოსი, რომელმაც თავადაზნაურები შეაჩვია ძალმომრეობას გლეხის მიმართ და მის შეურაცხყოფას. თუმცა, ბატონობის საუკუნეობრივმა ჩვევამ თავადაზნაურობაში რაღაც უფრო მოხერხებული რამეც გამოიმუშავა: უნარი თავისი ექსპლოატატორული ინტერესების შემოსვისა ლამაზი ფრაზებით, რომლებიც ნავარაუდევია უვიცი «მდაბიო ხალხის» გასაბრიყვებლად. მოისმინეთ შემდეგ:

«რა საჭიროა დროთა უკეღმართობის დაჩქარება? დაე ეს ცრურწმენად ჩაითვალოს, მაგრამ ძველი ტრადიციები ნებას არ გვაძლევენ ამ უკეღმართობას ხელი შევუწყოთ»...

ბ-ნ ნარიშკინის (საბჭოს ერთ-ერთი გვამისა, რომელიც სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს იცავდა) ამ სიტყვებში სწორი კლასობრივი ალღო გამოსჭვივის. რა თქმა უნდა, ცრურწმენაა ამკრების (ან თუნდ მიკიტნის) თანამდებობისა გეშინოდეს ახლანდელ დროში, მაგრამ განა გლეხობის ბნელი მასების ცრურწმენათა წყალობით არაა, რომ არსებობს წარმოუდგენლად უსირცხვილო ექსპლოატაცია გლეხებისა მემამულეების მხრივ ჩვენს სოფელში? ცრურწმენანი უამისოდაც ისპობა; მაშ რაღა საჭიროა მათი მოსპობის დაჩქარება აზნაურის აშკარა დაახლოებით მიკიტანთან, და იმით, რომ ამ შეტოლებით გლეხს გაუადვილო იმ უბრალო ჭეშმარიტების შეთვისების პროცესი (ისედაც უკვე დაწყებული პროცესი), რომ კეთილშობილი მემამულე ისეთივე მევახშე, მძარცველი და მტაცებელია, როგორც სოფლის ყოველი წურბელა, მხოლოდ განუზომლად უფრო ძლიერი, ძლიერი თავისი მიწათმფლობელობით, თავისი, საუკუნეობით განმტკიცებული პრივილეგიებით, თავისი სიახლოვით მეფის ხელისუფლებასთან. ბატონობისადმი თავისი შეჩვევით და უნარით — დაფაროს თავისი

იუდისებური სული რომანტიზმისა და დიდსულოვნების მთელი დოქტრინით?

დიახ, ბ-ნი ნარიშკინი, უსათუოდ, საბჭოს გვამია, და მისი ბაგეებით სახელმწიფოებრივი სიბრძნე ღაღადებს. მე არ მაკვირვებს, რომ ორიოლის თავადაზნაურობის «მარშალმა» მას უპასუხა, — ისეთი მოხდენილი და კაზმული სიტყვებით, რომელიც პატივს დასდებდა თვით ინგლისელ ლორდსაც, — შემდეგი:

«ისეთი ავტორიტეტების წინააღმდეგ გალაშქრება, რომლებსაც ჩვენ აქ მოვუსმინეთ, დიდი კადნიერება იქნებოდა ჩემის მხრივ, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ როცა მათი აზრის წინააღმდეგ ვილაშქრებ, მათი რწმენის წინააღმდეგ როდი ვილაშქრებ».

აი ეს სწორია, და თანაც სწორია გაცილებით უფრო ფართო აზრით, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდა ბ-ნ სტახოვიჩს, რომელსაც, ჭეშმარიტად, სიმართლე წამოცდა. რწმენა ბ-ნ აზნაურებს ერთნაირი აქვთ ყველას — დაწყებული პრაქტიკოსებით და გათავებული რომანტიკოსებით. ყველას მტკიცედ სწამს თავისი «წმიდა უფლება» — მიისაკუთრონ ასობით ან ათასობით დესეტინა მიწა, მათ წინაპრებს რომ დაუტაცნიათ, ან მათთვის მძარცველებს რომ უბოძებიათ, უფლება — ექსპლოატაცია გაუწიონ გლეხებს და გაბატონებული როლი ითამაშონ სახელმწიფოში, უფლება — ირგონ სახაზინო ქადის, ე. ი. ხალხის ფულების, ყველაზე უფრო მსუქანი ნაჭრები (ხოლო თუ საჭირო იქნება, არა მსუქანიც). ერთმანეთს არ ეთანხმებიან ისინი მხოლოდ აზრში ცალკეულ ღონისძიებათა მიზანშეწონილობის შესახებ, და მათი დავაც ამ მოსაზრებათა განხილვის დროს ისევე საგულისხმოა პროლეტარიატისთვის, როგორც ყოველგვარი შინაური დავა ექსპლოატატორთა ბანაკში. ასეთი დავა თვალსაჩინოდ ხდის განსხვავებას კაპიტალისტთა ან მიწათმფლობელთა მთელი კლასის საერთო ინტერესებსა და ცალკეულ პირთა ან ცალკეულ ჯგუფთა ინტერესებს შორის; ასეთ დავაში ხშირად წამოსცდებათ ხოლმე ისეთი რამ, რასაც, საზოგადოდ, დიდი სიფრთხილით მალავენ.

მაგრამ, გარდა ამისა, ორიოლის ეპიზოდი ერთგვარ შუქსა ჰფენს კიდევ სასმელთა ყბადაღებული მონოპოლიის ხასიათსაც. რა სიკეთეს არ მოელოდა მისგან ჩვენი ოფიციალური და ოფიციოზური პრესა: სახაზინო შემოსავლის გადიდებასაც, პროდუქტის გაუმჯობესებასაც და ლოთობის შემცირებასაც! სინამდვილეში კი შემოსავლის გადიდების ნაცვლად ჯერჯერობით მივიღეთ მხოლოდ არყის გაძვირება, ბიუჯეტის არევ-დარევა, მთელი ოპერაციის ფინანსური შედეგის ზუსტად გამორკვევის შეუძლებლობა; პროდუქტის გაუმჯობესების ნაცვლად მივიღეთ გაუარესება, და საეჭვოა მთავრობამ მოახერხოს საზოგადოების მაინცდამაინც გულის მოგება იმ ცნობის გამოქვეყნებით ახალი «სახაზინო არყის» «დეგუსტაციის» კარგი შედეგების შესახებ, რომელიც ამას წინათ ყველა გაზეთში გამოქვეყნდა. ლოთობის შემცირების ნაცვლად — არყით საიდუმლოდ ვაჭრობის ადგილების რიცხვის გამრავლება, ამ ადგილებიდან პოლიციის შემოსავლის გადიდება, არყის დუქნების გახსნა მოსახლეობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, წინააღმდეგ მათი შუამდგომლობისა, რომ ასეთი დუქნები არ გაეხსნათ *, ლოთობის გაძლიერება ქუჩებში **. ხოლო რაც

* ამას წინათ, მაგალითად, გაზეთები გვაცნობებდნენ, რომ არხანგელსკის გუბერნიაში ზოგიერთ სოფელს ჯერ კიდევ 1899 წელს გამოუტანია საჯარო დადგენილებანი, რომ მათ სოფელში არ გაეხსნათ არყის დუქნები. მთავრობამ, რომელიც სწორედ ახლა ამყარებს იქ სასმელთა მონოპოლიას, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, უარი უთხრა: ცხადია, იმიტომ, რომ ძალიან ზრუნავს ხალხის სიფხიზლეზე!

** ჩვენ უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა უამრავი ფული დაჰკარგეს სახაზინო მონოპოლიის შემოღებით გლეხთა საზოგადოებებმა. წინათ ისინი ახდევინებდნენ ფულს არყის დუქნების პატრონებს. ხაზინამ წაართვა მათ ეს შემოსავლის წყარო ისე, რომ ერთი კაპიკითაც არ აუნაზღაურებია მათთვის ეს ზარალი! თავის საინტერესო წიგნში «Das hungernde Russland» (Reiseeindrücke, Beobachtungen und Untersuchungen. Von C. Lehmann und Parvus. Stuttgart. Dietz Verlag. 1900) [კ. ლემანი და პარვუსი. «დამშეული რუსეთი» (მგზავრის შთაბეჭდილებანი, დაკვირვებანი და გამოკვლევანი. შტუტგარტი. დიტცის გამოცემა. 1900). რ ე დ.] პარვუსი სამართლიანად უწოდებს ამას ს ო ფ ლ ი ს ს ა ლ ა რ ო ე ბ ი ს გ ა-

უმთავრესია — რა ახალი ვეებერთელა ასპარეზი გაეხსნა მოხელის ახირებულობას და თავნებობას, მლიქვნელობას და მტაცებლობას მრავალმილიონიანი სახაზინო მეურნეობის ამ ახალი დარგის შექმნით, ახალი მოხელეების მთელი არმიის შექმნით! როგორ კალიასავით შემოგვესია ეს უამრავი მოხელეები — მლიქვნელები, ინტრიგანები, მძარცველები, მთელ ზღვა მელანსა და მთა ქაღალდს რომ ანადგურებენ. ორიოლის პროექტი — ეს არის მხოლოდ ცდა კანონიერი ფორმით შემოსონ ის მისწრაფება სახაზინო ქადიდან ცოტად თუ ბევრად მსუქანი ნაჭრების წაგლეჯისა, რაც მთელს ჩვენს პროვინციას მოედო და გარდუვალად უქადის ჩვენს ქვეყანას—თუ მოხელეთა ბატონობამ და საზოგადოებრივმა სიჩუმემ ასე გასტანა — თვითნებობისა და მტაცებლობის შემდგომ გაძლიერებას. აი პატარა მაგალითი: ჯერ კიდევ შემოდგომაზე გაზეთებში მოხვდა შენიშვნა «სამშენებლო ანეკდოტზე არყის მონოპოლიის დარგში». მოსკოვში აშენებენ არყის სამ საწყობს, რომლებიც მთელ გუბერნიას უნდა მოემსახუროს. ამ საწყობების ასაშენებლად სამინისტროს მიერ გადადებულია 1 637 000 მან. და აი, თურმე, «გამოირკვა საჭიროება დამატებითი კრედიტისა ორნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით» *. ცხადია, აქ თანამდებობის პირებმა, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ სახაზინო ქონება, ცოტათი მეტი ასწაპნეს, ვიდრე 50 შარვალი და რამდენიმე ცალი საჩექმე მასალა!

ძარცვას. ის აღნიშნავს, რომ სამარის საგუბერნიო ერობის ანგარიშით გუბერნიის ყველა საგლეხო საზოგადოების ზარალი არყის მონოპოლიის შემოღების გამო სამი წლის განმავლობაში (1895 — 1897) უდრის 3 150 000 მანეთს!

* ხაზგასმა ავტორისაა. იხ. «ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი», 1900, № 239, 1 სექტემბრის თარიღით.

III. ობიექტური სტატისტიკა

ჩვენს მთავრობას ჩვეულებად გადაექცა ტენდენციურობის დაბრალება თავის მოწინააღმდეგეთათვის — და არა მარტო რევოლუციონერებისთვის, არამედ ლიბერალებისთვისაც. გინახავთ თუ არა, მაგალითად, ლიბერალური (ლეგალური, რა თქმა უნდა) ორგანოების შეფასება ოფიციალურ პრესაში? ფინანსთა სამინისტროს ორგანოში «ვესტნიკ ფინანსოვ» ზოგჯერ ათავსებდნენ პრესის მიმოხილვას, და ყოველთვის, როცა ამ მიმოხილვათა შემდგენელი მოხელე შეეხებოდა ბიუჯეტის ან შიმშილობის, ან მთავრობის რაიმე ღონისძიების შეფასებას რომელიმე ჩვენს ლიბერალურ (სქელტანიან) ჟურნალში, ის ყოველთვის აღშფოთებით აღნიშნავდა მის «ტენდენციურობას», უპირისპირებდა რა მას «ობიექტურ» მითითებას არა მარტო «ბნელ მხარეებზე», არამედ აგრეთვე «სანუგეშო მოვლენებზედაც». ეს, რა თქმა უნდა, პატარა მაგალითია და მეტი არაფერი, მაგრამ ის ასურათებს მთავრობის ჩვეულებრივ დამოკიდებულებას, მის ჩვეულებრივ მისწრაფებას — თავი მოიწონოს თავისი «ობიექტურობით».

ვსინჯოთ ერთი და ვასიამოვნოთ ამ მკაცრსა და მიუდგომელ მსაჯულთ. ვცადოთ და მივმართოთ სტატისტიკას. ჩვენ ავიღოთ, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტების სტატისტიკა კი არა: ცნობილია, რომ ფაქტების რეგისტრაციას სწორედ არაობიექტური პირნი აკეთებენ და მათ განაზოგადებენ ზოგჯერ უდავოდ «ტენდენციური» დაწესებულებები—როგორიც არის, მაგ., ერობა. არა, ჩვენ ავიღოთ სტატისტიკა... კანონებისა. ვბედავთ ვიფიქროთ, რომ მთავრობის არც ერთი უაღრესად თავგამოდებული მომხრე არ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს შეიძლება იყოს რაიმე უფრო ობიექტური და მიუდგომელი, ვიდრე არის კანონების სტატისტიკა — იმის უბრალო აღრიცხვა, რასაც თვითონ მთავრობა ადგენს, სრულიად დამოუკიდებლად ყოველგვარი მოსაზრებისა — დაშორებულია თუ არა აქ ერთმანეთისაგან სიტყვა და საქმე, დადგენილება და შესრულება და სხვ.?

ბაშ შევუდგეთ საქმეს.

მმართებელ სენატთან სცემენ, როგორც ცნობილია, «მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულს», რომელიც პერიოდულად აქვეყნებს მთავრობის თვითეულ ღონისძიებას. აი ავიღოთ ეს მონაცემები და ვნახოთ, რას აკანონებს მთავრობა და რა განკარგულებებს იძლევა. სახელდობრ: რის შესახებ. მთავრობის ბრძანებათა კრიტიკის ნებას ჩვენ არ მივცემთ ჩვენს თავს,—ჩვენ მხოლოდ შევაჯამებთ «ასეთების» რიცხვს, რომლებიც ამა თუ იმ დარგს ეხებიან. მთავრობის დასახელებული გამოცემიდან იანვრის გაზეთებში გადაბეჭდილია შინაარსი გასული წლის № 2905-დან — 2929-მდე და მიმდინარე წლის № 1-დან — 66-მდე. სულ 91 კანონი და განკარგულება 1900 წლის 29 დეკემბრიდან 1901 წლის 12 იანვრამდე განვლილი პერიოდისა — სწორედ საუკუნეთა მიჯნაზე. თავისი ხასიათით ეს 91 კანონი განსაკუთრებით მოხერხებულია «სტატისტიკური» დამუშავებისთვის: მათ შორის არ არის არც ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო კანონი, არაფერი ისეთი, რაც ყველა დანარჩენს სულ უკანა რიგში აყენებდეს და განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამდეს საშინაო მართვა-გამგეობის ამ პერიოდს. ყველა ეს კანონი შედარებით წვრილმანია, ისეთები, რომლებიც აკმაყოფილებენ მიმდინარე მოთხოვნილებებს, მუდამ და რეგულარულად რომ წარმოიშობიან ხოლმე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ მთავრობას მისი ყოველდღიური სახით, ეს კი კიდევ უფრო უზრუნველჰყოფს «სტატისტიკის» ობიექტურობას.

91 კანონიდან 34, ე. ი. მესამედზე მეტი, ლაპარაკობს ერთ და იმავე საგანზე: სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების აქციების მიხედვით კაპიტალის განაღდების ან ამ აქციების ფასის გადახდის ვადების განგრძობის შესახებ. ჩვენ ვურჩევთ გაზეთების მკითხველებს — წაიკითხონ ეს კანონები ჩვენი მრეწველობის წარმოებათა სიის და სხვადასხვა ფირმის სახელწოდებათა აღსადგენად თავიანთ მეხსიერებაში. სავსებით ანალოგიური შინაარსისაა კანონთა მეორე ჯგუფიც: სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა წეს-

დებების შეცვლის შესახებ. ამ ჯგუფში შედის 15 კანონი, რომელთაც რეფორმა შეაქვთ ძმ. კ. და ს. პოპოვების ჩაის საკაჭრო ამხანაგობის, ა. ნაუმანისა და კომპ. მუყაო-თოლუსის წარმოების ამხანაგობის, ი ა. ოსიპოვისა და კომპ. ფირმით ტყავეულობის წარმოებისა და ტყავის და ტილოს სავაჭრო ამხანაგობის და სხვ. და სხვ. ამხანაგობათა სტატუტებში. დასასრულ, ამგვარსავე კანონებს უნდა დაემატოს კიდევ 11, რომელთაგან 6 შეეხება ვაჭრობისა და მრეწველობის ამა თუ იმ საჭიროებათა დაკმაყოფილებას (საზოგადოებრივი ბანკისა და საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება, ფასების დაწესება პროცენტიან ქაღალდებზე, რომლებსაც საწინდრად იღებენ სახაზინო იჯარების გაცემის დროს, კერძო პირთა კუთვნილებაში მყოფი ვაგონების მოძრაობის წესები რკინიგზებზე, ინსტრუქცია ბორისოგლებსკის პურის ბირჟის მაკლერთათვის), და ხუთიც — აწესებს ოთხ ქარხანაში და ერთ მაღაროში პოლიციელის 6 ახალ თანამდებობას და ცხენოსანი პოლიციის ურიადნიკის 2 თანამდებობას.

ამრიგად, 60 კანონი 91-დან, ე. ი. ორი მესამედი, შეეხება ჩვენი კაპიტალისტების სხვადასხვა პრაქტიკულ საჭიროებათა პირდაპირ დაკმაყოფილებას და (ნაწილობრივ) მათ დაცვას მუშათა ამბოხებისაგან. ციფრების ცივი ენა მოწმობს, რომ თავის ჩვეულებრივ კანონთა და განკარგულებათა უმეტესობის ხასიათით ჩვენი მთავრობა კაპიტალისტების ერთგული მსახურია, რომელიც კაპიტალისტების მთელი კლასის მიმართ სავსებით იმავე როლს ასრულებს, რომელსაც ასრულებს რომელიმე, ვთქვათ, რკინის მექარხნეთა ყრილობის მუდმივი კანტორა ან შაქრის მექარხნეთა სინდიკატის კანცელარია წარმოების ცალკე დარგთა კაპიტალისტების მიმართ. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ რომელიმე ამხანაგობის წესდებაში სულ უმნიშვნელო ცვლილების შეტანა ან მისი აქციების განაღდების ვადის გაგრძელება შეადგენს განსაკუთრებულ კანონთა საგანს, დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფო მანქანის მოუქნელობაზე და მეტი არაფერი; საკმარისია მცირეოდენი «გაუმჯობესება მექანიზმისა», და ყოველივე

ეს ადგილობრივ დაწესებულებათა გამგებლობის სფეროში გადავა. მაგრამ, მეორე მხრივ, მექანიზმის მოუქნელობა, გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, იმის აუცილებლობა, რომ თვითონ მთავრობამ ჩაჩხიროს თავისი ცხვირი ყველაფერში—ყოველივე ეს საერთო მოვლენებია, რომლებიც ვრცელდება მთელ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და სრულებითაც არა მარტო ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროზე. ამიტომაც ამა თუ იმ სახის კანონთა რიცხვის ურთიერთ შეფარდება შეიძლება სავსებით გამოდგეს იმის დაახლოებით მაჩვენებლად, თუ რაზე ფიქრობს და ზრუნავს ჩვენი მთავრობა, რა აინტერესებს მას.

აი, მაგალითად, კერძო საზოგადოებები, თუ ისინი არ მისდევენ გამდიდრების ზნეობრივად ეგზომ პატივდებულსა და პოლიტიკურად არა სახიფათო მიზნებს, ჩვენს მთავრობას გაცილებით უფრო ნაკლებად აინტერესებს (ინტერესის გამოვლინებად თუ არ ჩავთვლით მიდრეკილებას — შეაფერხონ, აკრძალონ, დახურონ და სხვ.). «საანგარიშო» პერიოდში — ამ სტრიქონების დამწერი სამსახურში იმყოფება და ამიტომ იმედოვნებს, რომ მკითხველი აპატიებს მას ბიუროკრატიული ტერმინების ხმარებას — დამტკიცებულია ორი საზოგადოების წესდება (კავკავის ვაჟთა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებისა და კავკავის სწავლა-აღმზრდელობითი სეირნობისა და მოგზაურობის საზოგადოების) და ყოვლად მოწყალებით ნება დაერთო წესდებათა შეცვლისა სამ საზოგადოებას (ლუდინოვისა და სუკრემენის ქარხნების და მალცევის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელსა და დამხმარე სალაროებს; სვიის მოშენების საზოგადოებას; ქალთა შრომის ხელშემწყობ საზოგადოებას), 55 კანონი სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა შესახებ და 5 — ყველა სხვათა შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო ინტერესების სფეროში «ჩვენ» ვცდილობთ ამოცანის სიმაღლეზე ვიდგეთ, ვცდილობთ ყველაფერი შევასრულოთ, რაც კი შესაძლებელია, ვაჭრებსა და მრეწველებს შორის კავშირის გასაადვილებლად (ვცდილობთ, მაგრამ ვერ ვაკეთებთ, ვინაიდან მან-

ქანის მოუქნელობა და საქმის უსაზღვრო გაჭიანურება მეტად ვიწრო ფარგლებში აყენებენ «შესაძლებელ» საქმეს პოლიციურ სახელმწიფოში). არაკომერციული კავშირების სფეროში კი ჩვენ პრინციპულად ჰომეოპატიის მომხრე ვართ. მაგალითად, სვიის მოშენების ან ქალთა შრომის ხელშემწყობ საზოგადოებას — კიდევ არა უშავს რა. მაგრამ აი სწავლა-აღმზრდელობითი სეირნობა... ღმერთმა უწყის რაზე ექნებათ საუბარი სეირნობის დროს, და ხომ შეიძლება ამან გააძნელოს შეუსუსტებელი მეთვალყურეობა ინსპექციის მხრივ? არა, იცით რა—ცეცხლს რაც შეიძლება ფრთხილად უნდა მოეპყრა.

სკოლები. დაარსდა მთელი სამი სკოლა. და მერე რა სკოლები! პირუტყვის მომვლელთა დაბალი სკოლა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის პეტრე ნიკოლოზის-ძის მამულში სოფ. ბლაგოდატნოეში. დიდ მთავართა სოფლები რომ ყველანი მადლიანი უნდა იყვნენ, — ამაში მე უკვე დიდი ხანია ეჭვი არ შემდიოდა. მაგრამ ახლა ეჭვი აღარც იმაში შემდის, რომ უმცროსი ძმების განათლებით შეუძლიათ გულწრფელად, მთელი სულითა და გულით დაინტერესება და გატაცება ყველაზე უმაღლეს პიროვნებებსაც. შემდეგ: დამტკიცებულია დერგაჩევის სასოფლო სასწავლო სახელოსნოსა და ასანოვის დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის წესდებები. სამწუხაროა, რომ ხელთ არა გვაქვს არავითარი ცნობარი, რათა გვენახა, ხომ არ ეკუთვნის ვინმე მაღალ პირთ ეს მადლიანი სოფლებიც, სადაც ასეთი ენერგიით ნერგავენ სახალხო განათლებას და... მემამულეთა მეურნეობას. თუმცა, თავს იმით ვინუგეშებ, რომ ასეთი ცნობების მოცემა არ შედის სტატისტიკოსის მოვალეობათა რიცხვში.

აი ყველა ის კანონი, რომლებიც გამოხატავენ «მთავრობის მზრუნველობას ხალხისთვის». როგორც ხედავთ, დაჯგუფება მე მოვახდინე მეტად შეღავათიანი პრინციპების მიხედვით. მაგალითად, სვიის მოშენების საზოგადოება რატომ არ უნდა ჩაითვალოს კომერციულ საზოგადოებად? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ზოგჯერ, შესაძლოა, ლაპარაკობენ არა მარტო კომერციაზე? ან პირუტყვის მომვლელთა სკოლა —

მოდი და გამოარკვიე, მართლა სკოლაა ეს თუ მხოლოდ გაუმჯობესებული ბაკი?

დაგვრჩა უკანასკნელი ჯგუფი კანონებისა, რომლებიც გამოხატავენ მთავრობის ზრუნვას თავის თავზე. ამ ჯგუფს ეკუთვნის კანონების სამჯერ მეტი რიცხვი (22), ვიდრე ის რიცხვი, რომელიც ჩვენ წინა ორ ჯგუფს მივაკუთვნეთ. აქ არის მთელი რიგი ადმინისტრაციული რეფორმები, ერთიმეორეზე უფრო რადიკალური: სოფელ პლატონოვსკოეს სახელის შეცვლა სოფელ ნიკოლაევსკოეთი; წესდებათა, შტატების, წესების, სიების (ზოგიერთ სამაზრო ყრილობების), სხდომების გახსნის დროის შეცვლა და სხვ.; ჯამაგირის მომატება ბებიაქალთათვის, რომლებიც კავკასიის სამხედრო ოლქის-ჯარების ნაწილებში მსახურობენ; კაზაკთა სამწყობრო ცხენების დასაჰედად და სამკურნალოდ გასაცემი ფულის რაოდენობის განსაზღვრა; მოსკოვის კერძო სავაჭრო სკოლის წესდების შეცვლა; წესები «ნადვორნი სოვეტნიკის» დანიელ სამუელის-ძე პოლიაკოვის სახელობის სტიპენდიის შესახებ კოზლოვის კომერციულ სასწავლებელში. თუმცა-ღა მე არ ვიცი, სწორად დავაჯგუფე თუ არა ეს უკანასკნელი კანონები: მართლა გამოხატავენ თუ არა ისინი მთავრობის მზრუნველობას თავის თავზე და არა სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებზე? ვთხოვ მკითხველს ლმობიერებას — ეს ხომ კანონთა სტატისტიკის პირველი ცდაა; აქამდე ჯერ კიდევ არავის უცდია ცოდნის ეს დარგი ნამდვილი მეცნიერების დონემდე აეყვანა, — არავის, რუსეთის სახელმწიფო სამართლის პროფესორების გამოუკლებლადაც.

დასასრულ, ერთი კანონი ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფად უნდა გამოიყოს როგორც თავისი შინაარსით, ისე იმიტომაც, რომ ეს — მთავრობის პირველი ღონისძიებაა ახალ საუკუნეში: «საიმპერატორო ნადირობის გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად განკუთვნილი ტყეების ფართობის გადიდების შესახებ». დიდი სახელმწიფოს საკადრისი დიადი დებიუტია!

ახლა უნდა გამოვიყვანოთ შესამოწმებელი ჯამი. უამისოდ სტატისტიკა არ შეიძლება.

ნახევარი ასეული კანონი და განკარგულება, რომლებიც მიძღვნილია ცალკეული სავაჭრო-სამრეწველო კომპანიებისა და საწარმოებისადმი; ორი ათეული ადმინისტრაციული სახელის გამოცვლა და გარდაქმნა; ორი ახლად შექმნილი და სამი რეფორმირებული კერძო საზოგადოება; სამი სკოლა მემამულეთა მოსამსახურეების მოსამზადებლად; ექვსი დაბალი პოლიციელი და ორი ცხენოსანი პოლიციის ურიადნიკი ქარხნებთან. განა საეჭვოა, რომ ესოდენ მდიდარი და მრავალმხრივი საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მოღვაწეობა უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს სწრაფსა და განუხრელ პროგრესს XX საუკუნეში?

183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად *

11 იანვარს გაზეთებში გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა—საბალხო განათლების სამინისტროსაგან—კიევის უნივერსიტეტის 183 სტუდენტის ჯარისკაცად გაგზავნის შესახებ «იმ უწესოებათა გამო, რაც მათ ერთად მოახდინეს». 1899 წლის 29 ივლისის დროებითი წესები — ეს მუქარა სტუდენტობისა და საზოგადოების მიმართ — სისრულეში მოჰყავთ თითქმის წელიწად-ნახევრის შემდეგ მათი გამოცემის დროიდან; მთავრობა თითქოს იჩქარის თავი იმართლოს ამ გაუგონარი დამსჯელი ღონისძიების გამოყენებისთვის და იგი გამოდის მთელი საბრალმდებლო ოქმით, არ ზოგავს საღებავებს სტუდენტების ავაზაკობათა დასასურათებლად.

ავაზაკობა ერთიმეორეზე უსაშინელესია. ზაფხულზე ოდესაში შესდგა სტუდენტთა საერთო ყრილობა რუსეთის მთელი სტუდენტობის დარაზმვის პროგრამით ყოველგვარი პროტესტების გამოსახატავად აკადემიური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის გამო. ამ დანაშაულებრივი პოლიტიკური მიზნების გამო ყველა დელეგატი-სტუდენტი დააპატიმრეს, დოკუმენტები ჩამოართვეს. მაგრამ მღელვარება არამც თუ ცხრება. არამედ იზრდება და დაჟინებით იჩენს თავს მ რ ა ვ ა ლ უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებს უნდათ თავისუფლად და დამოუკიდებლად განსაჯონ და განაგონ თავიანთი საერთო საქმეები. მათი უფროსები, — იმ უსულგულო ფორმალიზმით, რომლითაც დასაბამიდან გან-

* ნომერი შეკრული იყო, როდესაც მთავრობის ცნობა გამოქვეყნდა.

თქმულია რუსეთის მოხელეობა, — ამაზე წვრილმანი შარის მოდებით უპასუხებენ, უკმაყოფილება უკიდურეს ზომამდე მიჰყავთ და უნებლიედ ბურჟუაზიული მცონარეობის წუმპეში ჯერ კიდევ ჩაუფლელი ახალგაზრდობის თავში ბადებს აზრს— პროტესტი განაცხადონ პოლიციური და მოხელური თავნებობის მთელი სისტემის წინააღმდეგ.

კიეველი სტუდენტები მოითხოვენ იმ პროფესორის გაძევებას, რომელმაც წასული ამხანაგის ადგილი დაიკავა. ადმინისტრაცია წინააღმდეგია, რაც იწვევს ახალგაზრდობის «კრებებსა და დემონსტრაციებს», და... უთმობს. სტუდენტები კრებას მართავენ, რომ განიხილონ — რატომ არის შესაძლებელი ისეთი სისაძაგლენი, როგორც ორ «თეთრსარჩულიანთა» მიერ ერთი ქალიშვილის გაუპატიურება (ასეთია ხმები). ადმინისტრაცია მთავარ «დამნაშავეთ» კარცერით სჯის. ისინი არ ემორჩილებიან. მათ რიცხავენ. ხალხი დემონსტრაციულად აცილებს გამორიცხულებს ვაგზალზე. იმართება ახალი კრება, სტუდენტები საღამომდე რჩებიან, უარს ამბობენ დაშლაზე, სანამ რექტორი არ გამოცხადდება. მოდიან ვიცე-გუბერნატორი და ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ჯარისკაცთა რაზმით, რომელიც გარს ერტყმის უნივერსიტეტს და აუდიტორიაში შესულთ, და — იწვევენ რექტორს. სტუდენტები მოითხოვენ — იქნებ, თქვენ ფიქრობთ, კონსტიტუციას? — არა, ისინი მოითხოვენ კარცერით დასჯის გაუქმებას და გამორიცხულთა უკანვე მიღებას. კრების მონაწილეთ ჩასწერენ და შინ უშვებენ.

ჩაუფიქრდით ამ განსაცვიფრებელ შეუსაბამობას სტუდენტების ამ მცირე და უწყინარ მოთხოვნებსა — და მთავრობის მიერ ატეხილ აურზაურს შორის, ისე რომ იქცევა, თითქოს უკვე აღმართა ხმალი მისი ბატონობის ბურჯთა შესამუსრად. არაფრით ისე არ ამჟღავნებს თავის თავს ჩვენი «ყოვლადძლიერი» მთავრობა, როგორც ამ აურზაურით. ამით ის ყოველგვარ «დანაშაულებრივ მოწოდებაზე» უკეთ უჩვენებს ყველას, ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, — რომ მთავრობა თვითონ გრძნობს თავის სრულ უძლურებას. და

იშედს ამყარებს მხოლოდღა ხიშტებსა და მათრახებზე, ხალხის აღშფოთებისაგან რომ იცავენ მას. ათეული წლების გამოცდილებით გამობრძმედილი მთავრობა მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რომ ის გარემოცულია ცეცხლსაშიში მასალით, რომ საკმარისია მცირეოდენი ნაპერწკალი, საკმარისია პროტესტი კარცერის წინაალმდეგ, რომ ხანძარი ავარდეს. და თუ ასეა, გასაგებია, რომ ანგარიშის გასწორებაც სამაგალითო უნდა იყოს: ასობით სტუდენტები ჯარისკაცებად გაიგზავნოს! «ერთ ჩემს ფელდფებელს მოგცემთ ვოლტერად» [128] — ეს ფორმულა სულაც არ დაძველებულა. პირიქით, XX საუკუნეს უწერია იხილოს მისი ნამდვილი განხორციელება.

ბევრ ფიქრსა და შედარებას აღგვიძრავს ეს ახალი დამსჯელი ღონისძიება, ახალი თავისი ცდით—აღადგინოს ძველისძველი, დრომოჭმული წარსული. სამი თაობის წინათ, ნიკოლოზის დროს, ჯარისკაცად მიცემა ბუნებრივი სასჯელი იყო, რომელიც სრულიად შეესაბამებოდა რუსეთის ბატონყმური საზოგადოების მთელ წყობილებას. თავადაზნაურთა შვილებს გზავნიდნენ სალდათებად, რათა ისინი აეძულებინათ ემსახურნათ და დაემსახურებინათ ოფიცრობა თავადაზნაურობის თავისუფლებათა სანაცვლოდ. გლეხი ჯარისკაცად მიჰყავდათ, როგორც ხანგრძლივ კატორღაში, სადაც მას მოელოდა «მწვანე ქუჩის» [129] არაადამიანური წამება და სხვ. მაგრამ აი უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენში არსებობს «საყოველთაო» სამხედრო ბეგარა, რომლის შემოღებას ქება-დიდება უძღვნეს თავის დროზე, როგორც დიდ დემოკრატიულ რეფორმას. სამხედრო ბეგარა, რომელიც საყოველთაოა არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ სინამდვილეშიც, უეჭველია, დემოკრატიული რეფორმაა: ის ბოლოს უღებს წოდებრიობას და აწესებს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას. მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ჯარისკაცად მიცემა განა სასჯელი იქნებოდა? და თუ მთავრობა სამხედრო ბეგარას სასჯელად აქცევს, განა ამით ის არ ამტკიცებს, რომ ჩვენ უფრო ახლოს ვართ «რეკრუტობასთან», ვიდრე ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო სამხედრო ბეგარასთან? 1899 წლის დროებითი წესები ფარისევ-

ლურ ნიღაბს აგლეჯენ და ააშკარავებენ თვით იმ ჩვენი დაწესებულებების აზიურ დედაარსს, რომლებიც ყველაზე მეტად წააგავან ევროპულს. სინამდვილეში ჩვენ არ გვქონდა და არცა გვაქვს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, იმიტომ რომ დიდგვაროვნობისა და სიმდიდრის პრივილეგიები უამრავ გამონაკლისს ჰქმნიან. სინამდვილეში ჩვენ არ გვქონია და არც არაფერი გვაქვს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის მსგავსი სამხედრო სამსახურში. პირიქით, ყაზარმა სულ მთლად გაჟღენთილია უაღრესად აღმაშფოთებელი უუფლებობის სულისკვეთებით. მუშების ან გლეხების წრიდან გამოსული სალდათის სრული უმწეობა, ადამიანური ღირსების გათელვა, გამოძალვა, ცემა, ცემა, და ცემა. ხოლო იმათთვის კი, ვისაც გავლენიანი ნაცნობობა და ფული მოეპოვება, — შეღავათები და გამონაკლისები. რაღა გასაკვირველია, რომ ამ თვითნებობისა და ძალადობის სკოლაში მიცემა სასჯელი იყოს და ძლიერ მძიმე სასჯელიც, რაც უფლებათა აყრას უახლოვდება. მთავრობა იმედოვნებს ამ სკოლაში დისციპლინა ასწავლოს «მეამბოხეებს». ვითომ არ მოტყუვდება ის თავის ანგარიშში? არ გახდება ვითომ რუსული სამხედრო სამსახურის სკოლა რევოლუციის სამხედრო სკოლად? რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტი ვერ გაუძლებს ამ სკოლის სრული კურსის გავლას. ზოგს გასტეხს მძიმე ჯაფა, დაღუპავს სამხედრო უფროსებთან შეჯახება, ზოგს,—სუსტებს და მოდუნებულთ—დააფრთხობს ყაზარმა, მაგრამ ზოგს ის გამოაწრთობს, გაუფართოებს ჰორიზონტს, აიძულებს ჩაუფიქრდეს და შეიგრძნოს განმათავისუფლებელი მისწრაფებანი. ისინი თავის თავზე გამოცდიან ახლა თვითნებობისა და ჩაგვრის მთელ სიმძიმეს, როცა მთელი მათი ადამიანური ღირსება მიგდებული იქნება ფელდფებელის ნებასურვილზე, ხშირად განზრახ რომ მასხრად იგდებს «განათლებულთ». ისინი დაინახავენ, რანაირია სინამდვილეში მდაბიო ხალხის მდგომარეობა, იმათ გული ეტკინებათ იმ დამცირებისა და ძალმომრეობისთვის, რომელთა ყოველდღიურ მოწმეებად გახდიან მათ, და შეიგნებენ, რომ ის უსამართლობანი

და შარის მოდება, რითაც სტუდენტები იტანჯებიან,—წვეთია ხალხის ჩაგვრის ზღვაში. ვინც ამას შეიგნებს, ის სამხედრო სამსახურიდან გამოვა ჰანიბალის ფიცით,[130] რომ იბრძოლებს ხალხის მოწინავე კლასთან ერთად დესპოტიზმისაგან ხალხის განთავისუფლებისთვის.

ახალი სასჯელის სისასტიკეზე ნაკლებ აღშფოთებას არ იწვევს მისი დამამცირებლობა. მთავრობის მოქმედება გამომწვევია ყველას მიმართ, ვისაც კიდევ შერჩენია რიგიანობის გრძნობა, იგი აცხადებს თვითნებობის წინააღმდეგ საპროტესტოდ გამოსულ სტუდენტებს უბრალო შფოთის ამტეხ ადამიანებად, — სწორედ ისევე, როგორც მან გადასახლებული გაფიცული მუშები მანკიერი ყოფაქცევის ადამიანებად გამოაცხადა. დააკვირდით მთავრობის ცნობას: ის აჭრელებულია სიტყვებით: უწესოება, ჩხუბი, აურზაური, უტიფრობა, აღვირახსნილობა. ერთი მხრივ, აღიარება დანაშაულებრივი პოლიტიკური მიზნებისა და მისწრაფებისა პოლიტიკური პროტესტებისადმი; მეორე მხრივ — სტუდენტების აბუჩად აგდება, როგორც უბრალო აყალმაყალის ამტეხთა, რომელთაც დისციპლინის გაკვეთილები ესაჭიროებათ. ეს სილის გარტყმაა რუსეთის საზოგადოებრივი აზრისთვის, რომლის სიმპათიებიც სტუდენტობისადმი მთავრობისათვის კარგად ცნობილია. და ერთადერთი ღირსეული პასუხი ამაზე სტუდენტობის მხრივ იქნებოდა კიეველთა მუქარის შესრულება, ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა მოსწავლის ურყევი და მტკიცე გაფიცვის მოწყობა 1899 წლის 29 ივლისის დროებითი წესების გაუქმების მოთხოვნით.

მაგრამ მთავრობისთვის პასუხის გაცემა მარტო სტუდენტობის მოვალეობას როდი შეადგენს. მთავრობამ თვითონ იზრუნა იმაზე, რომ ამ შემთხვევიდან რაღაც უფრო დიდი რამ შეექმნა, ვიდრე წმინდა სტუდენტური ისტორია. მთავრობა მიმართავს საზოგადოებრივ აზრს, თითქოს თავი მოაქვს ანგარიშის გასწორების ენერგიულობით, თითქოს მასხრად იგდებს ყოველგვარ გამათავისუფლებელ მისწრაფებებს. და ხალხის ყველა ფენის შეგნებული ელემენტები მოვალენი არიან პა-

სუხი გასცენ ამ გამოწვევას, თუ მათ არ სურთ ჩამოქვეითდნენ უტყვი მონების მდგომარეობამდე, რომლებიც უხმოდ იტანენ ყოველგვარ შეურაცხყოფას. ხოლო ამ შეგნებულ ელემენტებს სათავეში უდგანან მოწინავე მუშები და მათთან განუყრელად დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. მუშათა კლასი მუდამ განიცდის გაცილებით უფრო მეტ ჩაგვრასა და შეურაცხყოფას პოლიციის იმ თავნებობისაგან, რომელსაც ასე მკვეთრად შეეჯახნენ ახლა სტუდენტები. მუშათა კლასმა უკვე დაიწყო ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის. და მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს დიადი ბრძოლა დიად მოვალეობებს აკისრებს, რომ მას არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი, თუ მთელი ხალხი არ გაათავისუფლა დესპოტიზმისაგან, რომ ის მოვალეა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ეხმაურებოდეს ყოველგვარ პოლიტიკურ პროტესტს და მხარს უჭერდეს მას ყოველნაირად. ჩვენი განათლებული კლასების საუკეთესო წარმომადგენლებმა დაამტკიცეს და მთავრობის მიერ ათასობით წამებულ რევოლუციონერთა სისხლით აღბეჭდეს თავისი უნარი და მზადყოფნა— შემოიბერტყონ ფეხთაგან ბურჟუაზიული საზოგადოების მტვერი და ჩადგნენ სოციალისტების რიგებში. და სოციალისტის სახელწოდების ღირსი არ არის ის მუშა, რომელსაც გულგრილად შეუძლია უცქიროს იმას, თუ როგორ გზავნის მთავრობა ჯარს მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სტუდენტი ეხმარებოდა მუშას, — მუშა უნდა დაეხმაროს სტუდენტს. მთავრობას სურს გამოაყეყეჩოს ხალხი, როცა აცხადებს, პოლიტიკური პროტესტისადმი მისწრაფება უბრალო უწესოებაა. მუშებმა საჯაროდ უნდა განაცხადონ და განუმარტონ უაღრესად ფართო მასებს, რომ ეს სიცრუეა, რომ ძალმომრეობის, უწესოებისა და აღვირახსნილობის ნამდვილი კერა — ეს რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობაა, პოლიციისა და მოხელეების თავნებობაა.

თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს პროტესტი, ეს ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და მუშათა ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ. ფურცლების დარიგება,

დაყრა, გაკვრა, გამართვა კრებებისა, რომლებზედაც შეძლებისამებრ მოწვეულ უნდა იქნას საზოგადოების ყველა კლასი, — ასეთია პროტესტის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი ფორმები. მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ იქ, სადაც მაგარი და მტკიცედ მოწყობილი ორგანიზაციებია, უფრო ფართო და აშკარა პროტესტის ცდას მოახდენდნენ საჯარო დემონსტრაციების სახით. ასეთი ცდის კარგ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ხარკოვის გასული წლის 1 დეკემბრის დემონსტრაცია «იუჟნი კრაის» რედაქციის წინ. დღესასწაულობდნენ ამ მურტალი გაზეთის იუბილეს, რომელიც დევნის ყოველგვარ მისწრაფებას სინათლისა და თავისუფლებისაკენ, აქებს და ადიდებს ჩვენი მთავრობის ყოველგვარ სიმხეცეს. რედაქციის წინ თავი მოიყარა ხალხმა, რომელიც ზეიმით ხევდა და ფხრეწდა «იუჟნი კრაის» ნომრებს, ცხენების კუდზე აბამდა მათ, ძაღლებს ახვევდა შიგ, რედაქციის ფანჯრებში ქვებსა და გოგირდწყალბადიან ბოთლებს ისროდა და თან იძახდა: «ძირს მოსყიდული პრესა!» აი ჭეშმარიტად როგორი ზეიმის ღირსია არა მარტო მოსყიდული გაზეთების რედაქციები, არამედ მთავრობის ყველა ჩვენი დაწესებულებაც. ადმინისტრაციული კეთილმოწყალების იუბილეებს ისინი იშვიათად დღესასწაულობენ, — ხოლო ხალხის მხრივ მათთან ანგარიშის გასწორების იუბილეს ღირსნი კი ისინი ყოველთვის არიან. მთავრობის თავნებობისა და ძალმომრეობის ყოველგვარი გამოვლინება კანონიერი საბაბია ასეთი დემონსტრაციისათვის. მაშ დაე მთავრობის საჯარო განცხადებაც სტუდენტებთან ანგარიშის გასწორების შესახებ ნუ ჩაივლის აშკარა პასუხის გაუცემლად ხალხის მხრივ!

დაწერილია 1901 წლის იანვარს

დაიბეჭდა 1901 წლის თებერვალს
გაზეთ «ისკრის» № 2-ში

ბეჭდება «ისკრის»
ტექსტის მიხედვით.

მუშათა პარტია და გლეხობა [131]

ორმოცმა წელმა განვლო გლეხთა განთავისუფლების დროიდან. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებული აღფრთოვანებით დღესასწაულობს 19 თებერვალს — ძველი, ბატონყმური, რუსეთის დაცემის დღეს, იმ ეპოქის დასაწყისს, რომელიც თავისუფლებასა და კეთილდღეობას პირდებოდა ხალხს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოდღესასწაულეთა საზოტბო სიტყვებში, ბატონყმობისა და ყოველივე მისი გამოვლინების მიმართ გულწრფელ მტროპასთან ერთად, ბევრი ფარისევლობაც არის. თავიდან ბოლომდე ფარისევლურია და ყალბი «დიადი» რეფორმის ის შეფასება, რომელიც გავრცელდა ჩვენში: «გლეხთა განთავისუფლება მიწიანად სახელმწიფოებრივი გამოსყიდვის ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ». სინამდვილეში კი ეს იყო გლეხთა განთავისუფლება მ ი წ ი ს ა გ ა ნ, იმიტომ რომ იმ ნადელებს, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ფლობდნენ გლეხები, ვეებერთელა ნაკვეთები ჩამოაჭრეს, ხოლო მრავალი ასეული ათასი გლეხი სულმთლად უმიწაწყლოდ დარჩნენ — მეოთხედი ანუ ღატაკური ნადელის ამარა. [132] სინამდვილეში გლეხები ორმაგად გაძარცვეს: ის არ აკმარეს, რომ მიწები ჩამოუჭრეს, აიძულეს კიდეც «გამოსასყიდი» ეხადათ მათთვის დატოვებული მიწისთვის, რომელიც მუდამ მათ მფლობელობაში იყო, თანაც გამოსასყიდი ფასი დანიშნეს გაცილებით მაღალი მის ნამდვილ ფასზე. თვით მემამულენი ათი წლის შემდეგ გლეხების განთავისუფლებიდან გამოტეხით ამბობდნენ მთავრობის იმ მოხელეთა წინაშე, რომლებიც სოფლის მეურნეობის მდგომარეობას იკვლევდნენ, რომ გლეხები აიძულეს გამოესყიდათ

არა მარტო თავიანთი მიწა, არამედ თავიანთი თავისუფლებაცო. და, გამოართვეს რა გამოსყიდვის საფასური პირადი განთავისუფლებისთვის, გლეხები მაინც არ გახადეს თავისუფალ ადამიანებად: ისინი დატოვეს ოცი წლით დროებით ვალდებულად,[183] ისინი დატოვეს — და ისინი აქამდე რჩებიან — დაბალ წოდებად, რომელიც ისჯება როზგით, იხდის განსაკუთრებულ გამოსაღებს, ნება არა აქვს თავისუფლად გამოვიდეს ნახევრადბატონყმური თემიდან, თავისუფლად მოიხმაროს თავისი მიწა, თავისუფლად დასახლდეს სადაც მოისურვებს— სახელმწიფოს ყველა კუთხეში. ჩვენი საგლეხო რეფორმა მთავრობის დიდსულოვნებას როდი მოწმობს; პირიქით, ის წარმოადგენს იმის უდიდეს ისტორიულ მაგალითს, თუ რა რიგ წაბილწული გამოდის ყოველი საქმე თვითმპყრობელი მთავრობის ხელიდან. სამხედრო დამარცხების, საშინელ ფინანსურ სიძნელეთა და გლეხების მრისხანე აღშფოთებათა ზეგავლენით მთავრობა პირდაპირ **იძულებული** შეიქნა გაეთავისუფლებინა გლეხები. მეფემ თვითონ აღიარა, საჭიროა ზევიდან გავათავისუფლოთ, სანამ არ დაუწყიათ ქვევიდან განთავისუფლებაო. მაგრამ, მოჰკიდა რა ხელი განთავისუფლების საქმეს, მთავრობამ გააკეთა ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელი, რათა დაეკმაყოფილებინა «დაჩაგრული» მებატონეების გაუმაძღრობა: მთავრობა ისეთი სისაძაგლის წინაშეც კი არ შეჩერდა, როგორიც არის იმ პირთა შერჩევა და შენაცვლება მოტყუებით, რომლებიც მოწოდებული იყვნენ რეფორმის გასატარებლად, — თუმცა ეს პირნიც იმავე თავადაზნაურთაგან იყვნენ მიწვეული! პირველი გაწვევის მომრიგებელი მოსამართლენი დაითხოვეს და შესცვალეს ისეთი პირებით, რომლებსაც არ შეეძლოთ უარი ეთქვათ მებატონეებისთვის გლეხების მოტყუებაში თვით მიწის გამიჯვნის დროსაც. და დიადი რეფორმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი შეიქნა ისე, რომ არ მიემართათ სამხედრო ეკზეკუციებისთვის და არ დაეხვრიტათ გლეხები, რომლებიც უარს ამბობდნენ საწესდებო სიგელების მიღებაზე.[184] გასაკვირველი არ არის, რომ იმ დროის საუკეთესო ადამიანები, ცენზურით

პირაკრულნი, ამ დიად რეფორმას მდუმარების წყევა-კრულვით შეეგებნენ...

საბატონო ბეგარისაგან «განთავისუფლებული» გლეხი რეფორმატორის ხელიდან გამოვიდა ისე დაძაბუნებული, გაფცქვნილი, დამცირებული და თავის ნადელზე მიჯაჭვული, რომ მას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ «თავისი ნებით» ისევ საბატონო ბეგარაზე წასულიყო. და გლეხიც ისევ თავისი წინანდელი ბატონის მიწის დამუშავებას ჰკიდებს ხელს, «იჯარით» იღებს მისგან თავისივე მიწას, რომელიც მას ჩამოუჭრეს, ზაფხულში სამუშაოდ ზამთარში ქირავდება, რომ დამშეული ოჯახის გამოსაკვებად პური სესხად აიღოს. შრომა-მიგება და კაბალა — აი სინამდვილეში რა აღმოჩნდა ის «თავისუფალი შრომა», რომელზედაც «ღვთის კურთხევის» გამოსათხოვად მოუხმობდა გლეხს ხუცეს-იეზუიტის მიერ შედგენილი მანიფესტი.

ხოლო მემამულის მხრივ ამ ჩაგვრას, რაც ფაქტიურად ისევ ძალაში დარჩა რეფორმის შემქმნელი და განმხორციელებელი მოხელეების დიდსულოვნობის წყალობით, დაერთო კიდევ ჩაგვრა კაპიტალის მხრივ. ფულის ძალა, რამაც წელში გასტეხა, მაგალითად, თვით ფრანგი გლეხი, რომელიც მემამულის უღლისაგან გაათავისუფლა არა უბადრუკმა და ორჭოფმა რეფორმამ, არამედ ხალხის ძლიერმა რევოლუციამ,—ფულის ეს ძალა მთელი თავისი სიმძიმით დაატყდა თავს ჩვენს ნახევრადყმა გლეხს. ფული მას უნდა ეშოვნა რადაც უნდა დაჯდომოდა: გამოსაღებთა შესატანადაც, რომელიც ასე გაადიდა კეთილმყოფელმა რეფორმამ, მიწის იჯარით აღებისთვისაც, საფაბრიკო მრეწველობის იმ მცირეოდენი პროდუქტების საყიდლადაც, რომლებმაც თანდათან განდევნეს გლეხის შინაწარმი პროდუქტები, პურის საყიდლადაც და სხვ. ფულის ძალამ არამც თუ გასტეხა, არამედ გათიშა კიდევაც გლეხობა: უდიდესი მასა საბოლოოდ ღატაკდებოდა და პროლეტარდებოდა, უმცირესობა გამოჰყოფდა მცირერიცხოვან, მაგრამ «ძარღვიან» კულაკებსა და წელმაგარ გლეხებს, რომლებიც თანდათანობით ხელში იგდებდნენ გლეხთა მეურნეობას

და გლეხთა მიწებს, და შეადგენდნენ ახლად წარმოშობილი სოფლის ბურჟუაზიის კადრს. რეფორმისშემდგომი მთელი 40 წელიწადი — ეს არის ამ განგლეხების ერთი მთლიანი პროცესი, ნელი, ტანჯვა-წვალებით გადაშენების პროცესი. გლეხის ცხოვრება დაქვეითდა მათხოვრულ დონემდე: ის პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა, ძონძები ეცვა, ბალახ-ბულახით იკვებებოდა; გლეხი გარბოდა თავისი ნადელიდან, რა წამსაც კი დაინახავდა გასაქცევ ადგილს, კიდევ მეტი — მზად იყო თავი გ ა მ ო ე ყ ი დ ა ნადელისაგან, აძლევდა ფულს იმას, ვინც დათანხმდებოდა მისგან მიეღო ნადელი, რომლის გადასახდელიც მის შემოსავალს აღემატებოდა. გლეხები ქრონიკულად შიმშილობდნენ და მრავალი ათეული ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და ეპიდემიებისაგან მოუსავლიანობის დროს, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა.

ამჟამადაც ასეთია საქმის ვითარება ჩვენს სოფლებში. იბადება კითხვა: სად ვეძიოთ გამოსავალი და რა საშუალებით უნდა ვცდილობდეთ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებას? წვრილ გლეხობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავი დააღწიოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრას, თუ იგი მუშათა მოძრაობას მიემხრობა, დაეხმარება მას სოციალისტური წყობილებისათვის ბრძოლაში, მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა (ფაბრიკების, ქარხნების, მანქანებისა და სხვ.) საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევისათვის ბრძოლაში. კაპიტალის იერიშისაგან გლეხობის გადარჩენის ცდა წვრილი მეურნეობისა და წვრილი საკუთრების დაცვით — ეს იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარების ამაოდ შეფერხება, გლეხის მოტყუება ილუზიით, თითქოს კაპიტალიზმის დროსაც შესაძლოა ქეთილდღეობის მიღწევა, ეს იქნებოდა მშრომელი კლასების ვათიშვა და უმცირესობისათვის პრივილეგიური მდგომარეობის შექმნა უმრავლესობის ხარჯზე. აი მუდამ რატომ იბრძოლებენ სოციალ-დემოკრატები ისეთ უაზრო და მავნე ღონისძიებათა წინააღმდეგ, როგორიც არის გლეხთა ნადელების გაუსხვისებლობა, ურთიერთთავდებობა, თემიდან გლეხთა თავისუფლად გასვლისა და მასში სხვა რომელიმე წოდების პირ-

თა თავისუფლად მიღების აკრძალვა! მაგრამ, როგორც დავინახეთ, ჩვენს გლეხს სტანჯავს არა მხოლოდ და არა იმდენად კაპიტალისაგან მიყენებული ჩაგვრა, რამდენადაც მემამულეების მხრივ ჩაგვრა და ბატონყმობის ნაშთები. დაუნდობელი ბრძოლა ამ ბორკილების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოუდგენლად აუარესებენ გლეხობის მდგომარეობას და ხელფეხს უბოჭავენ მას, არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების გულისთვის, ვინაიდან გლეხის აუტანელი სიღატაკე, სიბნელე, უუფლებობა და დაჩცირება — ჩვენი სამშობლოს მთელ წესწყობილებას აზიურობის დაღს ასვამს. და სოციალ-დემოკრატია არ შეასრულებდა თავის ვალს, თუ იგი მთელ და ყოველნაირ დახმარებას არ აღმოუჩენდა ამ ბრძოლას. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს, მოკლედ რომ ვთქვათ, ს ო ფ ლ ა დ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე ტ ა ნ ა შ ი.

ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე რუსეთის სოფელში შეთავსებულია ორგვარი კლასობრივი დაპირისპირება: ჯერ-ერთი, სოფლის მუშებსა და სოფლის მეწარმეთა შორის, მეორე, მთელ გლეხობასა და მთელ მემამულეთა კლასს შორის. პირველი დაპირისპირება ვითარდება და იზრდება, მეორე — თანდათან სუსტდება. პირველი — ჯერ კიდევ მთლად მომავალს ეკუთვნის, მეორე — მეტწილად უკვე წარსულს ჩაბარდა. და, მიუხედავად ამისა, თანამედროვე რუსი სოციალ-დემოკრატებისთვის სწორედ მეორე დაპირისპირებას აქვს უფრო მეტად არსებითი და პრაქტიკულად უფრო დიდი მნიშვნელობა. დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო მუშების კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის რომ ყოველგვარი არსებული საბაბით უნდა ვსარგებლობდეთ, რომ ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალაქელი მუშების გადასახლებას სოფლად (მაგ., მექანიკოსებისა, რომელთაც დაიქირავებენ ორთქლით მოძრავ სალეწავ მანქანებზე სამუშაოდ და სხვ.), სასოფლო-სამეურნეო მუშების დასაქირავებელ ბაზრებს და სხვ. — ეს თავისთავად ცხადია, ეს აქსიომაა ყოველი სოციალ-დემოკრატისთვის.

მაგრამ ჩვენი სოფლის მუშები ჯერ კიდევ მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული გლეხობასთან, მათ ჯერ კიდევ ძლიერ უხუთავს სულს საერთო-გლეხური სიდუხჭირე, და ამიტომ საერთო-ნაციონალურ მნიშვნელობას სოფლის მუშათა მოძრაობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს ვერც ახლა და ვერც ახლო მომავალში. პირიქით, ბატონყმური ნაშთების აღგვის, რუსეთის სახელმწიფოს ყოველგვარი წესებიდან წოდებრივი უთანასწორობისა და ათეული მილიონობით «მდაბიო ხალხის» დამცირების სულისკვეთების აღმოფხვრის საკითხს უკვე ამჟამად აქვს საერთო-ნაციონალური მნიშვნელობა, და პარტიას, რომელიც თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლის როლს ჩემულობს, არ შეუძლია ამ საკითხს თავი აარიდოს.

გლეხის გაჭირვების აღიარება ახლა (ცოტად თუ ბევრად ზოგად ფორმაში) თითქმის საყოველთაო შეიქნა, ფრაზა 1861 წლის რეფორმის «ნაკლოვანებათა» და სახელმწიფო დახმარების აუცილებლობის შესახებ მოარულ ჭეშმარიტებად იქცა. ჩვენი ვალია აღვნიშნოთ, რომ ეს გაჭირვება წარმოსდგება სწორედ გლეხობის კლასობრივი ჩაგვრისაგან, რომ მთავრობა ერთგული დამცველია მჩაგვრელი კლასებისა, რომ მისგან დახმარების მიღებას კი არა, არამედ მისი ჩაგვრისაგან განთავისუფლებას და პოლიტიკური თავისუფლების ბრძოლით მოპოვებას უნდა ცდილობდნენ ისინი, ვისაც გულწრფელად და სერიოზულად სურს გლეხთა მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესება. ამბობენ — გამოსასყიდი გადასახდელები მეტისმეტად მაღალია და დიდი სიკეთეა მათი შემცირება და გადახდის ვადის გაგრძელება მთავრობის მიერო. ამაზე უნდა ვთქვათ, რომ ყველა ეს გამოსასყიდი გადასახდელები კანონიერი ფორმებით და მოხელეური ფრაზებით დაფარული გლეხთა გაძარცვაა მემამულეებისა და მთავრობის მიერ და სხვა არაფერი, მებატონეებისთვის მიცემული ხარკია მათი მონების განთავისუფლების საფასურად და სხვა არაფერი. ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას — დაუყოვნებლივ და სრულებით გაუქმებულ იქნას გამოსასყიდი გადასახდელები და საღალო მოსაკრები, მოვითხოვთ დაუბრუნდეს ხალხს ის ასეული მილიო-

ნები, რომლებსაც მთელი წლობით ართმევდა მეფის მთავრობა გლეხებს მონათმფლობელთა მადის დასაკმაყოფილებლად. ამბობენ, გლეხებს მიწა ცოტა აქვთ და აუცილებლად საჭიროა დახმარება სახელმწიფოს მხრივ გლეხთა მიწათმფლობელობის გასაფართოებლადო. ამაზე უნდა ვთქვათ, რომ სწორედ სახელმწიფოებრივი დახმარების წ ყ ა ლ ო ბ ი თ — დახმარებისა მემამულეებისთვის, რასაკვირველია, — გლეხებმა დაჰკარგეს აუარებელ შემთხვევაში მათთვის აუცილებლად საჭირო მიწები. ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას — დაუბრუნონ გლეხებს ეს ჩამონაჭრები, რომელთა წყალობით ისევ განაგრძობს არსებობას იძულებითი, კაბალური, საბატონო, ე. ი. სინამდვილეში იგივე ბატონყმური შრომა. ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას — დაარსებულ იქნას გლეხთა კომიტეტები იმ აღმაშფოთებელ უსამართლობათა გამოსასწორებლად, რომლებიც ჩაიდინეს გასათავისუფლებელი მონების მიმართ მეფის ბრძანებით დაარსებულმა თავადაზნაურთა კომიტეტებმა. ჩვენ მოვითხოვთ დაარსებულ იქნას სასამართლოები, რომელთაც უნდა მიეცეთ უფლება შეამცირონ მიწის მეტისმეტად მაღალი ფასები, მემამულეები რომ ახდევინებენ გლეხებს, სარგებლობენ რა მათი გამოუვალი მდგომარეობით, — სასამართლოები, რომელთა წინაშე გლეხს უნდა ჰქონდეს უფლება პასუხი აგებინოს მევახშეობისათვის ყველა იმათ, ვინც კაბალურ გარიგებებს სდებს, სარგებლობს რა მეორე მხარის უკიდურესი გაჭირვებით. ჩვენ შევეცდებით ყოველთვის და ყოველი საბაბით განვუმარტოთ გლეხებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ეუბნებიან მათ, თანამედროვე სახელმწიფოსაგან უნდა მოელოდეთ მზრუნველობას ან დახმარებასო, — ან ბრიყვები არიან, ან შარლატნები და მათი უცუდესი მტრები, რომ გლეხობას ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა მოხელეების ბატონობის თავნებობისა და ჩაგვრისაგან თავის დაღწევა, ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა აღიარება მისი სრული და უცილობელი ყოველმხრივი თანასწორუფლებიანობისა ყველა სხვა წოდებასთან, მიმოსვლისა და გადასახლების სრული თავისუფლებისა, მიწის მოხმარების თავისუფლებისა, სოფლის მთელი საქმეების

გამგებლობისა და სოფლის შემოსავლის გამოყენების თავისუფლებისა. ყოველი რუსული სოფლის ცხოვრებიდან აღებულ უაღრესად ჩვეულებრივ ფაქტებს შეუძლიათ მუდამ ათასნაირი საბაბის მოცემა ზემოხსენებული მოთხოვნების აგიტაციისათვის. ეს აგიტაცია უნდა გამომდინარეობდეს გლეხთა ადგილობრივი, კონკრეტული და ყველაზე უფრო მომწიფებული საჭიროებებიდან, მაგრამ ის არ უნდა ჩერდებოდეს ამ საჭიროებებზე, არამედ დაუცხრომლად უნდა აფართოებდეს გლეხთა ჰორიზონტს, დაუცხრომლად უნდა ავითარებდეს მათს პოლიტიკურ შეგნებას, მიუთითებდეს მათ იმ განსაკუთრებულ ადგილზე, რომელიც უკავიათ სახელმწიფოში მემამულეებსა და გლეხებს, მიუთითებდეს ერთადერთ საშუალებაზე სოფლის განთავისუფლებისათვის მისი შემხუთავი თავნებობისა და ჩაგვრისაგან, — ხალხის წარმომადგენელთა მოწვევისა და მოხელეთა თვითმპყრობელობის დამხობის აუცილებლობაზე. ყოვლად შეუსაბამო და სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს პოლიტიკური თავისუფლების ეს მოთხოვნა მიუწვდომელია მუშების შეგნებისთვის: არამც თუ მუშები, რომელთაც არა ერთი და ორი წელი გაუტარებიათ პირდაპირ ბრძოლაში მეფაბრიკეებთან და პოლიციასთან და რომელნიც მუდამ საკუთარი თვალით ხედავენ, თუ როგორ თვითნებურად აპატიმრებენ და სდევნიან მათი წრის საუკეთესო პირთ, არამც თუ ეს უკვე სოციალიზმით გამსჭვალული მუშები, არამედ ყოველი გაგებული გლეხი, რომელიც ოდნავ მაინც უფიქრდება იმას, რასაც ის თავის გარშემო ხედავს, შესძლებს შეიგნოს და შეითვისოს ის, რისთვისაც იბრძვიან მუშები, შეითვისოს იდეა საერო კრებისა, რომელიც გათავისუფლებს მთელ ჩვენს ქვეყანას საძულველ მოხელეთა ყოვლადშემძლებლობისაგან. და აგიტაცია გლეხობის უშუალო და ყველაზე უფრო საარსებო საჭიროებათა ნიადაგზე მხოლოდ მაშინ შესძლებს თავისი ამოცანების შესრულებას — სოფლად კლასობრივი ბრძოლის შეტანას,—როცა ამა თუ იმ «ეკონომიური» ბოროტების გამომქღავნების თვითეულ შემთხვევას ის დაუკავშირებს გარკვეულ პოლიტიკურ მოთხოვნებს.

მაგრამ კითხვა იბადება, შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას თავის პროგრამაში შეიტანოს ზემოაღნიშნულის მსგავსი მოთხოვნები? შეუძლია თუ არა მას იკისროს აგიტაციის გაწევა გლეხობაში? ხომ არ გამოიწვევს ეს იმას, რომ ჩვენ დავიქსაქსებით და ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან რევოლუციურ ძალებს ავაცდენთ მოძრაობის მთავარსა და ერთადერთ საიმედო კალაპოტს?

ასეთი მოსაზრებანი დამყარებულია გაუგებრობაზე. დიახ, ჩვენ უსათუოდ უნდა შევიტანოთ ჩვენს პროგრამაში მოთხოვნები მონობის ყველა ნაშთისაგან ჩვენი სოფლის განთავისუფლების შესახებ, მოთხოვნები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ გლეხობის საუკეთესო ნაწილში დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლა თუ არა, ყოველ შემთხვევაში მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის შეგნებული მხარდაჭერა მაინც. ჩვენ შეცდომას დავუშვებდით ისეთი ზომების დაცვა რომ დაგვეწყო, რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ საზოგადოებრივი განვითარება, ან ხელოვნურად გადაეღობონ წვრილ გლეხობაში კაპიტალიზმის ზრდას, მსხვილი წარმოების განვითარებას; მაგრამ კიდევ უფრო დამღუპველი შეცდომა იქნებოდა, თუ ვერ შევძლებდით გვესარგებლნა მუშათა მოძრაობით გლეხობაში იმ დემოკრატიული მოთხოვნების გასავრცელებლად, რომლებიც ვერ შეასრულა 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ მემამულეებისა და მოხელეების მიერ მისი დამახინჯების გამო. ასეთი მოთხოვნების ჩართვა პროგრამაში აუცილებელია ჩვენი პარტიისათვის, თუ კი მას სურს სათავეში ჩაუდგეს მთელ ხალხს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში *. მაგრამ ასეთი ჩართვა სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ აქტიურ რევოლუციურ ძალებს ქალაქიდან სოფლად გავიწვევთ. ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

* სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტი ზემოაღნიშნული მოთხოვნების ჩართვით უკვე შედგენილია ჩვენს მიერ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის დახმარებით ამ პროექტის განხილვისა და გადამუშავების შემდეგ გამოვაქვეყნებთ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პარტიის ყველა მებრძოლი ელემენტი ქალაქისა და ფაბრიკა-ქარხნების ცენტრებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, რომ მხოლოდ სამრეწველო პროლეტარიატს შესწევს უნარი მტკიცე და მასობრივი ბრძოლა აწარმოოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ამ პროლეტარიატს შესწევს უნარი თავის მხრებზე გადაიტანოს ბრძოლის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა აშკარა დემონსტრაციის მოწყობა ან წესიერად გამომავალი და ფართოდ გასავრცელებელი ს ა ხ ა ლ ხ ო პოლიტიკური გაზეთის დაარსება. გლეხთა მოთხოვნები იმისთვის კი არ უნდა შევიტანოთ ჩვენს პროგრამაში, რომ ქალაქიდან სოფლად გავიწვიოთ მტკიცე რწმენის სოციალ-დემოკრატები და სოფელზე მივამაგროთ ისინი, არამედ იმისთვის, რომ ხელმძღვანელობა გავუწიოთ მოღვაწეობისათვის იმ ძალებს, რომლებიც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სხვაგან იქნან გამოყენებული, თუ არა სოფელში, იმისთვის, რომ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის პოლიტიკურ ბრძოლაში გამოვიყენოთ ის კავშირურთიერთობა სოფელთან, რომელიც მთელ რიგ გარემოებათა გამო მოეპოვებათ სოციალ-დემოკრატიისთვის თავდადებულ საკმაოდ ბევრ ინტელიგენტს და მუშას და რომელიც აუცილებლად ფართოვდება და იზრდება მოძრაობის ზრდასთან ერთად. ჩვენ უკვე დიდი ხანია გავცდით იმ სტადიას, როცა ჯერ კიდევ მოხალისეთა პატარა რაზმს წარმოვადგენდით, როცა სოციალ-დემოკრატიული ძალების მთელი მარაგი ახალგაზრდობის წრეებით ამოიწურებოდა, უკლებლივ ყველანი რომ «მუშებთან დადიოდნენ». ჩვენი მოძრაობის განკარგულებაში ახლა მთელი არმიაა, სოციალიზმისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას მოწყურებული მუშების არმია,—არმია ინტელიგენტებისა, რომლებიც იღებდნენ და იღებენ მონაწილეობას მოძრაობაში და ამჟამად უკვე გაფანტული არიან რუსეთის ყველა კუთხეში, — არმია თანამგრძნობთა, რწმენითა და იმედით რომ შეჰყურებენ მუშათა მოძრაობას და მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ მას ხელი. და ჩვენს წინაშე დგას დიადი ამოცანა: დავრაზმოთ ყველა ეს არმია, დავრაზმოთ ისე, რომ შეგვეძლოს არა მხოლოდ წუ-

თიერ მღელვარებათა მოწყობა, არა მხოლოდ შემთხვევითი, დაქსაქსული (და ამიტომაც არა საშიშარი) იერიშების მიტანა მტერზე, არამედ შეგვეძლოს მისი დევნა შეუდრეკელი, შეუპოვარი და გამობრძმედილი ბრძოლით მთელ ხაზზე, შეგვეძლოს თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან, სადაც კი ის სთესავს ჩაგვრას და იმკის სიძულვილს. და განა ასეთი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ გლეხობის მრავალმილიონიან მასაში არ შევიტანეთ კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური შეგნების თესლი? და ნუ ამბობთ, თითქოს ასეთი შეტანა არ შეიძლებოდეს: ეს არამც თუ შეიძლება, ეს უკვე ხდება კიდევაც, ეს წარმოებს ათასი გზით, ჩვენს ყურადღებას რომ ეპარება და ვერ ვახდენთ მათზე ზემოქმედებას. ეს იწარმოებს განუზომლად უფრო ფართოდ და სწრაფად, როცა ჩვენ შევძლებთ ლოზუნგის მიცემას ასეთი ზემოქმედებისათვის და ავაფრიალებთ სამარცხვინო ბატონყმობის ყველა ნაშთისაგან რუსი გლეხობის განთავისუფლების დროშას. ქალაქებში ჩამოსული სოფლის ხალხი ახლაც კი ცნობისმოყვარეობით და ინტერესით აკვირდება მისთვის გაუგებარ ბრძოლას, რომელსაც მუშები აწარმოებენ, და ამ ბრძოლის ამბავს ყველა მიყრუებულ კუთხეში ავრცელებს. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გარედან მაყურებელთა ეს ცნობისმოყვარეობა შეიცვალოს თუ სრული გაგებით არა, ყოველ შემთხვევაში იმის ბუნდოვანი შეგნებით მაინც, რომ მუშები იბრძვიან მთელი ხალხის ინტერესებისათვის, შეიცვალოს სულ უფრო და უფრო მეტი თანაგრძნობით მუშების ბრძოლისადმი. ხოლო მაშინ — პოლიციურ მთავრობაზე რევოლუციური მუშათა პარტიის გამარჯვების დღე მოახლოვდება ჩვენთვისვე მოულოდნელი სისწრაფით.

დაწერილია 1901 წლის თებერვალში

დაიბეჭდა 1901 წლის აპრილს
გაზეთ «ისკრის» № 3-ში

იბეჭდება «ისკრის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 სტატია «ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის (პროფ. კარიშევის ახალი სტატისტიკური გმირობანი)» დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», რომელიც გამოვიდა 1898 წლის ოქტომბერში (კრებულის გარეკანზე და თავფურცელზე აღნიშნულია 1899 წელი). — 1.

2 «მირ ბოჟი» — ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ლიტერატურული და მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1892 წლიდან 1906 წლამდე. 1898 წელს ამ ჟურნალში დაიბეჭდა ლენინის რეცენზია ა. ბოგდანოვის წიგნზე «ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი» (იხ. ეს ტომი, გვ. 43). 1906-დან 1918 წლამდე ჟურნალი გამოდიოდა «სოვრემენი მირის» სახელწოდებით. — 19.

3 ნ. —ონი ანუ ნიკოლაი —ონი (ფსევდონიმები ნ. ფ. დანიელსონისა) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი. — 19.

4 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი მე-3, გვ. 1 — 719). — 20.

5 რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის 28 იანვრის (9 თებერვლის) პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემები იბეჭდებოდა 1897 — 1905 წლებში. ამ აღწერის შედეგები გამოიყენა ლენინმა თავისი წიგნის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» ხელმეორედ გამოცემისას 1908 წელს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი მე-3). — 36.

6 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 640 — 641. — 52.

7 კოლონები — ძველ რომის იმპერიაში მსხვილ მიწათმფლობელთა მიწის პატარ-პატარა ნაკვეთების მოიჯარადრეები. მიწის ნაკვეთებით სარგებლობისთვის კოლონები იხდიდნენ ღალას ნატურით ან ფულად. შემდგომ, დავალიანების გამო, კოლონები მიწათმფლობელთა ყმები გახდნენ. — 52.

8 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 688 — 716. — 53.

9 ვ. ვ. (ვ. პ. ვორონცოვის ფსევდონიმი) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი. — **55.**

10 ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა — ზედმეტი ღირებულება. 90-იანი წლების ნაშრომებში ლენინი ხმარობს ტერმინს «ზეღირებულება» ტერმინ «ზედმეტი ღირებულება»-სთან ერთად. შემდეგში ის ხმარობს მხოლოდ ტერმინს «ზედმეტი ღირებულება».

ჟურნალში «ნაუჩნოე ობოზრენიე», სადაც პირველად დაიბეჭდა «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის», რედაქციამ ლენინთან შეუთანხმებლად ტერმინი «ღირებულება» შესცვალა ტერმინით «ფასეულობა». ლენინმა მაშინვე, შენიშვნაში სტატიისადმი «კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის», ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის ამ საკითხში არ ეთანხმებოდა რედაქციას (იხ. ეს ტომი, გვ. 79). — **56.**

11 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 408 — 409, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 503 — 504. — **58.**

12 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 274 — 275 და 733 — 750. — **58.**

13 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 220 — 221, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 262 — 263. — **59.**

14 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 274, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 329 — 330. — **61.**

15 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 224 — 225, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 268 — 269. — **61.**

16 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 429. — **61.**

17 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 272, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 335. — **61.**

18 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 313 — 337, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 386 — 416. — **65.**

19 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 18, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 17. — **67.**

20 «ნ ა უ ჩ ნ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1894-დან 1903 წლამდე.

ამ ჟურნალში ლენინმა მოათავსა სტატიები «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის», «კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის» და სტატია «არაკრიტიკული კრიტიკა» (იხ. ეს ტომი, გვ. 55 — 67, 78 — 102, და თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. მე-3, გვ. 721 — 750). — **67.**

21 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 639 — 641. — 69.

22 «ნ ა ჩ ა ლ ო» — «ლეგალური მარქსისტების» ყოველთვიური ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1899 წლის პირველ ნახევარში პ. ბ. სტრუვეს, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკის და სხვ. რედაქციით. ჟურნალში იბეჭდებოდა ავრეთვე გ. ვ. პლეხანოვის, ვ. ი. ზასულიჩისა და სხვ. სტატიები. ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ 1899 წლის ივნისში. — 70.

23 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1945, გვ. 237. ლენინი აქ იმოწმებს ერთ თავს «კრიტიკული ისტორიიდან», რომელიც დაწერილია მარქსის მიერ (იხ. განყოფილება მეორე, თავი X). — 80.

24 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1936, გვ. 498, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 649. — 80.

25 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 310 — 311, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 383 — 384. — 80.

26 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 311 — 337, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 384 — 416. — 80.

27 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 337, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 416. — 83.

28 ლენინი, ენგელსის მითითების შესაბამისად, «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს» მ ე ო თ ხ ე ტ ო მ ს უწოდებს მარქსის ნაწარმოებს «ზედმეტი ღირებულების თეორიები». «კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობაში ენგელსი წერდა: «მე გამოსაქვეყნებლად ვიტოვებ ამ ხელნაწერის კრიტიკულ ნაწილს «კაპიტალის» IV წიგნის სახით, მასთან იქიდან ამოღებული იქნება მრავალი ადგილი, რომლებიც ამოწურულია II და III წიგნში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 2) — 83.

29 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 741. — 83.

30 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1936, გვ. 497 — 498. ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 648 — 649. — 84.

31 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 740. — 85.

32 ნ ე ო კ ა ნ ტ ე ლ ო ბ ა — ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეს მიმდინარეობა ხელახლა აღადგენდა კანტის ფილოსოფიის ყველაზე უფრო რეაქციულ, იდეალისტურ დებულებებს. ლოზუნგით «უკან, კანტისაკენ!» ნეოკანტელები იბრძოდნენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. ენგელსმა წიგნში «ლუდვიგ ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის აღსასრული»

ნეოკანტელები დაახასიათა როგორც «თეორიული რეაქციონერები», «უბადრუკი ეკლექტიკოსები და ნამცეცებისთვის მებრძოლნი». ნეოკანტელები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში (ე. ბერნშტეინი, კ. შმიდტი და სხვ.) რევიზიას უკეთებდნენ მარქსისტულ ფილოსოფიას, მარქსის ეკონომიურ თეორიას და მის მოძღვრებას კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. რუსეთში ნეოკანტელობის მომხრეები იყვნენ «ლეგალური მარქსისტები», ესერები, მენშევიკები. რეაქციული ნეოკანტიანური ფილოსოფიის ყოველმხრივი კრიტიკა მოგვცა ლენინმა წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». — **88.**

33 ლენინს მხედველობაში აქვს გ. ვ. პლეხანოვის (ნ. ბელტოვის) წიგნი «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის», რომელიც ლეგალურად გამოიცა პეტერბურგში 1895 წელს, და მისივე წიგნი «ნარკვევები მატერიალიზმის ისტორიიდან», რომელიც გერმანულ ენაზე გამოვიდა შტუტგარტში 1896 წელს. — **88.**

34 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 408, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 503 — 504. — **98.**

35 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 732. — **94.**

36 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ახახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 1, გვ. 397 — 616). — **98.**

37 მ ა ი ო რ ა ტ ე ბ ი — მემამულეთა დიდი საგვარეულო მამულები, რომელნიც განუყოფლად გვარიდან გვარში გადადიოდა მემკვიდრეობით უფროს შვილზე ან გვარის უფროსზე. — **107.**

38 «უ ი ზ ნ» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1897-დან 1901 წლამდე; 1902 წელს გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1899 წლიდან ჟურნალი «ლეგალური მარქსისტების» ხელში იყო. — **117.**

39 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 544 — 545. — **181.**

40 ფ რ ი ტ რ ე დ ე რ ე ბ ი — თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები. ინგლისსა და საფრანგეთში ფრიტრედერები გამოხატავდნენ უმთავრესად სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. XIX საუკუნის 30 — 40-იან წლებში ფრიტრედერობის დასაყრდენი ინგლისში იყვნენ მანჩესტერის მრეწველები, ამიტომ ფრიტრედერებს უწოდებდნენ აგრეთვე «მანჩესტერლებს». ფრიტრედერობის თეორიული დასაბუთება მოცემულია ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაწარმოებებში. — **151.**

41 ლაპარაკია კ. მარქსის სტატიაზე, რომელიც მიძღვნილია ე. დე ჟირარდენის ნაწარმოების «Le socialisme et l'impôt» («სოციალიზმი და გადასახადი») კრიტიკისადმი. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 306 — 317.

სტატია დაიბეჭდა ჟურნალში «ახალი რეინის გაზეთის მიმოხილვა» № 4, რომელიც გამოვიდა 1850 წლის მაისში. ჟურნალს სცემდა კ. მარქსი 1850 წელს ლონდონში და ის «ახალი რეინის გაზეთის» გაგრძელებას წარმოადგენდა. — **157.**

42 იგულისხმება ორტომეული «Влияние урожаев и хлебных цен на некоторые стороны русского народного хозяйства», შედგენილი ლიბერალურ-ბურჟუაზიული და ნაროდნიკული მიმართულების ავტორთა ჯგუფის მიერ პროფ. ა. ი. ჩუპროვისა და ა. ს. პოსნიკოვის რედაქციით (1897 წ.). ლენინი ამ გამოცემას გაეცნო გადასახლებაში ყოფნის დროს და გააკრიტიკა ის წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». — **161.**

43 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 542 — 716. — **162.**

44 ფიდეიკომისი — მემკვიდრეობის მიღების სისტემა მსხვილ მიწათმფლობელობაში. ამ სისტემის მიხედვით მიწის მფლობელობა გადადის მემკვიდრეობის გადამცემის პირველი შვილის სარგებლობაში, მაგრამ მას უფლება არა აქვს დააგირაოს, დააქუცმაცოს ან გაასხვისოს (გაყიდოს) მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ.

Anerbenrecht — ფიდეიკომისის გლეხური სახესხვაობა, რომელიც მიწათმფლობელს რაოდენადმე მეტ თავისუფლებას ანიჭებს მემკვიდრეობით მიღებული მიწის მფლობელობის გამგებლობის მხრივ, მაგრამ მემკვიდრეობის დაყოფას სწორედ ისევე უკრძალავს. — **170.**

45 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 562. — **172.**

46 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 220 — 221, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 263. — **191.**

47 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 274, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 330. — **198.**

48 «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» ლენინმა დაწერა გადასახლებაში ყოფნის დროს 1899 წელს. იგი მიმართული იყო «Credo»-ს — «ეკონომისტების» ჯგუფის (ს. ნ. პროკოპოვიჩის, ე. დ. კუსკოვას და სხვების, რომლებიც შემდგომ კადეტები გახდნენ) მანიფესტის წინააღმდეგ. ლენინმა «Credo» მიიღო თავისი დის ა. ი. ელიზაროვას საშუალებით და მაშინვე დასწერა მკაცრი მამხილებელი პროტესტი.

«პროტესტი» განხილულ და ერთსულოვნად მიღებულ იქნა პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებული 17 მარქსისტის თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო ლენინის მიერ მინუსინსკის ოკრუგის სოფ. ერმაკოვსკოეში. «პროტესტს» შეუერთდნენ ტურუხანსკისა და ორიოლის (ვიატსკის გუბ.) გადასახლებულთა კოლონიები.

«რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» ლენინმა საზღვარგარეთ გადაუგზავნა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. 1900 წლის დამდეგს «პროტესტი» გადაბეჭდილ იქნა ეკონომიზმის წინააღმდეგ მიმართულ გ. ვ. პლეხანოვის კრებულში «Vademecum (ცნობარი. რ ე დ.) «რაბოჩეე დელოს» რედაქციისთვის». — 197.

49 მ უ შ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა — I ინტერნაციონალი, პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო მასობრივი ორგანიზაცია, დაარსებული მარქსის მიერ ლონდონში 1864 წლის შემოდგომაზე. მარქსმა დასძლია მუშათა მოძრაობაში მაშინ გაბატონებული ბურჟუაზიული გავლენა და სექტანტური ტენდენციები (ტრედ-უნიონიზმი ინგლისში, პრუდონიზმი და ანარქიზმი რომანულ ქვეყნებში) და I ინტერნაციონალის რიგებში შეამჭიდროვა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის მოწინავე მუშები და მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალის მთელ რიგ კონგრესებზე აღიარებულ იქნა სოციალიზმისთვის მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა. I ინტერნაციონალის ისტორიული როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან, როგორც ლენინი აღნიშნავს, «საძირკველი ჩაუყარა მუშების საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალის წინააღმდეგ მათი რევოლუციური ომრაბის მოსამზადებლად». პარიზის კომუნის შემდეგ მუშათა კლასის წინაშე წამოიჭრა მასობრივი ნაციონალური მუშათა პარტიების შექმნის ამოცანა I ინტერნაციონალის მიერ მიღებული პრინციპების საფუძველზე. მაგრამ ინტერნაციონალის ორგანიზაციის ფორმა უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ ამოცანებს, და მარქსის ინიციატივით ის დაშლილ იქნა 1872 წელს. — 207.

50 «ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი ა დ ა» (ბერნშტეინელობა) — საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში არსებული, მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილი, მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XIX საუკუნის დამლევს და რომელსაც დაერქვა გერმანელი სოციალ-დემოკრატის ედუარდ ბერნშტეინის სახელი. ბერნშტეინმა რევიზია გაუკეთა მარქსის რევოლუციურ მოძღვრებას ბურჟუაზიული ლიბერალიზმის შესაბამისად.

რუსეთში ბერნშტეინის მომხრეები იყვნენ «ლეგალური მარქსისტები», «ეკონომისტები», ბუნდელები, მენშევიკები. — 207.

51 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 142 — 149, თავი V, «გაფიცვები და მუშათა კოალიციები». — 208.

52 ლენინი აქ აკრიტიკებს ლასალელების ცნობილ თეზისს იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის მიმართ ყველა დანარჩენი კლასი მხოლოდ რეაქციულ მასას წარმოადგენსო. ეს თეზისი შეტანილ იქნა გერმანიის სოციალ-დემოკრატების პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა 1875 წელს გოთას ყრილობაზე მანამდე ცალ-ცალკე არსებული გერმანიის ორი სოციალისტური პარტიის — ეიზენახელებისა და ლასალელების გაერთიანების დროს.

კ. მარქსმა «გოთას პროგრამის კრიტიკაში» ამხილა ამ თეზისის ანტირევოლუციური ხასიათი (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 454 — 455). — 209.

53 «რუსეთის მუშების ჩრდილოეთის კავშირი», დაარსებული 1878 წელს პეტერბურგში, იყო მუშათა კლასის ერთ-ერთი პირველი რევოლუციურ-პოლიტიკური ორგანიზაცია რუსეთში. კავშირს სათავეში ედგნენ დურგალი სტეფან ხალტურინი და ზეინკალი ვიქტორ ობნორსკი. კავშირი ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა გაფიცვებს, მან გამოუშვა მთელი რიგი პროკლამაციები გაფიცულებისადმი. კავშირში ირიცხებოდა დაახლოებით 200 წევრი. 1879 წელს კავშირი გაანადგურა მეფის მთავრობამ. კავშირის დაუპატიმრებელმა წევრებმა 1880 წლის თებერვალში გამოუშვეს რუსეთის პირველი მუშათა გაზეთის «რაბოჩაია ზარიას» ერთი ნომერი. — 210.

54 «მუშათა სამხრეთ-რუსეთის კავშირი», დაარსებული 1875 წელს ოდესაში ე. ო. ზასლავსკის მიერ, იყო პირველი მუშათა რევოლუციურ-პოლიტიკური ორგანიზაცია რუსეთში. 8—9 თვის არსებობის შემდეგ კავშირი გაანადგურა მეფის მთავრობამ. — 210.

55 «რაბოჩაია მისლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა 16 ნომერი. რედაქტორი იყო კ. მ. ტახტარევი და სხვ.

«რაბოჩაია მისლის» შეხედულებების, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის, კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ «ისკრაში» და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 212.

56 «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკ» — არალეგალური გაზეთი, პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირის» ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის თებერვალში (დათარიღებულია იანვრით), დაიბეჭდა რუსეთში მიმეო-

გრაფზე 300 — 400 ეგზემპლარის რაოდენობით, და № 2 — 1897 წლის სექტემბერს ჟენევაში (შვეიცარია). — **212.**

57 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — სოციალ-დემოკრატების კიევის ჯგუფის არალეგალური ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის აგვისტოში და № 2 — იმავე წლის დეკემბერში (დათარიღებულია ნოემბრით). რსდმპ I ყრილობამ «რაბოჩაია გაზეტა» აღიარა პარტიის ოფიციალურ ორგანოდ. ყრილობის შემდეგ, პოლიციის მიერ სტამბის განადგურებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაპატიმრების გამო, გაზეთი აღარ გამოსულა. 1899 წელს მისი განახლების ცდის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 247 — 249. — **212.**

58 რ ს დ მ პ პ ი რ ვ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა შესდგა 1898 წლის მარტს მინსკში. ყრილობას დაესწრო 9 დელეგატი 6 ორგანიზაციისგან: პეტერბურგის, მოსკოვის, ეკატერინოსლავისა და კიევის «მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირებისაგან», კიევის «რაბოჩაია გაზეტას» ჯგუფისგან და ბუნდისგან.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი, პარტიის ოფიციალურ ორგანოდ დაამტკიცა «რაბოჩაია გაზეტა», გამოაქვეყნა «მანიფესტი» და «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად გამოაცხადა. მალე ყრილობის შემდეგ ცენტრალური კომიტეტი დააპატიმრეს.

რსდმპ I ყრილობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავის გადაწყვეტილებებსა და «მანიფესტში» გამოაცხადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. — **212.**

59 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ნაროდნიკული ფარული საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 1879 წელს მეფის თვითმპყრობელობასთან რევოლუციური ბრძოლისთვის.

ნაროდოვოლცების მიერ მეფე ალექსანდრე II მოკვლის (1881 წლის 1 (13) მარტს) ცოტა ხნის შემდეგ «ნაროდნაია ვოლია» გაანადგურა მეფის მთავრობამ. ამის შემდეგ ნაროდნიკების უმრავლესობამ ხელი აიღო ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე და დაიწყო მეფის თვითმპყრობელობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკობის ეს ეპიგონები — XIX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალი ნაროდნიკები — კულაკობის ინტერესების გამომხატველნი გახდნენ.

«ნაროდნაია ვოლიას» მოღვაწეობის შეფასება იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», თავი პირველი. — **214.**

60 ვ. ი. ლენინის რეცენზია ს. ნ. პროკოპოვიჩის წიგნზე «მუშათა მოძრაობა დასავლეთში» იბეჭდება არასრული ხელნაწერის მიხედვით.

მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის არქივში მოიპოვება ხელნაწერის 4 — 15 გვერდი; ხელნაწერის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. — **216.**

61 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868-დან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ის იყო ზომიერი ლიბერალური ორგანო, 1876 წლიდან რეაქციონერ თავადაზნაურთა და მოხელე-ბიუროკრატთა წრეების ორგანო გახდა. გაზეთი ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო გახდა. — **227.**

62 «Zur Kritik» — დასაწყისი კ. მარქსის წიგნის სახელწოდებისა «Zur Kritik der politischen Okonomie» — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XII, ნაწ. I, 1935, გვ. 1 — 170). ლენინი აქ იმოწმებს ამ წიგნის 1896 წლის რუსულ გამოცემას. — **232.**

63 ლენინს მხედველობაში აქვს «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», დაწერილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ და გამოცემული 1848 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939). — **232.**

64 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1940, გვ. 329. — **233.**

65 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I. 1940, გვ. 329 — 330. — **233.**

66 სტატიები «ჩ ვ ე ნ ი პ რ ო გ რ ა მ ა», «ჩ ვ ე ნ ი უ ა ხ ლ ო ე ს ი ა მ ო ც ა ნ ა» და «ს ა ა რ ს ე ბ ო ს ა კ ი თ ხ ი» ლენინმა დასწერა გადასახლებაში ყოფნის დროს. ეს სტატიები განკუთვნილი იყო «რაბოჩაია გაზეტასთვის», რომელიც რსდმპ I ყრილობაზე აღიარებულ იქნა პარტიის ოფიციალურ ორგანოდ. 1899 წელს სცადეს გაზეთის გამოცემის განახლება, და რედაქტორთა ჯგუფმა წინადადებით მიმართა ლენინს ეკისრა გაზეთის რედაქტორობა, ხოლო შემდეგ თანამშრომლობა სთხოვეს. ეს სტატიები წერილთან ერთად ლენინმა გაუგზავნა რედაქტორთა ჯგუფს. გაზეთის განახლება ვეღარ მოხერხდა, და სტატიებიც დაუბეჭდავი დარჩა. — **245.**

67 ბერნშტეინის რევიზიონისტულ შეხედულებებს იზიარებდნენ რუსეთის ოპორტუნისტები — «ეკონომისტები» და ბუნდელები. ბერნშტეინი ნაშრომში «სოციალიზმის წანამძღვრები» მათ თანხმობას თავის შეხედულებებთან რუსი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის თანხმობად ასაღებდა.— **248.**

68 ლაპარაკი» გათიშვაზე, რომელიც მოხდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» I ყრილობაზე 1898 წლის ნოემბერს ციურიხში (შვეიცარია). გათიშვის მიზეზი ის იყო, რომ კავშირის წევრთა უმრავლესობა (ეგრეთწოდებული «ახალგაზრდები») «ეკონომიზმს» მიემხრო. ამასთან დაკავშირებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა ჯერ უარი სთქვა კავშირის გამოცემათა რედაქტორობაზე, შემდგომ კი გამოეთიშა მას. — **248.**

69 კრებული «პ რ ო ლ ე ტ ა რ ს კ ა ი ა ბ ო რ ბ ა» № 1, გამოცემული «ურალის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის» მიერ, დაიბეჭდა 1899 წელს ჯგუფის სტამბაში. ამ კრებულის ავტორები, რომელნიც «ეკონომიზმის» პოზიციებზე იდგნენ, უარჰყოფდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას, ფიქრობდნენ პოლიტიკური რევოლუცია საყოველთაო გაფიცვის საშუალებით შეიძლება მოვახდინოთო. კრებულის ავტორთა შეხედულებების დახასიათება და შეფასება იხ. IV თავში ლენინის ნაშრომისა «რა ვაკეთოთ?». — **249.**

70 ლაპარაკი «ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს» შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 271 — 306). — **249.**

71 იგულისხმება რსდმპ II ყრილობა, რომლის მოწვევა განზრახული იყო 1900 წლის გაზაფხულზე. ამ პერიოდში პარტიული ყრილობის მოწვევისადმი ლენინის დამოკიდებულების შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 395 და 432. — **249.**

72 ფ. პ. — ლენინის ერთ-ერთი ფსევდონიმი. — **249.**

73 იგულისხმება გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ბერნშტეინი და მატერიალიზმი», რომელიც დაიბეჭდა 1898 წლის ივლისში გერმანულ სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის «Die Neue Zeit»-ის («ახალი დროება») № 44-ში. რუსული გამოცემა იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XI. 1928, გვ. 13 — 26. — **252.**

74 გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ჰ ა ნ ო ვ ე რ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა 1899 წლის 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე (9 — 14 ოქტომბრამდე). დღის წესრიგის მთავარ საკითხზე — «თავდასხმები პარტიის ძირითად შეხედულებებსა და ტაქტიკაზე» — ყრილობამ გაილაშქრა ბერნშტეინის რევიზიონისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ, მაგრამ ბერნშტეინიანობის ფართო კრიტიკა მას არ მოუცია. — **252.**

75 იგულისხმება 1897 წ ლ ი ს 2 (14) ი ვ ნ ი ს ი ს კ ა ნ ო ნ ი, რომელიც სამრეწველო საწარმოებსა და რკინიგზის სახელოსნოებში აწესებდა

11½-საათიან სამუშაო დღეს. ამ კანონის შემოღებამდე რუსეთში სამუშაო დღე განსაზღვრული არ იყო და 14 — 15 საათს აღწევდა. მეფის მთავრობა იძულებული იყო 1897 წლის 2 ივნისს კანონი გამოეცა მუშათა მოძრაობის ზეგავლენით; ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ლენინური «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი». ამ კანონის ვრცელი განხილვა და კრიტიკა ლენინმა მოგვცა ბროშურაში «ახალი საფაბრიკო კანონი» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 325 — 386). — **255.**

76 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 37. — **258.**

77 გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შემოიღეს გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, მუშათა პრესა, კონფისკაციას უკეთებდნენ სოციალისტურ ლიტერატურას, დაიწყო სოციალ-დემოკრატების გადასახლება. მასობრივი მუშათა მოძრაობის ზეგავლენით 1890 წელს კანონი სოციალისტების წინააღმდეგ გაუქმებულ იქნა. — **267.**

78 «V o r w ä r t s» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთის გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვ. რედაქციით. ამ გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი აწარმოებდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — **268.**

79 ხელნაწერის ნაწილი დაკარგულია. — **270.**

80 «ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი» ლენინმა დასწერა გადასახლებაში ყოფნის დროს. ამას მოწმობს ხელნაწერზე ლენინის მიერ აღნიშნული თარიღი «[1899]» და აგრეთვე წერილი «ჩაბოჩაია გაზეტას» რედაქტორთა ჯგუფისადმი (იხ. ეს ტომი, გვ. 249). — **271.**

81 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 445. — **274.**

82 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1936, გვ. 656, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 834. — **279.**

83 «ე რ ფ უ რ ტ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა» გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა მიღებულ იქნა 1891 წლის ოქტომბერში ერფურტის ყრილობაზე 1875

წლის გოთას პროგრამის ნაცვლად, რომლის შეცდომებიც გამოააშკარავა კ. მარქსმა თავის ნაშრომში «გოთას პროგრამის კრიტიკა». — **279.**

34 ლენინს მხედველობაში აქვს «დროებითი წესები უმაღლეს სასწავლებელთა იმ მოსწავლეების მხრივ სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ, რომელთაც ამ სასწავლებლებიდან აძევებდნენ უწესოებათა ერთობლივად ჩადენისთვის». 1899 წლის 29 ივლისს (10 აგვისტოს) დამტკიცებული ამ წესების საფუძველზე იმ სტუდენტებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ გამოსვლებში უმაღლეს სასწავლებელში დამყარებული პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ, აძევებდნენ უნივერსიტეტებიდან და ჯარისკაცებად გზავნიდნენ მეფის არმიაში ვადით ერთი წლიდან სამ წლამდე. «დროებითი წესების» გაუქმების მოთხოვნით გამოვიდნენ რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები (იხ. ლენინის სტატია «183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად» ამ ტომში, გვ. 510 — 516). — **288.**

35 ს ე რ ვ ი ტ უ ტ ი — სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლება. ამ შემთხვევაში ლენინს მხედველობაში აქვს ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთები დასავლეთ მხარეში. 1861 წლის რეფორმის შემდეგ გლეხები იძულებული იყვნენ დამატებითი ბეგარები მოეხადათ ხოლმე მემამულეებისთვის საერთო გზებით, სათიბებით, საძოვრებით, წყალსაცავებით და სხვ. სარგებლობის უფლებისთვის. — **294.**

36 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 332. — **296.**

37 პეტერბურგის «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» დააარსა ლენინმა 1895 წლის შემოდგომაზე. კავშირმა გააერთიანა პეტერბურგის ყველა მარქსისტული მუშათა წრე. «ბრძოლის კავშირს» სათავეში ედგა ცენტრალური ჯგუფი, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა. «ბრძოლის კავშირმა» რუსეთში პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება, მოწინავე მუშათა მცირე წრეში მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა კლასის ფართო მასებში პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა.

პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენდა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა ზ ე დ ა ყ რ დ ნ ო ბ ი ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ი პ ა რ ტ ი ი ს პირველ სერიოზულ ჩ ა ნ ა ს ა ხ ს» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 28). — **308.**

38 კიევის «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» დაარსდა 1897 წლის მარტში პეტერბურ-

გის «ბრძოლის კავშირის» ზეგავლენით. კიევის «ბრძოლის კავშირი» აქტიურ მონაწილეობას იღებდა რსდმპ I ყრილობის მომზადებაში. — 308.

89 ბ უ ნ დ ი — «ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი» ლიტვასა, პოლონეთსა და რუსეთში» — დაარსებულ იქნა 1897 წელს, უმთავრესად აერთიანებდა რუსეთის დასავლეთი ოლქების ებრაელ ხელოსნებს. რსდმპ I ყრილობაზე, 1898 წლის მარტში, ბუნდი შევიდა რსდმპ-ში. რსდმპ II ყრილობაზე ბუნდელებმა მოითხოვეს — ბუნდი ეცნოთ ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. მას შემდეგ, რაც ყრილობამ უარჰყო ბუნდის ორგანიზაციული ნაციონალიზმი, ბუნდი გავიდა პარტიიდან. 1906 წელს, IV («გამაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ, ბუნდი კვლავ შევიდა რსდმპ-ში.

ბუნდელები მუდამ მხარს უჭერდნენ მენშევიკებს და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბუნდი ფორმალურად რსდმპ შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ არსებითად ის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ორგანიზაცია იყო. ბოლშევიკების პროგრამულ მოთხოვნას — ერთა თვითგამორკვევის უფლებას — ბუნდი უპირისპირებდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას. 1914 — 1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ბუნდელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგნენ; 1917 წელს ბუნდი მხარს უჭერდა კონტრრევოლუციურ დროებითს მთავრობას, იბრძოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მტრების მხარეზე. სამოქალაქო ომის წლებში გამოჩენილი ბუნდელები დაუკავშირდნენ კონტრრევოლუციის ძალებს. ამავე დროს ბუნდის რიგითს წევრებში დაიწყო გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საესარგებლოდ. როდესაც აშკარა გახდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შინაურ კონტრრევოლუციასა და უცხოელ ინტერვენტებზე, ბუნდმა განაცხადა — ხელს ვიღებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზეო. 1921 წლის მარტში ბუნდმა გამოაცხადა თვითლიკვიდაცია, მის წევრთა ერთი ნაწილი შევიდა რკპ(ბ)-ში საერთო წესით. პარტიაში შესულთა შორის ერივნენ თვალთმაქცნი, რომლებიც პარტიაში შევიდნენ მის შიგნიდან ასაფეთქებლად; შემდეგში ისინი ამხილეს როგორც ხალხის მტრები. — 308.

90 ლაპარაკია ლ. მარტოვის ბროშურაზე «წითელი დროშა რუსეთში», რომელიც გამოიცა საზღვარგარეთ 1900 წლის ოქტომბერში. — 311.

91 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — კრებული (ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა), სცემდა 1890— 1892 წლებში საზღვარგარეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი; გამოვიდა ოთხი წიგნი.

ლენინის მიერ მოხსენებული პლეხანოვის სტატიები საერთო სა-

თაურით «ნ. გ. ჩერნიშევსკი» დაიბეჭდა კრებულის №№ 1 — 3-ში 1890 წელს და № 4-ში 1892 წელს. — 328.

92 ბ ა ლ ა ლ ა ი კ ი ნ ი — მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოების «თანამედროვე იდილია»-ს პერსონაჟი; ლიბერალი მოლაყბე, ავანტურისტი და ცრუპენტელა. — 338.

93 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, მისი გამოცემა დაიწყო 1756 წელს; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქიული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ბეჭდვითი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — 352.

94 «გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ» — რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1872-დან 1914 წლამდე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესი მონარქისტების ორგანოს წარმოადგენდა. გაზეთი არსებობდა უმთავრესად მეფის მთავრობის სუბსიდიით. — 352.

95 ი ო ა ნ ე კ რ ო ნ შ ტ ა დ ტ ე ლ ი (ი. ი. სერგეევი) — კრონშტადტის ტაძრის მღვდელი. ბნელეთის მოციქული, სახელი გაითქვა არა რუს ეროვნებათა პოგრომული დევნით. — 354.

96 სტატია «გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინმა დასწერა გადასახლებაში ყოფნის დროს «რაბოჩაია გაზეტასთვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 249, «წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი»). მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება სტატიის მხოლოდ პირველი ნაწილი. იყო თუ არა დაწერილი ორი დანარჩენი ნაწილი — ეს დადგენილი არ არის. — 378.

97 ლენინს ციტატი მოჰყავს ფ. ენგელსის წიგნიდან «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 507. — 385.

98 «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი, დაარსებული ლენინის მიერ 1900 წელს. რევოლუციონერ მარქსისტთა ამ მებრძოლი ორგანოს დაარსება იყო «ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა იმ რგოლთა ჯაჭვში და იმ ამოცანების ჯაჭვში, რომელნიც მაშინ პარტიის წინაშე იდგნენ» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ვინაიდან რევოლუციური გაზეთის გამოცემა რუსეთში პოლიციის დევნის გამო შეუძლებელი იყო, ლენინმა ჯერ კიდევ ციმბირში გადასახლებაში ყოფნის დროს ყოველმხრივ დეტალურად მოისაზრა მისი საზღვარგარეთ გამოცემის გეგმა. 1900 წლის იანვარში, გადასახლების

ვადის გათავების შემდეგ, ლენინი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.

ლენინური «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლეიპციგში, შემდგომი ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში.

«ისკრის» რედაქციაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ი. ო. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. რედაქციის მდივნად 1901 წლის გაზაფხულიდან იყო ნ. კ. კრუპსკაია. ფაქტიურად ლენინი იყო «ისკრის» მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი. «ისკრაში» ის აქვეყნებდა სტატიებს პარტიის მშენებლობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად საკითხზე, ეხმაურებოდა საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ.) შეიქმნენ რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფები და კომიტეტები. ამიერკავკასიაში «ისკრის» იდეებს იცავდა «ბრძოლა» — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის, პირველი არალეგალური ქართული გაზეთი. ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ფუძემდებელი და ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი ვ. ზ. კეცხოველთან, ა. გ. წულუკიძესთან და ვ. კ. კურნატოვსკისთან ერთად.

ისკრული ორგანიზაციები ჩნდებოდნენ და მეშაობდნენ ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილ პროფესიულ რევოლუციონერთა უშუალო ხელმძღვანელობით (ნ. ე. ბაუმანი, ი. ვ. ბაბუშკინი, ს. ი. გუსევი, მ. ი. კალინინი და სხვ.).

ლენინის ინიციატივით და მისი უშუალო მონაწილეობით «ისკრის» რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნებულია «ისკრის» № 21-ში) და მოამზადა რსდმპ II ყრილობა, რომელიც შესდგა 1903 წლის ივლის-აგვისტოში. ყრილობის მოწვევის დროისთვის რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობა შეუერთდა «ისკრას», მოიწონა მისი ტაქტიკა, პროგრამა და ორგანიზაციული გეგმა, აღიარა ის თავის ხელმძღვანელ ორგანოდ. სპეციალური დადგენილებით ყრილობამ აღნიშნა «ისკრის» განსაკუთრებული როლი პარტიისათვის ბრძოლაში და იგი რსდმპ ცენტრალურ ორგანოდ გამოაცხადა.

II ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა რედაქცია ლენინის, პლეხანოვისა და მარტოვის შემადგენლობით. მარტოვმა, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილების მიუხედავად, უარი სთქვა რედაქციის შემადგენლობაში შესვლაზე, და «ისკრის» №№ 46 — 51 ლენინისა და პლეხანოვის

რედაქციით გამოვიდა. შემდეგში პლეხანოვი მენშევიზმის პოზიციებზე გადავიდა და მან მოითხოვა «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში შეეყვანათ ყველა ძველი რედაქტორი-მენშევიკი, უარყოფილნი ყრილობის მიერ. ლენინს არ შეეძლო შერიგებოდა ამას და 1903 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) გავიდა «ისკრის» რედაქციიდან იმ განზრახვით, რომ გამაგრებულიყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ამ პოზიციიდან დაერტყა ოპორტუნისტ-მენშევიკებისთვის. 52-ე ნომერი გამოვიდა მარტო პლეხანოვის რედაქციით. 1903 წლის 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა ერთპიროვნულად, ყრილობის ნების დარღვევით, «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანა მისი ყოფილი მენშევიკი-რედაქტორები. 52-ე ნომრიდან მენშევიკებმა «ისკრა» თავიანთ ორგანოდ გადააქციეს.

«ამ დროიდან დაიწყეს პარტიაში ლაპარაკი ძ ვ ე ლ «ისკრაზე», როგორც ლენინურ, ბოლშევიკურ «ისკრაზე», და ა ხ ა ლ «ისკრაზე», როგორც მენშევიკურზე, ოპორტუნისტულზე» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 67). — **391.**

99 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული და მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი, 1901 — 1902 წლებში მას სცემდა შტუტგარტში «ისკრას» რედაქცია. «ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». სულ გამოვიდა «ზარიას» ოთხი ნომერი — სამ წიგნად: № 1 — 1901 წლის აპრილში (ფაქტიურად № 1 გამოვიდა 23 მარტს ახალი სტილით), № 2 — 3 — 1901 წლის დეკემბერში, № 4 — 1902 წლის აგვისტოში. — **391.**

100 ლენინს მხედველობაში აქვს «გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა «შ რ ო მ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს» ჯ გ უ ფ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა თ ა გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ», გამოქვეყნებული 1900 წლის დამდეგს ენენვაში. ის გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ი ს» გამოსვლის შემდეგ. «განცხადებაში» «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი უერთდებოდა ლენინის მიერ «პროტესტში» წამოყენებულ მოწოდებას — გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ რუსეთის და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რიგებში. — **394.**

101 ლენინს მხედველობაში ჰყავს ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც დაჯგუფებული იყვნენ გაზეთ «იუჟნი რაბოჩის» გარშემო, ბუნდი და «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი», რომლის

ხელმძღვანელობა ამ დროისთვის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიდან გადავიდა «ახალგაზრდების» — «ეკონომიზმის» მომხრეების ხელში. ამ ორგანიზაციებს ნავარაუდევი ჰქონდათ პარტიის II ყრილობის მოწვევა 1900 წლის 6 (19) მაისისთვის სმოლენსკში. ყრილობაზე უნდა აერჩიათ ცენტრალური კომიტეტი, «რაბოჩაია გაზეტას» რედაქცია, რათა განეახლებინათ მისი გამოცემა როგორც პარტიის ოფიციალური ორგანოსი. «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის წარმომადგენელი ი. ხ. ლალაიანცი ამ საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ლენინთან მოსკოვში 1900 წლის თებერვალში. ყრილობის მოწვევის ინიციატორთა სახელით ლალაიანცი ლენინსა და მის ჯგუფს სთავაზობდა ეკისრათ «რაბოჩაია გაზეტას» კოლექტიური რედაქტორობა. ლენინმა ლალაიანცს მიუთითა ყრილობის უდროისობასა და მოუმზადებლობაზე. მაგრამ, გაუწია რა ანგარიში ყრილობის მოწვევის შესაძლებლობას, ლენინმა მომავალი «ისკრის» ჯგუფის სახელით დასწერა მოხსენება ყრილობისთვის, მან მანდატიც კი მიიღო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისაგან, რათა ის ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ყრილობაზე. მთელი რიგი ჩავარდნების გამო ყრილობა აღარ შესდგა. ყრილობის მომზადების გარემოებებზე ლენინი წერს თავისი წიგნის — «რა ვაკეთოთ?» V თავში. — **395**.

102 სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტზე მუშაობა ლენინმა დაიწყო საპყრობილეში 1895 — 1896 წლებში (იხ. «სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება», თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 99 — 135). 1899 წლის დამლევს, გადასახლებაში ყოფნის დროს, ლენინმა დასწერა მეორე «ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი» (იხ. ეს ტომი, გვ. 271 — 306). პარტიის პროგრამის პროექტი რსდმპ II ყრილობის დროისთვის ლენინის წინადადებით შეიმუშავა «ისკრის» და «ზარიას» რედაქციამ და დაბეჭდილია «ისკრის» № 21-ში 1902 წლის 1 ივნისს, შემდეგ კი ის მიიღო რსდმპ II ყრილობამ 1903 წლის აგვისტოში. — **397**.

103 ლენინს მოჰყავს ძირითადი დებულება «მუშების საერთაშორისო ამხანაგობის საერთო წესდებისა» (I ინტერნაციონალისა), რომელიც დაწერილია კ. მარქსის მიერ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 684). — **400**.

104 იგულისხმება «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» გათიშვა, რომელიც მოხდა კავშირის II ყრილობაზე 1900 წლის აპრილში. რსდმპ I ყრილობამ ეს კავშირი აღიარა პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად, მაგრამ კავშირის უმრავლესობა «ეკონომიზმის» პოზიციებზე დადგა. ამიტომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დასტოვეს ყრილობა და

გასწყვიტეს ორგანიზაციული ურთიერთობანი კავშირთან; ისინი გაფორმდნენ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია საზღვარგარეთ სახელწოდებით «რუსული რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი»». — **407.**

105 როცა გ. ვ. პლეხანოვი აცხადებს, რომ მას 1895 წელს თითქოს «ნაბრძანები» ჰქონდა «სროლა არ აუტეხო» პ. ბ. სტრუვესო (ამ შემთხვევაში ის გულისხმობდა ა. ნ. პოტრესოვს), ამით ის ცდილობდა გაემართლებინა თავისი შემარიგებელი დამოკიდებულება «ლეგალური მარქსისტების» რევიზიონისტული გამოსვლებისადმი. ლენინს სწორად არ მიაჩნდა პლეხანოვის საქციელი, რადგან პლეხანოვი არამც თუ არ აკრიტიკებდა სტრუვეს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ შეხედულებებს, არამედ კიდევაც ჰფარველობდა მას. — **408.**

106 ლენინს მხედველობაში აქვს პ. ბ. სტრუვეს სტატია «კიდევ თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ», რომელიც დაიბეჭდა 1897 წელს ჟურნალ «ნოვოე სლოვოში». ამ სტატიაში სტრუვე აშკარად ილაშქრებდა პროლეტარული რევოლუციის შესახებ მარქსისტული მოძღვრების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი 1899 წლის 27 ივნისს (9 ივლისს) ა. ნ. პოტრესოვს სწერდა: «მხოლოდ ერთი რამ არ მესმის, როგორ შ ე ე ძ ლ ო კამენსკის (პლეხანოვს. რ ე დ.) პასუხი არ გაეცა «ნოვოე სლოვოში» მოთავსებულ სტრუვესი და ბულგაკოვის სტატიებზე ენგელსის წინააღმდეგ! იქნებ განმიმარტოთ ეს?».

«ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველთვიური მეცნიერულ-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი, რომელსაც 1894 წლიდან პეტერბურგში სცემდნენ ლიბერალური ნაროდნიკები, ხოლო 1897 წლის გაზაფხულიდან — «ლეგალური მარქსისტები». «ნოვოე სლოვოში» დაიბეჭდა ლენინის ორი სტატია: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 143 — 323 და 387 — 395). ჟურნალში თანამშრომლობდნენ გ. ვ. პლეხანოვი და ა. მ. გორკი. 1897 წლის დეკემბერში ჟურნალი დახურა მთავრობამ. — **408.**

107 ლაპარაკია მასალებისა და დოკუმენტების კრებულზე «Vademecum» (ცნობარი. რ ე დ.) «რაბოჩეე დელოს» რედაქციისთვის» (1900 წ.), რომელშიც გ. ვ. პლეხანოვმა სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოაქვეყნა ბუნდელი ც. მ. კოპელზონის და «ეკონომისტების» ერთ-ერთი ხელმძღვანელის ე. დ. კუსკოვას სამი კერძო წერილი. — **409.**

108 «ჩ ვ ე ნ ი მ ე ს ა მ ე» — ი. ო. მარტოვი, რომელიც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან ვ. ი. ლენინისა და ა. ნ. პოტრესოვის მოლაპარაკების დროს სამხრეთ რუსეთში იმყოფებოდა და საზღვარგარეთ ჩავიდა 1901 წლის მარტში. — **410.**

109 «ბობო» — პ. ბ. სტრუვე. — 411.

110 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ჟურნალის რედაქციას ის ხშირად აძლევდა მითითებებს და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევის გამო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი კაუტსკიანურ შეხედულებებს ატარებდა და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914 — 1918) ჟურნალს ცენტრისტული პოზიცია ეჭირა, ფაქტიურად კი ის სოციალ-შოვინისტებს უჭერდა მხარს. — 412.

111 ნაგულისხმევია «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» ყოფილი წევრები, რომლებმაც 1900 წლის აპრილში კავშირის II ყრილობაზე მომხდარი გათიშვის შემდეგ კავშირი გასწყვიტეს მის ოპორტუნისტულ უმრავლესობასთან და შევიდნენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში — «სოციალ-დემოკრატ». — 415.

112 «ა პ ა რ ა ნ ს ე ბ ი ს დ ა ც ვ ა»—მოჩვენებითი ზრდილობის დაცვა.—426.

113 № — ქალაქი ნიურნბერგი, სადაც ლენინი გავლით იყო ენენევიდან მიუნხენში წასვლისას «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან «ისკრის» ჯგუფის თათბირის შემდეგ. — 427.

114 «შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი» «ისკრის» ლენინურ ჯგუფსა და პლეხანოვის ჯგუფ «სოციალ-დემოკრატს» შორის დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1900 წლის სექტემბრის დამდეგს (იხ. ეს ტომი. გვ. 428 — 429). ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური მისცა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — 428.

115 «გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა», როგორც ჩანს, დაწერილია უფრო მოგვიანებით. მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება შემდეგი დოკუმენტი, რომელიც ჩადებულია კონვერტში ნ. კ. კრუპსკაიას წარწერით: «სულ პირველი პერიოდის დოკუმენტები. ხელშეკრულება «ზარიას» და «ისკრის» გამოცემის შესახებ»:

«1. კრებულ «ზარიას» და ვაზეთ «ისკრას» სცემს და რედაქციას უკეთებს რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, «შრომის» განთავისუფლების» ჯგუფის მონაწილეობით სარედაქციო მუშაობაში.

2. ყველა პრინციპულ და განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობის სტატიებს რედაქცია აცნობს, თუ ეს სარედაქციო-ტექნიკური პირობების გამო შეუძლებელი არ არის, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ყველა წევრს.

3. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრები ხმას აძლევენ ყველა სარედაქციო ხასიათის საკითხზე, პირადად — თუ ისინი არიან რედაქციის სამყოფელ ადგილას, წერილობით — თუ მათ სტატიები ეცნობებათ.

4. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან უთანხმოების შემთხვევაში რედაქცია ვალდებულია მთლიანად დაბეჭდოს ჯგუფის ან თვითეული მისი ცალკე წევრის განსაკუთრებული აზრი.

5. უნდა გამოქვეყნდეს ამ შეთანხმების მხოლოდ პირველი პუნქტი.

6 ოქტომბერი, 1900 წელი».

დოკუმენტი დაბეჭდილია მანქანაზე, სათაური და ხელმოწერა არა აქვს. — **428.**

116 განცხადების პირვანდელი პროექტისგან განსხვავებით (იხ. ეს ტომი, გვ. 391 — 404), სადაც ერთდროულად იყო გადმოცემული ორი ორგანოს — გაზეთისა და ჟურნალის — პროგრამა, «ისკრის» რედაქციის მიერ გამოცემულ განცხადებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ გაზეთ «ისკრაზე». ჟურნალ «ზარიას» ამოცანებზე გადაწყვეტილი იყო ცალკე დაეწერათ, ჟურნალის პირველ ნომერში. — **430.**

117 «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს თ ვ ი თ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ი» — «ეკონომისტების» პატარა ჯგუფი, წარმოიშვა პეტერბურგში 1898 წლის შემოდგომაზე და რამდენიმე თვის განმავლობაში იარსება. ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება, სადაც გადმოცემული იყო მისი მიზნები (დაიბეჭდა ჟურნალ «ნაკანუნეში», რომელიც ლონდონში გამოდიოდა), აგრეთვე წესდება და რამდენიმე პროკლამაცია მუშებისადმი.

ამ ჯგუფის შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა წიგნის «რა ვაკეთოთ?» II თავში. — **432.**

118 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის, ა. ს. მარტინოვისა და ვ. პ. ივანშინის რედაქციით. სულ გამოვიდა 12 ნომერი — ცხრა წიგნად.

«რაბოჩეედელოელთა» შეხედულების კრიტიკა იხ. ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **432.**

119 სტატია «ჩ ვ ე ნ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ს ა ა რ ს ე ბ ო ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» დაბეჭდილია «ისკრის» № 1-ის მოწინავედ. — **449.**

120 ლენინს მოჰყავს ძირითადი დებულება «მუშების საერთაშორისო ამხანაგობის საერთო წესდებისა» (I ინტერნაციონალისა), რომელიც დაწერილია კ. მარქსის მიერ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 684). — **451.**

121 პ ე ტ რ ე ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი ს — XIX საუკუნის 70-იანი წლების მუშა-რევოლუციონერის სიტყვა, წარმოთქმული მის მიერ 1877 წლის 10 (22) მარტს მეფის სასამართლოს წინაშე პეტერბურგში; პირველად დაიბეჭდა 1877 წელს ლონდონში კრებულ «ვპერიოდში» (არაპერიოდული მიმოხილვა). მას შემდეგ ეს სიტყვა არაერთხელ გამოუციათ არალეგალურად, იგი ფართო პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის მუშებში. — **456.**

122 ლაპარაკია 1857 წელს ინდოეთში დაწყებულ აჯანყებაზე. აჯანყებას ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა; ჩააქრეს 1859 წელს. — **459.**

123 ინგლის-ბურთა ომი (1899 წლის ოქტომბერი — 1902 წლის მაისი), რომლის შედეგად სამხრეთ-აფრიკის ორი რესპუბლიკა — ტრანსვაალი და ორანჟისა — დიდბრიტანეთის კოლონიები გახდნენ. — **459.**

124 II ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს მ ე ხ უ თ ე ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი მიმდინარეობდა 1900 წლის 10-დან 14 (23-დან 27) სექტემბრამდე პარიზში. რუსეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო 23 დელეგატით. სხვა გადაწყვეტილებათა შორის კონგრესმა დაადგინა დაარსებულიყო მუდმივი საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, სამდივნოს ადგილსამყოფელო კი იქნებოდა ბრუსელში. — **465.**

125 «ა რ ს ე ნ ი ე ვ ი» — ა. ნ. პოტრესოვი; «ველიკა» — ვ. ი. ზასულიჩი; «ბლიზნეც» — პ. ბ. სტრუვე; «ცოლი» — პ. ბ. სტრუვეს ცოლი — ნ. ა. სტრუვე. — **467.**

126 პ. ბ. სტრუვეს «ა მ ხ ა ნ ა გ ი დ ა მ ე გ ო ბ ა რ ი» — მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი. — **468.**

127 ლენინს ციტატი მოჰყავს გლებ უსპენსკის სტატიიდან «თედორე მიხეილის-ძე რეშეტნიკოვი» (იხ. გ. ი. უსპენსკი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, 1919, გვ. 682). — **494.**

128 ლენინს მოჰყავს პოლკოვნიკ სკალოზუბის — ა. ს. გრიბოედოვის კომედიის «ვაი ჭკუისაგან» პერსონაჟის სიტყვები (იხ. ა. ს. გრიბოედოვი. თხზულებანი, 1945, გვ. 94). — **512.**

129 «მწვანე ქუჩის» წ ა მ ე ბ ა ნ ი — ჯარისკაცთა ფიზიკური სასჯელი, რომელსაც მიმართავდნენ ბატონყმური რუსეთის არმიაში. თოფზე მიკრულ მსჯავრდებულს ატარებდნენ ჯარისკაცთა «მწყობრში», ჯარისკაცები მას სცემდნენ ჯოხებით ან მწვანე წკეპლებით (შპიცრუტენებით). ამ სასჯელს განსაკუთრებით ფართოდ მიმართავდნენ ნიკოლოზ I დროს (1825 — 1855 წლებში). — 512.

130 «ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი ს ფ ი ც ი» — მხატვრული გამოთქმა, რაც ნიშნავს ბოლომდე ბრძოლის ურყევ გადაწყვეტილებას. წარმოსდგება კართაგენის მხედართმთავრის ჰანიბალის სახელისაგან. — 514.

131 სტატია «მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა დ ა გ ლ ე ხ ო ბ ა» წარმოადგენს მონასახს რსდმპ აგრარული პროგრამისა, რომელიც «ისკრისა» და «ზარიას» რედაქციის სახელით გამოქვეყნდა 1902 წლის ზაფხულში და მიღებულ იქნა რსდმპ II ყრილობის მიერ. — 517.

132 მ ე ო თ ხ ე დ ი, ა ნ უ ღ ა ტ ა კ უ რ ი, ნ ა დ ე ლ ი — 1861 წლის რეფორმის გატარების დროს ეგრეთწოდებული «უმაღლესი», ანუ «ბრძანებულებითი», ე. ი. კანონით დაწესებული გლეხთა მიწის განსაზღვრული ადგილის ნადელის ერთი მეოთხედი ნაწილი. ყოფილ ყმა-გლეხთა ნაწილი მემამულეებისგან ამ მათხოვრულ ნადელებს იღებდა უფასოდ (გამოუსყიდავად). ამიტომ მეოთხედ ნადელებს აგრეთვე უწოდებდნენ «ნაბოძარ» ნადელებს, ხოლო მათ მიმღებ გლეხებს — «ნაბოძართ». — 517.

133 დ რ ო ე ბ ი თ-ვ ა ლ დ ე ბ უ ლ გ ლ ე ხ ე ბ ს უწოდებდნენ ყოფილ ყმა-გლეხთა ნაწილს, რომელნიც 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც ვალდებული იყვნენ ბეგარები ეხადათ (ღალა ან საბატონო ბეგარა), სანამ მემამულისგან თავიანთი ნადელის გამოსყიდვას დაიწყებდნენ.

გამოსყიდვის ხელშეკრულების დადების დროიდან გლეხები აღარ ითვლებოდნენ «დროებით-ვალდებულებად» და გადადიოდნენ «მესაკუთრე გლეხთა» თანრიგში. — 518.

134 ს ა წ ე ს დ ე ბ ო ს ი გ ე ლ ი — ასე ეწოდებოდა იმ აქტს, რომელსაც ადგენდნენ მემამულეები 1861 წლის რეფორმით გლეხთა «განთავისუფლების» დროს. საწესდებო სიგელში აღნიშნული იყო იმ მიწის რაოდენობა, რომლითაც გლეხები სარგებლობდნენ რეფორმამდე, და ინიშნებოდა ის მიწები და ადგილ-მამულები, რომელნიც რჩებოდათ «განთავისუფლების» დროს გაძარცულ გლეხებს. საწესდებო სიგელში ჩამოთვლილი იყო აგრეთვე ის ბეგარები, რომელთაც წინათ იხდიდნენ ყმა-გლეხები მემამულის სასარგებლოდ. საწესდებო სიგელთა საფუძველზე არკვევდნენ გლეხთა გამოსასყიდ გადასახდელთა ოდენობას. — 518.

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(1898 წელი — 1901 წლის აპრილი)

1898

24 იანვარზე უფრო ადრე (5 თებერვალზე უფრო ადრე).	ლენინი წერს ორ წერილს ვერხოლენსკში (ციმბირი) ნ. ე. ფედოსეევს. ყაზანის პირველი მარქსისტული წრეების ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს.
7 და 14 (19 და 26) თებერვალს შუა.	ლენინი წერს რეცენზიას ა. ბოგდანოვის წიგნზე—«ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი».
თებერვლის დამლევი (მარტის დამდეგი)—აგვისტო.	ლენინი თარგმნის ს. და ბ. ვებების წიგნის «ინგლისის ტრედ-უნიონიზმის თეორია და პრაქტიკა» I ტომს.
მაისის დამლევი (ივნისის დამდეგი).	ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას გამგზავრება ს. შუშენსკოედან მინუსინსკში. გადასახლებულთა კრებაში მონაწილეობა.
ივლისი, 10 (22).	ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას ქორწინება.
აგვისტო, 9 (21).	ლენინი ძირითადად ამთავრებს წიგნს «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში».
აგვისტო, 26-მდე (სექტემბერი, 7-მდე).	ლენინი წერს სტატიას «ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის (პროფ. კარიშევის ახალი სტატისტიკური გმირობანი)».
სექტემბერი, 11—25 (სექტემბერი, 23—ოქტომბერი, 7).	ლენინის გამგზავრება კრასნოიარსკში, მუშაობა ბიბლიოთეკაში და შეხვედრები იქაურ პოლიტიკურ გადასახლებულებთან.
ოქტომბერი, 9—15 (21—27).	რუსეთში გამოდის ლენინის ნაწარმოებთა პირველი კრებული «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები» ვლადიმირ ილინის ხელმოწერით.

შემოდგომა.	ჟენევაში გამოდის ლენინის ბროშურა «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები».
1898 წლის დეკემბერი, 24 — 1899 წლის იანვარი, 2 იანვარი, 5—14).	ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას გამგზავრება მინუსინსკში. ლენინი მონაწილეობას იღებს იმ გადასახლებულ მარქსისტთა კრებაში, რომლებიც მინუსინსკის ოკრუგის სხვადასხვა პუნქტიდან ჩამოვიდნენ.

1899

იანვარი, 30 (თებერვალი, 11).	ლენინმა დაასრულა წიგნის—«კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» დასაბეჭდად მომზადება.
იანვარი.	ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 1-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)».
თებერვალი.	ლენინი წერს რეცენზიებს წიგნებზე: რ. გ ვ ო ზ დ ი ო ვ ი. «Кулачество-ростовщичество, его общественно-экономическое значение», პარვუსი. «Мировой рынок и сельско-хозяйственный кризис» და ცნობარზე «Торгово-промышленная Россия».
მარტის პირველი ნახევარი.	ლენინი წერს სტატიას სტრუვეს წინააღმდეგ—«კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის».
მარტი, 21-მდე (აპრილი, 2-მდე).	ლენინი წერს რეცენზიას კ. კაუტსკის წიგნზე «აგრარული საკითხი».
მარტი, 24—31 (აპრილი, 5—12).	გამოდის ლენინის წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი» ვლადიმირ ილინის ხელმოწერით.
აპრილი, 4 (16)—მაისი, 9 (21).	ლენინი წერს ორ სტატიას საერთო სათაურით «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)».
მაისი, 2 (14).	ლენინის გაჩხრეკა და დაკითხვა სოფელ შუშენსკოეში იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციამ დაადგინა გადასახლებულ სოციალ-დემოკრატებთან ლენინის მიმოწერის ფაქტი.

მაისი.	ჟურნალ «ნაჩალოს» № 5-ში დაიბეჭდა ლენინის რეცენზია ჰობსონის წიგნზე «თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუცია».
მაისი, 29-მდე (ივნისი, 10-მდე).	ლენინი წერს სტატიას «პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს», რომელიც მიმართულია რევიზიონიზმის წინააღმდეგ.
აგვისტო, 22-მდე (სექტემბერი, 3-მდე).	ლენინი წერს «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტს» «Credo»-ს—«ეკონომისტების» მანიფესტის—წინააღმდეგ.
	ლენინი სოფელ ერმაკოვსკოეში აწყობს 17 პოლიტიკური გადასახლებული მარქსისტის თათბირს, რომელზედაც მიღებულ იქნა ლენინის მიერ დაწერილი «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი».
სექტემბერი, 9—15 (21—27).	გამოდის ს. და ბ. ვებების წიგნის «ინგლისის ტრედ-უნიონიზმის თეორია და პრაქტიკა» I ტომი, თარგმნილი ლენინის (ვლადიმირ ილინის) მიერ.
სექტემბერი, 10 (22).	ლენინი ესწრება პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირის» გადასახლებაში დაღუპული წევრის ა. ა. ვანეევის დასაფლავებას სოფ. ერმაკოვსკოეში და სიტყვას წარმოსთქვამს მის საფლავზე.
1899 წლის სექტემბრის დამდეგი—1900 წლის 19 (31) იანვარი.	ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად რედაქტორობს პეტერბურგიდან გამოგზავნილ ს. და ბ. ვებების წიგნის «ინგლისის ტრედ-უნიონიზმის თეორია და პრაქტიკა» II ტომის რუსულ თარგმანს.
არა უადრეს ოქტომბრისა.	ლენინი თანხმდება წინადადებაზე — რედაქტორობა გაუწიოს «რაბოჩაია გაზეტას», რომელიც რსდმპ I ყრილობამ პარტიის ოფიციალურ ორგანოდ აღიარა, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით—მეორე წინადადებაზე—ითანამშრომლოს ამ გაზეთში. ლენინი წერს სამ სტატიას «რაბოჩაია გაზეტასთვის» და «წერილს რედაქტორთა ჯგუფისადმი».
წლის დამლევი.	ლენინი წერს რეცენზიას ს. ნ. პროკოპოვიჩის წიგნზე «მუშათა მოძრაობა დასავლეთში».
	ლენინი წერს რეცენზიას კ. კაუტსკის წიგნზე «ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. ანტიკრიტიკა».

ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად თარგმნის კ. კაუტსკის წიგნს «ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. ანტიკრიტიკა».

ჟენევაში «რაბოჩეე დელოს» № 4—5-დან ცალკე ანაბეჭდად გამოდის ლენინის მიერ დაწერილი «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი».

ლენინი წერს სტატიებს: «ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი», «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», «Profession de foi»-ს გამო», «სამრეწველო სასამართლოების შესახებ», «გაფიცვების შესახებ».

1898—1899 წლები. ლენინი მიმოწერას აწარმოებს გადასახლებულ ფ. ვ. ლენგნიკთან (მიმოწერის ძირითადი თემაა—ფილოსოფიური საკითხების განხილვა).

1900

იანვარი, 29 (თებერვალი, 10). ლენინს გაუთავდა გადასახლების ვადა.

ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია სოფელ შუშენსკოედან მიემგზავრებიან ევროპის რუსეთში. ვინაიდან დედაქალაქებსა და საუნივერსიტეტო ქალაქებში, აგრეთვე მუშათა დიდ ცენტრებში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, ლენინმა საცხოვრებელ ადგილად აირჩია ფსკოვი—ქალაქი, რომელიც ყველაზე უფრო მოხერხებული იყო პეტერბურგთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად.

თებერვლის პირველი ნახევარი. ციმბირიდან წამოსული ლენინი გზად ჩერდება უფაში, სადაც ნ. კ. კრუპსკაია რჩება თავისი გადასახლების ვადის გათავებამდე. ლენინი ხვდება უფაში გადასახლებულ სოციალ-დემოკრატებს (ა. დ. ცურუპას და სხვებს).

შუა თებერვალი. ლენინი არალეგალურად ჩამოდის მოსკოვში და ჩერდება თავის მშობლებთან.

ლენინი ეკატერინოსლავის კომიტეტის წარმომადგენელ ი. ხ. ლალაიანცისგან იგებს, რომ მზადდება რსდმპ II ყრილობის მოწვევა, წინადადებას ღებულობს—მონაწილეობა მიიღოს მასში და აგრეთვე იკისროს «რაბოჩაია გაზეთას» რედაქტორობა.

თებერვალი, 26-მდე (მარტი, 10-მდე).	ლენინი არალეგალურად ჩერდება პეტერბურგში, ხვდება რუსეთში ჩამოსულ ვ. ი. ზასულიჩს და მოლაპარაკებას აწარმოებს მასთან საზღვარგარეთ საერთო-რუსული მარქსისტული გაზეთისა და ჟურნალის გამოცემაში «ძრომის განთავისუფლების» ჯგუფის მონაწილეობის შესახებ.
თებერვალი, 26 (მარტი, 10).	ლენინი ჩადის ფსკოვში, სადაც მის მიმართ აწესებენ პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას.
გაზაფხული.	ლენინი კავშირს ამყარებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან და ცალკეულ სოციალ-დემოკრატებთან და მოლაპარაკებას აწარმოებს მათი მხრივ მომავალი «ისკრისთვის» დახმარების გაწევის შესახებ.
	ლენინი არალეგალურად მიემგზავრება რიგაში ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დასამყარებლად. ფსკოვში ლენინი მონაწილეობას იღებს ადგილობრივი რევოლუციური და ოპოზიციური ინტელიგენციის კრებაში; გამოდის რევიზიონიზმის კრიტიკით.
მარტის დამლეგი—აპრილის დამდეგი, 4-მდე (17-მდე).	ლენინი იმუშავებს რედაქციის განცხადების **პროექტს** საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის («ისკრის») და მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალის («ზარიას») პროგრამისა და ამოცანების შესახებ.
	ლენინი ატარებს რევოლუციური მარქსისტების თათბირს «ლეგალურ მარქსისტებთან» (პ. ბ. სტრუვე, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი) მათი მხრივ «ისკრის» და «ზარიას» გამოცემისთვის დახმარების გაწევის საკითხზე («ფსკოვის თათბირი»).
აპრილი—მაისი.	ლენინი რსდმპ განზრახული II ყრილობისათვის წერს მოხსენებას «ისკრის» ჯგუფის სახელით და ყრილობაზე დასწრების მანდატს ღებულობს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისგან.
მაისი, 5 (18).	ლენინი ღებულობს საზღვარგარეთულ პასპორტს გერმანიაში გასამგზავრებლად.
მაისი, 20 (ივნისი, 2).	ლენინი არალეგალურად ჩამოდის პეტერბურგში ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დასამყარებლად.

მაისი, 21 (ივნისი, 3).	ლენინის დაპატიმრება და დაკითხვა პეტერბურგში.
მაისი, 31 (ივნისი, 13).	ლენინის განთავისუფლება პატიმრობიდან.
ივნისი, 1—7 (14—20).	ლენინი ცხოვრობს თავის მშობლებთან პოდოლსკში (მოსკოვთან).
	პოდოლსკში ლენინის მიწვევით ჩადიან სოციალ-დემოკრატები (პ. ნ. ლეპეშინსკი, ს. პ. და ს. პ. შესტერნინები და სხვ.), რომელთაც ლენინი უთანხმდება დახმარება გაუწიონ მომავალ გაზეთ «ისკრას».
ივნისი, 7 (20).	ლენინი ნიჟნი-ნოვგოროდზე (ამჟამად გორკი) გავლით მიემგზავრება უფაში ნ. კ. კრუპსკაიასთან.
ივნისი, 8 ან 9 (21 ან 22).	ლენინი უთანხმდება ნიჟნი-ნოვგოროდელ სოციალ-დემოკრატებს დახმარება აღმოუჩინონ «ისკრას».
ივნისის მეორე ნახევარი.	ლენინი უფაში უთანხმდება ადგილობრივ გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატებს დახმარება გაუწიონ «ისკრას».
2 (15) ივლისზე უფრო გვიან.	ლენინი უფიდან მიემგზავრება პოდოლსკში.
2 და 10 (15 და 23) ივლისს შუა.	ლენინი ჩერდება სამარაში (ამჟამად კუიბიშევი), სადაც ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს უთანხმდება დახმარება გაუწიონ «ისკრას».
ივლისი, 10 (23).	ლენინი ბრუნდება პოდოლსკში.
ივლისი, 16 (29).	ლენინი მიემგზავრება საზღვარგარეთ.
აგვისტოს დამდეგი.	ლენინი ორი დღით ჩერდება ციურიხში და საუბრობს პ. ბ. აქსელროდთან «ისკრისა» და «ზარიას» გამოცემის შესახებ.
	ლენინის მოლაპარაკება გ. ვ. პლეხანოვთან ჟენევაში «ისკრისა» და «ზარიას» გამოცემის შესახებ; უთანხმოება პლეხანოვთან განცხადების—«რედაქციისაგან» ლენინის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.
	ბელრივში (ჟენევის ახლოს) ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს ნ. ე. ბაუმანთან და სხვა სოციალ-დემოკრატებთან მონაწილეობა მიიღონ «ისკრის» მუშაობაში.

აგვისტო 11—15 (24—28).	ლენინი მონაწილეობას იღებს თათბირში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან კორსიეში (ჟენევის ახლოს) «ისკრის» და «ზარიას» გამოცემისა და ერთად რედაქტირების საკითხზე.
აგვისტო, 20 (სექტემბერი, 2) და უფრო გვიან.	ლენინი ჩაიწერს იმ გარემოებებს, რაც პლეხანოვთან მოლაპარაკებას თან სდევდა («როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა»?»).
აგვისტო, 22 ან 23 (სექტემბერი 4 ან 5).	ლენინი ადგენს «ისკრის» ჯგუფისა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ხელშეკრულების პროექტს «ისკრის» და «ზარიას» გამოცემისა და ამ ორგანოების რედაქციაში ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხზე.
23 აგვისტოსა და 2 სექტემბერს შუა (5 და 15 სექტემბერს შუა).	ლენინი უცნობ რუს სოციალ-დემოკრატთან მიმოწერაში. კატეგორიულად უარჰყოფს ყოველგვარ შეთანხმებას «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირთან», «ეკონომისტების» ორგანიზაციასთან.
აგვისტო, 24 (სექტემბერი, 6).	ლენინი ნიურნბერგიდან მიემგზავრება მიუნხენში.
27 სექტემბერსა და 5 ოქტომბერს შუა (10 და 18 ოქტომბერს შუა).	ცალკე ნაბეჭდ ფურცლად გამოდის ლენინის მიერ დაწერილი «განცხადება «ისკრის» რედაქციისაგან». განცხადება იგზავნება რუსეთში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და მუშებს შორის გასავრცელებლად.
ოქტომბერი, 13 (26).	ლენინი წერილში ა. ა. იაკუბოვასადმი «ისკრის» ჯგუფის სახელით გადაჭრით უარს ამბობს «ეკონომისტების» ორგანოში «რაბოჩაია მისლში» თანამშრომლობაზე.
ნოემბრის დამდეგი.	ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისათვის «მაისის დღეები ხარკოვში».
ნოემბერი.	ლენინი რედაქციას უკეთებს და დასაბეჭდად ამზადებს «ისკრის» პირველ ნომერს.
ნოემბრის დამლევი (დეკემბრის პირველი ნახევარი).	ლენინი აწყობს ჟურნალ «ზარიას» პირველი ნომრის მომზადებასა და გამოშვებას შტუტგარტში.

1 და 10 დეკემბერს შუა (14 და 23 დეკემბერს შუა).	ლენინის გამგზავრება მიუნხენიდან ლეიფციგში «ისკრის» პირველი ნომრის გამოშვების წინ მის საბოლოოდ რედაქტირებისთვის.
დეკემბერი, 11 (24).	გამოდის «ისკრის» პირველი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სტატიები: «ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები» (მოწინავე), «ჩინეთის ომი» და «გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში».
1900 წლის 16 (29) დეკემბერსა და 1901 წლის თებერვლის პირველ ნახევარს შუა.	ლენინი მონაწილეობას იღებს მოლაპარაკებაში «ისკრის» და «ზარიას» რედაქციებსა და მიუნხენში ჩამოსულ პ. ბ. სტრუვეს შორის ამ ორგანოებში უკანასკნელის თანამშრომლობის პირობებზე. ლენინი კატეგორიულად ილაშქრებს სტრუვესთან შეთანხმების წინააღმდეგ.

1901

იანვარი—მარტი.	ლენინის ხელმძღვანელობით მუშაობას აჩაღებენ «ისკრის» დამხმარე ჯგუფები და მისი აგენტები რუსეთში (პეტერბურგში, მოსკოვში, ფსკოვში, პოლტავაში, სამარაში, სამხრეთ რუსეთში და სხვ.).
თებერვლის პირველი ნახევარი.	გამოდის «ისკრის» მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლენინის სტატია «183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად».
შუა თებერვალი.	ლენინის გამგზავრება პრაღასა და ვენაში ნ. კ. კრუპსკაიას საზღვარგარეთ ჩასვლის მოსაწყობად.
თებერვლის დამლევი—მარტის პირველი ნახევარი (მარტი).	ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს «ისკრის» არალეგალური სტამბის მოწყობაზე რუსეთში (კიშინიოვში).
მარტი, 10 (23).	გამოდის «ზარიას» პირველი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სამი სტატია გაერთიანებული სათაურით «შემთხვევითი შენიშვნები».

აპრილი 12 (25). ლენინი «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წინაშე აყენებს გეგმას—საზღვარგარეთ «ისკრის» გარშემო დაჯგუფებული რუსული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გაერთიანებულ იქნან «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგად».

აპრილი, 19 (მაისი, 2). გამოდის «ისკრის» მესამე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლენინის სტატია «მუშათა პარტია და გლეხობა».

24 აპრილსა და 1 მაისს შუა (7 და 14 მაისს შუა). მიუნხენში შემდგარ «ისკრისა» და «ზარიას» რედაქციის თათბირზე იხილავენ ლენინის მიერ წამოყენებულ «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» მოწყობის გეგმას და ლიგის სანიმუშო წესდებას.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1898 წ.

ჩვენი საფაბრიკო-საჭარხნო სტატისტიკის საკითხისათვის (პროფ. კარიშევის ახალი სტატისტიკური გმირობანი) . . 1—42

რეცენზია. ა. ბოგდანოვი. Краткий курс экономической науки. Москва. 1897. Изд. кн. склада А. Муриновой. Стр. 290. Ц. 2 р. . . . . 43—54

შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო) . . . . . 55—67

1899 წ.

რეცენზია. პარვუსი. Мировой рынок и сельско-хозяйственный кризис. Экономические очерки. Перевод с немецкого Л. Я. СПБ. 1898. Изд. О. Н. Поповой (Образовательная библиотека, серия 2-я, № 2). Стр. 142. Цена 40 коп. . . . . 68—70

რეცენზია. რ. გვოზდევი. Кулачество-ростовщичество, его общественно-экономическое значение. СПБ. 1899. Изд. Н. Гарина . . . . . 71—73

რეცენზია. **Торгово-промышленная Россия.** Справочная книга для купцов и фабрикантов. Составлена под редакциею А. А. Блау, начальника статистического отделения департамента торговли и мануфактур. СПБ. 1899. Ц. 10 руб. . . . . 74—77

კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის . . 78—102

რეცენზია. **Karl Kautsky**. Die Agrarfrage. Eine Uebersicht über die Tendenzen der modernen Landwirtschaft und die Agrarpolitik u. s. w. Stuttgart, Dietz, 1899 . . 103—110

რეცენზია: **ბობსონი**. Эволюция современного капитализма. Пер. с английского. СПБ. 1898. Изд. О. Н. Поповой. Цена 1 р. 50 к. . . . . 111—115

კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ) . . . . . 117—187

სტატია პირველი 121
I 122
II 126
III 134
IV 150
V 159

სტატია მეორე 170
I 170
II 184

პასუხი ბ-ნ ნეჟდანოვს . . . . . 188—195

რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი . . . 197—215

რეცენზია. **ს. ნ. პროკოპოვიჩი**. Рабочее движение на Западе . . . . . 216—228

რეცენზია. **Karl Kautsky**. Bernstein und das sozialdemokratische Programm. Eine Antikritik . . . . . 229—243

სტატიები «რაბოჩაია გაზეტასათვის» . 245—270

წერილი რედაქტორთა ჯგუფისადმი 247

ჩვენი პროგრამა 250

ჩვენი უახლოესი ამოცანა 257

საარსებო საკითხი 264

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი . . . . . 271—306

უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში . . . . . 307—346

«PROFESSION DE FOI»-ს გამო . . . . . 347—360

სამრეწველო სასამართლოების შესახებ . . . . 361—377

გაფიცვების შესახებ . . . . . 378—390

1900 წ.

«ისკრისა» და «ზარიას» რედაქციის განცხადების პროექტი . . . . . 391—404

როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა»? . . . . . 407—427

შეთანხმების პროექტი . . . . . 428—429

«ისკრის» რედაქციის განცხადება . . . . . 430—437

წინასიტყვაობა ბროშურისა «მაისის დღეები ხარკოვში» . . . . . 438—448

ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები . . . . 449—456

ჩინეთის ომი . . . . . 457—463

გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში . . . . . 464—466

1900 წლის 29 დეკემბრის ჩანაწერი . . . . . 467—470

1901 წ.

შემთხვევითი შენიშვნები . . . . . 471—509

I. სცემე, მაგრამ არა სასიკვდილოდ 475
II. რა საჭიროა დროთა უკუღმართობის დაჩქარება? . 495
III. ობიექტური სტატისტიკა 503

183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად . . . . . 510—516

მუშათა პარტია და გლეხობა . . . . . 517—527

შენიშვნები . . . . . 529—552

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . 553—664

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი.— 1897 წ. . . . . XII—1

გარეკანი ჟურნალ «ჟიზნისა», რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში». — 1900 წ. . . 119

პირველი გვერდი ანაბეჭდისა «რაბოჩეე დელოს» № 4—5-დან «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტით». — 1899 წ. . 199

მეექვსე გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რეცენზია ს. ნ. პროკოპოვიჩის წიგნისა». — 1899 წ. დამლევი 217

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი». — 1899 წ. . . . . 272—273

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «როგორ კინაღამ ჩაქრა «ისკრა»?» — 1900 წ. 405

პირველი გვერდი ცალკე ფურცლისა ««ისკრის» რედაქციის განცხადება». — 1900 წ. . . . . 430—431

გარეკანი ბროშურისა «მაისის დღეები ხარკოვში». — 1901 წ. . 439

გაზეთ «ისკრის» № 1 პირველი გვერდი. — 1900 წ. . . . . 448—449

გარეკანი ჟურნალ «ზარიას» 1 №-ისა. — 1901 წ. აპრილი . . 473

ტირაჟი 20.000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II—1949.
УЕ 01297. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 36,25.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვეთის № 1445.